ეძღვნება დავით ჯავრიშვილის დაბადებიდან 120 და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დაარსებიდან 80 წლისთავს

საქართველოს ფოლკლორის
სახელმწიფო ცენტრი

საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

საქართველოს თეატრის, მუსიკის,
კინოსა და ქორეოგრაფიის
სახელმწიფო მუზეუმი

დავით ჯავრიშვილი

ქართული ხალხური ცეკვა

თბილისი
2018

შემდგენლები: უჩა დვალიშვილი, ბაია ასიეშვილი

რედაქტორი ბაია ასიეშვილი

გამოცემაზე მუშაობდნენ: თეა კასაბური, ნანა კალანდაძე, ნუნუკა შველიძე,
მაია მაისურაძე, ნინო ნაკანი, ნანა ვალიშვილი, გურამ გაბაშვილი, ნიკა გოგაშვილი

მუსიკალური მასალის ელექტრონული ვერსია თამაზ გაბისონიასი და ლევან ვეშაპიძისა

მხატვრები: ირ. რაზმაძე, გ. გორდელაძე, ნ. ფალავანდიშვილი, ზ. კაპანაძე, ინა ჭელიძე

**საცეკვაო და გრაფიკული ნახაზები ცეკვის ჩაწერის პირობითი ნიშნებით ააწყო,
გრაფიკული სურათები დაამუშავა და ტექსტი აკრიფა** ეკა გელიაშვილმა

დიზაინი და დაკაბადონება შპს „ბატაშ სტუდიო“ – გოგა დემეტრაშვილი,
თამარ კოლოტაური, ელენე გაბრიჩიძე, თათია კვირკველია, ქეთი კობახიძე, ხათუნა ვერძაძე

პროექტის ხელმძღვანელი სოფიო ლობჟანიძე

© საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

© საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი

ISBN -

სარჩევი

წინათქმა 11

ბიოგრაფია 15

შესავალი 19

ქართული ქორეოგრაფიული გაკვეთილის მასალები 23

ქართული ხალხური ცეკვის თვისებები და თავისებურებანი 25

ქორეოგრაფიული წრეების შემოქმედებითი მუშაობისათვის 27

ქორეოგრაფიული წრის პრაქტიკული მეცადინეობა 28

სწავლების მეთოდი 31

პოზიციები 34

ფეხის ძრითადი პოზიციები 34

ხელის ძირითადი პოზიციები 35

ძელთან ვარჯიში 36

დგომა, დგომათა ცვლა და ფეხის მოძრაობა 38

მკლავების მოძრაობა-მდგომარეობა 39

მკლავების მდგომარეობა 40

მკლავების მდგომარეობის ცვლა 42

მკლავების მოძრაობა 43

მკლავების სამსახსროვანი მოძრაობა 44

მკლავების წრისებრი და რკალისებრი მოძრაობა 45

ხელსართავი 46

მკლავების მოძრაობათა ნაერთი 47

მიმიკა, თავისა და ზეტანის მოძრაობა 48

ზეტანის ვარჯიში 49

ზეტანის მოძრაობათა ნაერთი 51

სცენის დაგეგმვა 52

საცეკვაო მუსიკა 56

ქართული ცეკვის ჩასაწერი პირობითი ნიშნები 59

შესავალი 61

ექსპერიმენტული ნაწილი 66

წყვილური ცეკვა ქართულის აღწერა 76

დავლურ-მთიულურის აღწერა 93

ცეკვა მხედრული ერთი ვაჟის შესრულებით 110

მეთოდური მითითებანი 114

ადამიანის სხეული (გასაღები) 116

ქალის და ვაჟის სვლის, ბრუნვისა და მიმართულების ნიშნები 125

მრავალრიცხოვან მოცეკვავეთა მოძრაობის აღსანიშნავი ზოგიერთი ნიშანი 126

ცეკვა ქართული 129

წინასიტყვაობა 131

ავტორისაგან 133
წყვილური ცეკვა *ქართულის* აღწერა 133
ცეკვა *ქართულის* ძირითადი ილეთები 134
მკლავების მდგომარეობა ქალთათვის და მათი ცვლა 135
მკლავების მდგომარეობა ვაჟთათვის და მათი ცვლა 136
მოძრაობა ადგილზე და ადგილის შეცვლით 137
გასმის შესასწავლი ვარჯიშები (ვაჟთათვის) 137
სვლა 139
ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სხვადასხვა სვლისას 144
ქალის სვლა 145
გასმა 145
მკლავების მდგომარეობა და მათი ცვლა 151
ბრუნვა ადგილზე და სვლისას 154
ცეკვა *ქართული* წყვილთა შესრულებით 156
ცეკვა *ქართულის* სქემატური აღწერა 161
ცეკვა *ქართულის* ქორეოგრაფიული ნახაზი 164
ხორუმი 199
ტრადიციული წესები 201
ძირითადი მოძრაობები 202
მოძრაობათა სათვალავი და ჩაწერა 202
მოცეკვავეთა განლაგება 203
ძირითადი ილეთების აღწერა 205
შესასვლელი 205
სასვენო 205
ჭდომსასვენო 206
სვლა მალულა ან ფარულა 206
ჩოქმალულა 207
საფრთხილო 208
ჩოქით მუხლმოქნევი 208
დაბალი გასმურა 209
ხტომგასმურა 209
გასმურა ტერფმოქნევით 209
ბუქნურა 209
ბუქნბრუნი 210
ხლართულა 210
წაწოლგასმურა 211
ქობულეთური ჩაკრული 211
ქობულეთური მაღალჩაკრული 212
წიხლურა 212
წაწოლა 213
ხლართული ჭდომხტომი 213
ბრუნი (პირველი ვარიანტი) 214

მეორე ვარიანტი 214
გარბენა 214
საზვერავი 215
შვილდსაკრავი 215
საჩურჩულო 215
ხოხვა 215
საკაფავი 215
ცეკვა ხორუმის სქემატური აღწერა 217
მთიულური ცეკვები (მთიელთა ცეკვები) 227
რედაქტორისაგან 229
ავტორისაგან 232
ქართველ მთიელთა ცეკვების ზოგადი დახასიათება 232
ცეკვა ცერული 235
ცერულის ტრადიციული წესები 236
ცერულის მთავარი ილეთები 236
ცეკვა დავლურ-მთიულურის აღწერა 237
დავლურ-მთიულურის ტრადიციული წესები 237
დავლურ-მთიულურის ზოგიერთი დეტალი 238
ფეხის ძირითადი პოზიციები 239
ხელის ძირითადი პოზიციები 240
დგომა 241
ხელის ძირითადი მდგომარეობა 242
ვაჟთათვის 242
ქალთათვის 249
სვლა 254
ჩაკვრა 274
ცერილეთები 290
ბრუნი 301
მუხლილეთები 310
ხტომა 313
ცეკვა ცერულის სქემატური აღწერა 318
ცეკვა დავლურ-მთიულურის სქემატური აღწერა 326
მთიულური ერთი ვაჟის შესრულებით 332
მთიულური ორი ვაჟის შესრულებით 336
ქართველ ქალთა ცეკვები 345
ავტორისაგან 347
ქალთა ცეკვების ტექნოლოგიური მასალა 348
ფეხის და ხელის ძირითადი პოზიციები 348
მკლავების მდგომარეობა 350
მკლავების მოძრაობა 356
ზეტანის მოძრაობა 373
სვლა 376

ჩაკვრა 393
გასმა 405
ბრუნი 405
სამაია 412
შუშპარი 426
თუშ ქალთა ცეკვა 438
მთიულური ორი ქალის შესრულებით 461
ქალთა დავლური თორმეტი ქალის შესრულებით 470
ქალთა ფერხული თორმეტი ქალის შესრულებით 477
სვანეთის ექსპედიცია – 1934 485
ლაშგარი – ლაშქარი 487
ბიბა 490
დალა კოჯას ხელღვაჟალე 493
რელი – უშგულა ლასმა 496
ბაილ-ბეთქილ 499
დიდება თარგლეზერის (მთავარანგელოზს) 502
თამარ დედფა̈ლ (თამარ დედოფალი) 505
ლამურგვალიაშ̈ (წრიული) 510
მირმიქელა 511
როსტომ ჭაბიგვ – როსტომ ჭაბუკი 513
ყანსავ ყიფიანე 515
ჩეყარამს – ჩოყურამს 518
გივერგილა – ლემჩილი 522
კასლეთილა 526
იავ ქალთი 529
ლაჟღვა̈შ 532
საარქივო მასალები
საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და
ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი 535
დავით ჯავრიშვილის ჩანაწერები 537
დავით ჯავრიშვილის მიერ დადგმული ქართველ კომპოზიტორთა ცეკვები 537
თბილისში არსებული ქორეოგრაფიული წრეები 539
ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 1953წ. 539
ქართული ხალხური ცეკვები და ჟანრები 541
დავლური 544
სადარბაზო დავლური 544
სადარბაზო დავლური ქალთა შესრულებით 545
მხედრული დავლური 545
მწყემსური დავლური 546
დავლური და ქართული 547
ქართული 554

ქართული ორი ვაჟის შესრულებით 558
ფერხული ქართულით 561
სახუმარო ცეკვები 568
ცანგალა და გოგონა 568
წართმევია 569
ფერხულები 575
გურული ფერხული 575
საფერხულო ილეთთა აღწერა 577
მეფერხულეთა შეკრება და ფერხულის ჩაბმა 581
მხედრული 589
ნაბდურა 591
მეგობრობა 600
წყვილური ცეკვა განდაგანა 604
განდაგანას ძირითადი ილეთები 604
მასობრივი განდაგანა 607
მთიულური ოთხი ქალის შესრულებით 613
მოხეური ორი ვაჟის შესრულებით 617
მოხეური ოთხი ვაჟის შესრულებით 619
მოხეური ოთხი წყვილის შესრულებით 621
მწყემსური 628
ოტლარჩოპა 632
სალხინო 636
სამაია თორმეტი ქალის შესრულებით 541
სამაია ცხრა ქალის შესრულებით 545
შუშპარი რვა ქალის შესრულებით 650
შუშპარი ქალთა ლხინი – თექვსმეტი ქალის შესრულებით 653
ქალ-ვაჟთა ლხინი 657
სვანური სიუიტა 661
დოლური 667
საქორწინო 669
წერილები 671
ფოტოსურათები 701
ლექსიკონი 725

წინათქმა

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა „ქართული ხალხური ცეკვის“ სერიით უკვე მესამე წიგნი გამოსცა (ლილი გვარამაძე, ავთანდილ თათარაძე, დავით ჯავრიშვილი). ქრონოლოგიურად პირველად გამოცემის პატივი დავით ჯავრიშვილს ერგებოდა, მაგრამ, სხვადასხვა გარემოების გამო, ეს აქამდე ვერ მოხერხდა. ვისაც მსგავს ნაშრომებზე უმუშავია, დაგვეთანხმება, რომ ასეთი წიგნების გამოცემა მეტად ძნელია, მით უმეტეს, როცა ბოლო პუბლიკაციასთან ნახევარ საუკუნეზე მეტი გვაშორებს: დავით ჯავრიშვილის ნაშრომთა უმეტესობა ერთბაშად, 50-იან წლებში, გამოქვეყნდა (*ცეკვა ქართული, ხორუმი, მთიულური ცეკვები, ქართული ცეკვის ჩაწერის პირობითი ნიშნები*, საინსტრუქციო და მეთოდური წერილები). შემდეგ იყო ხანგრძლივი პაუზა, მრავალგზის მცდელობა სახელმძღვანელოს – *ქართული ცეკვის საფუძვლების* – შექმნისა ან, თუნდაც, დასაბეჭდად გამზადებული *ქართველ ქალთა ცეკვების* გამოცემისა... თავად დავითის გარდაცვალებამდე და შემდეგაც, მისი ოჯახის წევრთა მცდელობით, ნაშრომი 20 წელი ყოველწლიურ შედიოდა საგამომცემლო გეგმაში და, რომ არა ნატა ჯავრიშვილის (დავითის რძლის) თავგამოდება, დღეს *ქართველ ქალთა ცეკვებს* ამ წიგნში ვერ ვიხილავდით (სწორედ ნატა ჯავრიშვილმა გადმოგვცა დასაბეჭდად ეს ნაშრომი, ამისთვის და ყველაფრისათვის დიდი მადლობა მას).

წიგნში სათანადო რედაქტირებით დავით ჯავრიშვილის ყველა გამოქვეყნებულმა ნაშრომმა ერთად მოიყარა თავი. საბჭოთა კვალისა და ეპოქის ხარკისაგან ყველაზე მეტად გაწმენდა-გასუფთავება საინსტრუქციო წერილებმა და მეთოდურმა მასალებმა მოითხოვა, მაგრამ ყავლგაუვალი და ღირებული აღმოჩნდა მისი ძირითადი ქორეოგრაფიული დებულებები. ამიტომაც სწორედ „ქართული ქორეოგრაფიული გაკვეთილის მასალებით“ იხსნება წიგნი. ამ გამოცემაში „ქართველ ქალთა ცეკვებთან“ ერთად დიდი სიახლეა სვანეთის 1934 წლის ექსპედიცია და მუნჯი კინოფირიდან გაცოცხლებული სვანური ფერხულები, საარქივო მასალების ექსკლუზივი (ფოლკლორის ცენტრის, ოჯახის, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის არქივებიდან), კერძო წერილები, დოკუმენტები, ფოტოსურათები და ლექსიკონი.

საარქივო მასალებზე საუბრისას აუცილებელია დავით ჯავრიშვილის ერთი საუცხოო თვისების აღნიშვნა: საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მისი პირადი არქივი 3000-მდე ერთეულს მოიცავს (ფოტოსურათებისა და კინოფირების გარდა). შთამბეჭდავი ციფრია! ჩვენ სამუშაოდ პირველები შევეხეთ მის არქივს და გაოცებულები დავრჩით: მისთვის არ არსებობდა მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო ცნობა, წერილი, დოკუმენტი, ქაღალდის ნაგლეჯიც კი... ყველაფერი გულმოდგინედ შეუნახავს, ჩაუნიშნავს, სათუთად მოუვლია. ამ წიგნში შესული მასალები მისი მდიდარი არქივიდან ზღვაში წვეთია, მაგრამ მკითხველი ამითაც დარწმუნდება, როგორ გაღარიბდებოდა ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება უამათოდ: 100-მდე ცეკვის სახელწოდება, საცეკვაო ჟანრების ჯავრიშვილისეული დაყოფა, ფერხულთა კლასიფიკაცია, *დავლურის, მწყემსურის, გურული ფერხულის, მხედრულის, განდაგანას, საოხუნჯო ცეკვების* სიტყვიერი, გრაფიკული და სქემატური აღწერა, 15 ცეკვის

მხოლოდ და მხოლოდ გრაფიკულ-ქორეოგრაფიული ნახაზი: *მთიულური* (ოთხი ქალი); *მოხეური* (ორი ვაჟი, ოთხი ვაჟი, ოთხი წყვილი); *მწყემსური, ოტლარჩოპა, სალხინო, სამაია* (ცხრა ქალი, თორმეტი ქალი); *შუშპარი* (რვა ქალი, ქალთა ლხინი – თექვსმეტი ქალი); *ქალ-ვაჟთა ლხინი, სვანური სიუიტა, მეგობროზა, დოლური, საქორწილო.* ამ ცეკვათა უმეტესობის გრაფიკული ნახაზი ორიგინალია – დედანია, თუნდაც რად ღირს *საქორწილო.* ამ ცეკვის დადგმას დავით ჯავრიშვილმა ჩაუყარა საფუძველი.

წიგნზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნით არ უნდა დავკმაყოფილებულიყავით და დინამიკურად მივდგომოდით 1934 წლის სავანეთის ექსპედიციას – დავით ჯავრიშვილის მიერ კინოფირზე დაფიქსირებულ ფერხულებს და სვანურ-ქართულ ტექსტებს. ასე გაჩნდა წიგნში ქორეოგრაფიულად (სიტყვიერად) და მუსიკალურად ჩაწერილი (ნოტირებული) თოთხმეტი ფერხული, რაც სიახლეა და ღირსებას მატებს ამ გამოცემას (*ლაშგარი, ბიბა, დიდება თარგზელეს, თამარ დედფალ, ლამურგვალიაშ, მირმიქელა, როსტომ ჭაბიგვ, ყანსავ ყიფიანე, ჩეყარამს – ჩოყურამს, გივერგილა, კასლეთილა, ლაჟღვაში, დალა კოჯას ხელღვაჟალე, რელი*).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დავით ჯავრიშვილის ფოლკლორის ცენტრთან (მაშინდელი ხალხური შემოქმედების სახლთან) შემოქმედებითი ურთიერთობა. სადაც უნდა ემუშავა, – ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, თეატრალურ ინსტიტუტში, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, ოპერაში, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, – არასდროს გაუწყვეტია კავშირი ხალხური შემოქმედების სახლთან: მუდმივად იყო ქორეოგრაფიული სექციის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ოლიმპიადების მომზადებაში, წერდა საინსტრუქციო და მეთოდურ წერილებს, პირველად აქ განიხილეს მისი ფუნდამენტური შრომა *ცეკვა ქართული* (სექციის სხდომის არასრული ჩანაწერი აღმოჩნდა მიხეილ შუბაშიკელის არქივში და თან ერთვის წიგნს). 1941 წელს უშუალოდ ხალხური შემოქმედების სახლმა დაავალა დავით ჯავრიშვილს ქართული ცეკვის ტერმინოლოგიის შედგენა (არქივში აღმოჩენილი ხელშეკრულება და ტერმინთა განხილვის ერთ-ერთი კრების ოქმიც შეტანილია ამ გამოცემაში. ამდენად, ცხადია, რატომ მივიჩნიეთ აუცილებლობად ამ სახის მასალებისა და დოკუმენტების წიგნისთვის დართვა). დავით ჯავრიშვილი ქართული ცეკვის ტერმინთა შექმნის პიონერია. პირველად მან გატეხა ყამირი და ტანვარჯიშის მრავალი ტერმინი დანერგა და დაამკვიდრა ქართულ ქორეოგრაფიაში. გულმოდგინედ, უდიდესი სიფრთხილით ეკიდებოდა ქართულ ენას, მის სიწმინდეს, კონსულტაციებს მართავდა ცნობილ ენათმეცნიერებთან, თუმცა შეუძლებელი აღმოჩნდა კალკებისა და ზოგიერთი ხელოვნური ფორმისაგან თავის დაღწევა (ხტომი, დგომი, ბრუნი – ხტომები, ბრუნები, დგომები და სხვა, რაზეც კიდევაც მიუთითეს სექციის სხდომაზე ტერმინთა განხილვის დროს). *ცეკვა ქართულს* და *მთიულურ ცეკვებს* ახლავს მცირე ლექსიკონები, ხოლო არქივში არსებულ რვეულებში სალექსიკონო ტერმინები განუმარტავია. ჩანს, ლექსიკონზე მუშაობა შეუჩერებია და ბოლომდე არ მიუყვანია. ჩვენ, დავით ჯავრიშვილის შრომებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით, განვმარტეთ 400-ზე მეტი სალექსიკონო ერთეული. ამდენად, წიგნს შესაბამისი და აუცილებელი განმარტებები ერთვის, რაც ესეოდენ საშურია ამ მოცულობისა და სამეცნიერო ღირებულების მქონე გამოცემისათვის.

წიგნისთვის წერილებისა და ფოტოსურათების დართვა აცოცხლებს ისტორიას (ისტორია ხომ მომავლისთვის იწერება), უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის მკითხველისათვის. არწმუნებს, თუ რა მძიმეა ხელოვანის სავალი გზა, რომელიც ასე პრინციპულად, რწმენით, პატიოსნად და უკომპრომისოდ განვლო დიდმა ბალეტმაისტერმა და დიდმა ქართველმა დავით ჯავრიშვილმა.

სათქმელს ტრადიციულად დავასრულებთ: „ქართული ხალხური ცეკვა“ მნიშვნელოვანი მონაპოვარი და შენაძენია ქართული ხალხური ქორეოგრაფიისათვის. აქ ყველა იპოვის და მიიღებს იმდენს, რამდენიც სჭირდება: სპეციალისტები, დამდგმელი ქორეოგრაფები, პედაგოგები, სტუდენტები, მაგისტრანტები, დოქტორანტები, ფოლკლორისტები, მკითხველთა ფართო წრეები და ხალხური კულტურის მოყვარულები.

წიგნზე მუშაობაში გაწეული დახმარებისათვის გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ: ნატა ჯავრიშვილს, კანდიდ და გიორგი მერლანებს, ნინო ნაკანს, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სპეციალისტებს: ანი ღვინიაშვილს, ბელა ნოზაძეს, ალეკო გელაშვილს, ანანო სამსონაძეს, თამარ მუნჯიშვილს, ქრისტინე მამასახლისს; ფოლკლორის სახლემწიფო ცენტრის სპეციალისტებს: ნუნუკა შველიძეს, ნანა კალანდაძეს, მაია მაისურაძეს, ნანა ვალიშვილს, თეა კასაბურს, ცისანა მარინდაშვილს, გურამ გაბაშვილს, სოფიო ლობჟანიძეს, ლევან ვეშაპიძეს; თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმის თანამშრომლებს: ირინე მოისწრაფიშვილს, ნინო ნასიძეს, ნინო თოდუას, რუსუდან სიხარულიძეს, მარინე გოძიაშვილს, თამარ მაისურაძეს.

ქართული ხალხური ცეკვის სახით დავით ჯავრიშვილმა შეუფასებელი მემკვიდრეობა დაუტოვა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას.

უჩა დვალიშვილი
ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი, პროფესორი

დავით ჯავრიშვილი

(1894 – 1971)

დავით ჯავრიშვილი დაიბადა 1894 წელს კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდაში (მამა – ლავრენტი ჯავრიშვილი, დედა – სოფიო ფალავანდიშვილი). მამის ადრე გარდაცვალების მიუხედავად, მან მაინც მიიღო სათანადო განათლება: 1914 წელს დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია და იმავე წელს შევიდა თბილისის სამხედრო სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრებისთანავე გააგზავნეს თურქეთის ფრონტზე. 1917 წელს დავით ჯავრიშვილი, მეგობარ გაიოზ ბერელაშვილთან ერთად, გაწევრიანდა საქართველოს სამხედრო კავშირში და ორივეს დაჟინებული თხოვნით სამხედრო კავშირმა დააარსა სპორტსაზოგადოება „ამირანი“, რომლის ვარჯიშთავი გაიოზ ბერელაშვილი იყო, მოადგილე – დავით ჯავრიშვილი. სხვადასხვა მიზეზის გამო ეს საზოგადოება მალევე დაიშალა და მის ნაცვლად დაარსდა სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ – გიორგი ნიკოლაძის, გიორგი ეგნატაშვილის, გაიოზ ბერელაშვილის, დავით ჯავრიშვილისა და სხვათა მოთავეობით.

1919 წლიდან დავით ჯავრიშვილი მუშაობს ქუთაისის ვაჟთა პირველ და წმიდა ნინოს სახელობის გიმნაზიებში. 1921 წელს გადადის ბათუმში და წლების განმავლობაში ეწევა უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან სპორტულ საქმიანობას. 1928 წელს შალვა თაქთაქიშვილის მუსიკისა და თავისივე ლიბრეტოს მიხედვით დადგა ანტიკური ხასიათის მხატვრულ-ტანვარჯიშული სპექტაკლი „ელადაში“. ეს იყო გრანდიოზული სპექტაკლი 90-მდე მონაწილით. სწორედ ამ პერიოდში დაებადა აზრი სპორტის ამ სახეობაში შეეტანა ქართული ხალხური ცეკვის ელემენტები და თავისუფალი ვარჯიში შესრულებულიყო მუსიკის აკოპანემენტით. ამასვე ურჩევდა მასწავლებელი გიორგი ნიკოლაძეც. საბალეტო ილეთები მან ბალეტმაისტერ ვაკარეცთან შეისწავლა, შემდეგ კი ხელი მოჰკიდა ხალხური ცეკვების შეგროვება-შესწავლას. ქართული ხალხური ცეკვის საკითხებში ცოდნას ივანე ჯავახიშვილთან იღრმავებდა. ექსპედიციებით მოიარა ჯერ მთიანი აჭარა, შემდეგ – სვანეთი (1934 წელს). ექსპედიციებში სწავლობდა საცეკვაო ილეთებსა და მოძრაობებს, იწერდა მოცეკვავეთა კომენტარებსა და განმარტებებს, ფერხულთა ტექსტებს. კინოფირზე აღბეჭდა უამრავი მასალა (დავით ჯავრიშვილის მიერ სვანეთში გადაღებული ფერხულები ქორეოგრაფიულად გაშიფრა და ჩაწერა უჩა დვალიშვილმა; კონსულტანტები – კანდიდ და გიორგი მერლანები; მუსიკალურად გაშიფრეს და ნოტებზე გადაიტანეს – ნანა ვალიშვილმა, თეა კასაბურმა და ლევან ვეშაპიძემ. სვანურ-ქართული ტექსტების რედაქტორი და ქართული ვარიანტების ავტორი – ნინო ნაკანი. – რედ.). ორ პროფესიას შორის ქორეოგრაფიის სასარგებლოდ საბოლოო არჩევანი სწორედ მაშინ გააკეთა და ცეკვა გახდა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების განუყოფელი ნაწილი.

დავით ჯავრიშვილის თაოსნობით 1928 წელს ბათუმში დაარსდა ქორეოგრაფიული ექსპერიმენტული სტუდია, რომელსაც იმავე წელს შეუერთდა აჭარის მომღერალთა გუნდი და მათ ბაზაზე შეიქმნა აჭარის სიმღერისა და ცეკვის პირველი ანსამბლი. იმ დროს სიმღერისა და ცეკვის შერწყმა ახალი სიტყვა იყო, რასაც შესანიშნავად გაართვეს თავი დავით ჯავრიშვილმა და ლოტბარმა მიხეილ კუხიანიძემ. ამ ანსამბლმა 1936 წელს საქართველოს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე პირველი ადგილი აიღო და უფლება მიეცა კონცერტები გაემართა საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

დავით ჯავრიშვილი 1935 წელს ლონდონის საერთაშორისო ფესტივალზე ქართველ მოცეკვავეთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ეს იყო პირველი გასვლა საზღვარგარეთ. გამოცდილ ქორეოგრაფს მიანდეს 1951 წლის ბერლინის საერთაშორისო და 1955 წლის ვარშავის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალებზე ქართველ მოცეკვავეთა ხელმძღვანელობა. საქართველოში არც ერთი ფესტივალი, ოლიმპიადა თუ სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება არ ჩატარებულა, რომლებშიც ჯავრიშვილს თავისი წვლილი არ შეეტანოს. ოლიმპიადების უკეთ ჩატარებისათვის მან საინსტრუქციო მეთოდური წერილებიც კი დაწერა (მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და სათანადო კუპირებით შეტანილია ამ გამოცემაში – რედ.). 1937 წელს მოსკოვში ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის წარმატებით ჩატარების შემდეგ, მოსკოვის განსახკომის განკარგულებით, მიმდინარე სეზონში ქართული ოპერები შევიდა საბჭოთა კავშირის ყველა თეატრის რეპერტუარში, დავით ჯავრიშვილი კი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოვდა. დავით ჯავრიშვილი პირველი ქორეოგრაფია, რომელმაც მოსკოვის, პეტერბურგის, ხარკოვისა და ოდესის ოპერისა და ბალეტის თეატრებში დადგმულ ქართულ ოპერებში დადგა ქართული ცეკვები. 1937 წელს მიიწვიეს მოსკოვის დიდ თეატრში ოპერა *აბესალომ და ეთერში* ცეკვების დასადგმელად, 1945 წელს – ამ ცეკვების აღსადგენად. დავით ჯავრიშვილმა ცეკვები დადგა: ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრში („დემონი“ – 1937); ოდესის ოპერისა და ბალეტის თეატრში („დაისი“ – 1941); საბჭოთა კავშირის ცეკვის ანსამბლში (1954). 1952-53 წლებში ქართული ხალხური ცეკვების შესახებ ატარებდა სემინარებს მოსკოვისა და ლენინგრადის ქორეოგრაფიულ სასწავლებლებში.

ქართულ ქორეოგრაფიაში ხანგრძლივმა მუშაობამ დავით ჯავრიშვილი დაარწმუნა, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფია მდიდარ მასალას იძლევა ეროვნული საბალეტო ხელოვნების შექმნისა და განვითარებისათვის. 1933-1953 წლებში, 20 წელი ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტმაისტერად მუშაობისას, დავით ჯავრიშვილმა დადგა ცეკვები ოპერებისათვის: *აბესალომ და ეთერი, ქეთო და კოტე, დარეჯან ცბიერი, სამშობლო, პატარა კახი, დედა და შვილი, კაკო ყაჩაღი, ლაშქარა, ლადო კეცხოველი, ბაში აჩუკი, ღალატი, დემონი, ხევისბერი გოჩა, მზია, ბახტრიონი, იავნანამ რა ჰქმნა?!* 1938 წელს ვ. ლიტვინენკოსთან ერთად დადგა შალვა თაქთაქიშვილის *მალთაყვა* – პირველი ქართული ბალეტი თანამედროვეობის თემაზე.

პროფესიულ მოცეკვავეთა კადრების შესაქმნელად, დავით ჯავრიშვილმა 1934 წელს თბილისში გახსნა უფასო ქორეოგრაფიული სტუდია, რომელსაც მალე მარია პერინის კერძო სტუდია შეუერთდა. 1935 წელს ეს სტუდია სახელმწიფო სასწავლებლად გადაკეთდა და 1952 წლამდე მისი დირექტორი დავით ჯავრიშვილი იყო, შემდეგ კი იგი ვახტანგ ჭაბუკიანმა შეცვალა. 1957 წელს სასწავლებელს ქორეოგრაფიული საბალეტო სტატუსი მიენიჭა და დღემდე ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობისაა. 1936 წელს ქორეოგრაფიული სტუდიის ძალებით დავით ჯავრიშვილმა დადგა პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტი *მაკნატუნა* და სამუშაოდ მიიწვია ევგენი მიქელაძე და სოლიკო ვირსალაძე. 1936-37 წლებში ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფიულ ნაწილს. 1944-56 წლებში კი შეთავსებით მუშაობდა შოთა რუსთაველი სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში სასცენო მოძრაობის კათედრის გამგედ, პროფესორად.

დავით ჯავრიშვილს მრავალფეროვან შემოქმედებით ცხოვრებაში გულისწყვეტაც არ დაჰკლებია. ქორეოგრაფიულ სტუდიაში 15-წლიანი ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ხელოვნების სამმართველომ აღმოაჩინა „ნაკლოვანებები“: დავით ჯავრიშვილი საკუთარი განცხადების საფუძველზე დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და მის მაგივრად დანიშნეს ვახტანგ ჭაბუკიანი. ოპერისა და ბალეტის თეატრშიც 20-წლიანი მუშაობის შემდეგ კვლავ საკუთარი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლეს ბალეტმაისტერის თანამდებობიდან. ამას მოჰყვა ჯანმრთელობის გაუარესებაც. მიუხედავად ამისა, დიდ ხელოვანს ფარ-ხმალი არ დაუყრია და 1952 წლიდან მთელი თავისი ნიჭითა და ენერგიით ჩაერთო თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის შემოქმედებით საქმიანობაში. იგი ამ სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების დამაარსებელი, ორგანიზატორი და სიცოცხლის ბოლომდე ამ განყოფილების ხელმძღვანელი იყო.

დავით ჯავრიშვილის პიროვნების დასახასიათებლად მცირედიც იკმარებს, თუნდაც ასეთი: 70 წლის საიუბილეოდ დიდ მამულიშვილ ჰაიდარ აბაშიძეს თავისი წიგნი უსახსოვრებია მრავლისმთქმელი მიძღვნით: ღვაწლმოსილ დავით ჯავრიშვილს! ჩემო დავით! თქვენ ნამდვილად ჩვენი ქართველი ერის სასიქადულო შვილი ხართ. თქვენ თქვენი ოქროს ხანა აჭარის ახალგაზრდობის აღზრდას მოახმარეთ. თქვენ ქართული ქორეოგრაფიის მამას გიწოდებენ, სპორტის კი, – ჯადოქარს.

მიიღეთ საჩუქრად ჩემი პატარა მოკრძალებული საქმიანობის ამსახველი *წერილები.* გკოცნი, გეხვევი თქვენი პატ. ჰაიდარ აბაშიძე.

დავით ჯავრიშვილმა ღირსეულად მოიხადა ვალი ქართველი ერის წინაშე და ქართულ ქორეოგრაფიაში ლოდითავკიდური დადო. დიდი მკვლევარი და მამულიშვილი გარდაიცვალა 1971 წლის 21 ნოემბერს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

შესავალი

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან მდიდარ კულტურაში ცეკვის ხელოვნებას დიდი ადგილი უჭირავს. არქეოლოგიური გათხრები და წერლობითი ცნობები ცხადყოფენ, რომ ქართველებს ძველთაგანვე ჰქონიათ რთული წყობის საცეკვაო ხელოვნება. „ბერძენთა ცნობილი ისტორიკოსის ქსენოფონტეს თხზულებითგან ჩანს, – წერს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, – რომ წარმართობის ხანაშიც, IV ს. ქ.წ. ქართველურ ტომთა შორის საერო მუსიკა, მაგ. სამხედრო და საცეკვაო სიმღერები, ძალიან გავრცელებული ყოფილა“.[1] იმავე მეცნიერის ცნობით, „XIV საუკუნის პირველ ნახევრამდე საქართველოს სამეფო კარზე „ლამპრობა“ და „რგვალი“, ე.ი. ფერხული სიმღერა-შაირობითურთ, იმდენად ურყევ წესად ყოფილა განმტკიცებული, რომ ხელმოჭერილ და პურძვირ ხელისუფლებასაც კი არ ინდობდნენ თურმე და შაირობის დროს ავად იხსენიებდნენ და დასცინოდნენ“.[2]

დიმიტრი ჯანელიძის აზრით, „ქართული საფერხულო სანახაობის სათავე საქართველოს შორეული წარსულის საკულტო ცერემონიებსა და მისტერიებში იპოვება“. მეცნიერი „ქართული თეატრის ხალხური საწყისების“ პირველი თავის დასასრულს ასკვნის: „ნიღბოსანთა საფერხულო წყობის სანახაობანი, განვითარებული ქორეოგრაფიული კულტურის მაჩვენებელი ცეკვები, ხმიერი მუსიკის, ჩასაბერი და ძალებიანი საკრავების კულტურა, მუსიკალური ანსამბლები, ნიღბოსანი ფიგურების მქანდაკებლობა, ანტიკური ხანის თეატრალური ნიღბის პოვნა, კოლხეთში თეატრისა და იპოდრომის არსებობის ფაქტი გვანიშნებს საქართველოში სანახაობრივი კულტურის განვითარებას მისტერიებიდან და ცეკვა-თამაშიდან ანტიკურ ხანაში – სპეციალური შენობის მქონე თეატრამდე და იპოდრომამდე“.[3]

უძველესი დროიდან ცეკვის კულტურა ღრმად იყო შეჭრილი ქართულ ყოფაში. ქართული ცეკვის საწყისების შესწავლასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ შრომა ხელოვნებაზე ადრინდელია. პირველყოფილ ადამიანთა ცეკვა უტილიტარული ხასიათისა იყო და მჭიდროდ უკავშირდებოდა ხალხის სამეურნეო ცხოვრებას. აქედან წარმოიშვა ცხოველთა მოძრაობის მიმბაძველი ცეკვები, ნადირობისა და სამიწათმოქმედო პროცესების ამსახველი ფერხულები.

მეცნიერულად დადგენილია, რომ ქრისტიანულ ერამდე, საუკუნეთა წინ, შავი ზღვის სანაპიროს აღმოსავლეთი ნაწილი დასახლებული იყო ქართველი ტომებით, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ძველ საბერძნეთთან. ქრისტიანობა რომის იმპერიასა და საქართველოში თითქმის ერთდროულად გავრცელდა. ცეკვამ ევოლუცია განიცადა არა მარტო ფორმის მხრივ, არამედ შინაარსობრივადაც და ასე ჩამოყალიბდა საბრძოლო, სატრფიალო, საქორწილო, შრომის, გასართობი, სასპორტო და სხვა ხასიათის ცეკვები. ისტორიულ მასალებიდანვე ირკვევა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, უპირველესად, მაღალ საზოგადოებაში მოხდა ცეკვების პროფესიონალიზაცია. ფეოდალურმა არისტოკრატიამ შექმნა სასახლის კარის ცერემონიალებისა და ზეიმებისათვის შესატყვისი საცეკვაო ხელოვნება, რომელიც ხშირად თავისი სტილიზაციითა და მანერულობით შორდებოდა ხალხური ცეკვის ბუნებრიობას, უშუალობას, სისადავეს და ხალხურ ხასიათს. ცეკვებში თანდათან დაიკარგა მასობრიობა და მონაწილეთა მცირე რიცხვმა განაპირობა მათი კულტივირება: ცალურ, წყვილურ

1 ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938 წ., გვ. 223.

2 ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938 წ., გვ. 230.

3 ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბილისი, 1948 წ., გვ. 33.

და ჯგუფურ ცეკვებში მოხდა გარკვეული მოძრაობებისა და მათი თანამიმდევრობის კანონიზაცია, წარმოიშვა ე.წ. „დარბაზული“ ცეკვები, რომლებშიც მონაწილეობდნენ თვით არისტოკრატები, უმეტესად კი საუკეთესო მოცეკვავე ქალ-ვაჟისაგან შემდგარი სასახლის კარის პროფესიულ მოცეკვავეთა დასები.

ქართველ ხალხს განსაკუთრებით უყვარს საცეკვაო ხელოვნება. გასაოცარი სიწმინდითაა შემონახული უძველესი საფერხულო ცეკვები. ხალხის დიდი სიყვარული ცეკვებისა და მოცეკვავეებისადმი იქიდანაც ჩანს, რომ საუკეთესო მოცეკვავენი ხალხურ თქმულებებსა და სიმღერებში პატივისცემით მოიხსენებიან.

ხალხური ცეკვების მარტოოდენ ჩამოთვლაც ადასტურებს ქართული საცეკვაო ხელოვნების მრავალფეროვნებას: *ქართული, დავლური, მთიულური, ფერხული, ხორუმი, მწყემსური, მხედრული, მოხეური, ცერული, სატრფიალო, ყარაჩოხული, სახუმარო, ზემყრელო, სალხინო, დოლური, ხანჯლური, სამაია, საშაირო, საროკვაო, ბაღდადური, საკეჭნაო* და სხვ.

მრავალი ისტორიული და წერლობითი საბუთი მოწმობს, რომ საფერხულო და, საერთოდ, საცეკვაო ხმიერი მუსიკა ცეკვასთან განუყრელად იყო დაკავშირებული, სიმღერების ტექსტი კი – ხალხის საქმიანობასა და ყოფა-ცხოვრებასთან. ხალხი ცეკვა-სიმღერა-შაირობაში გამოხატავდა და გამოთქვამდა იმას, რაც მას აღელვებდა, გულში ედო, ახარებდა ან აღონებდა, უყვარდა ან ეჯავრებოდა, რაზედაც ოცნებობდა და რისთვისაც იბრძოდა. ეს აზრია გატარებული პოეტ იოსებ ნონეშვილის ლექსში:

ქართული სული ვაჟკაცურ
ცეკვებში ამღერებული,
ხან დინჯი, როგორც ლილეო,
ხან ფიცხი, გახელებული.

მოსხლეტილ ზვავთა ზრიალი,
ცაში ნავარდი არწივად,
ფართა და ხმალთა ჯახანი
შეტევა, თავის განწირვა.

მკლავებში გამომწყვდეული
ოცნება, უსაზღვროება,
ქალ-ვაჟთა ტრფობის უკვდავი
და უნაზესი პოემა.

რაც კი უხსოვარ დროიდან
ჩვენს გულში ცეცხლად ანთია,
ქართველ ხალხს ქართულ ცეკვებში
ჩაუქსოვ-ჩაუხატია.

მრავალფეროვანია ქართველი ხალხის ქორეოგრაფიული ენა, მას ახასიათებს ემოციური ფერების სიმდიდრე, ლირიკულობა, კეთილშობილება, გულწრფელი სიხალისე, სიმარდე

და სინარნარე, მგზნებარება და ცეკვის ნახაზის სილამაზე, თემათა სიუხვე, მაგალითად: ცეკვა *ქართულში* – ლირიკულ-სამიჯნურო თემაა, *მთიულურში, ხორუმში, მხედრულსა* და სხვადასხვა ფეხრულში – გმირული პატრიოტიზმი და სხვ. ყველა ამ თვისების გამო ქართული ხალხური ცეკვები დღეს საკმაოდ პოპულარულია.

ხალხურ ცეკვებში ადამიანის სახე, თავისი გრძნობებითა და განცდებით, მთავარ სიუჟეტად რჩება. ქართული ხალხური ცეკვა დაუშრეტელი და ამოუწურავი მასალაა სცენური განსახიერებისთვის და სწორედ ხალხური მასალის საფუძველზე ახორციელებს დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ქართულ ოპერებში ქორეოგრაფიულ ნაწილს (ოპერა *აბესალომ და ეთერი, დაისი, დარეჯან ცბიერი, თქმულება შოთა რუსთაველზე* და სხვ.) და ბალეტებს, ასაზრდოებს მას და სახავს თეატრალური აკადემიური ქორეოგრაფიის შემდგომი განვითარების გზებს.

როგორც ხალხური, ასევე პროფესიული ქორეოგრაფიული ხელოვნების ზრდა-განვითარებამ წამოჭრა საკითხი თბილისში ქორეოგრაფიული სასწავლებლების დაარსებისა, რაც უკვე განხორციელებულია.

ქართული ქორეოგრაფიული გაკვეთილის მასალები

ქართული ხალხური ცეკვის თვისებები და თავისებურებანი

ქართული ქორეოგრაფიის აღმავლობისათვის

ქართული მხატვრული თვითმოქმედების მძლავრი აღმავლობის მაჩვენებელია ოლიმპიადები და დათვალიერებები, რომლებიც თითქმის ყოველ წელიწადს იმართება და რომლებშიც ათასობით მშრომელი მონაწილეობს.

ცნობისათვის: 1951 წელს, მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური მონაცემებით, მარტო გასინჯვაში, 888 კოლექტივი მონაწილეობდა – 30000 შემსრულებლით. თბილისში, დასკვნით ტურში (1951წ. 15-23 ოქტომბერი) – 9000, მათ შორის, 7000 საქართველოს რაიონებიდან.

1949 წლის VI რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე საკმაო დამაჯერებლობით გამოვლინდა არაპროფესიულ მოცეკვავეთა შესრულებით ცეკვების დიდი კულტურა, შემსრულებელთა ოსტატობის საერთო ზრდა, ცეკვების მასობრიობა და ხალხურობა. VI ოლიმპიადაზე *ქართულის, ფერხულის, დავლურის, ცერულის, მთიულურის* და სხვა კარგად ცნობილი ცეკვების გვერდით ნაჩვენები იყო ახალი ცეკვებიც. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი ცეკვა, რომლებიც დედაქალაქის მაყურებელს არ უნახავს. ზოგიერთი ცეკვა მოითხოვს დამატებით შესწავლა-დამუშავებას, ახალი ხერხებითა და ელემენტებით გამდიდრებას, ახლებურ აკომპანირებას.

უდავოა, რომ ხალხურ ცეკვებში ახალი ელემენტების შეტანა ხელს შეუწყობს ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომ წინსვლასა და განვითარებას, მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული დაკვირვება და სიფრთხილე გვმართებს, რათა, როგორც ძველ, ისე ახალ ცეკვებში ახალი ელემენტების შეტანამ არ წაშალოს, არ დაამახინჯოს ქართული ცეკვების თვისებები, არ შეცვალოს ცეკვის თავისებურება და ხასიათი, არ დაუკარგოს მას შინაარსიანობა.

ხალხში მრავალი ცეკვა არსებობს, მაგრამ ყველა როდია გავრცელების ღირსი, მაგალითად: *ყოლსამა, თოფალოინი, თამზარა* ჰარამხანული კულტურის ნაშთია. ასევე *კინტოური* და სხვ. შეიცავს ყოვლად შეუწყნარებელ უხამს მოძრაობებს, რაც შეურაცხმყოფელია ქართული ხალხური ცეკვის კეთილშობილური და მაღალზნეობრივი ბუნებისათვის. მიუღებელი ცეკვებისაგან გადაჭრით უნდა გათავისუფლდეს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნება.

ძველი ხალხური შემოქმედებისგან ხალხში ფართოდ გავრცელების ღირსია ისეთი შინაარსის ცეკვები, რომლებიც გამოხატავს ჩვენი ხალხის კეთილშობილურ ხასიათსა და სილამაზეს, მის გმირულ და მაღალზნეობრივ ბუნებას: *შავლეგო* – ქართლ-კახური საფერხულო ცეკვა – გვიჩვენებს მტრის მიერ შავლეგოს დატყვევებასა და შემდეგ ქართველთა ბრძოლას მის გამოსახსნელად. ფერხულებში – *ძაბრალე* (მეგრული), *ფუთა დადეშქელიანი, ვიცბილ და მაცბილ* (სვანური), *ზვიადა ლობჟანიძე* (რაჭული) – გლეხობის აჯანყებას სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

ქართულ ცეკვას არ ახასიათებს შეუფერებელი ყიჟინა-ყვირილი, ზედმეტი ფუსფუსი, გარეგნული ეფექტის მისაღებად რიტმის ხელოვნური აჩქარება, ხმალ-ხანჯლის უადგილოდ ხმარება, ულამაზო ხტუნვა; გარკვეული საილეთო ნახაზის გარეშე ფეხების ქნევა სრულიად არ შეეფერება ქართული ცეკვების კეთილშობილურ ბუნებას.

ქართული ხალხური ცეკვებისთვის დამახასიათებელია მკვეთრი, მკაფიო შინაარსი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ცეკვის სიუჟეტის ცხადად, გარკვევით გამოხატვას. არ უნდა დავუშვათ ქართული ხალხური ცეკვის დამახინჯება, მისი შინაარსისაგან დაცლა, ცეკვის შეზღუდვა მოცეკვავეთა ტექნიკური დახელოვნების ჩვენებით. ცეკვის შინაარსი უნდა ეთავსებოდეს მის მოძრაობებს.

ცნობილია, რომ, შინაარსთან ერთად, ქართული ცეკვის განსაკუთრებული თავისებურებაა სინარნარე, პლასტიკურობა, მოქნილობა, კეთილშობილება, თავდაჭერილობა, სილაღე, სიმკვირცხლე, სიმსუბუქე, კიდურებისა და ზეტანის მოძრაობათა სრული შეთანხმოვანება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: საერთოდ, ქართული ცეკვის ნიშანდობლივი თვისებაა ქალისადმი ვაჟის მოკრძალებით, თავაზიანად და პატივისცემით მოპყრობა.

ქართული ცეკვების ყველა ამ თვისების დაცვა-შენარჩუნება ყოველი ქორეოგრაფიული წრის ან კოლექტივის პირდაპირი მოვალეობაა. ქორეოგრაფიული წრეების ხელმძღვანელებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ახალი ცეკვების შექმნას, მაგრამ ამ ამოცანის გადასაწყვეტად როდი უნდა მიმართონ იოლ და უსწორო ხერხებს.

VII რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ოლიმპიადაზე არ დაიშვება ის ქორეოგრაფიული ნომერი (ცეკვა), რომელშიც იქნება ყიჟინა-ყვირილი, მუხლებზე დახტომა და, საერთოდ, ქართული ხალხური ცეკვის ბუნებისათვის შეუფერებელი ილეთები და მათი ნაერთები.

დღეს ჩვენ წინაშეა სამი საკითხი, რომელთა მართებულმა გადაჭრამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ქართული ქორეოგრაფიის შემდგომ განვითარებაში:

1. ორგანიზაციული და მხატვრული მუშაობის მაღალი დონის უზრუნველყოფით ქორეოგრაფიული წრეებისა და კოლექტივების რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა;
2. ძველი ცეკვების ღრმა და დაკვირვებული შესწავლა, მათი საფუძვლების ზუსტად დადგენა და შენარჩუნება, მათში სიახლის ფრთხილად შეტანა და ახალი ელემენტებით გამდიდრება;
3. ისეთი ახალი ცეკვების შექმნა, რომლებშიც დიდი მხატვრული გემოვნებით აისახება ჩვენი თანამედროვეობა.

ძველი ქართული ხალხური ცეკვებიდან ცნობილია: *ქართული, დავლური, შუშპარი, სამაია, ფერხული, ხორუმი, ცერული, მხედრული, მთიულური, ხანჯლური, სახუმარო, საშაირო, მხარული, განდაგან, ლაზური, კომბლური, დოლური, მწყემსური, ზემყრელო, ოსხაპუა, წართმევია, სათამაშო, მოხეური, აფხაზური, სალხინო, საკეჭნაო, ბაღდადით ცეკვა, შავლეგო, ძაბრა, ნაბდურა* და სხვ.

რა არის საჭირო ახალი ცეკვის შესაქმნელად?

1. უწინარეს ყოვლისა, ქორეოგრაფმა, წრის აქტივთან ერთად, შესაფერისი თემა შეარჩიოს;
2. თემას მიუსადაგოს მუსიკალური მასალა;
3. ცეკვის კომპოზიცია გარკვეულ და მკაფიო ნახაზზე აიგოს;
4. ილეთები ცეკვის შინაარსის გახსნას ეხმარებოდეს და ლოგიკური თანამიმდევრობით დალაგდეს;
5. მოძრაობები, ილეთები, პოზები გამომეტყველი და ემოციური იყოს;
6. ცეკვის დაბოლოება ცეკვის შინაარსს, სტილსა და ხასიათს ორგანულად დაუკავშირდეს;
7. ცეკვების ხანგრძლივობაში დაცული იყოს ზომიერება;
8. ცეკვის დასაწყისი, განვითარება და დაბოლოება სავსებით შეესატყვისებოდეს მუსიკალურ თანხლებას (მუსიკალურ შინაარსს –რედ.);

9. შემსრულებელთა ძალების, მომზადების, გამოცდილების, შეთვისების უნარისა და ტექნიკური მომზადების მიხედვით სწორად შეირჩეს თითოეული მოცეკვავის ადგილი განრიგებაში;
10. ტექნიკური საშუალებები, სამოსი, საკრავები და სხვ.

ქორეოგრაფიულ წრეს, რომელსაც აქვს შესაფერისი გამოცდილება და ჰყავს დაოსტატებულ შემსრულებელთა ჯგუფი, შეუძლია დაამუშაოს და დადგას ცეკვა ე.წ. ქორეოგრაფიული სიუიტა[1], რომელშიც ყოველი ნაწილი ორგანულად დაუკავშირდება წინა და მომდევნო ნაწილებს, ხოლო თვით სიუიტა მთლიანი და შესაბამისი შინაარსისა იქნება.

ზოგჯერ ცეკვას არასწორ სახელს არქმევენ, მაგალითად, *საზეიმო ცეკვა*. რატომღაც ასე ჰქვია ყველა იმ „ტემპერამენტულ“ ცეკვას, რომლებითაც ამთავრებენ კონცერტს ან გამოსვლას: დაუშვებელი სიჩქარით, ჟრიამულით, ყიჟინით, არაორგანიზებულად და შეუთანხმებლად მოძრაობენ მოცეკვავენი. ამგვარი რამ საერთოდ არ ახასიათებს ქართულ ცეკვას, პირიქით, ეწინააღმდეგება მის ბუნებას. ამგვარი ცეკვების დამდგმელთ ავიწყდებათ, რომ სიდინჯე, დარბაისლობა, თავდაჭერილობა და შინაგანი განცდით თამაში ქართული ცეკვის ძირითადი თვისებებია. ცეკვა შეიძლება ცეცხლოვანი რიტმით მიმდინარეობდეს, მაგრამ მაყურებელი უნდა გრძნობდეს, რომ მოძრაობანი ერთმანეთთან შეფარდებულია, ილეთები – ორგანიზებული, დაცულია მოძრაობათა ლოგიკა. სისხარტე, სიმარდე, სიმკვირცხლე სათანადო ფარგლებშია მოქცეული.

ცეკვის სახელწოდება მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უნდა შეესაბამებოდეს ცეკვის შინაარსს, ამიტომაც სახელი შინაარსის მიხედვით უნდა შეირჩეს.

ქორეოგრაფიული წრეების შემოქმედებითი მუშაობისათვის

ქორეოგრაფიული წრე მხოლოდ მაშინ აღწევს სათანადო შედეგს, როდესაც ის წინასწარ დამუშავებული გეგმისა და პროგრამით მუშაობს, გათვალისწინებულია სპეციფიკა და მეცადინეობისათვის შესაფერისი პირობებია შექმნილი.

ქორეოგრაფიული წრის მუშაობის ხარისხიანობა ასევე დამოკიდებულია: რამდენად კვალიფიციურია წრის ხელმძღვანელი, აქტიურია წრის შემადგენლობა, სისტემატური ხასიათისაა შემოქმედებითი პროცესი, მოწესრიგებულია აღრიცხვა, შემოწმება და სხვ.

წრის ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ ქორეოგრაფიული კოლექტივის ორგანიზაციული, სასწავლო და მხატვრული მუშაობა ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. ამიტომ ის არ უნდა კმაყოფილდებოდეს მხოლოდ საწვრთნო გაკვეთილით, არამედ ზრუნავდეს წრის მთლიანი მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე.

მთავარი საორგანიზაციო საკითხები:

1. წრის პრაქტიკული მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნა.
2. ახალი წრის ჩამოსაყალიბებლად წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება.
3. გასული წლების პრაქტიკის, გამოცდილებისა და დაკვირვების საფუძველზე, არსებული წრის სასწავლო პროგრამის გადასინჯვა და გადახალისება.
4. სავარჯიშო ადგილის (დარბაზი, მოედანი და სხვ.) სანჰიგიენური პირობების დამუშავება.
5. სასწავლო გეგმისა და პროგრამების შედგენა.
6. სამეცადინო ცხრილის შედგენა.

1 სიუიტა – ქორეოგრაფიული ნაწარმოების ერთ-ერთი ფორმა, რომელშიც ორი, სამი ან რამოდენიმე ცეკვა შეერთებულია და ერთ იდეურ ჩანაფიქრზეა აგებული.

7. სარეპერტუარო პროგრამის შედგენა.
8. დისციპლინის განმტკიცება.
9. წრის მუშაობის პოპულარიზაცია.
10. საჯარო გამოსვლების ორგანიზება.
11. ლექციები და საუბრები.
12. ექსკურსიების ორგანიზება და სხვ.

წრის სარეპეტიციო მუშაობა ზამთარში დახურულ დარბაზში უნდა ტარდებოდეს, გაზაფხულსა და ზაფხულში (ზოგჯერ შემოდგომის პირველ ნახევარში) – სუფთა ჰაერზე (ბაქანი, მინდორი, სტადიონი, სასპორტო მოედანი და სხვ.).

ქორეოგრაფიული წრის სამეცადინო დარბაზში ყოველთვის უნდა იყოს განსაკუთრებული სისუფთავე; მეცადინეობის დაწყების წინ, შესვენებაზე და დამთავრების შემდეგ დარბაზი უნდა განიავდეს. ტყუილად არ არის ნათქვამი: მოცეკვავე არა მარტო ფეხებით, ფილტვებითაც ცეკვავსო. მტვრიან ადგილზე მეცადინეობა დაუშვებელია.

ქორეოგრაფიული წრის მუშაობის პოპულარიზაციის ყველაზე ეფექტურ საშუალებად კარგად ორგანიზებული საჯარო გამოსვლა მიიჩნევა დახვეწილი პროგრამით. კონცერტის შემდეგ მაყურებელს უნდა მიეცეს აზრის გამოთქმისა და შთაბეჭდილებების გაზიარების საშუალება.

ზოგიერთი ხალხური ნაწარმოები, მაგალითად, *ჩაგუნა, ძაბრალე, შავლეგო* და სხვ. გუნდისა და ქორეოგრაფიული წრის ერთობლივი შემოქმედებით სრულდება, ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ძველად ხალხურ შემოქმედებაში ცეკვა და მუსიკა სანახაობას იშვიათად იყო მოწყვეტილი. ახლა, როცა ცეკვა და სიმღერა გაყოფილია, ამით ღარიბდება ფოლკლორი, ეკარგება ნამდვილი ხალხური ხასიათი, ერთმანეთში ერევა კონკრეტულ შინაარსს (გარკვეულ ტექსტს) მოწყვეტილი ცეკვები. ამას უნდა ვერიდოთ!

ქორეოგრაფიული წრის პრაქტიკული მეცადინეობა

ქორეოგრაფიული წრე გარკვეულ სასწავლო პროგრამით მეცადინეობს და დაცულია პრინციპი: ადვილიდან – ძნელისაკენ, იოლიდან – რთულისაკენ, ნაცნობიდან – უცნობისაკენ. ამიტომ სასწავლო პრაქტიკული მასალა უნდა დალაგდეს და შეისწავლონ შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ზოგადი მოსამზადებელი ვარჯიში ძელთან და ბაქანზე.
2. საცეკვაო ილეთების შემადგენელი ნაწილების შესწავლა.
3. საცეკვაო ილეთების შესწავლა.
4. ილეთების მარტივი და შემდეგ რთული ნაერთების შესწავლა-დამუშავება.
5. საცეკვაო ეტიუდების და ცალკეული საცეკვაო ფრაგმენტების[1] შესწავლა-დამუშავება.
6. ცეკვის შესწავლა.

ქორეოგრაფიის პრაქტიკული გაკვეთილის სასწავლო მასალა შემდეგი სტრუქტურული სქემის მიხედვით ნაწილდება:

სრული ქორეოგრაფიული გაკვეთილის ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, 90 წუთია – ორი გაერთიანებული აკადემიური საათი ან 70 წუთი – ერთ-ნახევარი აკადემიური საათი.

1 ფრაგმენტი – ნაწყვეტი; დაუსრულებელი ნაწარმოები ან ნაწარმოებიდან ამოღებული პატარა, მაგრამ სახასიათო ნაწილი.

გაკვეთილი ხუთნაწილიანია:
I – შესავალი.
II – ზოგადი მოსამზადებელი.
III – ძირითადი.
IV – დამატებითი.
V – დამამშვიდებელი.

პირველი ნაწილის (შესავლის) ხანგრძლივობა 5-10 წუთს არ აღემატება და, ჩვეულებრივ, ძელთან ტარდება. მისი მიზანია სხეულის, უმთავრესად, ქვედა კიდურების „გათბობა“ და სხეულის მომზადება ფიზიოლოგიურად უფრო მეტად დამტვირთავ ვარჯიშზე გადასასვლელად. გარდა ამისა, ძელთან ვარჯიში ისეთ მოძრაობებს შეიცავს, რომლებიც, სისხლის მიმოქცევის გაძლიერების გარდა, ავითარებს მოვარჯიშის სხეულს, გამოამუშავებინებს წონასწორობისა და მაღალ ერგცერებზე დგომის უნარს, შეაჩვევს ზოგიერთი შემაკავშირებელი და დამხმარე მოძრაობების ზუსტად შესრულებას.

რამდენად უფრო გაწრთვნილი და გამოცდილი არიან მოსწავლეები, იმდენად ძელთან ვარჯიშის ხანგრძლივობა მცირდება. გაკვეთილის ამ ნაწილში ისევე, როგორც დანარჩენში, ვარჯიშები ძლიერდება და რთულდება მოძრაობათა რაოდენობის გაზრდით, ტემპის აჩქარებითა და ნაერთებში მრავალფეროვანი ელემენტების შეტანით.

მეორე ნაწილის (ზოგადი მოსამზადებელი) ხანგრძლივობა 10-15 წუთია. მისი მიზანია: სუნთქვის უფრო მეტად „გახსნა“, ზეტანისა და მკლავების ნაკვთური, ელასტიკური, განიერი და მოკლე (სართავებით) მოძრაობების გამომუშავება; ზეტანის, კიდურებისა და თავის კოორდინირებული მოქმედების შეთვისება და დამხმარე-შემაკავშირებელ მოძრაობათა შესწავლა ცალკეული ელემენტების ან ნაერთების სახით. გაკვეთილის ამ ნაწილში შედის: მკლავების (ორსახსროვანი, სამსახსროვანი, ხელსართავები, წრიული და რკალგვარი, სწორი და ირიბი მიმართულებით), ზეტანის (ზნექები, ზეტანის ბრუნვა-ტრიალი), ფეხების მოძრაობები (სხვადასხვა დგომა, სვლებისა და სირბილის სახეობები. ზეტანის, მკლავებისა და ფეხების კოორდინირებულ მოძრაობათა მარტივი ნაერთები).

მესამე – გაკვეთილის ძირითადი, ანუ მთავარი – ნაწილი, ხანგრძლივობა 45-50 წუთი. მიზანი: საცეკვაო ილეთების, მათი მარტივი და რთული ნაერთების და თვით ცეკვის შესწავლა.

გაკვეთილის მესამე ნაწილში ქორეოგრაფი დაამუშავებს ერთი სახის ან სტილის მასალას, მაგალითად, საფერხულო ილეთებს, შემდეგ გაკვეთილზე – სამთიულურო სვლებსა და ჩაკვრებს ან ცეკვა ქართულის ილეთებს, ცალკეულ ფრაზებს ან მთლიანად ცეკვას, შემდეგ – ხორუმის ილეთებს და ა.შ.

გაკვეთილის III ნაწილზე გადასასვლელად ზოგჯერ საჭიროა სხვანაირი განლაგება. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელი შესაფერის განკარგულებას გასცემს და ახალი მოხერხებული განლაგებით განათავსებს მოცეკვავეებს.

ამრიგად, გაკვეთილის მთავარ ნაწილში დამუშავდება თემის ძირითადი მასალა; გაკვეთილის დანარჩენი ნაწილები მთავარს ემსახურება. შესაძლებელია, რომელიმე თემის დამუშავებას რამდენიმე გაკვეთილი დასჭირდეს.

დამატებითი ნაწილი – 5-10 წუთი – ხელს უწყობს გამძლეობის გამომუშავებას, ტექნიკურად ძნელი ილეთის დამუშავებას, ღრმა სუნთქვის „გახსნას“ ხტომითი ილეთებისა და მათ ნაერთთა გამოყენებით. მთავარი მასალა: ხტომები და ხტომების ნაერთები,

ცერილეთები და მათი ნაერთები, სხვადასხვაგვარი სწრაფი სვლა და რბენა, ბრუნები და მათი ნაერთები.

დამამშვიდებელი ნაწილი – 5 წუთს არ აღემატება. მიზანი: სხეულის დამშვიდება და სუნთქვის შენელება. მასში შედის: სუნთქვითი ვარჯიში, ნელი სიარული, მკლავების მშვიდი მოძრაობა ან მშვიდი ხასიათის და ფიზიოლოგიურად ნაკლებდამტვირთავი ისეთი ცეკვები, რომლებშიც მცირე ხნით რიგრიგობით მონაწილეობს ერთი ან ორი მოსწავლე, დანარჩენები დგანან, ტაშს უკრავენ ან სიმღერა-ღიღინით შემსრულებლებს ეხმარებიან.

ზოგად მოსამზადებელ ვარჯიშებს მიეკუთვნება ის მოძრაობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებას. უმჯობესია, ეს მოძრაობები, ცოტად თუ ბევრად, საცეკვაო ილეთებს წააგავდეს, რათა მოძრაობებს საცეკვაო ელფერი მიეცეთ. დამხმარეა ისეთი ხასიათის მოძრაობები, რომლებიც ხელს უწყობს საცეკვაო ილეთზე ადვილად გადასვლას ან უშუალოდ მონაწილეობს მოძრაობიდან მოძრაობაზე გადასვლაში. ასეთ მოძრაობებს შემაკავშირებელს უწოდებენ.

ქორეოგრაფიის პრაქტიკულ გაკვეთილზე მოცეკვავეთა მოხერხებულ და სწორ განრიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს: 1. ვარჯიშისას მოცეკვავენი ხელს არ უნდა უშლიდნენ ერთმანეთს. 2. მასწავლებელი კარგად ხედავდეს თითოეულს, მოცეკვავე კი – მასწავლებელს. ამისათვის მასწავლებელი უნდა იდგეს ამაღლებულ ადგილზე, მოცეკვავენი – თავისუფალ მანძილზე – განზე გაშლილი მკლავების მდგომარეობაში, ერთ ხაზზე მდგომნი თითებით არ ეხებოდნენ ერთმანეთს ან ჭადრაკისებური განლაგებით: მეორე მწკრივის ყოველი მოცეკვავე უნდა იმყოფებოდეს წინმდგომი მწკრივის ორი მოცეკვავის შუაში ერთი ან ორი ნაბიჯის დაშორებით (სურ. 1 – 2).



სურ. 1



სურ. 2

ზოგჯერ ვარჯიში მოითხოვს წრეგვარად განლაგებას, მაგალითად, შეკრულ ფერხულის სწავლების ან წინსვლით წრეშემოვლისას. ამ შემთხვევაში უმჯობესია მასწავლებლის

წრის შუაგულში ყოფნა. ზოგჯერ საჭიროა თვით მისი მონაწილეობა, განსაკუთრებით საფერხულო განრიგებაში: მასწავლებელი მოფერხულეთა შორის (მწკრივში, რიგში) საფერხულო ილეთებს ასრულებს.

თუ მრავალრიცხოვნების გამო მოსწავლეთა განრიგება მოუხერხებელია, საჭიროა მათი დაყოფა ორ ან სამ ქვეჯგუფად. ძელთან ვარჯიშისას (ერთიმეორისაგან ნაბიჯით დაშორება), სასურველია, თითოეულს განრიგებაში თავისი მუდმივი ადგილი ჰქონდეს, ხოლო შუაში ვარჯიშისას – მონაცვლეობით ხვდებოდნენ პირველ მწკრივში ან მწკრივი მწკრივს რიგრიგობით ცვლიდეს.

სწავლების მეთოდი

ქორეოგრაფია პრქტიკული დისციპლინაა, ამიტომ გამოიყენება როგორც ჩვენებითი, ასევე თხრობითი მეთოდი, უმჯობესია ორივეს ჰარმონიულად შეერთება, ახალდამწყებთათვის კი, უდავოა, ჩვენებითი მეთოდის უპირატესობა.

პროგრამით გათვალისწინებული წლიური სასწავლო მასალა თანმიმდევრულად ნაწილდება სასწავლო პერიოდზე. თითოეული გაკვეთილის თემა თუ შინაარსი პროგრამას ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს და უკვე შეთვისებულის სისტემატურ განმეორებას ემყარებოდეს.

მოძრაობებისა და ილეთების პრაქტიკულად შესწავლას თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. არასწორად შესწავლილი მოძრაობის ან ილეთის გადაჩვევა დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს და ხშირად პედაგოგის შრომა უშედეგოა. ამისათვის უმჯობესია, დასაწყისიდანვე მეტი დრო დაეთმოს ილეთის მართებულად და ზუსტად შესწავლას. სასწავლო მასალის აჩქარებულად გავლას, უმეტეს შემთხვევაში, უარყოფითი შედეგი მოაქვს. განმეორებითი ჩვენებისათვის ხელმძღვანელმა დამხმარედ შეიძლება მოიშველიოს საუკეთესო მოცეკვავე, რომელსაც კარგად აქვს შეთვისებული საპროგრამო მასალა. ქორეოგრაფიული წრის ახლად დამწყებ წევრებთან მუშაობის გამოცდილება გვარწმუნებს, რომ სწავლების ანალიზური მეთოდით ხელმძღვანელს უფრო ადრე, ადვილად და მაღალხარისხოვნად შეუძლია მიაღწიოს სასურველ შედეგებს.

ყოველი ილეთი იშლება შემადგენელ ნაწილებად (მდგომარეობად, მოძრაობად). ხელმძღვანელი თანმიმდევრობით განმარტავს ჯერ პირველს, შემდეგ – მეორეს, მესამეს და ა.შ. ცალ-ცალკე გაგებისა და შეთვისების შემდეგ ერთად შეიკვრება და შეკავშირდება ილეთის შემადგენელი ნაწილები. მაგალითად, *სადა ჩაკვრის* (მთიულური ცეკვის ელემენტი) შემადგენელი მოძრაობები:

ერთი – I პოზიციიდან მარჯვენა ფეხის აწევა ზევით, მუხლის სახსარში მოღუნვა (ტერფი იატაკის პარალელურია), შემდეგ მუხლის გამართვა და ქუსლით მარცხენა ფეხის ცერთან დადგმა (მარჯვენა ცერი მიმართულია ზევით).

ორი – მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოღუნვა, ხელახლა ზევით აწევა (ცერი დაბლა) და ცერით იმ ადგილას დადგმა, სადაც მანამდე მარჯვენა ქუსლი ეხებოდა იატაკს. ამ დროს მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხის ქუსლი ზეაწეულია და ტერფით უკან მიმართული. აღწერილი მოძრაობა ამნაირადვე შეისწავლება მარცხენა ფეხითაც. ამ ილეთის შემადგენელი ნაწილების კარგად შესწავლის შემდეგ, პირველი და მეორე მოძრაობა შეერთდება ფეხის მუხლში მოღუნვის წინ საყრდენ ფეხზე ოდნავი ზეხტომით (პირველ და მეორე თვლაზე). ილეთი მეორე მხარეზე, ერთი ფეხიდან მეორეზე გადასვლა, სრულდება ოდნავი ზეხტომით. თავიდან ილეთის შემადგენელი ნაწილები შეისწავლება ნელ ტემპში, შემდეგ – სასურველი სიჩქარით. ნაერთი შეიძლება ორ, სამ, ოთხ ან მეტ ილეთისა ან

მოძრაობისაგან შედგებოდეს. მარტივი ნაერთი ადვილ და მცირე რაოდენობის ილეთს მოიცავს, რთული – დიდი რაოდენობის შედარებით ძნელად შესასრულებელს.
ანალიზური მეთოდი გამოიყენება არა მარტო ფეხების, არამედ მკლავებისა და ზეტანის მოძრაობების შესწავლის დროსაც.

ნაერთების შერჩევა-შედგენისას საჭიროა:

1. ნაერთის შედგენამდე თითოეული ილეთის კარგად შეთვისება.
2. ილეთიდან ილეთზე გადასასვლელად რაც შეიძლება ადვილი და მოხერხებული მოძრაობის გამოყენება.
3. ნაერთი რამდენიმეჯერ განმეორდეს და ილეთთა განრიგება რიგრიგობით შეიცალოს.
4. რაოდენობრივად გართულებულ ახალ ნაერთში ძველი ნაერთის ერთი ან რამდენიმე ილეთი იყოს.

მოგვყავს ილეთთა ნაერთის შედგენის ერთ-ერთი მაგალითი, ილეთთა სახელის მაგივრად ასოებს ვხმარობთ.

1. ა
2. ბ
3. ა+ბ
4. ბ+ა
5. გ
6. ა+გ ან ბ+გ
7. ა+ბ+გ
8. დ
9. გ+დ
10. ა+ბ+გ+დ
11. დ+ა+ბ+გ
12. ე
13. ბ+გ+დ+ე
14. ა+ბ+გ+დ+ე
15. ვ
16. ბ+დ+ე+ვ
17. ზ
18. დ+ე+ვ+ზ
19. ე+ვ+ზ+ე
20. თ
21. ე+ვ+ზ+თ
22. ი
23. ი+ზ+თ+ი
24. დ+ე+ვ+ზ+თ+ი
25. კ
26. კ+ ე+ვ+ზ+თ+ი და ა.შ.

როგორც ჩანს, მოცეკვავემ ერთი ილეთი – **ა** შეისწავლა, შემდეგ მეორე – **ბ**, მესამეჯერ ორივე ილეთი გადაბმულად შეასრულა – **ა+ბ**, მეხუთეჯერ ახალი ილეთი **გ**, მეექვსეჯერ პირველი და მესამე ან მეორე და მესამე გადაბმულად შეასრულა – **ა+გ** ან **ბ+გ**, მეშვიდეჯერ სამივე ერთმანეთს გადააბა და ა.შ.

ცხადია, ილეთთა შერჩევა და ნაერთებად შეკვრა მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ფიზიკური ძალის გათვალისწინებით ხდება. ილეთთა ნაერთის შერჩევა-შეკრებაში მასწავლებელმა განსაკუთრებული სიფრთხილე და დაკვირვება უნდა გამოიჩინოს – ერიდოს მოსწავლეთა ფიზიკურ გადატვირთვას.

რთულ ნაერთთა დაუფლების შემდეგ შესაძლებელია საცეკვო ფრაგმენტების, ეტიუდების[1] და შემდეგ თვით ცეკვის სწავლებაც.

ცეკვაც დანაწევრებით შეისწავლება: ჯერ ცეკვის შინაარსი, შემდეგ კვალითი ნახაზი, შემდეგ 4-8 ტაქტი, ქორეოგრაფიული ფრაზის ყველა ილეთის განმარტებით: ახსნილი ქორეოგრაფიული ფრაზის რამდენჯერმე გამეორება და ახალი ფრაზის განმარტებაზე გადასვლა, მეორე ფრაზის პირველთან შეერთება და ასე თანდათან ცეკვის მთლიანი ნახაზის

1 ეტიუდი – მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნაწარმოები გარკვეული ფორმისა და შინაარსის. შესრულების ტექნიკის გასავითარებლად.

დასრულებამდე. ცეკვის ელემენტების ტექნიკურ დაუფლებასთან ერთად აუცილებელია შინაარსის მხატვრული გამომსახველობა, ემოციურობა და შესრულების სიმსუბუქე.

სასწავლო პროგრამისა და განრიგის შედგენისას გასათვალისწინებელია: წევრთა ასაკი და სქესი, ჯგუფებისა და წევრთა რაოდენობა, საცეკვაო ფართობი, მეცადინეობის დრო (წელიწადის დრო), ბაქნის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ფიზიკური მომზადება, მასალის შეთვისების უნარი და გამოცდილება (ძველი წევრების). ძველ წევრთა შორის შეიძლება იყვნენ ჩამორჩენილები, ასეთებთან საჭიროა დამატებითი საათების გამოყოფა. ხშირად ახალმიღებული წევრები პირველ პერიოდში არასაკმარის უნარს იჩენენ მასალის შესწავლა-შეთვისებაში, მათი მოძრაობები შეზღუდულია, უხეში, ადვილად იბნევიან, მორცხვობენ. მაგრამ გაივლის დრო და სურათი იცვლება: ჩამორჩენილები ეწევიან წინ წასულებს და ზოგჯერ უსწრებენ კიდეც. ხელმძღვანელს მოეთხოვება, გამოიჩინოს სიფრთხილე, დაკვირვება, მოთმინება, გულისხმიერება, რათა ჩამორჩენილებთანაც წარმატებას მიაღწიოს.

წრის წევრთა ჯგუფებად დაყოფისას გასათვალისწინებელია სქესი და ასაკი. ცხადია, წრე ქალ-ვაჟთაგან კომპლექტდება. ახლად შექმნილ წრეში პირველ ხანს ცალ-ცალკე მეცადინეობენ, ხოლო ქალ-ვაჟისათვის საერთო ხასიათის ილეთების სწავლებისას – ერთად. ქორეოგრაფიულ წრის ორგანიზაციული მუშაობის მნიშვნელოვანი მხარეა ზუსტი აღრიცხვა, რაც ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს, სათანადო დასკვნები გამოიტანოს და სამომავლოდ შესაფერისი, საქმისათვის სასარგებლო შესწორებები და ცვლილებები შეიტანოს. მუშაობის სააღრიცხვო დღიური წრის მუშაობის სარკეა.

მეცადინეობის პროცესში ხელმძღვანელი იყენებს სხვადასხვა სახის შენიშვნას, როგორც სწავლების ერთ-ერთ დამხმარე ხერხს, სახელდობრ: გამაფრთხილებელს მოძრაობისას და ინდივიდუალურს. გამაფრთხილებელი შენიშვნები საერთო მითითებებია, რომლებიც წინ უძღვის ახალ ან უკვე განვლილ, მაგრამ არაზუსტად შეთვისებულ მოძრაობებს. ახალი მოძრაობების შესრულებამდე ხელმძღვანელი აფრთხილებს შემსრულებლებს წინასწარ გასათვალისწინებელ ამა თუ იმ შესაძლო შეცდომის შესახებ. გამაფრთხილებელ შენიშვნებს პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს და მათი გამოყენება ხელს უწყობს წარმატებულ მუშაობას.

მოძრაობის პროცესში – მოძრაობის შეუჩერებლად – შენიშვნების მიცემა ამა თუ იმ მოცეკვავისა ან მთელი ჯგუფისათვის – მფრინავი შენიშვნები.

ინდივიდუალური შენიშვნები ყველაზე მეტადაა გავრცელებული: თითოეულ მოსწავლეს ცალ-ცალკე განემარტება თავისი შეცდომა და მიეთითება მათი გამოსწორების გზები.

ინდივიდუალური შენიშვნები ფრთხილი, შინაარსიანი და კონკრეტული უნდა იყოს; წარმოითქვას მშვიდად, აუჩქარებლად და გარკვევით. განემარტოს, რომ ეს კეთდება მასალის უკეთ შესწავლა-შეთვისების მიზნით და საწყენად ან სათაკილოდ არ უნდა მიიღოს.

მეცადინეობისას სწორი სუნთქვის შემუშავება-დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. არაერთხელ შეგვიმჩნევია, რომ მოცეკვავე (განსაკუთრებით ვაჟი) ცეკვის პირველ ნახევარს მსუბუქად, ენერგიულად, თავისუფლად ასრულებს, შემდეგ თანდათანობით ძალა ელევა, მოდუნდება და ცეკვას ძლივს ამთავრებს. ეს შედეგია: უსწორო სუნთქვისა, არასისტემატური ვარჯიშისა და საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობის ანგარიშგაუწევლობისა. ცეკვის წარმატებით შესრულება დამოკიდებულია სწორ სუნთქვასა და ცეკვის ზომიერ ხანგრძლივობაზე.

პოზიციები

ფეხის ძირითადი პოზიციები

I პოზიცია – (შეტყუპებული) – ორივე ფეხის ტერფი ერთიმეორესთან პარალელურად მჭიდროდაა მიდგმული(სურ. 3).

II პოზიცია (წინფეხგაშლილი) – ცალი ფეხი მეორის წინ (თავის ხაზზე) ნახევარი ტერფით, სხეულის სიმძიმე ორივე ფეხზე განაწილებული, ტერფები – პარალელურ ხაზებზე (სურ. 4).



სურ. 3

სურ. 4

III პოზიცია (ტერფშლილი) – ქუსლები ერთად, ფეხის ცერები ერთმანეთისგან 65˚-70˚-მდეა დაშორებული(სურ. 5).

IV პოზიცია (განფეხშლილი) – ფეხები მხრების სიგანეზეა გადგმული. ფეხის ცერები ირიბად გარეთ მიმართული, როგორც მესამე პოზიციაში (სურ. 6).



სურ. 5



სურ. 6

ხელის ძირითადი პოზიციები

I პოზიცია (განგაშლილი) – ორთავე მკლავი განზე გაშლილი, ნები – ქვევით (სურ. 7).

სურ. 7

II პოზიცია (დახურული) – ცალი მკლავი იდაყვის სახსარში მოხრილი (იდაყვი ოდნავ მხარზევით) და ცერით გულმკერდს ეხება (მეოთხე მალის სიმაღლეზე), მეორე მკლავი განზე გამართული (სურ. 8).

სურ. 8

III პოზიცია (ღია) – ცალი მკლავი განზე გამართული, მეორე – ზევით აწეული და განზე ნახევარრკალად მოხრილი – ნებით წინ ან შიგნით (სურ. 9).

სურ. 9

IV პოზიცია – მაღალი ან ირმულა, ორივე მკლავი თავზევით რკალურად, ნები გარეთ ან შიგ და ქვემოთ (სურ. 10).

სურ.10

ძელთან ვარჯიში

ძელი ხისაა: მომრგვალებული, დიამეტრი 4-5 სანტიმეტრი, სიგრძე 2-3 მეტრი. სავარჯიშო დარბაზის კედელზე ერთი მეტრის სიმაღლეზე ჰორიზონტალურად მჭიდროდაა მიმაგრებული და მისგან 25-30 სმ.-ით დაშორებული. მოვარჯიშენი ძელს ცალი ან ორივე ხელით ეხებიან. წესია: ძელთან ვარჯიში იწყება ჯერ მარცხენა გვერდშექცევით, შემდეგ – მარჯვენათი. ზოგჯერ საჭიროა „სახით ძელისაკენ განლაგება“, განსაკუთრებით ცერებზე შედგომის შესწავლისას. ამ შემთხვევაში მოსწავლენი ძელს ორივე ხელით ეყრდნობიან. ძელთან ვარჯიშის შემდეგ (გაკვეთილის დანარჩენი დრო) მეცადინეობენ ფართობის შუაში.

ძელთან ვარჯიში მარცხენა გვერდშექცეული იწყება (სურ.11), შემდეგ – მარჯვენა გვერდით. თავისუფალი მკლავით დოინჯი. შეიძლება სახით ძელისაკენ, განსაკუთრებით, ცერებზე შედგომის შესწავლისას (სურ.12).



სურ.11



სურ.12

ძელთან ვარჯიშის მხოლოდ ცალ მხარეს აღვწერთ – მარცხენა გვერდს ძელისაკენ. იგულისხმება, რომ თითოეული ვარჯიში ორივე მხარეს უნდა შესრულდეს (სურ. 13- 14).

საწყისი მდგომარეობა: ფეხების I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მაღალ ერგცერებზე აწევა.

ორი – საწყისი მდგომარეობა.

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – მაღალ ერგცერებზე აწევა.

ორი – სამი – პაუზა მაღალ ერგცერებზე.

ოთხი – მსუბუქად დაშვება – საწყისი მდგომარეობა.

საწყისი მდგომარეობა: I პოზიცია – მაღალი ერგცერები. მუსიკალური ზომა – 2/4.

სურ. 13

სურ. 14

თითოეულ თვლაზე გარე ფეხის ერგცერის დაკვრა საყრდენ ფეხზე დგომის სიმაღლის დაურღვევლად.

საწყისი მდგომარეობა: მაღალ ერგცერებზე დგომა I პოზიციაში. მუსიკალური ზომა 2/4.

ერგცერების რიგრიგობით დაკვრა. დაკვრა იწყება მარჯვენა ფეხით, შემდეგ – მარცხენათი, ისევ – მარჯვენა და ა.შ. ამ ვარჯიშისას სხეულის სიმძიმე ფეხიდან ფეხზე გადადის. დაუშვებელია ზევით-ქვევით აწევ-დაწევა. ფეხის ქუსლები ერთად უნდა იყოს.

საწყისი მდგომარეობა: I პოზიცია, მაღალი ერგცერები. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი და ორი – ერგცერების რიგრიგობით და თანამიმდევრობით სამი დაკვრა (იწყებს გარე ფეხი). შემდეგი **– და** – ყოვნა.

საწყისი მდგომარეობა: I პოზიციიდან მარჯვენა ფეხის სრიალით წინ გაწევა და ერგცერით იატაკს მიკარება. მუსიკალური ზომა 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხის სრიალით მარცხენასთან მიწევა და I პოზიციაში მიდგმა.

ორი – მარჯვენა ფეხის ტერფის წინა ნაწილის გასრიალებით ისევ წინ წაწევა (ამ მოძრაობისას ფეხი მუხლში გამართულია და არ უნდა მოიღუნოს).

საწყისი მდგომარეობა ისეთივე, როგორიც №8-ში. მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8.

ერთი – სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა – მარჯვენის სრიალით უკან წაწევა, მარცხენის – წინ.

ორი – ფეხების მდგომარეობის კვლავ შეცვლა (ფეხების მდგომარეობა ერთსა და იმავე დროს უნდა შეიცვალოს. დაუშვებელია ამ ვარჯიშის ხტომით შესრულება).

საწყისი მდგომარეობა ისეთივე, როგორიც №8-ში. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – და – ორი – სამი სრიალა მოძრაობა წინ და უკან ფეხების მდგომარეობის შეცვლით (გასმა).

შესაძლებელია, ეს ვარჯიში ოთხ თვლაზეც შესრულდეს. ამ შემთხვევაში პაუზა – **ოთხზე**.

დგომა, დგომის ცვლა და ფეხის მოძრაობა

ფეხების მოძრაობებს, ძირითადად, ზოგადმოსამზადებელი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, შესაძლებელია, ცალკეულ მოძრაობას საცეკვაო ელემენტის სახეც ჰქონდეს, დგომა კი დამხმარე ხასიათისაა.

დგომათა და ფეხების მოძრაობათა ნაერთები გაკვეთილში შემდეგი თანამიმდევრობით განლაგდება:

1. მაღალ ერგცერებზე აწევა-დაშვება.

შენიშვნა: ზოგიერთი მოძრაობა ძელთან ვარჯიშისავით შესრულდება, იმ განსხვავებით, რომ ძელი ვეღარ დაეხმარება წონასწორობის შესანარჩუნებლად;

2. ერგცერებზე ორ და სამდაკვრითი მოძრაობა.
3. გასმის მოსამზადებელი ვარჯიში.
4. წვივდაქნევჩაკვრის მოსამზადებელი ვარჯიში.
5. ერგბუქნი (მუხლშეტყუპებული და მუხლებგაშლილი).
6. ბუქნი მუხლებშეტყუპებული და მუხლებგაშლილი, ფეხჭდომილად (ფეხჭდეულად).
7. ბუქნი მუხლების იატაკზე შეხებამდე და ადგომა.
8. ერგბუქნი და ბუქნი ცალ ფეხზე გამართული ფეხის წინ, განზე, უკან გადგმით.
9. ცალი მუხლის ზეაკეცვა (მაღალი).
10. რიგრიგობით მუხლების ზეაკეცვა მაღალ ერგცერებზე დგომით.
11. დატკეცით ერგცერებზე აწევ-დაწევა (სადა და მუხლმოქნევით).
12. ცალი ფეხის გაზნექით უკუ-შიგნით მოქნევა.
13. დგომათა და ფეხების მოძრაობათა ნაერთები.
14. მკლავების, ზეტანისა და ფეხების მოძრაობათა ნაერთები.

№1 მაღალ ერგცერებზე აწევ-დაშვება (იხ. გაკვ. I ნაწილში) განმეორდება 16-24-ჯერ.
№2 ერგცერებზე ორ და სამდაკვრითი მოძრაობები (იხ. გაკვ. I ნაწილში) განმეორდება 16-32-ჯერ.
№3 გასმის მოსამზადებელი მოძრაობები (იხ. გაკვ. I ნაწილში) განმეორდება 16-32-ჯერ.
№4 წვივდაქნევჩაკვრის მოსამზადებელი მოძრაობები (იხ. გაკვ. I ნაწილში) განმეორდება 16-32-ჯერ.
№5 მაღალი ერგცერებიდან ერგბუქნი და გამართვა (მუხლებშეტყუპებული, მუხლებგადაშლილი, ყოვნით, წყვეტილად, გადაბმულად) განმეორდება 8-16-ჯერ.
№6 ბუქნი და ადგომა (მუხლებშეტყუპებული, მუხლებგადაშლილი, ფეხჭდომილი (ფეხჭდეული), ყოვნით, გადაბმულად, წყვეტილად, ნაირსათვალავზე) განმეორდება 8-16-ჯერ.
№7 ღრმა ბუქნი მუხლების იატაკზე მიკარებამდე და ადგომა (ნაირტემპით, წყვეტილად, გადაბმულად, ყოვნით; შეტყუპებული და გადაშლილი მუხლებით) განმეორდება 4-8-ჯერ.
№8 ერგბუქნი ცალი ფეხის გადგმით (წინ, განზე, უკან). განმეორდება 4-8-ჯერ.
№9 იგივე №8, ოღონდ გამართული ფეხის იატაკზე მიუკარებლად. განმეორდება 4-8-ჯერ.
№10 ერგცერებზე ცალი მუხლის ზეაკეცვა (მუხლი წინ, განზე) განმეორდება 8-16-ჯერ.
№11 = №10 – რიგრიგობით ცალი მუხლის ზეაკეცვა, განმეორდება 8-16-ჯერ.
№12 დატკეცით ერგცერებზე აწევ-დაწევა.
საწყისი მდგომარეობა: მარცხენა ფეხზე დგომა, მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და

ცერით იატაკს დაბჯენა – მარცხენა ფეხის ცერის ახლოს.
მუსიკალური ზომა – 2/4.

და – მაღალ ერგცერებზე აწევა.

ერთი – ერგცერებიდან გამართული მარჯვენა ფეხის ტერფით დადგმა, მარცხენის მუხლში მოღუნვა და მარჯვენა ფეხის ცერის გვერდით ცერით იატაკს დაბჯენა.

და – მაღალ ერგცერებზე აწევა.

ორი – ერგცერებიდან გამართული მარცხენა ფეხის ტერფით დადგმა, მარჯვენის მუხლში მოღუნვა და მარცხენა ფეხის ცერის გვერდით ცერით იატაკს დაბჯენა. ვარჯიში განმეორდება 16-24-ჯერ.

№13 = №12 – ცერზე დაყრდნობილი ტერფის გარე შებრუნებით მხოლოდ დატკეცა და წინიდან მუხლის მუხლით დახურვა.

№14 ცალი ფეხის უკუ და განზნექით შიგმოქნევა (იხ. გაკვეთილის პირველ ნაწილში).

№15 ცალი მუხლიდან საყრდენ ფეხზე ადგომა და თავისუფალი ფეხის მაღლა აწევა (წინ, განზე, უკან) და ისევ მუხლზე დადგომა.

№16 იგივე №15, მხოლოდ ადგომისთანავე ცალი ფეხის მუხლში მაღლა ზეაკეცვა, ისევ მუხლზე დადგომა და ა.შ.

ცხადია, აქ მოყვანილი ვარჯიშებით არ ამოიწურება ფეხების მოძრაობა. გაკვეთილის ამ ნაწილისათვის ჩვენ საორიენტაციოდ მხოლოდ რამდენიმე მოძრაობა აღვწერეთ. ვარჯიშების შერჩევა და თანამიმდევრობა დამოკიდებულია ხელმძღვანელის სურვილზე, გემოვნებაზე, ცოდნა-უნარსა და გაკვეთილის მიზანდასახულობაზე.

მკლავების მოძრაობა-მდგომარეობა

ხელმძღვანელი კარგად უნდა ერკვეოდეს ქართულ ქორეოგრაფიაში მიღებულ მკლავებისა თუ ფეხების ძირითად და დამხმარე პოზიციებში.

ცეკვაში მკლავების მოძრაობანი უაღრესად მნიშვნელოვანია: ცეკვის ტექნიკურ გადაწყვეტასთან ერთად, უპირველესია პლასტიკური ფუნქცია, ცეკვის ნახაზის გამრავალფეროვნება და ამეტყველება.

ქართულ ქორეოგრაფიაში ვაჟთა ცეკვები ნაკლებმდიდარია მკლავების მოძრაობებით, ვიდრე ქალებისა და ეს სავსებით ბუნებრივია: ვაჟებს უფრო „თავისუფალი“ აქვთ ქვედა კიდურები, ქალებს – ზედა. ქალი მრავალნაირად ქარგავს მკლავების მოძრაობებს, ამეტყველებს ხელის თითებს, ამოძრავებს მხარსა და წინამხარს, ვაჟი ნაირფეროვნად მოქმედებს ფეხებითა და ფეხის ცერებით.

ცხადია, წარსულში ცეკვის ხასიათისა და მოძრაობათა შექმნაში, სხვა პირობებთან ერთად, დიდი გავლენა მოუხდენია ეროვნულ სამოსს. რამდენადაც თავისუფალი იყო კიდურები ტანსაცმლისაგან, იმდენად ფართო და თავისუფალი მოძრაობები იქმნებოდა. ქართველი ქალის ქვედა კიდურებს ზღუდავდა გრძელი კაბა, ვაჟისას – გრძელი სახელოები (ზოგიერთ ცეკვაში ვაჟის მკლავები მთლიანად დაფარულია ჩოხის სახელოებით). თუმცა მთიულური სახის (სწრაფი რიტმის) ცეკვებში ქალის მკლავების მოძრაობა ნაირფეროვნებით არ აღემატება ვაჟისას ან ქალის მკლავებისა და ფეხების მოძრაობა ვაჟის მოძრაობებს ჰგავს, თუმცა უფრო რბილად და ნარნარად სრულდება.

მკლავები მოძრაობს: ერთი და იმავე მიმართულებით (ტოლმხრივად), სხვადასხვა მიმართულებით (ნაირმხრივად), ერთდროულად, ნაირდროულად, თანამიმდევრობით (მიმყოლად), შიგ, გარე, ქვე, წინ, უკან, მარჯვნივ ან მარცხნივ, წრეგვარად, რკალგვარად

ან მოხრა-გაშლით, ხელსართავებით ან უიმისოდ. მკლავების მოძრაობა შეიძლება ცალკე ან ზეტანისა და ფეხების მოძრაობასთან ერთად – კოორდინირებულად. შეთანხმებული მოძრაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ცეკვის სტილის გამოკვეთაში სწორედ ის ასრულებს მთავარ როლს, ხელს უწყობს ძნელი ილეთის ტექნიკურად დაძლევას. მაგალითად: ბევრად ადვილდება სხვადასხვა სახის ბრუნის შესრულება მკლავების დროულად გადაქნევით ბრუნის მხარეს, რადგან ეს აძლიერებს ზეტანის მოქნევის სიმძლავრეს ან: ზეხტომისას მკლავების ქვევიდან ზევით აქნევა-არეკნას ერთიორად აძლიერებს და თვით ფრენს სიმაღლეს მატებს. მკლავების, ზეტანისა და ფეხების კოორდინირებულ მოძრაობათა გარეშე შეუძლებელია არა მარტო რთული, არამედ მარტივი ილეთების სწორად, მსუბუქად და ლამაზად შესრულება.

ქალები და ვაჟებიც ცეკვაში მკლავების მოძრაობისას ხშირად ხელსართავებს ხმარობენ (ხელის – მტევნის) წრისებრი ან რკალისებრი მოძრაობა მაჯის სახსარში). ქალთა ცეკვებში სართავებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, აგრეთვე, მკლავების სამსახსროვან (მხრის, იდაყვის და მაჯის სახსრებში) მოძრაობას. მთელი მკლავით წრისებრი და რკალისებრი მოძრაობანი „განიერი მოძრაობების“ სახელითაა ცნობილი, სართავები – „მოკლე მოძრაობების“. ხელსართავები თავისუფლად და სრული ამპლიტუდით სრულდება. ვაჟები ხელსართავებს ოდნავ მომუჭული თითებით ასრულებენ, ქალები გაშლილი ნებით და თავისუფალი თითებით.

მკლავების პოზიციებში ნების მიმართულების შეცვლა ან ხელის თითების მომუჭვა-გაშლა პოზიციის დასახელებას არ ცვლის. არ იცვლება მკლავების პოზიციების ძირითადი დასახელება იმ შემთხვევაშიც, თუ მკლავები ოდნავ მოსცილდება თავის ძირითად მდგომარეობას ზეაწევით, ქვედაწევით, წინ და უკან წაწევით და სხვ. მხოლოდ მათ დასახელებას ემატება ძირითად მდგომარეობიდან განსხვავებული მიმართულების მაჩვენებელი განმარტებითი სიტყვა, მაგალითად: *ოდნავ ზევით, ოდნავ ქვევით, ნახევრად დახურულად, შიგნით, გარეთ* და ა.შ. ფეხების ძირითადი პოზიციების დასახელებაც არ შეიცვლება იმისდა მიუხედავად, ეხება ფეხები იატაკს მთელი ტერფით, ერგცერებით ან ცერებით, მაგალითად: შემსრულებელი დგას პირველ პოზიციაში მთელ ტერფებზე და შემდეგ ნახევარცერებზე აიწევა, ამ მდგომარეობას ისევ პირველი პოზიცია ეწოდება, მხოლოდ ემატება – *პირველი პოზიცია ერგცერებზე* და ა.შ.

გაკვეთილის მეორე ნაწილში მკლავების მოძრაობა შეისწავლება ზოგადმოსამზადებელი და საცეკვაო ელემენტების სახით. პირველი წლის დასაწყისში შეისწავლიან ჯერ მკლავების ძირითად მდგომარეობას, მათ სწორ სახელწოდებას, შემდეგ მოძრაობებს ასეთი თანმიმდევრობით:

1. მკლავების ძირითადი პოზიციები (I – IV).
2. მკლავების მდგომარეობა.
3. მკლავების მდგომარეობის ცვლა .
4. მკლავების მოძრაობა.

ა) მხრის ერთ სახსარში.

ბ) ორში.

გ) სამში.

ტოლმხრივი, ცალმხრივი და ნაირმხრივი მიმართულებით: შიგ, გარეთ, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან.

5. მკლავების მოძრაობა
ა) ერთდროულად.
ბ) ნაირდროულად.
გ) მიმდევნოდ (მიმდევნობით).
დ) წრისებურად.
ე) რკალისებურად.
ვ) მოხრა-გაშლით.
ზ) მოდუნებულად.
თ) სართავებით.

6. მკლავების მოძრაობა სართავებით
ა) მცირე სართავებით.
ბ) საშუალო სართავებით.
გ) სრული სართავებით.
დ) ტაშით და ტკაცუნით.

7. მკლავების მოძრაობათა ნაერთები
8. მკლავების მოძრაობა საცეკვაო ილეთებით.
9. მკლავების საცეკვაო მოძრაობის ნაერთები.
10. მკლავების მოძრაობა ზეტანისა და ფეხების მოძრაობასთან ერთად.
11. მკლავების დამხმარე მოძრაობა:
ა) ბრუნისათვის.
ბ) ხტომისათვის და სხვ.

გაკვეთილზე ქალებთან მეცადინეობისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამსახსროვან ნაკვთურ და ტალღურ მოძრაობებს, ასევე ხელსართავებს, რადგან რბილი, პლასტიკური მოძრაობები ხელსართავებით ქალთა ცეკვების მნიშვნელოვანი მასალაა.

მკლავების მდგომარეობა

1. განგაშლილი – I პოზიცია.
2. ერგდახურული – II პოციზია.
3. ღია – III პოზიცია.
4. მაღალი ან ირმულა – I პოზიცია.
5. ლაღად დაშვებული.
6. ცალი ხელი ხანჯლის ტარზე, მეორე – დოინჯით.
7. ხელები ხანჯალზე.
8. ცერები ქამარში
9. მაჯები ჭდომილად ქამრის წინ.
10. მოხეური დაბალი.
11. ორივე მკლავი ქვევით და ცალმხარდაქანებული.
12. მკერდდახურული – სამთიულურო.
13. მოხეური – ცალი მკლავი განზე.
14. ცალმკლავდაქანებული.
15. გვერდულა იდაყვდაქანებული.
16. ცალმხარდახურული.
17. ცალიდაყვგადაშლილი.
18. მშვილდურა
19. იდაყვებგადაშლილი
20. ცალიდაყვაწეული
21. ირიბი განმკლავი
22. წინამხარამართული
23. საქრიალო და სხვ.

მკლავები შეიძლება სხვა მდგომარეობაშიც იყოს:

1. ფერხულში მოძრაობენ მკლავჩაბმული ან კოშკურა მდგომარეობაში, იდაყვები განზე აწეული, წინამხრები ზევით ამართული და ნეკ-თითებით გადაბმული.

2. ხორუმში: – ხელჩაკიდებული, მკლავგაყრილი და სხვ.

ამიტომ საჭირო არაა მკლავების ყველა მდგომარეობის ჩამოთვლა. უნდა გვახსოვდეს: თითოეულ ცეკვას მისთვის დამახასიათებელი მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა აქვს და გაკვეთილის III ნაწილში სწორედ ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

გაკვეთილის მეორე ნაწილში, სასურველია, მოძრაობები საცეკვაო ილეთებს ემსგავსებოდეს.

მკლავების მდგომარეობის ცვლა

1. მკლავების მდგომარეობის ცვლა მეორე პოზიციაში

საწყისი მდგომარეობა: ხელი – I პოზიცია (განგაშლილი); ფეხები – I პოზიცია.

ერთი – მარჯვენა მკლავის იდაყვში მოღუნვა, წინამხრის შიგმიმართულებით მოძრაობა მანამ, სანამ ნებით ქვევითმიმართული ხელის დიდი (შუა) თითი გულმკერდს არ შეეხება. მარცხენა მკლავი – საწყისი მდგომარეობა.

ორი – მკლავების მდგომარეობის შეცვლა მოკლე (ახლო) გზით: მარჯვენა მკლავის განზე გაშლა, მარცხენის იდაყვში მოხრა, თარაზული მიმართულებით წინამხრის ისეთივე მდგომარეობაში მოსვლა, როგორშიც მანამდე მარჯვენა მკლავი იყო.

ეს მოძრაობა რამდენიმეჯერ (8-16ჯერ) უნდა განმეორდეს.

2. მეორე პოზიციაში მკლავების მდგომარეობის ცვლა ჩაგრეხით

მეორე პოზიციიდან განზე გაშლილი მკლავის ხელისგულით ზევით შებრუნება და იდაყვის სახსარში თანდათან ისე მოხრა, რომ წინაწყრთამ (წინამხარმა) ზევით იმოძრაოს და რკალის შემოხაზვით მოვიდეს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც მანამდე იყო მეორე მკლავი, რომელიც ერთდროულად ქვერკალის შემოხაზვით განზე გაიშლება. ჩაგრეხით მოძრაობის დროს იდაყვები თითქმის არ იცვლის ადგილს. მოძრაობის დასასრულს მოღუნული მკლავის იდაყვის ოდნავი ზეაწევა, განზე გამართული მკლავის ოდნავი ქვედაწევა.

3. მკლავების მდგომარეობის ცვლა მესამე პოზიციაში სრულდება ერთ თვლაზე მარტივი მოძრაობით, ამიტომ ახსნას არ საჭიროებს.

4. მკლავების გადატანა მეორე პოზიციიდან მეოთხეში

მოღუნული მკლავის ქვედაქნევით განზე გაშლა, შემდეგ ორივეს ზევით აწევა – ირმულამდე ასვლა.

შესაძლებელია ამ მოძრაობის სართავებით შესრულება: სართავები იწყება განგაშლილ მდგომარეობიდან და დასრულდება ირმულაში მოსვლისთანავე.

5. ირმულადან განდაქნევით მეორე პოზიცია

ცალი მკლავის განზე გადაშლა, მეორეთი გარეგადაქნევით რკალის შემოხაზვა და ქვევიდან მეორე პოზიციაში აწევა.

ეს რამდენიმე მაგალითი გვიჩვენებს, რომ მკლავების მდგომარეობა შეიცვლება

სხვადასხვანაირად, როგორადაც ხელსაყრელია: ახლო თუ შორი გზით, ხელსართავებით, უიმისოდ და სხვ. მკლავების მდგომარეობათა შეცვლისას აუცილებელია მითითება, მაგალითად: *ირმულა მდგომარეობიდან შიგრკალებით განგაშლა.* ეს ნიშნავს, რომ მეოთხე პოზიციიდან ორივე მკლავით შესრულდება შიგრკალები და მიმკლავის შემდეგ განზე (პირველ პოზიციაში) გაიშლება.

გაკვეთილზე მკლავების მდგომარეობის ცვლის სწავლებისას, საჭიროა, ჯერ ადვილ ხერხს მივმართოთ, შემდეგ – რთულს.

მკლავების მოძრაობა

გამართული მკლავების მოძრაობისას ნაწილობრივ ვხმარობთ ტანვარჯიშის ტერმინებს, რომლებიც აადვილებს მდგომარეობა-მოძრაობის გაგებას.

1. ზემკლავი – მკლავები ზევით.
2. განმკლავი – მკლავები განზე.
3. წინმკლავი – მკლავები წინ.
4. მიმკლავი – მკლავები ქვევით.
5. უკუმკლავი – მკლავები უკან.

თუ გამართული მკლავები მოძრაობს ირიბი ან ნაირმიმართულებით, ძირითად დასახელებას წინ ემატება მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვა, მაგალითად: გარე-წინმკლავი, შიგ-წინმკლავი, ქვე-წინმკლავი, გარე-ზემკლავი, ქვე-შიგ-წინმკლავი, მარჯვნივ წინმკლავი, ქვე-განმკლავი და ა.შ.

გამართული მკლავების მოძრაობისას მოძრაობს მხრის სახსარი. ნაირმხრივი მოძრაობისას საჭიროა თითოეულ მკლავის მოძრაობის დასახელება, მაგალითად: „მარჯვენა წინმკლავი“, „მარცხენა განმკლავი,“ ეს ნიშნავს, რომ მარჯვენა მკლავი წინ უნდა მიიმართოს, მარცხენა – განზე.

სწავლების პირველი წლის დასაწყისში, მკლავების პლასტიკური მოძრაობის დამუშავებას (განსაკუთრებით ქალებთან) დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ამიტომ ნებისმიერი მიმართულებით გამართული მკლავების მოძრაობისას, მოძრაობს ჯერ მაჯა, შემდეგ – მოკლე სართავებით თითები._

№1 მოძრაობა მიმკლავიდან განმკლავამდე და პირიქით.
საწყისი მდგომარეობა: მიმკლავი, ფეხები – III პოზიცია.

ერთი – მკლავების განზე გაშლა (მოძრაობა მხრისა და მაჯის სახსრებში).

ორი – მიმკლავი.
(ვარჯიში განმეორდება 8-16-ჯერ).

№2 მოძრაობა მიმკლავიდან – წინმკლავამდე და პირიქით.
საწყისი მდგომარეობა – იგივე.

ერთი – მკლავების წინ აწევა.
(მოძრაობა განმეორდება 8-16-ჯერ).

№3 მიმკლავიდან მკლავების მოძრაობა: მარჯვენა – წინ (წინმკლავამდე), მარცხენა – განზე (განმკლავამდე) და პირიქით.

ერთი – მიმკლავიდან მკლავების მოძრაობა: მარჯვენა – წინმკლავამდე, მარცხენა – განმკლავამდე.

ორი – მკლავების ქვედაშვება.
(მოძრაობა განმეორდება **8-16**-ჯერ).

№4 როგორც **№3** მოძრაობა: მარცხენა მკლავის მოძრაობა მხოლოდ წინ, განზე – მარჯვენის, ე.ი. სრულდება №3 მოძრაობა მეორე მხარეს.

№5 მიმკლავიდან მკლავების მოძრაობა: წინიდან ზევით და ზევიდან წინმკლავის გავლით უკუმკლავამდე.
საწყისი მდგომარეობა: მიმკლავი. ფეხი – III პოზიცია.

ერთი-ორი – მკლავების მოძრაობა წინიდან ზევით – ზემკლავამდე, ნები მიმართულია ჯერ ქვევით და შემდეგ – წინ.

სამი-ოთხი – მკლავების მოძრაობა წინიდან ქვევით და შემდეგ უკან (ნების მიმართულებით – ჯერ წინ, წინმკლავის გავლის შემდეგ – თანდათანობით ქვევით).
(ვარჯიში განმეორდება **8-16-ჯერ**).

№6 წინმკლავიდან მკლავების მოძრაობა ნაირმიმართულებით (ქვევით-ზევით).
საწყისი მდგომარეობა: წინმკლავი, ფეხი – III პოზიცია.

ერთი – მარჯვენა მკლავის აწევა ზეწინმკლავამდე, მარცხენის – ქვეწინმკლავამდე.

ორი – მარჯვენა მკლავის ქვეწინმკლავამდე დაწევა, მარცხენის – ზეწინმკლავამდე.

შენიშვნა: ამ მოძრაობის შესრულებისას **ერთზე** მარჯვენა მკლავის მაჯა მოძრაობს ზევით, თითები ქვევითაა დაშვებული. მარცხენის მაჯა – ქვევით, თითები – ზევით. შემდეგ თვლაზე – პირიქით. უნდა გვახსოვდეს: რომელი მიმართულებითაც უნდა იყოს მოძრაობა – მაჯებმა უნდა დაასწროს თითების მოძრაობას.

№6-ში აღწერილი მკლავების მოძრაობები შეიძლება სხვადასხვანაირად შესრულდეს: ერთდროულად, ნაირდროულად, თანამიმდევრულად, ერთი მიმართულებით, ნაირმიმართულებით, დიდი ან მოკლე ამპლიტუდით, ნების სხვადასხვა მდგომარეობით და სხვ. მოძრაობათა შესაფერისად ათვისების შემდეგ, შესაძლებელია, მათს ნაერთებზე გადასვლა, ტემპის ცვლა და მკლავმოძრაობის ზეტანისა და ფეხების მოძრაობებთან შეერთება.

მკლავების სამსახსროვანი მოძრაობა

მკლავების სამსახსროვანი მოძრაობა ნიშნავს ერთდროულად მოძრაობას მხარის, იდაყვისა და მაჯის სახსრებში.

რბილი სამსახსროვანი მოძრაობა ისწავლება პირველ პოზიციაში: მკლავები განზეა გაშლილი, ორივე ხელის ნები მიმართულია ქვევით.
სწავლების დასაწყისში ეს მოძრაობა უნდა შესრულდეს ნელ ტემპში – სამ სათვალავზე, შემდეგ ორ და ბოლოს – ერთზე.

№7 მკლავების რბილი სამსახსროვანი მოძრაობა – ტალღურა.
საწყისი მდგომარეობა: ხელი – I პოზიცია, ორივე ხელის თითი თავისუფლად დაშვებული, ფეხი – III პოზიცია.
მუსიკალური ზომა – 3/4.

გარე ტაქტი – ორივე მკლავის მცირედ მოღუნვა იდაყვის სახსარში, მტევნების ოდნავ მხრებისაკენ მოწევა.

ერთი – მკლავების ქვეგანმკლავისაკენ მოძრაობა და რბილად იდაყვებში გამართვა, მაჯების ქვევით დაწევა, თითების ოდნავ ზეაწევა.

ორი – გამართული მკლავების საწყისი მდგომარეობისაკენ რბილად მოძრაობა (მაჯის მოძრაობას მისდევს თითები).

სამი – ორივე მკლავის იდაყვის სახსარში ოდნავ მოღუნვა და ისე მოძრაობა, როგორც

აღწერილი იყო ტაქტის წინა თვლაზე **და** (გამეორდება 16-32 ჯერ).
ამრიგად, სამ თვლაში მკლავები ტალღისებურად, რბილად მოძრაობს განგაშლილად (განმკლავი) და ორივე ხელის ნეკის ბოლოები ამ მოძრაობის პროცესში, ერთ ტაქტში პატარა წრეს შემოხაზავს.

ამ მოძრაობის დაწვრილებით შესწავლა-შეთვისების შემდეგ, მისი შესრულება შეიძლება ორ თვლაზე, ბოლოს ერთ ტაქტში ზომა 6/8 ან 3/4.
ტალღურა მოძრაობისას ხელის თითები მოძრაობს შემდეგნაირად: მტევნების მხრებისაკენ მოძრაობისას – ხელის თითები ერთმანეთს მიეკვრება, მხრების მოშორებისას – ერთმანეთს ოდნავ დაშორდება.

სამსახსროვანი ტალღურა მოძრაობისას ხელის თითები უნდა „სუნთქავდნენ".
ამ ვარჯიშის სწავლებისას საყურადღებოა: მკლავები იდაყვის სახსრებში ძალიან არ უნდა მოიღუნოს.

№8 იგივე **№7,** ოღონდ წინმკლავი.

№9 იგივე **№7** და **№8**: მაგრამ, თუ მარჯვენა წინმკლავში იქნება, მარცხენა განმკლავში მოძრაობს – მარჯვენა მკლავით სრულდება ვარჯიში №7, მარცხენათი – №9. შემდეგ მკლავების მდგომარეობა შეიცვლება: მარცხენა წინმკლავი, მარჯვენა – განმკლავი.

№10 ტალღურა მოძრაობა ზემკლავი (ნები წინ. №7).

№11 – №7 და **№8** მოძრაობა შეერთებულად: 8 ტაქტში შესრულდება მოძრაობა №7, შემდეგი 8 – მოძრაობა №8.

№12 – № 7, 8, 9, 10.

ზემოაღწერილი მოძრაობების შესწავლისა და შეთვისების შემდეგ, შესაძლებელია, მათი შეერთება სვლებსა და ზეტანის მოძრაობებთან, ბრუნში და სხვ.

1. წინსვლა ერგცერებზე სამსახსროვანი ტალღურა მოძრაობით განმკლავში; თითოეულ ნაბიჯზე – თითო ტალღურა მოძრაობა.

2. მკლავების ტალღურა მოძრაობა (მკლავები განზე), ზეტანის მარჯვნივ და მარცხნივ ბრუნთან ერთად და ა.შ.

მკლავების წრისებრი და რკალისებრი მოძრაობა

№13 ირმულა მდგომარეობიდან დიდი შიგწრეები.
საწყისი მდგომარეობა: ხელი – IV პოზიცია, ნები – შიგნით; ფეხი – I პოზიცია.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი-ორი – შიგწრეები. ამ მოძრაობაში წრის რადიუსებს გამართული მკლავები ქმნის. მოძრაობის ცენტრი – მხრის სახსარი.
ამ ვარჯიშის შესრულებისას, მკლავებით 3/4-ით წრის შემოხაზვისა და მხრების სიმაღლის აცილების შემდეგ, მოცეკვავე თავს მაღლა წევს და ხელის მტევნებს უყურებს. მოძრაობაში დასაწყისიდანვე მაჯის სახსრები მონაწილეობს და არ ირღვევა ძირითადი წესი: რა მიმართულებითაც უნდა მოძრაობდეს მკლავები, მოძრაობა მაჯის სახსრიდან იწყება.

№14 ირმულა მდგომარეობიდან დიდი გარეწრეები.
საწყისი მდგომარეობა – №1.

ერთი-ორი – მკლავების იდაყვებში გამართვა, გარეგადაშლით წრეების შემოხაზვა – საწყისი მდგომარეობა.

№15 ირმულა მდგომარეობიდან დიდი შიგრკალები განმკლავამდე და ქვერკალებით საწყისი მდგომარეობა.
საწყისი მდგომარეობა: მკლავები – IV პოზიცია, ფეხი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 6/8.

I ტაქტი – **ერთი-ორი** – მკლავების შიგმიმართულებით რკალისებური მოძრაობა პირველ პოზიციამდე (განმკლავი).

II ტაქტი – **ერთი-ორი** – ქვერკალებით ისევ საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. რკალისებრი და წრისებრი მოძრაობები მეტწილად ხელსართავებით სრულდება, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ხელსართავების განმარტება.

ხელსართავი

ხელსართავი ეწოდება მტევნების წრისებურ ან რკალისებურ მოძრაობებს მაჯის სახსრებში. ხელსართავების შესრულება შეიძლება: ყოვნისას მკლავების სხვადასხვა მდგომარეობაში ან სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობისას: ზევით, ქვევით, წინ, უკან, მარცხნივ, მარჯვნივ, შიგნით, გარეთ, ერთდროულად, ნაირდროულად, მიმდევრობით.

ხელსართავის სახეებია:

1. დიდი ან სრული (თითებით შემოიხაზება წრე).
2. საშუალო (თითებით შემოიხაზება რკალი).
3. მცირე (მოძრაობა ნების ან ნების ზურგის მიმართულებით).
4. ხელსართავი ტკაცუნით ან თითების მოძრაობით (თითების ტკაცუნი წინ უსწრებს ხელსართავს; ხელსართავის შესრულების პროცესში ან დამთავრებისას თითები სხვადასხვანაირად მოძრაობს.

სრული ხელსართავი – ხელი I პოზიცია – განმკლავი.
საწყისი მდგომარეობა: ხელის I პოზიცია, ორივე ნები ქვევით.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გარე ტაქტი – და – ორივე ხელის ნების ზევით შებრუნება.

ერთი – თითებით ზევით რკალის მოხაზვა თითების ბოლოების დაშვებამდე.

ორი – მოძრაობა გარეთ და ზევით თითების ბოლოების ამ მიმართულების მიღებამდე.

შემდეგ ორივე ხელის ნების ისე შებრუნება, როგორც გარე ტაქტის **და**.

ამრიგად, ორივე სათვალავის შეერთებით, თითოეულ ტაქტში მთლიანი წრის შემოხაზვით მიიღება სრული ხელსართავი.

I პოზიციაშივე შეიძლება შესრულდეს ხელსართავი, კერძოდ, ქვესართავი: თითები ჯერ ქვევით მიემართება, შემდეგ – შიგნით და ბოლოს – ზევით.

შენიშვნა: ხელსართავი სახელწოდებას იმის მიხედვით იღებს, თუ საით მოძრაობს პირველად თითები: განმკლავი – ზევით, ქვევით; ზემკლავი – შიგნით, გარეთ, მარჯვნივ, მარცხნივ; წინმკლავი – ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ და ა.შ.

ზემოთ აღწერილი იყო ხელსართავები ყოვნისას, მაგრამ ხელსართავები უმეტესად მკლავების მოძრაობასთან ერთად სრულდება.

ქორეოგრაფიულ გაკვეთილზე ადვილი მოძრაობისას სრული ხელსართავები სრულდება:

1. IV პოზიციიდან შიგწრეებისა და შიგრკალების შესრულებისას.
2. ზემკლავიდან გარეზემკლავში გადასვლისას (გარეთ, ე.ი. ნეკების გადაცილებით).
3. გარეზემკლავიდან ზემკლავში გადასვლისას (შიგნით ე.ი. ცერების გადაცილებით).
4. ზემკლავიდან მარჯვნივ და მარცხნივ მკლავების გადაქანების დროს.
5. ზემკლავსა ან გარეზემკლავში გარესართავები თითების ტკაცუნით.
6. გარემკლავიდან წინმკლავში გადასვლისას – შიგამიმართულებით.
7. განმკლავიდან ზემკლავში გადასვლისას.
8. გულმკერდდახურულიდან (წინამხრები გულმკერდის წინაა) თარაზულ მდგომარეობაში:

ა) მკლავების წინიდან გარეგაშლის დროს და პირიქით.

ბ) მკლავების ქვედაქნევით გარეგაშლის დროს.

გ) მკლავების ზეაწევით გარეზემკლავში გადასვლისას.

9. ქვეწინმკლავიდან – უკუმკლავში გადასვლისას (ნეკების გადაცილებით).

10. უკუმკლავიდან (ხელის ნები წინმიმართული) ქვეწინმკლავში გადასვლისას.

11. მიმკლავიდან (მკლავების განზე გაშლით ან წინ აწევით) მოძრაობისას.

12. საქართულოდან ამავე მდგომარეობაში მეორე მხარეზე გადასვლისას და ა.შ.

აღწერილ მოძრაობებთან ერთად მცირე და საშუალო სართავებიც სრულდება. მცირე სართავები უმთავრესად მკლავების საშუალო ან მცირე რადიუსით მოძრაობისას ან პაუზისას.

ქალებთან მეცადინეობისას აუცილებელია სართავებზე ცალკე მუშაობა.
საყურადღებოა: სრული სართავები, რაც შეიძლება დიდი ამპლიტუდით შესრულდეს.

მკლავების მოძრაობათა ნაერთი

მკლავების რთულ ნაერთზე მუშაობა მხოლოდ მკლავების მდგომარეობა-მოძრაობების ცალკეული ელემენტისა და მარტივი ნაერთის კარგად შესწავლის შემდეგ შეიძლება, როცა ერთი მოძრაობიდან მეორეზე გადასვლა კარგად ერწყმის მუსიკის ტემპსა და რიტმს.

მოგვყავს მკლავების მოძრაობათა ნაერთის ერთ-ერთი მაგალითი.

საწყისი მდგომარეობა: მკლავები ქვედაშვებული – მიმკლავი; ფეხები – III პოზიცია.

მუსიკალური ზომა 6/8 (თვლა **ორზე**).

I ტაქტი

ერთი-ორი – მკლავების გარეგაშლა (განმკლავი ხელსართავებით).

II ტაქტი

ერთი – წინმკლავი (ნები ქვევით).

ორი – მკლავების აწევა IV პოზიციამდე (ნები მიმართულია შიგნით).

II ტაქტი

ერთი-ორი – შიგწრეები ხელსართავებით.

I ტაქტი

ერთი-ორი – გარეზემკლავი გარესართავებით.

II ტაქტი

ერთი-ორი – ორი სამსახსროვანი მოძრაობა: მარჯვენა – წინმკლავი, მარცხენა – განმკლავი.

I ტაქტი

ერთი-ორი – მკლავების მდგომარეობის სართავებით შეცვლა: მარცხენა – წინმკლავი, მარჯვენა – განმკლავი და სამსახსროვანი მოძრაობა ორჯერ.

II ტაქტი

ერთი – მკლავები მკერდდახურულ მდგომარეობაში (მარჯვენა წინამხარი მარცხენას ეხება ზევიდან. თითები იდაყვებს უსწორდება).

ორი – მკლავების გაშლა წინ წინმკლავამდე გარეხელსართავებით და ორივე ხელის ნების ზევით მოქცევა.

III ტაქტი

ერთი – შიგსართავებით მკლავების განზე გაშლა (ნები ქვევით).

ორი – მკლავების რბილად ქვედაშვება საწყის მდგომარეობამდე.

მკლავების მოძრაობათა მოყვანილი მაგალითი პირველწლიანთათვის თითქოს რთულია, მაგრამ, თუ ცალ-ცალკე, თანამიმდევრობით შეისწავლიან ზემომოყვანილ ნაერთს, – ჯერ I და II ტაქტს, შემდეგ – I, II, III-ს და ა.შ. – ნაერთს ადვილად შეასრულებენ.

მიმიკა, თავისა და ზეტანისა მოძრაობა

ცეკვაში ტექნიკა მხოლოდ საშუალებაა და არა მიზანია. მოძრაობით ადამიანი გადმოგვცემს თავის გრძნობებს, განცდებს, ემოციებს. ცეკვისას გარეგნული მდგომარეობა შინაგან განწყობასთან ორგანულ კავშირშია. ამიტომ საჭიროა, ყურადღება მიექცეს არა მარტო ტექნიკური ელემენტების დამუშავებას, არამედ ყოველი ილეთის, ილეთთა ნაერთისა თუ თვით ცეკვის ემოციურად და გამომეტყველად შესრულებას.

თავი ცეკვაში მნიშვნელოვან პლასტიკურ როლს ასრულებს. მკლავებიცა და თავიც გამომეტყველების არსებითი ფაქტორია. თავის მოძრაობა მკლავების, ზეტანისა და ფეხების მოძრაობასთან ყოველთვის ურთიერთკავშირშია. ადამიანის სხეულის ნაწილების კოორდინირებული მოძრაობის გარეშე შეუძლებელია ცეკვის გამომეტყველებითი შესრულება. ამიტომ ცეკვისას თავის მოხდენილი და შესაფერისი მდგომარეობა-მოძრაობის გამოძებნა – აუცილებელია.

ზედმეტია იმის თქმა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცეკვაში სახის გამომეტყველებას და რამდენად კარგავს ღირებულებას თუნდაც ტექნიკურად კარგად შესრულებული ცეკვა, როდესაც თვალები – გულის სარკე – და, საერთოდ, სახე უმეტყველოა. „მკვდარი“ სახე, მკლავების, ზეტანისა და ფეხების უსიცოცხლო მოძრაობასთან ერთად, ცეკვას ადუნებს, უკარგავს ეშხს, ელფერს, მაყურებელს კი ცეკვის მთლიანად შეგრძნებას. სახისა და თვალების გამომეტყველება ცეკვის შინაარსის განცდის საფუძველზე უნდა დაიბადოს. ამიტომ საჭიროა, ცეკვის სწავლების დასაწყისიდანვე გაითავისონ მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა.

ზეტანის მოძრაობა ქორეოგრაფიული გაკვეთილის მეორე ნაწილის ზოგად-მომამზადებელი ვარჯიშია. მისი მიზნია: ზეტანის განვითარება, გამაგრება და ელასტიკურობის გამომუშავება. იგი მრავალ მოძრაობას მოიცავს და სრულდება, როგორც ცალკე, ასევე კიდურების მოძრაობასთან ერთად.

ზეტანის ძირითადი მოძრაობებია: ზნექი (წინ, უკან, განზე), ბრუნვა და ტრიალი (მარჯვნივ, მარცხნივ). წინზნექი და უკუზნექიც შეიძლება შესრულდეს პირდაპირი და ირიბი მიმართულებით – ოდნავ, საშუალოდ და ღრმად.

განზნექი სრულდება მარჯვნივ და მარცხნივ (ერგზნექი ნიშნავს ოდნავ ზნექს), ზნექი სრულდება სხვადასხვა მდგომარეობაში: ქვედა კიდურები ფიქსირებულია, მაგალითად: ორივე ან ცალ მუხლზე დგომით, შეტყუპებული მუხლებჯდომით, თავისუფლად გამართული ფეხის განზე გადადგმით და სხვ.

ზეტანის მოძრაობისას ყურადღება ექცევა სწორ სუნთქვას. დაუშვებელია ზნექისას სუნთქვის შეჩერება. სავალდებულო შემდეგი წესი: თუ თავი იატაკს უახლოვდება, საჭიროა ამოსუნთქვა, თუ შორდება – შესუნთქვა. შესუნთქვა-ამოსუნთქვა ძალდაუტანებლად უნდა მოხდეს, ვინაიდან ყოველგვარი ზნექის დროს ფილტვები იკუმშება, ზეამართვისას – იშლება, ფართოვდება, რამდენადაც ღრმად იზნიქება ზეტანი, იმდენად ღრმა უნდა იყოს ამოსუნთქვა. თავბრუს დასხმა ან სახეზე სისხლის მოწოლა ნიშნავს, რომ სუნთქვა არასწორი და არაზომიერია, ამიტომ მოძრაობა უნდა შეწყდეს.

ზეტანის ტრიალი თანამიმდევრობით: წინზნექი, განზნექი და უკუზნექი. წინზნექი – ზნექი მარჯვნივ; უკუზნექი – ზნექი მარცხნივ; ან: წინზნექი – ზნექი მარცხნივ; უკუზნექი, – ზნექი მარჯვნივ. განზნექი – ზნექი მარჯვნივ ან მარცხნივ.

ზეტანი ბრუნავს მარჯვნივ ან მარცხნივ – წარმოდგენითი შვეული ღერძის ირგვლივ.

ზეტანის ვარჯიში

1. წინზნექი

საწყისი მდგომარეობა: ხელი – დოინჯი. ფეხი – III ან IV პოზიცია.
მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი-ორი – ზეტანის წინ დახრა, ხერხემლის თარაზულ მდგომარეობაში მოსვლამდე. სახის მიმართულება – პირდაპირი. ამოსუნთქვა.

სამი-ოთხი – ზეტანის გამართვა და საწყის მდგომარეობაში მოსვლა. შესუნთქვა.
ვარჯიში გამეორდება 4-8 ჯერ.
წინზნექის შესრულებისას ფეხები მუხლის სახსრებში არ უნდა მოიღუნოს. წინზნექი სრულდება დინჯად და სუნთქვის შეუჩერებლად.

2. უკუზნექი

საწყისი მდგომარეობა: როგორიც №1 ვარჯიშის დროს.

ერთი-ორი – ზეტანის უკან გადაზნექა. თავის ოდნავ უკან გადაწევა (უკუზნექისას ფეხები მუხლის სახსრებში არ უნდა მოიღუნოს).

სამი-ოთხი – ზეტანი საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.
ვარჯიში სრულდება 4-8-ჯერ.
წინზნექიც და უკუზნექიც შეიძლება შესრულდეს ნახევრად – ერგზნექითა და ერგუკუზნექით.

3. ღრმა წინზნექი

საწყისი მდგომარეობა – იგივე.

ერთი-ორი – ზეტანის, რაც შეიძლება ღრმად, წინ გადაზნექა, თავის დახრა და სახის გამართულ ფეხებთან მიახლოება.

სამი-ოთხი – ზეტანის თანდათან გამართვა და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.
ვარჯიში სრულდება 4-8-ჯერ.

4. ღრმა უკუზნექი

საწყისი მდგომარეობა – იგივე.

ერთი-ორი – ზეტანის ღრმად უკან გადაზნექა. თავის უკან გადაწევა.

სამი-ოთხი – ზეტანის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.
ვარჯიში სრულდება 4-8-ჯერ.

5. განზნექი მარჯვნივ და მარცხნივ

საწყისი მდგომარეობა – იგივე.

ერთი-ორი – ზეტანის მარჯვნივ გადაზნექა, სახის ოდნავ მარჯვნივ შებრუნება.

სამი-ოთხი – ზეტანის ჯერ გამართვა, შემდეგ მარცხნივ გადაზნექა, სახის ოდნავ მარცხნივ მიბრუნება.

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. შესრულდება – 4-8-ჯერ. მარჯვნივ განზნექისას მენჯი მარცხნივ გაიწევს, მარცხნივ განზნექისას – მარჯვნივ.

6. წინზნექი ირიბი მიმართულებით

შესრულდება როგორც №1 ვარჯიში, მხოლოდ არა სწორი, არამედ ირიბი მიმართულებით: წინ – მარჯვნივ ან წინ – მარცხნივ.

7. უკუზნექი ირიბი მიმართულებით

შესრულდება უკან – მარჯვნივ ან მარცხნივ.

8. ზნექების მარტივი ნაერთი

საწყისი მდგომარეობა – იგივე

ერთი-ორი – წინზნექი.

სამი-ოთხი – უკუზნექი.

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. შესრულდება 4-8-ჯერ.

9. ზეტანის ბრუნვა მარჯვნივ და მარცხნივ

საწყისი მდგომარეობა: გამართული დგომა III პოზიციაში, მკლავები – პირველი პოზიცია (ქვენები).

მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი-ორი – ზეტანის მობრუნება მარჯვნივ 90^0-ზე, მკლავები – პაუზა.

სამი-ოთხი – ზეტანის მობრუნება მარცხნივ 180^0-ზე, მკლავები – პაუზა.

შემდეგ ტაქტებზე ზეტანი ბრუნავს თითოეულ მხარეს 180^0-ით.

ზეტანის ბრუნვისას თავის სწორად დაჭერა ან სახის იქით მიბრუნება, საითაც ზეტანი ბრუნავს.

ზეტანის ბრუნვა (ვარჯიშის სახით) შეიძლება ცალ ან ორივე მუხლზე დგომით. ამ შემთხვევაში ქვეტანის „უმოძრაობა“ უფრო დაცულია.

აღწერილი ვარჯიში რთულდება მკლავების მოძრაობით, სართავებით, ტემპის აჩქარებით და სხვ.

სრულდება 8-16-ჯერ.

10. ზეტანის ტრიალი

ტრიალისას ზეტანით სრულდება წინ, უკუ და განზნექი.

საწყისი მდგომარეობა: ჩოქილჯდომი.

მუსიკალური ზომა – 4/4/ ან 12/8.

ერთი – დაბალი წინზნექი, ზეწინმკლავი.

ორი – ზნექი მარჯვნივ, ადგომის დაწყება.

სამი – უკუზნექი, ზემკლავი, ადგომა.

ოთხი – ზნექი მარცხნივ. ზემკლავი – მკლავების ოდნავ მარცხნივ დახრა, დაწევა ჯდომისათვის.

შემდეგი ტაქტი ისევე წინზნექიდან იწყება.

ვარჯიში უნდა შესრულდეს ორივე მიმართულებით თანაბრად: 4-ჯერ მარჯვნივ, 4-ჯერ მარცხნივ.

შენიშვნა:

1. ჩოქილდგომში წინზნექის დროს დაჯდომისას დუნდულები ქუსლებს უნდა ეკარებოდეს. თავი ზომიერად მაღლა აწეული. მეორე სათვალავის დაწყებისას თანდათან მუხლებზე წამოდგომა, მესამეზე – მთლიანად მუხლებზე დგომა, მეოთხეზე – თანდათან დასაჯდომად მომზადება და შემდეგი ტაქტის პირველ თვლაზე სრულად დაჯდომა.

2. უკუზნექისას თავი ზომიერად იხრება უკან.

11. ღრმა წინზნექი და ღრმა უკუზნექი მკლავების მოძრაობასა და სართავებთან ერთად

საწყისი მდგომარეობა: ჩოქვა ორივე მუხლზე, მკლავები განშლილი (I პოზიცია).

ერთი-ორი – დაჯდომა, ღრმა წინზნექი; მკლავები – თანდათან ზეწინმკლავი ან ზემკლავი.

სამი-ოთხი – ზეტანის გამართვა მუხლებზე ადგომით. მკლავები – ზემკლავი, უკუზნექი და მკლავების განზე გაშლა.

მომდევნო ტაქტის დასაწყისი: მკლავების დინჯი ქვედაშვება, შემდეგ – პირველი სათვალავი.

ხელსართავები: **ერთის** წინ – შიგხელსართი; **სამი-ოთხის** შუალედში – გარესართი.

სრულდება 4-8 ჯერ.

12. მარჯვნივ და მარცხნივ ზნექი მკლავების მოძრაობასა და ხელსართავებთან ერთად

საწყისი მდგომარეობა: მარცხენა მუხლზე დგომა, გამართული მარჯვენა ფეხის გარეთ გადგმა და შიგა ტერფით დაყრდნობა. ფეხის ცერები – გამართული, მკლავები – განგაშლილი.

ერთი-ორი – ზნექი მარჯვნივ, მარჯვენა მკლავის ხელისგულით განზე გადგმულ ფეხის კოჭთან შეხება, მარცხენა მკლავით შიგხელსართავი, IV პოზიციის გადაცილება (რკალგვარ მოძრაობით) და მარჯვენა ხელის ზურგზე ნებით დაკარება.

სამი-ოთხი – ზნექი მარცხნივ, მარცხენა მკლავის ზერკალით მარცხნისაკენ მოძრაობა, გარესართის შესრულება და ხელის გულით იატაკს დაყრდნობა. მარჯვენა მკლავის კოჭს მოცილება და, რკალგვარი მოძრაობითა და შიგსართავით, მესამე პოზიცია. თავი – სწორად. შემდეგი ტაქტი – ისევ მარჯვნივ ზნექი, მხოლოდ მარჯვენა მკლავის გარესართავით მოძრაობა, მარცხენა მკლავის შიგსართავი და ზემოაღწერილი წესით ვარჯიში, რომელიც უნდა შესრულდეს მარცხენა ფეხის განზე გადგმითაც. თითოეულ მხარეს 4-8 ჯერ.
ხელსართავები თანამიმდევრულად სრულდება.

ზეტანის ვარჯიშის ადგილზე სათანადოდ შეთვისების შემდეგ, საჭიროა ზნექების შესრულება სვლებსა და სხვა სახის მოძრაობებთან ერთად.

სწავლების მთელ პერიოდში ზეტანის მოძრაობა უნდა სრულდებოდეს ნელ ან ზომიერ ტემპში.

გამართული დგომიდან ორივე მუხლზე ჩოქი ასე შესრულდება: მაღალ ერგცერებზე აწევა, შეტყუპებული მუხლებით ბუქნი (თანდათანობით), მუხლებით იატაკს შეხება, შემდეგ ფეხის ცერების უკან გაშლა და ქუსლებით დაჯდომა.

საწყის მდგომარეობაში დაბრუნება: ჯდომიდან ოდნავ ზეწამოწევა, ფეხის ცერების შემოკრეფა – იატაკს დაბჯენა, ენერგიულად და ბიძგით დუნდულებით კვლავ ქუსლების შეხება, ზეტანით ოდნავ უკუგადახრა (ამ დროს მუხლები იატაკს სცილდება) და ერგცერებზე დაყრდნობით ადგომა.

ზეტანის მოძრაობათა ნაერთი

ვარჯიში 1 + 2
ვარჯიში 3 + 4
ვარჯიში 1 + 2 + 5
ვარჯიში 6 + 7
ვარჯიში 1 + 2 + 9
ვარჯიში 1 + 2 + 3 + 4 + 5
ვარჯიში 1 + 2 + 3 + 4 + 5 + 9 + 10 და ა.შ.

ზეტანის მოძრაობები შეიძლება შესრულდეს საცეკვაო ილეთების მანერით, რომელთა კოლორიტულად შესასრულებლად, მკლავების, მხრებისა და თავის მონაწილეობასთან ერთად, ხელსართავებიც აუცილებელია.

შენიშვნა: ზეტანის ზემოაღნიშნული ვარჯიშები ოთხთვლიანია, თუმცა მათი შესრულება ორზეც შეიძლება, მაგრამ სწავლების პირველ ეტაპზე უმჯობესია, ნელ ტემპში ოთხზე შესრულდეს.

ზეტანის მოძრაობები მნიშვნელოვანია ქალთა ცეკვებში, ამიტომ ქალებთან ზეტანის მოძრაობას დიდი ადგილი უნდა დაეთმოს.

ზეტანის მოძრაობები გამოიყენება გაკვეთილის მესამე ნაწილში (სხვებშიც): საცეკვაო ელემენტების სახით მკლავებისა და ფეხების მოძრაობასთან ერთად როგორც ადგილზე, ასევე სხვადასხვა სვლისა და ილეთის შესრულებისას.

მხარსართავი სრულდება ცალკე მოძრაობისა თუ კიდურების სხვადასხვა მოძრაობასთან ერთად: წინ, უკან, ზევით, ქვევით, ერთდროულად, ნაირდროულად, მიმდევრობით, სრული და არასრული ამპლიტუდით.

სცენის დაგეგმვა

სცენა სხვადასხვა მოხაზულობის და ფორმისაა: ოთხკუთხედი – მაყურებელი ცალ მხარეზე, ნახევარწრისებრი ან ნახევრადოვალური – მაყურებელი წინა ხაზის პარალელურად და წრეგვარი – მაყურებელი ირგვლივ.

რა მოხაზულობისაც უნდა იყოს სცენა, მოცეკვავისათვის საჭიროა საორიენტაციო წერტების ცოდნა, მაგალითად, სცენაზე: ავანსცენა, არიერსცენა, მარჯვენა კულისი, მარცხენა კულისი; ნახევარწრისებრ სცენაზე: ცენტრი, მაყურებლის მხარე, მარჯვენა და მარცხენა მხარეები; წრეგვარზე (სტადიონსა ან მოედანზე): სამოქმედო ცენტრი, გამოსასვლელი ადგილები და მაყურებლის რომელიმე მხარე – ცეკვის მიმართულების განსასაზღვრად.

სცენის (საცეკვაო ბაქნის) პირობით საორიენტირო ხაზებად და წერტებად დაგეგმვის მიზანია:

1. პირობითი ხაზებისა და წერტების დასახელებით გაადვილდეს მითითებების სიზუსტე.
2. გაიოლდეს ამოცანის გაგება-შესრულება: ადგილის სწრაფად მოძებნა, მიმართულების აღება ან შეცვლა, სვლის ნაერთების შესრულება, ადგილიდან ადგილზე გადასვლა და სხვ.
3. გაადვილდეს ცეკვის ჩაწერა, მასწავლებელისა თუ მოცეკვავისათვის ჩაწერილის წაკითხვა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საცეკვაო ბაქნის დაგეგმვა ქვემომოყვანილი სქემის მიხედვით. ვფიქრობთ, იგი გამოსადეგი იქნება ნებისმიერი მოხაზულობისა და ფორმის სცენისათვის (ნახ I).



ნახ. I

პირველი ნახაზი – ოთხკუთხედი (კვადრატი) შიგ ჩახაზული წრით, რომელიც კვადრატის ოთხივე მხარეს ეხება (წერტები **1, 3, 5 ,7**), წრის ცენტრი აღნიშნულია **ც**-თი, ცენტრიდან გაყვანილია **8** რადიუსი (**ც1, ც2, ც3, ც4, ც5, ც6, ც7, ც8**) ერთმანეთისაგან 45^0-ითაა დაშორებული. რადიუსები – **ც1, ც3, ც5 და ც7** – კვადრატის თვითეულ გვერდის შუა ადგილს ეხება; რადიუსები – **ც2, ც4, ც6, ც8** – გადაჭრის წრის ხაზს და მიემართება კვადრატის კუთხეებისაკენ.

მაყურებელი ნახაზზე აღნიშნულია **2ა, 1 და 8ა** ხაზის პარალელურად – ერთ მხარეს.

ამრიგად, ზემომოყვანილი ნახაზი წარმოადგენს კვადრატს შიგ ჩახაზული წრით და მისი ცენტრიდან სხივისებურად გამოსული **8** რადიუსით. ამ **8**-დან **4** გადაჭრის წრის საზღვრებს (წყვეტილ ხაზებს) და კვადრატის კუთხეებს ეხება (წრის ხაზის გადაცილებით გაგრძელებული რადიუსები აღინიშნება იმავე ციფრებით, მხოლოდ ასო **ა** ემატება).

წერტები **ც** და **1** ყოველთვის მიმართულია მაყურებლის ხაზის შუა ადგილისაკენ.

მეორე ნახაზი (ნახ. II): ოთხკუთხედია, რომლის სიგანე დიდია სიღრმეზე და მაყურებელი ერთ მხარეს – **2**, **1** და **8ა** ხაზის პარალელურად იმყოფება. ცენტრში ჩახაზული წრე ბაქნის მხოლოდ ორ საზღვარს ეხება (**1** და **5**), დანარჩენი ექვსი რადიუსი გადაჭრის წრეს და ბაქნის საზღვრებს უერთდება. აქ ახალი არაფერია – საორიენტირო წერტებიცა და ნუმერაციაც იგივე რჩება.

რაც შეეხება წრეზე მოძრაობის მიმართულების დასახელებას, აქ პირობითად უნდა შევთანხმდეთ: თუ წრეშემოვლისას მოცეკვავის მარცხენა მხარე ცენტრს მიემართება, მოძრაობას *მარცხნივ* მოძრაობა ვუწოდოთ, თუ პირიქით – *მარჯვნივ*. მოძრაობა **1, 8, 7, 6, 5, 4, 3, 2** წერტების თანმიმდევრულად გავლით იქნება – მარცხნივ წრეშემოვლა, ხოლო **1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8** წერტების გავლით – მარჯვნივ წრეშემოვლა. მარჯვნივ ან მარცხნივ წრეშემოვლა დიდსა თუ მცირე წრეებზე ამ პრინციპს ექვემდებარება.



ნახ. II

მესამე ნახაზი (ნახ. III) ნახევარწრისებრია და სწორი გვერდით მაყურებლისკენაა მიმართული (ხშირად ასეთი მოხაზულობისაა საესტრადო სცენები ე.წ. „რაკოვინები"). ნახაზიდან ჩანს, რომ ცენტრიდან შემოხაზული წრე ბაქნის ორ მხარეს ეხება: წინა სწორი ხაზის და სიღრმეში ოვალური ხაზის შუა ადგილებს.



ნახ. III

ამ ნახაზზე ახალ წერტებს ვერ ვხედავთ გარდა იმისა, რომ რადიუსების ც3-ისა და ც7-ის გაგრძელება უფრო დიდია, ვიდრე **ც2, ც8, ც4, ც6**-ისა. ამრიგად, პირველ და მეორე მაგალითში მოყვანილი საორიენტირო წერტები დიდად არ განსხვავდება ოვალური სცენის საორიენტირო წერტებისაგან.

მეოთხე ნახაზი (ნახ. IV) ნახევრადოვალურია და ოვალი მაყურებლისკენაა მიმართული (იშვიათ შემთხვევაში). აქაც საორიენტირო წერტები სავსებით ისეთივეა, როგორიც წინა შემთხვევაში.



ნახ. IV

დასკვნამდე განვიხილოთ ბოლო, მეხუთე (ნახ. V) მაგალითი – მაყურებელი წრის ირგვლივ. აქ ყველაფერი გასაგებია: წრის ფართობი ისევეა დაგეგმილი, როგორც წინა ნახაზებში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დასადგენია საორიენტირო ნიშნების – **ც**-სა და 1-ის ადგილი – რომელი მხარისკენ უნდა მიეცეს მოძრაობას „პირითი მიმართულება“. უმეტესად ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ მხარეზეა გამოსასვლელი ან სადაა მთავარი ტრიბუნა. აუცილებელია მიმართულების 5-დან 1-საკენ დადგენა, დანარჩენი წერტები კი თავისთავად განრიგდება დაგეგმვის ზემომოყვანილი პრინციპის შესაბამისად.

ხუთივე შემთხვევაში საორიენტირო წერტები: ცენტრი, რადიუსები, დიდი წრე ერთნაირადაა დანომრილი. წერტების დასახელება და ნუმერაციაც ადვილად დასამახსოვრებელია.



ნახ. V

VI სურათი – სცენის ყუთი, რომლის ძირშიც მოთავსებული ნახაზი შეეფარდება მეორე მაგალითის მოხაზულობას: წრის დიამეტრი 1-5 სცენის სამოქმედო ფართობს ორ თანაბარ – მარჯვენა და მარცხენა – ნაწილად ყოფს, წრის დიამეტრი 3-7 კი – წინა და უკანა თანაბარ ნახევარნაწილებად. კუთხეებამდე გაგრძელებული დიამეტრი 2-6 ან 4-8 ქმნის ირიბ ხაზს, რომლითაც სცენის ფართობი ორ თანაბარ სამკუთხედად იყოფა.

ამრიგად, სრულიად საკმარისია, შემსრულებელმა ამ პრინციპით მხოლოდ რადიუსთა განლაგების თანამიმდევრის ნუმერაცია დაიმახსოვროს, რომ წარმოდგენით ყველა სახისა და ფორმის სცენაზე ადვილად იპოვოს ცენტრი, სამოქმედო ადგილის საზღვრები და რადიუსთა მიმართულება და, თუ ეს დასკვნა დამაჯერებელია, დამაჯერებელი იქნება ისიც, რომ შემსრულებელი ადვილად მიხვდეს ხელმძღვანელის მოთხოვნა-კარნახს ამა თუ იმ მიმართულებით მოძრაობისათვის, თანაც საშუალებას მოგვცემს:



ნახ. VI

1. ადვილად აღვნიშნოთ ან ჩავწეროთ ცეკვის კვალითი ნახაზი.
2. წავიკითხოთ ჩაწერილი ცეკვის სვლაგეზი.
3. მეცადინეობის ან რეპეტიციის დროს ვუკარნახოთ მოძრაობის მიმართულება, განრიგების მოხაზულობა ან ადგილმდებარეობა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: შეძლებს თუ არა შემსრულებელი ცენტრში ან სახით მაყურებლისკენ არყოფნისას მასწავლებლის კარნახზე მიიღოს საჭირო მდგომარეობა ან ამოძრაოს კიდურები, ზეტანი და თავი?

ცხადია, არა. დაგეგმვის წესი მხოლოდ დანიშნული ადგილის მოძებნისა და სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის სწორად შეცვლის საშუალებაა. რაც შეეხება სხეულის ნაწილების (კიდურების, ზეტანის, თავის) მოძრაობებს ან მიმართულებებს, მით უმეტეს, თუ შემსრულებელი სახით არა **ც**-1 რადიუსის (მაყურებლისკენ), არამედ სხვა მიმართულებით დგას, თუნდაც სცენის მიჯნაზე – ეს სისტემა მას ვერ დაეხმარება. საჭიროა, შემუშავდეს ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის მითითებისას კიდურების, ზეტანისა და თავის სასურველ მიმართულებით მოძრაობას. ამისათვის მისაღებად მიგვაჩნია შემდეგი: რომელ ადგილზეც და სახით რა მიმართულებითაც უნდა იდგეს შემსრულებელი, საყრდენი ადგილი წარმოდგენითი წრის ცენტრად უნდა იგულისხმოს, სახის პირდაპირი მიმართულება – პირველ რადიუსად. ამგვარად, თუ შემსრულებელმა იცის საკუთარი *ცენტრისა* და *პირველი რადიუსის* ადგილმდებარეობა, მისთვის დანარჩენი წერტისა და ხაზის განრიგებაც ცნობილი იქნება.[1]



ნახ. VII

იმისათვის, რომ მოცეკვავეს მოედნის ცენტრი და რადიუსები *საკუთარ ცენტრსა და რადიუსებში* არ აერიოს, საჭიროა: კარნახის წინ მასწავლებელმა აღნიშნოს:

1. ბაქნის ფართობის წერტებზე ორიენტირებისათვის – ბაქანზე!...

1 შენიშვნა: ზედმეტი არ იქნებოდა, ზემოხსენებულ 9 საორიენტირო წერტის გარდა საორიენტირო ხაზად ჩაგვეთვალა: 1-5 – მთავარ მაგისტრალურ ხაზად, 3-7 – გაგრძელებებით – მთავარ ფრონტალურ ხაზად. ეს დაგვეხმარება სვლების ჩაწერასა და მოსწავლეთა განრიგებაში.

2. მოცეკვავის საკუთარი ორიენტირისათვის – საკუთარ ....!

ცეკვის ჩაწერისას საჭიროა ბაქნის ხაზსა და წერტს მიეწეროს: **ბქ**, საკუთარ წერტსა და ხაზსს – **სკ**.

საცეკვაო მუსიკა

ხალხური საკრავები, – დუდუკი, ზურნა, დოლი, დაირა ჭიბონი, სალამური, სტვირი, დიპლიპიტო, ჩონგური, ფანდური, ჭიანური და სხვ. – ქორეოგრაფიულ წრეში მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. უფრო ადვილად საშოვნელი და გამოსაყენებელია (სოფლად) დოლი და დაირა. ისინი, მართალია, მელოდიურ ფაქტურას ვერ გადმოსცემს, სამაგიეროდ, მკაფიოდ და მკვეთრად გამოხატავს რიტმს.

ასევე გამოსაყენებელია არაქართული, მაგრამ ხალხში ფართოდ გავრცელებული გარმონი, ბაიანი და სხვა საკრავები. საჭიროა, თითოეული საკრავი ან საკრავთა ჯგუფი გაკვეთილზე, რეპეტიციისას თუ საჯარო გამოსვლის დროს მიზანშეწონილად გამოვიყენოთ, თითოეული ცეკვისათვის მართებულად და შესაფერისად შეირჩეს მუსიკალური მასალა.

ზოგჯერ ერთსა და იმავე საცეკვაო მელოდიას სხვადასხვა ხასიათის, მოხაზულობისა და შინაარსის ცეკვისათვის იყენებენ, თანაც ერთ პროგრამაში, რაც დაუშვებელია. თუ წრეს აქვს ფორტეპიანო და ჰყავს მუსიკოსი, შესაძლებელია ცეკვების დამუშავება ქართველ კომპოზიტორთა საცეკვაო მუსიკის მასალაზე, მაგალითად: ზ. ფალიაშვილის *ქართული, მირზაია და მხედრული* ოპერა *აბესალომ და ეთერიდან*; *ფერხული, ქართული, კეჭნაობა* და *მთიულური* ოპერა *დაისიდან*; დ. არაყიშვილის *თუშ ქალთა ცეკვა, სათამაშო* და *დავლური* ოპერიდან *თქმულება შოთა რუსთაველზე*; მ. ბალანჩივაძის *ქალთა ცეკვა* და *მხედრული* ოპერა *დარეჯან ცბიერიდან*; შ. მშველიძის *ფერხული, მხედრული, ქალთა ცეკვა* ოპერიდან *ამბავი ტარიელისა*; აკ. ანდრიაშვილის *მწყემსური, დავლური და ხანჯლური* ოპერიდან *კაკო ყაჩაღი*; *სახუმარო და მხედრული* ოპერიდან *ლაშქარა*; გ. კილაძის *ხორუმი* ოპერიდან *ლადო კეცხოველი, ქართული* და მრავალი სხვა საცეკვაო მასალა ბალეტიდან *სინათლე*; ა.ბალანჩივაძის *სალხინო* და *აფხაზური* ოპერიდან *მზია, ქართული, მთიულური* და მრავალი საცეკვაო მასალა ბალეტიდან *მთების გული*. დ. თორაძის *ხორუმი, ალალმე, მოხეური* ბალეტიდან გორდა; ვ. დოლიძის *ზილგა* ოპერიდან *ქეთო და კოტე*; შ. თაქთაქიშვილის *ქართული, აფხაზური, ხორუმი, ცერული, სახუმარო* ბალეტიდან *მალთაყვა*. ასევე ი.ტუსკიას, რ. გაბიჩვაძის, ა. მაჭავარიანის, ო.თაქთაქიშვილის, ვ. გოკიელის, დ. თორაძის, კ. გუდიაშვილისა და სხვათა საცეკვაო მუსიკა.

ქართული ცეკვის ჩასაწერი პიროგითი ნიშნები

შესავალი

სიტყვისა და მუსიკის ჩასაწერად არსებობს სპეციალური სისტემები, პირველისათვის ანბანური, მეორისათვის – სანოტო. ადამიანის მდგომარეობა-მოძრაობათა ფიქსირებისათვის კი საყოველთაოდ ცნობილი და პოპულარული სისტემა დღეს არ მოგვეპოვება.

საუკუნეთა განმავლობაში ადამიანის მოძრაობების ჩასაწერი (პირობითი ნიშნებით) სისტემის შექმნა ბევრმა სცადა, მაგალითად: მარგარიტა ავსტრიელმა (XV ს.), ანტონიუს დე არენამ (XVI ს.), ფაბრიციო კაროზომ (XVI ს.), ტუანო არბომ (XVI ს. II ნახ.), ბოშანმა (XVII ს.), ფეიემ, გიულემენმა (XVIII ს.), კარლო ბლაზისმა (XIX ს.), ცორნიმ (XIX ს.), სტეფანოვმა (XIX ს.), ფრანსუა დელსარტმა (XIX ს.), ს. ლისიციანმა (XX ს.) და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, არასრულყოფილების გამო, ვერც ერთმა ვერ დააკმაყოფილა აუცილებელი მოთხოვნები და ვერ მიესადაგა ქორეოგრაფიული მოძრაობების ჩასაწერ სისტემას.

აღსანიშნავია თანამედროვე გამოჩენილი პედაგოგის სრბუი ლისიციანის 1940 წელს გამოცემული ფრიად საინტერესო კაპიტალური ნაშრომი *მოძრაობის ჩაწერა – კინეტოგრაფია*. ლისიციანის წიგნის პირველ ნაწილში აღწერილია ისტორიული მასალა – სხვადასხვა ავტორის მიერ შედგენილი ცეკვის ჩაწერის სისტემები, რომელთა დაწვრილებით განხილვისა და ანალიზის შემდეგ გვთავაზობს ადამიანის სხეულის მოძრაობების ჩაწერის საკუთარ სისტემას.

ჩვენი მიზანი არაა აღნიშნული სისტემების ანალიზი, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს სხვადასხვა სისტემისა, რათა მკითხველს შესაძლებლობა მიეცეს, შეადაროს ისინი ჩვენ მიერ შემუშავებულ ხერხს.



სადა სრიალა სვლა ჩაწერილი ლისიციანის სისტემით.

იგივე ილეთი ჩვენი ნიშნებით



რთულა სვლა ჩაწერილი ლისიციანის სისტემით

იგივე ილეთი ჩვენი ნიშნებით.



გასმა ჩაწერილი ლისიციანის სისტემით.



იგივე ილეთი ჩვენი ნიშნებით



ჩაკრული გასმა ჩაწერილი ლისიციანის სისტემით.



იგივე ილეთი ჩვენი ნიშნებით



მარცხნივ გვერდზე სვლა ჩაწერილი ლისიციანის სისტემით .



იგივე ილეთი ჩვენი ნიშნებით



წვივქნევით ჩაკვრა (მთიულურის ილეთი) ჩაწერილი ლისიციანის სისტემით.



იგივე ილეთი ჩვენი ნიშნებით



ცორნის სისტემით ჩაწერილი სხვადასხვა ილეთი

ცორნი თავისი სისტემით გვიჩვენებს სხეულის მდგომარეობას ცეკვის დროს; აფიქსირებს ცალკეულ პოზას და აკავშირებს მათ მოძრაობათა კომპლექსის გამომხატველი ნიშნებით.

მეორე და მეშვიდე სტრიქონზე ადამიანის სხეული გამოსახულია პროპორციათა სისტემის სრული დაცვით, რაც საკმაოდ ძნელია.

ABHD – ბაქანი, სცენა
AB – წინა მხარე
HD – უკანა მხარე
BD – მარჯვენა მხარე
AH – მარცხენა მხარე
2–13 – ფეხების სწორი და არასწორი პოზიციები
2ა–3ა – მარცხენა ფეხი
2ბ–3ბ – მარჯვენა ფეხი
4n – მარცხენა ფეხი
4n – მარჯვენა ფეხი
14–27 – აღინიშნება სხვადასხვა ილეთი
28–40 – მათი დეტალები
41–42 – პაუზის ჩაწერა
43 – მკლავების ნიშნები



ფეიეს ქორეოგრაფიული ნიშნები



ო. დესმონდი
რითმოგრაფიკის ნიშნები
5. სხეულის მშვიდი დგომა
6–14 – ბრუნის სხვადასხვა ხარისხი.
15–22ა – თავის ბრუნი და სხვა მოძრაობა.
23–31 – მხრების მოძრაობა.
32–39ა – მთელი სხეულის ტრიალი და სხვა მოძრაობა.
40–45ა – ზეტანის მოძრაობა.
46–50 – ქვეტანის მოძრაობა.
51–53 – ბარძაყის მოძრაობა.
54–60 – გამართული ფეხების მოძრაობა.
61–71 – მოხრილი მკლავების მოძრაობა.
72–77 – გამართული ფეხების მოძრაობა.
78–83 – მოხრილი ფეხების მოძრაობა
84–87 – მტევნების მდგომარეობა.
88–97 – ნების მდგომარეობა.
98–108 – მტევნის მდგომარეობა მკლავთან მიმართებაში და ნების მიმართულება.
109–110 – ხელის თითების ზოგიერთი მოძრაობა.
111–113 – ტერფების მდგომარეობა.
114–117 – ფეხის გულის მიმართულება.
118–125 – ტერფის მდგომარეობა მთელ ფეხთან მიმართებაში.
126–129 – მარცხენა მკლავის მოძრაობა.
130 – მარჯვენა მკლავის მოძრაობა.
131–133 – მარჯვენა მკლავის მოძრაობა.
134 – ორივე მკლავის მოძრაობა.
135–138 – ფეხების გადაჯვარედინების ჩაწერა.
139–141 – მოძრაობათა თანამიმდევრობის ჩაწერა.
142–153 – სხვადასხვაგვარი ნაბიჯის ჩაწერა.
154 – სრიალის ჩაწერა.
155–165 – სხვადასხვაგვარი ხტომის ჩაწერა.
166 – ნაბიჯისა და ხტომის კომბინაცია.
167–180 – კომბინირებული მოძრაობების ჩაწერა.

ქორეოგრაფიული მოძრაობების ჩასაწერი ერთიანი სისტემის უქონლობის გამო სრულიად გაქრა და დაიკარგა მრავალი ღირსშესანიშნავი ქორეოგრაფიული ნაწარმოები, დადგმები ისეთი გამოჩენილი ბალეტმაისტერებისა, როგორებიც იყვნენ: ჟ. ნოვერი, ს. ვიგანო, ა. ვესტრისი, კ. ბლაზისი, ა. ბურნონვილი, მ. პეტიპა, მ. ფოკინი, ივანოვი, გორსკი, კ. დიდლო, გლუშკოვსკი, სენ ლეონი და სხვა.

დაიკარგა, აგრეთვე, ხალხური ქორეოგრაფიული შემოქმედების უამრავი მასალა და ნიმუში, რომელთა აღდგენა გაამდიდრებდა ჩვენი საცეკვაო ხელოვნების მხატვრულ, ტექნოლოგიურ და სტილურ მოძრაობათა მარაგს.

დღესაც ხალხური ხელოვნების მასალების შეგროვება-დამუშავება, ამ დარგში სახელმძღვანელო შრომების გამოცემა, ახალი ქორეოგრაფიული დადგმების ჩაწერა და ჩაწერილი მასალის გამრავლება მეტად ძნელია სპეციალური სისტემის უქონლობის გამო, არადა ასეთი სისტემის არსებობა დიდად დაეხმარებოდა როგორც პროფესიულ

ქორეოგრაფიულ დაწესებულებებს, ასევე ცეკვის ანსამბლებს, სპეციალისტებსა და მოცეკვავეებს.

ზემოთქმულთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: რა საჭიროა სხვა რაღაც ახალი სისტემის შემოღება, პირობითი ნიშნების გამოგონება, როცა ადამიანის ყოველგვარი მოძრაობა მკაფიოდ და ყველასათვის გასაგებად შეიძლება ჩაიწეროს წერილობითი წესით? რასაკვირველია, შესაძლებელია, მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რომ მოძრაობა-მდგომარეობის ჩაწერას ჩვეულებრივი ანბანური წესით რამდენი დრო, შრომა და ენერგია სჭირდება, თანაც რამდენად თვალსაჩინო და მოხერხებული იქნება მოძრაობა-მდგომარეობათა ჩანაწერის სანოტო მასალასთან მიწერა.

ქიმიაში მიღებული პირობითი ნიშნების საშუალებით იწერება ნივთიერებათა ქიმიური შემადგენლობა, რომელსაც, რასაკვირველია, ადვილად წაიკითხავს და გაიგებს ყველა ქვეყნის და ეროვნების ქიმიკოსი. პირობითი ნიშნებით მოკლედ, მკაფიოდ და გასაგებად იწერება თუ იხაზება რადიოტექნიკაში რადიოსქემები, აღინიშნება აპარატურის ნაწილები, დეტალები და სხვ. და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს თვალსაჩინოა, იზოგება დრო და ენერგია, ჩანაწერი ნაკლებ ადგილს იკავებს.

შეიძლება დაისვას სხვა კითხვებიც, მაგალითად:

1. თუ მეტყველება და მუსიკალური ბგერები (სიმღერა, მუსიკა) იწერება გრაფიკული პირობითი ნიშნებით, შესაძლებელია თუ არა ადამიანის მოძრაობათა ჩასაწერად ისეთი პირობითი ნიშნების გამოგონება, რომელთა საშუალებითაც ადვილად წაიკითხება ის?
2. შესაძლებელია თუ არა ადამიანის მოძრაობათა ჩასაწერი ერთიანი სისტემის დამუშავება მომავალში?
3. თუ ეს განხორციელდება უახლოეს წლებში, როგორ მოვიქცეთ დღეს?
4. თუ მოკლე ხანში არ დამუშავდება მოძრაობათა ჩაწერის ერთიანი და სრულყოფილი სისტემა, შესაძლებელია თუ არა შემუშავდეს ისეთი დროებითი ხერხი მაინც, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ჩვეულებრივი ჩაწერისა და ახალი დამხმარე პირობითი ნიშნების გამოყენებით, საგრძნობლად გავაადვილოთ მოძრაობათა ჩაწერის პროცესი?
5. რა გვიშლის ხელს, რომ მოძრაობების ფიქსაციისთვის გამოვიყენოთ ისეთი ჩინებული საშუალება, როგორიცაა კინო – კინოაპარატი.

ამ კითხვებზე ვუპასუხებთ შემდეგს:

ადამიანის მოძრაობების ჩასაწერი სპეციალური გრაფიკული ერთიანი სისტემის დამუშავება შესაძლებელია, მაგრამ ეს პრობლემა არ გადაიჭრება მოკლე დროში. ამიტომ აუცილებელია და შესაძლებელიც, დამუშავდეს პირობითი ნიშნებით ჩაწერის ისეთი ხერხი, რომელიც გააადვილებს მოძრაობების ჩაწერას.

ცხადია, დღეს კინოს მეშვეობითაც შეიძლება დაფიქსირდეს ადამიანის მდგომარეობა-მოძრაობა და მთლიანი ქორეოგრაფიული დადგმებიც კი – ფერებსა და მუსიკასთან სინქრონულად შეწყობილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამოსავალი ნაპოვნია, რადგან კინოს გამოყენება ფართო მასშტაბით მოუხერხებელია, მით უმეტეს, ბალეტმაისტერის ჩანაფიქრი, მოძრაობების ფიქსაცია და სხვ. არ ჩაიწერება. ამიტომ საჭიროა ისეთი გრაფიკული პირობითი ნიშნები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება ყველა ვითარებაში.

პირობითი ნიშნები შემდეგ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ადვილად იწერებოდეს და იკითხებოდეს;
2. დასამახსოვრებლად ადვილი იყოს;

3. შეძლებისდაგვარად, თვალსაჩინო;
4. ჩვეულებრივ ანბანურ დამწერლობასთან შედარებით ნაკლებ ადგილს იჭერდეს;
5. თითოეული წყების, ჯგუფის ან სახის მდგომარეობა-მოძრაობის აღსანიშნავად ჰქონდეს შესაბამისი ძირე (ძირეული) ნიშანი.

ექსპერიმენტის დაწყებისთანავე ჩვენ მიზნად დავისახეთ ისეთი ხერხის მოძიება-დამუშავება, რომელიც:

1. საჭიროების შემთხვევაში დაგვეხმარებოდა დადგმული ცეკვის აღდგენაში;
2. დასადგმელი ცეკვისთვის წინასწარ მოფიქრებული მოძრაობების ფიქსირებაში;
3. საგრძნობლად შეამცირებდა დროს;
4. გააადვილებდა მასალის ჩაწერა-წაკითხვას.

1954-55 სასწავლო წლიდან მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების მესამე და მეოთხე კურსზე ჩატარდა ექსპერიმენტი. მეოთხე კურსის მოსწავლეთა უმრავლესობა რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ გრაფიკული პირობითი ნიშნებით ადვილად წერდა არა მარტო ცალკეულ ილეთს, ილეთთა ნაერთს, საცეკვაო ფრაგმენტს, არამედ დასრულებულ ცეკვებსაც კი. გრაფიკული პირობითი ნიშნებით ცეკვების ჩაწერა მათ ფართოდ გამოიყენეს საწარმოო პრაქტიკის პერიოდში.

ქორეოგრაფიული განყოფილების სპეციალური საგნების მასწავლებლებმაც შეისწავლეს პირობითი ნიშნები და ნაყოფიერად იყენებენ ყოველდღიურ მუშაობაში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაინტერესებულ პირებს (ქორეოგრაფებს, რეჟისორებს და სხვ.) გავუზიაროთ ჩვენეული მეთოდი ქართული ქორეოგრაფიული მოძრაობების პირობითი ნიშნებით ჩაწერისა.

ცხადია, წარმოდგენილი შრომა არ მიგვაჩნია დასრულებულ სისტემად, მაგრამ იგი მოიცავს ისეთ მასალას, რომლის საფუძველზეც მომავალში შესაძლოა გრაფიკულად ჩაიწეროს ქართული ქორეოგრაფიული ნაწარმოები.

ექსპერიმენტული ნაწილი

გრაფიკული პირობითი ნიშნების საშუალებით ადამიანის მოძრაობის ჩასაწერად შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა ხერხი, მაგრამ უპირველესია გასაღების – ძირეს – პოვნა, რომელიც გააიოლებს ნიშნების შერჩევის პროცესს.



მრავალი ცდის შემდეგ ჩვენ ასეთზე შევჩერდით:

ორი ვერტიკალური პარალელური ხაზი აა¹, ბბ¹ შუაზე გადაკვეთს ორ ჰორიზონტალურ პარალელურ ხაზს გგ¹-ს და დდ¹-ს. გადაკვეთილ ხაზებს შორის მდებარეობს ოთხკუთხედი ევზთ. ამის შემდეგ პირობითად მივიღებთ, რომ ჰორიზონტალური ხაზის გგ¹-ს ზევით აღინიშნება თავი და მკლავები, ჰორიზონტალური ხაზი დდ¹-ის ქვევით – ქვედა კიდურები, ხოლო ოთხკუთხედით – ზეტანი.

შენიშვნა: ჩაწერისას შემსრულებელი სახით ჩვენკენ დგას.
„გასაღების“ ნაწილებად დაშლით მივიღებთ:



შესაძლებელია ზედა კიდურები (ორივე მკლავი) შემოკლებულად ასე აღინიშნოს:

ზეტანის აღნიშვნა დაგვჭირდება ორ მდგომარეობაში:

1. შემსრულებელი სახით ჩვენკენ დგას – გულმკერდი ჩვენკენაა მოქცეული;

2. შემსრულებელი ჩვენგან ზურგით დგას;

ზემომოყვანილი ნიშნები ადვილად დასამახსოვრებელია. მაგრამ საკმარისია თუ არა ისინი ადამიანის სხეულის სხვადასხვა მდგომარეობის ჩასაწერად? გარდა ზეტანისა, ქვედა და ზედა კიდურებისა, დაგვჭირდება სხეულის სხვა ნაწილების აღმნიშვნელი ნიშნებიც: მხრების, იდაყვების, წინამხრების, მაჯების, მტევნების, ხელის თითების, ბარძაყების, მუხლების, წვივების, ფეხის ქუსლების, ფეხის ცერებისა და სხვ.

„გასაღებზე“ დაყრდნობით, ჩამოვწერთ და თანამიმდევრობით შევისწავლით შემდეგ ნიშნებს:



თუ გვინდა ორივე მკლავის ნაწილის ჩაწერა, ესეც ადვილად მოხერხდება:



ასევე იქნება ქვედა კიდურების ნაწილების ნიშნებიც:



ორივე ფეხის ნაწილი შემდეგნაირად ჩაიწერება:



ადამიანის სხეულის ნაწილების (ზოგიერთი დეტალის გარდა) აღმნიშვნელი პირობით ნიშნებთან ერთად, აუცილებელია მდგომარეობა-მოძრაობისა და მიმართულების ნიშნების გამოძებნა. ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმეს.

პირობითი ნიშნების შერჩევისას ვცდილობდით მდგომარეობა-მოძრაობათა თითოეული ჯგუფისთვის ისეთი ნიშანი შეგვექმნა, რომ მიმართულების შეცვლისას ადვილად მიეღო ახალი მნიშვნელობა. მაგალითად:

მიმართულების აღნიშვნა:

 ზევით
 ქვევით
 მარჯვნივ
 მარცხნივ

 აქნევა
 დაქნევა
 მოწევა
 გაწევა

 მაღლა
 დაბლა
 მოქნევა
 გაქნევა

ასე აღინიშნება: აწევა დაწევა

მდგომარეობა და მიმართულების ნიშნები:

 შიგნით
 პირდაპირ
 ირიბად, ირიბი

 გარეთ
 უკან
 ვერტიკალურად, ვერტიკალური

 გაწზე, გვერდზე
 დახრილად, დახრილი
 ჰორიზონტალურად, ჰორიზონტალური

 წინ
 დაქანებულად, დაქანებული
 უკუღმა

 გამართული
 მოღუნული, მოხრილი
 შეერთებული

 ზნექილი
 დრეკილი
 დაშორებული

 გადაჭდომილი გადაჯვარედინებული
 დახურული
 გაჯრილი

 დაყრდნობილი
 გახსნილი, ღია
 მიჯრილი

 მიკარებული, მიკარებით
 ხლართული, ჩახლართული
 დახვეული

 ჩოქილი, ჩოქვა (მუხლზე დგომა)
 ჯდომა, დამჯდარი
 წოლა, დაწოლილი

 დოინჯი, დოინჯად
 ჰაერში, ჰაეროვანი

ასევე საჭიროა მდგომარეობის, მოძრაობისა და მიმართულების აღმნიშვნელი ზოგადი ნიშნებიც:



ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია სხეულის სხვადასხვა მდგომარეობის ნაწილობრივ ჩაწერა, მაგალითად:

1. მკლავები ზევით

2. მკლავები ქვევით

3. მკლავები განზე

4. მარჯვენა მკლავი ზევით, მარცხენა განზე



5. მარჯვენა მკლავი წინ, მარცხენა ზევით



6. ფეხები შეერთებული

7. ფეხები დაშორებული, განზე

8. შეერთებული (შეტყუპებული) ფეხების ცერებზე დგომა

9. მარჯვენა მკლავი მარჯვნივ, მარცხენა – ზევით, შეერთებული ფეხების ცერებზე დგომა.

10. მარჯვენა მკლავი ზევით, მარცხენა წინ – მარცხნივ, მარჯვენა ფეხი დაყრდნობილია მთელ ტერფს, მარცხენა აწეულია განზე ჰაერში.



11. თავი პირდაპირ, მარჯვენა მკლავი განზე – ზევით, ზეტანი გამართული, მარჯვენა ფეხი განზე მაღლა – ჰაერში, მარცხენა ფეხი ეყრდნობა ერგცერს.



როგორც ვხედავთ, ბოლო სამი მაგალითი (9, 10, 11) ჩაწერილია ორნაირად: სტრიქონად და „გასაღებით“. პირველ შემთხვევაში პირობითი ნიშნები ვერტიკალურადაა განლაგებული (სტრიქონზე) და მეტი ადგილი უჭირავს, თუმცა ადვილი შესამჩნევია, რომ „გასაღებით“ ჩაწერილი მაგალითი უფრო ძნელად იკითხება.

შემდეგი მაგალითებიდანაც უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება პირველი წესით (სტრიქონად) ჩაწერის უპირატესობა, რადგან, გარდა იმისა, რომ იოლად წასაკითხია, უფრო ადვილად მიეწერება ნოტებს ქვევიდან, ხოლო ძირითად ნიშნებს დეტალები – ზევიდან, ქვევიდან ან გვერდიდან.

ვცადოთ №11 მაგალითის ჩაწერა მესამე ამისათვის გამოვიყენოთ სანოტო სისტემის მსგავსი ხუთი ხაზი შემდეგი წესით:

1. ხუთი ხაზი დავნომროთ ქვევიდან ზევით.



2. პირველ და მეორე ხაზებს შორის ჩაიწეროს ფეხების მდგომარეობა-მოძრაობა;
მეორე და მესამეს შორის – ზეტანის მდგომარეობა-მოძრაობა;
მესამე და მეოთხეს შორის – მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა;
მეოთხე და მეხუთე შორის – თავის მდგომარეობა-მოძრაობა.

მეხუთე ხაზს ზევით აღინიშნოს: სათვალავი, მოძრაობის მიმართულება ან ის ადგილი, სადაც შემსრულებელი იმყოფება ან მოძრაობს.



ამ ნახაზზე გამოყენებულია ხაზებშუა ადგილები და მეხუთე ხაზის ზედა ნაწილი – შემსრულებლის ნიშანი, სათვალავი და ადგილი, ხოლო ხაზებშუა მოთავსებულია ფეხების, ზეტანის, მკლავებისა და თავის მდგომარეობის აღმნიშვნელი ნიშნები.

განმეორებით აღვნიშნავთ: სისტემა იკითხება ქვევიდან ზევით. როგორც მუსიკაშია მიღებული, ტაქტი ტაქტისაგან გაიყოფა შვეული ხაზით, ხოლო, ერთი ტაქტის ფარგლებში, მოძრაობა მოძრაობისაგან ან ილეთი ილეთისაგან – წყვეტილით.

რთული მაგალითის ჩასაწერად საჭიროა გავეცნოთ და შევისწავლოთ სხვა ნიშნებიც, საორიენტირო ხაზები და წერტები.

ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში თითოეული ილეთი (პა) რამდენიმე მოძრაობისაგან შედგება. ილეთის ჩაწერისას ყველა მოძრაობის აღნიშვნა ყოველთვის საჭირო არაა. ეს დიდ ადგილსა და დროს მოითხოვს. მაგალითად, ილეთი *სადა სრიალა წინსვლა* დაწვრილებით შემდეგნაირად ჩაიწერება:

პირველი თვლა
მეორე თვლა 1/2 
მესამე თვლა 1/2 

ამ ჩანაწერში ვიხმარეთ 16 ნიშანი, არადა ამავე ილეთის ჩაწერა ორი-სამი ნიშნითაც მოხერხდება:

უპირველესად, გამოვიყენებთ ისეთ პირობით ნიშნებს, რომლებიც ადვილად გამოხატავს ილეთის დასახელებას – სვლის გამომსახველად გრაფიკულ ძირე ნიშნებს:

ძირე ნიშანი 
წინ მიმართულების ნიშანი
სრიალის ნიშანი

ამ სამი ნიშნის შეერთებულად ჩაწერამ მოგვცა *სადა სრიალა წინსვლა.* 

ამრიგად, ყოველი ჯგუფის ან სახის ილეთების ჩასაწერად საჭიროა გვქონდეს დადგენილი ზოგადი ძირე ნიშანი.

მაგალითად: ყოველი სახის სვლისათვის ვიხმაროთ ნიშანი: 

მრავალნაირ სვლას, ძირითად ნიშანთან ერთად დამხმარე ნიშნების მიწერით, ერთმანეთისაგან განვასხვავებთ.

მაგალითისათვის ჩავწეროთ რამდენიმე სახის სვლა უკვე შესწავლილი ნიშნებით:

 წინსვლა
 უკუსვლა
 გვერდზე სვლა მარჯვნივ
 ერგცერებზე წინსვლა
 ცერებზე წინსვლა
 ფეხჭდომილი გვერდზე სვლა
რთულა სვლა და ა.შ.

ზემონათქვამის მიხედვით ილეთთა გარკვეული ჯგუფისთვის შევარჩიეთ ძირეული ნიშნები:

ბიჯი, ნაბიჯი
 სვლა
რბენა, სირბილი
გასმა
 ჩაკვრა
 ბრუნი
ხტომი
 დადგმა
 დაკვრა და სხვ.

უკვე არსებული ნიშნებით ჩავწეროთ სხვადასხვა სვლა, ჩაკვრა, გასმა, ილეთთა ნაერთი და სხვა, მაგალითად:

წინსვლა
 უკუსვლა
 ირიბი სვლა
ერგცერებზე სვლა
ჭდომილი სვლა
ჩაკვრით სვლა
გასმით სვლა
 დახურული ჩაკვრა
 გახსნილი ჩაკვრა
ფეხშლილი ჩაკვრა
 ჭდომილი ჩაკვრა
 სრიალა გასმა
ქუსლურა გასმა
 ჩაკრული გასმა
 დაბალი გასმა

წინხტომი

მარჯვნივ ხტომი

მარცხნივ ხტომი

მარჯვენა ფეხზე ხტომი

მარცხენა ფეხზე ხტომი

ფეხშლილი ხტომი

ბრუნი მარცხნივ


ბრუნი მარჯვნივ


ცალ ცერზე ბრუნი მარცხნივ

სამდაკვრით ბრუნი მარცხნივ


ჩაკვრით ბრუნი მარცხნივ

მაღალი ხტომით ბრუნი და სხვ.

ამრიგად, არასრული მასალაც კი საშუალებას გვაძლევს, ჩავწეროთ არა მარტო ცალკეული ილეთი, არამედ რთული ნაერთიც, მაგალითად:

მუსიკალური ზომა – 2/4. თითოეული ტაქტი დაითვლება ერთზე. 8 ტაქტი – *სრიალა წინსვლა* + 2 ტაქტი – *გახსნილი ჩაკვრა* + 2 ტაქტი – *ფეხშლილი ჩაკვრა ცერებზე* + 2 ტაქტი – *ფეხშლილ ერგბუქნით* ბრუნვა მარცხენა ფეხის ერგცერზე მარცხნივ და *ფეხშლილჩაკვრა ცერებზე* + 2 ტაქტი – ფეხშლილერგბუქნით ბრუნი მარჯვნივ მარჯვენა ფეხის ერგცერზე და *ფეხშლილი ჩაკვრა* ცერებზე.



ცხადია, ყველა სახის ნაერთის, ეტიუდისა და ცეკვის ჩაწერას ვერ შევძლებთ არსებული ნიშნებით, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სხეულის და სხეულის ნაწილების, მდგომარეობის, მოძრაობის, მიმართულების, ხერხის, სვლის, ჩაკვრის, გასმის, ბრუნის, ცერილეთის, ხტომის, მუხლილეთის, ხელსართავის, მხარსართავის და დამატებითი დამხმარე ნიშნების გაცნობა. გარდა ამისა უფრო დაწვრილებით შევეხებით ჩაწერის წესებსა და ხერხებს. თანაც სცენის დაგეგმარების უკვე დამუშავებული წესები დაგვეხმარება ცეკვების სრულად ჩაწერაში.

ჩავწეროთ მარტივი ქორეოგრაფიული ფრაგმენტი ორი წესით:
1. სტრიქონად 2. ხუთხაზიანი სისტემით.

მაგალითი 1.

ვაჟი > ცეკვას იწყებს №7 წერტიდან და ცენტრისკენ მიემართება. ცენტრში შეასრულებს მარცხნივ 1¼ ბრუნს, სახით **ც–1** რადიუსის მიმართულებით მოექცევა და ადგილზე ასრულებს ილეთებს. მუსიკალური ზომა – 2/4.



ანბანური წესით ეს მაგალითი შემდეგნაირად ჩაიწერება:

7 ტაქტი

ნიავადი წინსვლა, მკლავები მარჯვნივ, იდაყვებდაქანებულად გვერდულა მდგომარეობაში;

1 ტაქტი

1 ¼ ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ერგცერზე, მარცხენა მკლავის განზე გაქნევით გაშლა, მარჯვენის II პოზიციაში დახურვა; სახით **ც–1** მიმართულებით მოქცევა;

4 ტაქტი

ირიბი სვლა მარჯვნივ ჭრილი ჩაკვრით, ზეტანის ნახევრად განზნექი მარცხნივ, თავი – მარცხნივ;

2 ტაქტი

დახტომა მარჯვენა ფეხზე, მარცხენით ნაბიჯი მარცხნივ და ფეხშლილი ჩაკვრა ცერებზე, მკლავები რკალგვარად ზევით;

2 ტაქტი

დახტომა შეტყუპებულ ტერფებზე და ფეხშლილი ჩაკვრა ცერებზე, მკლავები – განზე.

2 ტაქტი

შეტყუპებულ ტერფებზე დახტომა, მკლავები დაშვებული, არეკნით ნახევარი ბრუნი მარცხნივ ტყუპცერებზე, მკლავები – განზე.

1 ტაქტი

დახტომით ბუქნიდან ნახევარი ბრუნი მარცხნივ და ჩაკვრით ტყუპცერებზე შედგომა, მარჯვენა მკლავი – რკალგვარად ზევით, მარცხენა – განზე.

I ტაქტი

გამართული მდგომარეობა.



ეს მაგალითი უფრო სხარტად და მოკლედ ასე ჩაიწერება:

მთიულური ცეკვის 8-ტაქტიანი ფრაგმენტი ხუთ ხაზზე.



მაგალითი 1.

ჩავწეროთ იგივე მაგალითი ხუთ ხაზზე და მივუწეროთ ნოტებს ქვევიდან. მუსიკალური ზომა – 6/8.



მაგალითი 2.

ამ სახით ჩაწერა უფრო დიდ ადგილს იჭერს, მაგრამ დადებითი მხარეც აქვს:

1. ჩანაწერი უფრო თვალსაჩინოა.
2. თითოეული ტაქტი მკაფიოდაა გამოსახული.
3. ყოველი ტაქტი სწრაფად იძებნება.
4. აღინიშნება სვლაგეზი – მიმართულება.
5. ასეთი ხერხით ჩაწერილი ქორეოგრაფიული მასალა ადვილად მიეწერება ნოტებს ქვევიდან.

ამ ნახაზში პირველი და მეორე ხუთხაზიანი სტრიქონი უჭირავს მუსიკალურ მელოდიას (ნოტებს), მის ქვეშ განიერი ხუთხაზიანი სტრიქონით მიწერილია მოძრაობა.

განიერი ხუთხაზიანი სტრიქონის ზევით წერია: მოძრაობა იწყება №7 წერტიდან და შემოვლით მიემართება №3 წერტისაკენ.

პირველ და მეორე ხაზს შორის აღნიშნულია 4 ტაქტის განმავლობაში რბენ-ხტომით სვლა, მეხუთე ტაქტიდან ბოლომდე – რთულა სვლა.

მეორე და მესამე ხაზებს შორის პირველ ტაქტში ზეტანი წინ დახრილია, მეორეში – ისევ გამართული, მესამეში – წინ დახრილი, მეოთხიდან მერვე ტაქტის ბოლომდე – გამართული.

მესამე და მეოთხე ხაზებს შორის აღნიშნულია მკლავების მოძრაობა: პირველ ტაქტზე მკლავები რიგრიგობით მოძრაობს ქვევით, მეორის პირველ თვლაზე მარჯვენა მკლავი აიწევა ზევით, მარცხენა ქვევით – უკან. მესამეზე მკლავები ისევ მოძრაობს ქვევით, ხოლო მეოთხეზე – მარცხენა მკლავი აიწევა ქვევიდან – ზევით, მარჯვენა კი ქვევით – უკან რჩება. მეხუთე ტაქტიდან, ირიბი რთულა სვლისას, მკლავები ბოლომდე მარცხნივ გვერდულა მდგომარეობაშია.

მეოთხე და მეხუთე ხაზს შორის აღნიშნულია პირველ ტაქტზე თავის მარცხნივ ნახევრად დახრა, მეორეზე – თავის გასწორება, მესამეზე – თავის მარცხნივ ნახევრად დახრა, მეოთხეზე – გასწორება. მეხუთე ტაქტიდან ბოლომდე თავი მარცხნივაა მიბრუნებული.

როგორც ვხედავთ, გრაფიკული პირობითი ნიშნების მიწერა ნოტების ქვევით შესაძლებლობას გვაძლევს ერთდროულად ვადევნოთ თვალი მუსიკალურ მელოდიას და ჩაწერილ ცეკვას.

წყვილური ცეკვა ქართულის აღწერა

მოგვყავს გრაფიკული ნიშნებით ჩაწერილი ცეკვა *ქართული* ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან *აბესალომ და ეთერი* (წყვილური *ცეკვა ქართულის* აღწერა). აქ ილეთები მიწერილია არა ნოტების ქვევით, არამედ კვალითი ნახაზის გვერდზე, რომლის თითოეულ ოთხკუთხედში აღნიშნულია მუსიკალური მასალის ის ადგილი (ტაქტების ნუმერაცია), რომელზეც უნდა შესრულდეს გრაფიკული ნიშნებით ფიქსირებული ილეთები.

ცეკვა ქართული

<table>
<tr>
<td>1

8 ტ</td>
<td> 
</td>
</tr>
<tr>
<td>2

8 ტ
9-16</td>
<td> 
</td>
</tr>
<tr>
<td>3
 
20 ტ
17-36</td>
<td> 
</td>
</tr>
</table>

4  16 ఆ 37-52	ఎ 2 ఆ. 2 ఆ. 4 ఆ. 4 ఆ. 4 ఆ.
5 12 ఆ 53-64	ఎ 4 ఆ. 2 ఆ. 2 ఆ. 4 ఆ.
6  8 ఆ 65-72	ఎ 6 ఆ. ¼ 2 ఆ.
7  16 ఆ 73-88	8 ఆ. 8 ఆ. 7 ఆ. 1 ఆ.

8  4 ♂ 89-128	☽ 8 ♂. 8 ♂. 8 ♂. 8 ♂. 4 ♂. 4 ♂. ☾
9  4 ♂ 129-132	☽ 4 ♂. ☾ 4 ♂.
10 4 ♂ 133-136	☽ 4 ♂. ☾ 4 ♂.
11  4 ♂ 137-140	☽ 4 ♂. ☾ 4 ♂.

12



8 ಹ
141-148

13

6 ಹ
149-154

14



4 ಹ
155-158

15



4 ಹ
159-162

16  2 ತ 163-164	) 3/4 ಮಾ 2ತ. ಹ ಮಾ. > 1/2 ಮಾ 2 ತ. ಸ ಸ
17  2 ತ 165-166	) 1/2 ಮಾ 2ತ. ಸ ಸ > 2 ತ. ಎ. ಸ
18 1 ತ 167	) 1 ತ. ಮಾ. > 1 ತ. ಮಾ

ქართული

ოპერიდან აბესალომ და ეთერი

კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი

cresc.
p
mf
Ped.
Ped.
Ped.

f
Ped.
Ped.
Ped.

Ped.
mf
8va
8va

f
f
p

f
p
mf

mf
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
mf

f
f
f
mf
f
f

ff
8va
cresc.
(8va)
(8va)
(8va)
fff

გავარჩიოთ ეს ჩანაწერი:

ცეკვა *ქართულის* მუსიკალური მასალა თავსდება 167 ტაქტში. მუსიკალური ზომა 6/8. ოთხკუთხედები დანომრილია და აღნიშნულია იმ ტაქტების ნუმერაცია, რომელიც ეფარდება ოთხკუთხედის კვალით ნახაზს. თითოეული ოთხკუთხედის გვერდზე იმავე ნუმერაციით მოცემულია გრაფიკული პირობითი ნიშნებით ჩაწერილი ილეთები.

რას ვკითხულობთ **№1** კვალით ნახაზზე?

ქალის ადგილზე, №3 წერტზე დგომა 8 ტაქტის განმავლობაში.

ვაჟი №7 წერტიდან რკალგეზით მოძრაობს ქალისკენ რთულა წინსვლით, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე გაშლილი (II პოზიცია).

ნახაზი №2 (9–16 ტაქტი).

ქალი – კვლავ ადგილზე დგომა.

ვაჟი – 2 ტ. ადგილზე სვლა ერგცერების სამდაკვრითი მოძრაობით, მკლავების მდგომარეობა იგივე.

2 ტ. სამდაკვრითი მოძრაობით უკან დახევა, მკლავების მდგომარეობის ცვლა.

2 ტ. სრიალა გასმა

1 ტ. ერთი ნაბიჯი მარჯვნივ,

1 ტ. მარცხენა ფეხის მარჯვენასთან მიდგმა, მკლავების ქვევით დაშვება და თავის დახრა.

ნახაზი №3 (17–36 ტაქტი).

ქალი – 8 ტაქტის განმავლობაში წრეშემოვლა სრიალა სვლით, მკლავები – III პოზიცია (მარცხენა რკალგვარად ზევით და წინ, მარჯვენა – განზე).

10 ტ. – ნახევრად შებრუნება მარცხნივ, მკლავების შეცვლა და სამდაკვრითი უკუსვლით ცეკვის განგრძობა, ვიდრე არ მიუახლოვდება იმ ადგილს, საიდანაც დაიწყო.

2 ტ. – სამდაკვრითი უკუსვლის განგრძობა, ერთ-ნახევარი ბრუნი მარჯვნივ, მკლავების ქვევით დაშვება და ადგილზე შეჩერება.

ვაჟი – 8 ტ. ქალის მიყოლა რთულა წინსვლით, მარცხენა მკლავის დახურვა, მარჯვენის განზე გაშლა.

10 ტ. – კვლავ ქალის მიყოლა რთულა სვლით და, ქალის წინსვლიდან უკუსვლაზე გადასვლისას, ორჯერ მკლავების მდგომარეობის შეცვლა.

2 ტ. – სრიალა გასმა.

ნახაზი №4 (37-52 ტაქტი).

ქალი – ადგილზე დგომა

ვაჟი – 2 ტ. – ორ ნაბიჯს უკან, მკლავები – დაშვებული.

2 ტ. – სამდაკვრითი სვლით უკან დაწევა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე გაშლილი.

4 ტ. – ნახევარი ბრუნი მარცხნივ და რთულა სვლით წინ სვლა (შემოხვევაზე), მკლავები განზე გამართული.

4 ტ. – სადა მუხლურა სვლით ქალისკენ, მკლავების მოძრაობა ქვემოთ.

4 ტ. – სამდაკვრითი სვლით უკან, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა – განზე.

ნახაზი №5 (53-64 ტაქტი).

ქალი – ადგილზე დგომა.

ვაჟი – 4 ტ. სადა სრიალა გასმა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე.

2 ტ. – ქუსლურა გასმა, მკლავების მდგომარეობის ცვლა.

2 ტ. – სარული გასმა.

4 ტ. – გაქნევგასმა, მკლავების მდგომარეობის შეცვლა.

ნახაზი №6 (65-72 ტაქტი).

ქალი – ადგილზე დგომა.

ვაჟი – 6 ტ. მეოთხედი ბრუნი მარცხნივ და ჭდომილი გასმით ქალს მიახლოება, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე.

2 ტ. – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარცხენის უკან მიდგმა, შემდეგ ისევ მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ და მარცხენის მარჯვენასთან მიდგმა. მკლავები – დაშვებული.

ნახაზი №7 (73-88).

ქალი – 8 ტ. – სრიალა სვლა, მარცხენა მკლავი რკალგვარად ზევით და წინ, მარჯვენა – განზე, მერვე ტაქტზე ბრუნი მარცხნივ. მკლავების მდგომარეობის ორჯერ შეცვლა.

8 ტ. – სრიალა სვლა წინ, მკლავების მდგომარეობის შეცვლა.

ვაჟი – 7 ტ. – რთულა სვლა წინ, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა – განზე.

1 ტ. – ბრუნი მარჯვნივ (სახით ქალისკენ), მკლავები დაშვებული.

8 ტ. – ადგილზე დგომა.

ნახაზი №8 (89-128 ტაქტი).

ქალი – 8 ტ. – სამდაკვრითი უკუსვლა, მარჯვენა მკლავი რკალგვარად ზევით და წინ, მარცხენა – განზე.

8 ტ. – განზე სვლა მარცხნივ (გედურა), მკლავების მდგომარეობის შეცვლა.

8 ტ. – განზე სვლა მარცხნივ (გედურა), მკლავების მდგომარეობის შეცვლა.

8 ტ. – სამდაკვრითი ბრუნი მარცხნივ, მარცხენა მკლავი გულ-მკერდის წინ ნახევრად მოხრილი, მარჯვენა – განზე.

4 ტ. – სამდაკვრითი სვლა მარცხნივ (გედურა), მარჯვენა მკლავი – რკალგვარად ზევით და წინ, მარცხენა – განზე.

4 ტ. – სამდაკვრითი სვლა მარცხნივ (გედურა), მკლავების მდგომარეობის შეცვლა.

ვაჟი – ადგილზე დგომა.

ნახაზი №9 (129-132 ტაქტი).

ქალი – 4 ტ. – სამდაკვრითი უკუსვლა, მარჯვენა მკლავი რკალგვარად ზევით და წინ, მარცხენა – განზე.

ვაჟი – 4 ტ. – სრიალა გასმა, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა განზე გაშლილი.

ნახაზი №10 (133-136 ტაქტი).

ქალი – 4 ტ. – სამდაკვრითი უკუსვლა, მარცხენა მკლავი რკალგვარად ზევით და წინ, მარჯვენა – განზე.

ვაჟი – 4 ტ. – სამდაკვრითი უკუსვლა, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა – განზე.

ნახაზი №11 (137-140 ტაქტი).

ქალი – 4 ტ. – სრიალა სვლა წინ, მარჯვენა მკლავი რკალგვარად ზევით და წინ, მარცხენა – განზე.

ვაჟი – 4 ტ. – ადგილზე სრიალა გასმა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე.

ნახაზი №12 (141-148 ტაქტი).

ქალი – 4 ტ. – სრიალა სვლა, მარცხენა მკლავი რკალგვარად ზევით და წინ, მარჯვენა – განზე.

4 ტ. – ნახევარი ბრუნი მარცხნივ და სამდაკვრითი სვლა უკან, მკლავების მდგომარეობის

შეცვლა.
ვაჟი – 4 ტ. – წინხტომით რთულა სვლა, მარჯვენა განზე გაშლილი, მარცხენა – დახურული. 4 ტ. – სრიალა გასმით წინსვლა, მკლავების მდგომარეობის ორჯერ შეცვლა.

ნახაზი №13 (149-154 ტაქტი).
ქალი – 6 ტ. – ნახევარი ბრუნი მარცხნივ და სამდაკვრით უკუსვლა, მარჯვენა მკლავი რკალგვარად ზევით და წინ, მარცხენა – განზე.
ვაჟი – 6 ტ. – ნახევარი ბრუნი მარცხნივ, სამდაკვრითი უკუსვლა, მარჯვენა მკლავი რკალგვარად ზევით და წინ, მარცხენა – განზე.

ნახაზი №14 (155-158 ტაქტი).
ქალი – 4 ტ. – ნახევარი ბრუნი მარცხნივ და სრიალა სვლა წინ, მკლავების მდგომარეობის შეცვლა.
ვაჟი – 4 ტ. – რთულა სვლა წინ, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა – განზე.

ნახაზი №15 (159-162 ტაქტი).
ქალი – 4 ტ. – სრიალა სვლა, მარჯვენა მკლავი რკალგვარად წინ, მარცხენა – განზე.
ვაჟი – 4 ტ. – რთულა სვლა წინ, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე.

ნახაზი №16 (163-164 ტაქტი).
ქალი – ¾ ბრუნიდან მარცხნივ 2 ტაქტი სრიალა სვლა წინ, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე.
ვაჟი – ნახევარი ბრუნიდან მარცხნივ 2 ტაქტი რთულა წინსვლა, მკლავების მდგომარეობის შეცვლა.

ნახაზი №17 (165-166 ტაქტი).
ქალი – ნახევარ ბრუნიდან მარცხნივ 2 ტაქტი სრიალა წინსვლა, მკლავების მდგომარეობის შეცვლა.
ვაჟი – 2 ტაქტი რთულა წინსვლა, მკლავების მდგომარეობის შერცვლა.

ნახაზი №18 (167 ტაქტი).
ქალი – 1 ტ. მარჯვნივ ბრუნი, მკლავებს ჩამოშვება და ვაჟისთვის თავის დაკვრა.
ვაჟი – 1 ტ. მკლავების ჩამოშვება და ქალისთვის თავის დაკვრა.
კვალითი ნახაზისა და მის გვერდზე მიწერილი ილეთების წაკითხვისას საჭიროა გვახსოვდეს:
1. კვალითი ნახაზი რამდენი ტაქტის განმავლობაში სრულდება;
2. მოძრაობის მიმართულება;
3. ვინ რას, რა დროს რა ილეთს ასრულებს;
4. კვალითი ნახაზი და ილეთები მუსიკალური ფაქტურის რომელ ნაკვეთზე სრულდება.

ავიღოთ, მაგალითად, №5 კვალითი ნახაზის მარცხენა ქვედა კუთხეში დაწერილი ციფრი. აქ მრიცხველში აღნიშნულია ტაქტების რაოდენობა მოცემულ მონაკვეთში, მნიშვნელში – მუსიკალურ ფაქტურაში ამ 13 ტაქტის ადგილი – 53 ტაქტიდან 64 ტაქტამდე.

უდავოა, რომ მოყვანილ ჩანაწერში არ არის მოცემული ყველა დეტალი – სახის მიმართულება და გამომეტყველება, თითების მდგომარეობა, მაგრამ ჩაწერილი ცეკვის აღდგენა (წაკითხვა და განხორციელება) ქოროეგრაფ-სპეციალისტისათვის, რომელსაც შესწავლილი აქვს გრაფიკული პირობითი ნიშნებით ჩაწერის წესი, ადვილია.

ქვემოთ მოგვყავს პირობითი ნიშნებით ჩაწერილი ცეკვა *მხედრული*. მუსიკა კომპოზიტორ

დავლურ-მთიულურის აღწერა

მუსიკალური დაყოფა

ნახაზი 1 – 1-8 ტაქტი

ქალი

8 ტ. ქრიალა წინსვლა (იწყება მარჯვენა ფეხით) მკლავები ქვევით, უკან და განზე.

ვაჟი

8 ტ. ქრიალა წინსვლა (იწყება მარჯვენა ფეხით), მკლავების მოძრაობა – ქვევით და უკან.

ნახაზი 2 – 9-16 ტაქტი

ქალი

2 ტ. მეოთხედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა წინსვლა, მკლავების მდგომარეობა ისეთივე, როგორიც წინა 8 ტაქტზე.

2 ტ. გლუსუნა უკუსვლა, მკლავები – ქვევით და წინ.

2 ტ. მერვედი ბრუნი მარჯვნივ, გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით, უკან და განზე.

2 ტ. მერვედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით, უკან და განზე.

ვაჟი

2 ტ. მეოთხედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. გლუსუნა უკუსვლა, მკლავები წინ.

2ტ.მერვედიბრუნიმარჯვნივ,გლუსუნაწინსვლა,მკლავებიმარჯვნივიდაყვებდაქანებული.

2ტ.მერვედიბრუნიმარცხნივ,გლუსუნაწინსვლა,მკლავებიმარჯვნივიდაყვებდაქანებული.

ნახაზი 3 – 17-24 ტაქტი

ქალი

8 ტ. შემოვლით ქრიალა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

ვაჟი

8 ტ. შემოვლით ქრიალა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

ნახაზი 4 – 25-32 ტაქტი

ქალი

2 ტ. მერვედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. გლუსუნა უკუსვლა, მკლავები ქვევით და წინ.

2 ტ. მეოთხედი ბრუნი მარჯვნივ, გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. გლუსუნა უკუსვლა, მკლავები ქვევით და წინ.

ვაჟი

2 ტ. მერვედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა უკუსვლა, მკლავები ქვევით, წინ და ჭდომილად.

2 ტ. გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. მეოთხედი ბრუნი მარჯვნივ, გლუსუნა უკუსვლა, მკლავები ქვევით, წინ და ჭდომილად.

2 ტ. გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

ნახაზი 5 – 33-36 ტაქტი

ქალი

3 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

1 ტ. ბრუნი მარცხნივ მარცხენის ერგცერზე, მკლავები განზე.

ვაჟი

3 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

1 ტ. ბრუნი მარცხნივ მარცხენის ერგცერზე, მკლავები განზე.

ნახაზი 6 – 37-42 ტაქტი

ქალი

2 ტ. მერვედი ბრუნი მარჯვნივ და სამდაკვრით უკუსვლა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – წელს უკან.

2 ტ. მეოთხედი ბრუნი მარცხნივ და სამდაკვრით უკუსვლა, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა – წელს უკან. მკლავების სართავებით მოძრაობა.

1 ტ. მეოთხედი ბრუნი მარჯვნივ და სამდაკვრით უკუსვლა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – წელს უკან.

1 ტ. ნახევარი ბრუნი მარცხნივ მარცხენის ერგცერზე, მკლავები განზე გაშლილი.

ვაჟი

2 ტ. მერვედი ბრუნი მარჯვნივ და სამდაკვრით უკუსვლა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – წელს უკან.

2 ტ. მეოთხედი ბრუნი მარცხნივ და სამდაკვრით უკუსვლა, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა – წელს უკან.

1 ტ. მეოთხედი ბრუნი მარჯვნივ და სამდაკვრით უკუსვლა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – წელს უკან.

1 ტ. ნახევარი ბრუნი მარცხნივ მარცხენის ერგცერზე, მკლავები განზე გაშლილი.

ნახაზი 7 – 43-50 ტაქტი

ქალი

2 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. ნაბიჯი და ნახევარი ნაბიჯი ერგცერებზე წინ, ნახევარი ნაბიჯი უკან, თავისუფალი ფეხის ზეაწევით ფეხცვლა, მკლავები ქვევით და წინ.

2 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. ნაბიჯი და ნახევარი ნაბიჯი ერგცერებზე წინ, ნახევარი ნაბიჯი უკან, თავისუფალი ფეხის ზეაწევით ფეხცვლა, მკლავები ქვევით და წინ.

ვაჟი

2 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. ნაბიჯი და ნახევარი ნაბიჯი წინ ერგცერებზე, ნახევარი ნაბიჯი უკან, თავისუფალი ფეხის ზეაწევით ფეხცვლა, მკლავები ქვევით და წინ.

2 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. ნაბიჯი და ნახევარი ნაბიჯი ერგცერებზე წინ, ნახევარი ნაბიჯი უკან, თავისუფალი ფეხის ზეაწევით ფეხცვლა, მკლავები ქვევით და წინ.

ნახაზი 8 – 51-54 ტაქტი

ქალი

3 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაშვებული.

1 ტ. ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ერგცერზე, მკლავები განზე გაშლილი.

ვაჟი

3 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

1 ტ. ზეხტომით მარცხნივ ბრუნი და ორფა მუხლი, მარჯვენა მკლავი დახურულია, მარცხენა – განზე.

ნახაზი 9 – 55-62 ტაქტი

ქალი

8 ტ. ირიბი რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

ვაჟი

4 ტ. ფეხჭდომილი დგომი ცერებზე, მკლავები – განზე.

2 ტ. ხლართულა ჩაკვრა, მკლავები – ქვევით და წინ, მარჯვნივ და მარცხნივ.

1 ტ. ზეხტომი, მკლავები ირმულა მდგომარეობაში.

1 ტ. ორფა მუხლი, მკლავები – მარჯვენა დახურული.

ნახაზი 10 – 63-70 ტაქტი

ქალი

8 ტ. ირიბი რთულა წინსვლა, მკლავები – მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

ვაჟი

3 ტ. სამდაკვრით უკუსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

1 ტ. ერთ-ნახევარი ბრუნი მარცხნივ, მკლავები – განმკლავიდან ირმულა მდგომარეობა.

4 ტ. ირიბი რთულა სვლა წინ, მარცხენა მკლავი – რკალგვარად ზევით, მარჯვენა – განზე.

ნახაზი 11 – 71-78 ტაქტი

ქალი

4 ტ. ქრიალა წინსვლა, მკლავები – ქვევით და უკან.

1 ტ. ქრიალა წინსვლა, ნახევარი ბრუნი მარცხნივ, მკლავები – ქვევით და უკან.

3 ტ. ქრიალა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

ვაჟი

8 ტ. სამდაკვრით უკუსვლა, მკლავები – ქვევიდან თანდათან განმკლავი.

ნახაზი 12 – 79-86 ტაქტი

ქალი

2 ტ. მერვედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა წინსვლა, მკლავები – ქვევით და უკან.

2 ტ. გლუსუნა უკუსვლა, მკლავები ქვევით და წინ.

2 ტ. მეოთხედი ბრუნი მარჯვნივ, გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. მერვედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა უკუსვლა, მკლავები ქვევით და წინ.

ვაჟი

2 ტ. მერვედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა უკუსვლა, მკლავები ქვევით და წინ.

2 ტ. გლუსუნა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. მეოთხედი ბრუნი მარჯვნივ, გლუსუნა უკუსვლა, მკლავები – ქვევით და წინ.

2 ტ. მერვედი ბრუნი მარცხნივ, გლუსუნა უკუსვლა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე.

ნახაზი 13 – 87-90 ტაქტი

ქალი

3 ტ. ქრიალა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

1 ტ. ერთ-ნახევარი ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ერგცერზე, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

ვაჟი

3 ტ. ქრიალა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

ვაჟი

3 ტ. ქრიალა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

1 ტ. ერთ-ნახევარი ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ერგცერზე, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

ნახაზი 14 – 91-96 ტაქტი

ქალი

2 ტ. ხლართული ჩაკვრა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

4 ტ. ორდაკვრით ორფა ბრუნი მარცხნივ, მკლავების ირმულადან გარეთ, ქვევით და უკან გადაშლა.

ვაჟი

2 ტ. ხლართული ჩაკვრა, მკლავები მარჯვნიდან მარცხნივ.

2 ტ. ფეხშლილი ჩაკვრა, მკლავები – ირმულა მდგომარეობა.

2 ტ. ორფა ბრუნი მარცხნივ ცერებზე, მკლავები – ირმულა მდგომარეობა.

ნახაზი 15 – 97-04 ტაქტი

ქალი

2 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები ქვევით და უკან.

2 ტ. ნაბიჯი და ნახევარი ნაბიჯი წინ ერგცერებზე, ნახევარი ნაბიჯი უკან, თავისუფალი ფეხის ზეაწევით ფეხცვლა, მკლავების მოძრაობა წინ და უკან.

2 ტ. განიერი რთულა წინსვლა, მკლავები – ქვევით და უკან.

2 ტ. ნაბიჯი და ნახევარი ნაბიჯი წინ ერგცერებზე, ნახევარი ნაბიჯი უკან, თავისუფალი ფეხის ზეაწევით ფეხცვლა, მკლავები – წინ და უკან.

ვაჟი

2 ტ. ფეხშლილი ჩაკვრიდან ბრუნი მარცხნივ, ფეხშლილი ჩაკვრა, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა – განზე გაშლილი.

1 ტ. ჩაკვრით ხტომბრუნი მარცხნივ, მკლავები განზე გაშლილი.

1 ტ. მარცხენა ფეხის ცერზე დგომა, მარცხენა მკლავი რკალგვარად ზევით, მარჯვენა – განზე.

2 ტ. ფეხშლილი ჩაკვრიდან ბრუნი მარცხნივ, ფეხშლილი ჩაკვრა, მარცხენა მკლავი დახურული, მარჯვენა – განზე გაშლილი.

1 ტ. ჩაკვრით ხტომბრუნი მარცხნივ, მკლავები განზე გაშლილი.

1 ტ. მარცხენა ფეხის ცერზე დგომა, მარცხენა მკლავი რკალგვარად ზევით, მარჯვენა – განზე.

ნახაზი 16 – 105-112 ტაქტი

ქალი

8 ტ. ქრიალა წინსვლა, მკლავების განმკლავიდან თანდათან ზევით აწევა.

ვაჟი

1 ტ. წინხტომი, მკლავები – წინ ჭდომილად.

1 ტ. ფეხშლილი ჩაკვრა, მკლავები – ირმულა მდგომარეობა.

1 ტ. წინხტომი, მკლავები – განზე.

2 ტ. ჭრილი ჩაკვრა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე.

2 ტ. ხტომბრუნი მარცხნივ, ჰაერში ბრუნი, მკლავები – განზე.

1 ტ. მუხლზე დაცემა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განზე.

ნახაზი 17 – 113 ტაქტი

ქალი

1 ტ. მარცხნივ ბრუნი, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაქანებული.

ვაჟი

1 ტ. მუხლზე დგომა, ოდნავ უკუზნექი, მკლავები ზევით და გარეთ.

დავლურ-მთიულურის სქემატური აღწერა



4

5

6

7

	8 3 ق. 1 ق. 3 ق. 1 ق.
	9 8 ق. 4 ق. 2 ق. 1 ق. 1 ق.
	10 8 ق. 3 ق. 1 ق. 4 ق.
	11 4 ق. 1 ق. 3 ق. 8 ق.

12

2 მ. და

2 მ.

2 მ.

2 მ.

2 მ.

2 მ.

2 მ.

2 მ.



13

3 მ.

1 მ.

3 მ.

1 მ.



14

2 მ.

4 მ. და

2 მ. და

2 მ.

2 მ.



15

2 მ.

2 მ. და

4 მ. წინა 4მ. გამეორება

2 მ. დან

1 მ.

1 მ.

4 მ. წინა 4მ. გამეორება



16





ცეკვა დავლურ-მთიულური

კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილი

8va
(8va)
p
p
(8va)
f

f
f
Ped.
f
8va

Allegro
8va

8va
(8va)
(8va)
f

8va
f
(8va)

კონსტანტინე მეღვინეთუხუცესისა.

ცეკვა მხედრული

ერთი ვაჟის შესრულებით

მოკლე აღწერა

ცეკვა *მხედრულს* ცეკვავენ მთიელებიც და ბარელებიც. სრულდება ჯგუფურად, წყვილურად და ცალურად. ამ ცალურ ცეკვაში ვაჟი გამოხატავს ვაჟკაცურ სილამაზეს და გამბედაობას, სიმარდეს, კეთილშობილებასა და შინაგან თავისუფლებას. ცეკვას იწყებს ფრენმუხლურა რბენხტომით, შემდეგ გადადის განიერ რთულა სვლაზე. სხარტად და მოხდენილად ასრულებს ჩაკვრებს, ცერილეთებს, ბრუნებს, რითაც ცეკვის სიუჟეტსა და არსს მკაფიოდ გადმოგვცემს.

ნახაზი №1 (1-16 ტაქტი).

2 ტ. – ფრენმუხლური რბენხტომი, მარჯვენა მკლავის მოძრაობა ქვევიდან წინ და ზევით, მარცხენა – ქვევით და უკან.

2 ტ. – ფრენმუხლური რბენხტომი, მარცხენა მკლავის მოძრაობა ქვევიდან წინ და ზევით, მარჯვენა – ქვევით და უკან.

4 ტ. – განიერი რთულა წინსვლა, მკლავები – III პოზიცია, მარჯვენა – რკალგვარად ზევით, მარცხენა – განზე გაშლილი.

2 ტ. – ფრენმუხლური რბენხტომი, მარჯვენა მკლავი მოძრაობს ქვევიდან წინ და ზევით, მარცხენა – ქვევით და უკან.

2 ტ. – ფრენმუხლური რბენხტომი, მარცხენა მკლავის მოძრაობა ქვევიდან წინ და ზევით, მარჯვენა – ქვევით და უკან.

4 ტ. – განიერი რთულა წინსვლა, მკლავები – III პოზიცია, მარჯვენა – რკალგვარად ზევით, მარცხენა – განზე გაშლილი.

ნახაზი №2 (17-32 ტაქტი).

8 ტ. – მოკლე რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვენა იდაყვებდაქანებული.

6 ტ. – მოკლე რთულა წინსვლა, მკლავები მარცხენა იდაყვებდაქანებული.

1 ტ. – სკუპხტომი მარჯვნივ, მკლავები ქვევით – მარცხნივ.

1 ტ. – ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ცერზე, მკლავები განზე გაშლილი.

ნახაზი №3 (33-40 ტაქტი).

2 ტ. – ხლართულა ჩაკვრა, მარჯვენა მკლავი რკალგვარად ზევით, მარცხენა – განზე გაშლილი.

1 ტ. – მარცხენა ფეხის ცერზე შედგომა, მკლავები – განზე.

1 ტ. – ფეხშლილი ჩაკვრა, მარჯვენა მკლავი რკალგვარად ზევით, მარცხენა – განზე.

2 ტ. – განბიჯით მარჯვნივ ფეხშლილი ჩაკვრა, მკლავები – ირმულა მდგომარეობა.

2 ტ. – განბიჯით მარცხნივ ფეხშლილი ჩაკვრა, მკლავები – ირმულა მდგომარეობა.

ნახაზი №4 (41-48 ტაქტი).

2 ტ. – მარჯვნივ სკუპხტომით ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ცერზე, მკლავები – განზე გაშლილი.

2 ტ. – ბრუნი მარცხნივ და ტყუპცერშედგომი, მკლავები – განზე.

2 ტ. – ირიბი ჩაკვრით წინსვლა მარჯვნივ, მარჯვენა მკლავი რკალგვარად ზევით, მარცხენა – განზე.

2 ტ. – მარცხნივ განბიჯით ხტომბრუნი მარცხნივ, მარცხენა ფეხის უკუგატანით სამფა მუხლი, მკლავები განზე გაშლილი.

ნახაზი **№5** (49-56 ტაქტი).

6 ტ. – ადგომა, მარცხნივ ბრუნი ცერებზე, მკლავები განზე – თანდათან მარჯვნივ,

იდაყვებდაქანებული.

2 ტ. – ტერფებზე დადგომა, კვლავ ცერშედგომი და მარცხნივ ბრუნი, მკლავები – განზეა გაშლილი.

ნახაზი №6 (57-64 ტაქტი).

2 ტ. – ჩაკვრით ირიბი სვლა მარჯვნივ, მარჯვენა მკლავი იდაყვაწეული, მარცხენა – განზე.

2 ტ. – მარცხნივ ბრუნი ერგბუქნით, მკლავები – განზეგაშლილი.

2 ტ. – მარჯვნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა ცერებზე, მკლავები – ირმულა მდგომარეობა.

2 ტ. – მუხლმოდრეკით ჩაკვრა, მკლავები – წელს უკან.

ნახაზი №7 (65-80 ტაქტი).

7 ტ. – ნიავადი სვლა მარცხნივ, მკლავები – მარცხნივ იდაყვებდაქანებული.

1 ტ. – ერთ-ნახევარი ან ნახევარი ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ცერზე, მკლავები – განზე გაშლილი.

8 ტ. – ცერებზე ჭდომილი სვლა მარჯვნივ, მკლავები მარცხნივ იდაყვებდაქანებული.

ნახაზი №8 (81-96 ტაქტი).

14 ტ. – განბიჯით ჭდომბრუნი მარცხნივ დახვევით. მარცხნივი მდგომარეობიდან მკლავების რიგრიგობით ექვსჯერ გაშლა და დახურვა.

1 ტ. – ზეხტომბრუნი მარცხნივ, მკლავები განზე გაშლილი.

1 ტ. – ზეხტომიდან მარჯვენა მუხლზე დახტომა, მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა

ცეკვა მხედრული

ერთი ვაჟის შესრულებით

1  16 ტ	2 ტ. 2 ტ. 4 ტ. 2 ჯერ
2  16 ტ 17-32	8 ტ. 6 ტ. 1 ტ. 1 ტ.
3 8 ტ 33-40	2 ტ. 1 ტ. 1 ტ. 2 ტ. 2 ტ.
4 8 ტ 41-48	2 ტ. 1 ტ. 1 ტ. 2 ტ.

5 8 ಶ 49-56	> 6 ಶ. ಶ. ೧೦೧೭೩ . ೧೦ ∫ ೧೦ ೧ ∫ 2 ಶ. ∫ ೧೦ . ೧೦೬೩ ಅದ ೧೦೧೦
6 8 ಶ 57-64	> 2 ಶ. ∫ ೧೦ . ೧೦೧೪ 2 ಶ. ∫ ೧೦ . ೧೦೩೪ 2 ಶ. ∫ ೧೦ ೧೦ . ೧೦೩೪ 2 ಶ. ∫ ೧೦ . ೧೦೧೦
7  16 ಶ 65-80	> 7 ಶ. ∫ ೧೦ ೧೦ . ೧೦ ೧೦ 1 ಶ. ೧೦ ೧ ½ ಅಗ ೧ ½ ∫ ೧೦ ೧೦ ಅದ ೧೦ ೧೦ 8 ಶ. ∫ ೧೦ ೧೦ . ೧೦ x ೧೦೭
8 16 ಶ 81-96	> 14 ಶ. ೧೦ ೧೦ ಅದ ೧೦ x ∫ ೧೦ . ೧೦ ೧೦ ಅದ 9 ೧೦೬ 1 ಶ. ∫ ೧೦ . ೧೦ ೧೦ 8 ಶ. ∫ ೧೦ H

მხედრული

კომპოზიტორი კონსტანტინე მელვინეთუხუცესი

– გაშლილი.

მეთოდური მითითებანი

გრაფიკული პირობითი ნიშნებით ქორეოგრაფიულ მოძრაობათა ჩაწერას შეძლებს მხოლოდ ის, ვინც კარგად იცის ქართული ხალხური ცეკვის ილეთთა ტერმინოლოგია.

პირობითი ნიშნების შეისწავლება შემდეგი თანამიმდევრობით:

1. ბაქნის დაგეგმვის წესები (საორიენტირო წერტები და ხაზები).
2. ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი გასაღები.
3. ადამიანის სხეულის ნაწილების პირობითი ნიშნები.
4. მდგომარეობა-მიმართულებების ნიშნები.
5. მოძრაობათა აღმნიშვნელი ნიშნები.
6. ილეთთა ცალკეული ჯგუფების ძირე ნიშნები.
7. საცეკვაო მოძრაობათა (ილეთთა) ნიშნები:
   ა) მდგომარეობის,
   ბ) სვლის,
   გ) გასმის,
   დ) ჩაკვრის,
   ე) ბრუნის,
   ვ) ცერილეთის,
   ზ) ხელსართავის და მხარსართავის,
   თ) მუხლილეთის,
   ი) ხტომის.
8. პრაქტიკული ვარჯიში პირობითი ნიშნებით ილეთთა ჩაწერაში:
   ა) ცალკეული ილეთის,
   ბ) ილეთთა ნაერთის,
   გ) საცეკვაო ფრაგმენტის,
   დ) ცეკვის.

1. სტრიქონულად ჩაწერა
2. ხუთხაზიან სტრიქონზე ჩაწერა
3. კვალითი ნახაზის ჩაწერა ილეთების მიწერით
4. სანოტო ხუთხაზიან სტრიქონების ქვევით ქორეოგრაფიულ ილეთთა მიწერა.

ხუთხაზიანი სანოტო სისტემა ასე გამოიყენება

ორი სტრიქონი (ათი ხაზი) საჭიროა სანოტო მასალის ჩასაწერად; მესამე და მეოთხე სტრიქონებს შორის გავლებული ხაზი – პირობითი ნიშნების ჩასაწერად.

9. თუ ქორეოგრაფს სურს, ჩაწეროს ისეთი ილეთი, რომლის ტერმინიც ჯერ დაუდგენელია, საჭიროა ილეთის შემადგენელ ნაწილებად დაყოფა და ისე ჩაწერა.

მაგალითად, განიერი რთულა

შეიძლება ამგვარად დაიყოს შემადგენელ მოძრაობებად:

ე.ი. მარჯვენა ფეხით – ნაბიჯი წინ.

მარცხენა ფეხით – ნაბიჯი წინ ერგცერზე სრიალით.

მარჯვენა ფეხით – ოდნავ წინ წაწევა ტერფებზე გასრიალებით.

ან გაირკვეს: რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ეს ილეთი (სვლას, გასმას, ჩაკვრას და სხვ.), შემდეგ დაიწეროს ძირე ნიშანი ილეთთა ჯგუფის კუთვნილების მიხედვით და პირობითად



მიეწეროს რაიმე დამატებითი ნიშანი.

ადამიანის სხეული
(გასაღები)



სხეულის ნაწილები

თავი

მკლავები	მარჯვენა მკლავი	მარცხენა მკლავი
მხრები	მარჯვენა მხარი	მარცხენა მხარი
იდაყვები	მარჯვენა იდაყვი	მარცხენა იდაყვი
წინამხრები	მარჯვენა წინამხარი	მარცხენა წინამხარი
მაჯები	მარჯვენა მაჯა	მარცხენა მაჯა
მტევნები	მარჯვენა მტევანი	მარცხენა მტევანი
ხელისგულები	მარჯვენა ხელისგული, ნები	მარცხენა ხელისგული, ნები
ხელის თითები	მარჯვენა ხელის თითები	მარცხენა ხელის თითები
ზეტანი	გულმკერდი	ზურგი
ფეხები	მარჯვენა ფეხი	მარჯვენა ფეხი
ბარძაყები	მარჯვენა ბარძაყი	მარცხენა ბარძაყი
მუხლები	მარჯვენა მუხლი	მარცხენა მუხლი

წვივები

მარჯვენა წვივი

მარცხენა წვივი

კოჭები

მარჯვენა კოჭი

მარცხენა კოჭი

ტერფები

მარჯვენა ტერფი

მარცხენა ტერფი

ერგცერები

მარჯვენა ერგცერი

მარცხენა ერგცერი

ფეხის ცერები

მარჯვენა ფეხის ცერი

მარცხენა ფეხის ცერი

ქუსლები

მარჯვენა ქუსლი

მარცხენა ქუსლი

მდგომარეობა

მოძრაობა

მოძრაობის მიმართულება

მიმართულება

მდგომარეობის შეცვლა

საწყისი მდგომარეობა

გამართული დგომი(ა)

ბიჯი, ნაბიჯი


სვლა

რბენა, სირბილი

გასმა

გასმურა

ჩაკვრა

ბრუნი

ბუქნი

ხტომი(ა)

მუხლილეთი

ცერილეთი

ხელსართავი

მხარსართავი

თავის მოძრაობა

ხელების მოძრაობა

ზეტანის მორძრაობა

ფეხების მოძრაობა

ტერფების მოძრაობა

ცერების მოძრაობა

ბუქნური დგომი(ა)

მუხლებზე დგომა

ჯდომა

წოლა

ბრუნვა

ტრიალი

ზევით

ქვევით

მარჯვნივ

მარცხნივ

განზე

გარეთ

შიგნით

აწეული

დაწეული

მიწეული

მოწეული

წინ

უკან

პირდაპირ

მაღლა

დაბლა

ირიბად

უკუღმა

აქნევა

დაქნევა

მოქნევა

მიქნევა

გამართული,
გაშლილი

მოღუნული,
მოხრილი

ადგომა

მიდგმა

გადგმა

გატანა

წაწევა

ვარდნა

დახევა

ახტომა

დახტომა

არეკნა

წახტომი(ა)

შეერთებული


დაშორებული

გადაჭდომილი

დრეკილი

დახურული

გახსნილი

დგომა


დაკვრა

შედგომა


გრეხილი

ხლართული

ზნექი

გაჯრილი

მიჯრილი

დაქანებული

დახრილი

ჰორიზონტალურად,
ჰორიზონტალური

ვერტიკალურად,
ვერტიკალური

დახვეული

დაყრდნობილი

მიკარებული

სრიალი,
გასრიალება

ნაზურა

რთულა

ქრიალა

ჩაგრეხა

ჰაეროვანი,
ჰაერში

შეცვლა, ცვლა

მუხლებაკეცვა

სკუპით

მდგომარეობა, მოძრაობა, მიმართულება, ილეთთა ძირე სახელები

სვლა


წინსვლა


მარჯვნივ სვლა

განზე სვლა

ბიჯრითი სვლა


ცერებზე სვლა


რთულა სვლა

ქუსლურა სვლა


ქრიალა სვლა


ნიავადი სვლა


ნაზურა სვლა

დაკვრით სვლა

ჭდომილი სვლა

ჩაკვრით სვლა

მუხლურა სვლა

მუხლურა სვლა წვივმოქნევით

ჭდომხტომით სვლა

ცერდაქნევჩაკვრითი სვლა

ჭრილჩაკვრით სვლა,
კვეთილი სვლა


ჭრილჩაკვრით და
ფეხცვლით სვლა


უკუსვლა


მარცხნივ სვლა


ადგილზე სვლა

ერგცერებზე სვლა


სრიალა სვლა


ტერფულა სვლა

ირიბი სვლა


გლუსუნა სვლა


ხლართულა სვლა

სამდაკვრითი სვლა


ქუსლებზე სვლა

მუხლდრეკით სვლა

ფრენმუხლურა სვლა

მუხლურა სვლა ზეხტომით

ხლართულჩაკვრით სვლა

ჭდომილჩაკვრით სვლა

ირიბი რთულა სვლა

ნაზურა სვლა ფეხმოსმით

ფეხჭდომილი უკუსვლა

ქუსლდაკვრით უკუსვლა

ფეხჭდომილი სვლა

გასმით სვლა


გაქნევგასმით წინსვლა


განიერი რთულა სვლა


გასმით წინსვლა

მოკლე რთულა სვლა

სკუპით სვლა


სამდაკვრით და ბრუნვით სვლა

მუხლებმოკეცვით სვლა

ჩაკვრა

სადა ჩაკვრა

დახურული ჩაკვრა

გახსნილი ჩაკვრა

მუხლმოქნევით ჩაკვრა

ფეხშლილი ჩაკვრა

ფეხშეტყუპებული ჩაკვრა

ქუსლცერა ჩაკვრა

ორფა ქუსლურა ჩაკვრა

ჭდომილი ჩაკვრა

ჭდომხტომილი ჩაკვრა

ხლართული ჩაკვრა

ქუსლაქნევით ჩაკვრა

ტყუპცერჩაკვრა

ჭრილი ჩაკვრა, კვეთილი ჩაკვრა

ჭრილი ჩაკვრა ფეხცვლით

წვივდაქნევჩაკვრა

გრეხილი ჩაკვრა


ჩაკვრით სვლა

განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა


განბიჯით და ჭდომბრუნჩაკვრა

დახტომით ჩაკვრა

ბრუნხტომით ჩაკვრა

დახვეული ჩაკვრა

ორფა ჭრილი ჩაკვრა

ცერდაქნევით ჭდომილი ჩაკვრა

ფეხგადგმით ჩაკვრა

ფეხცვლა ჩაკვრით

ჩაკვრა

გასმა

სადა გასმა

სადა სრიალა გასმა

ქუსლურა გასმა

სარული გასმა

ჭდომილი გასმა

ჩაკრული გასმა

დაბალჩაკრული გასმა

მაღალჩაკრული გასმა

ხლართული გასმა

გვერდულა გასმა

გასმურა ან ხტომით გასმა

სარეცხული გასმა

დაბალი გასმა

მაღალი გასმა

გაქნევით გასმა

ქუსლცერა გასმა

ზეხტომჩაკრული გასმა (ბაღდადური)

ქუსლმოქნევით გასმა

გასმურა

ცალფეხგასმურა

გასმით სვლა

გასმის ცვლა

გასმა
ბრუნი (ბრუნვა)

ბრუნება

ერგბრუნი

ბრუნი

ბრუნი მარჯვნივ

ბრუნი მარცხნივ


გარებრუნი

შიგნით ბრუნი

ჰაერში ბრუნი


ზეხტომბრუნი

ცალ ერგცერზე ბრუნი

ცალ ცერზე ბრუნი

ცერებზე ბრუნი

ბუქნში ბრუნი

ფეხჭდომილ ცერებზე ბრუნი

სამდაკვრით ბრუნი

ადგილზე ბრუნი

დახვევით ბრუნი


მუხლებზე ბრუნი

ჩაკვრით ბრუნი

გასმით ბრუნი

მოქნევით ბრუნი

ფეხშლილი ერგბუქნში ბრუნი

სვლით ბრუნი


განბიჯით ჭდომბრუნი

მარცხნივ ბრუნი მარჯვენის შიგმოქნევით

ჭრილჩაკვრით ბრუნი


მარჯვენა ფეხის გადგმით მარჯვნივ ბრუნი

ცალცერზე დახტომით ბრუნი

ადგილზე სირბილით ბრუნი



ხტომა



ცერილეთები



ბუქნი

ცალ მუხლზე დგომა

მუხლებზე დახტომა

მუხლებზე ბრუნი

მუხლების მოღუნვა

მუხლების დაშორება

მუხლების მიკარება

მუხლებზე დგომიდან არეკნი

მუხლების მოძრაობა

ორმუხლა

ორ მუხლზე დგომა

მუხლებიდან ადგომა


მუხლდახვევა

მუხლების გამართვა

მუხლების შეერთება

მუხლების აკეცვა

მუხლების მიმართულება

სამმუხლა

მუხლილეთები
მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა

მკლავები წინ (წინმკლავი)

მკლავები მარჯვნივ (მარჯვნივ წინმკლავი)

მკლავები ზევით (ზემკლავი)

მკლავები განზე (განმკლავი)

მკლავების რკალისებრი მოძრაობა

მკლავების მოძრაობა მარცხნივ

მკლავების დაქნევა

მოღუნული მკლავების მოძრაობა

მკლავების გადაჭდომა

მკლავების ცვლა

მარჯვენა მკლავი ზევით, მარცხენა - ქვევით

მკლავების წინმხრები გულმკერდის წინ

მკლავები უკან (უკუმკლავი)

მკლავები მარცხნივ (მარცხნივ წინმკლავი)

მკლავები ქვევით (მიმკლავი)

მკლავები რკალგვარად ზევით (ირმულა)

მკლავების წრისებრი მოძრაობა

მკლავების აქნევა

გამართული მკლავების მოძრაობა

მკლავები დახრილად

მკლავების მოძრაობა: მარჯვენის - წინ, მარცხენის - უკან

ირმულა მდგომარეობა

მკლავები დოინჯით

ხელსართავი

ხელსართავი ზევით

ხელსართავი ქვევით

ხელსართავი გარეთ

ხელსართავი შიგნით

ხელსართავი წინ

ხელსართავი უკან

რკალისებრი ხელსართავი

ხელსართავი მარჯვნივ

ხელსართავი მარცხნივ

სრული ხელსართავი

საშუალო ხელსართავი

მცირე ხელსართავი

მხარსართავი

მხარსართავი წინ

მხარსართავი უკან

მხარსართავი ზევით-ქვევით

მხარსართავი წინ-უკან

მხარსართავი მიმდევნოდ

მხარსართავი ერთდროულად

ხელსართავი მხარსართავი



ქალი



ვაჟი

მეორე ქალი

მეორე ვაჟი

წინ მიმართულებით

უკან მიმართულებით

მარჯვნივ გვერდზე სვლა


მარცხნივ გვერდზე სვლა


ბრუნი მარჯვნივ


ბრუნი მარცხნივ

ერთი მოძრაობიდან მეორეზე გადასვლა

გავლილი გზა

ქალისა და ვაჟის სვლის, ბრუნვისა და მიმართულების ნიშნები



რიგის გავლა მარჯვნივ

რიგის გავლა ორ რიგს შუა



ოთხი რიგის გავლა ერთიმეორეში



ორი რიგის გავლა ორ რიგს შუა



მეორე რიგის გასვლა პირველის გაჭრით



მოპირდაპირე მწკრივების გაჭრით გასვლა ერთიმეორეში



მწკრივში რიგის გავლა

კლაკნილი გავლა

წრიული გავლა

გადასვლა ან ადგილის შეცვლა

ტალღისებური სვლა



ხვეული სვლა



ვარსკვლავისებური სვლა

განმეორება

მრავალრიცხოვან მოცეკვავეთა მოძრაობის ალსანიშნავი ზოგიერთი ნიშანი



მძიმე

წერტილი

წინადადების დამთავრება, დასრულება

ყოვნა
სასვენი ნიშნები სიბრტყის ნიშნები

ვერტიკალური

ჰორიზონტალური

ირიბი

ცეკვა ქართული

წინასიტყვაობა

შემთხვევითი არ არის, რომ დავით ჯავრიშვილი *ქართული ხალხური ცეკვების* გამოქვეყნებას ცეკვა *ქართულით* იწყებს. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან და მდიდარ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ცეკვა *ქართულს* – ხალხური შემოქმედების მწვერვალს, მის მშვენებას და სიამაყეს – განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ცეკვა *ქართული* განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ ის საერთო ხალხურია, სრულყოფილია, როგორც ზოგადი სახალხო ეროვნული ცეკვა და მას აღარ გააჩნია კუთხურობის ნიშნები. ცხადია: ხალხის წიაღში წარმოქმნილი ასეთი ცეკვა მრავალი თაობის და არა ერთი ოსტატის შემონაქმედია, ამიტომაც ასე ღვიძლი, მშობლიური, დედა ენასავით გასაგები და მომხიბვლელია საუკუნეთა განმავლობაში ნაწრთობი მისი პლასტიკური გამომეტყველების ძალა; ამ ცეკვაში თავმოყრილია ქართველი ხალხის ქორეოგრაფიული შემოქმედების საუკეთესო თვისებები.

ცეკვა *ქართული* გამოირჩევა ემოციურობით, ის გულში ჩამწვდომი სიმღერაა თავისუფლებისმოყვარე ხალხისა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე მტრის ურდოებთან გამუდმებულ ბრძოლების ცეცხლში გამოატარა თავისი ძველი და მდიდარი კულტურა. ცეკვა *ქართული* მგზნებარე სიმღერაა, ქებათა-ქებაა ხალხის სილამაზის, მისი კეთილშობილი სულის, ბედნიერებისაკენ მისწრაფების. ეს არის პლასტიკური გამომეტყველების ეროვნულ ენაზე ნათქვამი ქალვაჟიანი, სიმღერა სიყარულის ძლევამოსილებისა, ამაღელვებელი თხრობა მიჯნურობისა.

ქართული ხალხური ცეკვების ნიშანდობლივი თვისება მათი სიუჟეტურობა და შინაარსიანობაა. ქართული ხალხური ქორეოგრაფიული საგანძურიდან მკვეთრად ჩამოყალიბებული ფაბულით, თანამიმდევრული სიუჟეტური განვითარებით გამოირჩევა წყვილური ცეკვა *ქართული.* ყველა, ვინც ამ ცეკვის შესახებ წერს (დ.ჯავრიშვილი, ვ. ჭაბუკიანი, ი. ზურაბიშვილი, ლ. გვარამაძე, ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი, ო. ეგაძე, ლეონიდოვი, ი. მოსკვინი, ა. მესერერი, ო. ლეპეშინსკაია, ი. მოისეევი და სხვ.), ხაზგასმით აღნიშნავს მის გამოკვეთილ, ულამაზეს ფორმასა და შინაარსს. რასაკვირველია, დასაშვებია ცეკვის შინაარსის გადმოცემაში ვარიანტული სხვაობა, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია მისი გაღარიბება. ზოგიერთი დაუკვირვებელი მოცეკვავის ხელში ცეკვა *ქართული* შინაარსეულად სრულიად გამოშიგნულია და გადაქცეულია რთული ილეთების ოსტატური შესრულების საჩვენებელ სანახაობად. ამ წიგნის ღირსება სწორედ ის არის, რომ ავტორი ცეკვა *ქართულის* ტექნიკურ მხარესა და შესწავლის მეთოდიკას შინაარსეულთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიზუსტით დადგენილი სვლები (ადგილზე სვლა, უკუსვლა, გვერდზე სვლა – გედური და წინსვლა), ასევე მკლავების მდგომარეობა და მოძრაობა სხვადასხვა სვლის დროს.

ცეკვა *ქართული* ქართველი ერის მაღალი ზნეობის, მორალური კეთილშობილების, რაინდული სულის გამომხატველი ცეკვაა. ავტორი სრულიად მართებულად განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდებია *ქართულის* შესრულების ტრადიციულ წესს – ქალისადმი ვაჟის თავაზიან, მოკრძალებულ დამოკიდებულებას. მართლაც: ამ მომხიბვლელ ცეკვაში ვაჟი ფარვანასავით გარს უვლის, თავს დასტრიალებს სინათლეს, ვერც მიჰკარებია და ვერც მოშორებია. ქალი ცეკვავს კეთილშობილების, პატიოსნების და უმანკოების განცდით, გრძნობათა თავშეკავებული და მოკრძალებული გამომეტყველებით. მოწონებას ვერ დაიმსახურებს ზოგიერთი დაუკვირებელი და თავნება მოცეკვავე, რომელსაც ცეკვა

ქართულში შეაქვს *მთიულურისა* თუ *მხედრულისათვის* დამახასიათებელი ნახტომები, შეძახილები, გარეგნული თავაწყვეტილი ტემპერამენტი, რიტმის მკვეთრი მოძრაობით აქცენტირება და სხვ. ცეკვა *ქართული* თავისი შინაარსის შესაბამისად სრულდება. გამოირჩევა მოცეკვავეთა ტემპერამენტის შეკავებით, მოძრაობათა კეთილშობილებით, ფორმის სიმკაცრითა და დახვეწილობით, ზომიერებისა და ტაქტის გრძნობით, შინაგანი განცდით, მოცეკვავე წყვილის მიერ წრფელი, ღრმა ფსიქოლოგიური ურთიერთობის სადად გადმოცემით. ქალი ცეკვავს ნარნარად, თითქოს კი არ მოძრაობს, გედივით ცურავს. 1937 წელს კრემლში ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა მიღებაზე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ი. მოსკვინმა აღნიშნა: „მე, როგორც მსახიობს, ამ ცეკვაში მაოცებს ის, რომ უდიდეს მგზნებარე შინაგან ტემპერამენტთან ერთად, მოცეკვავენი აღწევენ მოძრაობის ასეთ სინარნარეს, მკაფიობას და უაღრეს კეთილშობილებას... თქვენი ქალების ცეკვა სინარნარისა და სიმსუბუქის მხრივ შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ფრინველთა ფრენას – თითქო უხილავი ფრთები ესხათ. მერე ხელები? ეს ხომ მოძრაობის მთელი სიმფონიაა “ (გაზ. *კომუნისტი* 1937წ. №13).

ასევე აღტაცებით წერდა ო. ლეპეშინსკაია: „ქართველები ბრწყინვალედ ფლობენ ხელებს. ხელებით შეუწყვეტელი თამაში, საუცხოო ნაქარგობა, რომელსაც ისინი ჰაერში ხელებით ქსოვენ, შესანიშნავად ამდიდრებს ცეკვის გამომსახველობას“ (გაზ. *სოვეტსკოე ისკუსტვო* 1937 წ. №3). *ქართულში* ქალის ცეკვის ეს ხასიათი – ხელების გამომეტყველი მოძრაობა – პოეტური გზნებით გადმოსცა XIX საუკუნის 50-იანი წლების სახელგანთქმული მოცეკვავის დარია ბეგთაბეგაშვილის შესრულებით მოხიბლულმა გიორგი ერისთავმა:

ერთი შეხედეთ, ვით ყარყატი ყელმოღერებით,
მოსცურავს ეგრე მშვენიერად და ნარნარებით.
უყურეთ ფეხთა თვალ ვერ ჰსწრებით, როგორა ხმარობს,
ჰაერსა ზვირთთა თავის ფრთებით ვითა განაპობს?
ხედავთ მაგ ტანსა, გულწამტანსა, ნორჩსა, მრხეველსა;
შეჰხედეთ თმათა, ხშირთა შავთა, – შვენობენ წელსა,
მკლავს მე ხელების, ზესთა ფრთების უცხოდ ხმარება,
აგრე მოფრინავს, თითქო მიწას არ ეკარება.

ქართულის ცეკვისას, როცა ვაჟი ფეხებით ასრულებს ურთულეს მოძრაობებს, მისი ტანი არც კი ირხევა და ამით სიმსუბუქისა და კეთილშობილური გამომსახველობის საოცარ სურათს ქმნის. ამიტომაც ავტორს დიდი ყურადღებით დაუმუშავებია ვაჟური ილეთები – გასმები, მთელი მისი ნაირსახეობით (სრიალა, ქუსლური, სარული, ჭდომილი, ჩაკრული, გაქნევითი, მაღალჩაკრული). ცეკვის ბუნებაში სრული წვდომითა და პედაგოგიური ალღოთი დაზუსტებულია გასმების ნაირსახეობა, მისი სწავლების მეთოდიკა.

ცეკვა *ქართული* არ არის სამუზეუმო, საისტორიო ცეკვა, ის ხალხში ცოცხლობს, ამიტომაც, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, ისიც ვითარდება. დავით ჯავრიშვილის წიგნში ეს ვითარებაც გათვალისწინებულია.

დიმიტრი ჯანელიძე

ავტორისაგან

წინამდებარე შრომა – *ხალხური ცეკვა ქართული* – არის ავტორის პირველი ცდა, შეიტანოს თავისი მცირედი წვლილი იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც დასახა ქორეოგრაფიის ხელოვნების მუშაკთა საკავშირო კონფერენციამ (1950წ. აპრილი) პროფესიული ქორეოგრაფიული განათლების გაუმჯობესებისა და განვითარებისათვის.

ეს წიგნი დაიწერა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თაოსნობით. ასეთი ნარკვევის გამოცემის საჭიროება მეტყველებს, თუ რამდენად გაიზარდა ხალხური შემოქმედების მხატვრული დონე და თვითმოქმედი წრეებისა და კოლექტივების მოთხოვნილებანი.

ავტორმა საჭიროდ მიიჩნია, იმ თანამიმდევრობით დაემუშავებინა და დაელაგებინა მასალები, როგორიც უფრო მოხერხებული იქნებოდა ცეკვის პრაქტიკული კურსის ჩასატარებლად. ამიტომაც ცეკვის შინაარსის ზოგადი აღწერისა და მის შემადგენელ ილეთთა შემდეგ მოცემულია სასწავლო პრაქტიკული ნაწილი.

ამასთანავე, მასალის ადვილად გაგების და შეთვისების მიზნით, შრომაში მოცემულია: 1. ცეკვა *ქართულის* ნახაზის სქემატური აღწერა, 2. ცეკვის ნახაზი ზ.ფალიაშვილის ოპერა *აბესალომ და ეთერიდან* და დამატების სახით: ტერმინოლოგია, ქართული ნაციონალური სამოსის ნიმუშები და მუსიკალური მასალა.

წყვილური ცეკვა ქართულის აღწერა

მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ქართული ხალხური ცეკვებისგან ყველაზე პოპულარულია ქალ-ვაჟის წყვილური ცეკვა *ქართული*.

ამ ცეკვის შესრულება ქალ-ვაჟისაგან მოითხოვს: დიდ ხელოვნებას, პლასტიკურობას, მოძრაობათა კეთილშობილებას. ეს ცეკვა სატრფიალო პოემაა, შეჯიბრება სილამაზეში, მოქნილობაში, მოსაზრება-მიხვედრილობაში. ცეკვას იწყებს ვაჟი – ნარნარი სრიალით უვლის წრეს. მას თავი ამაყად უჭირავს; ფეხების სწრაფი და სხარტი მოძრაობის მიუხედავად, მისი ზეტანი უძრავია, მიჯნურის მოუთმენლობით ჩამოუვლის წრეს და ქალთა შორის ეძებს თავისი გულის რჩეულს; აგერ მოჰკრა კიდეც თვალი, მაგრამ აღელვებას არ იმჩნევს, განაგრძობს წრის შემოვლას და ფეხს გაუსვამს: ეს თითქოს შეთანხმებაცაა მუსიკოსებთან და თხოვნაც – ხელი შეუწყონ რჩეულთან ცეკვისას, ტკბილი ჰანგებით შეაგრძნობინონ ქალს მისი გულის ნადები, ნატვრა და ოცნება.

„შეთანხმდა“ რა მუსიკოსებთან, ვაჟი განაგრძობს წრის შემოვლას, მიუახლოვდება თავის რჩეულს და თავაზიანად, თავის დაბლა დახრით იპატიჟებს მას საცეკვაოდ. თანხმობის მოლოდინში, განაბული გვერდზე გადგება, რათა ქალიშვილს გზა დაუთმოს.

ქალიშვილმა მიიღო მიპატიჟება, მას ვაჟი მოსწონს, ოღონდ ვაჟმა ჯერ უნდა აჩვენოს თავისი ძალა, სიმკვირცხლე და მიხვედრილობა. ქალი ოდნავ თავის დახრით უპასუხებს ვაჟს და სრიალა სვლით ებმება ცეკვაში. მკლავების მოხდენილი და ნარნარი მოძრაობით ანიშნებს ვაჟს – თან გაჰყვეს მას, მაგრამ რამდენი თავდაჭერილობა, სინაზე, სიმორცხვე და, ამავე დროს, სიამაყე ჩანს მის ქცევაში. მშვიდი, მშვილდის ლარივით დაჭიმული, კი არ მოძრაობს – მიცურავს, მოქნილი და ელასტიკური. ვაჟმა იცის, თუ რაოდენი სიძლიერე და სიმარდეა მის მკვირცხლ ფეხებში.

ვაჟი წამსვე აჰყვება ქალის მოძრაობას იმავე სრიალა სვლით. ლამის შეეხოს ქალს, მაგრამ ახსოვს, რომ ამით მას უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს და ამიტომაც ამახვილებს

ყურადღებას. უცებ ქალმა შეცვალა სვლის გეზი – წავიდა პირუკუ, კინაღამ დაეჯახა ვაჟს, მაგრამ ვაჟი მარდია: სწრაფად შებრუნდა ქალისკენ სახით და, როგორც ყოველთვის, თავაზიანად გაჰყვა მას. პირველი „საფრთხე“ აცილებულია: ვაჟს შეიძლება გაეშვა წამი, წინ წასულიყო. ამით კი მის ტრფობას საფრთხე მოელოდა: ქალს შეეძლო მიეტოვებინა ვაჟი და სხვას, უფრო მარდსა და თავაზიანს, გაჰყოლოდა საცეკვაოდ.

ცეკვა გრძელდება. ქალი მიუახლოვდება იმ ადგილს, საიდანაც საცეკვაოდ გამოვიდა, აქ შებრუნდება და შეჩერდება, რითაც ნებას რთავს ვაჟს, ცალად განაგრძოს ცეკვა. ვაჟს აქედანვე შეუძლია გააგრძელოს ცეკვა, მაგრამ, ვინაიდან ახლო მდგომ ქალს ზურგს ვერ უჩვენებს, იგი რამდენიმე ნაბიჯით უკუიხევს და შემდეგ დაიწყებს წრის შემოვლას. დინჯად მიდის, თითქოს ფიქრობს, რით მოხიბლოს ქალი, ნარნარად უვლის წრეს და, კვლავ უახლოვდება რა რჩეულს, უკუსვლით ცენტრისკენ იხევს. უამრავ თვალს შორის, მოთხოვნით, გამოწვევითა და ოდნავ შესამჩნევი სურვილით ქალის თვალები ნატრობს – ნეტავ, ვაჟი მისი სწორფერი აღმოჩნდეს. ვაჟი მოედნის ცენტრში დგას, პირით ქალისაკენ, მარდად და მოხდენილი გასმით ცეკვავს, ილეთი ილეთს ცვლის და რთულდება. წარმატებით გაამაყებული ვაჟი ამთავრებს გასმას და ქალს უახლოვდება, მაგრამ გამარჯვება ჯერ შორსაა. ქალი ჩქარა სწყდება ადგილს, სწრაფი სრიალით წრეს უვლის, ვაჟი ქალს წამოეწევა, მაგრამ აგერ ქალმა სვლა შეანელა, აქეთ-იქით მიმოიხედა – ხომ არ დაღლილა ან ადგილს ხომ არ ეძებს დასასვენებლად? ვაჟი მას ყურადღებით ადევნებს თვალს – შესაძლებელია, აქ რაიმე ცბიერებაა დამალული. უცბად ქალი გაქანებით კვლავ მიქრის წინ წრეზე. ვაჟი თან გაჰყვება. ქალი ანიშნებს კენტად ვცეკვავო. ვაჟი შეჩერდება. ქალი ვაჟის მოპირდაპირე მხარეს მოექცა, ნაზად შეცვალა მკლავები და გვერდზე სვლით ცენტრისაკენ გაემართა, ვაჟს გადახედა, ოდნავ მის მხარეს გადაიხარა და დინჯად დაიწყო ადგილზე ბრუნვა, თითქოს დამსწრეთ თავს აწონებს და ეკითხება: „განა არა ვარ ტრფობის ღირსი, ტანმოხდენილი, ლამაზი, ნაზი”? შემდეგ მოულოდნელად მოსწყდება ადგილს და ვაჟისაკენ გაემართება, ჩაუქროლებს მას ელვისებურად. ვაჟი ქალს გვერდზე გაჰყვება. ქალი ხშირ-ხშირად იცვლის სვლის გეზს და მიმართულებას, რათა ვაჟი უკან დატოვოს. ხან შეანელებს, ხან ააჩქარებს სვლას, მაგრამ ამაოდ: ვაჟი დინჯად და თავდაჭერილად, დაჟინებით მიჰყვება მას. მაშინ ქალი სწრაფად მოტრიალდება, წრის ცენტრისკენ გაეშურება. მაგრამ აქ ვაჟი ნახევარი ნაბიჯით წინ გაუსწრებს. ქალი ისეთივე სისწრაფით ძველი ადგილისაკენ მიქრის, ვაჟი ახლაც გაუსწრებს. ქალი რწმუნდება, რომ ვაჟი წრფელი სიყვარულითაა გამსჭვალული და მის წინ შეჩერდება თავის დახრით – ვაჟს განუცხადებს, რომ თავის სწორად ცნობს და ცეკვა მთავრდება.

ცეკვა ქართულის ძირითადი ილეთები

1. წინსვლა
2. უკუსვლა
3. გვერდზე სვლა
4. ადგილზე სვლა
5. გასმები
6. ბრუნვები
7. მკლავების მდგომარეობა და მათი ცვლა.

ცეკვა *ქართულის* ძირითადი ილეთების აღწერა-გარჩევამდე საჭიროდ მიგვაჩნია ქართულ ქორეოგრაფიაში მიღებული ხელისა და ფეხის ძირითადი პოზიციების განმარტება. მიზანშეწონილია, ქორეოგრაფიული წრეების ხელმძღვანელებმა და

შემსრულებლებმა ცეკვის შესწავლა დაიწყონ არა საცეკვაო ილეთებით, არამედ მოსამზადებელი მოძრაობებით, რითაც ბევრად გაადვილდება, როგორც ცალკეული ელემენტებისა და მათი ნაერთების, ასევე თვით ცეკვის შეთვისების პროცესი და მოძრაობათა ტექნიკის დაუფლება.

მკლავების მდგომარეობა ქალთათვის და მათი ცვლა

1. მკლავების განზე გაშლა მაჯის სახსარში მცირე რადიუსით მოძრაობა – ხელსართით (სურ 1).



სურ.1

სურ. 2

2. ორივე მკლავის განზე გაშლა ხელსართით (ხელის დიდი თითების გადაცილებით და III პოზიცია. მარცხენა მკლავი წინ (სურ. 2).

3. სრულდება როგორც ვარჯიში №2, მხოლოდ მეორე მხარეს.

4. მეორე პოზიციიდან (მარცხენა მკლავი წინა პოზიციაში) გადასვლა მეორე მდგომარეობაში – მარჯვენა მკლავი წინა პოზიციაში. მკლავების მდგომარეობა ერთდროულად იცვლება ხელსართავით მაჯის სახსარში (სურ. 2-ა).

სურ. 2ა

მკლავების მდგომარეობა ვაჟთათვის და მათი ცვლა

1. მკლავების I პოზიციაში გაშლა და მარჯვენა მკლავის იდაყვის სახსარში მოხრით II პოზიცია.

2. მკლავების გაშლა I პოზიციაში და II-ში მარჯვენა წინამხრის ჩაგრეხით (მარჯვენა მკლავის მოხრა იდაყვის სახსარში მარჯვენა ხელით რკალის მოხაზვით – ნები ჯერ ზევით, შემდეგ – ქვევით (სურ. 3 – ა, ბ, გ).

3. №1 ვარჯიში მარცხენა მკლავის მოხრით.

4. №2 ვარჯიში მარცხენა მკლავის მოხრითა და ჩაგრეხით (სურ. 3 – დ, ე).



სურ. 3

მოძრაობა ადგილზე და ადგილის შეცვლით

1. მაღალი ერგცერებიდან თითოეულ ტაქტზე ერგცერებით ადგილის გადაუნაცვლებლად სამი დაკვრა (სურ. 4).
2. იგივე, რაც №1-ში ოდნავი უკუდახევით.
3. ორდაკვრითი გვერდითი სვლა ერგცერებზე.
4. სამდაკვრითი გვერდითი სვლა ერგცერებზე (გედურა. სურ. 6).
5. მაღალი ერგცერებიდან ფართო უკუსვლა
6. სამდაკვრითი ილეთით სრული ბრუნი ადგილზე – 360^0 (მარჯვნივ, მარცხნივ).
7. სვლა (მარში) წინ მაღალი ერგცერებით.
8. წინსვლა (მარში) დაბალი ერგცერებით.
9. წინსვლა (მარში) მაღალ ერგცერებზე სრიალით ფეხის ცერების აუღებლად.
10. წინსვლა: 4 ჩვეულებრივი ნაბიჯი, 4 – ერგცერებზე სრიალით.
11. წინსვლა: 4 ჩვეულებრივი ნაბიჯი, 2 – ერგცერებზე სრიალით.
12. წინსვლა: 2 ჩვეულებრივი ნაბიჯი, 2 – ერგცერებზე სრიალით.
13. წინსვლა: 1 ჩვეულებრივი ნაბიჯი, 2 – ერგცერებზე სრიალით.
14. წინსვლა: 1 ჩვეულებრივი ნაბიჯი, 2 – ნახევარნაბიჯი ერგცერებზე სრიალით.
15. სრიალა წინსვლა.
16. **ერთი** – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ.
    ორი – მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ ცერის გასრიალებით და ფეხის მუხლში მოღუნვა (ამ მოძრაობისას საჭიროა ქუსლის რაც შეიძლება ზევით აწევა). შემდეგი ტაქტი – ზემოთ აღწერილი წესით, იწყება მარცხენა ფეხით.
17. რთულა წინსვლა.

გასმის შესასწავლი ვარჯიშები (ვაჟთათვის)

1. სრიალა გასმა ორ თვლაზე.

საწყისი მდგომარეობა: მკლავები – II პოზიცია (მარჯვენა მოხრილია), ფეხები – I პოზიცია. ტაქტის წინ: მარჯვენა ფეხი ტერფის სიგრძეზე წინ (II პოზიცია) და ცერით იატაკს შეხება. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი - ფეხების მდგომარეობის სრიალით შეცვლა.

ორი - ფეხების ისევ სრიალით შეცვლა. (ეს მოძრაობა შეიძლება შესრულდეს დაბალ ერგცერებზეც).

2. სადა გასმა (ტაქტში სამი მოძრაობაა).
3. ქუსლურა გასმის მოსამზადებელი ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: იხ. №1 ვარჯიში. მუსიკალური ზომა – 2/4.

გარე ტაქტი – II პოზიცია ერგცერებზე, მარჯვენა ფეხი წინ.

ერთი – სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: მარცხენა ფეხის ქუსლით წინ გასრიალება, ცერი – ზევით. მარჯვენა ფეხის უკუსრიალით ტერფის წინა ნაწილით საყრდენი მდგომარეობა.

ორი – ამავე წესით შეიცვლება ფეხების მდგომარეობა.

4. ქუსლური გასმა
5. სარული გასმის მოსამზადებელი ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: მკლავები – II პოზიცია, ფეხი – I. მუსიკალური ზომა: – 2/4 ან 6/8. გარე ტაქტი: მარჯვენა ფეხის ტერფის სიგრძეზე წინ გადადგმა – II პოზიცია, ერგცერით იატაკს შეხება.

ერთი – სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში ძლიერ მოღუნვა, ქუსლის რაც შეიძლება ზევით აწევა და ცერის საყრდენი ფეხის ცერის გვერდზე დაბჯენა.

6. სარული გასმა (სურ. 14).

7. ჭდომილი გასმის მოსამზადებელი ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: მკლავები – II პოზიცია (მარჯვენა მოხრილი), ფეხი – II პოზიცია (მარჯვენა ფეხი წინ). დაბალი ერგცერები. მუსიკალური ზომა: 2/4 ან 6/8.

ერთი – ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

და – მარცხენა ფეხის სრიალით მარჯვენის გადაჭდობა და ორივე ფეხის ტერფის ერთმანეთს ნეკებით შეხება.

ორი – სრიალა უკუგადგმით მარჯვენა ფეხის ჭდომიდან გათავისუფლება. დასასრულ, მარჯვენა ფეხის საყრდენი ფეხიდან ნახევარი ტერფის დაშორებით ერგცერით იატაკს შეხება.

და – წინგასრიალებით მარჯვენა ფეხის საწყისი მდგომარეობა.

8. ჭდომილი გასმა (სურ. 16).

9. გვერდულა გასმის მოსამზადებელი ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: ხელი – II პოზიცია (მარჯვენა მოღუნული).

ფეხები – II პოზიცია (მარჯვენა წინგადადგმულია და ერგცერით იატაკს ეხება). მუსიკალური ზომა: – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ქუსლის შიგნით შეწევა, მარჯვენა ფეხის სრიალით მარცხენის ქუსლისკენ მიწევა და მოძრაობის დასასრულს იატაკს სრული ერგცერით შეხება.

ორი – სხეულის სიმძიმის მარცხენა ფეხის ქუსლზე დაყრდნობა, ფეხის ტერფის წინა ნაწილის შიგნით შეწევა – I პოზიცია. ცერზე გასრიალებით მარჯვენა ფეხის წინ გაწევა და ისევ საწყისი მდგომარეობა.

ეს მოძრაობა რამდენიმეჯერ გამეორდება (ადგილიც მარცხნიდან მარჯვნივ შეიცვლება).

10. ვარჯიში №9, მხოლოდ მეორე მხარეს – მარცხენა მიმართულებით.

11. გვერდული გასმა (სურ. 15).

12. ჩაკრული გასმის მოსამზადებელი ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: მკლავები – დოინჯი, ფეხი – II პოზიცია, წინ გადგმული მარჯვენა ფეხის ერგცერით იატაკს შეხება.

მუსიკალური ზომა – 2/4. და ტერფის იატაკს აცილება. სრიალითა და ოდნავი ზეხტომით მარცხენა ფეხის წინ – ტერფის სიგრძის 1/4-ზე დადგმა.

ერთი – უკან გატანით მარჯვენა ფეხის ერგცერით დადგმა და მარჯვენა ფეხის ცერის მარცხენა ქუსლის ხაზზე მოქცევა.

და – დაბალ ერგცერებზე სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

ორი – დაბალ ერგცერებზე სრიალით ფეხების მდგომარეობის ისევ შეცვლა. ყოველი შემდეგი ტაქტის გარე ტაქტის თვლიდან დაწყება.

13. ისევე, როგორც ვარჯიში №12, მხოლოდ მარცხენა ფეხით.

14. მაღალჩაკრულის მოსამზადებელი ვარჯიში.

საწყისი მდგომარეობა: მკლავები – II პოზიცია (ნახევრადდახურული, მარჯვენა – მოღუნული), მარცხენა ფეხზე დგომა, მუხლში გამართული მარჯვენის წინ აწევა 1/2 ტერფის სიმაღლეზე (ტერფი იატაკის პარალელურად).

მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – გასრიალებით ოდნავი წინხტომი მარცხენა ფეხზე (ტერფის 1/4 სიგრძეზე), მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოღუნვა ოდნავ ზევით აწევით, ტერფი ცერით ქვევით და საყრდენი ფეხის ვერტიკალურად.

ორი – მარცხენა ფეხზე ოდნავი სრიალა უკუხტომი. მარჯვენა ფეხის მუხლში გამართვა და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. ეს ვარჯიში ზედიზედ რამდენიმეჯერ განმეორდება.

15. ისევე, როგორც ვარჯიში №14, ოღონდ მეორე ფეხით.
16. მაღალჩაკრული გასმა.
17. გაქნევით გასმა ხუთ თვლაზე.
18. გაქნევით გასმა.

სვლა

ადგილზე სვლა (სამდაკვრით)

ადგილზე სვლის ილეთი (სამდაკვრით) ქალთათვის და ვაჟთათვისაც ერთი და იმავე წესით სრულდება. მისი შესრულებისას საწყისი მდგომარეობა – მაღალი ერგცერები I პოზიციაში.

ერთი – მარჯვენა ფეხის ერგცერის ზევით აწევა და ზევით დაკვრით იატაკს შეხება. მარცხენის ერგცერის ზევით აწევა და დასაშვებად მომზადება. სხეულის სიმძიმის ერთი ფეხიდან მეორეზე შეუმჩნევლად გადატანა.

და – მარცხენა ფეხის ერგცერის ზევიდან დაკვრით იატაკს შეხება. მარჯვენა ერგცერის ზევით აწევა.

ორი – მარჯვენა ფეხის ერგცერის ზევიდან დაკვრით იატაკს შეხება, მარცხენის ერგცერის ზევით აწევა.

და – ყოვნა – მარჯვენა ფეხის ერგცერზე შეჩერება, მარცხენის ერგცერის ზევით აწევა.

მეორე ტაქტი მარცხენა ფეხით იწყება. ადგილზე სამდაკვრითი მოძრაობისას დაუშვებელია ზევით-ქვევით აწევ-დაწევა ან სხეულის გვერდიდან გვერდზე გადაქანება (სურ. 4).

ცეკვა *ქართულში* ეს ილეთი განსაკუთრებით იხმარება ადგილზე დროებით შეჩერებისას (მაგალითად: ვაჟი ელოდება ქალის გადმოსვლას) ან ადგილზე ბრუნვისას (ქალი სოლოში ასრულებს ადგილზე ბრუნვას მოედნის ცენტრში). როგორც იტყვიან, „ადგილზე სამდაკვრით სვლას მოცეკვავე რიტმსა და ტემპში უჭირავს“.

სურ. 4



საწყ. მდგ. გარე ტაქტი ერთი და ორი

უკუსვლა

თუ უკუსვლა მცირე მანძილის გასავლელად სრულდება, ილეთი ინარჩუნებს *ადგილზე სამდაკვრითი სვლის* ყველა წესს.

ერთი – ერგცერის თითოეული დაკვრა სრულდება ზევიდან მკაფიოდ, პირველი დაკვრის გამახვილებით. სამდაკვრიანი ილეთით დიდ მანძილზე უკუსვლისას (ორი ტერფის სიგრძეზე მეტად), **ერთი** – მუხლში გამართული ფეხის გადადგმა უკან (ერგცერი ზევით) ტერფის სიგრძეზე და ერგცერის დაკვრით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმის ამავე ფეხზე გადმოტანა.

და – მეორე ფეხის აუღებლად სრიალით უკან ნახევარი ტერფით გატანა.

ორი – მოძრავი ფეხის გასრიალებით უკან გადატანა.

ამავე ტაქტის შემდეგი თვლა **და** – პაუზა – მზადება ახალი ტაქტიდან უკუსვლის ილეთის შესასრულებლად მეორე ფეხის ერგცერის ზეაწევით (სურ. 5).

უკუსვლით დიდი მანძილის გავლისას საჭიროა:

1. ფეხები არ იღუნებოდეს მუხლის სახსარში.
2. პირველი ტაქტი – **ერთი** – ერგცერის მკაფიოდ დაკვრა.
3. სრიალა ერგნაბიჯები – **და** და **ორი** – ერგცერების აუღებლად.
4. ფეხების უკუგადადგმა ნარნარად, ერთსა და იმავე სიმაღლეზე და არა აწევ-დაწევით.

სურ. 5

გვერდზე სვლა (გედურა)

გვერდზე სვლას – *გედურას* – *ქართულში* უმთავრესად ქალები ასრულებენ. ცეკვის შესწავლისას ამ ილეთის მუყაითად დამუშავებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან გედურა სვლა სრულდება ქალის სოლოში და მის მართებულად შესრულებაზეა დამოკიდებული ის შეფასება, რომელსაც ქალი მაყურებლისაგან დაიმსახურებს. მაქსიმალური სინარნარე – აი, რა უდევს საფუძვლად ამ ილეთს, რომლის შესრულებისას ქალი კი არ მიდის, მიცურავს.

გვერდზე სვლა სრულდება სწორხაზობრივად მარცხნივ ან მარჯვნივ, უმთავრესად კი ვაჟის მიმართულებით, სადაც ის დგას ან მოძრაობს.

გედურა სვლის აღწერა

გედურა სვლის მარცხნივ შესრულებისას, მოძრაობა მარჯვენა ფეხით იწყება.

ერთი და ორი – ერგცერებით სამი დაკვრა ადგილის უცვლელად (როგორც ზემოთ). საყრდენი – მარჯვენა ფეხი, მარცხენის ტერფის გათავისუფლება, ზევით აწევა და ერგცერის მომზადება მოძრაობისათვის შემდეგი ტაქტის დასაწყებად.

ახალი ტაქტი – **ერთი** – მარცხენა ფეხის განზე გაწევა (ნახევარი ტერფით) და ერგცერით მკაფიოდ და მახვილად დაკვრა. სხეულის სიმძიმის მარცხენა ფეხზე გადასვლა, მარჯვენის იატაკს ერგცერის ზეაწევით მოცილება.

და – მარჯვენა ფეხის მარცხენის შეუხებლად მიახლოება, მარჯვენის ერგცერის დაკვრით დადგმა; მარცხენის გათავისუფლება და ერგცერით ზევით აწევა.

ორი – მარცხენა ფეხის განზე გაწევა (ნახევარი ტერფით) და ერგცერით მკაფიოდ დაკვრა, მარჯვენა ფეხის გათავისუფლება.

და – ყოვნა.

ერთი (ახალი ტაქტი) – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან მიახლოება (ფეხი ფეხს არ ეხება) და მაშინვე ერგცერით დაკვრა, მარცხენა ფეხის გათავისუფლება და ზეაწეული ერგცერით შემდეგი მოძრაობისათვის მომზადება.

და – მარცხენა ფეხის ნახევარი ტერფით განზე გაწევა და ერგცერის დაკვრით იატაკს შეხება, მარჯვენის გათავისუფლება.



სურ. 6

ორი – მარჯვენა ფეხის მარცხენას მიახლოება (შეუხებლად), ერგცერით დაკვრა, მარცხენის გათავისუფლება.

ამრიგად, ახალი ტაქტი იწყება ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხით. სხეულის სიმძიმე ფეხიდან ფეხზე შეუმჩნევლად გადადის (სურ. 6).

გედურა სვლა მხოლოდ ადგილზე სვლის (სამდაკვრითის) კარგად შეთვისების შემდეგ შეისწავლება. ადგილზე სვლიდან გედურაზე გადასვლისას (გვერდზე სვლა) მოცეკვავეს მოეთხოვება: სამდაკვრითი მოძრაობის დაცვა, ერგცერებზე დგომის თავიდანვე აღებული სიმაღლის შეუცვლელად შენარჩუნება, ერგცერების მკაფიო სამდაკვრით იატაკს შეხება, სხეულის უძრაობა.

წინსვლა

ცეკვა *ქართულში* დამკვიდრებულია სამი სახის წინსვლა.

ვაჟთათვის:

სადა მუხლურა წინსვლა

სადა მუხლურა წინსვლა პირველი სახის წინსვლაა, ამ სვლამდე ვაჟი გადადგამს წინასწარ რამდენიმე ჩვეულებრივ ნაბიჯს წინ (მუსიკის ტემპსა და რიტმში ასაყოლად).

ერთი – მარჯვენა ფეხით ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ (ფეხის ცერი მიმართულია არა ირიბად განზე, არამედ წინ), უკან დარჩენილი მარცხენის ერგცერით იატაკს ოდნავ მიკარება, სხეულის სიმძიმე – მარჯვენა ფეხზე.

ორი – მარცხენა ფეხით წინ სრიალა წინხტომი ოდნავი ბუქნით; მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვით იატაკს მოშორება, წინ გადატანა და მარცხენა ფეხით შემდეგი ტაქტის მოძრაობის ისევე დაწყება, როგორც ეს აღწერილი იყო მარჯვენა ფეხისათვის. ჩვეულებრივი ნაბიჯებიდან სადა მუხლურზე შეუმჩნევლად გადასვლა, თანდათანობით მუხლში მოღუნვის ამპლიტუდის გადიდებით.

სურ. 7

ზემოაღწერილი ილეთის შესრულებისას მკლავები თავისუფლადაა დაშვებული და თავისუფლადვე მოძრაობს გვერდით სიბრტყეებში – წინ და უკან (სურ. 7).

ცეკვა *ქართულში* ქალები მუხლურა წინსვლით არასოდეს მოძრაობენ.

სრიალა წინსვლა

წინსვლის მეორე სახეს სრიალა ეწოდება.

ერთი – ჩვეულებრივი ნაბიჯი მარჯვენა ფეხით წინ (მარცხენა რჩება უკან და ერგცერით იატაკს ეხება).

და – მარჯვენა ფეხის ერგცერზე აწევა, მუხლში გამართული (და არა გაჭიმული) მარცხენის, ერგცერის აუღებლად, სრიალით წინ ნახევარი ნაბიჯით (ან ერთი ტერფით) გატანა და სხეულის სიმძიმის ორივე ფეხზე გადანაწილება (ამ ქვეილეთის შესრულებისას ორივე ფეხი ერგცერებზეა).

ორი – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერის გასრიალებით წინ, ტერფის სიგრძეზე გატანა (სხეულის სიმძიმის ორივე ფეხზე განაწილება).

და – ყოვნა.

ერთი და ორი

სურ. 8

მეორე ტაქტი – **ერთი** – ილეთი იწყება მარცხენა ფეხით (სურ. 8).

სრიალა წინსვლას ქალებიც ამავე წესით ასრულებენ.

სრიალა წინსვლის შესრულებისას ვაჟების მკლავები II ერგდახურულ ან III პოზიციაშია, ქალების – III პოზიციაში (იხ. სურ. 2 ა).

რთულა წინსვლა

რთულა წინსვლის შესრულების წესები ქალთათვის და ვაჟთათვის ერთნაირია.

ერთი – მარჯვენა ფეხით ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით ოდნავ ეხება იატაკს. სხეულის სიმძიმე – მარჯვენა ფეხზე.

და – მარცხენა ფეხის ერგცერის იატაკიდან მოუშორებლად, სრიალით და მუხლის სახსარში მოღუნვით, ტერფის სიგრძეზე წინ გადატანა. სხეულის სიმძიმის თანდათან და მსუბუქად მარცხენაზე გადატანა. ილეთის დასრულებისას სხეულის სიმძიმე მთლიანად მარცხენაზეა.



ერთი და ორი

სურ. 9

ორი – მარჯვენა ფეხის ტერფის აუღებლად სრიალით მარცხენისაკენ მიწევა და მის მარჯვნივ 1 სმ.-ის დაშორებით შეჩერება. მარჯვენა ფეხის ცერი თითქმის ერთ ხაზზე მარცხენის ცერთან.

და – ყოვნა (სურ. 9).

ახალი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით ისევე, როგორც ეს ზემოთაა აღწერილი.
რთულა სვლის შესრულებისას დაუშვებელია ხტომა და მუცლით ბიძგები.
ვაჟებს შეუძლიათ *რთულა სვლა* დაბალ ერგცერებზე შეასრულონ.

ხელის მდგომარეობა და მოძრაობა სხვადასხვა სვლისას

მუხლურა სვლისას ვაჟთა მკლავები თავისუფლადაა დაშვებული და ირიბ სიბრტყეში მოძრაობს. პირველი და მეორე თვლის დასრულებამდე ოდნავ ზეაიწევა, ხელის თითები ნახევრად მოხრილია. ვაჟს, საჭიროებისაებრ, შეუძლია სახელოებისა და ხანჯლის გასწორება. *სრიალა* და *რთულა სვლისას* მკლავები მეორე პოზიციაშია.

ვაჟი ცეკვის დასაწყისში *მუხლურა სვლიდან სადა სრიალასა* ან *რთულაზე* გადადის. *სრიალაზე* გადასვლის პირველი ნაბიჯიდანვე მკლავებს განზე გაშლის (I პოზიცია) და წრის შემოვლისას (საათის ისრის მოძრაობის საპირისპიროდ) ოდნავ მარცხნივ გადაიხრება. მარჯვენა მკლავს იდაყვის სახსარში თანდათანობით ისე მოხრის, რომ მოძრაობის დასასრულს მარჯვენა ხელის ცერით მკერდის მარჯვენა მხარის მასრებს ზევიდან შეეხოს. მოღუნული მკლავის იდაყვი – მხარს ზევით აწეული, მეორე, განზე გაშლილი მკლავი, მხარზე ოდნავ დაბლა. მოღუნული, ხელის თითები მოუდუნებლად, მაჯის სახსარში გამართული ხელი ნახევრად მოხრილი. ყოველი ფიგურის შეცვლისას მკლავების მდგომარეობა იცვლება ადვილად ან ჩაგრეხით.

მკლავების მდგომარეობა ჩაგრეხით: განზე გაშლილი მკლავი ხელისგულით ზევით შებრუნდება და იდაყვის სახსარში თანდათან ისე მოიხრება, რომ წინაწყრთამ ზევით იმოძრაოს და რკალის შემოხაზვით მიიღოს ისეთი მდგომარეობა, როგორიც მანამდე მეორე მკლავს ჰქონდა. მეორე კი, ერთდროულად ქვერკალის შემოხაზვით, განზე გაიშალოს. ჩაგრეხით მკლავების შეცვლისას იდაყვები თითქმის ადგილუცვლელია (სურ. 10). ზევიდან ჩაგრეხილი მკლავის იდაყვი ოდნავ ზევით აიწევს, ქვევით ჩაგრეხილი მკლავისა – ქვევით ისე, რომ მოძრაობის დასასრულს გამართული და მოღუნული მკლავების უკუწყრთები ოდნავ დახრილ ერთ ხაზზე განლაგდეს.



სურ. 10

ქალის სვლა

როგორც აღვნიშნეთ, ცეკვა *ქართულში* ქალი მუხლურა სვლით არ მოძრაობს. ეს სვლა ვაჟურია. *სრიალა სვლას* კი ქალი იმნაირადვე ასრულებს, როგორადაც ვაჟი, ერთი განსხვავებით – უფრო მაღალ ერგცერებზე, უფრო რბილად სვლით.

ხშირად *სრიალა სვლას* ქალი მთლიანად მაღალ ერგცერებზე ასრულებს – **ერთზე** წინსვლას არა ქუსლიდან, არამედ ერგცერიდანვე იწყებს.

სრიალა წინსვლა ერგცერებზე

ერთი – მარჯვენა ფეხით წინ ერთი ნაბიჯი ერგცერზე (უსრიალოდ), მარცხენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმე – მარჯვენაზე.

და – მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოუხრელად სრიალით ნახევარი ტერფით ან ოდნავ მეტით წინ წაწევა. სხეულის სიმძიმის ნარნარად ორივე ფეხზე გადანაწილება.

ორი – მარჯვენა ფეხის გასრიალებით, სხეულის სიმძიმის ნარნარად წინ გადანაცვლებით, ნახევარი ტერფით წინ წაწევა. ახალი ტაქტიდან (**ერთიდან**), მარცხენა ფეხით დაწყებისას, ხელახლა განმეორდება ზემოთ აღწერილი მოძრაობა (სურ. 11).



სურ. 11

ამრიგად, ასეთი მოძრაობით ქალი ნარნარად წინ მიემართება ერგცერებზე დგომის სიმაღლის შეუცვლელად. სვლისას დაუშვებელია ზევით-ქვევით აწევ-დაწევა, ზეტანის ბიძგისებური მოძრაობა.

და – ორი – ერგცერების სრიალით იატაკს ოდნავ მიკარება – მოუცილებლად.
რთულა წინსვლის შესრულების წესები ქალთა და ვაჟთათვის ერთი და იგივეა.

გასმა

ცეკვა *ქართულში* გასმა წმინდა ვაჟური ილეთია, ქალი გასმას არ აკეთებს. გასმა, სასრიალო ხასიათის მოძრაობა, ვაჟთათვის მთავარი ტექნიკური ელემენტია. რამდენად დახვეწილად, მსუბუქად, მარდად, მოხდენილად, და ლამაზად ასრულებს ვაჟი გასმას, იმით ფასდება ცეკვა. ამიტომ ვაჟი გასმას განსაკუთრებულ სოლოში – ცეკვის მესამე ნაწილში ასრულებს: წრის შემოვლის შემდეგ, ქალის წინ შეჩერდება და გასმის რთული ნაერთების შესრულებით ცდილობს სიმარდე, სიყოჩაღე, მოძრაობათა ლამაზად და მსუბუქად შესრულების უნარი აჩვენოს.

გასმის ილეთი და მათი ნაერთი მრავალია. მათგან მხოლოდ რვას აღვწერთ: *სრიალა, ქუსლური, სარული, გვერდული, ჭდომილი, ჩაკრული, გაქნევით* და *მაღალჩაკრული.*

სრიალა გასმა

საწყისი მდგომარეობა: მარჯვენა ფეხი ნახევარი ტერფით წინ – ტერფის წინა ნაწილი ოდნავ ეხება იატაკს; ერგცერებზე დგომა (სურ. 12). მუსიკალური ზომა: – 2/4 ან 6/8.

ერთი – სრიალა მოძრაობით ფეხების მდგომარეობის შეცვლა – ერგცერზე სრიალით მარჯვენა ფეხით უკან მოძრაობა, მარცხენათი – წინ.

და – ამნაირადვე ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მარცხენა უკან, მარჯვენა – წინ).

ორი – ისევე, როგორც **ერთი**.

და – ყოვნა (სურ. 12).

ამრიგად, ერთ ტაქტში სამჯერ იცვლება ფეხების მდგომარეობა სრიალა მოძრაობით. მომდევნო ტაქტში მოძრაობა მარცხენა ფეხით დაიწყება (განმეორდება ზემოთ აღწერილი სრიალა მოძრაობები). *სრიალა გასმისას* დაუშვებელია ხტომა და სხეულის რხევა – ზეტანი უძრავად უნდა იყოს.

ყოველ ტაქტში საყრდენი მუდამ უკანა ფეხია, წინა ფეხი კი, სასრიალო მანძილის ნახევრად გავლამდე, მხოლოდ ოდნავ ეხება იატაკს და, რამდენად მეტად გადადის უკუმდგომარეობაში, იმდენად მეტად იტვირთება სხეულის სიმძიმით.

თითოეული ტაქტის პირველ თვლაზე მოძრაობა მახვილდება. ზემოთ აღწერილი მოძრაობების (თითო ტაქტში სამი მოძრაობა) კარგად შეთვისების შემდეგ ადვილია მათი ერთ თვლაში შესრულება.

გარე ტაქტი და ერთი და ორი

სურ. 12

ქუსლურა გასმა

საწყისი მდგომარეობა იგივე, რაც სრიალა გასმისათვის. ქუსლური გასმა იმგვარადვე სრულდება, როგორც სრიალა, იმ განსხვავებით, რომ **ორზე** (პირველ ტაქტში) – მარცხენა ფეხი ამთავრებს მესამე მოძრაობას ქუსლზე წინ სრიალით – დასასრულ, ქუსლი იატაკზეა დაყრდნობილი, ტერფის წინა ნაწილი (ერგცერი) კი ზევით აწეული.

მეორე ტაქტის დასაწყისში, თვლა ერთიდან, მარცხენა ფეხის ქუსლის ზევით აწევა, ერგცერის – ძირს დაწევა, იატაკს შეხება და სრიალით უკან მოძრაობა (სურ. 13).



გარე ტაქტი და ერთი და ორი

სურ. 13

ამრიგად, *ქუსლური* გასმისას ყოველ ტაქტში მესამე მოძრაობა დამთავრდება ქუსლის დაყრდნობით და ამავე ფეხის ერგცერის ზევით აწევით.

სარული გასმა

საწყისი მდგომარეობა ისეთივე, როგორიც *სრიალა გასმისას. სარული გასმა* სრულდება, როგორც *ქუსლური*, იმ განსხვავებით, რომ თითოეულ ტაქტში მესამე მოძრაობა მთავრდება წინ გადგმული ფეხის ცერის დაყრდნობით (საყრდენი და მოძრავი ფეხის ცერები ერთმანეთის გვერდზეა ან მოძრავი ფეხის ცერი საყრდენი ფეხის ცერზე ოდნავ წინ და განზე).



გარე ტაქტი და ერთი და ორი

სურ. 14

მეორე ტაქტში მოძრაობა იწყება იმ ფეხით, რომელიც პირველი ტაქტის დასასრულს ცერით იატაკს ეხებოდა (სურ. 14).

გვერდული გასმა

გვერდული გასმა ნაწილ-ნაწილ შეისწავლება. საწყისი მდგომარეობა: მარცხენა ფეხზე დგომა, მარჯვენა წინ ტერფის სიგრძეზე და ერგცერით იატაკს შეხება.

მუსიკალური ზომა: – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხის ქუსლის სრიალით შეწევა და ტერფის ხაზის ირიბი მიმართულება; მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ცერზე სრიალით მარცხენა ფეხის ქუსლთან მჭიდროდ მიახლოება (ამ მოძრაობის დასასრულს მარჯვენა ფეხის ქუსლი რაც შეიძლება ზევითაა აწეული), მარჯვენა ფეხის მუხლი წინ.

და – მარცხენა ფეხის ქუსლზე დაყრდნობით ტერფის წინა ნაწილის (ცერის) ისე გადმოწევა, რომ ტერფმა პირდაპირი მიმართულება მიიღოს. მარჯვენის მუხლში გამართვა და ერგცერის წინ სრიალით საწყისი მდგომარეობა.



გარე ტაქტი და ერთი და ორი

სურ. 15

ორი – სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა – მარჯვენა მისრიალებს უკან, მარცხენა – წინ. მოძრაობის დასასრულს სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე დაყრდნობა (სურ. 15).

შემდეგ ტაქტში მოძრაობა მარცხენა მხარეს სრულდება.

ამრიგად, *გვერდული გასმის* შესრულებისას პირველ ტაქტში ადგილი იცვლება მარჯვნივ, მეორეში – მარცხნივ. მეორე ტაქტის დასასრულს დაბრუნება იმ ადგილას, საიდანაც გასმა დაიწყო. გვერდული გასმის შესრულებისას თეძოები წინ და უკან არ უნდა მოძრაობდეს.

ჭდომილი გასმა

ჭდომილი გასმა სრულდება ადგილის შენაცვლებით – მარჯვნივ ან მარცხნივ. პირველი ტაქტი – სრიალა გასმა (იწყებს მარჯვენა ფეხით).

მეორე ტაქტი – **ერთი** – სრიალით მარცხენა ფეხის მარჯვენას გადაჯვარედინება (სურათი №16) – ერგცერები.

და – გადაჯვარედინებული მდგომარეობიდან მარჯვენა ფეხის სრიალით უკან გადადგმა (ერგცერები).

ორი – მარჯვენა ფეხის ერგცერზე სრიალით წინ გადადგმა (სურ. 16).

მომდევნო მესამე ტაქტი შესრულდება ისევე, როგორც პირველი, მეოთხე – როგორც მეორე. ამრიგად, თუ მუსიკალური ზომა 2/4-ია, თითო ჭდომილი გასმა ორ ტაქტში თავსდება.

გარე ტაქტი I ტ. ერთი და ორი II ტ. ერთი და ორი

სურ. 16

ჭდომილი გასმა ორი სახისაა. მეორის შესრულება ადვილია, თუ შესწავლილია პირველი, რადგან აქ პირველ ტაქტში გადაჭდომაა, მეორეში – *სრიალა გასმა.*

ჩაკრული გასმა

ჩაკრული გასმა რთულ სრიალა მოძრაობათა წყებას ეკუთვნის, ამიტომ იგი *სრიალა, ქუსლური, სარული, ჭდომილი* და *გვერდული* გასმების კარგად შეთვისების შემდეგ შეისწავლება.

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – პირველი პოზიცია.

გარე ტაქტი – **და** – მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხის ჰაერში ნახევარი ტერფის სიმაღლეზე აწევა (სურ. №17), მარცხენა ფეხით ოდნავ შესამჩნევი სრიალა წინხტომი (ტერფის **¼**-ზე).

ერთი – მარჯვენა ფეხის (ერგცერით) მარცხენის უკან ისე დადგმა, რომ მარჯვენა ერგცერის წინა ნაწილი მარცხენა ქუსლის ნაპირის ხაზზე მოხვდეს.

და – სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა – მარჯვენა ფეხი წინ, მარცხენა – უკან

ორი – ფეხების მდგომარეობის ხელახლა შეცვლა (სურ. 17).

შემდეგი ტაქტი – იგივე მოძრაობა მარცხენა ფეხით.

შენიშვნა: ამ ილეთის შესწავლისას დასაწყისში გაუძნელდებათ ხტომის გარეშე გასმის შესრულება, მაგრამ საბოლოოდ აუცილებელია.



გარე ტაქტი და ერთი და ორი

სურ. 17

ჩაკრული გასმა დახვეწილად, მართებულად და ნარნარად სრულდება. ამისათვის საჭიროა დასაწყისში ნაწილ-ნაწილ ვარჯიში.

გაქნევით გასმა

საწყისი მდგომარეობა – დაბალ ერგცერებზე დგომა. მარჯვენა ფეხის წინ გაწევა, ერგცერით იატაკს შეხება, ქუსლი – მარცხენა ფეხის ცერის ხაზზე, როგორც *სრიალა გასმის* წინ. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მოძრაობის დასაწყისშივე ორივე ფეხი ერგცერებზე).

და – ამნაირადვე ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

ორი – ფეხების მდგომარეობის ისე შეცვლა, რომ **ორის** დასასრულს მარცხენა ფეხის ერგცერი იატაკს მოსცილდეს და ოდნავ ზეაიწიოს.

და – მარცხენა ფეხის ტერფის (ნახევარი ტერფის სიგრძეზე) უკან-წინ გაქნევით მოძრაობა, შემდეგ **ორის** დასასრულის მდგომარეობა (სურ. 18).



და ერთი ორი

სურ. 18

შემდეგი ტაქტი, ზემოთ აღწერილის მიხედვით, მარცხენა ფეხით იწყება.

მაღალჩაკრული გასმა

საწყისი მდგომარეობა: მარცხენა ფეხის ტერფზე გამართული დგომა, მუხლში გამართული, წინ გატანილი მარჯვენა ტერფი იატაკს არ ეხება – პარალელურად 3-4 სმ.-ითაა დაშორებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხით სრიალა წახტომი (ტერფის სიგრძეზე) და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა. მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა, ცერის დაბლა მიმართვა და ტერფის უკან – საყრდენ ფეხთან მიტანა.

და – მარჯვენა ფეხის მუხლში გამართვა – საწყისი მდგომარეობა. საყრდენი ფეხით სრიალა უკუხტომი – რამდენზეც წინ გავიდა წახტომისას.

ორი – ფეხების მდგომარეობის შეცვლა (სურ. 19).

შენიშვნა: ამ სახის გასმა რბილად, მსუბუქად და უბიძგოდ სრულდება. *მაღალჩაკრული გასმის* შესრულება შესაძლებელია მუხლში მოღუნული ფეხის ერგცერის აუღებლად.



გარე ტაქტი და ერთი და ორი

სურ. 19

გასმების შესწავლისას (დასაწყისში) მკლავები – I პოზიცია ან დოინჯი. შემდეგ – მკლავების II პოზიცია. გასმების შესრულებისას, პაუზის ან მდგომარეობათა შეცვლისას, მკლავები ინარჩუნებს მართებულ (ილეთის შესაბამის) მდგომარეობას. თუ ნაერთი მარტივი ან რთული გასმითი ელემენტებისაგან შედგება, მკლავების მდგომარეობა ილეთთა დასაწყისშივე შეიცვლება: ჩაგრეხით, უბრალოდ გადატანით ან ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული მუსიკალური ტაქტების რაოდენობის მიხედვით.

ქვემოთ ჩვენ აღვწერთ ყველა მდგომარეობას, რომლებშიც მკლავები უნდა იყოს ცეკვა *ქართულის* შესრულებისას, როგორ და როდის უნდა შეიცვალოს მათი მდგომარეობა.

მკლავების მდგომარეობა და მათი ცვლა

ვაჟთათვის:

1. მკლავები თავისუფლად დაშვებული.
2. ცალი მკლავი თავისუფლად დაშვებული, მეორით – დოინჯი.
3. ხელებით დოინჯი.
4. ხელები ხანჯლის ტარზე.
5. მკლავები განზე გაშლილი (I პოზიცია).
6. ცალი მკლავი მოღუნული იდაყვის სახსარში (ხელი გულმკერდის წინ, მეორე – განზე გაშლილი. II პოზიცია).
7. ცალი მკლავი ზეგარეთ აწეული რკალურად, მეორე განზე გამართული.

ხელები მოხრილად ეხება მენჯს ან უკანმიმართულია ნებით (სურ. 20).



სურ. 20

ქალთათვის:

1. მკლავები თავისუფლად დაშვებული.
2. ხელები – ნები ნებზე დადებული სარტყლის წინ.
3. განზე გაშლილი (საცეკვაო პოზიციის ასაღებად).
4. ნახევრადმოღუნული ცალი მკლავი წინ – განზე მიმართული, წინაწყრთა შუბლის სიმაღლეზე ოდნავ წინ დახრილი, მეორე მკლავი – განზე გაშლილი იდაყვში ოდნავ მოდუნებულად.
5. იდაყვის სახსარში ნახევრადმოხრილი ცალი მკლავი გულმკერდის წინ, მეორე – განზე (II პოზიცია).



1 2 3 4 5 6

სურ. 21

ქალის მკლავები I და II მდგომარეობაში (სურ. 21) შეიძლება იყოს ცეკვაში შესვლამდე ან შეჩერებისას – ვაჟის სოლოზე გასაშვებად, როცა ვაჟი ქალს საცეკვაოდ გამოიპატიჟებს, ქალი პირველი ნაბიჯიდანვე განზე გაშლის მკლავებს 22-ე სურათზე ნაჩვენები მდგომარეობის მისაღებად (შუა ადგილიდან იწყებს ხელსართავებს).

მიღებულია: ქალმა ცეკვა დაიწყოს ვაჟისაგან ოდნავ შებრუნებულად (წინსვლისას ვაჟი ქალის მარცხენა მხარესაა (სურ. 22ა).

სურ. 22

სურ. 22ა

22-ე სურათზე ნაჩვენები მდგომარეობის მისაღებად საჭიროა:

1. მოძრაობის დასაწყისშივე გულმკერდის გადაშლით ორივე მკლავის თანაზომიერად, ხელების ნების შებრუნებით განზე აწევა, რბილად და ნარნარად ცერების გადაცილებით ხელსართავის შესრულება.

2. განზე გაშლილი მარჯვენა მკლავი იდაყვში ოდნავ მოდუნებულად – I პოზიცია. მარცხენა მკლავი იდაყვით წინ განზე მიმართული და წინაწყრთით ზეაწეული (ოდნავ დაქანებულად) – მესამე პოზიცია. მაჯაში თავისუფალი მარჯვენა ხელის ნები – ქვევით, მაჯაში გამართული მარცხენა ნები – შიგნით (სურ. 23).

ა ბ გ დ ე

სურ. 23

საჭიროა, გვახსოვდეს: წინსვლისას, თუ ქალის მარცხენა მკლავი წინაა, მარცხენა მხარიც ოდნავ წინ იქნება, მარჯვენა – ოდნავ უკან.

ამ პოზიციაში მკლავების მდგომარეობა ერთდროულად იცვლება – ერთი მკლავის გაშლით და მეორის მოხრით ე.ი. ერთი მკლავის განზე გატანით და მეორის იდაყვის სახსარში ნახევრად მოხრით.

მკლავების მოძრაობა აუცილებლად ხელსართავით სრულდება – წრეგვარი მოძრაობით მაჯის სახსარში ცერების გადაცილებით (შიგა მიმართულებით).

ცეკვა *ქართულში* ქალი მკლავების მდგომარეობას მხრების სიმაღლეზე ცვლის და მხოლოდ შეჩერებისას ჩამოუშვებს.

ქართულში ქალი მკლავებს მხოლოდ ორჯერ დაუშვებს: პირველად, საცდელი სვლის შემდეგ შეჩერებისას – ვაჟს სოლოს უფლებას აძლევს; მეორედ, ცეკვის დამთავრების ნიშნად, მკლავებს უშვებს და თავს უკრავს ვაჟს.

ქალი ყოველი ფიგურის ცვლისას მკლავების მდგომარეობასაც ცვლის: წინსვლიდან უკუსვლაზე გადასვლისას, უკუსვლიდან – წინსვლაზე, გედურა სვლაზე და ა.შ. ანდა: მუსიკალური ფრაზის ან პერიოდის შეცვლისას.

ქალი სოლოში ცენტრში ბრუნვისას, ვაჟისთვის თავის მოსაწონებლად, ოდნავ გადაიხრება ბრუნვის მხარეს და ნახევრად იდაყვის სახსარში მოღუნულ მკლავს გულ-მკერდის წინ დაუშვებს (სურ. 24).

ბრუნვის დამთავრებისას ქალი მკლავებს გადაშლის, თითქოს ეკითხება ვაჟს: აბა, რას იტყვი? ვაჟის მხარეს მკლავი რბილადაა გამართული, მეორე – ახდილი პოზიციიდან ოდნავ გარე გადახრილი (სურ. 25).

სურ. 24

სურ. 25

ვაჟის მკლავები 2 და 3-4 მდგომარეობაში (სურ. 20) შეიძლება იყოს მაშინ, როცა ქალის სოლოს თვალს ადევნებს ან სოლოს დამთავრების მოლოდინში ერგცერებზე დგას და სამდაკვრით მოძრაობას ასრულებს; ასევე, როდესაც ოდნავ შესამჩნევ გასმას ასრულებს მელოდიის რიტმის შესაბამისად, და ბოლოს: ელოდება ქალის პასუხს ცეკვაში მიპატიჟებაზე. მკლავები განგაშლით (I პოზიცია) ვაჟს შეიძლება ჰქონდეს ცეკვაში პირველად გამოსვლისას (წრემოვლისას), ისიც რამდენიმე ტაქტის განმავლობაში, შემდეგ მარჯვენა მკლავი მეორე ან III პოზიციაში დაიხურება (იხ. პოზიციები, სურ. 8-9).

ცეკვა *ქართულში* მკლავების II და III პოზიციები მთავარი მდგომარეობაა და იხმარება წინსვლის, უკუსვლის, გვერდზე სვლისა და გასმების დროს.

ბრუნვა ადგილზე და სვლისას

ცეკვა *ქართულში* ბრუნვა სრულდება ადგილზე და სვლისას წრის ¼, ½, ¾ ნაწილზე, მთელ წრეზე და ა.შ., მაგრამ უფრო ხშირად ნახევარბრუნი, სრულბრუნი და ორფაბრუნი გამოიყენება.

ქალი ყველა ბრუნს, ადგილზე თუ სვლისას, სამდაკვრითი ილეთით ერგცერებზე ასრულებს. ვაჟს შეუძლია შეასრულოს ბრუნები: ცალ ერგცერზე, ცალ ცერზე ან ფეხების ცვლით ბრუნის პროცესში.

ვაჟის ბრუნვა ცალ ფეხზე

ვაჟის ბრუნვა ცალი ფეხის ცერზე ან ერგცერზე დაყრდნობით სრულდება მუსიკალური ფრაზის, პერიოდის დასაწყისში ან ბოლოს.

საწყისი მდგომარეობა: ფეხები პირველ პოზიციაში, მკლავები – II(დახურულია მარცხენა).

ერთი – მარცხენა ფეხის მუხლში მოხრა და იატაკს აშორება (½ტერფის სიგრძეზე).

და – მუხლში გამართული მარცხენა ფეხის ერგცერით (ან ცერით) მჭიდროდ დადგმა.

ორი – მარცხენა მკლავის განზე გაქნევ-გაშლით სრული ბრუნი მარცხნივ (მარცხენა ფეხზევე), ბრუნის დაწყებიდან მარჯვენა ფეხის ტერფის ზურგით ჰაერში აწევა, წვივის ოდნავ ზევით, მარცხენა ფეხს მიკვრა და ამ მდგომარეობაში ბრუნვის ბოლომდე დარჩენა. ამნაირადვე სრულდება ბრუნვა ცალ ცერსა ან ერგცერზე სვლისას სურ. 26).



ა ბ გ დ

სურ. 26

ბრუნვის დამთავრებისთანავე იდაყვის სახსარში მოიღუნება და მეორე დახურულ პოზიციას დაიკავებს ბრუნვის მოპირდაპირე მკლავი: თუ ბრუნვა მარცხნივ სრულდება – მოიღუნება მარჯვენა, თუ მარჯვნივ – მარცხენა.

ვაჟური ბრუნვა დახვევით

ბრუნვა სრულდება ადგილზეც და სვლის დროსაც.
საწყისი მდგომარეობა: მკლავები – II პოზიცია (დახურულია მარჯვენა), ფეხი – I პოზიცია.

ერთი – მარჯვენა ფეხი ნახევარი ნაბიჯით წინ და ერგცერით იატაკს დაკარება, მარცხენის გათავისუფლება, მუხლში მოღუნვა და უკუგადაქნევით მარჯვენა ფეხზე მარცხნივ ნახევარბრუნი (ჩაგრეხით მკლავების მდგომარეობის შეცვლა).

ორი – მარცხნივ ნახევარბრუნით მარჯვენა ფეხის ერგცერზე შედგომა, მარცხენის სრულ ტერფზე დადგმა. სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა, მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა (ან მკლავების მდგომარეობის ჩაგრეხით შეცვლა).
ზემოაღწერილი ბრუნვისას დასაშვებია ზეტანის ოდნავი წინგადახრა (სურ. 27).



ა ბ გ დ

სურ. 27

წესი: ბრუნვის დასაწყისში იხრება ის მკლავი, რომლის მხარესაც სრულდება ბრუნვა, ბრუნვის დასასრულს – მეორე მკლავი.

დახვევით ბრუნვა შეიძლება შესრულდეს ორფაბრუნითაც. ამ შემთხვევაში თითო დათვლა თითო სრული ბრუნი.

ცეკვა ქართული წყვილთა შესრულებით

სავალდებულო წესები

წყვილური ცეკვა *ქართული* ხუთნაწილიანია:

I. ვაჟის გამოსვლა საცეკვაოდ.

II. ქალის მიპატიჟება და ქალ-ვაჟის მიერ წრის საცდელი შემოვლა.

III. ვაჟის კენტად ცეკვა (სოლო).

IV. ქალის კენტად ცეკვა (სოლო).

V. ქალ-ვაჟის ცეკვა ბრძოლა უპირატესობისათვის.

ცეკვას ყოველთვის ვაჟი იწყებს: გადაადგამს რამდენიმე ჩვეულებრივ ნაბიჯს საათის ისრის საწინააღმდეგოდ, ყურს უგდებს მუსიკის რიტმსა და ტემპს, თანდათან ემზადება და მუსიკის ახალი ფრაზის დასაწყისიდან ცეკვას იწყებს *სადა მუხლურათი* – შემდეგ *სადა სრიალა*, ნარნარად შლის მკლავებს განზე (I პოზიცია). განაგრძობს წრის შემოვლას ოდნავ მარცხნივ გადახრით, მოხრის მარჯვენა მკლავს იდაყვში (II პოზიცია), ამოარჩევს ქალიშვილს და მიუახლოვდება მას ერთი-ორი ნაბიჯით. 2-4 ტაქტში ასრულებს *ადგილზე სამდაკვრით* მოძრაობას, შემდეგ *სამდაკვრითი სრიალათი* უკან იწევს ერთი ნაბიჯით და გადადის *გასმაზე* (ადგილზე). რამდენიმე ტაქტში (დაახლოებით 4-8) ასრულებს ერთი ან ორი სახის *გასმას*. დაამთავრებს, შეჩერდება, ფეხთან ფეხს მიადგამს, მკლავებს ჩამოუშვებს და ქალს თავს დაუკრავს. ქალიშვილმა თავის დაკვრითვე უპასუხა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან მიპატიჟება მიიღო. იმ შემთხვევაში, თუ ქალი არ უპასუხებს თავის დაკვრითვე, არ მიიღებს მიპატიჟებას, ვაჟი ხელახლა შემოუვლის წრეს, იმავე ქალთან მივა და გაიმეორებს მიპატიჟებას.[1] მიპატიჟების მიღების შემდეგ ქალი იწყებს ცეკვას, წრეს უვლის ვაჟისაგან ოდნავ სახე შექცევით: მარცხენა მკლავი ნახევრად აწეული, მარჯვენა უკან ოდნავ გაწეული, მხარით განზე გაშლილი (სურ. 22ა.) *სრიალა* ილეთით ქალი ვაჟთან ერთად წინ მოძრაობით წრეს უვლის. წრის შემოვლისას ვაჟი ყოველთვის წრის შიგა მხარესაა, ცენტრთან ახლოს. წრის ამგვარ შემოვლას უწოდებენ *საცდელ სვლას*. ამ სვლაში თითქოს ქალს სწადია, გამოცადოს ვაჟის სიმარდე, მოხდენილობა, სისწრაფე და მიხვედრილობა. ქალს შეუძლია უცბად უკუსვლაზე გადავიდეს. ამ შემთხვევაში ვაჟი ვალდებულია, სწრაფად გზა დაუთმოს ქალს და, მარჯვენა მხარის უკან შებრუნებით, სახით ქალის პირდაპირ მოექცეს (სურ. 28). მარჯვენა მკლავი დახუროს, მარცხენა კი გაშალოს (ჩაგრეხით).

თუ ქალი უკუსვლით მოძრაობს საათის ისრის მიმართულებით და ვაჟი მის პირისპირ იმყოფება, ვაჟის მარცხენა მკლავი განზეა გაშლილი ქალის გულ-მკერდის სიმაღლეზე დაბლა (სურ. 28ა).

ქალს შეუძლია წინსვლისას უცბად ნახევრად მარცხნივ შეტრიალდეს და საათის ისრის საწინააღმდეგოდ წრეზე უკუსვლით იმოძრაოს.



სურ. 28



სურ. 28ა

1 თუ ქალი მეორეჯერაც არ დასთანხმდა, ვაჟს შეუძლია საცეკვაოდ სხვა ქალი გამოიწვიოს.

ვაჟი განაგრძობს წინსვლას *სრიალა* ან *რთულა* ილეთებით, ან გასმით. მარჯვენა მკლავს გაშლის განზე და ქვევით, მარცხენას კი მოხრის პოზიციაში. ქალს წინსვლისას შეუძლია მოულოდნელად შეტრიალდეს, თითქოს სურს, უკუსვლა დაიწყოს, ნამდვილად კი წინ გასხლტეს წრის შემოვლით საათის ისრის საპირისპიროდ. ასეთ შემთხვევაში ვაჟი უნდა ფრთხილობდეს, ეცადოს, გამოიცნოს ქალის განზრახვა და არ ჩამორჩეს მას.

ქალი შემოუვლის წრეს, შეჩერდება (იმავე ადგილზე, საიდანაც ცეკვა დაიწყო), ვაჟს თავს დაუკრავს, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს: გთხოვთ განაგრძოთ ცეკვა კენტად. ვაჟი ქალს თავს დაუკრავს, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხევს (სახით ქალისკენ), რათა კენტად იცეკვოს.

ადგილზე ნახევარი ან ერთ-ნახევარი ბრუნის შემდეგ ვაჟი მკლავებს განზე გაშლის და *სრიალა* ან *რთულა* სვლით მოძრაობს წრის ხაზზე რამდენიმე ტაქტის განმავლობაში. შემდეგ ხელახლა დახურავს მკლავს პოზიციაში და განაგრძობს წრის შემოვლას ქალთან მიახლოებამდე. შემდეგ უცებ მკვეთრად მიბრუნდება სახით მისკენ და იწყებს უკუსვლას (ზურგით ცენტრისკენ). ვაჟი ისეთ მანძილზე დაიხევს, რომ ქალს თავის დაუხრელად თავისუფლად შეეძლოს თვალყურის დევნება და ცქერა ვაჟის ცეკვისათვის – როგორ შეასრულებს *გასმებს.* ვაჟი შეჩერდება და დაიწყებს ადგილზე გასმებს. აი, სწორედ, აქ უნდა გამოაჩინოს შესრულების ტექნიკა, ლამაზად და მოხერხებულად შეარჩიოს *გასმის* სახეობანი. მისი ზეტანი უძრავია – მხოლოდ იშვიათად ოდნავ შეირხევა ერთი მხარედან მეორეზე. ვაჟი სწრაფად და მსუბუქად ცვლის ერთი სახის გასმას მეორეთი, თან თვალს არ აშორებს თავის სწორს. დაასრულებს *გასმებს,* მიუახლოვდება ქალს პირდაპირი ან გვერდითი სვლით, გზადაგზა *გასმების* შესრულებით, ერთ ან ერთ-ნახევარ ნაბიჯზე შედგება, მკლავებს ჩამოუშვებს და თავს დაუკრავს (ან მე-15 სურათზე ნაჩვენებ პოზას მიიღებს). ეს იმას ნიშნავს, რომ ახლა ვაჟი თავის მხრივ სთხოვს ქალს, იცეკვოს კენტად.

ქალი მარტო ცეკვავს. ვაჟი გააცილებს მას ნახევარწრემდე ან რჩება ადგილზე. ქალი წრეს *სრიალა* სვლით შემოუვლის. მეორე წრეს კი მხოლოდ ¼-ზე გაივლის და უცბად (თითქოს უეცრად გადაიფიქრა) გადადის უკუსვლაზე გავლილი წრის მეოთხედზე. მივა იმ ადგილზე, საიდანაც კენტად ცეკვა დაიწყო და გვერდითი სვლით მარცხენა გვერდით სწორი ხაზით მიიწევს ვაჟისაკენ.

აი, ამ ადგილიდან ქალი როგორც გედი მიცურავს ვაჟისკენ. მიაღწევს თუ არა წრის ცენტრს, მსუბუქად და ნაზად შეტრიალდება მარცხნივ, თან მუსიკის რიტმზე ერგცერებით სამდაკვრით მოძრაობას ასრულებს, თითქო ვაჟს ეუბნება: ხედავ, რა ლამაზი ვარ!, ზეტანი ოდნავ დახრილია ბრუნვის მხარეს. ბრუნვის დაწყებისთანავე მარცხენა მკლავს ნაზად დაუშვებს გულ-მკერდამდე. მოტრიალების დაბოლოებისას (360˚-ზე) მარცხენა მკლავს განზე გაშლის (ნებით ზევით და ერთდროულად მარჯვენა მკლავი შიგ აქნევით გადაიშლება. (სურ. 25), თითქოს ვაჟს ეკითხება: აბა, რას იტყვი?! ამის შემდეგ განაგრძობს გვერდით სვლას ვაჟის მიმართულებით, მარცხენა მკლავი თანდათანობით III პოზიციას იღებს, მარჯვენა კი განზე იშლება (მკლავების მდგომარეობის შეცვლისას ქალი ყოველთვის სართავს ასრულებს).

ქალი მიუახლოვდება ვაჟს ძალიან ახლოს, მიუბრუნდება სახით, შეცვლის მკლავების მდგომარეობას (მარჯვენა მკლავი წინ), მორცხვად დახრის თავს მარჯვენა მკლავისკენ და უკუსვლით წავა წრის ცენტრისაკენ (სწორი ხაზით), ვაჟსაც თან გაიტყუებს. ვაჟი ვალდებულია, გააცილოს ქალი, მაგრამ ცენტრამდე არ მიჰყვეს – უნდა ფრთხილობდეს, რადგან ქალი მეტად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება: შესძლებს, რომელი მიმართულებითაც მოესურვება, იქითკენ გასხლტეს, რისი გამოცნობა ვაჟისთვის ძნელია. ამიტომ ვაჟი გააცილებს მცირე მანძილზე, უკანვე დაბრუნდება თავის ადგილზე და, ხელმეორედ გამოწვევის მოლოდინში, ასრულებს ადგილზე გასმებს – იკრეფს ძალას გადამწყვეტი ვითარებისათვის. ქალი განაგრძობს უკუსვლას, შემდეგ კი მიისწაფვის (სწორი ხაზით) პირდაპირ ვაჟისაკენ. ვაჟმა უნდა აიცდინოს ეს შემოტევა და, თუ საჭირო იქნება,

გასხლტეს ქალის მარჯვენა მკლავის ქვეშ, ამოუდგეს მას მარცხენა მხრიდან და გვერდზე გაჰყვეს საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით.

ქალ-ვაჟი განაგრძობს წრის შემოვლას, მაგრამ უეცრად ქალი მარცხნივ ნახევარბრუნვას ასრულებს სახით ვაჟისაკენ და უკუსვლას იწყებს; ვაჟი განაგრძობს სვლას იმავე მიმართულებით (ქალის პირისპირ და მის მარჯვენა მხარეს).

ქალი ცდილობს, ისეთი ხელსაყრელი მდგომარეობა იპოვოს, ვაჟს გაუსხლტეს – უცბად სრულ ბრუნვას აკეთებს მარცხნივ, მარჯვენა იდაყვს წინ წამოწევს, რითაც ვაჟს გზას ჩაუკეტავს შიგა მხარისკენ და ერთდროულად უკუსვლას ზურგის მიმართულებით (ვაჟსა და თავის შორის დარჩენილი ადგილის ირგვლივ). ვაჟი მიუხვდება ქალს განზრახვას და თავადაც გადადის უკუსვლაზე.

იმ დროს, როცა ქალი უფრო ახლო იქნება წრის ცენტრთან ვიდრე ვაჟი, სწრაფად შებრუნდება მარცხნივ (ნახევარ ბრუნზე ნაკლებად) და გასხლტება დიაგონალზე, მაგრამ აქ ვაჟი სწრაფად დაეწევა და ცდილობს, გაასწროს მას. მაშინ ქალი იცვლის მიმართულებას მარჯვენა მკლავისაკენ; ვაჟი აქაც დაეწევა და გაასწრებს. ქალი ახლა მარცხნივ შებრუნებით ცდილობს გაემართოს ცენტრისკენ. ვაჟი აქაც ქალის წინ გაჩნდება. ქალი კიდევ ერთხელ შეეცდება მარცხნივ შებრუნებით წრეშემოვლას, მაგრამ წინ ისევ ვაჟი დაუხვდება. ქალი მშვიდად მობრუნდება მარჯვნივ და თავის დახრით აცნობებს ვაჟს, რომ ცეკვა დამთავრებულია. ვაჟი მადლობის ნიშნად თავის დახრითვე უპასუხებს და ქალს ადგილამდე მიაცილებს ან იქვე გაიყრებიან.

შენიშვნა: ზემოთ აღწერილი მაგალითი არ არის მხოლოდ ერთადერთი ვარიანტი. ცეკვა *ქართული* შეიძლება სხვა ნახაზითაც შესრულდეს, მაგრამ ნებისმიერით შესრულებისას აუცილებელია ქვემოთ მოყვანილი ძირითადი ტრადიციული წესების დაცვა:
არაა სავალდებულო, ვაჟმა ცეკვის დაწყებისას მთელ წრეს შემოუაროს და შემდეგ ქალისკენ გაემართოს. შეიძლება, პირდაპირ ქალისაკენ გაეშუროს ან შემოიაროს წრე ერთხელ, ორჯერ ან მეტადაც, შემდეგ წრის ცენტრში მივიდეს, იქ რამდენიმე *გასმა* შეასრულოს და შემდეგ უკვე ქალისკენ გაემართოს.
ქალს, ცეკვაში მიპატიჟების მიღების შემდეგ, შეუძლია „საცდელ“ შემოვლაში რამდენიმეჯერ „გამოსცადოს“ ვაჟი სვლებისა და მიმართულების ცვლით, მოულოდნელი ბრუნვებით და სხვა.

არ არის სავალდებულო, ვაჟმა, თავისი სოლოს შემდეგ, ქალი გააცილოს იქამდე, საიდანაც ცეკვა დაიწყო. შეუძლია დარჩეს ქალის სოლოს დაწყების ადგილზე. ასეთ შემთხვევაში ქალი ვაჟისკენ იმოძრავებს მარჯვნივ *გვერდითი* სვლით და ა.შ. მაგრამ არსებობს დადგენილი ტრადიციული წესები, რომელთა დაცვა აუცილებელია:

1. ვაჟი ყოველთვის თავაზიანი და ყურადღებიანია ქალის მიმართ.
2. ცეკვაში ვაჟი ქალს სამოსით ოდნავადაც კი არ უნდა შეეხოს.
3. ცეკვისას ვაჟი არ უნდა გაერთოს და სხვას არ უნდა დაელაპარაკოს.
4. წრის ერთად შემოვლისას ვაჟი ქალს არ უნდა ჩამორჩეს.
5. წრეზე სვლისას ვაჟი წრის შიგა მხარეს უნდა იყოს – უფრო ახლოს ცენტრისაკენ.
6. ვაჟს მხოლოდ ბოლო ნაწილში შეუძლია ნახევრად დაუხუროს ქალს გზა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ქალი აშკარად ცდილობს, „გაექცეს“ მას და უკან ჩამოტოვოს. „ნახევრად დახუროს“ ნიშნავს არა გზაზე გადაეღობოს, არამედ წინ გასწრებით მიახვედროს ქალი, რომ ის წინაა და თავისუფლად შეუძლია გზა შეუკრას, მაგრამ ამას არ სჩადის.
7. ქალის უკუსვლისას ვაჟს შეუძლია რამდენითაც სურს, იმდენით დაშორდეს ქალს, მაგრამ სახით ყოველთვის მისკენ უნდა იყოს, ხოლო უკუსვლის წინსვლით შეცვლის წინ კი სწრაფად დაეწიოს და მარცხენა მხრიდან გაჰყვეს მას.

8. ქალი იწყებს ცეკვას და მთელი ინიციატივაც მის ხელში გადადის – ვაჟი უნდა მიხვდეს ყველა მის „სურვილს“.
9. წინსვლისას ქალს ვაჟი უკან კი არ უნდა მისდევდეს, ახლოს, გვერდზე მიჰყვებოდეს.
10. ქალის კენტად ცეკვიდან *გვერდით* სვლაზე გადასვლისას, მის ნელა შებრუნებამდე, ვაჟი ერთ ადგილზე თავისუფლად დგას ან ტაშს უკრავს, მაგრამ ქალს თვალს არ აშორებს.
11. ქალის ცეკვის დასრულებამდე ვაჟს ნება არა აქვს, ცეკვა მიატოვოს.
12. ქალ-ვაჟის წინ წრეშემოვლით ერთად სვლისას (ან რკალგეზით), ვაჟის განზე გაშლილი მარჯვენა მკლავი ზურგის სიმაღლეზე უნდა იყოს (და არა უფრო ზემოთ).
13. ქალის უკუსვლით საათის ისრის მიმართულებით მოძრაობისას, ვაჟი (დგას პირისპირ მისკენ) განზე შლის მარცხენა მკლავს ქალის გულ-მკერდის სიმაღლეზე დაბლა. თუ უკუსვლა საათის ისრის მოძრაობის საპირისპიროდ სრულდება – მაშინ პირიქით.
14. ვაჟს არ შეუძლია სახით ქალისკენ პირისპირ და ახლოს იდგეს, არამედ მისი მხარიდან ოდნავ მარჯვნივ ან მარცხნივ (საათის ისრის მიმართულებით ქალის უკუსვლით მოძრაობისას – უფრო მარცხნივ მარცხენა მხარიდან და პირიქით: ოდნავ მარჯვნივ ქალის მარჯვენა მხარიდან – საათის ისრის საწინააღმდეგოდ უკუსვლით მოძრაობისას).
15. თუ ქალი დაიღალა, ამის გამო ცეკვა არ დაასრულა და წრიდან გავიდა, მიუღებელია, ვაჟმა მაშინვე სხვა ქალი გამოიპატიჟოს საცეკვაოდ.
16. ქალთან ცეკვისას ვაჟი უქუდოდ უნდა იყოს (შეიძლება ხელში ეჭიროს ან თავს უკან). (სურ. 29 - 29-ა)
17. ვაჟმა ცერებზე შეიძლება მხოლოდ სოლოში იცეკვოს.
18. საათის ისრის მიმართულებით წინსვლა, ქალისა თუ ვაჟისთვის კენტად ცეკვისას, მიუღებელია. უკუსვლით – ყველა მიმართულებით დასაშვებია.

სურ. 29

სურ. 29-ა

ცეკვა *ქართული* შეიძლება შეასრულოს: კენტად ვაჟმა ან ქალმა, ორმა ვაჟმა ერთად, ორმა ქალმა ერთად. ასეთ შემთხვევაში ცეკვის ნახაზი, შინაარსი და შესრულების წესები განსხვავებულია და აქ აღწერილი არ არის.

ქალებთან სვლაში ვარჯიშისას პედაგოგის მთავარი მიზანია, სვლის შესრულებისას რაც შეიძლება მეტ სინარნარეს მიაღწიოს, მკლავების მოძრაობისა და მდგომარეობის შეცვლისას კი – სინარნარესთან ერთად, სინაზესა და პლასტიკურობას.

ვაჟებთან ვარჯიშისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხვადასხვა გასმა იმგვარად შესრულდეს, რომ ზეტანი სავსებით უძრავად იყოს.

გასმისას მკლავების მდგომარეობა უნდა შეიცვალოს ყოველ რვა ტაქტში, შემდეგ ოთხში ან გასმის სახეობის ყოველი შეცვლისას (არა უხშირეს ორი ტაქტისა).
გასმის ელემენტების შესწავლის დროს შეიძლება ტალკის გამოყენება (მოაყრიან სავარჯიშო ადგილს).

ცეკვა *ქართულის* კურსის შესწავლისას საჭიროა შემდეგი თანმიმდევრობის დაცვა:

1. ქართულ ქორეოგრაფიაში მიღებული მკლავებისა და ფეხების ძირითადი პოზიციები.
2. მოსამზადებელი ვარჯიში ძელთან.
3. მოსამზადებელი ვარჯიში ცენტრში და ცეკვის ელემენტები.
   ა) მკლავების მდგომარეობა და მათი შეცვლა (ვ. ქ.).
   ბ) სვლები ადგილზე (ვ. ქ.).
   გ) სვლები გვერდზე (ქ.).
   დ) ბრუნვები ადგილზე (სამი თვლა) (ვ. ქ.).
   ე) სადა და რთულა წინსვლებისათვის მისადაგებული ვარჯიშები.
   ვ) სვლების მარტივი ნაერთები მკლავების მდგომარეობათა შეცვლით.
   ზ) ბრუნვები სვლის დროს (ვ. ქ.).
   თ) სვლების რთული ნაერთები მიმართულებისა და მკლავების მდგომარეობათა შეცვლით (ვ. ქ.).
   ი) მოსამზადებელი ვარჯიშები გასმისათვის (ვ.).
   კ) გასმის ელემენტები (ვ.).
   ლ) გასმის ელემენტების ნაერთები (ვ.).
4. ქალის ცალკე პარტია.
   ა) საცდელი გამოსვლა.
   ბ) ქალის სოლო.
   გ) მეორე შეხვედრა ვაჟთან და ბრძოლა პირველობისათვის.
5. ვაჟის ცალკე პარტია.
   ა) საცდელი გამოსვლა და ქალის საცეკვაოდ გამოპატიჟება.
   ბ) სოლო.
   გ) მეორე შეხვედრა ქალთან.
   დ) ბრძოლა გამარჯვებისათვის.
6. ერთად.
   ა) ვაჟის გამოსვლა და ქალის ცეკვაში მიპატიჟება.
   ბ) საცდელი სვლა ერთად.
   გ) ვაჟის სოლო.
   დ) ქალის სოლო.
   ე) ცეკვა ერთად (დასასრული).

რასაკვირველია, როგორც ცეკვის ცალკეული ნაწილის, ისე მათი ნაერთებისა და საერთო ელემენტების შესწავლა საჭიროა ანსამბლურად, ქალებსა და ვაჟებთან ერთად, ხოლო სპეციალური ელემენტების – (ქალისა და ვაჟისათვის) ჯგუფურად ან ინდივიდუალურად. წყვილური ცეკვა (ცეკვის ყველა დეტალის ათვისების შემდეგ) წყვილად უნდა შესრულდეს და სწორედ აქაა საჭირო ხელმძღვანელის გამოცდილება და პროფესიონალიზმი – შესრულების სიწმინდისა (სტილი, მანერა, ტექნიკა) და წყვილთა შორის შეთანხმებულობის მისაღწევად. ცეკვა *ქართულის* შესრულების აუცილებელი პირობაა: დაიცვან ყველა სავალდებულო წესი!

ცეკვა ქართულის სქემატური აღწერა

ნაწილი	ტაქტი	ვაჟი	ქალი	კვალითი ნახაზი
I	1-8	1. წრემოვლით ცეკვის დაწყება. 2. ქალს მიახლოება	მიპატიჟების მოლოდინში ადგილზე დგომა	1 
I	9-10 11-12 13-14	3. ადგილზე სამდაკვრითი ილეთი. 4. უკუსვლით ქალს დაშორება 5. გასმა	მიპატიჟების მოლოდინში ადგილზე დგომა	2 
I	15-16	6. ნაბიჯი მარჯვნივ და მარცხენა ფეხის მიდგმით თავის დახრა	6. თავის ოდნავი დახრით საცეკვაოდ თანხმობა.	3
II	17-24	1. ქალის გვერდზე გაყოლა მარცხნიდან (წინსვლით)	1. მკლავების პოზიციაში გაშლით და წრეშემოვლით ცეკვა (საათის ისრის საწინააღმდეგოდ).	4 
II	25-36	2. ქალთან პირისპირ და მის მარჯვნივ წინსვლის განგრძობა.	2. მარცხნივ ნახევარი ბრუნვით უკუსვლა. საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობის განგრძობა. მე-11-12 ტაქტზე წრის 3/4-ზე მარჯვნივ ბრუნვით შეჩერება.	5 
III	37-44	1. სახით ქალისაკენ შებრუნება, თავის დაკვრა, რამდენიმე ნაბიჯით უკუსვლით მოცილება და შემდეგ წრეშემოვლა.	1. ადგილზე დგომა და ვაჟისთვის თვალის დევნება.	6
III	45-48	2. წრეშემოვლის შემდეგ ქალთან მიახლოება.	2. ადგილზე	7 
III	49-52	3. ცენტრისკენ უკუსვლით ქალს მოშორება.	3. ადგილზე	8
III	53-68	4. გასმები	4. ადგილზე	9

III	69-71	5. ქალს მიახლოება (წინსვლით ან გვერდზე სვლით, გასმით ან სვლით)	5. ადგილზე	10 
III	72	6. შეჩერება – ქალისთვის გზის მიცემა სოლოზე გასასვლელად.	6. ადგილზე	11
IV	73-80	1. ნახევარწრემდე ქალის გაცილება.	1. წრეშემოვლა	12 
IV	81-83	2. შეჩერება	2. მარცხნივ სრული ბრუნის შემდეგ წრემოვლის განაგრძობა და სოლოზე გამოსვლის ადგილიდან წრის 1/4-ით გადაცილება.	13 
IV	84-96	3. ადგილზე	3. უკუსვლა ცეკვაში გამოწვევის ადგილამდე.	14
IV	97-112	4. ადგილზე	4.გედურა სვლა (ცენტრამდე)	15
IV	113-120	5. ადგილზე	5., მარცხნივ ნელა ბრუნი ადგილზე.	16
IV	121-124	6. ადგილზე გასმით ქალის შესახვედრად მომზადება.	6. გედურა სვლა ვაჟისაკენ,	17
IV	125-128	7. ქალის შესახვედრად მომზადება (ადგილზე გასმა).	7. გედურა სვლით ვაჟთან მიახლოება.	18
V	129-132	1. ქალის ცენტრისაკენ გაყოლა.	1. უკუსვლით ვაჟის ცენტრისაკენ მიწვევა.	19 
V	133-136	2. უკუსვლით თავის ადგილზე დაბრუნება	2. უკუსვლის განგრძობა (ცენტრის გადაცილებით)	20 

V	137-140	3. ადგილზე ფეხის გასმა.	3. წინსვლით ვაჟისაკენ ქროლა.	21 
V	141-144	4. გვერდზე გახტომით ქალის ოდნავ წინ გაშვება, კვლავ წამოწევა და მარცხენა მხრიდან ამოდგომა.	4. მოულოდნელად მარცხნივ მოხვევა და წრეშემოვლა.	22 
V	145-148	5. ქალის პირისპირ გაყოლა.	5. მარცხნივ ნახევარი ბრუნვით უკუსვლა (ზურგით საათის ისრის საწინააღმდეგოდ)	23 
V	149-154	6.უკუსვლით მოძრაობა და პირისპირ მდგომარეობის შენარჩუნება	6. ადგილზე მარცხნივ სრულბრუნვის შემდეგ უკუსვლით ვაჟსა და თავის შორის დარჩენილი ადგილის გარშემო მოძრაობა.	24
V	155-158	7. ქალს მიდევნება, ოდნავ წინ გასწრება.	7. მარცხნივ სწრაფი შებრუნების შემდეგ დიაგონალზე წინსვლა.	25 
V	159-162	8. ქალის გაყოლა და შედეგ გადასწრება.	8. მარჯვნივ გასხლტომით მიმართულების შეცვლა (რამპის ხაზის პარალელურად).	26 
V	163-164	9. ქალის გაწზრახვის მიხვედრა და მის წინ მოქცევა	9. ვაჟისაგან უკუღმა შებრუნებით ცენტრისაკენ გასვლის ცდა.	27 
V	165-166	10. ერთი ნახტომი ქალის წინ.	10. ცენტრიდან შებრუნება და ირიბი მიმართულებით გასხლტომის ცდა.	28
V	167	11. ადგილზე გასმა	11. მარცხნივ ნელი ბრუნით შეჩერება და თანხმობის ნიშნად ვაჟისთვის თავის დაკვრა.	29 
		12. თავის დაკვრითვე პასუხი, ადგილზე გასაცილებლად მარჯვენა ხელის გაწვდენა ან თავის დაკვრით დაშორება.	12. მარცხენა ხელის წინ აწევა, მარჯვენა ხელის გაწვდენა – ადგილზე მიცილება ან დაშორება.	30 

ცეკვა ქართულის ქორეოგრაფიული ნახაზი

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა *აბესალომ და ეთერიდან*

დადგმა დავით ჯავრიშვილისა

ნაწილი I

ვაჟი იწყებს ცეკვას სცენის ცენტრიდან ან მარცხენა კულისიდან.
8 ტ. – მარცხნივ მოვლით ქალს მიახლოება.
2 ტ. – ადგილზე სვლა სამდაკვრითი ილეთით.
2 ტ. – უკუსვლა.
2 ტ. – სადა გასმა (სრიალა).
2 ტ. – ნაბიჯი წინ და მარჯვნივ, მარცხენა ფეხის მარჯვენას მიდგმა და თავის დაკვრა.

ნაწილი II – ქალი-ვაჟი

8 ტ. – ქალი – *სრიალა სვლით* წრემოვლა.
ვაჟი – მარცხნიდან ქალისთვის გვერდზე გაყოლა.
8 ტ. –ქალი – გარე ტაქტზე მკვეთრად მარცხნივ ნახევარბრუნვით შეტრიალება და ზურგით წრემოვლის ხაზზე მოქცევა. მკლავები – III პოზიცია.
ვაჟი – წინსვლის განგრძობა (ქალის პირისპირ და მარჯვნივ).
4 ტ. –ქალი – თანდათანობით მკლავების ჩამოშვება მარჯვნივ ბრუნვისთვის მოსამზადებლად,შემდეგ მარჯვნივ ბრუნით შეჩერება.
ვაჟი – ქალისკენ ოდნავ მიბრუნება (მკლავების ჩამოუშვებლად).

ნაწილი III – ვაჟის სოლო

2 ტ. – ვაჟი – ზურგით – წრემოვლის ხაზისაკენ, სახით – ქალისაკენ, ორი ნაბიჯი უკან, მარცხენა მკლავი ქვევით, მარჯვენა – მკერდთან, თავის დახრა.
2 ტ. – ვაჟი – უკუსვლა და მკლავების განზე გაშლა: ქალს თანდათან მოშორება.
4 ტ. – ვაჟი – მარცხნივ მობრუნება, მარჯვენა მკლავის მოხრა.
4 ტ. – ვაჟი – წრის შემოვლის განგრძობა და მეოთხე ტაქტის ბოლოს 1½ ან 2 ნაბიჯით ქალს მიახლოება (ზურგით ცენტრისაკენ).
4 ტ. – ვაჟი – უკუსვლით ცენტრისაკენ სვლა, სახით – ქალისაკენ.
2 ტ. – ვაჟი – სადა სრიალა გასმა.
2 ტ. – ვაჟი – გასმა სარული.
4 ტ. – ვაჟი – გასმა ქუსლური.
4 ტ. – ვაჟი – გაქნევით გასმა.
6 ტ. – ვაჟი – მარცხნივ ოდნავ ბრუნი, მარჯვენა მხარის ქალისაკენ მიმართვა და ჭდომილი გასმით მიახლოება.
2 ტ, – ვაჟი – მარჯვენა ფეხის განზე გადადგმა, მარცხენის მარჯვენას მიდგმა და თავის დაკვრა. მკლავები – ჩამოშვებული ან მარცხენით დოინჯი.

ნაწილი IV – ქალის სოლო

8 ტ. – ქალი – წრემოვლით წინსვლა.
ვაჟი – ქალის გაცილება. მე-8 ტაქტზე მარჯვნივ მობრუნება და ადგილზე შეჩერება.
8 ტ. –ქალი – წრემოვლით წინსვლის განგრძობა და ცეკვის დაწყების ადგილამდე წრის 1/4 ის გავლა. ვაჟი – ადგილზე.
8 ტ. – ქალი – ცეკვის დაწყების ადგილიდან კვალით ხაზზე უკუსვლა.
ვაჟი – ადგილზე.
16 ტ. –ქალი – გედური სვლით (გვერდზე სვლით) სწორი ხაზით მოძრაობა ცენტრისაკენ.
ვაჟი – ადგილზე.
8 ტ. –ქალი – სრული ბრუნვა მარცხნივ ზეტანის ოდნავი გადახრით (მე-7-8 ტაქტზე). ბრუნვის დასასრულს მკლავების გადაშლა.
ვაჟი – ადგილზე.
8 ტ. – ქალი – გედურა სვლით (თითქოს მიცურავს) ვაჟისაკენ მოძრაობა. (ყოველი 4 ტაქტის შემდეგ მკლავების მდგომარეობის ცვლა) და მასთან ძალიან ახლო მისვლის ცდა.
8 ტ. – ვაჟი – დასახვედრად მომზადება – ადგილზე გასმები.

V ნაწილი – ქალ-ვაჟის ცეკვა

4 ტ. – ქალი – სახით ვაჟისაკენ შემობრუნება და ცენტრისაკენ უკუსვლა.
ვაჟი – ქალის ცენტრამდე გაცილება.
4 ტ. – ქალი – უკუსვლის სწორხაზობრივად განგრძობა.
ვაჟი – უკუსვლით უკან დაბრუნება.
4 ტ. – ქალი – წინ – ვაჟისაკენ სწრაფვა.
ვაჟი – ადგილზე გასმა.
4 ტ. – ქალი – უცბად მარცხნივ მოხვევა და წრეშემოვლის დაწყება.
ვაჟი – ქალისთვის გზის დათმობა, ოდნავ მარცხნივ დადგომა, შემდეგ წამოწევა და მასთან ერთად წინსვლის განგრძობა.
4 ტ. –ქალი – მარცხნივ ნახევარბრუნვა ისე, რომ მოკლე უკუსვლით წრემოვლის ხაზს ზურგით მოექცეს.
ვაჟი – წინსვლის განგრძობა (ქალის მარჯვნივ და პირისპირ იმყოფება).
6 ტ. – ქალი – სრული ბრუნვა მარცხნივ, უკუსვლით თავისსა და ვაჟს შორის დარჩენილი ადგილის შემოვლა და მარჯვნივ, ცენტრისაკენ მოქცევა.
ვაჟი – უკუსვლით თავისსა და ქალს შორის დარჩენილი ადგილის შემოვლა.
4 ტ. – ქალი – მარცხნივ დასხლტომით დიაგონალზე სცენის მარცხენა მხარისაკენ სვლა.
ვაჟი – ქალისთვის მარცხნიდან გაუსწრებლად მიყოლა.
4 ტ. – ქალი – სვლის მიმართულების შეცვლა, წინსვლით რამპის ხაზის პარალელურად სვლა.
ვაჟი – ქალისთვის მარჯვნიდან ჩამოურჩენლად მიყოლა.
2 ტ. – ქალი – მარცხნივ შემობრუნება და ვაჟთან პირისპირ შეხვედრა, წინსვლით ცენტრისაკენ სვლის ცდა.
ვაჟი – ქალის პირისპირ და მისი სვლის პარალელურად მოძრაობა.
2 ტ. – ქალი – მარცხნივ შებრუნებით ცენტრიდან ისევ რამპისკენ სვლის ცდა.
ვაჟი – მოხდენილი წინხტომით ქალის წინ აღიმართება.
2 ტ. – ქალი – მარჯვნივ შებრუნება და ვაჟისთვის თავის დაკვრა.
ვაჟი – ქალისთვის თავის დაკვრითვე პასუხი.



1



2



5



6



9

10



13



14



3



4



7



8



11



12



15



16



17



18

21



22

25



26



29



30



19



20



23



24

27

28



31



32



33



34



37



38



41

42

35



36



39



40



43



44

ცეკვა ქართული[1]

ოპერიდან *დაისი*

კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი

1 *ცეკვა ქართული ოპერა აბესალომ და ეთერიდან იხ. ქართული ცეკვის ჩასაწერი პირობითი ნიშნები გვ. 81-89*

1.
2.
mf
1.
Ped.
2.

1.
2.
dolce
mf
Ped.
1.
2.
f

dolce
1.
2.
ff
Allegro

Allegro
f
Ped.
f
Ped.
f
Ped.
f
Ped.

ff
tutta la forza
Ped.
8va
Più mosso
ff
Ped.

(8va)
(8va)
p
8vb
8va
cresc.
sf
(8vb)

ცეკვა ქართული

კომპოზიტორი შალვა თაქთაქიშვილი

sf
f
ff

p
f
p
f
p
f
ff
p

cresc.
dim.
sf

cresc.
f
8va
(8va)
cresc.
Piu mosso.
ff
sempre

8va

ცეკვა ქართული

ოპერიდან თქმულება შოთა რუსთაველზე

კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი

f
mf

piu forte

f
mf

sf cresc.
f
sf subito piano e non legato

piu forte
f
sf

sf
f
f
sf

ff

sf
3

ხორუმი

ქართულ ხალხურ საბრძოლო ცეკვათა შორის პოპულარულია ცეკვა *ხორუმი.*

ცეკვა *ხორუმის* ხასიათი და სტილი მეტად თავისებურია: ფრთხილი სვლების ცვლა გაბედული საიერიშო მოძრაობებით, საბრძოლო მდგომარეობა-მოძრაობათა მკვეთრი გამოსახულებითა და იოლად გასაგები შინაარსით.

მარტივი ელემენტებიდან, ერგბუქნის მდგომარეობაში, დაწყებული ცეკვა მკვეთრ მუსიკალურ რიტმში ხტომებითა და რთული ნაერთებით სრულდება. ზომა – 5/4 ან 5/8.

მუსიკალური თანხლებისა და ცეკვის ხასიათის თავისებურება გამოყოფს ამ ცეკვას „მეომრული“ ჯგუფის სხვა ცეკვებისგან. *ხორუმი* მკვეთრად გამოსახული, თანამიმდევრობით განვითარებული ოთხნაწილიანი სიუჟეტისაგან შედგება: მეომართა დასაბანაკებლად ადგილის ძებნა, მტრის დაზვერვა, ბრძოლა, მტერზე გამარჯვება.

ქვემოთ მოგვყავს *ხორუმის* ერთ-ერთი ვარიანტის ფაბულა:

საღამო ხანია. შორიდან მოისმის ჭიბონის ყრუ მელოდია, გამოჩნდება მიპარვით მომავალი ვაჟთა ჯგუფი. ეს ლაშქარის მოწინავე რაზმია. მას მოუძღვის გამოცდილი მეთაური (წამძღოლი). ერთმწკრივად განრიგებული მეომრები ჩუმად მიჰყვებიან მეთაურს. მეთაური შედგა, შედგნენ დანარჩენებიც, ყურს უგდებენ, გარემოს ათვალიერებენ. წინამძღოლმა შორს შენიშნა მტრის ბანაკი და რაზმს აცნობა. რაზმი განაგრძობს მიპარვით სვლას მტრის ბანაკისკენ. ღამეა. რაზმმა მოხერხებულ ადგილს მიაგნო. აქ მათ შეუძლიათ, თავი შეაფარონ, დაისვენონ და შეტევისათვის მოემზადონ. ფრთხილი გუშაგები იცავენ დაღლილ მეომრებს. არ სძინავთ წამძღოლს და მის უახლოეს გარემოცვას. ისინი ჩუმად თათბირობენ ბრძოლის გეგმაზე. მამაკაცთა ერთი ჯგუფი მიდის მტრის დასაზვერავად. მზვერავები ბანაკში ბრუნდებიან. ირიჟრაჟა. რაზმი გროვდება წინამძღოლის გარშემო და, მოისმენს რა მის რჩევა-ბრძანებას, მტრის ბანაკისკენ მიემართება. მეთაურის ნიშანზე მეომრები მტერს ეკვეთებიან, იწყება ბრძოლა, მაგრამ მტერი ძლიერია – მოიგერიებს პირველ იერიშს და შემოუტევს რაზმს, რომელიც უკან დახევას იწყებს. ამ დროს გამოჩნდება მაშველი ძალა, რომელიც მოწინავე რაზმს შეუერთდება და მტერზე იერიშს ერთად მიიტანენ. მტერი სუსტდება, ერთსულოვანი ძლიერი შეტევა გადაწყვეტს ბრძოლის ბედს. წამძღოლის რაზმი მტერზე გაიმარჯვებს. გამარჯვებული მეომრები შინ ბრუნდებიან. ხალხი ადიდებს სამშობლოსა და თავისუფლების მამაც დამცველებს.

ცეკვა *ხორუმი* სხვადასხვა ვარიანტით სრულდება, მაგრამ, როგორითაც უნდა შესრულდეს იგი, მისი შინაარსობრივი ფუძე უცვლელია.

ტრადიციული წესები

1. *ხორუმს* მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ.
2. მოცეკვავეთა რაოდენობა უსათუოდ კენტია (3, 5, 7, 9, 11 და ა.შ.).
3. მწყობრის თავში მდგომს „წამძღოლი“ ეწოდება, მწყობრის ბოლოში – „დამკეტი“.
4. წამძღოლი უძღვება ცეკვას, დანარჩენები მას ემორჩილებიან. ილეთთა ცვლა და ერთი განლაგებიდან მეორეში გადასვლა წამძღოლის ნიშანზე სრულდება. დამკეტი მისი დამხმარეა.
5. წამძღოლი ნიშანს იძლევა ხელმანდილის აქნევ-დაქნევით ან წამოძახილით.
6. ცეკვის ზოგ ვარიანტში წამძღოლის როლს მედოლე ან მეჭიბონე ასრულებს, ასეთ შემთხვევაში პირველი მოცეკვავე წამძღოლის პირველი დამხმარეა.

7. ცეკვის მეოთხე ნაწილში (ბრძოლის შემდეგ) დასაშვებია სოლო: ერთი ან ორი მოცეკვავე წრეში ცეკვავს, დანარჩენები ტაშს უკრავენ.
8. შეიძლება, *ხორუმს* უშუალოდ მოსდევდეს მისი ორგანული გაგრძელება, რაიმე სხვა ცეკვა, რომელიც გამოსახავს მეომართა სიხარულს გამარჯვების შემდეგ.
9. წამძღოლის შეძახილი, – *ჩაბუქ-ჩაქ-ჩაბუქ*, – ზუსტად შეესაბამება 5/4 ან 5/8 მუსიკალურ ზომას და მეხორუმეებს განუსაზღვრავს ცეკვის რიტმს.

ძირითადი მოძრაობები

1. შესასვლელი
2. სასვენო
3. ჭდომსასვენო
4. ფარულა ან მალულა
5. ჩოქმალულა (სვლა მუხლის იატაკზე შეხებით)
6. საფრთხილო
7. ჩოქით მუხლმოქნევი
8. დაბალი გასმურა
9. ხტომგასმურა
10. გასმურა ტერფმოქნევით
11. ბუქნურა
12. ბუქნბრუნი
13. ხლართულა
14. წაწოლ-გასმურა
15. ქობულეთური ჩაკრული
16. ქობულეთური მაღალჩაკრული
17. წიხლურა
18. ჩაწოლა (ვარდნიდან მწოლიარე მდგომარეობაში გადასვლა)
19. ხლართულა ჭდომხტომი
20. ბრუნი
21. გარბენი
22. საზვერავი
23. შვილდსაკრავი
24. საჩურჩულო
25. სახოხავი
26. საკაფი
27. საიერიშო

ძირითადი მოძრაობების აღწერამდე საჭიროა ვიცოდეთ: 1. მოძრაობათა სათვალავი და ჩაწერა. 2. მოცეკვავეთა განლაგება.

მოძრაობათა სათვალავი და ჩაწერა

ხორუმი იცეკვება ხუთწილადი მუსიკალური ზომით. პრაქტიკული მუშაობისას ხელმძღვანელისათვის ძნელია ხუთზე თვლა, ასევე ცალკეული მოძრაობისა და ილეთის ჩაწერა, ვინაიდან სამ თვლაზე:

ერთი – ზომით ეთანხმება ორ მეოთხედს.
ორი – ერთ მეოთხედს.
სამი – ორ მეოთხედს.



ან:

ერთი – ეთანხმება ერთ მეოთხედსა და ორ მერვედს
ორი – ერთ მეოთხედს
სამი – ერთ მეოთხედსა და ორ მერვედს.

5/4 ან: 5/8

ერთი ორი სამი ერთი ორი სამი

ასევე მოსახერხებელია ცეკვის ჩაწერა სამ თვლაზე. ზემოთქმულზე დაყრდნობით, ცეკვისა და ცალკეულ მოძრაობათა ჩაწერისას, პირობითად ვიხმართ სათვალავს: **ერთი, ორი, სამი.**

ხორუმის ილეთების უმრავლესობა სამ ან ოთხმოძრაობიანია. დროის მიხედვით ყოველი პირველი მოძრაობა ტაქტში ხშირად უფრო გრძელია, ვიდრე დანარჩენი. ასევე დამახასიათებელია: ბოლო ერთი ან ორი მერვედი მოძრაობაში შეიგრძნობა როგორც პაუზა.

ხალხი მუსიკალურ ზომას განსაზღვრავს შეძახილით – *ჩაბუქ-ჩაქ-ჩაბუქ,* რომელიც რამდენიმეჯერ მეორდება და სავსებით ემთხვევა 5/4 ზომას.

ხორუმის შემქმნელმა ხალხმა სათვალავისათვის გონივრული ხერხი გამოძებნა: მუსიკალური თანხლების უქონლობისას იყენებს შეძახილს – *ჩაბუქ-ჩაქ-ჩაბუქ!*

მოცეკვავეთა განლაგება

1. ნორმალური განლაგება

მოცეკვავენი დგანან ერთ მწკრივად, ხელჩაკიდებული. მანძილი ორ მოცეკვავეს შორის ერთი ნაბიჯია. შეიძლება მკლავები დაშვებული იყოს ქვეგანმკლავში, აწეული ზეგანმკლავში ან მიმართული წინ-გარეთ.



სურ. 1



სურ. 2

2. მიჯრილი განლაგება

ხელჩაკიდებული მოცეკვავენი მხარიმხარ დგანან ერთიმეორის გვერდით, მკლავები – ქვედაშვებული.



სურ. 3

3. **მკლავგაყრილი განლაგება** (ჯაჭვური).
მოცეკვავენი დგანან მხარიმხარ და მკლავგაყრილი.



სურ. 4

4. **კოშკურა განლაგება**

მოცეკვავენი დგანან მწკრივად. მანძილი ორ მოცეკვავეს შორის ერთი ნაბიჯია. იდაყვში მოხრილი მკლავები ზეაწეულია წინამხრებით, იდაყვები განზეა მიმართული მხრების სიმაღლეზე. ხელები ჩაკიდებულია ჩვეულებრივად ან ნეკებით.



სურ. 5

5. **განლაგება ერთ რიგად**
მოცეკვავენი დგანან ერთმანეთის უკან ხელჩაკიდებული.



სურ. 6

ზემოთ მოყვანილი განლაგებით მოცეკვავენი შეიძლება იდგნენ:

- ერთ, ორ ან რამდენიმე მწკრივად.
- ერთ, ორ ან რამდენიმე წრედ.
- ერთ ან რამდენიმე რკალად.
- კონცენტრიულ წრეებად.
- ერთ, ორ ან რამდენიმე რიგად.

წრეზე მოცეკვავენი, შეიძლება, იდგნენ სახით:

- ცენტრისაკენ.
- გარეთ.
- წრეხაზის მიმართულებით (რიგად).

ცეკვის დამდგმელმა, თავისი ფანტაზიის თუ დასახული ამოცანის მიხედვით, შეიძლება გამოიყენოს განლაგების სხვა სახეებიც (კვადრატი, კუთხური, კლაკნილი), მაგრამ ზემომოყვანილი განლაგებები მაინც ძირითადია.

შენიშვნა:

1. ბუქნურისას მოცეკვავენი მკლავებს ჩააბამენ წინ და განზე – გარეწინმკლავში, შემდეგ მკლავები უბრუნდება საწყის მდგომარეობას ან სხვა მდგომარეობას იღებს.
2. ხტომითი მოძრაობისას მკლავები გარეზემკლავშია.
3. მიპარვითი მოძრაობის დროს მკლავები ქვედაშვებულია.
4. სასვენი მოძრაობებისას მკლავები ქვედაშვებულია უკან, წინ, ზეწინმკლავის ან *კოშკურა* მდგომარეობაში.
5. ბრუნების, ვარდნის ან დასვენებისას მკლავები ქვედაშვებულია.
6. კომბინირებული მოძრაობისას მკლავების მდგომარეობა შესაბამისია.

ძირითადი ილეთების აღწერა

1. შესასვლელი

საწყისი მდგომარეობა: პირველი პოზიცია, ქვეგამკლავი.

მუსიკალური ზომა – 5/4 ან 5/8.

გარე ტაქტის **და** – ერგცერებზე აწევა.

ერთი – ტერფებზე დაშვება გამახვილებით.

ორი – პირველი და მეორე მოძრაობის გამეორება უმახვილოდ.

სამი – იგივე მოძრაობა გამახვილებით.

(ამ მოძრაობაში **ერთს** მოსდევს პატარა პაუზა, დაახლოებით 2/8 ხანგრძლივობის).

2. სასვენო

საწყისი მდგომარეობა: ისეთივე, როგორიც **ერთში**.

ერთი – ერგცერებზე აწევა და მაშინვე გამახვილებულად მთელ ტერფზე დაშვება.

ორი – მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ნახევარი ტერფით იატაკს აცილება, ერთდროულად მარცხენის ქუსლის შიგ შეწევა.

სამი – მცირე დაქნევის შემდეგ მარჯვენა ფეხის მარჯვნივ გამახვილებით განზე გადგმა მთელ ტერფზე (მხრების სიგანეზე).

შემდეგი ტაქტი სხვანაირად იწყება:

ერთი – მარცხენა ფეხის ტერფის გასრიალებით მარჯვენასთან მიდგმა. **ორსა** და **სამზე** მოძრაობა ზემოთ აღწერილივით შესრულდება.

ამრიგად, მოცეკვავენი გვერდზე მოძრაობენ. ეს ილეთი მეორე მხარესაც სრულდება.



ერთი

სურ. 7



ორი

სურ. 8



სამი

სურ. 9

მკლავების ქანაობა წინ-უკან.

ერთი – ქვეგამკლავი

ორი – ქვეგარეწინმკლავი

სამი – ოდნავ გარეუკუმკლავი

3. ჭდომსასვენო

საწყისი მდგომარეობა: I პოზიცია.

ერთი – მაღალ ერგცერებზე აწევა და გამახვილებულად ორივე ტერფზე დაშვება.

ორი – მუხლში ცოტა მოხრილი მარცხენა ფეხის წინ გამოტანა. ერთდროულად მარჯვენა (საყრდენი) ქუსლის იატაკს აცილება და შიგნით დაკვრით გადადგმა.

სამი – მარცხენა ფეხი მარჯვენაზე წინიდან ისე გადაჯვარედინდება, რომ ორივე ფეხის ერგცერი ერთმანეთს შეეხოს, ქუსლები დაშორებული.

შემდეგი ტაქტის დასაწყისი – **ერთი** – მარჯვენა ფეხის გაწზე ისე გადგმა, რომ ქუსლი უფრო განზე მოექცეს, ვიდრე ერგცერი. მარცხენა ქუსლის გარეთ გაწევა. შემდეგი – **ორი** და **სამი** – მოძრაობის ზემოთ აღწერილი წესით შესრულება.



ერთი

სურ. 10



ორი

სურ. 11



სამი

სურ. 12



ერთი

სურ. 13

4. სვლა მალულა ან ფარულა

მალულა ან *ფარულა სვლა* ცეკვა *ხორუმის* მთავარი ილეთია. გამოიყენება დამოუკიდებლად, ასევე ილეთთა დამაკავშირებელ მოძრაობად. ხშირად წინ უძღვის რომელიმე ილეთს.

საწყისი მდგომარეობა: III პოზიცია. მარჯვენა ფეხის ტერფის ერგცერით მეტად გარეთ მიბრუნება; ამ მდგომარეობაში მუხლებგადაშლილი ერგბუქნი, ზეტანის წინმარჯვნივ გადაზნექა. სხეულის სიმძიმის ორივე ფეხზე განაწილება, თავის მარჯვნივ მიბრუნება. მარჯვენა ხელის გვერდითი მოცეკვავის მარცხენასთან ჩაკიდება, მარცხენის მარცხნივ უკან გაშვერა – მარცხენა მოცეკვავესთან ხელჩასაკიდებლად. ამ მდგომარეობით მიპარვითი მოძრაობის შთაბეჭდილების შექმნა.

ერთი – მარჯვენა ფეხით ერგნაბიჯი მარჯვნივ ერგბუქნის შენარჩუნებით, მარცხენა

ფეხის ტერფის ოდნავ გასრიალებით ცოტათი მარცხნივ აწევა (სვლის საწინააღმდეგო მიმართულებით); ზეტანი უმოძრაოდ და ოდნავ მარჯვნივ შებრუნებული.

ორი – მარჯვენა ფეხის ტერფის ოდნავ მოწევა მარცხენისაკენ, მუხლმოხრილი მარცხენა ფეხის იატაკს აცილება და მარჯვენის მიმართულებით ჰაერში ისე გადატანა, რომ მარჯვენა ფეხის ერგცერის ზედა ნაწილის წინ მოექცეს. ზეტანი უმოძრაოდ.

სამი – მარჯვენა ფეხი უმოძრაოდ, მარცხენის მთელი ტერფით მარჯვენა ცერის წინ ისე დადგმა, რომ მარცხენა ფეხის გარე კიდე ეხებოდეს მარჯვენის ცერს და ტერფების ხაზები გადაიკვეთოს. ზეტანი უმოძრაოდ.

სურ. 14

ამ ილეთის შესრულებისას დაუშვებელია ხტომისებური მოძრაობა, ზეტანი გაუმართავია და ზევით-ქვევით არ მოძრაობს. ილეთი ორივე მხარეს სრულდება.

5. ჩოქმალულა

საწყისი მდგომარეობა: იგივე, რაც მე-4-ში. მოძრაობა ორტაქტიანია.

I ტაქტი: – მე-4 სვლა – *მალულა*

II ტაქტი:

ერთი – მარჯვენა ფეხით ისეთივე ნაბიჯი, როგორიც *სვლა მალულას* პირველ თვლაზე და მაშინვე ჩოქვა მარცხენა მუხლზე.

ორი – მარჯვენა ფეხზე დაყრდნობით ადგომა (ზეტანი როგორც საწყისი მდგომარეობისას), ნახევრად მუხლში მოხრილი გათავისუფლებული მარცხენა ფეხის გატანა მარჯვენის წინ – მარცხნივ, მარჯვენა ტერფის ერთდროულად ოდნავ გასრიალება ქუსლის მიმართულებით.

სამი – მარცხენა ფეხის ოდნავი უკუგაქნევით (ქუსლის მიმართულებით) დახტომა მარცხენა ფეხზე, ერთდროულად მარჯვენა ფეხის გათავისუფლება, მუხლში მოხრა და ახალი ტაქტის დასაწყებად მომზადება.



სურ. 15

ამ ილეთის შესრულებისას ზეტანი გაიმართება მხოლოდ II ტაქტის **ერთზე**, ამავე ტაქტის **ორზე** კი კვლავ დაიხრება.

6. საფრთხილო

I ტაქტი – ილეთი **№4**.

II ტაქტი:

და-ერთი – იგივე მდგომარეობა, რაც პირველი ტაქტის ბოლო თვლაზე, მარჯვენა ფეხის მუხლში უფრო მეტად მოღუნვა, ტერფით იატაკს აცილება და მაშინვე მარცხენის უკან მთელი ტერფით დადგმა.

ორი – მარჯვენა ტერფის ოდნავი წახტომით ცერის მიმართულებით წაწევა, მარცხენა ფეხის გათავისუფლება, იატაკს მოცილება და მარცხნივ – განზე გადასადგმელად მომზადება. სხეულის ოდნავ მარცხნივ შებრუნება.

სამი – ზეტანის უფრო მეტად მარცხნივ შებრუნებით (სვლის საწინააღმდეგო მიმართულებით) მარცხენა ფეხის მეოთხე პოზიციაში დადგმა (მარცხენის ცერი მიმართულია ერგბრუნის მხარეს).

II ტაქტის ბოლო თვლისას სხეულის იგივე მდგომარეობა, რაც I ტაქტის **ერთზე**, მხოლოდ მეორე მხარეს.

მეორე ტაქტის შესრულებისას საჭიროა თავის რაც შეიძლება მარცხნივ მიბრუნება, მსგავსად უკუგახედვისა

სურ. 16

7. ჩოქით მუხლმოქნევი

საწყისი მდგომარეობა: ილეთი **№4**.

ილეთი სამტაქტიანია.

I ტაქტი – როგორც *მალულა* (№4)

II ტაქტი:

ერთი-ორი – მარჯვენა ფეხის ტერფის წაკვრით მარცხენის გათავისუფლება და იატაკს მოცილება.

სამი – მარჯვენა ფეხის ტერფის გასრიალება ცერის მიმართულებით ნახევარი ტერფით, ერთდროულად მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენის უკან დადგმა. ორივე ტერფი ერთ ხაზზე.

III ტაქტი:

ერთი – ოდნავი ზეხტომით ორივე ტერფის დაკვრა. მუხლები ნახევრად მოღუნული და წინ მიმართული.



სურ. 17

ორი – დაბალ ერგცერებზე მარცხნივ ნახევარბრუნით მარჯვენა მუხლის იატაკს შეხება.

ამ ტაქტის ბოლო ორ თვლაზე ერგცერები ადგილს არ იცვლის. სამივე მოძრაობა ენერგიულად და გამახვილებულად სრულდება.

№8 დაბალი გასმურა

საწყისი მდგომარეობა: სხეულის მარცხენა ფეხზე დაყრდნობა, ზეტანი გამართული, თავისუფალი და მუხლში გამართული მარჯვენის წინ ისე გატანა, რომ ტერფი თითქმის იატაკს შეეხოს, ჩაბმული ხელებით გარეზემკლავი.

ერთი – და – ორი – გასმისებური სამი მოძრაობა ოდნავი ზეხტომით; მკლავები საწყის მდგომარეობაში.

სამი – მარცხენა ფეხზე გადახტომა, მარჯვენის წინ გატანა საწყის მდგომარებაში.



სურ. 18

ამ ილეთის შესრულებისას შესაძლოა მოძრაობა მარჯვნივ ან მარცხნივ (სვლა მარჯვნივ ან მარცხნივ).

№9 ხტომგასმურა

შესრულდება ისევე, როგორც ილეთი **№8,** იმ განსხვავებით, რომ **ერთზე**, მარცხენა ფეხით მძლავრი არეკნის შემდეგ, მარჯვენაზე დახტომა და უფრო მაღალი გასმები.

№ 10. გასმურა ტერფმოქნევით

საწყისი მდგომარეობა – ილეთი **№8**

შესრულდება როგორც ილეთი *ხტომგასმურა* იმ განსხვავებით, რომ **სამზე**, მარჯვენა ფეხიდან მარცხენაზე გადასვლის შემდეგ, მარჯვენის ტერფი ჰაერში შემოხაზავს პატარა წრეს შიგა მიმართულებით და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება.

ეს ილეთი სხვა ვარიანტითაც სრულდება: **ერთი – და – ორი** – ფეხიდან ფეხზე სკუპი არა გასმისებურად, არამედ მაღალი ხტომებით, თანაც **და**-ზე მარცხენა ფეხი გადაეჯვარედინება მარჯვენას, **სამ**-ზე – კი მარცხენა ფეხი ხტომით გადაიტანება მარცხნივ და მაშინვე, მარჯვენა ერგცერის რკალისებური გასრიალებით, გადაეჯვარედინება მარცხენას. ეს ილეთი სრულდება მარცხნივ ოდნავი გადანაცვლებით.

სურ. 19

№11. ბუქნურა

ხორუმში ბუქნი სრულდება ერგცერებზე – მუხლებგადაშლილად, ფეხები გადაჯვარედინებულია წვივების ქვედა ნაწილში, კოჭების ოდნავ ზემოთ, ფეხი ფეხს არ ეხება.

საწყისი მდგომარეობა: III პოზიცია.

ერთი – მარჯვენა ფეხის გადაჯვარედინებით მარცხენის წინ ერგცერებზე ბუქნი, მუხლები გადაშლილი.

ორი – ადგომა მარცხენა ფეხზე, ერთდროულად მარცხენა ქუსლის დაკვრითა და მცირე ზეხტომით მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის ნახევარი ტერფის სიმაღლეზე წინ გამოტანა.

სამი – მცირე ზეხტომით ადგილზე ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხის გადაჯვარედინებით მარჯვენის წინ ბუქნის დროს, ე.ი. **ერთი,** მკლავები გარეწინმკლავში, **ორიდან** – გარეზემკლავში.



სურ. 20

№12. ბუქნბრუნი

ბუქნბრუნი №11 ილეთის – *ბუქნურას* – გართულებული სახეა. ადგომისას, ე.ი. **ორი**, ბრუნი ან ნახევარბრუნი უკან მდგარი ფეხის მხარეს. ერთი ფეხიდან მეორეზე (მარჯვნიდან – მარცხენაზე) ხტომით და თავისუფალი ფეხის წინ გატანით **სამზე** იცვლება ფეხების მდგომარეობა.

№13. ხლართულა

საწყისი მდგომარეობა: III პოზიცია.

მოძრაობა ორტაქტიანია.

I ტაქტი:

ერთი – მარჯვენა ფეხის იატაკს აცილება და ერგცერით მარცხენის ქუსლის უკან ახლოს ან ნახევარი ტერფის სიგრძეზე დადგმა.

ორი – ოდნავი ზეხტომი მარჯვენა ფეხის ერგცერიდან, მარცხენის მუხლში მოღუნვით მაშინვე იატაკს მოცილება, რათა **სამზე** მარჯვენა ფეხის უკან დაიდგას (**ერთი** მარჯვენა ფეხისათვის იმ განსხვავებით, რომ მარცხენა იატაკს შეეხება მთელი ტერფით).

II ტაქტი:

ერთი – მარცხენა ფეხიდან ზეხტომი, მარჯვენის იატაკს მოცილება და ტერფის დარტყმით მაშინვე იმავე ადგილას ან ოდნავ შიგნით დადგმა.

ორი – მარცხენა ფეხით მაღალი გადახტომი მარჯვენაზე, მარცხენა ფეხის იატაკს მოცილება და მუხლში მოხრა.

სამი – მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ გადაჯვარედინებულად შეუხებლად დადგმა.

ცეკვა *ხორუმში* ზოგჯერ ილეთი *ხლართულა* სრულდება მარჯვნივ სვლით (თუ მოძრაობა მარჯვენა ფეხით იწყება). ასეთ შემთხვევაში მეორე ტაქტის **ორზე** ხტომა შესრულდება არა ადგილზე, არამედ მარჯვნივ (განზე).

ხლართულა ხშირად უკუსვლით სრულდება. ამ ილეთის შესრულებისას მკლავები, ჩვეულებრივ, გარეზემკლავშია.

სურ. 21

№14. წაწოლგასმურა

საწყისი მდგომარეობა: III პოზიცია. მოძრაობა ორტაქტიანია.

I ტაქტი

ილეთი *მალულა* **№ 4**.

II ტაქტი

გარე ტაქტის **და** – მარჯვენა ფეხის მუხლში მოხრა და იატაკს მოცილება.

ერთი – ერგცერის ოდნავ გასრიალებით მარჯვენა ფეხის ჭდომილად მარცხენის უკან დადგმა.

და – ორი – მარცხნივ მიწევით ორი გასმისებური მოძრაობა, მარცხენა ფეხის ჰაერში დარჩენა.

სამი – დახტომა მარცხენა ფეხზე და მუხლში ოდნავ მოღუნვა. მარჯვენის მარცხენის წინ გატანა – შიგნით, რაც შეიძლება ღრმად, და მოძრაობის ბოლოს ერგცერის გარეთა მხარით იატაკს შეხება. ზეტანის მარჯვნივ ღრმად გადაზნექა. მეორე ტაქტის დასაწყისიდანვე მკლავების გარეზემკლავში აწევა.

შენიშვნა: აღწერილი ილეთის შესრულებისას წონასწორობის შესანარჩუნებლად საჭიროა, შემსრულებლის მარჯვნივ და მარცხნივ მდგომი მოცეკვავენი მკლავებს არ დააწვნენ.

№15. ქობულეთური ჩაკრული

საწყისი მდგომარეობა: I პოზიცია. გარეზემკლავი.

მოძრაობა ორტაქტიანია.

I ტაქტი:

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავ ერგბუქნთან ერთად მარჯვენის წინ ქუსლზე გადადგმა (II პოზიცია). სხეულის სიმძიმე მარცხენაზე.

ორი – ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მარჯვენა მოძრაობს უკან, მარცხენა – წინ).

სამი – ოდნავი ზეხტომით ფეხების გაშლა (IV პოზიცია).

II ტაქტი:

ერთი – მარჯვენა ფეხზე წახტომთან ერთდროულად (ნახევარი ტერფით მარცხნივ გადაწევა) მარცხენის იატაკს მოცილება, მუხლში ოდნავ მოღუნვა და მარჯვენასთან წინიდან შეხებით გადაჯვარედინება. მარცხენა ფეხის მუხლის მარცხნივ განზე მიმართვა.



სურ. 22

ორი – მარჯვენა ფეხზე ოდნავი წინხტომით ქუსლის დაკვრა, მუხლში გამართული მარცხენის იატაკთან შეუხებლად წინ გატანა.

სამი – მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დაკვრით განზე IV პოზიციაში დადგმა.

ორივე ტაქტში ყოველ თვლაზე მოძრაობა მკვეთრად გამახვილებულად სრულდება.

აღწერილი ილეთი განმეორებისას ისევ მარჯვენა ფეხით იწყება.

№16 ქობულეთური მაღალჩაკრული

საწყისი მდგომარეობა – I პოზიცია. მოძრაობა ორტაქტიანია.

I ტაქტი

როგორც №15-ის I ტაქტი.

II ტაქტი:

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი. მარჯვენის მძლავრად მოხრა და მძლავრადვე წინ – ქვევით გაშლა.

სურ. 23

ორი – განმეორდება **ერთზე** შესრულებული მოძრაობა.

სამი – დახტომა მარჯვენა ფეხზე, მარცხენის გათავისუფლება და წინ გატანა.
შემდეგი ტაქტი მარცხენა ფეხის წინგადადგმით იწყება (შესრულდება მეორე მხარეს).
ამ ილეთშიც ყველა მოძრაობა მახვილიანია.

№17 წიხლურა

საწყისი მდგომარეობა: III პოზიცია, ქვეგანმკლავი.

მოძრაობა ორტაქტიანია. სრულდება წინმიმართულებით.

I ტაქტი:

ერთი – ორი – სამი – *ფარული სვლა* №4.

II ტაქტი:

ერთი – ზეტანის უკუზნექთან ერთდროულად მარჯვენა ფეხის იატაკს მოცილება, მუხლში მოღუნვა (მუხლი სხეულს მიუახლოვდება) და მაშინვე წინმიმართულებით გამართვა (წინძგერა წარმოდგენითი მოწინააღმდეგის გულმკერდის სიმაღლეზე).

ორი – დავარდნა (დაცემა) მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხის ტერფზე, ზეტანის წინ გადაზნექა და ერთდროულად მუხლში ნახევრად მოხრილი მარცხენის უკან, რაც შეიძლება ზევით აწევა.

სამი – მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვენა ცერის წინ დადგმა.

სურ. 24

შენიშვნა: ამ ილეთის ზედიზედ შესრულება ყოველთვის მარჯვენა ფეხიდან იწყება (სრულდება ერთ მხარეს).

აღწერილ ილეთში გამახვილებულია მეორე ტაქტი.

№18 წაწოლა

ეს ილეთი რომელიმე ხტომითი მოძრაობის ან ბუქნის შემდეგ სრულდება. მოცეკვავე პირაღმა წევს.

ილეთი *წაწოლა* მრავალი სახისაა. აღვწერთ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტს:
საწყისი მდგომარეობა: III პოზიცია. გარეზემკლავი.

ერთი – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან გადაჭდომით და მუხლების გარეგადაშლით ღრმა ბუქნი. გარეწინმკლავი.

ორი – ორივე ხელისგულით იატაკს დაყრდნობა (ბუქნმართბჯენი), ფეხის ცერები ოდნავ წინ ხაზზე.

სამი – ორივე ფეხის შეტყუპებულად უკან გაშლა, მკლავების იდაყვებში მოღუნვა და მკერდის 1-2 სმ.-ით იატაკს მიახლოება.

სურ. 25

შენიშვნა: ამ ილეთის შესრულებისას, თუ მოცეკვავეს სურს, დამალვის ნაცვლად განასახიეროს დაზვერვა, ცალ ყურს მიწას დაადებს (ხომ არ ისმის ცხენის ფეხის ხმა). *წაწოლის* მეორე ვარიანტი მეტწლად ასე სრულდება: *ხტომგასმურას* (№9) **სამზე** მარცხენა ფეხის დახტომით დადგმა და ზეტანის ღრმად წინ ისე დახრა, რომ გულმკერდი საყრდენი ფეხის მუხლს მიებჯინოს, მარჯვენა ფეხი კი უკან გაიმართოს და ერგცერით იატაკს დაეყრდნოს.

№19 ხლართული ჭდომხტომი

საწყისი მდგომარეობა: III პოზიცია. გარეზემკლავი.

ერთი – მარჯვენა ფეხის მუხლში მოხრით ზეაწევა და მარცხენის წინ და შიგნით ქუსლით დადგმა, მარცხენის მუხლში ოდნავ მოდრეკა. მკლავების საწყისი მდგომარეობა.

ორი – მარცხენა ფეხიდან არეკნით დიდი ნახტომი მარჯვნივ, მარცხენა ფეხის მაშინვე იატაკს მოცილება, მუხლში მოღუნვა და ტერფის მარჯვენა მუხლის სიმაღლემდე აწევა.

სამი – ფეხის მარჯვენის წინ დადგმა, ორივე ფეხის მუხლში ოდნავ მოდრეკა.
აღწერილი ილეთით სვლა შეიძლება განზეც და წინ.

ხლართული ჭდომხტომი, ჩვეულებრივ, *ფარულა სვლასთან* (№4) ერთად სრულდება (რიგრიგობით).

სურ. 26

№20 ბრუნი ((პირველი ვარიანტი)

ხორუმში სხვადასხვა ბრუნია, მაგრამ უფრო ხშირია ერთი ფეხიდან მეორეზე გადახტომით ბრუნი.

აღვწერთ ორ ვარიანტს:

I ვარიანტი. მოძრაობა სამტაქტიანია.

I ტაქტი

ფარული სვლა №4

II ტაქტი:

ერთი – მარჯვენა ფეხის ტერფის ზეაწევა და დაკვრით იმავე ადგილას დაშვება.

ორი – ერგბრუნი მარცხნივ – მარჯვენა ფეხის ტერფზე დახტომით, მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვით და იატაკიდან აცილებით. ზეტანი გაუმართავი.

სამი – მარცხენა ფეხის მთელი ტერფით დადგმა.

IIIტაქტი:

ერთი – ზეტანის ბრუნვა მარცხნივ. მარჯვენა ფეხის იატაკს მოცილება და ტერფით მარცხენის წინ – შიგნით დადგმა.

ორი – ზეხტომი მარჯვენა ფეხზე, ბრუნის გაგრძელება, ერთდროულად მარცხენის იატაკს მოცილება.

სამი – მარცხენა ფეხის მთელი ტერფით ისე დადგმა, რომ ორივე ტერფი IV პოზიციაში იყოს. ქვეგანმკლავი.

ზოგჯერ მესამე ტაქტიდან ზეტანი თანდათან გაიმართება და ტაქტის ბოლოს სავსებით გამართულია, მკლავები ზემკლავში კვლავ შეიკვრება მარჯვნივ და მარცხნივ მდგომ მოცეკვავეთა მკლავებთან.

ბრუნი შესაძლებელია, შესრულდეს 360^0-ზე მეტადაც.

სურ. 27

მეორე ვარიანტი

მოძრაობა ორტაქტიანია.

I ტაქტი – *ფარული სვლა* №4

II ტაქტი:

ერთი – ორივე ფეხზე ოდნავი ზეხტომით დახტომა – ტერფების მდგომარეობის შეუცვლელად.

ორი – მარჯვენა ფეხზე დახტომ-დაკვრასთან ერთად ბრუნი მარცხნივ საჭიროებისამებრ, მუხლში მოღუნული მარცხენა ფეხის იატაკს აცილება.

სამი – მარცხენა ფეხის დადგმა.

შენიშვნა: აღწერილი ბრუნი მეტწილად ნახევარ წრეზე სრულდება, დასაწყისშივე ხელები თავისუფლდება, ბრუნის დასასრულს კი კვლავ ჩაკიდება მიზანდასახულობის მიხედვით.

№21 გარბენა

გარბენა ერგცერებზე. მუხლები ნახევრად მოხრილი, ზეტანი – წინდახრილი.

№22 საზვერავი

ცალ მუხლზე დგომა. ხელის ქვემოდან გამოხედვა: ხელი შუბლის სიმაღლეზეა აწეული და შუბლიდან ოდნავ დაშორებული, მეორე მკლავი დაბლა, განზე ან დოინჯი. თუ ადგილი მარცხნიდან მარჯვნივ იზვერება, შუბლის წინ მარჯვენა ხელია, თუ პირიქით – მარცხენა. ზოგ ვარიანტში ხელის მოძრაობა ორივე მხარეს შეიძლება.

№23 მშვილდსაკრავი

ეს ილეთი მშვილდის ტყორცნას განასახიერებს – გამართული ან მარჯვენა მუხლზე ჩოქიდან. ამ მოძრაობისას ფეხი IV პოზიციაშია (განფეხშლილი).

ერთი–და–ორი – მშვილდის ღვედის მოზიდვა (მოჭიმვა). წინწაწეული ზეტანის თანდათან გამართვა.

სამი – ისრის ტყორცნა. ტყორცნის შემდეგ მარჯვენა მკლავის გამართვა. ზეტანის ოდნავ უკუგადაზნექა.

№24 საჩურჩულო

სრულდება წრეზე განრიგების დროს (სახით ცენტრისაკენ).
წინზნექთან ერთად გარემკლავი (უკან და გარეთ), ქვედა კიდურებით *სასვენო* ილეთი (№2).



სურ. 28

№25 ხოხვა

ხოხვით მიპარვა. სრულდება პირჩაღმა, მარჯვნივ ოდნავ გადახრით.

მოღუნულ მკლავებზე დაყრდნობით გადანაცვლება (ხელების რიგრიგობით მონაცვლეობა), სხეულის წინ ხოხვით წაწევა. ხოხვისას გადაჯდომის მსგავსი მოძრაობა – ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხის მოღუნვა.

სურ. 29

№26 საკაფავი

მოძრაობა გამოხატავს ხმლით ჩეხვას.
საწყისი მდგომარეობა: III პოზიცია. ზეგანმკლავი.
ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი:

ერთი – ადგილზე ზეხტომით ერგებუქნი; მარცხენა ხელის ზურგით მარცხენა თეძოს, ხოლო მომუჭული მარჯვნა ხელის ცერით ქამარს წინიდან შეხება.

ორი-სამი – დაბალი ზეხტომი. მარცხენა ფეხის ადგილზე დარჩენა, მარჯვენის უკან ერგვარდნის მდგომარეობაში გადატანა; ზეტანის ოდნავ მარჯვნივ შებრუნება; მარჯვენა მკლავის წინ, ზევით აქნევით, უკან – განზე გადატანა, მარცხენის განზე, ქამართან, დარჩენა.

II ტაქტი:

ერთი – ერგბუქნით ტერფების დარტყმა; მარჯვენა მკლავის საჩეხად მომზადება: წინამხრის ზეაწევა, მარცხენა მკლავის წინ – ზევით ისე მოქნევა, რომ წინამხარი შუბლის სიმაღლემდე ავიდეს. თითების მომუჭვა.

ორი – მარცხენა ფეხის ტერფზე უკან გასრიალებით მუხლში გამართვა და ტანის სიმძიმის მასზე გადატანა. მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ტერფით მარცხენისაკენ მიწევა (უკნიდან); იდაყვში ოდნავ მოხრილი მარჯვენა მკლავის ზეაწევა; მარცხენა მკლავის წინა მდგომარეობაში დარჩენა; ზეტანის გამართვა.

სურ. 30

სამი – მარჯვენა მკლავის წინ – ქვევით – მარცხნივ დაქნევასთან ერთდროულად, მარჯვენა ფეხის წინ ვარდნით გადადგმა, მარცხენა მკლავის გარეგაქნევით უკან გადატანა.

შენიშვნა: ამ ილეთის განმეორებისას ახალი ტაქტის **ერთი** შესრულდება არა მესამე პოზიციიდან, არამედ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ორივე ფეხი იყო მეორე ტაქტის ბოლო თვლისას.

№27 საიერიშო

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – III პოზიცია, ხელი – გარეზემკლავი. მუსიკალური ზომა – 5/4 ან 5/8. მოძრაობა ორტაქტიანია.

I ტაქტი

ფარულა სვლა №4 – ფრონტალურად განლაგებულ მეხორუმეთა მოძრაობა წინ. ნაბიჯი მეორე პოზიციიდან, ტერფები პარალელურად მუხლების შეუბრუნებლად.

სურ. 31

II ტაქტი

ხტომგასმურა №9 ფრონტალური მიმართულებით.

ერთი – ფართო – განიერი ნახტომი წინ.

ზემოთ მოცემული ძირითადი მოძრაობებით არ ამოიწურება *ხორუმის* ტექნოლოგიური მასალა. არსებობს თითოეული მოძრაობის მრავალსახეობა, მაგრამ აღწერილი სრულიად საკმარისია ცეკვის რთული კომპოზიციის განსახორციელებლად, მოძრაობათა ერთმანეთთან მოხერხებულად და სრულყოფილად დასაკავშირებლად.

ცეკვა ხორუმის სქემატური აღწერა

შემსრულებელთა რაოდენობა – შვიდი ვაჟი. დადგმა დავით ჯავრიშვილისა

ნაწილი	ტაქტი	მოცეკვავეთა განრიგება და მოძრაობის მიმართულება	იღუნები ან მოძრაობები	სვლაგები (კვალითი ნახაზი)
I	3 შესავალი	გამოსასვლელად მომზადება: ხელჩაკიდებული, განრიგება – მჭიდრო (№11). პირველის 6ა წერტთან დგომა, დანარჩენები მის მარცხნივ. მკლავები – დაბლა.	3 ტაქტი – მოძრაობა ადგილზე შესასვლელი (№1)	1 
I	16 1 - 16	შესავალის შემდეგ, პირველი ტაქტიდან გამოსვლის დაწყება: ჯერ წამძღოლის გამოჩენა, შემდეგ – დანარჩენების. წრეშემოვლა და წრის შეკვრა სახით ცენტრისაკენ.	1-14 ტ. – სვლა ფარულა (№4) 15-16 ტ. – სვლა *საფრთხილო* (№6). მე-16 ტაქტის ბოლოს, სამი – მარცხენა ფეხის განზე გადგმა, IV პოზიცია, ხელჩაკიდებული მკლავების მაღლა აწევა.	2 
I	4 17-20	წრეზე დგომა, სახით ცენტრისაკენ. სვლა მარცხნივ.	1–4 ტ. მოძრაობა სასვენო (№2) მარცხნივ. ხელჩაკიდებული – გარეზემკლავი.	3 
I	8 21-28	იგივე განრიგება (წრე) სახით ცენტრისკენ.	1–2 ტ. – სვლა ფარულა 3-4 ტ. – სვლა *საფრთხილო* (№6) 5-6 ტ. – სვლა ფარულა (№4) 7-8 ტ. – სვლა სასვენო მარცხნივ (№2), მკლავები დაბლა პირველი ტაქტიდანვე.	4 
I	4 29-32	იგივე განრიგება (წრე) სახით ცენტრისკენ.	1-2 ტ. – სვლა *ჩოქმალულა* (№5) 3-4 ტ. – განმეორება 1-2 ტაქტისა, მკლავები დაბლა.	5 

I	6 33-38	იგივე განრიგება (წრე) სახით ცენტრისაკენ.	1-3 ტ. ჩოქით მუხლმოქნევა (№7). 4-6 ტ. 1-3 ტაქტის გამეორება.	6 
I	16 39-44	იგივე განრიგება (წრე) სახით ცენტრისაკენ	1-5 ტ. – მოკლე ნაბიჯებით რბენა ღრმა ბუქნამდე (№21) ზეტანის ღრმა დახრით. მკლავები დაბლა. მე-6 ტ. – ტერფდაკვრის შემდეგ მარცხენა ფეხის გატანა განზე მარცხნივ – IV პოზიცია. მკლავების მაღლა აწევა.	7 
I	4 45-48	იგივე განრიგება	1-4 ტ. – სვლა სასვენო მარცხნივ (№ 2).	8 
I	4 49-52	იგივე განრიგება. ბოლოს სახით გარეთ მიბრუნება.	1–2 ტ.– სვლა ფარულა (№4) 3-4 ტ. – ნახევარი ან ერთ-ნახევარი ბრუნი მარცხნივ, დგომა სახით გარეთ, მკლავები მაღლა – გარეზემკლავი, ფეხები – IV პოზიცია (ბრუნი №10, მეორე სახე).	9 
II	8 53-60	წრეზე დგომა სახით გარეთ. მკლავები – კოშკურა (განრიგება №3)	1-8 ტ. – სვლა სასვენო მარცხნივ (№ 2). მკლავები – კოშკურა.	10 

II	4 61-64	განრიგება იგივე.	1-2 ტ. – სვლა ფარულა (№2) გარემიმართულებით. მე-3 ტ. – ერთი - ბუქნი, მკლავები – წინ. ორი – ბუქნბჯენი, სამი – ფეხების უკუგდება და გულმკერდზე წოლა, მკლავების იდაყვებში მოხრა, მარჯვენა ყურის იატაკს შეხება. მე-4 ტ.– პაუზა.	11 
II	12 65-76	დასაწყისში სახით გარეთ დგომა, შემდეგ – სახით შიგნით.	1-3 ტ - არეკნით დგომა მარჯვენა მუხლზე, მარჯვენა ხელი შუბლის წინ – დაზვერვა (მარცხენა ხელი უკან), ზეტანის ბრუნვა მარცხნიდან მარჯვნივ. 4-6 ტ. – ადგომა და ნახევარი ბრუნით მარცხნივ სვლა ცენტრისაკენ ხტომაგასმურა ილეთით (№5). 7-10 ტ. – სვლა *სასვენო* მარცხნივ, მკლავები – *კოშკურა.* 11-12 ტ. – სვლა *სასვენო* მარცხნივ წიწზნექით, მკლავების უკან – მაღლა აწევა.	12 
II	4 77-80	წრის გახსნა. წამძღოლსა და დამკეტს შორის ერთმწკრივად მოწყობა სახით ც1 რადიუსის მიმართულებით.	1-4 ტ. – წრის გახსნა, *ხტომგასმურა* (№9), უკან მიწევა და ერთმწკრივად მოწყობა.	13 
III	10 81-90	განრიგება ერთმწკრივად.	1-2 ტ. – სვლა *საფრთხილო* (№6) მოძრაობა მარჯვნივ. 3-4 ტ. – სვლა ფარულა (№4) წინ – ფრონტალური. მიმართულებით – ც1 რადიუსისაკენ. მე-5 ტ. გარბენა უკან (უკანდახევა). 6-7 ტ. – წინსვლა *ხტომგასმურათი* (№9). მე-8 ტ. – სვლა ფარულა (№4) 9-10 ტ. – სვლა *წიხლურა* წინ ვარდნით ცალ ფეხზე (№17).	14  14 ა 14 ბ 

III	7 91-97	წრის შეკვრა.	1-3 ტ. – სვლით *ხტომგასმურა* (№9) წრის შეკვრა. 4-7 ტ. – სვლა ფარულა (№4) და *ჯდომხტომი* (№19) (რიგრიგობით).	15 
III	6 98-103	განრიგება – შეკრული წრე, სახით ცენტრისაკენ.	1-2 ტ. – წაწოლგასმურა (№11) მე-3 ტ. სვლა ფარულა (№4) 4-5 ტ. – ბრუნი მარცხნივ ტერფის დაკვრით (№20) II ტაქტის ბოლოს დგომა მეოთხე პოზიციაში, მკლავები – გარეზემკლავი. მე-6 ტ. – ადგილზე შესასვლელი (№1), IVპოზიცია.	16 
III	12 104-116	იგივე განრიგება.	1-2 ტ. – ქობულეთური ჩაკრული (№15) 3-4 ტ. – *ქობულეთური მაღალჩაკრული*(№16), 5-6 ტ. – დაბალი *გასმურა* (№8). 7-8 ტ. – *ხტომგასმურა* (№9) 9-10 ტ. – *ბუქნურა* (№11) – IV პოზიცია. 11-12 ტ. – *ხლართულა* (№13).	17 
III	8 117-142	წრის მწკრივად გახსნა. წამძღოლის მიერ წრეშემოვლით მოცეკვავეთა თანდათანობით ფრონტალურ მდგომარეობამდე მიყვანა და სახით ც1 რადიუსის მიმართულებით მოქცევა.	1-8 ტ. – სვლა ფარულა (№4) და *ხლართულა ჭდომხტომი* (№ 19) – რიგრიგობით.	18 
III	8 125-132	განრიგება ერთმწკრივად მოძრაობა წინ – ც1 რადიუსისაკენ. შემდეგ მწკრივის წრედ შეკვრა.	1-2 ტ. – *ქობულეთური ჩაკრული* (№15) 3-6 ტ. – *წინსვლა ბუქნურათი* (№11). 7-8 ტ.– წინსვლა *ხტომგასმურათი.* წამძღოლისა და დამკეტის მიერ წრის შეკვრა.	19 

I	4 133-136	მეოთხე ტაქტზე დასხდომა გაშლილ წრეზე, სახით ცენტრისაკენ.	1-2 ტაქ – დაბალი *გასმურა* (№8) მე-3 ტაქ. – *ბუქნურა* (№11) მე-4 ტაქ. – ბრუნით მარცხნივ, მარცხენა ფეხის ერგცერზე დასხდომა. წამღძოლის წრის შუაგულში შესვლა მოცეკვავთა ფეხმოკეცილი სხდომა	20 
I	16 137-152	წამძღოლის წრის ცენტრში ცეკვა: ჯერ წრის შემოვლა, ცენტრში მისვლა და ადგილზე ილეთების შესრულება.	წამძღოლის პარტია: 1-8 ტ – *ხტომგასმურით* (№9) წრედავლა, 9-10 ტ. – ცენტრში *ბუქნურა* (№11) 11-12 ტ. – *გასმურა ტერფმოქნევით* (№10) 13-14 ტ. ხლართულა (№19) 15-16 ტ. – *ბუქნბრუნი* (№12). გარეზემკლავი. დანარჩენები: 1-14 ტ. – ტაშის დაკვრა. 5-16 ტ. – ბრუნი, მარცხნივ დადგომა.	21 
I	16 153-163	წამძღოლის თავის ადგილზე ჩადგომა და დიდი წრეშემოვლა. ც7 წერტიდან მარცხნივ მოხვევა და ც3-დან სცენიდან გასვლა.	წამძღოლი: 1-16 ტ. – *ხტომგასმურა* (№9) მიდის მარცხნივ დიდი წრეხაზის მიმართულებით ც7 წერტამდე, ცენტრისაკენ მიბრუნება და ც3-ისაკენ მოძრაობა ბაქნიდან გასასვლელად. დანარჩენების *ხტომგასმურათი* წამძღოლის მიყოლა. ც7 წერტში წყვილად მოწყობა, მკლავების წელზე შემოხვევა და ბაქნიდან გასვლა.	22  22ა 

ხორუმი

მუსიკა მიხეილ ჩირინაშვილისა

ზომიერად

1, 2, 3.
Fine

ხორუმი

მუსიკა ალექსი მაჭავარიანისა

ზომიერად

მთიულური ცეკვები
(მთიელთა ცეკვები)

რედაქტორისაგან

ქართული ხელოვნების საგანძურის მშვენებაა ქართული ცეკვა. ჯერ კიდევ როდის განჭვრიტა ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინმა, რომ, თუკი ქართული კულტურის განვითარებას ფართო გასაქანი მიეცემოდა, ქართული ცეკვის ხელოვნება მსოფლიო მნიშვნელობას მოიპოვებდა: „ჩვენი ხალხის სილამაზე, თანდაყოლილი გრაცია და პლასტიკურობა, მისი ტიპის ცეცხლი და ძალა, მგზნებარება და კეთილშობილება უქადიან მომავალში ქართულ ბალეტს მსოფლიო მნიშვნელობას, თუკი ხალხის ეს ბუნებრივი ნიჭიერება შეერთებული იქნება განსაცვიფრებელ ტექნიკასთან“ (საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №2145).

რუსი მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები და ცნობილი მოღვაწეები დაინტერესებული იყვნენ ქართული კულტურით. ი.ა. სოკოლოვი პირველი რუსი მუსიკოსი იყო, რომელმაც XIX საუკუნის 20-იან წლებში ჩაწერა და საცეკვაოდ გადაამუშავა ქართული ჰანგები. ცნობილი რუსი მხატვარი გრიგოლ გაგარინი თავისი შესანიშნავი ნახატებით ფართო საზოგადოებას აცნობდა ძველ და ახალ ქართულ ცეკვებს. ქართული ჰანგები ჟღერს რუსულ საბალეტო სპექტაკლებში. დიდმა რუსმა კომპოზიტორმა პეტრე ჩაიკოვსკიმ ბალეტ „მაკნატუნაში“ გამოიყენა ქართული ჰანგი. რუსი კომპოზიტორები: ა. კოროშჩენკო, ხ. გროზდევი, ნ. კლენოვსკი, მ. იპოლიტოვ-ივანოვი და სხვანი გვერდით დაუდგნენ ქართველ მოღვაწეებს ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში. 900-იან წლებში ერთი ახალგაზრდა რუსი კომპოზიტორი შეუდგა კიდეც „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე ბალეტის წერას ქართული ჰანგების გამოყენებით.

1901 წელს თბილისის ქართველმა საზოგადოებამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო საქართველოში ჩამოსულ მაქსიმ გორკის, ანტონ ჩეხოვს და მხატვარ ვასნეცოვს. სტუმრებს უჩვენეს ქართული ცეკვები. ქართული პლასტიკის მომაჯადოებელი სილამაზით აღფრთოვანებულმა მაქსიმ გორკიმ ქართველი ხალხის სადღეგრძელო შესვა: „იდღეგრძელოს იმ ხალხმა, რომელმაც ასეთი ცეკვები შექმნა“ (ა. ალექსიძე, რა არის ცეკვა და რა მნიშვნელობა აქვს, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1924 წ., №18).

1935 წელს მ. გორკიმ ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი გორკაში მიიწვია, რათა მასთან სტუმრად მყოფ რომენ როლანს გაეცნო ქართული ხალხური შემოქმედება. ამ კონცერტის ერთ-ერთი მონაწილე შემდეგში იგონებდა: „ჩვენი ხალხური კულტურა ნაცნობი იყო მ. გორკისათვის, ამიტომ ჩვენი კონცერტი მისთვის სასიამოვნო წუთების მოგონებათა აღმძვრელი შეიქნა. კონცერტის მსვლელობის დროს არა ერთხელ გამოთქვა აღტაცება სიმღერისა და ცეკვების გამო. – ეს ყველაფერი ნათესაურია, მეგობრებო, ნაცნობი, ახლობელი, – ამბობდა გორკი (ლადო გეგეჭკორი, ექვსი წლის წინათ გორკაში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წ., №25).

ქართული ხელოვნების საგანძურიდან იმის გამომზევებას, რაც გამოიყენება კულტურის შემდგომი აღმავლობისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, „ქართული ხალხური ცეკვების“ სერიული გამოცემა, რომლის მეორე ნაკვეთს ეს წიგნი წარმოადგენს, უთუოდ დროული და მიზანშეწონილია, არაფერი რომ ვთქვათ იმ დიდ პრაქტიკულ დახმარებაზე, რომელსაც ეს შრომა გაუწევს პროფესიული და თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებას.

მთიულურ ცეკვებს განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება ქართულ ქორეოგრაფიულ

ხელოვნებაში. როდესაც შევცქერით ამ ცეკვებს, ჩვენ ვგრძნობთ, რომ ვაჟკაცური სილამაზის, კეთილშობილების, ჩვენი ხალხის გმირული სულის გამომეტყველებასთან ერთად, რაც საოცრად სრულყოფილ, დახვეწილ ფორმაში ვლინდება, აქა-იქ თავს იჩენს პრიმიტიული ცეკვის საწყისი ხაზები, ტლანქი და უხეში მოძრაობის უსიამო გამომსახველობა, ცეკვის აკრობატულ ოინბაზობად გადაქცევა.

მთიულური ცეკვების შინაარსობრივი გაღარიბება, გაურანდავი და მოუხეშავი ილეთებით შესრულება ზოგიერთი უგემოვნო და უკულტურო საესტრადო მოცეკვავის ბრალია, მაგრამ უსამართლობა იქნება ბრალი მთლად მათ დავდოთ. არის სხვა მიზეზებიც. საქართველოს ბარისა და მთიანეთის არათანაბარი ეკონომიკური და კულტურული განვითარების გამო, იმის გამო, რომ მთიანეთში დიდი ხნით შემორჩა გვაროვნული წყობის ნაშთები, სწორედ ამის საფუძველზე მთიანეთმა უფრო ხანგრძლივად და უცვლელად შეინარჩუნა ქართული ხალხური ცეკვის საწყისი სახეობანი და მისი თვითმყოფადი ბუნება. იმ დროს, როდესაც ბარში ახალ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებაში ცეკვის ხელოვნება ვითარდებოდა, ახლის შეთვისებით მდიდრდებოდა და სახეს იცვლიდა, მთიანეთში – სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შედარებით უძრაობის პირობებში – ძველისძველი ცეკვები თითქმის უცვლელად ინახავდა თავის საწყის სახეობას. აქედან მომდინარეობს ზოგიერთი მთიულური ცეკვის პრიმიტიული შინაარსი და მისი ზოგიერთი ილეთის განუვითარებლობა, უხეშობა და სიტლანქე.

ძირითადად მთიულური ცეკვები მდიდარი შინაარსით და შესრულების განვითარებული ტექნიკით გამოირჩევა და ეს გარემოებაც თავის ახსნას მოითხოვს. შეუძლებელია, რომ სიუჟეტურად მდიდარი და თავისი ილეთებით განვითარებული ეს ცეკვები გვაროვნული წყობისა და ჩამორჩენილი ყოფის ნიადაგზე აღმოცენებულიყო. ცნობილია, რომ საუკუნეთა მანძილზე საქართველოს მრავალრიცხოვანი გარეშე მტერი ესია. დამპყრობლები ხანმოკლედ თუ ხანგრძლივად ბარში იკიდებდნენ ფეხს. მტრისაგან დევნილ პატრიოტებს, ეროვნული კულტურის წარმომადგენლებს, ხშირად უხდებოდათ თავის შეფარება მთიანეთში. აქვე ამოჰქონდათ გადასარჩენად საუკეთესო ნიმუშები ეროვნული კულტურის საგანძურისა. ამიტომ არის, რომ მთიანეთში ვხვდებით პრიმიტიული ხელოვნების ნიმუშების გვერდით ღრმა შინაარსითა და მაღალი ოსტატობით აღბეჭდილ ნაწარმოებებს.

ამდენად, მთიანეთი გადაქცეული იყო ცოცხალ მუზეუმად, სადაც, ერთი მხრივ, თითქმის უცვლელად იყო შენახული ხალხური ცეკვების ნაკლებად განვითარებული საწყისი სახეობანი, მეორე მხრივ, თავს იჩენდა ყველაზე პროგრესული შინაარსისა და ტექნიკურად განვითარებული ქორეოგრაფიული ხალხური კულტურა. თან, ეს ორი ნაკადი, ერთ სოციალურ წრეში მოქცეული, ურთიერთის ზემოქმედებას განიცდიდა და, თუ ერთ შემთხვევაში ცეკვა პრიმიტიულობით ღარიბდებოდა, მეორე შემთხვევაში – ცეკვა ღრმა შინაარსით და განვითარებული ილეთებით მდიდრდებოდა. ამიტომ, მხატვრული განვითარების თვალსაზრისით, მთიულური ცეკვებისადმი კრიტიკული მიდგომა გვმართებს. ისეთი მთიულური ცეკვის გავრცელებას უნდა შევუწყოთ ხელი, რომელთაც ღრმა შინაარსი და თვითმყოფადი ბუნება აქვთ, ჩვენი ხალხის საუკეთესო თვისებების გამომხატველია და მაღალი გემოვნების, მორალისა და კულტურის დამნერგავი იქნება. დავით ჯავრიშვილის ამ წიგნის ღირსება ის არის, რომ ამ ამოცანის გათვალისწინებით არის შედგენილი.

ქართული ხალხური ცეკვებისთვის დამახასიათებელია სიუჟეტურობა. ღრმად ემოციური ცეკვა ვითარდება დრამატული სიუჟეტის საფუძველზე. ესტრადის ზოგიერთმა მოცეკვავემ ზიანი მიაყენა მთიულური ცეკვების შესრულებას იმით, რომ ცეკვა შინაარსისაგან დაწრიტა, გამოშიგნა, ცეკვა ტექნიკური ილეთების ნაერთად აქცია. დ. ჯავრიშვილის ამ ნაშრომის ღირსებაა, რომ ის მთიულურ ცეკვებს მათი შინაარსის საფუძველზე განიხილავს და, მისი აზრით, ილეთები ცეკვაში შინაარსის გამოხატვის საშუალებაა და არა თვითმიზანი.

ზოგიერთი მოცეკვავე ცოდავს, როდესაც ფიქრობს, რომ მთიულური ცეკვების გმირული ბუნების გამოსახატავად აუცილებელია ტემპერამენტის წეწვა-გლეჯა, ხმამაღალი შეძახილები, ცეკვის უხამსი აქცენტირება და მაღლიდან ხტომით სცენის მთელ სიგრძეზე მუხლებით გასრიალება. სვანური ცეკვების ნამდვილად ხალხური შესრულება იმის საუცხოო მაგალითია, რომ გმირული ბუნების გამოხატვას ბუკი და ნაღარა არ სჭირდება; ზომიერება, სისადავე და თავდაჭერილობა გმირული ბუნების თვისებებია და უამისოდ მთიულური ცეკვა მანჭვა-გრეხად და აკრობატულ ოინბაზობად იქცევა. ამიტომ არის, რომ დავით ჯავრიშვილი აფრთხილებს მოცეკვავეთ: მაღლით ხტომები და ბრუნები თავის ადგილზე ზომიერი გამოყენებით, მართლაც ამდიდრებს და ალამაზებს ცეკვის გამომსახველ ძალას, მაგრამ უადგილოდ გადაჭარბებით ნახმარი ეს ილეთები ამახინჯებს და უსიამო სანახაობად აქცევენ ცეკვას.

საერთოდ, ქართული ცეკვების, კერძოდ, მთიულურისა და განსაკუთრებით „ცერულისათვის," დამახასიათებელია ვაჟ მოცეკვავეთა მიერ ფეხის თითებზე ცეკვა. აკი ხალხური მოლექსეც სწორედ ვაჟი მოცეკვავის ფეხებს უფრთხილდება:

ეს ბიჭი კარგა თამაშობს,
ედება არე-მარესა,
ამან რომ ფეხი იტკინოს
ფათერაკს დააბრალებსა.

ქართული ცეკვების ამ თვისებების შესაბამისად, დავით ჯავრიშვილი დაწვრილებით განიხილავს ცერილეთებს და ამ ძნელი ილეთების შეთვისება-შესწავლის მეთოდიკას განსაკუთრებული სიფრთხილითა და პედაგოგიური ალღოთი ამუშავებს.

ავტორი, განიხილავს რა ვაჟი მოცეკვავის მკლავის მდგომარეობას, შენიშნავს, რომ მკლავის მრავალი მოძრაობა ემსგავსება იარაღის ხმარების გამომსახველ ხელმომართვას (მშვილდ-ისრის, ფარის, ხმლის ხმარებას). ეს დაკვირვება მეტად საგულისხმოა, რამდენადაც იგი ააშკარავებს მთიულური ცეკვების მხედრულ ხასიათსა და ბუნებას.

ამ წიგნის ავტორის მიზანია, მოცეკვავემ გახსნას ცეკვის დედაარსი და ამის შესაბამისად გამოსახოს ცეკვაში ჩაქსოვილი გრძნობა, აზრი და გამთბარი იყოს სიმართლის წრფელი განცდით. ეჭვი არ არის, რომ ასეთი წიგნი დიდად დაეხმარება ქართული ცეკვის შესწავლა-შეთვისების საქმეს.

დიმიტრი ჯანელიძე

ავტორისაგან

1951 წლის დამლევს დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული ხალხური ცეკვების პირველი ნაკვეთი სახელწოდებით – „ცეკვა ქართული“. წინამდებარე შრომა „მთიულური ცეკვები“ წარმოადგენს მეორე ნაკვეთს, რომელშიც მოცემულია რამდენიმე ცეკვა, სახელდობრ: „ცერული“, „დავლურ-მთიულური“ და „მთიულური“ (სამი ვარიანტი).

ცხადია, აქ მოყვანილი ცეკვებით არ ამოიწურება მთიელ ქართველთა ქორეოგრაფიული მასალის მთელი მარაგი. წიგნის მოცულობა საშუალებას არ იძლევა აღვწეროთ ყველა სახისა და ვარიანტის მთიულური ცეკვა, ამიტომ განვიზრახეთ ისეთი მასალა შეგვერჩია, რომელიც უფრო დამახასიათებელია, მთიელთა ცეკვების მთავარ საფუძველს წარმოადგენს და შედარებით უფრო სწრაფი ტემპის ცეკვების რიცხვს ეკუთვნის.

ჩვენი აზრით, ქართული ხალხური ცეკვების წინამდებარე ნაკვეთი შეიცავს ისეთ მასალას, რომლის გამოყენებასაც შეძლებს არა მარტო სპეციალური ქორეოგრაფიული სასწავლებლები და ცეკვის ანსამბლები, არამედ ინდივიდუალურად დაინტერესებული პირიც (არასპეციალისტი), რადგან ცეკვის თითოეული ილეთი, მოხაზულობა დაწვრილებითაა ახსნილ-განმარტებული, დასურათებული და შესწავლისათვის შესაფერის თანამიმდევრობით განლაგებული.

ამასთანავე, მასალის ადვილად გაგებისა და შეთვისების მიზნით, შრომაში მოცემულია: 1. ცეკვების ზოგადი და სქემატური აღწერა გრაფიკული ნახაზებით; 2. პირობითი ნიშნები გრაფიკული სქემების წასაკითხად; 3. მუსიკალური მასალა (ნოტების სახით), 4. ტერმინოლოგია; 5. სამოსის ნიმუშები.

ავტორი დიდი მადლობით მიიღებს მკითხველებისა და ქორეოგრაფიული ხელოვნების სპეციალისტთა შენიშვნებს და გაითვალისწინებს მათ ქართული ხალხური ცეკვების შემდგომ ნაკვეთზე მუშაობისას.

ქართველ მთიელთა ცეკვების ზოგადი დახასიათება

ქართველ მთიელთა შემოქმედება ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში ფასდაუდებელია. ნაირფეროვანი მთიულური ცეკვები, დინჯი ტემპის ფერხულები თუ ცეცხლოვანი *მოხეური,* იმდენად ვრცელი და ღირსშესანიშნავი მასალაა, რომ ერთჯერად მათი აღწერა და ძირითადი ტექნოლოგიური მასალის შესაფერისად გაშლა ამ წიგნში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ ჩვენ ვარჩიეთ ამ ნაკვეთში მხოლოდ რამდენიმე სწრაფტემპიან მთიულურ ცეკვაზე შევჩერებულიყავით, თუმცა ეს ხელს არ გვიშლის დავახასიათოთ არა მარტო წიგნში მოყვანილი რამდენიმე ცეკვა, არამედ, საერთოდ, მთიულური ცეკვები.

ყოველი ხალხის ცეკვის შინაარსის, მოხაზულობისა და შესრულების წესების ჩამოყალიბებაში, საერთოდ, ცეკვის შექმნაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სოციალური პირობები, კულტურისა და ზოგადი განვითარების დონე, ზნე-ჩვეულება, სამოსი და გეოგრაფიული პირობები. ამას აშკარად ვხედავთ ჩვენს ქართულ ხალხურ ცეკვებშიც.

შევადაროთ, მაგალითად, ბარის ქართველების ცეკვა მთიელთა ცეკვებს არა მარტო საცეკვაო მელოდიების ხასიათითა და ტემპის სიჩქარით, არამედ თვით ილეთების სტილის, ცეკვის ნახაზისა და მოძრაობათა პირველსაწყისის მიხედვით. მოძრაობათა ანალიზის

შედეგად, ჩვენ, უდავოდ, იმ დასკვნას გამოვიტანთ, რომ, მიუხედავად მრავალი მსგავსება-იგივეობისა, განსხვავებაც დიდია. მთიელთა ვაჟურ ცეკვებში, მაგალითად, გასმების სახის სრიალა მოძრაობები თითქმის არ გვხვდება და პირიქით – ბარის ცეკვებში ხტომითი ილეთები, ჩაკვრები ნაკლებად იხმარება, ანდა თუ იხმარება, მეტწილად დაბალი, უფრო დინჯი და ნაკლები ამპლიტუდით. მკლავების მოძრაობის მაღალ მდგომარეობას (IV პოზიციას) ბევრ მთიულურ ცეკვაში შევხვდებით, ბარის ცეკვებში კი იგი იშვიათია. სრულიად ბუნებრივი მოძრაობა – სიარული, როგორც იტყვიან, ცეკვის სავსებით მარტივი, მაგრამ პირველი ელემენტი: მთიელის ნაბიჯი სხარტია, მსუბუქი, სხულის სიმძიმის ფეხიდან ფეხზე გადანაცვლება ტერფების წინა ნაწილზე ხდება. ნაბიჯი მოკლეა და უფრო ხშირი; ბარის მცხოვრების ნაბიჯი მძიმეა, სხეულის სიმძიმის გადანაცვლება ფეხიდან ფეხზე ტერფზე „გადაგორებით“ ხდება, ნაბიჯი (ქუსლიდან) უფრო განიერია და დინჯი.

საერთოდ, მთიელი, ვაჟიც და ქალიც, უფრო მარდია, მოქნილი, მათ ახასიათებთ სხარტი მოძრაობა. ქალის საცეკვაო მოძრაობა ხშირად წააგავს ვაჟისას. მაგალითად, სვანურ ფერხულებში ქალის მოძრაობა არაფრით არ განსხვავდება ვაჟისაგან. ასევეა ზოგიერთ აფხაზურ ცეკვაში.

ბარში მცხოვრებთა ცეკვებში, ქალ-ვაჟის მოძრაობებში უფრო მეტ განსხვავებას ვამჩნევთ. აქ ვაჟის მკლავები მეტწილად I და III პოზიციაში მოძრაობს, ქალის – III და IV პოზიციებში. საერთოდ, ქალის მოძრაობა ნაზია, ნარნარი, მშვიდი. აღნიშნული განსხვავების მიზეზს გეოგრაფიული და კლიმატური პირობები და გარემოც განაპირობებს.

ამდენად, ცეკვის სტილის ჩამოყალიბებაზე მრავალი სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებდა: სოციალური და ეკონომიკური, ადგილმდებარეობა და ჰავა, ზოგადი კულტურისა და განათლების დონე, ჩაცმულობა, საყოფაცხოვრებო პირობები, წეს-ჩვეულებები და სხვ. ამის მიხედვით, მთიელთა ცეკვები არა მარტო ბარის მცხოვრებთა ცეკვებისაგან განსხვავდება, არამედ თვით მთიელთა სხვადასხვა კუთხის ცეკვისგანაც. მიუხედავად ამისა, რამდენადაც განსხვავებულიც უნდა იყოს მთიულური ცეკვები ბარისაგან, მაყურებელი ერთი შეხედვითაც კი ცნობს მათში ქართულ ცეკვას, რადგან ცეკვის ზოგადი მოხაზულობა და ტექნოლოგიური მასალა ერთსა და იმავე ძირს, ერთსა და იმავე საფუძველს ეყრდნობა. რაც დრო გადის, ცეკვების ვიწრო კუთხურობის ნიშნები ქრება – მათი ფართოდ გავრცელებისა და ზოგადქართულ ცეკვებად გადაქცევის გამო. ქართლელი *ცერულის* შესრულებაში სვანს არ ჩამორჩება, კახელი ჩინებულად ცეკვავს აჭარულ და გურულ *ხორუმს*, აფხაზი – *ქართულს* და იმერელი – *მთიულურს*. თუ ძველად მთიელს მხოლოდ თავისი კუთხური ცეკვა ეხერხებოდა, დღეს მას ყველა სახის ქართული ცეკვა მოსწონს, უყვარს და ეხერხება.

როგორც აღვნიშნეთ, დღემდე არსებობდა და დღესაც არსებობს მთიელთა ნელი ტემპის ცეკვები, უპირველესად, ფერხულები, რომლებითაც ყველაზე მდიდარია სვანეთი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ფერხული მეორე ნაწილში სწრაფ ტემპზე გადადის, მათ ჩვენ მაინც ნელი ტემპის ცეკვათა წყებას ვაკუთვნებთ. მოხეურ ფერხულს ალექსანდრე ყაზბეგი ასე აღგვიწერს: „არის კიდევ „გერგეტულა“, რომელიც ძალიან მუსიკალურის და დამშვიდებულის ხმით დაიწყობა და თანდათან აუჩქარებენ. ბოლოს ისეთ ნაირად აჩქარდებიან, რომ სიტყვებს ძლივსღა ასწრობენ. ამ დროს მომღერლები წრეს შეადგენენ, სარტყლებში ხელს ჩაუგდებენ ერთმანეთს და სანამ დამშვიდებული სიმღერა არის, დამშვიდებული დგანან, მერე წყნარად შეინძრევიან და რამდენათაც სიტყვების წარმოთქმას მოუჩქარებენ, ისინი ხტუნაობით ტრიალს აუჩქარებენ და ბოლოს სწორეთ თავდავიწყებამდისინ მიდიან. ამ თამაშობაში ისე დაიქანცებიან, რომ არაქათი აღარა აქვთ ხოლმე და რამდენიმე ხანი დასვენებას უნდებიან, სანამ შეიძლებენ ან სიარულს ან ლაპარაკს.

ამას გარდა, არის კიდევ ერთი განსხვავებული ფერხული, რომელშიაც ერთი პირობა ძირს დააბამს ფერხულს და მეორე კი მხრებზედ შეადგებიან და ისე მღერიან. ამ სიმღერას

ჰქვიან „ბარბარე“ და ხმა ცოტათი მიემსგავსება „მუმლი მუხას“ ხმას. ხევში არის კიდევ განსხვავებული „ნამგლური“ და კიდევ რამდენიმე მთაშივე მოგონილი ხმები, რომელიც საქართველოს სხვა მხარეებში არ გამიგონია... არა იშვიათად იციან ფანდურზედ ლექსის დაძახილი, რომელშიაც ან ვისმე ვაჟკაცობას აქებენ, სამასხარაოთაც ჰყავსთ გახდილი ვისმე მდგომარეობა და მოქმედება...“.[1]

თითქმის ყველა ფერხული სიმღერაზე აწყობით სრულდება. ფეხრულები განლაგების მხრივ: წრისებური, წრე წრის შუა, რკალისებური, ერთი ან რამდენიმე მწკრივად და რიგად ან ნაერთული განლაგებით. წრე – „შეკრული“ ან „კარგახსნილია“. შემსრულებელთა მდგომარეობა: მკლავებ, ხელებ ან თითებჩაბმული; ერთი, ორი ან სამსართულიანი; წრისშიგა მოთამაშით, მოშაირით ან უამისოდ; ცალკე ქალების, ცალკე ვაჟების ან ქალ-ვაჟთა შესრულებით.

საფერხულო სიმღერები სხვადასხვანაირი ტექსტით – რომელიმე გმირის ქება, ამბის მოყოლა, შაირი და სხვ.

ნელი და ზომიერი ტემპის ცეკვებია: *მწყემსური, დავლური* (პირველი ნაწილი), *ქალ-ვაჟის დავლური, ქალთა დავლური.* სწრაფი ტემპის: *ცერული, მთიულური, მოხეური, აფხაზური. მთიულურ, მოხეურ* და *აფხაზურ* ცეკვებს ასრულებენ: ცალკე ვაჟები, ცალკე ქალები და ქალ-ვაჟნი ერთად – ცალად, წყვილად და ჯგუფურად. ზოგი სიმღერით სრულდება, ზოგი – მხოლოდ საკრავიერი მუსიკის ან საცემ საკრავთა თანხლებით.

თითოეულ ცეკვას თავისი დამახასიათებელი სტილი, ნახაზი და ტრადიციული წესები აქვს. მაგრამ რა ახასიათებს მთიელთა სწრაფი ტემპის ცეკვებს, რაში გამოიხატება მათი თავისებურება?

მთიელთა ცეკვები ინარჩუნებს ქართული ცეკვებისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებებს, უპირველესად: მკვეთრად გამოკვეთილ ხალხურ თვითმყოფადობას, ფორმის დახვეწილობას, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მოხაზულობას, შინაარსიანობას, პლასტიკურ გამომეტყველებას, ემოციურობას, მოძრაობათა კეთილშობილებას, მრავალვარიანტულობას. თითოეული ილეთის გამოხატულება, რიტმულობა, რაინდული ქცევა, ოდითგანვე დადგენილი მტკიცე ტრადიციული წესები, ვაჟის ქალისადმი მოკრძალებული და თავაზიანი დამოკიდებულება ხაზგასმითაა აღბეჭდილი. დაბოლოს: მაღალი ხარისხის ტექნოლოგიური მასალა.

სხვადასხვა სახის სწრაფტემპიანი მთიულური ცეკვებისათვის დამახასიათებელია ვაჟების ზეტანისა და კიდურების სხარტი, მოქნილი მოძრაობა, თავისუფალი და ლაღი ხტომები, სვლებისა და ჩაკვრების ნაირფეროვნება, ცერილეთების სიმდიდრე, ფართო და განიერი მოძრაობები. ქალების – ხან დილის ნიავივით წყნარი, ხან ქარიშხალივით სწრაფი ქროლა, ხან სხარტი, მოქნილი მოძრაობები ვაჟკაცური იერით და ხან ნარნარი მკლავთ მოძრაობა ხელსართავებით.

ყოველ ცეკვას დამახასიათებელი და სათანადო ნახაზი აქვს, ილეთთა ხმარების შესაფერისი ადგილი, ნიუანსები, ცეკვის დაწყებისა და დამთავრების წესი.

თითოეული ცეკვა აგებულია შინაარსზე, რომელსაც საფუძვლად სალაშქრო, სატრფიალო, საშაირო, სახუმარო, საჯომარდო, შრომის და სხვა თემები უდევს.

ტექნოლოგიური მასალა: მრავალგვარი სვლა, ჩაკვრები, ცერილეთები, ბრუნები, ხტომები, მუხლილეთები. ვაჟთათვის – მოკლე ხელსართავები, ქალთათვის – სრული. სვლების ნაირფეროვნებით შესაძლებელია, ადვილად შეიცვალოს ცეკვის ხასიათი.

1 ალ. ყაზბეგი, თხზულებათა სრული კრებული, V ტომი, თბილისი, 1950წ., გვ. 47.

ცეკვა ცერული

სწრაფი ტემპის მთიულურ ცეკვებს შორის *ცერულს,* უდავოდ, საპატიო ადგილი უჭირავს. იგი ვაჟურ ცეკვათა წყებას ეკუთვნის. თვით სახელწოდება *ცერული* მიგვითითებს მის ტექნიკურ საფუძველსა და ხასიათზე. ფოლადისებრი და ამავე დროს მოქნილი ფეხის ცერები (ცერილეთები) – აი, რაზეა აგებული ცეკვის შესრულების რთული ტექნიკა.

ცერული სრულდება: ცალად, წყვილად და ჯგუფურად. პირველ შემთხვევაში მოცეკვავე რთული მოძრაობების ლამაზი, ლაღი და მოხდენილი შესრულებით გამოხატავს სიმარდეს, სიყოჩაღეს, მოქნილობას და იმ გარეგნულ თვისებებს, რომლებიც მთიელ ვაჟკაცს ახასიათებს. წყვილად ცეკვა ვაჟკაცთა შეჯიბრების ხასიათს იღებს – მოცეკვავენი ეჯიბრებიან ერთმანეთს არა მარტო ნაირფეროვანი და ძნელი ილეთების ლამაზად, მოხდენილად და დახვეწილად შესრულებაში, არამედ გამძლეობაშიც. ელვისებური წრეშემოვლა, ხშირად ფეხის ცერებზე, მსუბუქი ჩაკვრები, სწრაფი ბრუნები, ზეხტომიდან ფეხის ცერებზე შედგომა და მოძრაობათა სხვა მრავალი ილეთი ერთმანეთთან ლამაზადაა შეხამებული.

უშბისა და თეთნულდის ფონზე წარმოვიდგინოთ მწვანედ აბიბინებული მინდორი... მაყურებლებმა წრე შემომიჯნეს და მოუთმენლად ელიან ცერულში შეჯიბრების დაწყებას. არავის სურს პირველმა დაიწყოს ცეკვა. თავაზიანად უთმობენ ერთიმეორეს „პირველ შესვლას წრეში“, მაგრამ გაისმა თუ არა შეთანხმებული, მხნე და ომახიანი საცეკვაო სიმღერა, წრეში გაბედულად შემოიჭრა თორმეტი წლის ბიჭუნა, ცერებზე შემდგარმა სწრაფად შემოურბინა წრეს, შემდეგ წრის ცენტრში მოექცა და მოხდენილად შეასრულა *ცერულის* ილეთები. ღიმილით ეშმაკურად ჩაუკრა თვალი თავის ტოლებს – წრეში შესატყუებლად. „კარგი ხარ, მარდი ხარ!“ – მაყურებელთა ასეთი შეფასებით ამთავრებს მოზარდი ცეკვას და წრიდან გარბის. ახლა უკვე გამოცდილ მოცეკვავეებს არ ჰყოფნით მოთმინება, რაღაც ძალა ეზიდებათ წრისკენ, მაგრამ მოკრძალება ისევ ხელს უშლით. მაყურებელთა ერთმა ჯგუფმა წრეში შეაგდო ჭაბუკი. ჭაბუკმა წრეს შემოუარა *ქუსლურით,* ცენტრში სწრაფად შეტრიალდა და გადავიდა *ფეხშლილზე,* შემდეგ *ცერდასმაზე* და უკვე *ორფა ბრუნზე* უნდა გადასულიყო, რომ ამ დროს ირმისებური ნახტომით, ფეხის ცერებზე რბენით წრის შემოვლა დაიწყო მეორე მოცეკვავემ, რომლის ფეხის ცერები ფოლადივით მტკიცეა და მოქნილი. პირველი ახალგაზრდა წრის კიდისკენ მიიწევს, რათა მეორეს „ცეკვაში შესვლის“ საშუალება მისცეს, თან ცოტა დაისვენოს და შესაბამის დროს კვლავ ჩაებას ცეკვაში – შეეჯიბროს მეგობარს, ახლა უკვე მეტოქეს.

მეორე მოცეკვავე ამთავრებს ილეთების ჩვენებას და თავის დაკვრით პირველს იწვევს წრეში. წრის ცენტრში ახლა უკვე ორი ჭაბუკი ეჯიბრება ერთმანეთს *ცერულის* ილეთების მოხდენილად შესრულებაში. ძნელია თქმა, რომელია უკეთესი მათ შორის. ორ მეტოქეს შუა შემოიჭრება მესამე, პირველი ორი გარეთ შებრუნებით შორდება ერთმანეთს და წრეს უვლის, რათა შემდეგ წრის ცენტრში კვლავ შეხვდეს ერთმანეთს და შეთანხმებულად განაგრძოს შეჯიბრება მესამის წინააღმდეგ. გახურდა შეჯიბრება, წრეში შემოიჭრება მოცეკვავეთა ახალი ჯგუფი – ოთხი ვაჟკაცი, ახლა სამია ოთხის წინააღმდეგ. ცეცხლოვანი რიტმით ცეკვა ზენიტს აღწევს. წამძღოლის ნიშანზე ჭაბუკნი შეთანხმებულად ამთავრებენ ცეკვას.

ცეკვა ცერულის ტრადიციული წესები

1. ცერული ვაჟების ცეკვაა, მას ქალი არ ცეკვავს.

2. ცერულში ვაჟი მკლავებს არ ხმარობს, მარჯვენა ხელი ხანჯლის ტარზე უდევს, მარცხენით ქარქაში უჭირავს, თუ უხანჯლოდაა – ხელის ცერები ქამრის თასმაში აქვს გაყრილი (ხელი ხელთან).

3. ვაჟები ცეკვავენ: ცალად, წყვილად ან ჯგუფურად.

4. მოცეკვავენი ურთიერთმიმართ მუდამ თავდაჭერილი, თავაზიანი და მორიდებული არიან.

5. წყვილური ან ჯგუფური ცეკვის დამთავრების შემდეგ მოცეკვავენი ერთმანეთს მადლობას უხდიან თავის დაკვრით ან წამოძახილით: „მადლობა მითქვამს“.

6. ცერულის დროს იარაღის ხმარება დასაძრახი და სასირცხოა.

7. ცეკვის დროს ხმაური, ხმამაღალი წამოძახილები მიუღებელია. უვარგის მოცეკვავეს ჟივილ-ხივილი ვერას უშველისო, – ასე იტყვიან ხალხში.

8. ფეხის თითების (ცერების) შეკვრა-შეხვევა ცერულის ცეკვისას მიუღებელია. თუ ამას შეამჩნევენ, დაცინვით იტყვიან: საწყალს ფეხები ავად ჰყავსო.

9. შაირობისას საცერო ილეთები მხოლოდ პაუზებში იხმარება.

10. ჯგუფური ცეკვისას ილეთები და ნახაზი წამძღოლის ნიშანზე იცვლება.

11. წამძღოლი ჯგუფში საუკეთესო მოცეკვავეა ან ყველაზე ხნიერი.

12. წყვილად ან ჯგუფად ცეკვისას მოთამაშის „დაკეტვა“ მიუღებელია.

ცეკვა ცერულის მთავარი ილეთები

1. ქუსლური სვლა
2. მუხლური სვლა
3. ცერებზე რბენ-სვლა
4. ცერდაქნევით ჩაკვრა
5. ფეხშლილი ჩაკვრა
6. მუხლმოქნევით ჩაკვრა
7. განბიჯით ჩაკვრა
8. განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა
9. ბრუნი ფეხშლილი ერგბუქნიდან
10. ჩაკვრით ცერდგომბრუნი
11. ადგილზე ბრუნი ცერებზე რბენით
12. ბრუნი ცალ ცერზე

ხშირად *ცერული* რომელიმე საფერხულო ცეკვას მოსდევს, მაგალითად, ფერხულ *რამაიდას* სადაც ქალ-ვაჟი რიგრიგად არის განრიგებული (ქალი, ვაჟი, ქალი, ვაჟი და ა.შ.). შეკრული წრის გაშლის შემდეგ ქალ-ვაჟი წყვილ-წყვილად ცეკვავს. როდესაც ყოველი წყვილი გაითამაშებს, ქალები ადგილზე შეჩერდებიან, ვაჟები კი ხან ცალად, წყვილად ან ჯგუფად ცერულზე გადადიან.

რკალგვარად განრიგებული მოცეკვავენი, რომლებიც უშუალოდ ცერულში არ მონაწილეობენ, მღერიან, ტაშს უკრავენ, ადგილზე ასრულებენ რხევით მოძრაობებს *მკრთალი ჩაკვრებით* (იხ. ცეკვის გრაფიკული ნახაზი შესაფერისი ტექსტით და სანოტო მასალით).

ცეკვა დავლურ-მთიულურის მოკლე აღწერა

დავლურ-მთიულური ქალ-ვაჟის შესრულებით ორნაწილიანი სამივჯნურო ცეკვაა. პირველს *დავლური* ეწოდება, მეორეს – *მთიულური.* ორივე ნაწილი ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული და მივჯნურობის ორ ეპიზოდს გამოხატავს: მივჯნურთა პირველ შეხვედრას; სამივჯნურო გრძნობების განვითარების სხვადასხვა მხარეს: ურთიერთგამოცდას, მღელვარებას, ქალ-ვაჟის კეთილშობილურ ოცნებასა და მისწრაფებას.

დავლურში ქალი ამაყი იერით ცეკვავს, თუმცა ფარული ტემპერამენტი გამოსჭვივის – სვლა ნარნარი და გრაციოზულია. ქალი-ვაჟის პირისპირ შეხვედრისას, ქალს გაბედულება ეტყობა და ინიციატივა უფრო მეტად მისგან მოდის. მეორე ნაწილში ქალი ლაღია, სწრაფი, ღიმილიანი, გამოხედვა – კეკლუცი. ქალი გრძნობს, რომ ვაჟი მისით მოხიბლულია, მაგრამ ცდილობს, ამაში უფრო მეტად დარწმუნდეს, ამიტომ ზოგჯერ დაშორდება, ზოგჯერ მიუახლოვდება ვაჟს. გარდა ამისა ქალს სურს, გამოცადოს ვაჟის სიმარდე, სიფხიზლე და თავშეკავების უნარი.

ცეკვის პირველ ნაწილში ვაჟი ამაყად გამოიყურება, მისი მიხვრა-მოხვრა კეთილშობილურია, ვაჟკაცური, დინჯი, წყნარი. ქალს ინიციატივას უთმობს, ოღონდ იგრძნობა დიდი ნებისყოფა და მიხვედრილობა. ვაჟი ფხიზლობს – ქალს არ შეეხოს. მეორე ნაწილში (მთიულურში) ის სამოქმედო არის ცენტრში გააზრებულად ექცევა, რათა ქალს „ლაღად ფრენის“ საშუალება მისცეს, მხოლოდ შემდეგ, ქალის სილამაზით მოხიბლული და გრძნობებით გატაცებული, კვლავ ქალის გვერდზე აიმართება. ვაჟი მუდამ ქალს უყურებს, მივჯნურს ერთ წამსაც არ აშორებს თვალს. ცეკვის ილეთებს მოხდენილად ასრულებს, მის ნახტომებში ჰაეროვანი სიმსუბუქე იგრძნობა. წელგამართული, მკლავფეხმაგარი, მოქნილი, მოხდენილი ცეკვის ფინალში მხნედ, გაბედულად და სხარტად მიჰყვება ქალს, სანამ ქალი სწრაფად არ შებრუნდება, შეჩერდება და მზერით უსიტყვოდ ეტყვის ვაჟს: „მთიელო, მარად შენი ვარ“.

ცეკვა დავლურ-მთიულურის ტრადიციული წესები

1. დავლურიდან მთიულურზე, ნელი სვლიდან სწრაფი ბრუნით და აჩქარებული წინსვლით, ქალი მხოლოდ საკუთარი ინიციატივით გადადის.

2. ქალი უკუმიმართულებით (იშვიათად) მხოლოდ მოკლე მანძილზე მოძრაობს.

3. ორ მოცეკვავეს შორის მესამის „შეჭრა“ მიუღებელია.

4. ცეკვის მეორე ნაწილში, მთიულურში, ვაჟს ქალის სვლის მიმართულების შეცვლა „გზის ჩაკეტვით“ შეუძლია, მხოლოდ „საკეტი“ ილეთი უხეში არ უნდა იყოს. ქალსაც შეუძლია, ვაჟს სვლაგეზი „ჩაუკეტოს“.

5. ქალს „ჩაკეტილი“ სვლაგეზის შეცვლა მხოლოდ წინსვლით შეუძლია.

6. ვაჟი სახით მუდამ ქალისკენაა მიმართული.

7. ქალ-ვაჟი ერთმანეთს შეიძლება ნებისმიერ მანძილზე დაშორდნენ. არ არის სავალდებულო, ვაჟი ქალთან „ახლოს“ იმყოფებოდეს.

8. წრეშემოვლა დაშვებულია როგორც საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, ასევე საწინააღმდეგოდაც.

9. ვაჟს არა აქვს უფლება ცეკვა ქალზე ადრე დაამთავროს, ცეკვის დამთავრებას ქალი ვაჟს ადგილზე შეჩერებით აცნობებს.

10. ვაჟს ცეკვისას შეუძლია ქუდი ეხუროს.

ცეკვა დავლურ-მთიულურის ზოგიერთი დეტალი

ცეკვა *დავლურ-მთიულური*[10], როგორც ვიცით, ორნაწილიანია. პირველი ნელტემპიანი, მეორე – სწრაფი. პირველი ნაწილის (დავლურის) 43-ე ტაქტიდან მუსიკა თანდათან აჩქარდება 54-ე ტაქტამდე და შემდეგ გამოკვეთილ ჩქარ ტემპზე გადადის.

საჭიროა, *დავლურის* მუსიკალური მელოდიის დასაწყისს უსწრებდეს დოლი ან დაირა, მელოდიის რიტმის შესაბამისად 3 ან 4-ტაქტიანი შესავლით, რომლის დროსაც ქალ-ვაჟი ბაქანზე გამოვა (ქალი – ბაქნის 3 მხრიდან, ვაჟი – 7-დან), შორიდან თავის დაკვრით ერთმანეთს მიესალმება და მელოდიის პირველი სათვალავიდანვე წრეშემოვლას დაიწყებს. პირველი 8 ტაქტი ქალს თავი სწორად უჭირავს, ვაჟს არ უცქერს, მე-9 ტაქტიდან, ცენტრისკენ შებრუნებისთანავე, ამაყად და გაბედულად შეხედავს ვაჟს; მეთერთმეტე ტაქტზე, უკან დახევასთან ერთად, თავს დინჯად დახრის, რაც ნიშნავს „დავლური განვაგრძოთო," და მე-13 ტაქტიდან ცეკვის დამთავრებამდე ქალ-ვაჟი ერთმანეთს თვალს არ აშორებს, ვაჟი კი – ცეკვის დაწყებიდანვე.

ცენტრში ქალ-ვაჟის ერთმანეთის პირისპირ შეხვედრიდან – 25-ე ტაქტიდან – ქალი „იერიშს" იწყებს, ვაჟი იძულებულია, ქალს დაუთმოს და ოდნავ უკან დაიხიოს, მაგრამ თავაზიანად ქალსაც უკან დაახევინებს (27-28 ტაქტი); ქალი ხელახლა გადავა „შეტევაზე" (29-30 ტაქტი), ვაჟი ისევ თმობს და უკან იწევს, შემდეგ ვაჟი ხელახლა თავისი ადგილისაკენ წაიწევს, ქალი უკან დაიხევს; ამის შემდეგ ქალ-ვაჟი თითქმის მხარიმხარ იწყებს წრეშემოვლას, სანამ თავიანთ ძველ ადგილებზე არ მივა, შემდეგ ერთმანეთს დაშორდება – მეორე „ტურის" დასაწყებად (37-42 ტაქტი). ამ ექვსი ტაქტის განმავლობაში ერთმანეთს ახედ-დახედავენ. 43-ე ტაქტიდან იწყებენ წრეშემოვლას სვლაგეზის თანდათან ცენტრისკენ შევიწროებით, რის დროსაც ქალს აღელვება ემჩნევა: ხან გაბედულად მიქრის, ხან წამით შეჩერდება, თითქოს სურს, სვლაგეზი შეცვალოს, მაგრამ არა – „ის სულ წინ ივლის, წინ!" – ამ გადაწყვეტილებით ელვისებურად შებრუნდება (55 ტაქტი) და სწრაფ წრეშემოვლაზე გადავა. აი, აქედან იწყება ცეკვის მეორე ნაწილი – *მთიულური*. მელოდია იგივეა, რაც *დავლურის* დროს, მაგრამ სწრაფ ტემპში იგი სულ სხვანაირად ჟღერს – ლაღად, ხალისიანად, აღმაფრენით... მთის ნიავივით მიქრის ქალი, აგერ გარს შემოურბინა ვაჟს, რომელიც, ქალის ხალისით, სიმარდითა და სილამაზით გაოცებული, წამით შეჩერდა, მაგრამ შემდეგ შვლის ნახტომით (61 ტაქტი) ქალის წინ გაჩნდა, თითქოს იმ მიზნით, რომ „გზა ჩაუკეტოს", მაგრამ ვერ ბედავს, გზას უხსნის ქალს და თან მიჰყვება. ქალი ისევ წინ მიქრის, ვაჟი შიშობს, „ნუთუ წავა, გაქრება ეს შევარდენი!" ის ცდის ქალს და „გაყოლას" უკუსვლით შეცვლის, ქალს ჩამორჩება, ქალი შეამჩნევს ვაჟის განზრახ ჩამორჩენას, სწრაფად მარცხნივ გადაიხრება, მხარს იცვლის და ვაჟისკენ გაემართება. ქალი ვაჟს წამოეწევა (78 ტაქტი), აქ ისევ განმეორდება „ურთიერთშეტევა". ქალი ვაჟს ცდის, ვაჟი – ქალს. ბოლოს ქალი მკლავებს ფრთებივით გაშლის და მიქრის... ვაჟკაცური და სხარტი ილეთებით (105–112 ტაქტი) ვაჟი ქალს მისდევს, ხან ოდნავ უსწრებს, ხან ჩამორჩება. 113-ე ტაქტზე ქალი სწრაფად შებრუნდება, შეჩერდება და ვაჟთან ერთად ცეკვას ამთავრებს.

ბოლო დავლისას (105 ტაქტი) მკლავების გაშლასთან ერთად ქალი მანდილსაც გაშლის, თავს თანდათან მაღლა აწევს, მკლავებს ზეამართავს და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს, მართლაც, მიწას ასცილდაო.

დავლის თანდათან გაძლიერების (კრეშჩენდოს) შესაგრძნობად, საჭიროა, 105-ე ტაქტი მცირე ნაბიჯით დაიწყოს, შემდეგ სიგანე და ექსპრესია მოემატოს და 111–112-ე ტაქტზე ზენიტს მიაღწიოს.

აღწერილ ცეკვაში თითქმის ყოველი ქორეოგრაფიული ფრაზა, ყოველი ილეთი მარჯვენა ფეხით იწყება, ამიტომ საჭიროდ არ მივიჩნიეთ სქემაში ამის მრავალჯერ გამეორება.

ფეხის ძირითადი პოზიციები

I პოზიცია (შეტყუპებული) – ორივე ფეხის ტერფის ერთმანეთთან პარალელურად მჭიდროდ მიდგმული (სურ. 1).

სურ. 1

II პოზიცია (წინფეხშლილი) – ცალი ფეხის მეორის წინ ნახევარი ტერფის სიგრძეზე დადგმული. სხეულის სიმძიმის ორივე ფეხზე გადანაწილებული. ტერფები პარალელურ ხაზებზე (სურ. 2).



სურ. 2

III პოზიცია (ტერფშლილი) – ქუსლები ერთიმეორეს შეხებული, ცერების ერთმანეთისაგან 65˚-70˚-ით დაშორებული (სურ. 3).



სურ. 3

სურ. 4

IV პოზიცია (ფეხშლილი) – ფეხები მხრების სიგანეზე გადგმული, ცერები ირიბად გარემიმართული (სურ. 4).

ხელის ძირითადი პოზიციები

I პოზიცია (განგაშლილი) – ორივე მკლავი განზე გაშლილი, ნები – ქვევით (სურ. 5).



სურ. 5

II პოზიცია (ერგდახურული) – ცალი მკლავი იდაყვის სახსარში მხრის სიმაღლეზე მოხრილი, მეორე მკლავი განზე გამართული (სურ. 6).



სურ. 6

III პოზიცია (ღია) – ცალი მკლავი განზე გამართული, მეორე ზევით აწეული – ნებით შიგნით რკალგვარად მოხრილი (სურ. 7).

სურ. 7

IV პოზიცია (მაღალი ან ირმულა) – ორივე მკლავი თავზევით რკალგვარად აწეული, ნები ქვემოთ – გარეთ ან შიგნით (სურ. 8).

სურ. 8

მთიულურ ცეკვებში, მკლავების მეორე პოზიციისას, მოხრილი მკლავის წინამხარი უფრო მეტადაა შიგ შეწეული და მთლიანად გულ-მკერდის წინაა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

დგომა

ვარჯიშის ან ცეკვის დროს გამოიყენება სხვადასხვა სახის დგომი (სურ.9):

1. ორ ფეხზე დგომა.
2. ცალ ფეხზე დგომა.
3. ორ მუხლზე დგომა.
4. ცალ მუხლზე დგომა.
5. დაბალ ერგცერებზე დგომა.
6. მაღალ ერგცერებზე დგომა.
7. ცერებზე დგომა.
8. ცალ ცერზე დგომა.

დანარჩენი ზემოაღნიშნულის კომბინაციებია.



სურ. 9.

ხელის ძირითადი მდგომარეობა

ვაჟთათვის

1. ლაღად დაშვებული

ხელები თავისუფლად, ლაღად დაშვებული. ნები უკან მიმართული (სურ. 10).



სურ. 10

სურ. 11

2. ცალი ხელი ხანჯლის ტარზე, მეორით – დოინჯი.

მარჯვენა ხელის ნები ხანჯლის ტარს ზევიდან ეხება, მარცხენით – დოინჯი (სურ. 11). ხელების აღნიშნული მდგომარეობა მიღებულია ყოვნისას.

3. ხელები ხანჯალზე.

სურ. 12-ა

სურ. 12-ბ

მარჯვენა ხელის ნები ხანჯლის ტარს ზევიდან ეხება, მარცხენა ხელს ქარქაში უჭირავს საკიდ-რგოლის ოდნავ ქვევით. იდაყვები – სხეულს დაშორებული (სურ. 12-ა-ბ).

ხელების აღნიშნული მდგომარეობა მეტწილად ცერულში, მოხეურსა და მხედრულ ცეკვებშია მიღებული და იხმარება როგორც სვლის, აგრეთვე, ადგილზე ცერილეთებისა და სხვა მოძრაობების შესრულებისას.

4. ცერები ქამარში

ორივე ხელის ცერი ქამარშია გაყრილი, მტევნები ნახევრად მომუჭული და ერთიმეორისაგან ნების სიგანეზე დაშორებული.
გვხვდება ცერულსა და მხედრულში (სურ. 13).

სურ. 13.

5. მაჯები ჭდომილად ქამრის წინ.

სურ. 14.

იდაყვში ოდნავ მოხრილი მკლავები სხეულის წინ და ქამრის ქვევით მაჯა – მაჯაზე გადაჭდომილია (სურ. 14).

მდგომარეობა გარდამავალია: გარეგაქნევით შესაძლებელია ხელების სხვადასხვა მდგომარეობაში შეჩერება, ცეკვის მოხაზულობისა და მიზანდასახულობის მიხედვით.

იხმარება *განბიჯით ჩაკვრის, ფეხშლილჩაკვრისა* და ზოგიერთი სვლის დროს მთიულურ, მხედრულ და აფხაზურ ცეკვებში.

6. მოხეური დაბალი

ქვევით დაშვებული ცალი მკლავი შიგნით მიმართული, მეორე მკლავი – უკუშიგნით (ხელები სხეულს არ ეხება).

გვხვდება როგორც მოძრაობა და არა მდგომარეობა სვლისას მთიულურ-დავლურსა და მხედრულ ცეკვებში. მდგომარეობა შეიცვლება მკლავების ქვეგანმკლავში გადაშლით (სურ. 15).

სურ. 15

7. ორივე ხელი ქვევით და ცალ მხარეზე დაქანებული (მარჯვნივ ან მარცხნივ) (სურ. 16).

სურ. 16

შეგვხვდება *ხლართული ჩაკვრების, გვერდზე სვლისა* და *წინსვლისას*. მდგომარეობა ხელსართავებით იცვლება. იხმარება მთიულურ ცეკვაში.

8. მკერდდახურული (სამთიულურო)

ცალი მკლავის წინამხარი გულ-მკერდის წინ თარაზულ მდგომარეობაში – სხეულს არ ეხება. მეორე მკლავი ოდნავ მოხრილი იდაყვში და მტევნით წელს უკან სხეულშეუხებლად ქამრის სიმაღლეზე; ხელის თითები ნახევრად მომუჭული (სურ. 17).



სურ. 17.

ეს მდგომარეობა დამახასიათებელია მთიულური ცეკვისათვის. მეორე მხარეზე გადასანაცვლებლად ხელების მდგომარეობა ჯერ თავისუფალი ქვედაქნევითა და სართავებით იცვლება პირველ პოზიციამდე, საიდანაც ისევ ქვედაქნევით მიიღებს საჭირო მდგომარეობას (წინ მეორე ხელი).

აღნიშნული მდგომარეობიდან ქვედაქნევითა და შემდეგ I პოზიციის (განგაშლილის) მიღებით IV პოზიციაში (ირმულში) გადადის. მკლავები სხვა მდგომარეობას მიიღებს ცეკვის ნახაზის მიხედვით.

9. მოხეური

ცალი მკლავი განზე გაშლილი ნახევრად მომუჭული თითებით, მეორე წელს უკან და ხელის ზურგით ქამარს ეხება (სურ. 18).

მკლავების ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია მოხეური ცეკვისათვის, განსაკუთრებით უკუსვლისას.



ა ბ

სურ. 18

10. ცალმკლავდაქანებული ან დაშვებული

ცალი მკლავი დაქანებული ან თავისუფლად დაშვებული (ზოგჯერ უკან გაწეული), მეორე მკლავი კი გულ-მკერდზე მეორე მხარის მასრის თავებს ხურავს შეხებით (სურ. 19).

დამახასიათებელია სვანური და მოხეური ინდივიდუალური და წყვილური ცეკვებისათვის



სურ. 19

11. გვერდული იდაყვდაქანებული (ერთ მხარეს)

ცალი მკლავი განზე ზეაწეული (ნებით გარეთ), მეორე იდაყვში მოხრილი (იდაყვი დაშვებული) გულ-მკერდის წინ დაქანებულად ნახევრად მომუჭული ხელით მეორე მხარს თითქმის ეხება (სურ. 20).



ა ბ

სურ. 20

12. განგაშლილი

ხელები პირველ პოზიციაში (განგაშლილად).

ასეთი მდგომარეობა უმეტესად დამახასიათებელია ცერილეთების, განსაკუთრებით, ცერდგომებისას – მკლავების ერთი მოძრაობიდან მეორეში გადასვლის შუალედში, ცერებზე სვლისას. ხელების მდგომარეობის შეცვლისას მარტივი ხელსართავები გამოკვეთილად სრულდება (სურ. 21).



სურ. 21

13. ცალმხარდახურული

იდაყვის სახსარში მოხრილი ცალი მკლავი მხარზევით წინამხრით ან თითებით მხარს ეხება; მეორე მკლავი – განგაშლილი (სურ. 22).

ა ბ ბ

სურ. 22

ეს მდგომარეობა მეტწილად მხედრულ, მთიულურ და აფხაზურ ცეკვებს ახასიათებთ. მდგომარეობის შეცვლა (მეორე მხარეზე გადასვალა) იოლია: მოღუნული მკლავი განზე გაიშლება, განზე გაშლილი – მოიღუნება ან მდგომარეობა შეიცვლება ორივე მკლავის ქვედაშვების შემდეგ კვლავ მხარდახურული მდგომარეობით. შესაძლებელია განზე გამართული მკლავის გარეზემკლავამდე აწევა.

14. ცალიდაყვგადაშლილი (თითები კეფაზე)

მოღუნული, იდაყვით წინ და გარეთ მიმართული ცალი მკლავი თითებით კეფას ან ქუდს ეხება (ყურს უკან, ნებით წინ), მეორე მკლავი – განზე ქვედაშვებული (სურ. 23).

ეს მდგომარეობა უმეტესად ადგილზე დგომისას ან უკუსვლისას გამოიყენება, იშვიათად – წინსვლისას.

მკლავების მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს გადატანით ან ხელსართავებით. გამოიყენება მთიულური ხასიათის ცეკვებში.

სურ. 23

15. ცალიდაყვგადაშლილი

ცალი მკლავი მოხრილი და იდაყვით გარემიმართული თითებით კეფას ან ქუდს ეხება ყურს უკან, მეორე – წელს უკან. გამოიყენება მთიულურ და მოხეურ ცეკვებში (სურ. 24).

სურ. 24

16. შვილდურა

ცალი მკლავი მიმართულია წინ და ოდნავ ზევით, მეორე იდაყვით ოდნავ უკუგადაშლილი ხელის თითებით ეხება კეფას ან ქუდს. მდგომარეობა მშვილდ-ისრის ტყორცნას მოგვაგონებს. მხედრულ, მთიულურ და აფხაზურ ცეკვებში გამოიყენება როგორც პოზა: ცეკვის დამთავრებისას, ცალცერზე დგომხტომისას, ბრუნის შემდეგ სწრაფად შეჩერებისას და სხვ. (სურ. 25).

სურ. 25

17. იდაყვებგაშლილი თითები კეფაზე

იდაყვებში მოხრილი ორივე მკლავი თითებით კეფას ან ქუდს ეხება.

ეს მდგომარეობა მეტწილად ქვევით დაშვებული მკლავების განზე აქნევით და IV პოზიციით მიიღება სართავების თანხლებით (ბოლო მომენტში). როგორც მკლავილეთი იხმარება გვერდზე ან უკან ფეხის ცერებზე სვლისას, ადგილზე ბრუნისას, იშვიათად – წინსვლისას (სურ. 26).

გვხვდება მთიულური სახის თითქმის ყველა ცეკვაში, გარდა *ცერულისა*.



ა ბ

სურ. 26

18. ცალიდაყვზეაწეული

მოხრილი ცალი მკლავი იდაყვით ზეაწეული და მტევნის ზურგით მასრებს შორის გულ-მკერდს ეხება, მეორე მკლავი ქვედაშვებული, ოდნავ უკან გაწეული და ნებით უკან შებრუნებული. თითები – ნახევრად მომუჭული (სურ. 27) მეტწილად მოხეურ ცეკვაში გვხვდება, უფრო ხშირად ირიბჩაკვრით წინსვლისას. მკლავების მდგომარეობა (მეორე მხარეზე გადასასვლელად) ან განგაშლიდან შეიცვლება, ან ქვედაშვების შემდეგ ახალ მდგომარეობაში აიწევა.

სურ. 27

19. ირიბი განმკლავი

ცალი მკლავი განზე გამართული და ზეაწეული, მეორე – განზე ქვედაწეული (სურ. 28). ნების მიმართულება დამოკიდებულია ცეკვის ნახაზსა და მიზანზე.



ა სურ. 28 ბ

მკლავების ამ მდგომარეობას იყენებენ წრეშემოვლისა და მცირე დახვევის დროს მთიულურ, მხედრულ, მოხეურ და თუშურ ცეკვებში.

20. ახდილი (ცალმკლავამართული)

მკლავები – III პოზიცია. ცალი მკლავი განზე გამართული, მეორე – ზეაწეული, იდაყვით გარემიმართული, რკალგვარ მდგომარეობაში, ნები შიგნით, თითები თავისუფლად მოხრილი (სურ. 29).

სურ. 29

ეს მდგომარეობა ყველა მთიულურ ცეკვაში გვხვდება. მეორე მხარეზე მკლავების მდგომარეობის იგივე პოზიცია მიიღება ზევიდან ჩაგრეხით ან გარეგადაშლილ მკლავების ქვედაშვებითა და შემდეგ გარეგაშლითვე III პოზიციაში აწევით.

21. ირმულა (მაღალი)

ორივე მკლავი – IV პოზიცია. ხელები მაჯის სახსარში მოღუნული და მაჯის ზურგით შიგ შებრუნებული (სურ. 30).

სურ. 30

ამ მდგომარეობას ქართულ ქორეოგრაფიაში მკლავების IV პოზიცია – ირმულა – გარდამავალი მდგომარეობა ეწოდება. მეტწილად იხმარება ფეხშლილი ჩაკვრების, ცერილეთებისა და ზეხტომისას მხედრულ, მთიულურ და აფხაზურ ცეკვებში. ამ პოზიციის მიღება შესაძლებელია სხვადასხვა მდგომარეობიდან, უფრო ხშირად კი მკლავების ქვევიდან განზე აქნევით, რასაც თითქმის ყოველთვის ხელსართავები ახლავს.

ქალთათვის

1. მკერდდახურული (სამთიულურო)

ცალი მკლავის წინამხარი გულმკერდის წინ თარაზულ მდგომარეობაში, იდაყვში მოხრილი მეორე მკლავი წელს უკან – ხელით ქამრის სიმაღლეზე; მკლავები სხეულს არ ეხება (სურ. 31).



ა ბ

სურ. 31

მთიულური ხასიათის ცეკვებისათვის მკლავების ეს მდგომარეობაა დამახასიათებელი. მკლავების მდგომარეობა იცვლება თავისუფლად ქვედაქნევით და შემდეგ (მიყოლებით) სართავებით. აღნიშნული მდგომარეობიდან IV პოზიცია (ირმულა) ქვედაქნევითა და შემდეგ I პოზიციიდან მიიღება. რომელიმე სხვა მდგომარეობაში გადასვლა ცეკვის ნახაზსა და მოძრაობებზეა დამოკიდებული.

31-ე ბ სურათზე ნაჩვენები მდგომარეობა პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ ცალი მკლავი მკერდს ხურავს, მეორე განზეა გაშლილი.

2. იდაყვებდაშვებული, გვერდულა

ცალი მკლავი განზე გატანილი და იდაყვით ქვედაშვებული, მეორე გულ-მკერდის წინ – ხელი მკერდის წინ მეორე მხრის მიმართულებით, იდაყვით ქვედაშვებული (შესაძლოა, სხეულს ეხებოდეს), მაჯები მოხრილი და ხელის თითები თავისუფლად დაშვებული.



სურ. 32

32-ე სურათზე მოყვანილი მდგომარეობა მეტწილად მოხეურ ცეკვებში გვხვდება. მკლავების მდგომარეობა იცვლება ქვედაქნევითა და მცირე ხელსართავებით.

აღწერილი მდგომარეობა სვლებისას იხმარება.

3. იდაყვებგადაშლილი (თითები კეფაზე)

იდაყვში მოხრილი მკლავები განზე გადაშლილი, ორივე წინამხარი მხრებზევით, ხელის თითები კეფას ეხება.

სურ. 33

ამ მდგომარეობას ყველა სახის მთიულურ ცეკვაში ვხვდებით. 33-ე სურათზე ნაჩვენები მდგომარეობის მისაღებად საჭიროა: მკლავების ქვევიდან I პოზიცია (განგაშლილი), სართავების შემდეგ IV პოზიციის გადაცილება და, იდაყვების ნაზად განზე გადაწევასთან ერთად, ხელის თითებით კეფის ან თავსაბურავის შეხება. ამ მდგომარეობაში თავი არ იხრება.

4. საქრიალო

ორივე მკლავი ქვედაშვებული და გარეუკუმკლავის მდგომარეობაში, ნები წინ მიმართული (სურ. 34).

სურ. 34

ეს მდგომაეობა მეტწილად წინსვლისას იხმარება მთიულურ, მოხეურ და მთიულურ-დავლურის ხასიათის ცეკვებში. სვლის მიმართულების შეცვლისას, მკლავების ოდნავ გადაქნევასთან ერთად, იხმარება ხელსართავები.

5. წინამხარამართული

იდაყვში ნახევრად მოხრილი ცალი მკლავი განზე აწეული, წინამხარი – ზევით მიმართული. იდაყვში ოდნავ მოხრილი მეორე მკლავი – ქვედაშვებული (სურ. 35).

სურ. 35

იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება სვანურ, თუშურ, მთიულურ და მოხეურ ცეკვებში.

მკლავების მდგომარეობა იცვლება ორივე მკლავის ქვედაშვების შემდეგ მცირე ხელსართავებით.

6. ირიბგანმკლავი

ცალი მკლავი განზე აწეული (გარეზემკლავი), მეორე – განზე დაწეული (სურ. 36).

მკლავების ასეთი მდგომარეობა მეტწილად გამოიყენება წრეშემოვლისა და მცირე დახვევის სვლებში მთიულურ, მოხეურ, თუშურ და მთიულურ-დავლურ ცეკვებში. წრეშემოვლისას ხელები მცირე სართავებით მოძრაობს.

სურ. 36

ცხადია, მკლავების ზემომოყვანილი მდგომარეობა-მოძრაობებით არ ამოიწურება მთიულური ცეკვის მოძრაობათა მთელი მარაგი. ჩვენი მიზანი იყო მკლავების მხოლოდ ძირითადი დამახასიათებელი მდგომარეობა-მოძრაობის დასახელება და არა თითოეულის ვრცელი აღწერა, ვინაიდან მკლავების მდგომარეობა-მოძრაობების ზუსტი დეტალიზაცია დამოკიდებულია ცეკვის მსვლელობისას მისი ყოველი ნაწილის, ხასიათის, მოძრაობის ამოცანის, წყვილად ცეკვის დროს მოცეკვავეთა მდგომარეობის, ფეხილეთისა და ბრუნის მოხერხების სხვადასხვა შესაძლებლობაზე.

ხელსართავები

ხელსართავები ეწოდება ხელის (მტევნის) წრისებურ ან რკალისებურ მოძრაობას მაჯის სახსარში. ხელსართავის დროს მაჯა მოძრაობის ცენტრია. ხელსართავები სრულდება:

1. მკლავების სხვადასხვა მდგომარეობაში (ყოვნისას)
2. მკლავების მოძრაობასთან ერთად.

ხელსართავებით მოძრაობა შესაძლებელია: ერთი და იმავე მიმართულებით (ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, შიგნით, გარეთ), ნაირმიმართულებით (ცალი – ზევით, მეორე

– მარჯვნივ და სხვ.); დროის მხრივ: ერთდროულად, ნაირდროულად და მიმდევრობით.

ამრიგად, ხელსართავების შესრულება მრავალგვარად შეიძლება. ქვემოთ ჩვენ განვმარტავთ მთიულური სახის ცეკვებში ხმარებულ ხელსართავებს.

37-ე სურათზე ნაჩვენებია მცირე ხელსართავი. სრულდება I პოზიციაში.



სურ. 37

ა მდგომარეობა – ხელები ნებით ქვევით.

ბ მდგომარეობა – ხელების ნებით ზევით შებრუნება.

გ მდგომარეობა – ორივე ხელის ნების შიგნით მოქცევა.

დ მდგომარეობა – თითების შიგნით მიმართება.

ე მდგომარეობა– თითების დაბლა დაშვება.

ვ მდგომარეობა – ორივე ხელის ნების საწყისი მდგომარეობა.

თუ ყველა მდგომარეობას ერთიმეორეს გადავაბამთ, მივიღებთ მთლიან მოძრაობას – ხელის თითები წრეს შემოხაზავს. მაგრამ წრის შემოხაზვა შეიძლებოდა სხვა მიმართულებითაც – უკუღმა. ამ შემთხვევაში თანმიმდევრობა ასეთი იქნებოდა: ვ, ე, დ, გ, ბ, ა.

ამრიგად, მკლავების I პოზიციაში სართავების შესრულება შეიძლება თითების მოძრაობით ზემიმართულებით (ზესართი) და ქვემიმართულებით (ქვესართი).

ხელსართავების შესრულება *სამთიულურო* მდგომარეობიდან:



სურ. 38

ა – საწყისი მდგომარეობა.

ბ – მკლავები ქვედაქნევით დაბლა.

გ – ქვედაქნევის შემდეგ მკლავების ქვეგანმკლავში გაშლა.

დ – მკლავების სართავებით I პოზიციისთვის მომზადება.

ე – მკლავების I პოზიცია – სართავები ჯერ არ დასრულებულა.

ვ – მკლავების I პოზიციის ოდნავ აცილება – სართავები დამთავრდა.

ზ – მკლავების ქვედაქნევით მოძრაობა, ისევ *სამთიულურო* მდგომარეობა, ოღონდ წინ მარცხენა მკლავია. (სურ. 38).

ე-დან *სამთიულურო* მდგომარეობაში დასაბრუნებლად გამოიყენება არა სრული ხელსართავი, არამედ მცირე სართავი.

ხელსართავების დეტალიზაცია:

1. სრული ხელსართავისას თითები მთელ წრეს შემოხაზავს.
2. ნახევარსართავისას – ნახევარწრეს ან რკალს.
3. მცირე სართავისას მხოლოდ მაჯის სახსარი მოძრაობს. თითები წრეს ან რკალს კი არ შემოხაზავს, არამედ ნების ან ხელის ზურგის მიმართულებით მოძრაობს (სურ. 39-ა - ბ).

სურ. 39 -ა



სურ. 39 -ბ

მთიულურ ცეკვებში ხშირად რომელიმე მდგომარეობიდან ან მოძრაობიდან მკლავები IV პოზიციაში (ირმულში) გადადის. ხელსართავები პოზიციაში მისვლამდე სრულდება. თუ მაღალი, IV პოზიცია, მკლავგაშლილი მდგომარეობიდან მიიღება, ხელსართავები შიგმიმართულებით სრულდება (სურ. 40-ა).

თუ IV პოზიციიდან მკლავები განზე უნდა გადაიშალოს, ხელსართავები გარემიმართულებით (ნეკის გადაცილებით) შესრულდება (სურ. 40-ბ).

სურათი 40-გ გვიჩვენებს მოძრაობის მიმართულებას შიგრკალების ან შიგწრეების შესრულებისას.



ა ბ გ

სურ. 40

საერთოდ, წესადაა მიღებული, რომ ვაჟები ხელსართავებს ნახევრად მომუჭული ხელებით ასრულებენ, ხშირად თითებით ჩოხის სახელოების ნაწიბური უჭირავთ; ქალები – თავისუფლად გაშლილი თითებით.

თუ მკლავები I პოზიციის დაბლა, სხეულის ახლოსაა, ხელსართავები გარე და შიგმიმართულებით სრულდება.

გარეხელსართავები ნეკის გადაცილებით შესრულდება, შიგსართავები – დიდი თითის გადაცილებით (სურ. 41).



სურ.41

მკლავების უკუმკლავიდან წინმიმართულებით მოძრაობისას ხელსართავები შიგნით სრულდება – დიდი თითის გადაცილებით, ქვეწინმკლავიდან უკუმკლავისაკენ – გარეთ ნეკის გადაცილებით (იხ. სურ. 42-ა, ბ).



სურ. 42-ა



სურ. 42-ბ

IV პოზიციიდან მკლავები განზე გარეხელსართავებით გადაიშლება, გარეგაშლილი მკლავებიდან IV პოზიციას კი სართავებით დაიკავებს.

სვლა

მთიულური ცეკვები მდიდარია სვლებით. თითოეულ სვლას თავისი დამახასიათებელი სტილი და მანერა აქვს, მათი ერთიმეორეში აღრევა კი ცეკვას ამახინჯებს, უკარგავს შინაარსს, ელფერს, მთლიანობას, ხელს უშლის მაყურებელს ცეკვის სწორად აღქმაში.

ხშირად ერთ ცეკვაში სხვადასხვა სვლის გამოყენება ზოგჯერ აუცილებელიც კია, მაგრამ ყოველ სვლას შესაფერისი ადგილი უნდა მოვუძებნოთ, შევუფარდოთ ცეკვის შინაარსს, დავიცვათ ცეკვისათვის დამახასიათებელი სტილი ცეკვის ნახაზსა და თვით ილეთების შესრულებაშიც. მაგალითად, *ცერულში* შეუფერებელი იქნება *სრიალა* და *ჭდომილი სვლების* გამოყენება, რადგან ისინი არაა ამ ცეკვისათვის დამახასიათებელი ილეთები, ეწინააღმდეგება მის ბუნებას და ამახინჯებს ცეკვას. *ცერულში* იხმარება ამ ცეკვის ორგანული ნაწილი – *მუხლური, ქუსლური* და *ტერფულა* სვლები. ეს ილეთები უხდება, აფერადებს და ალამაზებს მას. ამრიგად, თითოეულ მთიულურ ცეკვას თავისი შესაფერისი სვლები აქვს და მათი სწორად შერჩევა და გამოყენება განსაკუთრებით ყურადსაღებია. ქვემოთ აღწერილია სვლები იმ თანმიმდევრობით, რომელიც უფრო მოსახერხებელია მასალის შესწავლა-შეთვისებისათვის. ილეთების ტექნოლოგიის განმარტების შემდეგ აღნიშნულია, რომელი სვლა რომელ ცეკვაში და რა სახით გამოიყენება.

თითოეულ სვლას თავისი სახელწოდება აქვს.

წინსვლა

1. მუხლური
2. მუხლური ზეხტომით
3. მუხლური ტერფმოქნევით
4. მუხლური ზეხტომით და ტერფმოქნევით
5. ფრენმუხლური (ან მაღალი მუხლური)
6. რთულა
7. განიერი რთულა
8. მოკლე რთულა (ან ცაცუნა)
9. ირიბი რთულა
10. ჭდომილი
11. ჭდომ-ხტომილა
12. ქრიალა
13. ნიავადი
14. გლუსუნა
15. ჩაკვრით წინსვლა
16. ცერებზე წინსვლა
17. ქუსლური
18. ერგცერებზე სვლა

ადგილზე სვლა
1. სამდაკვრითი
2. ორდაკვრითი

გვერდზე სვლა:
1. ფეხჭდომილი
2. ხლართულ-ფეხჭდომილი
3. რხევით

უკუსვლა:
1. ორდაკვრითი
2. სამდაკვრითი
3. ქუსლდაკვრითი (მოხეური)
4. ფეხჭდომილი
5. ცერებზე უკუსვლა

შენიშვნა: თითოეულ ილეთს (სვლებსა თუ სხვა სახის ილეთებს) მხოლოდ ცალ მხარეს აღვწერთ – მარჯვენა ფეხიდან; იგულისხმება: იგივე ილეთი მეორე მხარეს (მარცხენა ფეხით) იმავე წესით შესრულდება.

წინსვლა

მუხლურა სვლა

მუხლური სვლა რამდენიმე სახისაა და ყოველი მათგანი ვაჟური ილეთია, ქალები მთიულურ ცეკვებში, მათ არ იყენებენ.

მუხლური სვლა მთიულურ ცეკვებში როგორც დასაწყისში, ასევე ცეკვის მსვლელობისას იხმარება. ეს დამოკიდებულია ცეკვის ნახაზსა, ხასიათსა და შინაარსზე.

სადა მუხლურა სვლა

საწყისი მდგომარეობა: ფეხები – I პოზიცია (შეტყუპებული), მკლავები – თავისუფლად დაშვებული.

მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8 (ორივე დაითვლება ორზე).

ერთი – მარჯვენა ფეხით ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ, უკან ჩამორჩენილი მარცხენის ერგცერით იატაკს მიკარება. სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე.

ორი – მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვით წინ ისე გადატანა, რომ ცერი დაბლა იყოს მიმართული, ნახევარი ტერფით იატაკიდან დაშორებული და საყრდენი ფეხის ოდნავ წინ. საყრდენი ფეხის (მარჯვენის) ოდნავი ზეხტომითა და გასრიალებით ნახევარი ტერფით წინ წაწევა.

როგორ მოძრაობს ამ დროს მკლავები?

მარჯვენა ფეხით წინ ნაბიჯის გადადგმისას, ტაქტის მეორე თვლაზე მარჯვენა მკლავი ქვევიდან ზევით მოძრაობს –. მარჯვენა მკლავი მოიღუნება და ხელის მტევნით გაჩერდება ქამრის წინ ერთი ციდას დაშორებით, მარცხენა მკლავი კი თავისუფალი გაქნევით უკან მოძრაობს. ორივე ხელის თითები ოდნავ მოღუნულია.

სურ. 43

მარცხენა ფეხით წინ ნაბიჯის გადადგმისას, მეორე თვლაზე წინ – ზევით მარცხენა მკლავი მოძრაობს, მარჯვენა – უკან მიმართულებით (სურ. 43).

საერთოდ, თითოეულ ტაქტში თვლა **ერთი** – მკლავები ქვევით მოძრაობს, **ორი** – ქვევიდან ზევით.

მუხლური ილეთისას ოდნავი ზეხტომი მსუბუქად და უბიძგოდ სრულდება, ნაბიჯი წინ კი (**ერთი**) ფეხის ქუსლიდან ტერფზე გადაგორებით.

ილეთის კარგად შესწავლა-შეთვისების შემდეგ შეიძლება, მოძრაობა **ერთ** თვლაზე შესრულდეს – თითოეული ტაქტი დაითვლება ასე: **ერთი-და** ან **ერთი**.

აღწერილი ილეთი უმეტესად *მთიულურში, მოხეურში, მთიულურ-დავლურში* და *ცერულში* იხმარება.

მუხლურა ზეხტომით

მუხლური სვლა ზეხტომით იმავე წესით სრულდება, როგორც *სადა მუხლური*, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტაქტის მეორე ნახევარში, *ორზე* ემატება ზეხტომი – მოცეკვავე ერთ წამს ორივე ფეხით იმყოფება ჰაერში.

მკლავები ქვევიდან ზევით მიმართულებისას უფრო ენერგიულად მოძრაობს.

ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ მოძრაობა (ილეთი) ერთ თვლაზე შესრულდება – თითოეული ტაქტი ზომით 2/4 დაითვლება **ერთზე** (სურ. 44).

საწყ. მდგ ერთი ორი

სურ. 44

ამ ილეთის შესრულებისას ზეხტომი უნდა გამახვილდეს თავის ოდნავი ზეაქნევით. ზეხტომისას წელი გამართულია. თვით ზეხტომი რბილად და მსუბუქად სრულდება. დახტომისას იატაკს ჯერ ფეხის ერგცერი შეეხება, შემდეგ – ტერფი. დრეკადობისათვის ფეხების მუხლებში ოდნავ მოღუნვა დახტომს არბილებს და ამსუბუქებს.

მკლავების მდგომარეობა და მოძრაობა ისეთივეა, როგორიც *სადა მუხლურის* დროს.

აღწერილი ილეთი იხმარება: *მთიულურში, ცერულში, მოხეურში, მხედრულში, აფხაზურში, მწყემსურში* და სხვ.

მუხლური ტერფმოქნევით

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – I პოზიცია, ხელი – თავისუფლად ჩამოშვებული.

მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი მსუბუქი ნაბიჯი წინ.

და – მუხლში გამართული მარცხენა ფეხის წინ გატანა და ნახევარი ტერფით იატაკს მოშორება.

ორი – მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა, ტერფის საყრდენი ფეხის შვეულ ხაზზე მიტანა და ცერით დაბლა მიმართვა, საყრდენ ფეხზე ოდნავი სრიალა წახტომი.

და – მარცხენა ფეხის მუხლში გაშლა და შემდეგ ტაქტში ილეთის დაწყება იმავე წესით, როგორც ეს აღწერილი იყო მარჯვენა ფეხისათვის (სურ. 45).

ერთი და ორი და

სურ. 45

ამ ილეთის შესრულებისას წინ გატანილი ფეხი ისე უნდა მოიღუნოს და გაიშალოს, რომ ფეხის ნაწილი მუხლის სახსრიდან თეძოს სახსრამდე აწევ-დაწევით არ იცვლიდეს მდგომარეობას. მკლავები ისევე თავისუფლად მოძრაობს, როგორც *სადა მუხლური სვლისას.*

ამ ილეთის დანაწილებით კარგად შესწავლის შემდეგ ჯერ ორ თვლაზე შესრულდება გადაბმულად (**ერთი** – ნაბიჯი და თავისუფალი ფეხის წინ გატანა, **ორი** – თავისუფალი ფეხის მუხლში მოხრა და გაშლა), მერე კი ერთ თვლაზე, თითოეული ტაქტი ზომით 2/4, დაითვლება ერთზე.

მუხლური სვლა ზეხტომით და ტერფმოქნევით

ეს სვლა მხოლოდ იმით გამოირჩევა ზემოაღწერილისაგან, რომ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ შესრულდება ზეხტომი, რომლის დროსაც თავისუფალი ფეხი მოიღუნება და დახტომასთან ერთად კვლავ წინ გაიშლება.

ყოველი ტაქტის დასაწყისში მკლავების მოძრაობა ენერგიულია და ზეხტომს ეხმარება.

ფრენმუხლური ან მუხლური რბენზეხტომით

საწყისი მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც ზემოაღწერილი ილეთისათვის. ილეთი ორტაქტიანია. მუსიკალური ზომა 2/4.

ორი ნაბიჯის წინ გადადგმა, *მუხლური სვლა* ზეხტომით და ტერფმოქნევით:

ერთი-და – ორი ნაბიჯი წინ რბენისებურად.

ორი-და – მუხლური ზეხტომით და ტერფმოქნევით.

ამ ილეთის შესრულებისას მკლავების მოძრაობა ენერგიულია – ზევით მიმართულებით. წინ – ზევით აქნეული ხელის მტევანი თითქმის სახის სიმაღლემდე ადის, მეორე მკლავი კი უკან გაიქნევა. ზეხტომისას მკლავებმა შეიძლება სხვადასხვა მდგომარეობა მიიღოს (სურ 46, 46-ა).

და ორი

სურ. 46

სურ. 46-ა

მუხლური სვლების სწავლებისას საჭიროა ზემომოყვანილი თანამიმდევრობის დაცვა – ფრენისას თავი ზევით ზომიერად აწეული.

მუხლური სვლები იხმარება თითქმის ყველა სახის მთიულურ ცეკვაში, უმთავრესად კი აფხაზურ-მთიულურში, რის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ.

მუხლური სვლები ხშირად სხვა სახის სვლებშიცაა ჩართული.

რთულა წინსვლა

რთულა წინსვლა სრიალა ილეთთა ჯგუფს ეკუთვნის, იგი ცეკვის შინაარსის, ხასიათისა და ნახაზის მიხედვით სხვადასხვა დროს იხმარება. ამისდა მიხედვით რთულა წინსვლა სხვადასხვა სახისაა: *ჩვეულებრივი, მოკლე, განიერი, ირიბი, ცაცუნა* და სხვ. აღვწერთ თითოეულ მათგანს.

რთულა წინსვლა ჩვეულებრივი

საწყისი მდგომარეობა: ფეხები – I პოზიცია, მკლავები – III პოზიცია (ან სამთიულურო).

მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით წინ ერთი ნაბიჯი ფეხის ქუსლიდან მთელ ტერფზე გადაგორებით, მარცხენა ფეხი უკან და ერგცერით იატაკს შეხება, სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე.

და – მარცხენა ფეხი, ერგცერის იატაკიდან მოუშორებლად, სრიალით და მუხლის სახსარში მოღუნვით, ნახევარი ნაბიჯით წინ, სხულის სიმძიმე მთლიანად მარცხენა ფეხზე.

ორი – მარჯვენა ფეხის, ტერფის აუღებლად, სრიალით მარცხენისაკენ მიწევა და მის მარჯვნივ 1 სმ. დაშორებით შეჩერება. მარჯვენა ცერი თითქმის ერთ ხაზზე მარცხენის ცერთან.

და – ყოვნა.

ახალი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით ისევე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.



ერთი და ორი

სურ.47ა

ერთი და ორი

სურ. 47-ბ

ამრიგად, ილეთის პირველი მოძრაობა სრულდება თვლა **ერთი**, მეორე და მესამე – **ორი** (სურ. 47ა – 47ბ).

ამ ილეთის დანაწილებით შესაფერისად შეთვისების შემდეგ ილეთი შესრულდება **ერთი-ორი**, შემდეგ კი **ერთი** ე.ი. თითოეული ტაქტი ერთზე დაითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ქალები *რთულა წინსვლას* ამავე წესით შეისწავლიან და შეასრულებენ. ყოველგვარი ბიძგური მოძრაობა, ზევით-ქვევით აწევ-დაწევა ან ხტომითი სვლა დაუშვებელია. სვლა რბილად, სრიალით და ნარნარით უნდა სრულდებოდეს.

ამ ილეთის შესრულებისას მკლავების მდგომარეობა-მოძრაობანი სვლასთან ერთად შეისწავლება.

ვაჟთათვის:

1. თავისუფლად დაშვებული (იხ. სურ. 10).
2. ცალი ხელი ხანჯლის ტარზე, მეორე – დოინჯი (იხ. სურ. 11).
3. ხელები ხანჯალზე (სურ. 12).
4. ხელის ცერები ქამარში (სურ. 13).
5. ხელები ჭდომილად ქამრის წინ (სურ. 14).
6. მოხეური დაბალი (სურ. 15).
7. ორივე მკლავი ქვევით და ცალმხარეზე დაქანებული (სურ. 16).
8. მკერდდახურული (სამთიულურო) (სურ. 17).
9. მოხეური (სურ. 18).
10. ცალმკლავდაქანებული ან დაშვებული (სურ. 19).
11. გვერდული იდაყვდაქანებული (ერთ მხარეს) (სურ. 20).
12. განგაშლილი (სურ. 21).
13. ცალმხარდახურული (სურ. 22).
14. ცალიდაყვგადაშლილი (თითები კეფაზე) (სურ. 23).
15. ცალიდაყვგადაშლილი (თითები კეფაზე, მეორე მკლავი წელს უკან) (სურ. 24).
16. შვილდურა (სურ. 25).
17. იდაყვებგაშლილი თითები კეფაზე (სურ. 26).
18. ცალიდაყვზეაწეული (სურ. 27).
19. ირიბი განმკლავი (სურ. 28).
20. ახდილი (ცალმკლავამართული) (სურ. 29).
21. ირმულა (მაღალი) (სურ. 30).

ქალთათვის:

1. მკერდდახურული (სამთიულურო) (სურ. 31).
2. იდაყვებდაშვებული, გვერდულა (სურ. 32).
3. იდაყვებგადაშლილი (თითები კეფაზე) (სურ. 33).
4. საქრიალო (სურ. 34).
5. წინამხარამართული (სურ. 35).
6. ირიბგანმკლავი (სურ. 36).

რთულა სვლისას მკლავების მდგომარეობა-მოძრაობანი შეიძლება საჭიროებისამებრ ერთმანეთს შეენაცვლონ.

მკლავების ჩამოთვლილი მდგომარეობა-მოძრაობანი მრავალი სხვა ილეთების შესრულების დროსაც გვხვდება. ამის შესახებ თავის ადგილას შევჩერდებით და განვმარტავთ.

განიერი რთულა

ეს ილეთი წინააღწერილი ილეთისაგან იმით განსხვავდება, რომ თითოეულ ტაქტში მესამე მოძრაობა – მარჯვენა ფეხი მარცხენასთან ახლოს კი არ მიიდგმება, არამედ მცირედით წინ წაიწევა ისე, რომ მარჯვენა და მარცხენა ტერფებს შორის ერთი ტერფის მანძილი დარჩეს. მეორე მოძრაობა: მარცხენა ფეხი გასრიალებით კი არ გადაიდგმება წინ, არამედ ჰაერიდან ერგცერზე დადგმით (სურ 48).

განიერ რთულა წინსვლას ქალებიც ასრულებენ.

ამ ილეთის შესრულებისას მკლავები შეიძლება ისევე მოძრაობდეს ან ისეთივე მდგომარეობაში იყოს, როგორც *რთულა სვლისას*.



ერთი და ორი

სურ. 48.

მოკლე რთულა (ან ცაცუნა სვლა)

მთიულურ ცეკვებში ორნაირი სახის *მოკლე რთულა* არსებობს. პირველი ერგცერებზე სვლით სრულდება.

საწყისი მდგომარეობა: ერგცერებზე დგომი – I პოზიცია. მკლავები – შეკრულად წელს უკან (ან გვერდულ და იდაყვებდაქანებულად). მუსიკალური ზომა 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხი წინ ტერფის სიგრძეზე ისე, რომ მოძრაობის დამთავრებისას ორივე ფეხი II პოზიციაში – ერგცერებზე დადგეს.

ორი – მარცხენა ფეხის ნახევარი ტერფით გაუსრიალებლად წინ გადადგმა (ისევ ნახევარ ცერებზე დგომი).

და – მარჯვენა ფეხის ერგცერზე გასრიალებით, მარცხენა ქუსლის ხაზს გადაუცილებლად, ოდნავ წინ გაწევა. მარცხენა ფეხის ერგცერის ოდნავ ზეაწევით იატაკს მოშორება და შემდეგი ტაქტის დასაწყებად მომზადება.

ეს ილეთი სრულდება გამართული ფეხებით, დაბალ, საშუალო ან მაღალ ერგცერებზე – მუხლის სახსრებში ოდნავ მოდუნებულად (სურ. 49).



საწყ. მდგ. ერთი ორი და

სურ. 49

მკლავების მდგომარეობა ან მოძრაობა იგივეა, როგორიც *რთულა წინსვლისას*. სხვა მდგომარეობის ან მოძრაობის შერჩევა დამოკიდებულია ცეკვის ხასიათზე, შინაარსზე და სვლის კვალის მოხაზულობაზე.

სურ. 49-ა

მოკლე რთულა სვლის მეორე ვარიანტში სვლა ერგცერებზე არ სრულდება.

ერთი-და – მარჯვენა ფეხის წინ გადადგმა და იატაკს მთელი ტერფით შეხება.

ორი – მარცხენა ფეხის წინ გადადგმა, მუხლში მოღუნვა და იატაკს ერგცერით შეხება.

და – მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით იატაკს შეხებით ოდნავ წინ წასრიალება (სურ. 49-ა).

მოკლე რთულა სვლის მეორე ვარიანტის შესრულებისას დასაშვებია ზეტანის ოდნავი განზე რხევა (გადაქან-გადმოქანება), თუ ამას ცეკვის სტილი მოითხოვს.

მკლავების მდგომარეობა ან მოძრაობა – როგორც *რთულა სვლისას*. ამ ილეთს ქალებიც ასრულებენ.

ირიბი რთულა

საწყისი მდგომარეობა: ფეხები და მკლავები – III პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ ოდნავ ირიბად (მარჯვნივ), უკან ჩამორჩენილი მარცხენა ფეხის იატაკს ერგცერით შეხება.

ორი – მუხლში ოდნავ მოღუნული მარცხენა ფეხის წინ ისე გადადგმა, რომ ერგცერით არ გასრიალდეს – ჰაერიდან მარჯვენა ფეხის ცერის წინ ნახევარი ტერფის სიგრძეზე მოექცეს და იატაკს ერგცერით შეეხოს.

და – მარჯვენა ფეხის ტერფზე გასრიალებით ოდნავ წინ ისე წაწევა, რომ მარცხენას ნახევარი ტერფის სიგრძეზე მეტად არ მიუახლოვდეს.

მეორე ტაქტი მარცხენა ფეხით დაიწყება, როგორც ეს აღწერილი იყო მარჯვენა ფეხისათვის, მხოლოდ იგი წინ გადაიდგმება ოდნავ ირიბად არა მარჯვნივ, არამედ მარცხნივ.

ამ ილეთის შესრულებისას ზეტანი განზე ქანაობს: ტაქტის მარჯვენა ფეხით დაწყებისას მარცხნივ გადაექანება, მარცხენათი დაწყებისას – მარჯვნივ.

ზეტანი მარჯვნივ და მარცხნივ ნარნარად უნდა გადაექანოს (სურ. 50).

მკლავების მდგომარეობა ან მოძრაობა – როგორიც *რთულა წინსვლისას. ირიბ რთულა სვლას* ქალებიც ასრულებენ ზემოაღწერილი წესით, მხოლოდ უფრო რბილად.

ვაჟისა და ქალისათვის ბიძგური მოძრაობა ან ზევით-ქვევით აწევ-დაწევა დაუშვებელია.

ერთი ორი და

სურ. 50

ჭდომილი წინსვლა

ჭდომილი წინსვლა მთიულური ცეკვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ილეთია – ორტაქტიანი და დანაწილებით შეისწავლება: ჯერ ფეხებით, შემდეგ – მკლავებით და ბოლოს – შეერთებულად.

საწყისი მდგომარეობა: ფეხები – **III** პოზიცია, მკლავები წელს უკან შეკრულად ან განგაშლილი.

მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8.

ერთი – ზეტანის ოდნავ მარცხნივ შებრუნებით მარჯვენა ფეხით განიერი ნაბიჯი სვლის მიმართულებით და ორივე მუხლის ოდნავ მოღუნვით ნახევარი ბუქნი (მუხლები გარეთაა მიმართული), სახე სვლის მიმართულებით.

ორი – ერგბუქნის მდგომარეობის შეუცვლელად მარცხენა ფეხის უკნიდან მარჯვენასთან მიდგმა.

მეორე ტაქტი – **ერთი** – სვლის მიმართულებით მარჯვენა ფეხით სრული ნაბიჯი წინ, მერე ფეხის მუხლში გამართვა და იატაკს წინწაუწევლად მოშორება. ზეტანი გულ-მკერდით სვლის მიმართულებით.

ორი – მუხლში ოდნავ მოღუნული მარჯვენა ფეხით სვლის მიმართულებით სრიალა წახტომი ნახევარი ტერფით, მარცხენა ფეხის კოჭის წინა ნაწილით მარჯვენის წვივს შეხება. ზეტანის ოდნავ მარჯვნივ შებრუნება.

საწყ. მდგ. ერთი ორი ერთი ორი

სურ. 51

მკლავების მოძრაობა:

I ტაქტი

ერთი და **ორი** – მარჯვენა მკლავი I პოზიციიდან ქვედაქნევით წინამხრით გულ-მკერდის წინ, მარცხენა – ქვედაქნევით წელშეუხებლად წელს უკან (სურ. 51).

II ტაქტი

ერთი და **ორი** – ქვეგაქნევით ორივე მკლავის განზე გაშლა და მოძრაობის სართავებით დამთავრება.

ამ ილეთის შესრულებისას ზეტანი მარცხნივ და მარჯვნივ მოძრაობს; მარცხნივ, თუ წინ მარჯვენა ფეხია, მარჯვნივ – მარცხენის წინ გასატანად მომზადებისას ან ნაბიჯის წინ გადადგმისას.

მთიულურ ცეკვებში ჭდომილ წინსვლას ქალები იშვიათად ასრულებენ, ისიც არა ერგბუქნით, არამედ თითქმის ფეხგამართულად.

ჭდომილი წინსვლისას ზეტანი წინ არ უნდა იზნიქებოდეს.

ჭდომილი წინსვლის კარგად შეთვისების შემდეგ თითოეული ტაქტი **ერთზე** დაითვლება.

ჭდომ-ხტომილა წინსვლა

ჭდომხტომილა ილეთიც ორტაქტიანია და დანაწილებით ისწავლება. *ჭდომილა წინსვლის* დარად ისიც ოთხმოძრაობიანია.

საწყისი მდგომარეობა: ფეხები – III პოზიცია, მკლავები – I პოზიცია, სახე – პირდაპირ. მუსიკალური ზომა – 2/4. ილეთი ორტაქტიანია.

გარე ტაქტი **და** – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის წინ ისე აწევა, რომ ტერფი იატაკს მოშორდეს ნახევარი ან მთელი ტერფის სიგრძეზე.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხზე წინხტომი ნახევარი ნაბიჯით, მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა და კოჭით მარჯვენა ფეხის წვივს შეხება. სხეულის სიმძიმის მთლიანად მარჯვენა ფეხს დაყრდნობა. მარცხენა ფეხის ცერის დაბლა მიმართვა. მკლავები ქვედაქნევით სამთიულურო პოზიციაში: მარჯვენა მკლავი ქვედაქნევით წინამხრით გულ-მკერდის წინ თარაზულ მდგომარეობაში, მარცხენა – ქვედაქნევით წელშეუხებლად წელს უკან (სურ. 52), ხელის თითები მსუბუქად მომუჭულია (ვაჟთათვის). ზეტანის ოდნავ მარცხნივ შებრუნება.

ორი – მარჯვენა ფეხის ზეხტომით მუხლში გამართვა, იატაკს მოცილება და წინ გაწევა. მუხლში ოდნავ მოღუნულ მარცხენა ფეხზე დახტომა. მკლავების ქვედაქნევისათვის ოდნავ ქვევით დაწევით მომზადება.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის ტერფზე წახტომით ადგილის შეცვლა წინ. მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ენერგიულად კვლავ გაშლა. ქვედაქნევით მკლავების განგაშლილი მდგომარეობა. ზეტანის მარჯვნივ შებრუნება.

II ტაქტი

ორი – ზეხტომით და ოდნავ წინ წაწევით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: სხეულის მარჯვენა ფეხს დაყრდნობა, მუხლში გამართული მარცხენის იატაკს მოცილება და წინ აწევა. ხელებით სართავები და შემდეგი ტაქტისათვის მომზადება.

გარე ტაქტი ერთი ორი ერთი და ორი

სურ. 52

მესამე ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით ისე, როგორც ეს აღწერილი იყო მარჯვენა ფეხისათვის.

ჭდომ-ხტომილა ილეთს მთიულურ ცეკვებში ქალებიც ამავე წესით ასრულებენ, მხოლოდ უფრო დაბალი ზეხტომით, ნაზად და ნახევარცერებზე.

ეს ილეთი მხოლოდ მთიულურ ცეკვებში იხმარება. სვანურ, აფხაზურ და ფშავ-ხევსურულ ცეკვებში იგი არ გვხვდება.

ქრიალა წინსვლა

ამ სახის სვლას ვაჟებიც და ქალებიც ასრულებენ. იგი სრიალა ნაბიჯებით მხოლოდ წინ სრულდება. თითოეულ ტაქტში ორი ნაბიჯია. ყოველი ნაბიჯი ორ პოზიციას მოიცავს – პირველს და მეორეს. ილეთის შესრულებისას ცერები წინაა მიმართული. ერგცერები, წელი გამართულია, სხეული ოდნავ წინ დაქანებული. მიუხედავად იმისა, სწრაფ თუ ნელ ტემპში სრულდება ილეთი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოცეკვავე მიქრის. ქალის მკლავები ამ სვლისას ძირს და უკან, სხეულისაგან ოდნავ გარეთაა (გარეუკუმკლავი) მიმართული, ხელების ნები – წინ, თავი ამაყად აწეული. *ქრიალა სვლისას* ვაჟები მკლავებს დინჯად ამოძრავებენ უკუმკლავსა და ქვეგანმკლავში: წინ გატანილი ცალი მკლავის იდაყვის სახსარში ოდნავ მოღუნვა, მაგრამ ქამრის სიმაღლემდე არ ატანა, უკან ჩამორჩენილი მეორე მკლავის იდაყვის სახსარში მცირედ მოღუნვა და წელს უკან გაწევა. წინ მდებარე ხელის მტევნის ზურგით ზევით მიმართვა, წელს უკანასი – ნებით უკან. მკლავების მდგომარეობა იცვლება ხელსართავებით.

ფეხების მოძრაობა *ქრიალა სვლისას*

საწყისი მდგომარეობა: ერგცერებზე დგომი – I პოზიცია, მკლავები თავისუფლად დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ქალთათვის:

ერთი – სვლის დასაწყებად, წელგამართული სხეულის ოდნავ წინ დაქანებასთან ერთად, მუხლის სახსარში მოდუნებული მარჯვენა ფეხის აწევა ნაბიჯის წინ გადასადგმელად, ნაბიჯის პირველი-ნახევრის ჰაერში გავლა, მეორე-ნახევრის გასრიალებით. ზეტანის წინ წაწევისთანავე მკლავების სხეულს ჩამორჩენა და გარეთ ისე შებრუნება, რომ ორივე ხელის ნები წინ მოექცეს.

ორი – ამავე წესით მარცხენა ფეხით წინ ერთი ნაბიჯის გადადგმა. მკლავები რჩება წინა თვლაზე მიღებულ მდგომარეობაში (სურ. 53ა).

საწყ. მდგ. ერთი ორი

სურ. 53ა

ვაჟთათვის:

ვაჟები სვლას ამავე წესით ასრულებენ, მხოლოდ მათი ყოველი ორი ტაქტის შემდეგ მკლავების მდგომარეობა დინჯი მოძრაობით შეიცვლება, როგორც ზემოთ იყო აღწერილი და ნაჩვენებია 53ბ სურათზე.



სურ. 53ბ

სვლისას დაუშვებელია ბიძგური მოძრაობა, ზევით-ქვევით აწევ-დაწევა. შემსრულებელი მიცურავს, მიქრის.

ქრიალა სვლა მეტწილად *მთიულურ-დავლურში, ქალთა მთიულურში* და მოხეურ ცეკვებშია მიღებული.

ქრიალა სვლა ზოგჯერ ნაზი და წყნარი, ზოგჯერ ძლიერი და ჩქარი განსაკუთრებული სისწორით შესრულებას მოითხოვს, რათა სილამაზე და მოხდენილობა შეინარჩუნოს.

ცეკვაში *ქრიალა სვლა* შესაფერის ადგილზე უნდა შესრულდეს. წრეშემოვლის ნახაზში იგი უფრო იგებს, ვიდრე მოკლე სწორი გეზით. ამ ილეთით სვლის მიმართულება განიერი შემოხვევით უნდა შეიცვალოს და არა კუთხური ტეხილი ხაზით.

ამ ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ შესაძლებელია, ორი ნაბიჯი **ერთზე** დაითვალოს.

ნიავადი სვლა

ნიავადი სვლა დინჯი და ნარნარი ტემპის ილეთთა ჯგუფს ეკუთვნის. ქალებიც და ვაჟებიც ამ სვლას მაღალ ერგცერებზე ასრულებენ.

საწყისი მდგომარეობა: მაღალი ერგცერები – I პოზიცია, მკლავები თავისუფლად დაშვებული (შესაძლებელია III პოზიციასა ან გვერდულაში). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხის წინ გადადგმა ისეთ მანძილზე, რომ ფეხის ქუსლი უკან დარჩენილი ფეხის ცერს ნახევარი ტერფით დაშორდეს.

ორი – მარცხენა ფეხის წინ გადადგმა ისეთ მანძილზე, რომ ქუსლი მარჯვენა ფეხის ცერის ხაზზე და მის მარცხნივ მოექცეს.

და – მარჯვენა ფეხის სრიალით ოდნავ წინ ისე წაწევა, რომ ცერით მარცხენა ფეხის ტერფის შუა ნაწილის ხაზზე მოექცეს (სურ 54).

შემდეგი ტაქტი მარცხენა ფეხით იწყება ზემოაღწერილი წესით. ვაჟები დაშვებულ მკლავებს ოდნავ ამოძრავებენ ან გვერდულად უჭირავთ, ასევე ქალებსაც.



სურ. 54

ეს ილეთი დამახასიათებელია მთიულურ-დავლურისა და მოხეური ნელი ცეკვებისათვის. სვლის მიმართულება რკალგვარი შემობრუნებით ან წრეშომოვლით იცვლება. შებრუნების ან შემოვლის მხარეს სხეული ოდნავ დაქანებულია.

ჩაკვრით სვლა

ჩაკვრით სვლა ვაჟური ილეთია. წინწადგმულ ნაბიჯს მისდევს რომელიმე სახის ჩაკვრა, უფრო ხშირად ჩაკვრის ორი ვარიანტი.

პირველი:

საწყისი მდგომარეობა: ფეხები – I პოზიცია, ხელი – თავისუფლად დაშვებული.

მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ, უკან დარჩენილი მარცხენა ერგცერით იატაკს ეხება. მომუჭული ხელებით მკლავების ოდნავ განზე გაწევა (ქვეგანმკლავი).

ორი – მარჯვენა ფეხის მუხლში რბილად მოღუნვა და ტერფის მთელ სიბრტყეზე წახტომით და ოდნავ სრიალით წინ წაწევა. მუხლში მოღუნული მარცხენა ფეხის (მუხლი გარეთ მიმართული) ცერით იატაკს და მარჯვენა ქუსლს უკანა მხრიდან შეხება. მარცხენა ფეხის ტერფის შვეულად მარჯვნივ მიდგმა (სურ. 55).

მარჯვენა მკლავის უფრო მეტად მოღუნვა იდაყვის სახსარში და წინ – ზევით ისე აწევა, რომ წინამხარი გულ-მკერდის წინ სხეულის შეუხებლად (იატაკის პარალელურად) იყოს. მარცხენა მკლავის, ნახევრად მომუჭული ხელის თითებით, წელშეუხებლად წელს უკან მოქცევა. შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით ზემომოყვანილი წესით. ეს მოძრაობა მახვილდება ტაქტის მეორე ნახევარში.



სურ. 55

მეორე:

საწყისი მდგომარეობა: ფეხი და ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. მოძრაობა ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ, უკან დარჩენილი მარცხენის ერგცერით იატაკს შეხება. მკლავების ოდნავ ქვედაწევა, როგორც პირველ ვარიანტში.

ორი – მარჯვენა ფეხის მუხლში რბილად მოღუნვა და ოდნავი წახტომით ტერფის მთელი სიბრტყით წინ წასრიალება. მუხლში მოღუნული (მუხლი გარეთ მიმართული) მარცხენა ფეხის ცერით იატაკს და მარჯვენა ქუსლს უკანა მხრიდან შეხება. მარცხენა ფეხის ტერფის შვეულად მარჯვნივ მიდგმა. მარჯვენა მკლავის იდაყვში მოღუნვა, ქვედაქნევით წინ – ზევით აწევა და წინამხრით გულ-მკერდის წინ მოქცევა; წინამხარი იატაკის პარალელურადაა და გულ-მკერდს არ ეხება. მარცხენა მკლავი, ნახევრად მომუჭული ხელის თითებით, წელს უკან წელშეუხებლად ქამრის სიმაღლეზე.

II ტაქტი

ერთი – ოდნავი ზეხტომით მარჯვენა ფეხის გათავისუფლება და მუხლში გამართული ზეაწევა (წინ – ზევით), მარცხენა ფეხის ოდნავ წინ წაწევით მარჯვენის საყრდენი ადგილის დაჭერა. სხეულის სიმძიმე მარცხენაზე. მკლავების ქვედაქნევით ოდნავ განზე გაშლა.

ორი – ოდნავი წახტომით ფეხების მდგომარეობის შეცვლა. სართავებით მკლავების განზე გაშლა (სურ. 55ა).

სურ. 55ა

ამ ილეთის შესრულებისას შეიძლება მკლავების სხვა მოძრაობის ხმარებაც, რაც ცეკვის შინაარსსა და ნახაზზეა დამოკიდებული.

აღწერილი ილეთის ორივე ვარიანტი მეტწილად მთიულურ, მოხეურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

ჩაკვრით ირიბი სვლა

საწყისი მდგომარეობა: ფეხები და მკლავები – I პოზიცია. მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ ირიბად, მარცხენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება. მკლავები – განგაშლილი.

ორი – იმავე მიმართულებით მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი. ამ ტაქტის განმავლობაში მარჯვენა მკლავის ოდნავ წინ წაწევა, მარცხენასი – უკან.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა (ერგბუქნის მსგავსად) და დადგმისას ტერფით ოდნავ წინ წასრიალება. მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ტერფით იატაკს ისე აცილება, რომ ცერი იატაკს არ მოშორდეს. ამ მდგომარეობაში ცერზე გასრიალებით

მარცხენა ფეხთან მიდგმა (შეეხება ტერფის ზურგით მარცხენა ფეხს ქუსლს ზევით), მუხლის წინ და მარჯვნივ მიმართვა. ზეტანის მარცხნივ გადაზნექა, მარჯვენა მკლავის მოღუნვა – II პოზიცია, მარცხენა მკლავის ოდნავ ქვევით დაწევა, ნებით უკან შებრუნება; მარცხენა მხარის წინ წაწევა, მარჯვენასი – უკან, სახე – მარცხნივ.

ორი – ოდნავი ზეხტომით მარჯვენა ფეხის ტერფით მარცხენის ადგილის დაჭერა, მარცხენის გათავისუფლება, მუხლში გამართვა, იატაკს აშორება და მეორე მხარეს მოძრაობის დასაწყებად წინ წაწევა (სურ. 56).

საწყ. მდგ. ერთი ორი ერთი ორი

სურ. 56

მეორე მხარეს მოძრაობის დაწყებისთანავე მკლავები გაზე გაიშლება და იმოძრავებს ზემოაღწერილი წესით.

ამ ილეთის შესრულებისას მახვილიანია ყოველი მეორე ტაქტის პირველი თვლა **ერთი.**

ეს ილეთი მთიულურ, მწყემსურ, მოხეურ და მხედრულ ცეკვებში გვხვდება. ქალები *ჩაკვრით ირიბ* სვლას იშვიათად ასრულებენ, ისიც ძალიან რბილად, უერგბუქნოდ, ერგცერის და არა ცერის გასრიალებით.

კარგად შესწავლილი და შეთვისებული მოძრაობა შეიძლება დაითვალოს ორი ტაქტში ორ თვლაზე.

გლუსუნა წინსვლა

გლუსუნა წინსვლა ნარნარი ილეთია, რომელიც ერგცერებზე სრულდება. მას ქალებიც და ვაჟებიც უმეტესად ასრულებენ წრეშემოვლისას. ილეთი ორტაქტიანია.

საწყისი მდგომარეობა: მაღალი ერგცერები – I პოზიცია, მკლავები თავისუფლად დაშვებული. სხეული წელგამართული და ოდნავ წინდაქანებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

I ტაქტი

ერთი-ორი – ორი მცირე ნაბიჯი წინ (იწყებს მარჯვენა), მარჯვენა მკლავის ოდნავ წინ – შიგნით წაწევა, მარცხენის – უკუშიგნით.

II ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით მცირე ნაბიჯი წინ, მარჯვენა მკლავის აწევა წინ – ქამრის სიმაღლეზე, მარცხენის მცირედით წელს უკან წაწევა (შიგნით).

ორი – სხეულის სიმძიმით მარჯვენა ფეხზე დაყრდნობა (მაღალ ერგცერზე), მარცხენა ფეხის ტერფის წინა ნაწილის ნაზი გასრიალებით წინ წაწევა და ბოლოს იატაკს აშორება; მკლავების ოდნავ შესამჩნევად ზეაწევა (სურ. 57).

ამრიგად, მეორე ტაქტის **ორის** შემდეგ მარცხენა ფეხი მზადაა შემდეგი მოძრაობის შესასრულებლად.

შემდეგი ტაქტის პირველი თვლიდან ილეთი მარცხენა ფეხით იწყება, მკლავები ნაზად განზე გაქნევის შემდეგ ამოძრავდება, როგორც ზემოთაა აღწერილი.

ამ ილეთის შესრულებისას რამდენადაც გადიდდება ნაბიჯი, იმდენად უნდა გადიდდეს მკლავების მოძრაობაც და პირიქით. ფეხებისა და მკლავების მოძრაობას შორის ჰარმონიის ოდნავი დარღვევაც კი საგრძნობლად უცვლის ელფერს ამ ილეთს და უკარგავს სილამაზეს.

გლუსუნა სვლა ნაზად და ნარნარად ერთ სიმაღლეზე სრულდება. აწევ-დაწევა, ბიძგური მოძრაობა დაუშვებელია. სვლის შესაბამისად შესრულებისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მიცურავენ და იატაკს არც კი ეხებიან. სვლის მიმართულება აუცილებლად პლასტიკური შემობრუნება-შემოხვევით იცვლება. სხეული ოდნავ დაქანებულია შემოხვევის მხარეს.

აღწერილი ილეთი მეტწილად *მთიულურ-დავლურში*, ნაზი და ნელი რიტმის *მთიულურსა* და მოხეურ ცეკვებში იხმარება.

საწყ. მდგ. ერთი ორი ერთი ორი

სურ. 57

ქუსლური წინსვლა

საწყისი მდგომარეობა: ფეხები – I პოზიცია, ხელები ხანჯალზე ან ქამარში – წინიდან. მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი ქუსლიდან წინ (ტერფის წინა ნაწილი ზეაწეული).

და – მარცხენა ფეხის ქუსლით იატაკს აშორება და ერგცერით ტერფის სიგრძის 1/4-ზე წინ ისე გასრიალება, რომ მარჯვენა ფეხის ქუსლს არ შეეხოს – მის უკან დადგეს.

ორი – ნახევარი ტერფის სიგრძეზე წინხტომი მარჯვენა ფეხის ტერფის წინა ნაწილზე, მუხლი – მოდუნებული; მარცხენა ფეხის ზეაქნევით ნახევარი ტერფით იატაკს მოშორება (სურ. 58).

შემდეგი ტაქტი მარცხენა ფეხით იწყება მარჯვენა ფეხის მსგავსად. ქუსლური წინსვლისას გამახვილებულია ტაქტის მეორე ნახევარი – **ორი**.

ქუსლურა წინსვლა არ სრულდება მაღალი ზეხტომითა და ძლიერი ბიძგებით ეს ილეთი ამ სახით მეტწილად *ცერულსა* და, საერთოდ, სვანურ ცეკვებში იხმარება.



საწყ. მდგ. ერთი და ერთი და

სურ. 58

არსებობს მოხეური სტილის *ქუსლური სვლაც*: მოკლე ნაბიჯები ქუსლიდან დაიდგმება (გამოკვეთილად ზეაწეული ფეხის ცერით) ყოველი ტაქტის პირველ თვლაზე, მეორე თვლაზე კი – წინგადადგმული ფეხის ცერი იატაკს მკაფიოდ შეეხება და ფეხის მუხლში ოდნავ მოღუნვით ბუქნისებური მოძრაობა შესრულდება (სურ. 58).

ერთი და ორი

სურ. 58ა

ამ ილეთისათვის დამახასიათებელია ზეტანის თავისებური მობრუნება: წინ მარჯვენა ფეხის გადადგმისას – ზეტანი ოდნავ მარჯვნივ შებრუნდება და მხრები ზევით აიწევს, ხოლო წინ მარცხენის გადადგმისას – ზეტანი მარცხნივ შებრუნდება და მხრები ზევით აიწევს.

ქვევით დაშვებული მკლავები სხეულის ახლოს მოძრაობს. ფეხის ცერის იატაკს შეხებისას მკლავები ქვეჩამოიშვება, ფეხის წინ გადგმისას – ოდნავ მოღუნულად ზეაიწევა. მარჯვენა ფეხის წინ გადგმისას – წინ და ქამრის სიმაღლეზე აიწევა მარცხენა მკლავი, მარცხენის წინ გადგმისას – მარჯვენა მკლავი.

აღწერილი ილეთი მოხეურ ცეკვაში მეტწილად გამოსვლის ან წრეშემოვლის დროს გამოიყენება.

ადგილზე სვლა

მთიულურ ცეკვებში ადგილზე სვლის ილეთები უმთავრესად დროებითი შეჩერების ან ბრუნისას იხმარება. ხშირად ორდაკვრითი და სამდაკვრითი სვლა რიგრიგობით სრულდება: თუ პირველ ტაქტში ორდაკვრითი სვლაა, მეორეში – სამდაკვრითი, მესამეში ისევ ორდაკვრითი. მეოთხეში – სამდაკვრითი და ა.შ.

თუ ორდაკვრითი და სამდაკვრითი სვლა ერგცერებზე სრულდება, ქალებისა და ვაჟებისთვისაც წესი საერთოა.

სამდაკვრითი ადგილზე სვლა

საწყისი მდგომარეობა: მაღალი ერგცერები – I პოზიცია, მკლავები – სამთიულურო. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხის ერგცერის ზევით აწევა და ზევიდან დაკვრით იატაკს შეხება. მარცხენა ფეხის ერგცერის ზევით აწევა და დასაშვებად მომზადება. სხეულის სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე შეუმჩნევლად გადადის.

და – მარცხენა ფეხის ერგცერის ზევიდან დაკვრით იატაკს შეხება. მარჯვენა ფეხის ერგცერის ზევით აწევა.

ორი – მარჯვენა ფეხის ერგცერის ზევიდან დაკვრით იატაკს შეხება, მარცხენა ერგცერის ზევით აწევა.

და – ყოვნა – მარჯვენა ფეხის ერგცერზე შეჩერება, მარცხენა ერგცერის ზევით აწევა (სურ. 59).



სურ. 59

ორდაკვრითი ადგილზე სვლა

ეს ილეთი სამდაკვრითი სვლისაგან იმით განსხვავდება, რომ ყოველ ტაქტში ერგცერებით სამჯერ დაკვრის მაგივრად სრულდება ორი დაკვრა.

ორდაკვრითი ადგილზე სვლისას ზოგჯერ თავისუფალი ქუსლი მოიქნევა შიგა და გარე მიმართულებით. ამას *ქუსლმოქნევით ადგილზე სვლას* უწოდებენ.

ადგილზე სვლისას მკლავების მოძრაობისა და მდგომარეობის შერჩევა დამოკიდებულია ცეკვის ნახაზზე.

უკუსვლა

მთიულური სახის უკუსვლებში შემდეგი ძირითადი ილეთებია:

1. ორდაკვრითი
2. სამდაკვრითი
3. ქუსლდაკვრითი (მოხეური)
4. ფეხჭდომითი
5. ცერებზე უკუსვლა

ორდაკვრითი უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა: ერგცერები – I პოზიცია, მკლავები – III პოზიცია (მარჯვენა აწეული). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერის გასრიალებით უკან ტერფის სიგრძეზე გადადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა.

ორი – მუხლში გამართული მარცხენა ფეხის ერგცერის გასრიალებით უკან ტერფის სიგრძეზე გადადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადმოტანა.

ეს ილეთი სრულდება როგორც დიდ მანძილზე (ერთი ტერფი), ასევე მოკლეზე – ტერფის 1/4.

ზოგჯერ ცეკვის სტილი მოითხოვს უკუსვლის შესრულებას ერგცერების გაუსრიალებლადაც: რომელიმე ფეხის უკან გადადგმამდე საჭიროა ტერფის წინა ნაწილის (ერგცერის) ზეაწევა და ამ მდგომარეობაში ფეხის უკუგადადგმა, დამთავრებისთანავე კი ერგცერის დაკვრით იატაკს შეხება.

ორდაკვრითი უკუსვლა ზოგჯერ ცვალებადია: ერთ ტაქტში უკუსვლა ერგცერებსა ან ტერფებზე სრულდება, მეორეში – ცერებზე.

უკუსვლისას მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა დამოკიდებულია ცეკვის სტილსა და სვლაგეზის ნახაზსა ან მოცეკვავეთა განრიგებაზე. ცალად ცეკვისას კი მკლავები მეტწილად მე-18 სურათზე ნაჩვენებ მდგომარეობაშია.

სამდაკვრითი უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა: ერგცერები – I პოზიცია, მკლავები – III პოზიცია (ზეაწეული). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის უკან ტერფის სიგრძეზე გადადგმა და ერგცერის დაკვრით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმის მასზე გადმოტანა.

და – მარცხენა ფეხის აუღებლად, სრიალით უკან ნახევარი ტერფის სიგრძეზე გატანა.

ორი - მარჯვენა ფეხის ასევე გასრიალებით უკან გატანა.

და – პაუზა – მარცხენა ფეხის მომზადება ახალი ტაქტის დასაწყებად ერგცერის ზეაწევით (სურ. 60).



საწყ. მდგ. ერთი და ორი

სურ. 60

აღწერილი სვლა გვხვდება ყველა სახის მთიულურ ცეკვაში, გარდა *ცერულისა.*

ქუსლდაკვრითი უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა მუხლში გამართული წინ გადგმული მარჯვენა ფეხის დაბალი ერგცერით იატაკს შეხება. მუხლში ოდნავ მოღუნული (მუხლი წინა მიმართული) მარცხენა ფეხის ტერფის სრული სიბრტყით დადგმა. მარცხენა მკლავი განგაშლილი, მარჯვენა – ქამრის ხაზზე ზურგით წელს შეხება. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხის მუხლში გამართვა; მარჯვენა ფეხის დაბალ ერგცერზე უკუგასრიალებით თანდათან მუხლში მოღუნვა და თვლის ბოლოს ქუსლით იატაკზე გამახვილებულად დადგმა (მთელი ტერფით იატაკს შეხება).

ორი – ყოვნა (სურ. 61).

შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით.

აღწერილი ილეთი მეტწილად მოხეურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

ზოგჯერ ცეკვის ნახაზი მოითხოვს მკლავების სხვა მდგომარეობას, ამისდა მიხედვით შეიძლება მკლავების მდგომარეობა-მოძრაობიდან შესაფერისი შეირჩეს.

ქალები ამ ილეთს არ ასრულებენ.



საწყ. მდგ. ერთი ორი

სურ. 61

ფეხჭდომილი უკუსვლა

ცერილეთების აღწერაში განმარტებულია ცერებზე სვლა. ერგცერებზე *ფეხჭდომით უკუსვლა* იმავე წესით სრულდება, როგორც ცერებზე, იმ განსხვავებით, რომ შემსრულებელი ცერებზე დგომის მაგიერ მაღალ, საშუალო ან დაბალ ერგცერებზე დგას.

ცერებზე უკუსვლა (იხ. ცერებზე სვლა)

გვერდზე სვლა

ფეხჭდომით გვერდზე სვლა

ფეხჭდომით გვერდზე სვლა ერგცერებსა ან ცერებზე სრულდება, ან ტერფდგომიდან ცერებზე აწევით და კვლავ ტერფებზე დადგომით. სვლის წესები იხ. ცერებზე სვლა.

ხლართული ფეხჭდომით გვერდზე სვლა

ამ ილეთის შესრულების დროს წინ ხან ერთი და ხან მეორე ფეხია. ილეთი სრულდება როგორც ცერებზე, ასევე ერგცერებზე.

რხევით განზე სვლა

რხევით განზე სვლა ისეთ ილეთს ეწოდება, რომლის შესრულებისას ზეტანი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ იზნიქება, ზოგჯერ მკლავების მოძრაობით და ზოგჯერ – უიმისოდ. ამ ილეთს მეტწილად ქალები იყენებენ მთიულური ცეკვისას, რომელსაც ხშირად *ჭდომილი სვლა* ახლავს.

სვლების სწავლებისას საჭიროა თანმიმდევრობის დაცვა. ქვემოთ მოყვანილი სქემა სავალდებულო არაა, მაგრამ მის შედგენა-შერჩევას საფუძვლად უნდა ედოს:

1. ილეთების სწავლება დანაწევრებით.
2. ილეთების სწავლება ნელ ტემპში.
3. ილეთების სწავლება ნორმალურ ტემპში.
4. ილეთების სწავლება ნებისმიერ ტემპში.
5. ილეთების სწავლება მუსიკის ნიუანსებთან სრული შეფარდებით.

გარდა ამისა, ჯერ მარტივი ილეთები ისწავლება, შემდეგ გართულებული და ბოლოს – რთული, რის შემდეგაც შესაძლებელია სხვადასხვა ილეთის ნაერთული შესრულება, მაგალითად: სვლების შეერთება ჩაკვრებთან, ბრუნებთან და ა.შ.

სვლების ნაერთთა მაგალითები

ქვემომოყვანილი ნაერთების შესრულების დროს მკლავების მდგომარეობა-მოძრაობის შერჩევა დამოკიდებულია მიზანსა და ილეთის შესრულების სტილზე. შესასრულებელ ილეთთა ნაერთის დასახელებისას, საჭიროა, იქვე განიმარტოს მკლავების მოძრაობა, რა დროს და როგორ უნდა შეცვალონ მდგომარეობა, რა სახის სართავებია საჭირო, როგორ უნდა ეჭიროთ ზეტანი, საითკენ უნდა იყოს მიმართული სახე და სხვ.

თავდაპირველად თითოეული სვლის ჯერ მხოლოდ ფეხების მოძრაობა შეისწავლება, შემდეგ მკლავებისა და ზეტანის.

ილეთის დასახელების წინ დაწერილი ციფრი მიუთითებს ტაქტის რაოდენობაზე.

1. 8 – მუხლური წინსვლა.
2. 8 – მუხლური სვლა ზეხტომით.
3. 8 – მუხლური წინსვლა + 8 მუხლური სვლა ზეხტომით.
4. 8 – მუხლური წინსვლა ტერფმოქნევით.

5. 8 – მუხლური სვლა ზეხტომით და ტერფმოქნევით.
6. 8 – ფრენმუხლური წინსვლა.
7. 8 – მუხლური წინსვლა + 8 მუხლური სვლა ზეხტომით + 8 მუხლური სვლა ტერფმოქნევით + 8 მუხლური სვლა ზეხტომით და ტერფმოქნევით.
8. 8 – მუხლური სვლა ზეხტომით და ტერფმოქნევით + 8 ფრენმუხლური.
9. 16 – რთულა წინსვლა.
10. 8 – მუხლური წინსვლა + 8 რთულა წინსვლა.
11. 16 – განიერი რთულა წინსვლა.
12. 8 – რთულა წინსვლა + 8 განიერი რთულა წინსვლა.
13. 16 – მოკლე რთულა წინსვლა.
14. 8 – მოკლე რთულა + 8 განიერი რთულა
15. 8 – რთულა წინსვლა + 8 განიერი რთულა + 16 მოკლე რთულა.
16. 16 – ირიბი რთულა წინსვლა.
17. 8 – რთულა წინსვლა + 8 ირიბი რთულა.
18. 8 – მუხლური წინსვლა + 8 ფრენმუხლური + 8 მოკლე რთულა + 8 ირიბი რთულა.
19. 16 – ჭდომილი წინსვლა.
20. 8 – ჭდომილი წინსვლა + 8 ირიბი რთულა.
21. 16 – ჭდომ-ხტომილა წინსვლა.
22. 8 – ჭდომილი წინსვლა + 8 ჭდომ-ხტომილა სვლა.
23. 4 – რთულა წინსვლა + 4 ჭდომილი + 4 ჭდომ-ხტომილა + 4 ფრენმუხლური.
24. 16 – ქრიალა წინსვლა.
25. 8 – ქრიალა წინსვლა + 8 მოკლე რთულა.
26. 16 – ნიავადი წინსვლა.
27. 8 – ნიავადი წინსვლა + 8 მოკლე რთულა + 8 ქრიალა + 8 ნიავადი.
28. 16 – გლუსუნა წინსვლა.
29. 8 – ნიავადი წინსვლა + 8 გლუსუნა წინსვლა.
30. 8 – გლუსუნა წინსვლა+ 8 ნიავადი + 8 ქრიალა + 8 ნიავადი.
31. 16 – ქუსლური წინსვლა.
32. 8 – მუხლური წინსვლა (სვანური ვარიანტი) + 8 ქუსლური წინსვლა.
33. 16 – ქუსლცერა ჩაკვრითი წინსვლა.
34. 16 – სამდაკვრითი ადგილზე სვლა + 8 ირიბი წინსვლა + 8 სამდაკვრითი ადგილზე სვლა.
35. 8 – ადგილზე სვლა + 8 უკუსვლა + 16 რთულა წინსვლა.
36. 8 – ადგილზე სვლა + 8 სამდაკვრითი უკუსვლა + ფეხჭდომით უკუსვლა მაღალ ერგცერებზე + 8 ფეხჭდომით გვერდზე სვლა მაღალ ერგცერებზე.
37. 16 – ხლართული ფეხჭდომით გვერდზე სვლა.
38. 16 – ქუსლცერით უკუსვლა.
39. 8 – ფეხჭდომითი უკუსვლა + 8 ქუსლდაკვრითი უკუსვლა.
40. 8 – მოკლე რთულა წინსვლა + 8 გლუსუნა წინსვლა + 8 ქუსლდაკვრითი უკუსვლა + 8 ფეხჭდომითი გვერდზე სვლა.

ჩაკვრა

ჩაკვრები ისეთ ილეთებს ეწოდება, რომელთა შესრულებისას მცირე ხტომით ცალი ან ორივე ფეხი ზევით-ქვევით მოძრაობს და ქუსლით, ერგცერით ან ცერით იატაკს ეხება და დამთავრებისას არაა მისგან დიდი მანძილით დაშორებული. ზოგჯერ, მცირე ხტომის შემდეგ, ცალ ან ორ ფეხს ეყრდნობა.

ჩაკვრები სრულდება ადგილზე და ადგილის შენაცვლებით.

ჩაკვრის ილეთების შესრულებისას ფეხების მოძრაობებს მკლავებისა და ზეტანის მოძრაობები უნდა შეუფარდდეს. ქვემოთ განხილულია 20 ძირითადი ილეთი:

1. სადა ჩაკვრა.
2. გახსნილი ჩაკვრა.
3. დახურული ჩაკვრა.
4. წვივქნევით ჩაკვრა.
5. ფეხშლილი ჩაკვრა.
6. ჭდომილი ჩაკვრა.
7. ქუსლცერა ჩაკვრა.
8. ორფა ქუსლცერა ჩაკვრა.
9. ხლართული ჩაკვრა.
10. მუხლმოქნევით ჩაკვრა.
11. განბიჯით ჩაკვრა.
12. განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა.
13. ცერდაქნევით ჩაკვრა.
14. ტყუპცერა ჩაკვრა.
15. მოხეური ჭდომ ჩაკვრა.
16. მოხეური ჩაკვრა ქუსლამართვით.
17. მუხლმოდრეკით ჩაკვრა.
18. ხტომბრუნში ჩაკვრა.
19. მხარმოქნევით ჩაკვრა.
20. ქუსლგადგმით ჩაკვრა (ჭრილი).

სადა ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – შეკრულად წელს უკან.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

და-ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავ ზეახტომასთან ერთად, მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ისე აწევა, რომ ცერი დაბლა მიიმართოს. საყრდენ ფეხზე ოდნავ ზეხტომის შემდეგ მუხლში გამართვა და ქუსლით მარცხენა ფეხის ცერის წინ და ოდნავ მარჯვნივ დადგმა. ორივე ფეხის მუხლში გამართვა და მარჯვენა ფეხის ცერის რაც შეიძლება ზევით აწევა.

და-ორი – მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და, მარცხენა ფეხზე ოდნავ ზეახტომის შემდეგ, ცერით სწორედ იმ ადგილას დადგმა, სადაც **ერთზე** მარჯვენა ფეხის ქუსლი ეხებოდა იატაკს. მარჯვენა ფეხი ცერიდან მუხლის სახსრამდე შვეულ მდგომარეობაში (სურ. 62).

ამ მდგომარეობიდან მეორე მხარეს ოდნავი ზეხტომით გადასვლის შემდეგ მარცხენა ფეხი თავისუფლდება და იმეორებს მარჯვენის მოძრაობას.



საწყ. მდგ. და ერთი და ორი

სურ. 62

ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ თითოეული ტაქტი ერთ თვლაზე სრულდება.

სადა ჩაკვრის შესრულებისას მახვილიანია ტაქტის მეორე-ნახევარი – მოძრავი ფეხი ცერით ეხება იატაკს.

ერთი-ორი – ორივე მკლავის I პოზიციიდან (განმკლავიდან) დაქნევით იდაყვში მოღუნვა, მარცხენა მკლავის წინამხრით მკერდის წინ მოქცევა, მარჯვენის მტევანი წელს უკან წელშეუხებლად ქამრის სიმაღლეზე.

II ტაქტი

ერთი-ორი – ორივე მკლავის დაქნევით იდაყვში გამართვა და ისევ პირველ პოციზიაში დაბრუნება. განმკლავის მდგომარეობამდე ხელსართავები (მტევნების წრისებრი

მოძრაობა შიგა მიმართულებით). შემდეგი ტაქტიც ასევე შესრულდება, ოღონდ მკერდის წინ მოექცევა მარჯვენა მკლავი (სურ. 63).

საწყ. მდგ. ერთი-ორი ერთი-ორი

სურ.63

ამრიგად, ერთ ტაქტზე მკლავები დაქნევით მოიღუნება და სამთიულურო მდგომარეობაში მოვა, მეორე ტაქტზე დაქნევით განზე გაიშლება, მესამე ტაქტზე დაქნევით ისევ მოიღუნება (წინ მეორე მკლავი მოექცევა), მეოთხე ტაქტზე დაქნევით გაიშლება. მიღებულია: *სადა ჩაკვრის* დასაწყისში წინ მოძრაობს მოპირდაპირე კიდურები – თუ მოძრაობას მარჯვენა ფეხი იწყებს, - წინ მარცხენა მკლავია, თუ მარცხენა ფეხი – მარჯვენა მკლავი. თუმცა, შეიძლება, მარჯვენა ფეხის მოძრაობისას წინ მარჯვენა მკლავი მოხვდეს.

მკლავების დაქნევით მოღუნვისას მოცეკვავე თავს ოდნავ ქვევით დახრის, დაქნევით გაშლისას – ზევით ასწევს.

ამ ილეთის შესრულებისას მახვილიანია ტაქტის მეორე-ნახევარი.

სადა ჩაკვრა მთიულურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

გახსნილი ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – შეკრულად წელს უკან.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

და – მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ზევით ნახევარი ტერფის სიმაღლეზე ისე აწევა, რომ ქუსლი დაბლა მიიმართოს, ცერი – გარეთ. მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი.

ერთი – მარჯვენა ფეხის ქუსლით მარცხენის ცერის წინ და ოდნავ შიგნით გადადგმა, ცერი აწეული და გარეთ მიმართული.

ორი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომით მარჯვენა ფეხის წინ და განზე გადადგმა და ცერით იატაკს შეხება, ქუსლი გარეთ მიმართული, ფეხი მუხლში ოდნავ მოღუნული, ზეტანი ოდნავ მარჯვნივ გადაზნექილი. მზერა მიპყრობილია განზე გადგმული ფეხის ქუსლისაკენ (სურ. 64).

შემდეგი ტაქტი მარცხენა ფეხით იწყება.



ერთი ორი

სურ. 64

მკლავების მოძრაობა ისეთივეა, როგორიც სადა ჩაკვრისას. მოძრაობა მახვილიანია ტაქტის მეორე ნახევარში. ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ შესაძლებელია თითოეული ტაქტი (ზომით 2/4 ან 6/8) **ერთზე** შესრულდეს.

ეს ილეთი მთიულურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

დახურული ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მარჯვენა ფეხის ქუსლი მარცხენა ფეხის ცერის წინ და ოდნავ შიგნით ისე დადგმა, რომ იატაკს აშორებული ფეხის ცერი რაც შეიძლება გარეთ მიიმართოს.

ორი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხის აწევა და ცერით სწორედ იმ ადგილას დადგმა, სადაც მანამდე ქუსლი ეხებოდა იატაკს. მარჯვენა ფეხის ქუსლის რაც შეიძლება ზევით ამართვა, მუხლით მარცხენა ფეხის მუხლის წინიდან დაფარვა (სურ. 65).



ერთი ორი

სურ. 65

ამ ილეთის შესრულებისას მახვილიანია ტაქტის მეორე ნახევარი. მკლავების მოძრაობა ისეთივე, როგორიც სადა ჩაკვრისას.

ეს ილეთი მთიულურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

წვივქნევით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრულად.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომისას მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა, მაშინვე გამართვა (გაშლა) და ქუსლით მარცხენა ფეხის ცერის ოდნავ წინ და მარჯვნივ დადგმა. ამ დროს მარცხენა ფეხი მუხლში ოდნავ მოღუნულია. მარჯვენა ფეხის ცერი რაც შეიძლება ზევით აწეული.

ორი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მარჯვენა ფეხის იატაკს აცილება და მუხლში ისე მოღუნვა, რომ ტერფის ხაზი საყრდენი ფეხის პარალელურად აღმოჩნდეს (ცერით დაბლა მიმართული), შემდეგ სწრაფად წინ გაიშალოს იატაკიდან ნახევარი ტერფის დაშორებით (სურ. 66).

შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით, რომელიც პირველ და მეორე ტაქტებს შორის ზეხტომით გათავისუფლდება საყრდენი მდგომარეობიდან მეორე მხარეს ზემოაღწერილი წესით ილეთის დასაწყებად. მარჯვენა ფეხი პირველი ტაქტის დამთავრების შემდეგ დაიდგმება იატაკზე.



საწყ. მდგ. ერთი ორი

სურ. 66

მოძრაობა გამახვილდება ტაქტის მეორე ნახევარში.

მკლავების მოძრაობა ისეთივეა, როგორიც სადა ჩაკვრისას. ცეკვის სტილისა და ნახაზის მიხედვით შესაძლებელია მკლავების სხვა მდგომარეობა-მოძრაობებიც.

აღწერილი ილეთი მეტწილად მთიულურ, მხედრულ და მწყემსურ ცეკვებში იხმარება.

ფეხშლილი ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი ნახევრად დახურული –**III** პოზიცია.[1] ხელი – წელს უკან შეკრული ან დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – რბილი ერგბუქნი, ტერფების მთელი სიბრტყით დადგმა .

ორი – მცირე ზეხტომით ფეხების მხრების სიგანეზე გაშლა და ერგცერებზე შედგომა. ფეხების ქუსლები რაც შეიძლება მეტად გარებრუნებული.

შემდეგი ტაქტი – **ერთი** – რბილი დახტომი და ერგბუქნი (ტერფების მთელი სიბრტყით დადგმა).

ორი – მცირე ზეხტომით ფეხების ისევ განზე გაშლა, როგორც ზემოთაა აღწერილი.

ფეხშლილი ჩაკვრის შესრულებისას ნახევრადდახურულ პოზიციაში წინ ხან მარჯვენა ფეხია, ხან – მარცხენა (სურ. 67).



საწყ. მდგ. ერთი ორი ერთი ორი

სურ. 67

ერგბუქნის დროს აუცილებელია წელის გამართვა.

ფეხშლილი ჩაკვრისას მახვილიანია ერგცერებზე შედგომა, ამ მდგომარეობაში ოდნავ შეჩერებით ე.ი. **ორი**.

კარგად შეთვისების შემდეგ ილეთი სრულად შესრულდება. ამისათვის საჭიროა: მკლავები საწყის მდგომარეობაში (**I** პოზიცია). პირველ ტაქტზე მკლავების დაქნევით სამთიულურო მდგომარეობა, მეორეზე დაქნევითვე განზე გაშლა. თითო ტაქტის გადაცილებით მკერდის წინ რიგრიგობით ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მკლავია (სურ. 67-ა).



საწყ. მდგ. ერთი და ორი

სურ. 67ა

ფეხშლილი ჩაკვრის ილეთის მკლავების მოძრაობასთან ერთად შეთვისების შემდეგ შესაძლებელია პირველი ან სამთიულურო პოზიციიდან მკლავების გადაყვანა სხვადასხვა მდგომარეობაში.

---

1 ფეხების ნახევრადდახურული მესამე პოზიცია – ცალი ფეხი ქუსლით ეხება მეორე ფეხის ტერფის შუა ნაწილს კოჭის შიდა მხრიდან.

სხვა ჩაკვრებთან შედარებით, *ფეხშლილი ჩაკვრისას* მკლავების მოძრაობის ფეხების მოძრაობასთან შეწყობა უფრო ძნელია, ამიტომ განმეორებით აღვნიშნავთ: ფეხშლილი ჩაკვრის დანაწილებით შესწავლა აუცილებელია.

ფეხშლილი ჩაკვრის შესრულებისას წელი გამართულია. ბუქნის დროს დაუშვებელია წინზნექი. თუ ფეხშლილი ჩაკვრა სვანურ სტილში სრულდება, ხელები ქამარსა ან ხანჯალზეა (იხ. სურ. 67), ხოლო ცერებზე შედგომისას მუხლები ოდნავ შიგნით იღუნება, ქუსლები კი გარეთაა მიმართული.

შემსრულებლებს, ვიდრე კარგად არ შეისწავლიან ძელთან ცერებზე შედგომას, ფეხშლილი ცერშედგომი არ მოეთხოვებათ. ამიტომ ფეხშლილი ჩაკვრა ჯერ მაღალ ერგცერებზე შეისწავლება და შემდეგ სრულ ცერებზე.

ფეხშლილი ჩაკვრა ბუქნისა და ფეხშლისაგან შედგება და სწავლების დასაწყისში ორ თვლაზე სრულდება (მუსიკალური ზომა 2/4). ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ მისი შესრულება **ერთზეც** შეიძლება.

ჭდომილი ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა: მარცხენა ფეხზე დგომა, მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის წინ ისეა გატანილი, რომ იატაკს არ ეხება, ფეხის ცერი – წინ მიმართული, ხელი – შეკრულად წელზე ან დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8, იშვიათად 4/4. ილეთი ორტაქტიანია.

ერთი – მარჯვენა ფეხის მარცხენაზე გადაჭდომა, ზეხტომის შემდეგ მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა, ჰაერში ოდნავ უკან აწევა და თავისი ადგილის მარჯვენა ფეხისთვის დათმობა. სხეულის სიმძიმის მუხლში ოდნავ მოღუნულ მარჯვენა ფეხზე დაყრდნობა. „განდევნილი“ მარცხენა ფეხი არ შორდება საყრდენ ფეხს – მის წვივს ოდნავ ეხება. მარცხენა მუხლი გარეთ მიმართული, ზეტანი ოდნავ წინდახრილი, მარჯვენა მხარი ცოტათი წინ წაწეული.

ორი – მარჯვენა ფეხის არეკნით წინ აწევა (საწყისი მდგომარეობა), მარცხენა ფეხის მუხლში გამართვა და მარჯვენა ფეხის ადგილზე დადგმა (როგორც საწყის მდგომარეობაში).

II ტაქტი

ერთი – ოდნავი ზეხტომი მარცხენა (საყრდენ) ფეხზე, მარჯვენის მუხლში სწრაფად მოღუნვა და სწრაფადვე გაშლა, როგორც *წვივქნევით ჩაკვრისას.*

IIტაქტი

ორი – ოდნავი ზეხტომით ფეხების მდგომარეობის შეცვლა და შემდეგ ტაქტზე ახალი მოძრაობის დასაწყებად წინ მარცხენა ფეხის მოქცევა (სურ. 68).

შემდეგი ტაქტი შესრულდება მარცხენა ფეხით ისევე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, მხოლოდ შეცვლილად გამეორდება წინა ტაქტის მოძრაობები.

სურ. 68

როგორია მკლავების მოძრაობა ამ ილეთის შესრულებისას?

მარჯვენა ფეხით მოძრაობის დაწყებისას, მარჯვენა მკლავი განმკლავიდან – I პოზიციიდან

– დაქნევით გულ-მკერდის წინ იქნება. მარცხენა მკლავი კი დაქნევით წელს უკან (სურ. 68). შემდეგ დაქნევითვე მკლავები I პოზიციაში აიწევა.

თუ ამ ილეთს ქალები ასრულებენ, თითები თავისუფლად გაშლილია და თითოეულ ტაქტში, განგაშლილი მდგომარეობამდე, ხელსართავებს ხმარობენ.

ჭდომილი ჩაკვრის შესრულებისას ადგილის ცვლა, გაწზე ან წინ გადასვლა საჭირო არ არის, თუ ამას ცეკვის ნახაზი არ მოითხოვს.

ამ ილეთის შესრულებისას მახვილიანია პირველი ტაქტის პირველი თვლა.

ჭდომილი ჩაკვრა უმთავრესად მთიულურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

ქუსლცერა ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – I პოზიცია, მკლავები შეკრულად წელს უკან ან დოინჯი (ილეთის მხოლოდ ფეხით შესრულებისას).

მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მარჯვენა ფეხის ქუსლით დადგმა მარცხენა ფეხის ცერთან და ოდნავ მის მარჯვნივ, მარცხენა მთელი ტერფით დადგმული.

ორი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომის შემდეგ მარჯვენა ფეხის ნახევარი ტერფის სიგრძეზე უკან გამოწევა და სრული ტერფით დადგმა, ხოლო მარცხენა ფეხის ცერით იატაკს შეხება (ქუსლი ზევით მიმართული) მარჯვენა ტერფის შუა ადგილას და მის მარცხნივ.

მეორე ტაქტი – **ერთი** – მარცხენა ფეხით იგივე, რასაც მარჯვენა ფეხი ასრულებდა წინა ტაქტის თვლაზე **ერთი.**

მეორე ტაქტი – **ორი** – მარჯვენა ფეხით შესრულდება იგივე, რასაც მარცხენა ასრულებდა წინა ტაქტის თვლაზე **ორი**.

მკლავები ისევე მოძრაობს, როგორც *სადა ჩაკვრისას*, იმ განსხვავებით, რომ, თუ მოძრაობა მარჯვენა ფეხით იწყება, განმკლავიდან დაქნევით გულ-მკერდის წინ მარჯვენა მკლავი იქნება.

ამ ილეთის შესრულებისას გამახვილდება **ორი** (სურ. 69).

ცეკვისას ქალებიც ხმარობენ *ქუსლცერა ჩაკვრას*.

აღწერილი ილეთი მხოლოდ მთიულურ ცეკვაში იხმარება.



საწყ. მდგ. ერთი ორი

სურ. 69

ორფა ქუსლცერა ჩაკვრა

ეს ილეთი შესრულდება *ქუსლცერა ჩაკვრისათვის* განმარტებული წესით, იმ განსხვავებით, რომ **ერთზე** ის მოძრაობები შესრულდება, რომლებიც *ქუსლცერა ჩაკვრაში* **ერთსა და ორზე** სრულდებოდა. ე.ი. ქუსლცერა ილეთი მთლიანად ჩაეტევა ტაქტის პირველ ნაწილში – **ერთი**; **ორზე** კი – მარცხენა ფეხი აიწევს ზევით, ცერით მეორედ მკვეთრად შეეხება იატაკს, შემდეგ კვლავ მუხლში მოიხრება და ცერი იატაკს აშორდება,

რათა, მუხლში გამართვასთან ერთად, ქუსლით შეეხოს იატაკს ილეთის მეორე მხარეზე შესასრულებლად.

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავ ზეხტომი; მარჯვენა ფეხის ქუსლით მარცხენის ცერთან მარჯვნივ დადგმა. მარცხენა ფეხი მთელი ტერფითაა დადგმული.

და – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მარჯვენის ნახევარი ტერფის სიგრძეზე უკან გაწევა და სრული ტერფით დადგმა, მარცხენა ფეხი ცერით შეეხება იატაკს (ქუსლი ზევით მიმართული) მარჯვენა ტერფის შუა ადგილას და მის მარცხნივ.

ორი – მარცხენა ფეხის მუხლში ოდნავ მოღუნვა, ცერით იატაკს აცილება და მაშინვე ქუსლით ისევ მკვეთრად შეხება.

და – მარჯვენა ფეხზე მცირე ზეხტომი, მარცხენის მუხლში გაშლა (ტერფი წინ მიმართული) და შემდეგი ტაქტის დასაწყებად მომზადება (სურ. 70).

მკლავების მოძრაობა – როგორც ქუსლცერა ილეთისათვისაა აღწერილი.

ორფა ქუსლცერა ჩაკვრა რთულ ილეთთა ჯგუფს განეკუთვნება, ამიტომ ნაწილ-ნაწილ ისწავლება და დასაწყისში ოთხზე დაითვლება.

ქალები ამ ილეთს არ ხმარობენ. აღწერილი ილეთი მთიულურ ცეკვაში გამოიყენება.



სურ. 70

ხლართულა ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი – შეკრულად წელს უკან (ფეხების მოძრაობის სწავლებისას). მუსიკალური ზომა – 3/4.

ერთი – ზეტანის მარცხნივ ოდნავ შებრუნება, მარჯვენა ფეხის ქუსლის მარცხენის წინ – შიგნით ნახევარი ნაბიჯის სიგრძეზე დადგმა. მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა, ტერფით იატაკს მოცილება, მუხლის გარეთ მიმართვა, ფეხის ცერის დაბლა და მარჯვენა წვივს შეუხებლად უკან მოქცევა.

ორი – მარცხენა ფეხის ერგცერით დადგმა, მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და იატაკს მოცილება.

სამი – მარცხენა ფეხის ერგცერიდან მძლავრი ზეხტომი, მარჯვენაზე – დახტომი (დახტომამდე მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხის ოდნავ გარეთ გადაქნევა). დახტომისას მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ტერფის მარჯვენა ფეხის მუხლამდე ასვლა.

II ტაქტი

ერთი – აღწერილი ილეთი მეორე მხარეს მარცხენა ფეხით შესრულდება, რისთვისაც ზეტანი წინასწარ ოდნავ მარჯვნივ შებრუნდება (სურ. 71).

სურ. 71

აღწერიდან ჩანს, რომ თითოეულ ტაქტში სამი მოძრაობა სრულდება, მათგან გამახვილებულია მეორე – ზეხტომა **მეორე** თვლაზე.

ვინაიდან ეს ილეთი ხშირად გამოიყენება ცეკვებში, რომელთა მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8-ია და ორივე მხარეს მისი შესრულების შემდეგ 4 ტაქტი არ შეივსება (დააკლდება ორი თვლა), ამიტომ ამ ილეთს უნდა მიემატოს ცეკვის სტილის შესაფერისი ორი მოძრაობა, რომელიც ორ თვლაში უნდა ჩაეტიოს. ამრიგად, ექვს თვლას დაემატება ორი და ოთხი ტაქტი სრულად შეივსება.

ხლართული ჩაკვრის შესრულებისას მკლავების მოძრაობის ორი ძირითადი ვარიანტი გამოიყენება.

პირველი: პირველ სამ თვლაზე, როდესაც მოძრაობა მარჯვენა ფეხით იწყება, მკლავები III პოზიციიდან (აწეულია მარცხენა) მკლავჩაგრეხით შეიცვლის მდგომარეობას. შემდეგ სამ თვლაზე კვლავ შეიცვლის მდგომარეობას (სურ. 71ა).



სურ. 71ა

მეორე: მკლავები მომუჭული თითებით, განზე დაშვებული მარჯვნივი მდგომარეობიდან (მტევნები ქამრის სიმაღლეზე) შიგხელსართავებით გადაიტანება მეორე მხარეზე. შემდეგ სამ თვლაზე ამავე წესით მკლავები პირველ მდგომარეობას დაუბრუნდება (იხ. სურ. 71ბ).

სურ. 71ბ

მკლავებისა და ფეხების მოძრაობა გამახვილებულია ყოველი ტაქტის მეორე თვლაზე – ზეახტომისას.

აღწერილი ილეთი მეტწილად მოხეურ, მთიულურ, მხედრულ და მწყემსურ ცეკვებში იხმარება. ქალები მას უზეხტომოდ და დაბალ ერგცერებზე ასრულებენ, მკლავები IV პოზიციაში უჭირავთ ან იდაყვებგადაშლილად, თითები – ყურებს უკან თავსაბურავთან.

მუხლმოქნევით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია. მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხი ცერით იატაკს ეყრდნობა. ხელი – I ან IV პოზიცია ან ხანჯალზე. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხის მუხლში გამართვა და ტერფით დადგმა, მარცხენის მუხლში მოღუნვა, გარეშებრუნებით ქუსლის იატაკს მოცილება, ცერის იატაკს დაყრდნობა და მუხლით მარჯვენა მუხლის წინიდან დაფარვა.

ორი – ფეხების მდგომარეობის შეცვლა – მარცხენა ფეხი პირველ პოზიციაში, მარჯვენა მუხლი მარცხენას წინიდან დაფარავს. ამრიგად, ერთი ტაქტის განმავლობაში ორი მოძრაობა შესრულდება: ჯერ ერთი მუხლი დაფარავს მეორეს, შემდეგ კი მეორე – პირველს. მკლავები – უმოძრაოდ (სურ. 72).



სურ. 72

მუხლმოქნევით ჩაკვრა დასაწყისში სხვა ილეთებისაგან დამოუკიდებლად ისწავლება, შემდეგ კი რომელიმე ჩაკვრის ილეთთან შეერთებით. მაგალითად: 1. სამ ტაქტში შესრულდება *სადა ჩაკვრა*, მეოთხეში – *მუხლმოქნევით ჩაკვრა,* ორ-სამ ტაქტში შესრულდება *დახურული ჩაკვრა*, მეოთხეში – *მუხლმოქნევით ჩაკვრა* ან: 3. ერთ ტაქტში – *ქუსლცერა ჩაკვრა*, მეორეში – *მუხლმოქნევით ჩაკვრა* და ა.შ.

თვით მუხლმოქნევით ჩაკვრის შესრულებისას მკლავები II ან IV პოზიციაში უნდა იყოს ან მოძრაობდეს.

აღწერილი ილეთი უმთავრესად ცერულ, მთიულურ, მხედრულ და მწყემსურ ცეკვებში გვხვდება.

განბიჯით ჩაკვრა

განბიჯით ჩაკვრა რთული სახის ორტაქტიანი ილეთია. იგი მეტწილად გადაბმულად სრულდება ორივე მხარეს ოთხი ტაქტის განმავლობაში.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი და ხელი I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის ტერფზე მცირე ბუქნ-დახტომი, მუხლში გამართული მარცხენის ნაბიჯის სიგრძეზე გაწზე ისე გაწევა, რომ ტერფით იატაკს არ შეეხოს. მკლავების საწყის მდგომარეობაში დარჩენა.

ორი – მარცხენა ფეხის დადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა; მარჯვენა ფეხის მუხლში გამართვა და ქუსლით იატაკს აშორება, მკლავების ოდნავ ქვედაწევა.

II ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის იატაკს აცილება და მარცხენა ფეხის ცერის წინ განბრუნებულად დადგმა (ქუსლი შიგნით მიემართება, ცერი – გარეთ), ერგბუქნი ორივე ფეხზე, ზეტანის მარცხნივ შებრუნება, თავის – მარჯვნივ. მკლავები სარტყლის წინ მაჯებით გადაჭდობილი.

ორი – ფეხშლილისმაგვარი ნახევარცერშედგომი, იმ განსხვავებით, რომ მარჯვენა ფეხი უფრო მეტადაა გარეთ გადგმული, ვიდრე მარცხენა (როგორც გახსნილი ჩაკვრისას). მარცხენა ფეხი ერგცერზე და არა ცერზე, ორივე ფეხის მუხლში მოღუნვა; მკლავების დაქნევით მეოთხე პოზიციაში აწევა, სხეულის სიმძიმე უფრო მეტად მარცხენა ფეხზე.

ბოლო მდგომარეობიდან ზემოაღწერილი წესით შესრულდება ილეთი მეორე მხარეს. მკლავები პირველი თვლიდანვე გარეგაიშლება.

ილეთის შესრულებისას მახვილიანია პირველი ტაქტის **ერთი** და მეორე ტაქტის **ორი.**

ცეკვა *ცერულში* ამ ილეთის შესრულებისას ხელები ხანჯალზეა ან ქამარში, ხოლო მოხეურში – მოღუნული ცალი მკლავი – დაქანებული წინამხრით – გულ-მკერდის წინ, მეორე – ოდნავ მოღუნულად – წელს უკან. მკლავები გადაუჭდომლად მოძრაობს და IV პოზიციაში აიწევა (სურ. 73).

აღწერილი ილეთი მეტწილად ცერულში, მოხეურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

განბიჯით ჩაკვრისას დასაშვებია მკლავების სხვა მდგომარეობა-მოძრაობები ცეკვის სტილისა და ნახაზის მიხედვით, გარდა ცეკვა *ცერულისა,* რომელშიც მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა აუცილებელია.

ერთი ორი ერთი ორი

სურ. 73

განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა

ილეთი ორტაქტიანია. *განბიჯით ჩაკვრისაგან* იმით განსხვავდება, რომ მეორე ტაქტის მეორე თვლაზე ფეხშლილი შედგომა სრულდება ორივე ეგცერზე ან ცერებზე და სხეულის სიმძიმე ორივე ფეხზე თანაბრად ნაწილდება, ზეტანი გვერდზე ოდნავ შესამჩნევად მიბრუნდება (სურ. 74).

ერთი ორი ერთი ორი

სურ. 74

ცერდაქნევით ჩაკვრა

ცერდაქნევით ჩაკვრის ორი ვარიანტი (სვანური და აფხაზური) აღწერილია იმ თავში, რომელშიც განხილულია ცერილეთები. აქ მხოლოდ ამას აღვნიშნავთ: ყოველი სახის ცერილეთი შესაძლებელია შესრულდეს დაბალ, საშუალო და მაღალ ერგცერებზე. ცერილეთები ჯერ ერგცერებზე სრულდება და შემდეგ – სრულ ცერებზე. ამით დაიზოგება ფსიქო-ფიზიკური ენერგია და თავიდან ავიცილებთ ცერების გადატვირთვას.

ტყუპცერით ჩაკვრა

ტყუპცერით ჩაკვრა ისევე სრულდება, როგორც *ტყუპცერშედგომა.*

მოხეური ჭდომჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა: მარჯვენა ფეხის ტერფის სიგრძეზე წინ გადგმა და ქუსლით იატაკს დაყრდნობა, მუხლში ოდნავ მოღუნულ მარცხენაზე სხეულის სიმძიმის დაყრდნობა; მარცხენა მკლავით დოინჯი, მარჯვენა – განზე გაშლილი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8, ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის მოქნევით უკან მოწევა და მარცხენის საყრდენი ადგილის დაჭერა, მარცხენა ფეხის მკვირცხლად იატაკს აშორება და ცერით მარჯვენა ფეხის ქუსლის უკან (მასთან შეხებით) დადგმა, სხეულის მუხლში ოდნავ მოღუნულ მარჯვენა ფეხზე დაყრდნობა. მკლავები – ყოვნა.

ორი – ყოვნა.

II ტაქტი

ერთი – ფეხების ისევ საწყისი მდგომარეობა.

ორი – ფეხების მდგომარეობის შეცვლა – მარჯვენა ფეხის უკან გამოწევა და იატაკს მთელი ტერფით შეხება, მარცხენის წინ გადგმა და ქუსლით დაყრდნობა. მკლავები – ყოვნა. სხეულის სიმძიმე მეტწილად მარჯვენა ფეხზე (სურ. 75).

აღწერილი ილეთი სხვანაირადაც სრულდება: პირველი ტაქტის პირველ თვლაზე მარცხენა ფეხი წინწაწევით მიედგმება მარჯვენას, მეორე ტაქტის პირველ თვლაზე მარჯვენის წინგადგმით საწყისი მდგომარეობა, მეორეზე კი ოდნავი წინწაწევით ფეხები შეიცვლიან მდგომარეობას. ამ ილეთის შესრულებისას შესაძლებელია მკლავები უმოძრაოდ იყოს ან სხვა მდგომარეობაში გადავიდეს. ზოგჯერ ცეკვის ნახაზი მოითხოვს მკლავების განგაშლილ მდგომარეობას.

საწყ. მდგ. ერთი-ორი ერთი ორი

სურ. 75

მოხეური ჭდომჩაკვრა, ძირითადად, მოხეურ ცეკვაში იხმარება, თუმცა სხვა სახის მთიულურ ცეკვებშიც გვხვდება, მხოლოდ იქ მკლავები მკერდდახურული მდგომარეობიდან განგაშლით შეიცვლიან პოზიციას.

მოხეური ჩაკვრა ქუსლამართვით

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – IV პოზიცია, ხელი – III პოზიცია (მარცხენა მკლავი ზევით). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8, ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის მუხლში მოხრა და შიგ შებრუნება, ქუსლის ზეაწევა, ცერი დაბჯენილი; სხეულის სიმძიმის მუხლში ოდნავ მოხრილ მარცხენა ფეხზე გადატანა. მარჯვენა ხელის მტევნის ნებით მკვეთრად უკუშებრუნება.

ორი – ყოვნა.

II ტაქტი

ერთი – ფეხების მდგომარეობის შეცვლა: მარჯვენა ფეხი იმ მდგომარეობაში (მის მხარეს), რომელშიც მარცხენა იყო და – პირიქით. მკლავები ხელსართავებით შეიცვლის მდგომარეობას (სურ. 76).

სურ. 76

აღწერილი ილეთი ხშირად ერთ ტაქტში სრულდება. ამ შემთხვევაში პირველ მოძრაობას მაშინვე მეორე მოსდევს უპაუზოდ. ზოგჯერ კი ორივე ერთიმეორის მიმდევრობით: პირველი ორი ტაქტის განმავლობაში ილეთი პაუზით შესრულდება, მესამე ტაქტი – უპაუზოდ, ხოლო მეოთხეზე ან შებრუნება (თავისუფალი ფეხის მხარეს), ან – ცერშედგომა.

ეს ილეთი მოხეური სახის ცეკვებში იხმარება.

მუხლდრეკით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი და ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ, უკან დარჩენილი მარჯვენის ერგცერით დაყრდნობა. მკლავები – ქვეგანმკლავში დაშვება.

ორი – მარჯვენა ფეხის მუხლში მკვეთრად მოღუნვა და ტერფის მთელი სიბრტყით წინ ოდნავ ნახტომი, მუხლში მოღუნული მარჯვენის (მუხლი გარეთ მიმართული) დაბლა მიმართული ცერით მარცხენა ფეხის წვივს უკანა მხრიდან შეხება. მარცხენა მკლავის იდაყვში მოღუნვა, დაქნევით წინ – ზევით აწევა და წინ მხრით მკერდის წინ მოექცევა (წინამხარი იატაკის პარალელურად, მკერდს არ ეხება ან იდაყვდაქანებულად), მარჯვენა მკლავის წელშეუხებლად წელს უკან ქამრის სიმაღლეზე აწევა.

II ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის ოდნავი არეკნით წინ გამართულად გადადგმა და ქუსლით დაყრდნობა. მუხლში ოდნავ მოღუნული მარცხენის ტერფით იმ ადგილზე დადგმა, სადაც მანამდე მარჯვენა ფეხი იდგა. მკლავების დაქნევით ქვეგანმკლავში გაშლა.

ორი – ფეხების ადგილზევე მდგომარეობის შეცვლა. მკლავების სართავებით განზე გაშლა (სურ. 77).

ეს ილეთი უმთავრესად მოხეურ, მხედრულ და მთიულურ ცეკვებში იხმარება.

საწყ. მდგ. ერთი ორი ერთი ორი

სურ. 77

ხტომბრუნში ჩაკვრა

ხტომბრუნში ჩაკვრა სამი მოძრაობისაგან შედგება – ხტომა, ბრუნი და ჩაკვრა.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი – სამთიულურო მდგომარეობა, გულმკერდის წინ მარცხენა წინამხარი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხით არეკნი და მარჯვენა ფეხზე დახტომა მარცხნივ ნახევარბრუნთან ერთად, რომლის დროსაც მარცხენა ფეხის (მუხლში ოდნავ მოხრილი) უკუგადაქნევა და მარჯვენა ფეხის უკან ერთი ტერფის დაშორებით ცერით დაყრდნობა; გარეგაქნევით მკლავების გაწზე გაშლა.

ორი – მარჯვენა ფეხის ქუსლზე ნახევარბრუნი მარცხნივ, ბრუნის დასრულების შემდეგ ტერფის მთელი სიბრტყით დადგმა. მარცხენა ფეხის მუხლში გამართვა და, ტერფის მარცხნივ შებრუნებით, ქუსლით შეხება სწორედ იმ ადგილს, რომელსაც მანამადე ამ ფეხის ცერი ეხებოდა. მკლავების ჰორიზონტალურად მოქნევით საწყისი მდგომარეობა, მხოლოდ შენაცვლებულად: მარჯვენა წინამხრით გულ-მკერდის წინ, მარცხენით – წელს უკან (სურ. 78).

საწყ. მდგ. ერთი ორი

სურ. 78

აღწერილი ილეთი მეტწილად სხვა ილეთთან შეერთებით იხმარება და მთიულურ და მხედრულ ცეკვებში გვხვდება.

ხტომბრუნში ჩაკვრა შეიძლება ადგილზე და ადგილის შენაცვლებითაც სხვადასხვა მიმართულებით. ადგილის შენაცვლებისას პირველივე თვლაზე არეკნის შემდეგ სრულდება გადახტომი სასურველ მანძილზე ბრუნთან შეერთებით.

მხარმოქნევით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – მესამე პოზიცია, ხელი – თავისუფლად დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გარე ტაქტის **და** – ადგილზე მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა, იატაკს აცილება და წინმიმართულებით დასადგმელად მომზადება; ზეტანის

მარცხნივ შებრუნება და მარჯვენა მხრის წინმიმართულებით მოქცევა; მკლავების ოდნავი გარეაქნევით მცირე სართავები; სახე როგორც საწყისი მდგომარეობისას.

ერთი – მარჯვენა ფეხის დადგმა, მარცხენის მუხლში ოდნავ მოხრა და ტერფით მცირედით იატაკს აცილება; მარჯვენა მკლავის შიგამიმართულებით აქნევა სხეულის ახლოს ქამრის ან მკერდის სიმაღლეზე; მარცხენა მკლავის წელს უკან მოძრაობა. სახე როგორც საწყისი მდგომარეობისას.

და – მარჯვენა ფეხის იატაკს ცოტათი მოცილება, მარცხენის დადგმა.

ორი – მარჯვენა ფეხის დადგმა, მარცხენის იატაკს ოდნავ აცილება; მკლავების დაქნევისათვის მომზადება. სახე იმავე მიმართულებით (სურ. 79).

მეორე ტაქტი მარცხენა ფეხის წინ გადადგმით დაიწყება და იმავე წესით შესრულდება, როგორც ეს აღწერილია პირველ ტაქტში, მხოლოდ მეორე მხარეს.

სურ. 79

ორივე მხარეს შესრულების შემდეგ ილეთი დამთავრებულად მიიჩნევა, თუ პირველ ტაქტს მაშინვე არ მოსდევს დახვევით ბრუნი. უფრო დეტალურად: 1. ამ ილეთის შესრულება შეიძლება ადვილად – ზემოაღწერილი წესით ორ ტაქტში (ბრუნის გარეშე). 2. შესრულება შესაძლებელია დახვეული ბრუნით წინ გადგმული ფეხის საწინააღმდეგო მხარეს, რაც მეორე ტაქტის ხანგრძლივობაში ეტევა. 3. ზოგჯერ დახვევით ბრუნი თავსდება მესამე ტაქტში, რომლის დამთავრების შემდეგ წინ ისევ მარჯვენა ფეხია ილეთის დასაწყებად. ამ შემთხვევაში ჩაკვრა შესრულდება ჯერ ერთი და შემდეგ მეორე ფეხით, რასაც თან მოჰყვება დახვევით ბრუნი. 4. ახალი ფრაზის დასაწყებად ფეხის შესაცვლელად საჭიროა, დახვევით ბრუნი მეორე ან მეოთხე ტაქტში შესრულდეს.

აღწერილი ილეთი სრულდება ადგილის შენაცვლებით სხვადასხვა მიმართულებით; ამ შემთხვევაში ყოველ ტაქტზე ადგილი შენაცვლდება სასურველი მიმართულებით.

ამ ილეთს ქალები უფრო დაბალი ზეხტომით ასრულებენ. ილეთი აფხაზური ცეკვებისათვისაა დამახასიათებელი. ხშირად ამგვარი ჩაკვრით ერთმანეთის პირისპირ მდგარი ქალ-ვაჟნი ადგილებს იცვლიან.

ქუსლგადგმით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია. ხელი – შვილდურა (წინ მარცხენა).
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინმიმართულებით, მარჯვენა ფეხის უკან დარჩენა და ერგცერით დგომა. მკლავების მხრებზევით ჩასაგრეხად მომზადება.

ორი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინმიმართულებით, მარცხენა ფეხის ქუსლით იატაკს აშორება და მხოლოდ ერგცერით დგომა. მკლავების მხრებზევით ჩაგრეხა.

II ტაქტი

ერთი – საყრდენი მარჯვენა ფეხის ტერფზე წასრიალებით ოდნავი წახტომი მუხლდრეკით,

მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა (მუხლი გადაიშლება) და ტერფის შიდა მხარით მარჯვენა ფეხის წვივს ისე შეეხება, რომ ცერი დაბლა მიიმართოს, იატაკს შეეხოს ან ოდნავ მოშორდეს. მკლავების ჩაგრეხა (სურ. 80).

ორი – მარჯვენა ფეხის ტერფის წინა ნაწილზე დაყრდნობით ნახევარბრუნი მარცხნივ, მარცხენა ფეხის მუხლში გამართვა და წინ გადადგმა ქუსლზე (ტერფის სიბრტყე იატაკს აშორებულია). მკლავების, ჩაგრეხის შემდეგ, საწყისი მდგომარეობა.

საწყ. მდგ. ერთი ორი ერთი ორი

სურ. 80

აღწერილი ილეთის შესრულებისას გამახვილებულია მეორე ნახევარი – მეორე ტაქტი. *ქუსლგადადგმით ჩაკვრა* ხშირად ერთი ნაბიჯის წინ გადადგმითაც სრულდება. ამ შემთხვევაში პირველ ტაქტში (**ერთი, ორი**) შესრულდება ის, რაც აღწერილია პირველი ტაქტის ბოლოს და მეორე ტაქტის დასაწყისში, ხოლო მეორე ტაქტის პირველ თვლაზე მარცხენა ფეხი გადაიდგმება ქუსლზე წინ, რასაც მოსდევს ყოვნა ან რომელიმე მოძრაობა.

ეს ილეთი უმთავრესად მოხეურ, მხედრულ და მთიულურ ცეკვებში იხმარება.

მკლავების მდგომარეობა (აღწერილის გარდა) შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს ცეკვის ნახაზთან შეფარდებით. შერჩევა დამოკიდებულია მასწავლებელსა ან შემსრულებელზე.

ჩაკვრის ნაერთთა მაგალითები

ილეთის წინ მოყვანილი ციფრი მიუთითებს შესასრულებელი ილეთის რაოდენობაზე.

როგორც წესი, ნაერთის შესრულება მარჯვენა ფეხით იწყება.

1. 8 სადა ჩაკვრა.
2. 8 დახურული ჩაკვრა.
3. 4 სადა ჩაკვრა + 4 დახურული.
4. 4 სადა ჩაკვრა + 4 გახსნილი.
5. 4 სადა ჩაკვრა + 4 გახსნილი + 4 დახურული.
6. 4 დახურული ჩაკვრა + 4 გახსნილი + 4 დახურული.
7. 4 სადა ჩაკვრა + 4 წვივდაქნევით ჩაკვრა.
8. 4 დახურული ჩაკვრა + 4 გახსნილი + 4 დახურული + 4 წვივდაქნევით ჩაკვრა.
9. 2 სადა ჩაკვრა + 2 გახსნილი + 4 წვივდაქნევით ჩაკვრა.
10. 2 წვივდაქნევით ჩაკვრა + 2 დახურული + 2 გახსნილი + 2 სადა.
11. 8 ფეხშლილი ჩაკვრა.
12. 4 ფეხშლილი ჩაკვრა + 4 სადა.
13. 4 ფეხშლილი ჩაკვრა + 2 სადა + 2 წვივდაქნევით ჩაკვრა.
14. 4 სადა ჩაკვრა + 4 ფეხშლილი + 4 წვივდაქნევით + 4 ფეხშლილი.
15. 4 ჭდომილი ჩაკვრა.
16. 4 ჭდომილი ჩაკვრა + 8 წვივდაქნევით ჩაკვრა.
17. 4 წვივდაქნევით ჩაკვრა + 2 ჭდომილი.

18. 4 სადა ჩაკვრა + 4 წვივდაქნევით + 4 ფეხშლილი + 2 ჭდომილი ჩაკვრა.
19. 2 წვივდაქნევით ჩაკვრა + 2 ფეხშლილი + 2 ჭდომილი ჩაკვრა.
20. 4 ფეხშლილი ჩაკვრა + 4 ჭდომილი + 4 ფეხშლილი.
21. 8 ქუსლცერა ჩაკვრა.
22. 8 ქუსლცერა ჩაკვრა + 8 სადა ჩაკვრა.
23. 4 სადა ჩაკვრა + 8 ქუსლცერა + 4 სადა ჩაკვრა.
24. 4 სადა ჩაკვრა + 4 წვივდაქნევით ჩაკვრა + 8 ქუსლცერა.
25. 4 ქუსლცერა ჩაკვრა + 4 სადა + 4 გახსნილი + 4 ქუსლცერა ჩაკვრა.
26. 2 სადა ჩაკვრა + 2 ქუსლცერა + 2 სადა + 2 ქუსლცერა ჩაკვრა.
27. 2 ფეხშლილი ჩაკვრა + 2 ქუსლცერა + 2 ფეხშლილი + 2 ქუსლცერა.
28. 2 გახსნილი ჩაკვრა + 2 ქუსლცერა + 2 წვივდაქნევით + 2 ქუსლცერა.
29. 2 ქუსლცერა ჩაკვრა + 2 გახსნილი + 2 ფეხშლილი + 2 ქუსლცერა ჩაკვრა.
30. 8 ორფა ქუსლცერა ჩაკვრა.
31. 4 ქუსლცერა ჩაკვრა + 4 ორფა ქუსლცერა ჩაკვრა.
32. 2 სადა ჩაკვრა + 2 ქუსლცერა + 2 ფეხშლილი + 2 ორფა ქუსლცერა.
33. 4 ჭდომილი ჩაკვრა.
34. 4 ჭდომილი ჩაკვრა + 4 ფეხშლილი + 4 ქუსლცერა.
35. 1 ჭდომილი ჩაკვრა + 2 ქუსლცერა + 2 ფეხშლილი + 2 წვივდაქნევით ჩაკვრა (იგივე მეორე მხარეზე).
36. 4 განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა.
37. 2 განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა + 4 ორფა ქუსლცერა ჩაკვრა.
38. 2 ხლართული ჩაკვრა + 2 განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა.
39. 3 სადა ჩაკვრა + 1 მუხლმოქნევით + 3 წვივდაქნევით + 1 მუხლმოქნევით.
40. 2 მოხეური ჭდომჩაკვრა + 4 ქუსლცერა ჩაკვრა.
41. 2 მოხეური ჭდომჩაკვრა + 2 მოხეური ჩაკვრა ქუსლამართვით.
42. 4 მუხლმოდრეკით ჩაკვრა.
43. 2 მოხეური ჭდომჩაკვრა + 2 მუხლმოდრეკით ჩაკვრა.
44. 2 მუხლმოდრეკით ჩაკვრა + 2 მოხეური ჩაკვრა ქუსლამართვით.
45. 8 ხტომბრუნში ჩაკვრა (ბრუნი მარცხნივ).
46. 1 ხტომბრუნში ჩაკვრა (ბრუნი მარცხნივ) + 1 მარცხნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა + 1 ხტომბრუნში ჩაკვრა (მარცხნივ ბრუნით).
47. 8 აფხაზური ჩაკვრა (მხარმოქნევით).
48. 2 ქუსლგადგმით (ჭრილი) ჩაკვრა.
49. 4 აფხაზური ჩაკვრა + 4 ქუსლგადგმით ჩაკვრა.
50. 8 ცერდაქნევით ჩაკვრა (აფხაზური ვარიანტი) ერგცერზე.
51. 8 ცერდაქნევით ჩაკვრა (სვანური ვარიანტი) ერგცერზე.

ცერილეთები

ფეხის ცერებზე შედგომით ან შეხტომით შესრულებულ მოძრაობებს ცერილეთები ეწოდება. ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ფეხის ცერებზე ცეკვა ვაჟური ცეკვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა. ცერილეთების შესრულებისას სხეულის სიმძიმე ორივე ან ცალი ფეხის ცერს ეყრდნობა. ცხადია, რამდენადაც დიდი და ფართოა საყრდენი, იმდენად უფრო ადვილია წონასწორობის შენარჩუნება და პირიქით. ცერილეთები რთულ ილეთთა წყებას ეკუთვნის და სწავლებისას მას საკმარისი ყურადღება, დრო და ადგილი უნდა დაეთმოს.

თეატრალურ კლასიკურ ქორეოგრაფიაში ცერილეთებს მხოლოდ ქალები ხმარობენ. ამისათვის მათ სპეციალური მაგარცერებიანი ფეხსაცმელი აცვიათ. ვაჟები კი კლასიკურ ცეკვებში ცერილეთებს არასოდეს ხმარობენ.

ქართულ ცეკვებში სულ სხვა ვითარებაა: ფეხის ცერებზე მხოლოდ ვაჟები ცეკვავენ, ქალები – არა. ვაჟებს თხელი ტყავისაგან შეკერილი რბილი ფეხსაცმელი აცვიათ (წულები, მესტები), ყოველგვარი დამხმარე ე.წ. „პრობკების“ – საცობისა და სახვევის გარეშე.

ქართულ ცეკვებში არის ცეკვა, რომელიც მთლიანად ცერილეთებზეა აგებული და ამიტომაც *ცერული* ეწოდება.

ცერებზე კარგ მოცეკვავეს ხალხში მაგარცერებიანს უწოდებენ და მასზე იტყვიან: „კარგი ცერები აქვს და უშიშრადაც ხმარობს მათ“. ცეკვისას ფეხის ცერების დოლბანდით ან ბამბით შეხვევა სირცხვილია, მას დასცინებენ: „კარგი ვაჟკაცია და, ვაგლახ. ფეხები ავადა ჰყავსო“ ან ყალბცერებიან მოთამაშედ მოიხსენებენ.

ცერილეთები განსაკუთრებით მთიულურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება; გამონაკლისია ცეკვა *ხორუმი*, რომელიც მხედრული ხასიათის ცეკვაა, მაგრამ უცერილეთებო.

იმ ცეკვებს შორის, რომლებშიც ცერილეთები იხმარება, ცერულს, უდავოდ, პირველი ადგილი უჭირავს. ცერილეთები ამ ცეკვის მთავარი ტექნოლოგიური მასალაა.

ცერილეთების მთავარი სახეები

- ტყუპცერზე შედგომა.
- ცალცერზე შედგომა.
- ფეხშლილი ცერშედგომი.
- ჭდომილი ცერშედგომი.
- ტყუპცერზე დახტომა.
- ცალცერზე დახტომა.
- ცერდგომში ბრუნი.
- ცალცერზე ბრუნი.
- ცერებზე ბრუნი.
- ცერჩაკვრა.
- ცერდგომში ხტომა.
- ცერებზე რბენა.

ტყუპცერზე შედგომა

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – I პოზიცია, ხელი ქამარში, დოინჯი ან ხანჯალზე. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – ერგბუქნი.

ორი – არეკნით დაბალი ზეხტომი და ორივე ფეხის ცერებზე შედგომა (სურ 81, 81ა).

ერთი ორი ერთი ორი

სურ. 81

ერთი ორი ერთი ორი

სურ. 81ა

ამ ილეთის შესრულებისას ქუსლები და ცერები ერთმანეთს არ უნდა დაშორდეს. მკლავების მდგომარეობა და მოძრაობა დამოკიდებულია ცეკვის ხასიათზე.

ეს ილეთი მეტწილად მთიულურ, აფხაზურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

ცალ ცერზე შედგომა

ამ ილეთის შესრულება შესაძლებელია სხვადასხვა მდგომარეობაში: ცალ ფეხზე დგომი, ორივე ფეხზე დგომი, ხტომა და სხვა.

I პოზიციიდან ცალ ცერზე შედგომისას, ცერზე შედგომის წინ ოდნავი ბუქნი და შემდეგ არეკნია საჭირო. მეორე თავისუფალი ფეხი კი მუხლში მოიხრება და ზეაიწევა (სურ. 82).

თუ ილეთი ცალი ფეხიდან იმავე ცალ ფეხზე სრულდება, ბუქნის შემდეგ არეკნი უფრო უნდა გაძლიერდეს (სურ. 82ა).

ცალცერა ილეთები, ცხადია, მხოლოდ ტყუპ ცერილეთების შემდეგ შეისწავლება და შესრულდება

ერთი ორი

სურ. 82

ილეთის შესწავლისას ცალ ცერზე შედგომა და ტერფზე დაშვება ჩქარი ტემპით უნდა ხდებოდეს, რათა ცერზე ყოფნის დრო რაც შეიძლება შემცირდეს. ამრიგად, ცალ ცერზე შეჩერება ძნელი ილეთია და იგი მხოლოდ შესაფერისი წვრთნა-მომზადების შემდეგ უნდა შესრულდეს. მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა აქაც ცეკვის ხასიათზეა დამოკიდებული.

სურ. 82ა

ფეხშლილი ცერშედგომი

ფეხშლილი ცერშედგომი ფეხშლილ ჩაკვრისებურად შესრულდება.

ერთი – ფეხი – III დახურული პოზიცია, ერგბუქნი.

ორი – დაბალი ზეხტომით ორივე ფეხის მხრების სიგანეზე გაშლა, მაღალი ერგცერების ნაცვლად ცერებზე შედგომა და ტაქტის მეორე ნახევარში ფეხის ქუსლების გარეთ მიმართვა (სურ. 83).



საწყ. მდგ. ერთი ორი

სურ. 83

ეს ილეთი მეტწილად ცერულში, მთიულურში, მოხეურში, მხედრულში და მწყემსურში იხმარება.

ჭდომილი ცერშედგომი

(ჭდომცერდგომი)

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – ერგცერებზე, მჭიდროდ გადაჭდომილი და კოჭებით ერთმანეთს ეხება, მარჯვენა ფეხი უკან. ხელი – I პოზიცია (განგაშლილი). მუსიკალური ზომა – 2/4.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის ცერის მარცხენა ფეხის ქუსლს უკან დადგმა (მუხლი გარეთ მიმართული).

ორი – მარჯვენა ფეხის ცერზე დაყრდნობით მარცხენის გათავისუფლება და ცერით მარჯვენა ფეხის ცერის გვერდზე და ოდნავ გარეთ დადგმა. სხეულის სიმძიმის ორივე ფეხის ცერებზე განაწილება.

II ტაქტი

ერთი-ორი – ცერდგომზე ყოვნა (სურ. 84), შემდეგ ტერფებზე დადგომა.

ჭდომილ ცერდგომში შესაძლებელია პაუზის სურვილისამებრ გახანგრძლივება – ორი-სამი და მეტი ტაქტის განმავლობაში.

სურ. 84

ჭდომილ ცერდგომიდან ხშირად სრულდება სვლები: განზე, წინ, უკან ან ცერებზე სვლა ადგილზე ბრუნით (იხ. ცერდგომბრუნი და ცერებზე სვლა).

ტყუპცერზე დახტომა

ცერებზე დახტომი სხვადასხვა მდგომარეობიდან ან მოძრაობიდან სრულდება: ადგილზე ზეხტომის შემდეგ, სვლიდან, ხტომბრუნიდან, ბრუნიდან და სხვ. მხოლოდ რა ილეთით ან ხერხითაც უნდა შესრულდეს, ტყუპცერზე დახტომის წინ მოცეკვავე აუცილებლად ჰაერში იმყოფება.

ცერებზე დახტომი, რომელიც უმეტესად ფეხებშეტყუპულ ან ფეხჭდომილ მდგომარეობით მთავრდება, საჭიროა შესრულდეს არა გამართულ ფეხებზე, არამედ რბილ ერგბუქნში (სურ. 85). მუხლში გამართული ფეხების ცერებზე დახტომა დიდი შეცდომაა და ხშირად ფეხის თითების დაზიანება (ღრძობა) მოჰყვება. ამიტომ ეს ილეთი მხოლოდ მაშინ ისწავლება, როდესაც ფეხის კუნთები შესაფერისადაა ამისათვის მომზადებული, მოცეკვავე საკმაოდ გავარჯიშებულია ცერშედგომის სხვადასხვა ილეთების შესრულებაში და მანამდე სავსებით სწორად შეუძლია შეასრულოს ერგცერებზე რბილი დახტომი. დახტომისას ფეხის ცერები და ხერხემალი სხეულის წარმოდგენითი გასწვრივი ღერძის ხაზზეა.

მკლავების მდგომარეობა და მოძრაობა დამოკიდებულია ცეკვის ხასიათზე.

სურ. 85

ცალცერზე დახტომა

ზემოაღნიშნული წესები ამ ილეთზეც ვრცელდება. ცხადია, ცალ ცერზე დახტომა უფრო ძნელია, ვიდრე ორზე, რადგან დახტომისას სხეულის მთელი სიმძიმე ცალი ფეხის ცერს ეყრდნობა. *ცალცერზე დახტომა* მხოლოდ კარგ შემსრულებელს შეუძლია იხმაროს ცეკვისას. ვარჯიშისას ცალ ცერზე ხშირი დახტომა, გადამეტებული შესრულება სახიფათოა. ამიტომ სიფრთხილე და განსაკუთრებული ზომიერებაა საჭირო.

ცალცერზე დახტომის გადაბმულად ხმარებისას წინსვლის მიზნით (ცერებზე რბენის გარდა) ზეხტომიც და დახტომიც ხშირად ერთსა და იმავე ცერზე ხდება, მუხლში ოდნავ მოღუნულ ფეხზე. ამგვარ შემთხვევაში ზეხტომი დაბალი უნდა იყოს, დახტომი – რბილი (სურ. 86).

დასაწყისში ცალცერზე დახტომა ძელთან ისწავლება.

სურ. 86

ცერდგომში ბრუნი

ცერდგომში ბრუნი ჩვეულებრივად ფეხებგადაჭდომილად სრულდება. ბრუნისას ის ფეხი დგას წინ, რომელ მხარესაც სრულდება ბრუნი. ჭდომილ ცერდგომში ბრუნი ცერების

რიგრიგობით გადადგმით ან მოკლე სკუპით ხდება. მოკლე სკუპისას ოდნავი არეკნი ერგბუქნიდან და მსუბუქი დახტომი აუცილებელია. ჰაერში ყოფნისას გადაჭდომილი ფეხების მდგომარეობა იმ სისწრაფით უნდა შეიცვალოს, რომ დამთავრებული მოძრაობის შემდეგ დახტეს.

ცერდგომში ბრუნი სრულდება 1/4 წრეზე (90˚), ნახევარ წრეზე (180˚), მთელ წრეზე (360˚).

180˚-ზე ბრუნს ნახევარი ბრუნი ეწოდება, 360˚-ზე – სრული ბრუნი, ორ სრულ ბრუნს – ორფა ბრუნი (სურ. 87).

სრული ბრუნისა და ორფა ბრუნის შესასრულებლად (ბრუნი ზეხტომით) მკლავების ისეთი მდგომარეობაა საჭირო, რომელიც მოცეკვავეს დაეხმარება ბრუნის, განსაკუთრებით კი ორფა ბრუნის, შესასრულებლად. ამისათვის ბუქნისას მკლავები მეორე ან მესამე პოზიციაში უნდა იყოს, ხოლო მოღუნულია ის მკლავი, რომლის მხარესაც ბრუნი სრულდება (იხ. სურ. 88).

სურ. 87

არეკნის დაწყებასთან ერთად მოღუნული მკლავი ჰორიზონტალური გაქნევით განზე გაიშლება, ხოლო განზე გაშვერილი მკლავი გაქნევითვე ბრუნის მხარეს ოდნავ წაიწევს. დასასრულ, მკლავების საწყისი მდგომარეობა ან ბრუნის საწინააღმდეგო მხარეს მდებარე მკლავის დახურვა.

ცალცერზე ბრუნი

ცალცერზე ბრუნი სხვადასხვა მდგომარეობიდან სრულდება. ქვემოთ აღწერილია ცალცერზე ბრუნის მხოლოდ ერთი ვარიანტი.

ცალცერზე სრული ბრუნი მარცხნივ

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – IV პოზიცია, ხელი – II პოზიცია (მარცხენა დახურული). მუსიკალური ზომა – 3/4 ან 6/8.

გარე ტაქტი – **და** – ოდნავი ბუქნი ფეხების მეოთხე პოზიციიდან, მარცხენა ფეხის ცერზე შედგომა.

ერთი – ოდნავი ბუქნის შემდეგ ბრუნი მარცხნივ შემდეგნაირად: მარცხენა ფეხის მუხლში გამართვა, სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადატანა, მარჯვენა ფეხის მცირე არეკნით იატაკს მოცილება, მუხლში მოღუნვა და ტერფის ზურგით მარცხენა ფეხის წვივს მიკვრა (მარჯვენა მუხლი გარეთ მიმართული). მარცხენა მკლავის განზე გაქნევით გაშლა, მარჯვენის – ბრუნის ნახევარიდან იდაყვის სახსარში მოხრა. ძლიერი ბრუნი გამართულ მარცხენა ფეხზე, რომელზეც ბრუნის დაწყებისთანავე სხეულის სიმძიმე მთლიანად გადადის.

ორი – მარჯვენა ფეხის დადგმა IV ან III პოზიციაში, მარჯვენა მკლავის დახურვა II პოზიციაში.

საწყ. მდგ. და ერთი და ორი

სურ. 88

შემდეგ ტაქტში ბრუნის ისევ მარცხენა მხარეს შესასრულებლად მკლავები II პოზიციაში მდგომარეობას შეიცვლის (საწყის მდგომარეობაში დაბრუნება).

ერთ-ნახევარი ან ორფა ბრუნი ცალ ცერზე ზემოაღწერილ წესითვე შესრულდება, ხოლო ბრუნის მხარეს ზეტანისა და მკლავის მოქნევა – უფრო ძლიერად.

ამავე წესით შესრულდება ბრუნი ცალ ერგცერზე. ცხადია, რომ ყოველი სახის ბრუნი ჯერ ერგცერებსა და ერგცერზე ისწავლება, ამის შემდეგ სრულ ცერებსა და ცალ ცერზე.

ყოველი ბრუნის შესრულებისას თავი ბრუნის მხარეს მიბრუნდება, დამთავრებისას კი ისევ სწორ ან საწყის მდგომარეობას მიიღებს.

ცალ ფეხზე შეიძლება ერთი, ორი ან მეტი ბრუნი შესრულდეს. ამისათვის საჭიროა ზუსტი წონასწორობის გრძნობა, ყოველდღიური მუყაითი და დაკვირვებული წვრთნა. შესაძლებელია წონასწორობის სატანვარჯიშო იარაღების გამოყენებაც. მოცეკვავეს მოეთხოვება ბრუნვის ილეთების ცოდნა ორივე მხარეს.

აღწერილი ილეთი თითქმის ყველა სახის მთიულურ ცეკვებში გვხვდება.

ცერებზე სვლა

ცერებზე სვლა სხვადასხვა მიმართულებით (გვერდზე, წინ, უკან, ადგილზე) მთიულურსა და სხვა ცეკვებშიც გვხვდება, მაგალითად: *მხედრულში, მწყემსურსა* და *მოხეურში*. ცერებზე სვლა უფრო ხშირად გვერდზე და უკან მიმართულებით იხმარება.

ცერებზე სვლისას საჭიროა ტრადიციული წესების დაცვა:

1. თუ გვერდზე სვლა მარჯვნივ სრულდება, სვლა ჭდომილი ცერდგომიდან იწყება, მარჯვენა ფეხი მარცხენაზე გადაჭდომილია წინიდან, პირველი ერგნაბიჯი მარჯვენა ფეხით იწყება.

თუ გვერდზე სვლა მარცხნივ სრულდება, წინ მარცხენა ფეხი დგას და მარცხენითვე იწყება ერგნაბიჯი.

2. უკუსვლა ფეხჭდომილი მდგომარეობიდან იწყება. სულ ერთია, რომელი ფეხი დგას წინ – პირველი ნაბიჯი უკან მოქცეული ფეხით გადაიდგმება.

3. გვერდზე ჭდომილი სვლისას წინ ხან მარჯვენა ფეხია, ხან – მარცხენა (ხლართულა სვლა).

4. ადგილზე სვლით ბრუნისას წინ ის ფეხი იქნება, რომლის მხარესაც სრულდება ბრუნი.

5. ცერებზე სვლისას შეიძლება ფეხები მუხლში გამართული, მუხლის ზეაწევით ან წვივმოქნევით მოძრაობდეს. ცერებზე სვლისთვის ყველა მიმართულებით მცირე ნაბიჯები გადაიდგმება.

სვლისას მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა სხვადასხვანაირია.

ცერჩაკვრა

ცერჩაკვრის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. აღვწერთ სვანურს – დაქნევჩაკვრას.

საწყისი მდგომარეობა: ფეხები – I პოზიცია, ხელები ხანჯალზე ან ქამარში. მუსიკალური ზომა 3/4 ან 6/8.

გარე ტაქტი – **და** – მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ჰაერში უკან ისე აწევა, რომ მუხლი საყრდენი ფეხის ხაზს გასცილდეს, წვივი ზეაიწიოს, ტერფის ზურგი გაიჭიმოს და ტერფის სიბრტყე ზევით მიემართოს.

ერთი – მარჯვენა ფეხის წვივის დაქნევით და მარცხენა ფეხის მუხლში ოდნავ მოღუნვით ტყუპცერზე შედგომი (მოძრაობის ბოლოს ორივე ფეხი შეტყუპებულია და მუხლში ოდნავ მოღუნული).

ორი – მარცხენა ფეხით ტერფით დადგმასთან ერთად მარჯვენა ფეხის უკუაწევა გარე ტაქტის **და**-ზე აღნიშნული წესით. ამ ილეთის შესრულებისას დაქნევითი მოძრაობა მხოლოდ ერთი და იმავე ფეხით სრულდება.

დაქნევჩაკვრის ილეთით შესაძლებელია წინსვლა: თითოეული ტაქტის მეორე ნაწილში, ტყუპცერზე შედგომიდან ჩამოსვლის დროს დაშვებამდე, მარცხენა ფეხის ტერფზე ოდნავი წინსკუპი. ცერშედგომიც (**ერთი**), შესაძლებელია, წინ წაწევით შესრულდეს (სურ 89).



გარე ტაქტი და ერთი და ორი

სურ. 89

ამრიგად, აღწერილი ილეთი სრულდება ადგილზე, ადგილის შენაცვლებითაც და წინ მიმართულებით.

დაქნევჩაკვრის ილეთით ასევე შეიძლება მარცხნივ ან მარჯვნივ ბრუნი (1/4, 1/2, 1 წრეზე) ან მცირე წრით შემოვლა (დგომის ადგილის ირგვლივ).

დაქნევჩაკვრის მეორე ვარიანტი

(აფხაზური)

საწყისი მდგომარეობა: ფეხი და ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/3 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

გარე ტაქტი – **და** – მარჯვენა ფეხის უკუაქნევით მუხლში მოღუნვა და ჰაერში ისე აწევა, რომ მუხლი საყრდენ ფეხის ხაზს გადაცილდეს, წვივი ზეაიწიოს, ტერფის ზურგი გაიჭიმოს და ტერფის სიბრტყე ირიბად ზევით მიემართოს.

ერთი-და – ზეხტომით ფეხების მდგომარეობის ორჯერ შეცვლა (სირბილით) – მარჯვენა ფეხი იმავე მდგომარეობაში, რომელშიც გარე ტაქტი **და**-ზე იყო მკლავები დაშვებულ მდგომარეობიდან წინ-უკან მოძრაობენ.

ორი – მარცხენა ფეხიდან ზეხტომით და მარჯვენა ფეხის წვივის დაქნევით მარჯვენა ფეხის ცერზე შეხტომა. მარცხენა ფეხი ზეაქნევით დაიკავებს გარე ტაქტის **და**-ზე აღწერილ მდგომარეობას; მარცხენა მკლავის მოღუნვა და ხელის ნებით კეფის (ან ქუდს)

შეხება ან III პოზიციაში აწევა; მარჯვენა მკლავის ქვეგანმკლავამდე დაწევა, ზეტანის ოდნავ მარჯვნივ შებრუნება და მარჯვნივ გადახრა, თავის მარჯვნივ მიბრუნება.

და – პაუზა ცერდგომში (სურ. 90).

სურ. 90

II ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით, როგორც ეს აღწერილი იყო მარჯვენა ფეხისათვის.

ამ ილეთის შესრულებისას მკვეთრად გამახვილდება **ორი**.

ცერდგომში ხტომი

ცერდგომში ხტომი რთულ ილეთთა ჯგუფს ეკუთვნის და მრავალვარიანტულად სრულდება. ქვემოთ აღწერილია რამდენიმე ვარიანტი.

ტყუპცერდგომიდან ზეხტომი

საწყისი მდგომარეობა: ტყუპცერდგომი – I პოზიცია, მკლავები – I პოზიცია. მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – ერგბუქნი, მკლავების ოდნავ ქვევით დაწევა.

ორი – ზეხტომი, ჰაერში ორივე ფეხის მუხლში ისე მოკეცვა, რომ ფეხის ცერები დაბლა მიიმართოს; მკლავების ზეაქნევა.

გარე ტაქტი

ერთი – ორივე ცერებზე რბილი დახტომა. მკლავების ქვეგანმკლავით დაშვება.

ორი – ორივე ფეხის მუხლში გამართვა, მკლავების განზე გაშლა (ან სხვა მდგომარეობა) (სურ. 91).



სურ. 91

ამ ილეთის ზედიზედ და გადაბმულად შესრულებისას, ზეხტომი თითოეული ტაქტის მეორე თვლაში სრულდება.

ამ ილეთში ზეხტომისას შეიძლება ორივე წვივის ზეაკეცვაც.

ჭდომილ ცერდგომში ზეხტომი

საწყისი მდგომარეობა: ჭდომილი ცერდგომი, ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – ერგბუქნი, მკლავების ოდნავ ქვევით დაწევა.

ორი – ზეხტომი, კოჭებთან გადაჭდომილი ფეხების მუხლებში მოღუნვა (მუხლები გარეთ მიმართული). მკლავების ზეაქნევით ზეხტომის შეშველება.

II ტაქტი

ერთი – ჭდომილი დახტომი რბილ ერგბუქნამდე; მკლავების ქვეგანმკლავამდე დაწევა.

ორი – ფეხების მუხლებში გამართვა, მკლავების განზე გაშლა (ან სხვა მდგომარეობა) (სურ. 92).

ეს ილეთი თუ ზედიზედ და გადაბმულად სრულდება, ბუქნი და ზეხტომი ერთ ტაქტში მოექცევა (**ორი** ზეხტომს დაემთხვევა).

საწყ. მდგ. ერთი ორი ერთი ორი

სურ. 92

ცერზე ხტომებით შეიძლება ადგილის გადანაცვლება სხვადასხვა მიმართულებით (წინ, განზე, უკან და სხვ.).

აღწერილი ილეთის პირველი და მეორე ვარიანტის შესრულებისას ზოგჯერ, ცეკვის ხასიათის მიხედვით, ფეხები ერთმანეთს განზე გაშლით შორდება, ხოლო დახტომამდე ფეხები ისევ იმ მდგომარეობას მიიღებს, რომელშიც ზეხტომამდე იყო.

ცეკვებში ხშირად პირველი ვარიანტი მეორესთანაა გადაბმული და, თუ ორ ტაქტში პირველი ვარიანტი შესრულდა, მეორე ორ ტაქტში მეორე და ასე რიგრიგობით შეიცვლება.

ცერზე ხტომა სრულდება მარჯვნივ და მარცხნივ ბრუნთან შეერთებით წრის 1/4, 1/2 და მთელ წრეზეც ე.ი. ერგბუქნის შემდეგ ზეხტომი ბრუნს შეუერთდება. ამ შემთხვევაში მკლავების მდგომარეობა-მოძრაობებისათვის გამოიყენება ბრუნილეთებისათვის აღწერილი წესი.

ცერზე ხტომა მეტწილად მთიულურ, მხედრულ და მოხეურ ცეკვებში იხმარება.

ცალცერდგომში ხტომი

ცალ ცერზე ხტომა შეიძლება შესრულდეს ცალი ფეხიდან არეკნით ისევე, როგორც ეს აღწერილი იყო წინა ილეთის განმარტებისას. შესაძლებელია ცალ ცერზე ზეხტომის ბრუნთან დაკავშირებაც.

ცალ ცერზე ზეხტომი მხოლოდ მცირე სიმაღლეზე სრულდება. თითოეულ ზეხტომს წინ უძღვის მცირე ერგბუქნი. მკლავები და თავისუფალი ფეხი შეიძლება სხვადასხვა მდგომარეობაში იყოს, უფრო ხშირად კი I და III პოზიციაში (სურ 93).



სურ. 93

ცალ ცერზე დგომში ზეხტომი ძნელ ილეთთა ჯგუფს ეკუთვნის და სწავლებისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს.

ეს ილეთი მეტწილად მხედრულ, აფხაზურ და მთიულურ ცეკვებში იხმარება.

ცერებზე რბენა

ცერებზე რბენა ცეკვა *ცერულშია* მიღებული. იგი ძნელი ილეთია და, როგორც ჩვეულებრივი სირბილი, ისიც ერთიმეორეზე გადაბმული თანაბარი ხტომებისაგან შედგება. ილეთი მძლავრად ტვირთავს ქვედა კიდურებს ფეხის თითების სახსრებში და მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ყურადღებას დაქნეული ფეხის ცერით იატაკზე შეხებისას (სურ 94-94ა).

თითოეულ ტაქტში ორი რბენბიჯი ეტევა. ცერებზე რბენა უფრო ხშირად წრეშემორბენისას სრულდება და მეტწილად ცეკვის დასაწყისში.



სურ. 94

გარე ტაქტი ერთი და ორი და

სურ. 94ა

მკლავების მდგომარეობა: მარჯვენა ხელი ხანჯლის ტარს ზევიდან ეხება, მარცხენა ხელის თითები შემოხვეულია ქარქაშზე ტარის ოდნავ ქვემოთ. იშვიათად მკლავები განზეა გაშლილი.

ეს ილეთი შეიძლება რბენით ადგილზე ბრუნის დროსაც შესრულდეს.

ბრუნი

ქართულ ქორეოგრაფიაში, განსაკუთრებით მთიულურ და მხედრულ ცეკვებში, ბრუნებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ხშირად ქორეოგრაფიული ფრაზა ბრუნით იწყება და მითივე თავდება. ბრუნის ილეთები ცეკვაში მრავალ ადგილზე და სხვადასხვა სახით გამოიყენება.

ბრუნი შეიძლება შესრულდეს წრის 1/4, 1/2, 3/4 ნაწილზე, მთელ წრეზე, ადგილზე და ადგილის შენაცვლებით; ცალ ფეხზე, ერთი ფეხიდან მეორეზე გადასვლით, ერგცერზე, ერგცერებზე, ცერზე, ცერებზე დაყრდნობით და ჰაერში; დინჯ, საშუალო ან სწრაფ ტემპში; სხვა ილეთთან შეკავშირებულად ან დამოუკიდებლად; მძლავრად ან მოდუნებულად; ცალფად, ორფად, სამფად და რგოლგადაბმულად.

ბრუნები ჯერ ერგცერებზე შეისწავლება, შემდეგ – ცერებზე. ბრუნისას მკლავების ხმარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მათ დაუხმარებლად ბრუნის სწორად შესრულება შეუძლებელია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბრუნისას ზეტანის (წელის) ვერტიკალურ მდგომარეობას – ზეტანის მდგომარეობის ფიქსირებას.

ბრუნის მთავარი ილეთები:

- ერგცერზე ბრუნი.
- ცალ ცერზე ბრუნი.
- სამდაკვრით ბრუნი.
- დახვევით ბრუნი.
- ფეხცვლით ბრუნი.
- ჭდომილ დგომში ბრუნი.
- შიგ მოქნევით ბრუნი.
- განბიჯით ჭდომბრუნი.
- მუხლებზე ბრუნი.
- ერგბუქნში ბრუნი.
- ჩაკვრით ბრუნი.
- ჭდომ-სკუპით ბრუნი.
- ბზრიალა ბრუნი.
- ზეხტომბრუნი.
- საკეტი ხტომბრუნი.

ერგცერზე ბრუნი

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – IV პოზიცია, ხელი – II (დახურულია მარცხენა). მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8.

ერთი – ერგბუქნი – სრული ტერფდგომა.

და – ზეტანის მარცხნივ მოქნევისა და ფეხების მუხლში გამართვასთან ერთად სხეულის სიმძიმის მარცხენა ფეხზე გადატანა, მარჯვენის იატაკს მოცილება და ბრუნის დაწყებისთანავე ტერფის ზურგით მარცხენა ფეხის წვივს უკანა მხრიდან მიკვრა (მუხლი ოდნავ გარეთ მიმართული), მარცხენა ფეხის მუხლში მძლავრად გამართვა და ერგცერზე დგომა. ჰორიზონტალური გარეგაქნევით მარცხენა მკლავის განზე გაშლა, მარჯვენა მკლავის იდაყვის სახსარში მოხრის დაწყება. ბრუნი – მარცხნივ.



სურ. 95ა

ორი – მარცხნივ მთელ წრეზე შემობრუნების ბოლოს მარჯვენა ფეხის მარცხენას მოცილება, ორივე ფეხით ერგბუქნი და III ან IV პოზიციაში დადგმა. მარჯვენა მკლავის იდაყვში მოღუნვის დასრულება – II პოზიცია.

და – ორივე ფეხის მუხლში გამართვა (სურ 95ა).

მეორე ტაქტის დასაწყებად იმავე მხარეზე (მარცხნივ ბრუნისათვის) ახალი ტაქტის პირველ თვლაზევე ბუქნისას მკლავები უბრუნდება საწყის მდგომარეობას – II პოზიცია.

მარცხნივ ბრუნის შემდეგ ბრუნის მეორე მხარეს შესასრულებლად, მარჯვენა მკლავი დარჩება მოღუნული, რათა მარჯვნივ ბრუნს გარე გაქნევით დაეხმაროს.

ერგცერზე ბრუნი სრულდება III პოზიციიდანაც.

აღწერილი ილეთი ყველა სახის მთიულურ ცეკვაში გვხვდება.

ერგცერზე ბრუნი ფეხშლილი დგომიდან – ცერულის ვარიანტი

ერგცერზე ბრუნის *ცერულის* ვარიანტით შესრულებისას, მკლავების მდგომარეობა არ იცვლება: ბრუნისას და ბრუნის შემდეგაც ცალი ხელი ნებით ხანჯლის ტარზე რჩება, მეორე – ქარქაშს დახრილ მდგომარეობას უნარჩუნებს. ბრუნის დამთავრების შემდეგ თავისუფალი ფეხი საყრდენი ფეხის წინ III პოზიციაში დაიდგმება (დახურულად) ფეხშლილი ცერდგომის შესასრულებლად (სურ 95ბ).



სურ. 95ბ

ამრიგად, *ცერულის* ვარიანტით ერგცერზე ბრუნი ფეხშლილი მდგომარეობიდან ფეხშლილ ცერდგომთან შეერთებით მთლიანი (ორტაქტიანი) ილეთია. იგი სრულდება სხვა სახითაც, მაგალითად: ფეხშლილ ცერშედგომის მაგიერ (ბრუნის შემდეგ) ქუსლცერა ან გახსნილი ჩაკვრა და სხვა.

ამ ილეთის შესრულებისას ბრუნი სრულდება შვეული ღერძის ირგვლივ, რომლის დროსაც ზეტანი ფიქსირებულია გამართულად.

როგორია თავის მდგომარეობა ბრუნის შესრულებისას? ყოველი სახის ძლიერი ბრუნის შესრულების წინ, საწყის მდგომარეობაშივე უნდა მოინიშნოს „სამზერი წერტილი“ და ბრუნის პროცესში მას თვალი არ მოშორდეს იქამდე, ვიდრე ამის შესაძლებლობას კისერი მისცემს.

აღწერილი წესით ილეთის შესწავლილ-შეთვისების შემდეგ მისი შესრულება შეიძლება ერთ-ნახევარ ან ორფა ბრუნით სხვადასხვა მდგომარეობიდან.

ცალ ცერზე ბრუნი

აღწერილია ცერილეთებში.

სამდაკვრითი ბრუნი

ეს ილეთი მარტივი სახის ილეთთა ჯგუფს ეკუთვნის და ერგცერებზე დგომით სრულდება.

სასურველ მხარეს ბრუნი სრულდება ადგილზე სამდაკვრითი ილეთით, ხოლო თვით ბრუნისას ზეტანი ოდნავ გადაქანებულია ბრუნის მხარეს. მარცხნივ ბრუნის დაწყებასთან ერთად მოიღუნება მარცხენა მკლავი, მარჯვნივ ბრუნისას – მარჯვენა. ბრუნის დაწყებისას იღუნება ის მკლავი, რომლის მხარესაც სრულდება ბრუნი. მკლავების მდგომარეობა-მოძრაობის დეტალები დამოკიდებულია ცეკვის ხასიათისა და ხაზის კომპოზიციაზე.

სამდაკვრით ბრუნი ადგილის შენაცვლებითაც სრულდება.

დახვევით ბრუნი

(ფეხშენაცვლებით)

ბრუნი სრულდება როგორც ადგილზე, ისე სვლისას.

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – I პოზიცია, ხელი – II პოზიცია (დახურულია მარჯვენა).

ერთი – მარჯვენა ფეხის გადგმა წინ ნახევარი ნაბიჯით და ერგცერით იატაკს დაკარება, მარცხენა ფეხის გათავისუფლება, მუხლში მოღუნვა და უკუდაქნევით ნახევარბრუნი მარცხნივ მარჯვენა ფეხზე (მკლავები ჩაგრეხით იცვლის მდგომარეობას).

ორი – მარჯვენა ფეხის ერგცერით მარცხნივ ნახევარბრუნის შემდეგ მარცხენის სრულ ტერფზე დადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა. მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ტერფის ზურგით საყრდნობი ფეხის წვივს შეხება. მარცხენა მკლავის განზე გაშლა, მარჯვენის მოღუნვა (ან მკლავების მდგომარეობის ჩაგრეხით შეცვლა). ბრუნის დასაწყისში დასაშვებია ზეტანის ოდნავ წინ გადახრა (სურ 96).

ბრუნის დაწყებისას ის მკლავი მოიღუნება, რომლის მხარესაც ბრუნი სრულდება, ბრუნის დამთავრებისას – მეორე მკლავი.

დახვევით ბრუნი სრულდება ორფა ბრუნითაც. ამ შემთხვევაში ყოველი დათვლა თითო სრული ბრუნი.

ერთი და ორი და

სურ. 96

ფეხცვლით ხტომბრუნი

ფეხცვლით ხტომბრუნი უფრო ხშირად ადგილზე სრულდება ერგცერებსა და ცერებზე: მუხლის სახსრიდან წვივების უკუაქნევით, რიგრიგობით ფეხის ცვლით ნახევარი ან სრული ბრუნით.

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – IV პოზიცია, ხელი – II (დახურულია მარცხენა).
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – ზეტანის მძლავრ მოქნევასთან ერთად მარცხენა მკლავის განზე გაქნევით გაშლა, ამავდროულად მარცხენა ფეხიდან არეკნილ ზეხტომბრუნით (მარცხენა ფეხის მუხლის სახსრიდან წვივის უკუაქნევა) მარჯვენა ფეხის ერგცერზე დახტომი.

ორი – მარჯვენა ფეხიდან ზეხტომბრუნით ფეხების მდგომარეობის შეცვლა – დახტომი მარცხენა ფეხზე, მარჯვენა წვივის უკუაქნევა. მარჯვენა მკლავის II პოზიციაში დახურვა. ბრუნის გაგრძელებისას (მიყოლებით) მოძრაობა აღწერილი წესით მიმდინარეობს (სურ. 97).

სურ. 97

ჭდომილ დგომში ბრუნი
აღწერილია ცერილეთებში

ფეხის წინ – შიგმოქნევით ბრუნი
ეს ილეთი ცალ მუხლზე დგომით სრულდება.
საწყისი მდგომარეობა: მარჯვენა მუხლზე დგომი (ან ჩოქი მარჯვენაზე). ხელი – II პოზიცია (დახურულია მარცხენა). მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8.
ერთი – ერთდროულად მუხლიდან ადგომა (რა დროსაც უკვე ბრუნი იწყება) და მარჯვენა ფეხის წინ შიგნით ისე მოქნევა, რომ მარჯვენა ტერფი, ქვედა სიბრტყით შიგ მიმართული, მარცხენა ფეხის წინ (ქუსლით მუხლის სიმაღლეზე) მოექცეს. სხეულის სიმძიმე მთლიანად გამართულ მარცხენა ფეხის ერგცერზეა.
ორი – ბრუნის ნახევარის შესრულების შემდეგ მარჯვენა ფეხის ტერფის ბრუნს ჩამორჩენა და საყრდენი ფეხის უკან (ცერით ქუსლთან) მთელ ტერფზე დადგმა. ბრუნის დასრულებისას მარჯვენა ფეხის მთელ ტერფზე დადგმა. მარჯვენა მკლავის იდაყვში მოღუნვით II პოზიცია ან სხვა მდგომარეობა (სურ 98).

სურ. 98

ფეხის წინ-შიგნით მოქნევით ბრუნი სრულდება ასევე ფეხშლილი ან შეტყუპებული დგომიდანაც: ბრუნის მხარეზე მუხლში გამართული ფეხი ჯერ განზე გაიდგმება და შემდეგ უკვე თვით ბრუნი შესრულდება. თუ საჭიროა ბრუნის ბრუნზე გადაბმა, თავისუფალი ფეხი საყრდენი ფეხის უკან ერგცერზე დაიდგმება (ოდნავ ბუქნის მდგომარეობაში), საყრდენი ფეხი გათავისუფლდება ჰაერში აწევით კვლავ ნაბიჯის გადასადგმელად და ბრუნის მიმართულებით სამოძრაოდ.

განბიჯით ჭდომბრუნი

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – III პოზიცია, ხელი – II (მარცხენა მოღუნული). მუსიკალური ზომა –2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის ტერფზე ოდნავი ერგბუქნი დახტომასთან ერთად, მუხლში გამართული მარცხენა ფეხის წინ განზე ისე აწევა, რომ ტერფით იატაკს არ ეხებოდეს; ზეტანის მარცხნივ შებრუნების დაწყება; მარცხენა მკლავის განზე გადაქნევით გაშლა.

ორი – მარცხენა ფეხის დადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა; მარჯვენა ფეხის მუხლში გამართვა და იატაკს აშორება, მკლავების განზე გაშლა. ბრუნის გაგრძელება.

II ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის წინ შიგ მოქნევით (ბრუნი გრძელდება) მარცხენის წინ დადგმა და ქუსლით მარცხენა ფეხის ცერს შეხება. ერგბუქნი ტერფებზე. მარჯვენა მკლავის იდაყვში მოხრა – II პოზიცია ან მკლავების წინქნევით გადაჭდომა.

ორი – ოდნავი არეკნით ფეხების განზე გაშლა ცერებზე, მკლავების მდგომარეობის შეცვლა – მარცხენის მოღუნვა, მარჯვენის გაშლა ან გარე აქნევით ხელის IV პოზიცია (სურ 99).

შემდეგი ტაქტის დასაწყებად მარჯვენა ფეხის ცერდგომიდან ტერფზე დადგმა, როგორც პირველი ტაქტის პირველ თვლაზე იყო აღწერილი და მოძრაობის ზემოაღწერილი წესით გაგრძელება.

განბიჯით ჭდომბრუნი სრულდება ცალკე ილეთად და გადაბმულადაც. ხშირად ეს ილეთი გადაბმულად წრეშემოვლისას იხმარება, საჭიროების მიხედვით, წრის რომელიმე ნაწილზე ან დანიშნული მიმართულებით.

განბიჯით ჭდომბრუნი შეიძლება დაიწყოს სახის წრის გარეთ ან ცენტრისკენ მიბრუნებით. პირველად მოცეკვავე ყოველი ილეთის ბოლო თვლაზე ზურგით წრის ცენტრისაკენ მოექცევა, მეორედ – სახით ცენტრისკენ.

ილეთი სრულდება ერგცერებსა და ცერებზეც. თითოეული ორი ტაქტის განმავლობაში გამახვილდება პირველი ტაქტის **ერთი** და მეორე ტაქტის **ორი.**

აღწერილის გარდა მკლავები მოძრაობს სხვაგვარადაც, მაგალითად: IV პოზიციიდან გარეგადაშლით მაჯების გადაჭდომა ქამრის წინ ან ქვევიდან გარეზეაქნევით ისევ IV პოზიცია, ან მკლავების მდგომარეობის შენარჩუნება ერთ ადგილას, ვთქვათ, ხანჯალზე და ა.შ.

ამ ილეთის გართულება შესაძლებელია ცალ ცერზე შედგომით (ფეხშლილი ცერდგომის მაგიერ). ამ შემთხვევაში ცალცერდგომა იმ ფეხზე ხდება, რომელსაც ილეთის დასაწყისში სხეული ეყრდნობოდა.

განბიჯით ჭდომბრუნი მეტწილად მთიულურ და მხედრულ ცეკვებში გამოიყენება.

ერთი და ორი და

სურ. 99

მუხლებზე ბრუნი

განმარტებულია მუხლიელეთებში.

ერგბუქნში ბრუნი

ერგბუქნში ბრუნი ადგილის შენაცვლებით სრულდება: დაწყებიდან დასრულებამდე ერგბუქნის მდგომარეობაში.

საწყისი მდგომარეობა: ერგბუქნი – IV პოზიცია, ხელი – II პოზიცია (მარცხენა მოღუნული). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი-ორი – მარცხნივ სრული ბრუნი შემდეგნაირად: ზეტანის მარცხნივ მძლავრად მოქნევასთან ერთად ბრუნის დასაწყისში მარცხენა ფეხიდან ოდნავი არეკნით (მუხლის გაუმართავად) მარჯვენა ფეხზე დახტომა, მასზევე ბრუნის დანარჩენი მანძილის გავლა, ვიდრე სახით საწყის მდგომარეობაში არ აღმოჩნდება და სხეული არ დაეყრდნობა (ბრუნის ბოლოს) გარე გადგმულ მარცხენა ფეხს (როგორც საწყის მდგომარეობაში); მარცხენა მკლავის, ზეტანი მოქნევასთან ერთად, დასაწყისშივე განზე გაქნევით გაშლა.

II ტაქტი

ერთი – ბრუნის მარცხნივ გაგრძელება მარცხენა ფეხზე დაყრდნობით და მუხლის გაუმართავად, ვიდრე მარჯვენა ფეხი არ დაიდგმება მარცხენის წინ და იმ მიმართულებით, საითაც ბრუნი სრულდება; მარჯვენა მკლავის იდაყვში მოღუნვა და ჰორიზონტალურად შიგმოქნევით მტევნით მარცხენა მხართან (შეხებით) მიტანა, მარცხენა მკლავი დაქნევით წელს უკან ქამრის სიმაღლეზე ისე, რომ მტევნის ზურგით ქამარს ეხებოდეს (ხერხემლის ხაზის ოდნავ მარჯვნივ).

ორი – ყოვნა (სურ. 100).

საჭიროა გვახსოვდეს:

1. ამ ილეთის შესრულებისას ფეხები ბოლომდე ერგბუქნის მდგომარეობაშია;

2. გამახვილდება მეორე ტაქტის პირველი თვლა;

3. ილეთის დამთავრების შემდეგ მარჯვენა მხრით იქით მოქცევა, საითაც მიმართულია წინ გადგმული ფეხის ცერი.

ხშირად აღწერილი ილეთი სრულდება მარცხენა ფეხის (უკანა ფეხის) ტერფის მარჯვენის წვივთან მიტანით და მარჯვენა ფეხზე (წინა ფეხზე) ოდნავი სრიალა წახტომით მეორე ტაქტის მეორე თვლაზე. ამ დროს გამახვილებულია მარჯვენა ფეხის მუხლში მოხრა.

საწყ. მდგ. ერთი და ორი და

სურ. 100

ილეთის კარგად შესწავლა-შეთვისების შემდეგ იგი შეიძლება ერთ ტაქტში შესრულდეს.

ეს ილეთი წინ მიმართულებითაც სრულდება. ამ შემთხვევაში საწყისი მდგომარეობაა ერგბუქნი, რომლის დროსაც წინ გადგმულია (ტერფ-ნახევარის სიგრძეზე) მარცხენა ფეხი, მოღუნული – მარცხენა მკლავი, მარჯვენა კი შესაძლებელია, გაშლილი იყოს განზე ან მოხრილად წელს უკან; წინ მიმართულია მარცხენა მხარი.

ეს ილეთი მეტწილად მთიულურ, მოხეურ ან მხედრულ ცეკვებში გვხვდება.

ჩაკვრით ბრუნი

ამ ილეთში შეერთებულია ცეკვის ორი ელემენტი – ბრუნი და ჩაკვრა. მარტივი ბრუნი ორივე მხარეს სრულდება:

სადა ჩაკვრისას – 45˚-ზე
გახსნილ ჩაკვრისას – 45˚-ზე
დახურულ ჩაკვრისას – 45˚-ზე
წვივქნევ ჩაკვრისას – 45˚ – 90˚-ზე
ფეხშლილ ჩაკვრისას – 45˚ – 360˚-ზე
ჭდომილ ჩაკვრისას – 45˚– 90˚-ზე
ქუსლცერა ჩაკვრისას – 45˚– 90˚-ზე
ორფა ქუსლცერა ჩაკვრისას – 45˚– 90˚-ზე
ხლართულა ჩაკვრისას – 45˚– 90˚-ზე
მუხლმოქნევით ჩაკვრისას – 45˚– 90˚-ზე
განბიჯით ჩაკვრისას – 45˚ – 240˚-ზე
ცერდაქნევით ჩაკვრისას – 45˚ – 360˚-ზე
ტყუპცერ ჩაკვრისას – 45˚ – 360˚-ზე
ფეხსართა ჩაკვრისას – 45˚ – 180˚-ზე
მუხლდრეკილ ჩაკვრისას – 45˚ – 180˚-ზე
წაჭრით ჩაკვრისას – 45˚ – 180˚-ზე
ფეხის უკუდაქნევით ჩაკვრისას – 180˚ – 360˚-ზე და ა.შ.

ზემომოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ *ჩაკვრით ბრუნი* ხშირად წრის მხოლოდ 45˚-ზე სრულდება, ზოგჯერ – 360˚-ზე; ეს იმიტომ, რომ ზოგ ჩაკვრაში არეკნის ბრუნთან შეერთება არ იძლევა ზეტანის მძლავრი მოქნევისათვის შესაფერის შესაძლებლობას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არეკნის წინ ცალი ფეხი იატაკს მთელი ტერფით ეყრდნობა და მეორის ცერი საყრდენი ფეხის ახლოს მოძრაობს.

სრული ბრუნის შემთხვევაში (ჩაკვრითი ილეთების შესრულებისას) მკლავები მეტწილად II პოზიციიდან განზე გაქნევით მოძრაობს.

ჩაკვრით ბრუნი მთიელთა ჩქარი ტემპის ყველა ცეკვაში გვხვდება.

ჭდომსკუპით ბრუნი

ჭდომსკუპით ბრუნი არსებითად ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი სამმოძრაობიანია: 1. თავისუფალი ფეხის მიმართულებით ხტომა; 2. ფეხცვლა-ჭდომა; 3. ბრუნის მხარეს ფეხის გათავისუფლება. მეორე ნაწილი – თავისუფალი ფეხის ერგცერზე (ან ცერზე) ბრუნი.

საწყისი მდგომარეობა: მარცხენა ფეხზე დგომა, გამართული მარჯვენა ფეხი წინ გაშვერილია და იატაკს ნახევარი ტერფით აშორებული; მარჯვენა მკლავი გულ-მკერდის წინ წინამხრით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში (სამთიულურო პოზიცია), მარცხენა – წელს უკან ხელით ქამრის სიმაღლეზე სხეულის შეუხებლად (იხ. სურ. 101). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

გარე ტაქტის **და** – მარცხენა ფეხიდან არეკნი და მარჯვენა ფეხზე დახტომი, მუხლში გამართული მარცხენა ფეხის გათავისუფლება და წინ გატანა; მარჯვენა მკლავის იდაყვში გამართვით წინ გაშლა, მარცხენა – გარეუკუმკლავის მდგომარეობაში.

ერთი – მარცხენა ფეხის მოქნევით (საყრდენი ფეხის მიმართულებით) მარჯვენა ფეხის საყრდენი ადგილის დაჭერა – მარჯვენა ფეხი მანამდე გაუთავისუფლებს მარცხენას საყრდენ ადგილს: არეკნითა და ოდნავი ზეხტომით იატაკს მოშორდება, მუხლში მოიღუნება

და ტერფით მარცხენა ფეხის წვივის სიმაღლეზე აიწევა (ცერი დაბლაა მიმართული) საყრდენ ფეხის შეუხებლად. მოძრაობის ბოლოს საყრდენი (მარცხენა) ფეხის მუხლში მოღუნვა ერგბუქნის მდგომარეობის მისაღებად. მკლავების განზე გაშლა და შეუჩერებლივ სამთიულურო პოზიციის დაჭერა (როგორც საწყის მდგომარეობაში, მხოლოდ მეორე მხარეს).

ორი – მარჯვენა ფეხის მკვეთრი დაქნევით მარცხენა ფეხის განდევნა, მარცხენის მიერ მარჯვენისათვის საყრდენი ადგილის დათმობა და იატაკს შეუხებლად მუხლში გამართული წინ წაწევა. მკლავები – პაუზა.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის განზე გადადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა, ზეტანის მარცხნივ მოქნევით (რომლის დროსაც მკლავები გადაქნევით განზე გაიშლება) ერგცერსა ან ცერზე მარცხნივ ბრუნი. ბრუნისას მარჯვენა ფეხის მარცხენის წვივს ტერფის ზურგით მიკვრა, მუხლი – გადაშლილი.

ორი – მარჯვენა ფეხის გადადგმა საწყის მდგომარეობაში ისე, რომ ერგცერით ოდნავ შეეხოს იატაკს, მარცხენის სრული ტერფით დადგმა, მკლავების შიგმოქნევით საწყისი მდგომარეობა (სურ. 101).

სურ. 101

ამ ილეთის შესრულებისას პირველ ტაქტში დასაშვებია (და ზოგჯერ საჭიროც) მარჯვენა მხარეს ზეტანის ოდნავ მიბრუნება (ბრუნის მარცხნივ შესრულებისას) – ზეტანის უფრო მძლავრად მოსაქნევად თვით ბრუნის შესასრულებლად.

აქედან ჩანს, რომ ილეთის პირველი ტაქტი ბრუნისათვის მოსამზადებელი – დამხმარე მოძრაობაა, მეორე – ილეთის მთავარი ნაწილის – ბრუნის.

ხშირად *ჭდომსკუპით ბრუნი* ქორეოგრაფიული ფრაზის, წინადადებისა ან ნაერთის დასაბოლოებლად იხმარება, ზოგჯერ კი ორი სხვადასხვა ილეთის შესაკავშირებლად.

ჭდომსკუპით ბრუნი შეიძლება ორფად – ორი ბრუნით შესრულდეს მეორე ტაქტის განმავლობაში.

ილეთი დაბოლოვდეს სხვადასხვანაირი მდგომარეობით, მაგალითად: ცალმუხლზე დგომით, მუხლდახვევით და სხვ.

აღწერილი ილეთი მეტწილად მხედრულ, მთიულურ და მოხეურ ცეკვებში გვხვდება.

ბზრიალა ბრუნი

ბზრიალა ბრუნი მეტწილად ფეხის ცერებზე სრულდება ადგილზე და ადგილის შენაცვლებით. ადგილზე შესრულებისას ბრუნი ზეხტომებით და შემდეგ კვლავ ფეხის ცერებზე დადგომით კეთდება; მეორენაირად კი შეტყუპებული ფეხებით ერგბუქნიდან (ტერფები იატაკს ეხება) ზეხტომს შეასრულებს და კვლავ ფეხის ცერებზე დადგება, ისევ ტერფებზე ერგბუქნი და ა.შ. მესამენაირად ცერებზე დგომიდან რიგრიგობით ცალი ფეხის ტერფზე დგება და რიგრიგობითვე ფეხის ცერებზე ბრუნთან შეერთებით (სურ. 102).



სურ. 102

ადგილის შენაცვლებით ბზრიალა ბრუნი შემდეგნაირად შესრულდება: ცერებზე დგომიდან სასურველი მიმართულებით ცალი ფეხით მცირე ნაბიჯის გადადგმა (ფეხის ცერზევე), ბრუნის შეუწყვეტლივ თავისუფალი ფეხის საყრდენი ფეხისკენ მიწევა და ეს მოძრაობა რამდენჯერმე ერთიმეორეზე გადაბმულად გამეორდება.

მკლავების მდგომარეობა ამ ილეთის შესრულებისას სხვადასხვანაირია, მეტწილად განგაშლილი და ხელსართავჩართული.

ზეხტომბრუნი

ზეხტომბრუნი რთულ ილეთთა ჯგუფს ეკუთვნის, ამიტომ იგი დანაწილებით შეისწავლება: ჯერ წრის 1/2-ზე, შემდეგ წრის 1/4-ზე და ბოლოს მთელ წრეზე (სრული ბრუნი). ილეთის სრულად შესრულება ერგბუქნიდან იწყება; არეკნიდანვე ზეტანის მძლავრი მოქნევით სხეული ჰაერში იწყებს ბრუნვას. ჰაერში ბრუნი მთავრდება დახტომამდე, დგომა კი (როგორც ყოველი ხტომის შემდეგ) რბილი ერბუქნით.

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – III დახურული პოზიცია (მარცხენა ტერფი წინ), ხელი – II პოზიცია (მარცხენა მოხრილი).

მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – ერგბუქნი საშუალო ერგცერებზე, მკლავები – ყოვნა.

ორი – არეკნიდან მაღალი ზეხტომი ჰაერში მარცხნივ ბრუნით, მარცხენა მკლავის ჰორიზონტალური გაქნევით განზე გაშლა. ჰაერში ყოფნისას ფეხები მუხლებში გამართული და გადაჭდომილი.

II ტაქტი

ერთი – ჰაერში ბრუნიდან ერგცერებზე დახტომით ერგბუქნი; ჰაერბრუნშივე მარჯვენა მკლავის შიგმოქნევით იდაყვში მოხრის დაწყება, რათა დახტომისას II პოზიცია მიიღოს.

ორი – ფეხების მუხლებში გამართვა, ტერფების იატაკს შეხება, მკლავები – ყოვნა (სურ 103).



ერთი და ორი და

სურ. 103

ამ ილეთის შესრულებისას ზეტანი გამართულია და რომელიმე მიმართულებით ოდნავადაც არ იზნიქება. ზეხტომბრუნის დამთავრება შესაძლებელია სრულ ტყუპცერზე, ჭდომილ ცერებზე ან მუხლდგომით.

აღწერილი ილეთი მეტწილად მხედრულ და მთიულურ ცეკვებში გამოიყენება.

საკეტი ხტომბრუნი

საკეტი ხტომბრუნი რამდენიმე სახისაა. ცეკვისას გარკვეული მიზნით იხმარება – ჩაუკეტოს მოპირდაპირეს სვლის გეზი. ზეხტომში ბრუნის შემდეგ რომელიმე მუხლზე დადგომისას, ცალი ფეხის წინ ან განზე სწრაფად გაშლა იმ მიზნით, რომ მოპირდაპირეს გზა შეუღობოს და აიძულოს სვლის მიმართულება შეცვალოს ან გადახტეს. ქალთან ცეკვისას, ცხადია, ეს ილეთი მხოლოდ მიმართულების შესაცვლელად იხმარება, ვაჟის ვაჟთან ცეკვისას – ორივე მიზნით. თუ გაშლილი ფეხი კვლავ მოიღუნება, ეს იმის ნიშანია, რომ გზა თავისუფალია. *საკეტი ხტომი* სრულდება როგორც ზეხტომბრუნიდან, აგრეთვე, მარტივი სახის ბრუნიდანაც ცალ მუხლზე დაჩოქებით. ზოგჯერ კი (მაგალითად, მოხეურში) საკეტი ბრუნი შესრულდება არა მუხლზე დადგომის შემდეგ ფეხის გაშლით (ბრუნის შემდეგ), არამედ ერგბუქნიდან ცალი ფეხის გადგმით სასურველი მიმართულებით. ამ შემთხვევაში ფეხი იატაკს ქუსლით ეხება, ტერფის წინა ნაწილი კი აშორებულია.

აღწერილი ილეთი იხმარება მხედრულ, მოხეურ და მთიულურ ცეკვებში. მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა ცეკვის მოხაზულობას უნდა შეუფარდდეს.

მუხლილეთები

მუხლილეთები ისეთი მოძრაობებია, რომლის დროსაც ცალი ან ორივე მუხლი იატაკს ეხება ან ეყრდნობა.

მარტივი სახის მუხლილეთების შესრულებისას მუხლზე დაყრდნობილი ფეხის ან ფეხების მდგომარეობა არ შეიცვლება, რთულის დროს პირიქით: ილეთის შესრულების პროცესში მუხლზე დაყრდნობილი ფეხის მდგომარეობა ერთხელ ან რამდენჯერმე შეიცვლება.

მუხლილეთები მხოლოდ ვაჟურ ილეთთა ჯგუფს ეკუთვნის.

ძირითადი ილეთებია:

- ცალმუხლზე დგომი (ცალი მუხლი)
- ტყუპმუხლზე დგომი (ტყუპი მუხლი)
- ორფა მუხლი
- სამფა მუხლი
- მუხლდახვევა

ცალმუხლზე დგომი

ცალმუხლზე დგომი მარტივი ილეთია. შესრულდება სხვა რომელიმე ილეთთან ან ცეკვისას შესაჩერებლად. ცალმუხლზე დგომი მეტწილად რომელიმე სახის ბრუნის შემდეგ სრულდება.

ტყუპმუხლზე დგომი

ეს ილეთი მთიულურ ცეკვებში იშვიათად გვხვდება. ორმუხლზე დგომა მაღალ ერგცერებიდან ბუქნში გადასვლით და ორივე მუხლის ერთდროულად იატაკზე შეხებით სრულდება.

ერგცერებიდან მუხლდგომზე გადასვლის პროცესში (ბუქნით) ზეტანი ოდნავ უკუგადაზნექილია – წონასწორობის დასაცავად და მუხლებზე მსუბუქად დასასტომად.

სურ. 104

შეეხება თუ არა ორივე მუხლი იატაკს, ფეხის ცერები შეიძლება გაიმართოს (საერთოდ ან წვივებზე დასაჯდომად). მუხლებიდან ერთდროულად ორივე ფეხზე ასადგომად საჭიროა ერგცერების შიგნით მოწევა, იატაკს დაბჯენა და მხოლოდ ამის შემდეგ ადგომა (სურ 104).

ორმუხლიდან ადგომა შესაძლებელია ზეხტომითაც: მუხლდგომიდან ჯდომამდე დაწევა და შემდეგ ბიძგური არეკნით ახტომა, ბუქნის მდგომარეობა, ბოლოს მუხლებისა და წელის გამართვით სასურველი მდგომარეობის მიღება (სურ 104ა).

სურ. 104ა

ორფა მუხლი (ორმუხლა)

ორფა მუხლი ისეთი ილეთია, რომლის შესრულებისას მოცეკვავე ჯერ ერთი ფეხის მუხლს დაეყრდნობა და ნახევარი ბრუნის შემდეგ – მეორეს.

საწყისი მდგომარეობა: მაღალ ერგცერებზე დგომი – I პოზიცია, მკლავები – II პოზიცია (მარჯვენა მოხრილი). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – ზეახტომისა და მარცხნივ ნახევარ ბრუნთან ერთად უკუმიმართულებით გამართული მარცხენა ფეხის გატანა, ცერით იატაკს შეხება და ამ მდგომარეობაში შეუჩერებლად უკან გატანილ მუხლზე დადგომა; მარჯვენა მკლავის გაწზე გაშლა, მარცხენის იდაყვში მოხრა (მკლავები შეიცვლის მდგომარეობას).

ორი – მარცხნივ ნახევარი ბრუნის დაწყებასთან ერთად, მარცხენა მუხლის იატაკს მოცილება (ნახევარი ბრუნი ერგცერებზე) და ბუქნით მარჯვენა მუხლის დადგმა; მარცხენა მკლავის გაწზე გაშლა, მარჯვენის მოხრა (სურ 105).

ამრიგად, ერთ თვლაზე შესრულდება ნახევარი ბრუნი მარცხნივ ცალ მუხლზე დადგომით, მეორეზე – კიდევ ნახევარი ბრუნი მეორე ცალმუხლზე დაყრდნობით ე.ი. ილეთში სრული ბრუნი შესრულდება (350°-ზე).

ილეთი, კარგად შესწავლილ-შეთვისების შემდეგ, შესრულდება ერთ თვლაში.

ერთი და ორი

სურ. 105

აღწერილი ილეთი მთიულურ და მხედრულ ცეკვებში გვხვდება.

ორფა მუხლი სრულდება როგორც ადგილზე, ასევე სვლისას და სხვადასხვა მდგომარეობიდან. მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა შეირჩევა ცეკვის ხასიათისა და მოხაზულობის მიხედვით.

შესაძლებელია, აგრეთვე, ილეთის ერთიმეორეზე გადაბმა. ასეთ შემთხვევაში ილეთებს შორის ერგბუქნამდე ადგომა და შემდეგ ფეხის უკუგადაქნევა.

სამფა მუხლი (სამმუხლა)

ამ ილეთის შესრულებისას ჯერ ცალმუხლზე დგომი, შემდეგ ბრუნში ორ მუხლზე და ბოლოს ისევ ცალმუხლზე.

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – I პოზიცია, ხელი – II პოზიცია (მარცხენა მოხრილი). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და ჩოქი მარცხენა მუხლზე. მკლავები – ყოვნა.

და – მარცხნივ ნახევარ ბრუნთან ერთად დგომა ორივე მუხლზე, წვივის მდგომარეობის შეცვლა და ტერფით იმ მიმართულებით მოქცევა, საითაც საწყისი მდგომარეობიდან ნაბიჯი წინ გადაიდგა; მკლავების განზე გაშლა (I პოზიცია).

ორი – მარცხნივ ნახევარი ბრუნისას, უფრო მეტად მარჯვენა მუხლზე, მარცხენა ფეხის გათავისუფლება და მუხლის ზეაწევის შემდეგ ტერფით ისე დადგმა, რომ წვივი იატაკის პერპენდიკულარულად იყოს, მარჯვენა წვივი კი ტერფით მოექცეს თვლა **ერთისთვის** აღწერილ მდგომარეობაში. მარჯვენა მკლავი იდაყვში მოხრით II პოზიციაში (სურ. 106).

საწყ. მდგ. ერთი და ორი

სურ. 106

სამფა მუხლი სრულდება ადგილზე დგომიდან, სვლიდან და სხვა რომელიმე მოძრაობიდან. ილეთი გართულდება ასე: პირველი ჩოქვა ცალ მუხლზე შესრულდება არა წინ ნაბიჯიდან დაჩოქებით, არამედ წინასწარ ჰაერში სრული ბრუნის შემდეგ მარცხენა ფეხის უკან გადაქნევით, რასაც მოჰყვება **ერთ**-ზე აღწერილი ილეთის შესრულება, ოღონდ ნაბიჯის წინ გადაუდგმელად.

სამფა მუხლილეთი სრულდება ასევე ცალ ცერსა ან ერგცერზე ადგილზე ბრუნის შემდეგ და მასთან გადაბმულად. საერთოდ, სამფა მუხლილეთს შესაძლებელია წინ უძღოდეს სხვადასხვა სახის ილეთი, რომელზეც გადაბმა ან შეკავშირება მოხერხებულად და ორგანულად უნდა მოხდეს.

მკლავების მოძრაობა დამოკიდებულია ცეკვის ხასიათზე და ნახაზზე.

აღწერილი ილეთი გამოიყენება მეტწილად მთიულურ, მოხეურ და მხედრულ ცეკვებში.

მუხლდახვევა

მუხლდახვევა ეწოდება სამფა მუხლის ერთიმეორეზე თანმიმდევრობით გადაბმას რამდენიმე ტაქტის განმავლობაში. ამ სახის ნაერთი მეტწილად წრეშემოვლისას ან დიაგონალზე მოძრაობისას იხმარება.

ილეთზე ილეთის გადასაბმელად საჭიროა საყრდენი ფეხის ტერფის განზე გადაწევა (ზეტანიც განზე გადაიწევა) და მუხლდგომიდან გათავისუფლებული ფეხის წინ – შიგნით გადატანა, რასაც მოჰყვება ზეტანის შებრუნება „დახვევის“ მხარეს და ილეთის გამეორება პირველი ფაზიდან.

კიდევ აღვნიშნავთ: მუხლილეთები ცეკვებში განსაკუთრებული სიფრთხილით გამოიყენება. იგი ცეკვაში იმ ზომიერებით უნდა იყოს ჩართული, რომ არც მაყურებლის თვალს ეხამუშებოდეს და არც ცეკვის ნამდვილ ხასიათს ამახინჯებდეს. ბუნებრივად ეხამებოდეს ილეთთა ჰარმონიულ განლაგებას და ზედმიწევნით სუფთად, მსუბუქად და ლაღად სრულდებოდეს „მუხლბალიშების“ დაუხმარებლად.

ხტომა

ხტომა ისეთი მოძრაობაა, რომლის დროსაც სხეული არეკნით ცალი ან ორივე ფეხით იატაკს მოსცილდება და ცოტა თუ დიდ ხანს ჰაერში იქნება (თუნდაც თვალისათვის შეუმჩნევლად).

ცეკვებში ხტომები სხვადასხვაგვარად გამოიყენება: ზოგჯერ, როგორც დამოუკიდებელი ილეთი, ზოგჯერ – როგორც დამხმარე მოძრაობა ილეთის შესრულების პროცესში. მაგალითად, ჩაკვრებში თითქმის ყველგანაა ხტომა, მაგრამ ან ილეთის შემადგენელი ნაწილია ან აუცილებელი დამხმარე მოძრაობა, ურომლისოდაც ილეთის შესრულება შეუძლებელია. ამიტომ ილეთის შესრულებისას გარკვეული უნდა იყოს, მოძრაობათა ნაერთში, რა არის მთავარი და რა – დამხმარე. მაგალითად, ილეთი *ზეხტომბრუნი*. მისი მთავარი ნაწილია ბრუნი, ხოლო ზეხტომი დამხმარე მოძრაობა, ურომლისოდაც *ზეხტომბრუნის*, როგორც ილეთის შესრულება, შეუძლებელია.

ამრიგად, წიგნის ამ ნაწილში ჩვენ ისეთ ილეთებს განვმარტავთ, რომელთა მთავარი მოძრაობა ხტომია, თუმცა შესაძლებელია ამგვარ მთლიან ილეთში სხვა მოძრაობაც შედიოდეს.

ხტომები შეიძლება შესრულდეს: ზევით, წინ, უკან, განზე, წინ-განზე და სხვ. სიმძლავრისა და სიმაღლის მხრივ: მაღალი, საშუალო, დაბალი. გარდა ამისა, ცალკე ან ზედიზედ ერთიმეორეზე გადაბმულად.

ხტომა, როგორც სხვადასხვა ილეთის შემადგენელი ნაწილი, შეიძლება მოექცეს ილეთის დასაწყისში, შუაში ან ბოლოში.

ხტომა, რასაკვირველია, არეკნით სრულდება და რა სახისაც უნდა იყოს, მისი დაბოლოება – დახტომა, აუცილებლად რბილად და მსუბუქად სრულდება. ხტომა შესრულდება ტერფდგომიდან, ერგცერდგომიდან და ცერდგომიდან, ხოლო ერგცერებზე დახტომა –

განსაკუთრებულ შემთხვევაში ტერფებსა ან ტერფზე, სრულ ცერებსა ან ცალ ცერზე – ცერილეთის შესრულების მოთხოვნისამებრ.

მთიულური სახის ცეკვებში ძირითადი ხტომილეთებია:

1. გადმოსასვლელი წინხტომი
2. წინხტომი
3. ზეხტომი
4. განხტომი
5. ზეხტომბრუნი
6. ფრენხტომი

გადმოსასვლელი წინხტომი

მთიელთა ცეკვებში *გადმოსასვლელი წინხტომი* სრულდება ცეკვის დაწყების წინ – „ცეკვაში შესასვლელად". წინხტომის შესრულებამდე წინ ორი მსუბუქი ნაბიჯი გადაიდგმება იმ ფეხიდან, რომელმაც მეორე ნაბიჯი დაამთავრა, წინხტომი თავისუფალ ფეხზე დახტომით, შემდეგ სვლასა ან რაიმე სხვა ილეთზე გადასვლა. წინხტომისას ჰაერში წინა ფეხის მოპირდაპირე მკლავი თავისუფლად ზეაიქნევა, მეორე მკლავი კი (თავისუფლად დაშვებული) მცირე მანძილზე იმოძრავებს. ხელის თითები ნახევრად მომუჭულია (სურ 107).

სურ. 107

გადმოსასვლელი ზეხტომისას ზეტანი გამართულია, თავი ოდნავ ზეაწეული.

ეს ილეთი მეტწილად მთიულურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება.

თუ ამ ილეთის მეორე ნაწილი – ხტომი, გამოყენებულია ცეკვის მიმდინარეობისას და არა დასაწყისში, წინხტომი მუხლგარეგაშლილად შესრულდება და მას წინ არ უძღვის ხტომის მოსამზადებელი ორი ნაბიჯი.

წინხტომი – ცალფეხიდან ცალფეხზე – ამგვარი ხტომის შესრულება შესაძლებელია სხვადასხვა მდგომარეობიდან, მეტწილად კი გამართული დგომიდან.

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – III პოზიცია, მკლავები თავისუფლად დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გარე ტაქტი – **და** – ოდნავი ბუქნი.

ერთი – არეკნით და მარჯვენა ფეხის წინ გატანით წინხტომი; მკლავების შიგრკალებით ზეაიქნევა (გარე ზემკლავის მდგომარეობამდე).

ორი – მარჯვენა ერგცერზე დახტომა; მარცხენა ფეხის მარჯვენა ფეხთან მიდგმა ან შემდეგი ილეთის შესასრულებლად მომზადება; მკლავები – განზე დაქნევით საწყისი მდგომარეობა ან წინ ქამარზე (სურ. 108).

სურ. 108

აღწერილი ილეთი სრულდება წინგარე მიმართულებითაც (ირიბად). ხშირად დახტომის შემდეგ ამ ილეთს მოსდევს თავისუფალი ფეხის წინ გადადგმა, რის შემდეგაც *ჭდომ-ფეხშლილი ჩაკვრა* ან სხვა ილეთი შესრულდება.

წინხტომი, როგორც მოძრაობის ელემენტი, სხვადასხვანაირად სრულდება: შეტყუპებული ფეხებით, წინსკუპით, წვივების უკუაკეცილად ხტომით, ცერდგომიდან ცერდგომით, მუხლების წინაკეცვით, ფეხშლით და კიდევ მრავალნაირად.

ზეხტომი

ზეხტომი, როგორც ილეთი, სრულდება ზევით – ვერტიკალურ ხაზზე.

მთიულური ხასიათის ცეკვებში იგი სხვადასხვა სახით და ხერხით გამოიყენება. აღვწერთ რამდენიმე ვარიანტს.

I – ზეხტომი ფეხშლით და ჭდომით

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – III პოზიცია, ხელი – თავისუფლად დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 და 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მუხლებგადაშლილი ერგბუქნი ერგცერებზე, ხელები – გარე უკუმკლავში გაწევა მომუჭული ხელებით.

ორი – ზეხტომი – ორივე გამართული ფეხის განზე გაშლა, ცერების გაჭიმვა; მკლავების წინაქნევით IV პოზიცია. **ორზე** – შემსრულებელი ჰაერში იმყოფება.

II ტაქტი

ერთი – დახტომამდე ფეხების კოჭთან გადაჭდომა და ამ მდგომარეობაში ერგბუქნში დახტომი (ჭდომილი ერგბუქნი ერგცერებზე); ხელების გაშლილი თითებით (ნები წინ მიმართული) კეფას შეხება, იდაყვების განზე გაწევა.

ორი – ერგცერდგომიდან დაშვებით ტერფებით მთელი სიბრტყით იატაკს შეხება, მუხლების გამართვა; მკლავების განზე გადაშლით საწყისი მდგომარეობა (სურ 109).

ზეხტომიდან დახტომი შესაძლებელია სრულ ცერებზე, ფეხჭდომილად და ტერფშეტყუპულადაც.

საწყ. მდგ. და ერთი და ორი და

სურ. 109

II – ზეხტომი წვივაკეცვით

ამ ილეთის შესრულებისას არეკნის შემდეგ ორივე შეტყუპებული ფეხი უკუაქნევით ზეაიწევა; დახტომი ერგცერებსა ან ცერებზე სრულდება, მკლავები ისევე მოძრაობს, როგორც ზემოაღწერილ ვარიანტში ან როგორც ამას ცეკვის ხასიათი მოითხოვს (სურ. 110).

სურ. 110

III – ზეხტომი მუხლებაკეცვით

ამ ილეთის შესრულებისას შეტყუპებული მუხლები წინ – ზევით აიწევა. არეკნის შემდეგ დახტომი ზემოაღწერილი წესით შესრულდება. დახტომის გასართულებლად შეიძლება თვით დახტომი შესრულდეს ჰაერიდან ცალ ერგცერსა ან ცალცერზე (სურ. 111).

სურ. 111

ზეხტომის მოყვანილი ვარიანტები მეტწილად მთიულურ, მხედრულ და აფხაზურ ცეკვებში გვხვდება.

სამივე სახის ზეხტომის შესრულება შესაძლებელია არა მარტო III ან II პოზიციიდან, არამედ სხვადასხვა მდგომარეობიდანაც.

განხტომი

გვერდზე ხტომას განხტომი ეწოდება. თუ განხტომი მარტივია, არეკნი აუცილებლად მიმართულების საწინააღმდეგო ფეხით სრულდება: მარჯვნივ ხტომისათვის – მარცხენა ფეხიდან, მარცხნივ ხტომისთვის – მარჯვენა ფეხიდან.

სიმაღლით განხტომი შეიძლება იყოს: მაღალი, საშუალო, დაბალი; მანძილის მიხედვით – განიერი, მოკლე; შესრულებით – ცალკე, სხვა ილეთზე გადაბმულად, ილეთის ან მოძრაობის ბოლოს.

განხტომისას მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა დამოკიდებულია ცეკვის ხასიათსა და მიზანდასახულობაზე.

ზეხტომბრუნი
(იხ. ბრუნები)

ფრენხტომი

ფრენხტომი ისეთ ილეთს ეწოდება, რომლის შესრულებისას სხეული არეკნის შემდეგ გამართული ფეხებით და გაზნექილი წელით ჰაერშია (იხ. სურ. 112). ფრენხტომი წინ ან ზევით სრულდება.

სურ. 112

ცეკვა ცერულის სქემატური აღწერა

ცეკვა *ცერულის* მაგალითი ერთადერთი არ არის. ჩვენ მაგალითად ცეკვის ისეთი ნახაზი და კომპოზიცია შევარჩიეთ, რომელიც უფრო ადვილად გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, როცა ცეკვას ერთი, ორი ან სამი მოცეკვავე ან მთელი ჯგუფი ასრულებს. ამიტომ სქემის ნახაზები №1-დან №5-მდე ან №5-დან №16-მდე გამოიყენება ერთის ან ორის მონაწილეობის შემთხვევაში, ხოლო №16-დან №23-მდე სამის და მეტის მონაწილეობით. მუსიკალური მასალა იმდენჯერ განმეორდება, რამდენიც საჭიროა შერჩეული ვარიანტისათვის.

ნაწილი	ტაქტი	შემსრულებელი	სვლაგები	იღლიის ან მოძრაობის ხასიათი და რაოდენობა	კვალის გრაფიკული ნახაზი
I	1-16	პირველი ვაჟი	№7 წერტიდან ცეკვის დაწყება მარცხნივ წრეშემოვლით; წრის თანდათან შევიწროება და ცენტრში მოსვლა.	1–15 ტაქტი – ქუსლური წინსვლა. მე-16 ტაქტ. ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ერგცერზე.	1 
I	16 / 17-32	პირველი ვაჟი	ცერილეთების შესრულებით ცენტრიდან თანდათან წინ წაწევა (მიმართულება – ც–1)	4 ტ. – ცერდაქნევ ჩაკვრა (4-ჯერ). 4ტ. – ფეხშლილი ცერდგომი (4-ჯერ). 4ტ. განბიჯით ჩაკვრა (2-ჯერ). 2ტ.–ფეხშლილად დგომიდან მარცხნივ ბრუნი ერგცერზე, ფეხშლა (1-ჯერ). 2ტ. – იგივე – მარჯვნივ (1-ჯერ).	2
I	16 / 33-48	პირველი ვაჟი	მარცხნივ წრეშემოვლა. №7 წერტიდან მცირე წრე შემოვლა მარცხნივ და ც–7 რადიუსის მიმართულებით წრიდან გასვლა	16 ტ. – ცერდაქნევ-ჩაკვრით წინსვლა.	3 
II	16 / 49-64	მეორე ვაჟი	№3 წერტიდან მარცხნივ წრეშემოვლით და სპირალისებური დახვევით ცენტრში მოქცევა.	8 ტ. – მუხლურა წინსვლა. 8 ტ. – ქუსლური წინსვლა.	4 

II	8 65-72	„ – ”	ცენტრში ცერილეთების შესრულება.	4 ტ. – ფეხშლილი ჩაკვრა (4-ჯერ). 1 ტ. – მუხლმოქნევით ჩაკვრა (2-ჯერ). 1 ტ. – ფეხშლილი ჩაკვრა 1 ტ. – მუხლმოქნევით ჩაკვრა 1 ტ. – ბრუნი მარცხნივ ცალ ცერზე.	5
II	16 72-88	„ – ”	მარცხნივ წრეშემოვლა და №3 წერტამდე მისვლა, მარცხნივ შებრუნებით სახით პირველი ვაჟისკენ მოქცევა (მიმართულება 7-3)	15 ტ. – ცერდაქნევ ჩაკვრით წინსვლა 1 ტ. – მარცხენა ერგცერზე ბრუნი მარცხნივ.	6 
II	8 89-96	პირველი და მეორე ვაჟი	წინსვლით ცენტრისაკენ მოძრაობა და ერთმანეთთან შეხვედრა (მათ შორის ერთი ნაბიჯია)	8 ტ. – ქუსლური წინსვლა ან თითოეული ორი ნაბიჯის შემდეგ ტყუპცერზე შედგომი (4-ჯერ).	7
II	8 97-104	ორი ვაჟი	პირისპირ შეხვედრის შემდეგ ცერილეთების შესრულება და ბოლო ორ ტაქტზე ადგილის შენაცვლება.	2ტ. – ფეხშლილი დგომიდან მარცხნივ ბრუნი და გვერდულა ფეხშლა (ფერდმოქნევით). 2ტ. – იგივე მარჯვნივ ბრუნით. 2ტ. –ფეხშლილი ჩაკვრა. 1ტ. – მარჯვნივ და წინხტომით ადგილების შეცვლა. 1ტ. – ტყუპცერშედგომი (სახით ც–1 მიმართულებით).	8
II	8 105-112	ორი ვაჟი	გარეწრეშემოვლის გეზით ერთმანეთს დაშორება და ცენტრში კვლავ შეხვედრა.	8 ტ. – ქუსლური წინსვლა გარეშემოვლით (ან დაქნევ-ჩაკვრით სვლა).	9 
III	16 113-128	ორი ვაჟი	სახით რადიუსი ც–1 მიმართულებით მოქცევა, ცერილეთების შესრულების შემდეგ გარეშემოვლით ერთმანეთს დაშორება: პირველი ვაჟი – №3 წერტისკენ მიემართება, მეორე – №7-საკენ.	პირველი ვაჟი 2ტ.– მარცხნივ განბიჯით ფეხშლილი ცერდგომი, 2ტ.–მარჯვნივ განბიჯით ფეხშლილი ცერდგომი, 2ტ.– ფეხშლილი დგომი ან მარცხნივ ბრუნი და ფეხშლილი ცერდგომი, 2ტ.– ტყუპცერდგომი (სახით მეორე ვაჟისკენ). მეორე ვაჟი ასრულებს იმავეს, მხოლოდ მეორე მხარეს. ორივე ვაჟი 8ტ.–წინსვლა დაქნევ-ჩაკვრით გარშემოვლა (თითოეული თავის მხარეს).	10 

III	16 129-144	ვაჟების მეორე წყვილი (№3,4)	მოპირდაპირე მხრიდან ერთსა და იმავე დროს ცეკვაში ვაჟთა მეორე წყვილის შესვლა (№3 და №7 წერტიდან). მარცხნივ წრეშემოვლით ნახევარი წრის გავლა და ვაჟი №3-ის მოხვედრა №7 წერტზე, ვაჟი №4-ის №3 წერტს მიღწევამდე სახით ცენტრისკენ მიბრუნება.	15 ტ. – ქუსლური სვლა, 1 ტ. – ბრუნი მარცხნივ ცალ ეგცერზე.	11 
III	16 145-160	იგივე მეორე წყვილი	ცენტრისკენ სვლა ერთმანეთის შესახვედრად.	2 ტ. – წინ და მარჯვნივ (ირიბად) განბიჯით ჩაკვრა, 2 ტ. – წინ და მარცხნივ განბიჯით ჩაკვრა, 2 ტ. – წინ და მარჯვნივ განბიჯით ჩაკვრა, 2 ტ. – წინ და მარცხნივ განბიჯით ჩაკვრა, 8 ტ. – ქუსლური წინსვლა.	12
III	8 161-168	იგივე მეორე წყვილი	ცენტრის გარშემოვლა (მარცხნივ მცირე წრეშემოვლა).	7 ტ. – დაქნევ-ჩაკვრა, 1 ტ. – ფეხშლილი ჩაკვრა.	13 
III	8 169-176	იგივე მეორე წყვილი	ორივე ვაჟის სახით რადიუსი ც-1-ის მიმართულებით მოქცევა და ცერილეთების შესრულება.	2 ტ. –დაქნევ ჩაკვრა, 1 ტ. – მუხლმოქნევით ჩაკვრა, 1 ტ. – ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – დაქნევ ჩაკვრა, 1 ტ. – ფეხშლილი ჩაკვრა, 1 ტ. – ფეხშლილ დგომიდან ბრუნი გარემიმართულებით.	14
IV	8 177-184	სამი ვაჟი	ორ ვაჟს შუა მესამის შემოჭრა (№5), №5-ის ცენტრში დარჩენა და ცერილეთების შესრულება, ორი ვაჟის – №3 და №4-ის გარე წრეშემოვლა.	ვაჟი №5 2ტ.–ადგილზე ცერრბენი ოდნავ წინ წაწევით (2ჯერ), დაქნევჩაკვრა, 2ტ.-იგივე, რაც წინა ორ ტაქტში, 2ტ.–ადგილზე ცერრბენი (2-ჯერ), დაქნევჩაკვრა, 1ტ.– ფეხშლილი ჩაკვრა, 1ტ.–ფეხშლილი დგომიდან ნახევარბრუნი მარცხნივ ერგცერზე და ორი ვაჟის (№3 და №4) სახით ცენტრისკენ მოქცევა. 8ტ.–ქუსლური სვლით მცირე წრეზე გარე მიმართულებით შემოვლა.	15 

IV	8 185-192	იგივე სამი ვაჟი	სახით ცენტრისკენ მიმართული სამივე ვაჟის მიერ ცერილეთების შესრულება.	2 ტ. – მარჯვნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – მარცხნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – ფეხშლილ დგომიდან ბრუნი მარჯვნივ და ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – ფეხშლილ დგომბრუნი მარცხნივ და ფეხშლილი ჩაკვრა.	16 
IV	8 193-200	იგივე სამი ვაჟი	სამივე ვაჟის მიერ ცენტრის ირგვლივ შემოვლა (მარცხნივ შემოვლით). დასასრულ, ფრონტალურ – 3-ც–7 ხაზზე – ერთ მწკრივად განრიგება: ვაჟი №5 მოხვდება №3 და №4-ს შუა სახით ც–1-ის ხაზის მიმართულებით.	8 ტ. – ქუსლურა სვლა (ან დაქნევჩაკვრით სვლა).	17  17ა
V	8 201-208	იგივე სამი ვაჟი, შემდეგ ახალი ოთხეული	სამი ვაჟის მიერ 4 ტაქტის განმავლობაში ცერილეთების შესრულება, მე-5 ტაქტზე უკან დახევა. მწკრივად განრიგებული ოთხვაჟიანი ახალი ჯგუფის ცეკვაში ჩაბმა (№1,6,7,2): პირველ 4 ტაქტში ვაჟთა სამეულის უკან განრიგება (ოდნავ დაშორებით) და მე-5 ტაქტიდან სამეულის ხაზის „გაჭრით“ (წინა მწკრივში მდგომ სამეულს შორის გასვლით) სამეულის წინ ერთი-ორი ნაბიჯით მოქცევა.	სამი ვაჟი 2ტ.– ცერრბენი და ტყუპცერჩაკვრა, 2ტ.– ცერრბენი და ტყუპცერჩაკვრა, 4ტ.– მუხლმოქნევ-ჩაკვრით უკუსვლა. მე-5 ტაქტიდან ვაჟთა ოთხეულის 4ტ. ცერრბენი.	18 18ა 

V	8 209-216	შვიდი ვაჟი	შვიდივეს მიერ მე-8 ტაქტამდე ცერილეთების შესრულება (სახით რადიუსი ც–1-ის მიმართულებით). მერვე ტაქტზე ოთხეულის სახით სამეულისკენ მოქცევა, მერვე ტაქტის დასასრულს სამეულის ძველ ადგილას დაბრუნება.	ვაჟთა სამეული: 2 ტ. – განბიჯით მარჯვნივ ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – განბიჯით მარცხნივ ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – ფეხშლილ დგომიდან მარჯვნივ ბრუნი (მარჯვენა ერგცერზე) და ჭდომფეხშლილი ჩაკვრა. 2 ტ. – ფეხშლილი დგომიდან მარცხნივ ბრუნი და ჭდომფეხშლილი ჩაკვრა. ვაჟთა ოთხეული: 2 ტ. – განბიჯით მარცხნივ ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – განბიჯით მარჯვნივ ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – ფეხშლილი დგომიდან მარცხნივ ბრუნი და ჭდომფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – ფეხშლილ დგომიდან მარჯვნივ ნახევარბრუნი და ჭდომფეხშლილი ჩაკვრა, სახით სამეულისაკენ მოქცევა.	19 19ა 20 
V	8 217-224	შვიდი ვაჟი	ოთხეულის სამეულის ადგილზე გაჭრით გადასვლა, სამეულის – ოთხეულის ადგილზე (სამეული ოთხეულის მიმოხანში გავლა). შემდეგ მწკრივის მწკრივისაკენ სახით შებრუნება და წრეშემოვლისათვის მომზადება.	3 ტ. –ქუსლურა სვლა, 1 ტ. – მარცხნივ ნახევარბრუნი, 3 ტ. – ფეხშლილი ჩაკვრით ორივე მწკრივის უკან დახევა, 1 ტ. – ფეხშლილი დგომიდან მარცხნივ წრის 3/4-ზე ისე ბრუნი, რომ შვიდეული სახით მარცხნივ წრეშემოვლის მიმართულებით მოექცეს.	21 
V	16 225-240	შვიდი ვაჟი	შვიდეულის შეთანხმებულად მარცხნივ წრეშემოვლა და მე-16 ტაქტზე ისევ ძველი განრიგებით მოწყობა.	15 ტ.– ქუსლური სვლით ან დაქნევ-ჩაკვრით მარცხნივ წრეშემოვლა და ისევ თავის ადგილზე მოსვლა (ორ მწკრივად), 1ტ.– ფეხშლილი ბრუნი მარცხნივ, რის შემდეგაც მწყობრი სახით ც–1 რადიუსის მიმართულებით მოექცევა.	22 

V	16 241-256	შვიდი ვაჟი	ცერილეთებით შვიდეულის თანდათან წინ მიწევა (ტემპის აჩქარებით) და მე-16 ტაქტზე ცეკვის დამთავრება.	2 ტ. – მარჯვნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა, 1 ტ. – ფეხშლილ დგომიდან მარცხნივ ბრუნი, 1 ტ. – ცერრბენი (ჯერ მარჯვენაზე, შემდეგ – მარცხენაზე), 2 ტ. – მარჯვნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა, 1 ტ. – მარცხნივ განბიჯი, 1 ტ. – ცერრბენი ადგილზე მარცხნივ ბრუნით, 2 ტ. – მარჯვნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – მარცხნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა, 2 ტ. – მარჯვნივ განბიჯით ფეხშლილი ჩაკვრა, 1 ტ. – ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ცერზე, 1 ტ. – მარჯვენა ფეხის მიდგმა და ცეკვის დამთავრება.	23 

ცერული

ხალხური საცეკვაო მელოდია

ჩაწერა ანდრია ბალანჩივაძის მიერ

Presto

დავლურ-მთიულურის სქემატური აღწერა*

ქალ-ვაჟის შესრულებით

ნაწილი	ტაქტი	შემსრულებელი	სვლაგეზი	მოძრაობის ხასიათი და რაოდენობა	კვალის გრაფიკული ნახაზი
I	8 1-8	ქალი	წერტიდან 3 წინსვლით მარცხნივ წრეშემოვლა.	8 ტაქტი – ქრიალა წინსვლა (იწყება მარჯვენა ფეხით, მკლავები – როგორც მიღებულია სვლისას).	1 
		ვაჟი	წერტიდან 7 მარცხნივ წრეშემოვლა.	8 ტაქტი – ქრიალა წინსვლა (იწყება მარჯვენა ფეხით).	
I	8 9-16	ქალი	მარცხნივ მკვეთრად შებრუნებით (90˚) სახით ცენტრისკენ მოქცევა; ოდნავ წინ წაწევა, ვაჟის შეხედვა და თავის დაკვრით თანხმობა ცეკვის გაგრძელებაზე; ოდნავ უკან დაწევა და შემდეგ მარცხნივ წრეშემოვლაზე გადასვლა (დიდ წრეზე).	2 ტ.– მარცხნივ შებრუნებით (90˚) გლუსუნა წინსვლა, 2 ტ.– გლუსუნა უკუსვლა ოდნავ მარჯვნივ შებრუნებით, 2 ტ.– გლუსუნა წინსვლა ოდნავ მარჯვნივ, 2 ტ.– გლუსუნა წინსვლა ოდნავ მარცხნივ	2  
		ვაჟი	მკვეთრად მარცხნივ შებრუნება (90˚) სახით ცენტრისკენ მოქცევა, წინ წაწევა, თავის დახრით ქალისთვის მადლობის გადახდა, ისევ უკან დაწევა და მარცხნივ წრეშემოვლა.	2 ტ.– მარცხნივ შებრუნებით (90˚) გლუსუნა წინსვლა, 2 ტ.– გლუსუნა უკუსვლა ოდნავ მარჯვნივ შებრუნებით, 2 ტ.– გლუსუნა წინსვლა ოდნავ მარჯვნივ, 2 ტ.– გლუსუნა წინსვლა ოდნავ მარცხნივ.	
I	8 17-24	ქალი	წერტ 3-ს მიახლოებამდე წრეშემოვლის განაგრძობა, შემდეგ 3–ც რადიუსით ცენტრისკენ სვლა – ვაჟთან პირისპირ შეხვედრა.	4ტ. – ქრიალა სვლა, 4ტ. – ქრიალა სვლა მარცხნივ შეხვევით ბაქნის ცენტრისაკენ.	3 
		ვაჟი	წრეშემოვლის განაგრძობა – წერტ 3-ს მიახლოება, შემდეგ 3–ც რადიუსით ცენტრისკენ სვლა – ქალთან პირისპირ შეხვედრა.	4ტ. – ქრიალა სვლა, 4ტ. – ქრიალა სვლა მარცხნივ შეხვევით ცენტრისაკენ.	

* ცეკვა *დავლურ-მთიულურის* მუსიკალური მასალა იხ. *ქართული ცეკვის ჩასაწერი პირობითი ნიშნები* გვ. 102-107.

I	8 25-32	ქალი	ოდნავ მარცხნივ შებრუნება და ც–6 რადიუსის მიმართულებით მოძრაობა, შემდეგ უკან დაწევა, მარჯვნივ შებრუნება 90˚-ით, კვლავ წინ წაწევა ც–8 რადიუსის მიმართულებით და ისევ უკან დახევა.	2 ტ. – გლუსუნა წინსვლა, 2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა, 2 ტ. – გლუსუნა წინსვლა, 2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა.	4 4ა
		ვაჟი	ოდნავ მარცხნივ შებრუნება და ც–6 რადიუსის მიმართულებით უკან დახევა, შემდეგ წინ წაწევა. მარჯვნივ შებრუნება 90˚-ით, კვლავ უკან დახევა ც–8 რადიუსის მიმართულებით და ისევ წინ წაწევა.	2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა, 2 ტ. – გლუსუნა წინსვლა, 2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა, 2 ტ. – გლუსუნა წინსვლა.	4ბ 4გ
I	4 33-36	ქალი	თავისსა და ვაჟს შორის დარჩენილი ადგილის ცენტრის გარს შემოვლა (მარცხნივ შემოვლით) თავის ადგილზე მისვლამდე.	3 ტ. – განიერი რთულა წინსვლა, მკლავები იდაყვებდაშვებული (მტევნები მარჯვნივ), 1 ტ. – მარცხნივ სრული ბრუნი მარცხენა ფეხზე.	5 5ა
		ვაჟი	თავისსა და ქალს შორის დარჩენილი ადგილის ცენტრის გარს შემოვლა (მარცხნივ შემოვლით) თავის ადგილზე მისვლამდე.	3 ტ. – განიერი რთულა წინსვლა, მკლავები იდაყვებდაშვებული (მტევნები მარჯვნივ), 1 ტ. – მარცხნივ სრული ბრუნი მარცხენა ფეხზე.	
II	6 37-42	ქალი	ქალის ვაჟს მოშორება უკუსვლით ც–3 მიმართულებით, ბოლოს მარცხნივ შებრუნება და წრეშემოვლისათვის მოემზადება.	2 ტ.–სამდაკვრით უკუსვლა ზეტანის ოდნავ მარცხნივ შებრუნებით, გულ-მკერდის წინ მარცხენა მკლავი, წელს უკან – მარჯვენა; 2ტ. – სამდაკვრითი უკუსვლა ზეტანის ოდნავ მარჯვნივ შებრუნებით, გულ-მკერდის წინ მარჯვენა მკლავი, წელს უკან – მარცხენა; 1 ტ. – სამდაკვრით უკუსვლა, მკლავების ქვევით და განზე დაშვება; 1 ტ. – ბრუნი მარცხნივ 180˚-ზე მარცხნივ წრეშემოვლისათვის მოსამზადებლად.	6
		ვაჟი	ვაჟი ქალს შორდება უკუსვლით ც–7 მიმართულებით, ბოლოს მარცხნივ შებრუნება და წრეშემოვლისათვის მოემზადება.	იგივე რასაც ქალი.	

II	8 43-50	ქალი	მარცხნივ წრის შემოვლა წრის თანდათან შევიწროებით.	2 ტ. – განიერი რთულა წინსვლა, 2 ტ. – ნაბიჯი და ნახევარნაბიჯი წინ (ერგცერებზე), ნახევარნაბიჯი უკან, თავისუფალი ფეხის ზეაწევა ფეხცვლით; 4 ტ. – წინა 4 ტ.-ში შესრულებულის გამეორება. მკლავების მოძრაობა ქრიალა სვლის შესაბამისად.	7 
		ვაჟი	მარცხნივ წრის შემოვლა წრის თანდათან შევიწროებით.	შენიშვნა:წინსვლის დროს დაშვებული მკლავების მოძრაობა როგორც ქრიალა სვლისას.	
II	4 51-54	ქალი	წრის შემცირებით მარცხნივ წრეშემოვლის განაგრძობა, ბოლოს მკვირცხლად მარცხნივ შებრუნება და ცეკვის სწრაფრიტმოვან ნაწილზე გადასასვლელად მომზადება.	3 ტ. – განიერი რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ (იდაყვებდაშვებული). 1ტ. – მკვირცხლი ბრუნი მარცხნივ.	8 
		ვაჟი	წრის შემცირებით მარცხნივ წრეშემოვლის განაგრძობა, ბოლოს მარცხნივ ორფა მუხლის შესრულება (სახით ქალისკენ მოქცევა).	3 ტ. – განიერი რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ (გვერდული – იდაყვებდაქანებული მდგმ.), 1 ტ. – ხტომბრუნით მარცხნივ ორფა მუხლი.	
II	8 55-62	ქალი	ქალის მიერ ვაჟისთვის გარშემოვლა და წერტი 2-საკენ სვლა.	8 ტ. – ირიბი რთულა წინსვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაშვებული.	9 
		ვაჟი	ცალ მუხლზე ჩოქი, ქალის შემოვლისათვის თვალის დევნება, ამავდროულად მკლავების მოძრაობა, შემდეგ ადგომა და წინხტომით ქალს პირისპირ დახვედრა.	4 ტ. – მუხლდგომში მკლავების მოძრაობა, 2 ტ. – ადგომა და ხლართულა ჩაკვრა, 1 ტ. – განიერი ხტომა ქალის მიმართულებით, მკლავების ზეაქნევა, 1 ტ. – ორფა მუხლი.	

II	8 63-70	ქალი	წერტისაკენ 8 სვლა.	8 ტ. – ირიბი რთულა წინსვლა, პირველ ტაქტზე მკლავების მდგომარეობის შეცვლა მეორე მხარეზე გადასვლით, მეოთხე ტაქტზე კი ისევ მარჯვნივ გადასვლა. მეხუთე ტაქტიდან – ისევ მარცხნივ.	10
		ვაჟი	ჯერ უკუსვლით მოძრაობა ქალის სვლის მიმართულებით, შებრუნების შემდეგ წინსვლით ქალის გვერდით მიყოლა.	3 ტ. – უკუსვლა ქალის სვლის მიმართულებით (ვაჟი ქალის მარცხენა მხარეზეა მარცხენა მკლავის პირდაპირ), მკლავები – ახდილპოზიცია, მარჯვენა – ზეაწეული; 1 ტ. – სწრაფად მარცხნივ 1 წრეზე შებრუნება და ქალის ახლოს გაყოლა. 4 ტ. – ირიბი რთულა სვლა, მკლავები – III პოზიცია (მარცხენა აწეული).	
II	8 71-78	ქალი	წინსვლის განგრძობა, ვაჟის დაშორებისას და წამოწევის ცდა, მისკენ მოუხვევს და ცდილობს წამოეწიოს.	4ტ. – ქრიალა წინსვლა, მეოთხე ტაქტიდან მარცხნივ შემოხვევა 4 ტ. – ქრიალა წინსვლა ვაჟისკენ.	11
		ვაჟი	ქალს ჩამორჩენა და უკუსვლით გავლილი კვალის გეზით მოძრაობა, ქალის წამოწევამდე.	8 ტ. – უკუსვლა გავლილი კვალის გეზით – ორდაკვრითი ილეთის სამდაკვრითით რიგრიგობით შეცვლა, დაშვებული მკლავების თანდათან განზე გაშლა.	
II	8 79-86	ქალი	ოდნავ მარცხნივ შებრუნება და ც–2 რადიუსის მიმართულებით წინ მოძრაობა, შემდეგ უკან დაწევა, ისევ წინ წაწევა, მხოლოდ ახლა ც–4 რადიუსის მიმართულებით და ბოლოს უკან ისე დახევა, რომ გულმკერდით ც–1 რადიუსის პარალელურად მოექცეს.	2 ტ. – გლუსუნა წინსვლა, 2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა, 2 ტ. – გლუსუნა წინსვლა, 2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა 3-7 დიამეტრის პარალელურად.	12 12 ა
		ვაჟი	იგივე ოღონდ საპირისპირო მიმართულებით, ბოლოს უკან დახევა ც–8 რადიუსის მიმართულებით (ამით ქალს დაშორდება).	2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა, 2 ტ. – გლუსუნა წინსვლა, 2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა, 2 ტ. – გლუსუნა უკუსვლა 3-7 დიამეტრის პარალელურად.	12ბ  12გ 

II	4 87-90	ქალი	რკალისებრი შემოვლით ვაჟის ადგილზე გადასვლა	3 ტ. – ირიბი რთულა წინსვლით რკალისებრ შემოვლით ვაჟის ადგილზე გადასვლა, მკლავები მარჯვნივ იდაყვებდაშვებული. 1½	13 
		ვაჟი	რკალისებრი შემოვლით ქალის ადგილზე გადასვლა.	1 ტ. – მარცხნივ 1½ ბრუნი მარცხენა ფეხზე. იგივე, რასაც ქალი.	
II	6 91-96	ქალი	ხლართულა ილეთი და თანდათან თავის ადგილისაკენ მიწევა; ამ დროის განმავლობაში ორი ბრუნი და წრეშემოვლისათვის მომზადება.	2 ტ. – ორი ხლართული ჩაკვრა, მკლავების მდგომარეობა – იდაყვებგადაშლილი. 4 ტ. – ორი ბრუნი მარცხნივ (თითოეულ ტაქტში ორდაკვრით ფეხცვლა), მკლავები თანდათან გარე-ირმულა პოზიციაში, საიდანაც გარეხელსართავებით განზე გადაშლა და ქვედაშვება. ბრუნისას დანიშნული ადგილისაკენ სვლის განგრძობა. ბოლოს სახით მარცხნივ წრეშემოვლის გეზით სვლა.	14 
		ვაჟი	ხლართულ ილეთი და შემდეგ თანდათან თავის ადგილისაკენ მიიწევა. ამ დროის განმავლობაში ორი ბრუნის შესრულება და წრეშემოვლისათვის ემზადება.	2ტ. – ორი ხლართული ჩაკვრა, 2ტ. – ფეხშლილი ცერდგომი, 2ტ. – ჭდომილ ცერდგომში მარცხნივ ბრუნი, დამთავრებისას სახით ქალისკენ მოქცევა. ცერებზე ბრუნისას მკლავები იდაყვებგადაშლილი ან III პოზიცია.	
II	8 97-104	ქალი	ვაჟისთვის ირგვლივ შემოვლა და ყოველ მეოთხე ტაქტზე ადგილზე ფეხის შეცვლა.	2ტ. – განიერი რთულა წინსვლა, 2ტ. – ნაბიჯი და ნახევარი ნაბიჯი წინ (ერგცერებზე), ნახევარი ნაბიჯი უკან, თავისუფალი ფეხის ზეაწევით ფეხცვლა, 4ტ. – წინა ოთხი ტაქტის გამეორება. წინსვლისას მკლავები ქვე და განზე დაშვებულია, როგორც ქრიალა სვლის დროს.	15
					15ა
		ვაჟი	ადგილზე ილეთების შესრულება. რამდენადაც ილეთის შესრულება ამის საშუალებას იძლევა, სახით ქალისკენ ცქერა.	2 ტ. – ფეხშლილი დგომიდან მარცხნივ ბრუნი – ფეხშლილი ცერდგომი. 1ტ. – ადგილზე ხტომბრუნში ჩაკვრა. 1 ტ. – ცალცერდგომი, 2 ტ. – წინა 4 ტაქტის გამეორება. მკლავების მოძრაობა შესაბამისად.	15ბ

II	8 105- 112	ქალი	წრეშემოვლა ბაქნის ზედა ნახევარწრის პარალელურად.	8 ტ. – ქრიალა სვლით წრეშემოვლა, დაშვებული მკლავების თანდათან განზე გაშლა და მერვე ტაქტზე ირმულა პოზიცია. სვლისას ხელის თითებით მანდილის ბოლოების დაჭერა, მკლავების თანდათან აწევასთან ერთად მანდილის აფრიალება.	16
		ვაჟი	სხვადასხვა ილეთის შესრულებით ქალის გაყოლა და ქალის წინ და მარცხნივ მოქცევის ცდა.	1 ტ. – წინხტომი ქალისაკენ, 1 ტ. – ფეხშლილი ცერდგომი. 1 ტ. – მარჯვნივ ბრუნით განბიჯი. 2 ტ. – მარცხენა ფეხიდან მუხლდრეკილი ჩაკვრა, 1 ტ. – ხტომბრუნში ჩაკვრა, 1 ტ. – ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ცერზე, 2ტ. – წინხტომით სამფა მუხლი.	
II	113	ქალი	მარცხნივ სწრაფად ბრუნის შემდეგ შეჩერება და ვაჟის გადახედვა (გულ-მკერდის მიმართულება ც–1 რადიუსით).	1 ტ. – მარცხნივ სწრაფი ბრუნი და შეჩერება. მკლავები მკერდდახურული ან მარჯვნივ მდგომარეობაში, მარჯვნივ. წინამხარი გულმკერდის წინა, მარჯვენა – III პოზიცია.	17
		ვაჟი	მუხლდგომში შეჩერება და ქალის შეხედვა.	1 ტ. – მუხლზე დგომით შეჩერება, ზეტანის ოდნავ უკუზნექით (პოზა).	

მთიულური ერთი ვაჟის შესრულებით

მუსიკა კონსტანტინე მელვინეთუხუცესის
მელოდიის პირველი ტაქტიდანვე იწყება ცეკვა. მანამდე, სამი ან ოთხი ტაქტის განმავლობაში, შესავლად შეიძლება დოლის ან დაირის გამოყენება (მუსიკალური ზომა 2/4, 6/8. ქორეოგრაფიული სათვალავი 1, 1 ტაქტი = 1 თვლას.)

ნაწილი	ტაქტი	სვლაგეზი	მოძრაობის დახასიათება და რაოდენობა	კვალის გრაფიკული ნახაზი
I	16 1-16	ცეკვა იწყება წერტიდან 3. მარცხნივ წრეშემოვლა (2–1–8–7-ის გეზით).	2 ტ. – ფრენმუხლური რბენხტომი (იწყება მარჯვენა ფეხით), 2 ტ. – ფრენმუხლური რბენხტომი (იწყება მარცხენა ფეხით), 4 ტ.–განიერი რთულა წინსვლა (მკლავები III პოზიცია, მარჯვენა–განგაშლილი), 2 ტ. – ფრენმუხლური რბენხტომი (იწყება მარჯვენა ფეხით), 2 ტ.– ფრენმუხლური რბენხტომი (იწყება მარცხენა ფეხით), 4 ტ.– განიერი რთულა წინსვლა (მკლავები III პოზიცია, მარცხენა–განგაშლილია).	1 
I	16 17-32	წრის თანდათან შემცირებით ცენტრისკენ შემოვლის განგრძობა იმ ვარაუდით, რომ 30-ე ტაქტზე შუაგულში – ც წერტზე მოხვდეს. შემდეგ ორ ტაქტზე, სკუპისა და ბრუნის დამთავრებისას, სახით ც–1 რადიუსის მიმართულებით მოსვლა.	8 ტ.–მოკლე რთულა წინსვლა. 8 ტ.–მოკლე რთულა ან ნიავადი წინსვლა. მკლავები მარჯვნივ, მარცხენა იდაყვდაშვებული. 1 ტ.–სკუპხტომი მარჯვნივ. 1 ტ.–ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ცერზე.	2 
II	8 33-40	საცეკვაო ილეთების შესრულება ც–1 რადიუსის მიმართულებით ოდნავ წინ წაწევით.	2 ტ.–ხლართულა ჩაკვრა (იწყება მარჯვენა ფეხით) მკლავები მოძრაობა III პოზიციაში ქვევით და ცალმხარეზე დაქანებულად. 1 ტ.–ფეხცვლა მარჯვენა ერგცერზე შედგომით, მარცხენის წინ–შიგნით აწევით და ბრუნი მარცხნივ მარცხენა ერგცერზე. 1 ტ.–ფეხშლილი ცერშედგომი (მკლავები III პოზ.), 2 ტ.–განბიჯით მარჯვნივ ფეხშლილი ჩაკვრა (მკლ. IV პოზ.). 2 ტ.–განბიჯით მარცხნივ ფეხშლილი ჩაკვრა (მკლ. IV პოზ.).	3

II	8 41-48	ადგილზე ცეკვა.	2 ტ.–სკუპით მარჯვნივ, ბრუნი მარცხნივ მარცხენის ცერზე. 2 ტ.–ბრუნით მარცხნივ ტყუპცერ-შედგომი, 2 ტ.–ირიბი ჩაკვრით სვლა მარჯვნივ – წინ. 2 ტ.–მარცხნივ განბიჯით ხტომ-ბრუნი მარცხნივ, მარცხენა ფეხის უკუგადატანით სამფა მუხლი.	4
II	8 49-56	ცენტრისკენ უკუსვ-ლა, შემდეგ ადგილზე ბრუნვა.	6 ტ.–ადგომა და ცერებზე უკუსვლა. (მკლავები I პოზიციიდან თანდათან იდაყვებგადაშლილი). 2 ტ.–ტერფებზე დადგომა, კვლავ ცერშედგომი და მარჯვნივ ბრუნი (მკლავები – I პოზიცია).	5
II	8 57-64	ილეთების შეს-რულებით ც–1 რადიუსის მიმარ-თულებით სვლა.	2 ტ.–ჩაკვრით ირიბი სვლა (მარჯვე-ნა მკლავი იდაყვაწეული), 2 ტ.–მარცხნივ ბრუნი ერგბუქნით. 2 ტ.–განბიჯით მარჯვნივ ფეხშლი-ლი ჩაკვრა (მკლავები – IV პოზიცია). 2 ტ. – მუხლდრეკით ჩაკვრა (მკლავები I პოზიცია).	6
II	16 65-80	წინსვლით მოძრაო-ბა 1–8–7 რკალის პარალელურად და მარცხნივ $^{1}/_{2}$ ან 1 $^{1}/_{2}$ ბრუნის შემდეგ გვერდზე სვლით მოძრაობა ცენ-ტრისკენ ც–7 რადი-უსით.	7 ტ.–ნიავადი სვლა მარცხნივ წრე-შემოვლით. 1 ტ.–1 $^{1}/_{2}$ ან $^{1}/_{2}$ ბრუნი მარცხენა ცერზე, 8 ტ.–ცერებზე ჭდომდგომით სვლა მარჯვნივ (ხელები – ხანჯალზე, გან-გაშლილი ან შესაბამისად).	7 
II	16 81-96	ცენტრიდან განბი-ჯით ჭდომბრუნის დახვევით მარცხნივ კვლავ ადგილზე დაბრუნება და ზეხ-ტომბრუნის შემდეგ ცეკვის დამთავრება.	14 ტ.–განბიჯით ჭდომბრუნი მარცხნივ დახვევით. 1 ტ.– ზეხტომბრუნი. 1 ტ.–ზეხტომიდან მარცხენა მუხლ-ზე ადგომა.	8

მთიულური

კომპოზიტორი კონსტატინე მელვინეთუხუცესი

Allegro

მთიულური ორი ვაჟის შესრულებით[1]

მუსიკალური ზომა 6/8

ნაწილი	ტაქტი	შემსრულებელი	სვლაგები	მოძრაობის დასახელება და რაოდენობა	კვალის გრაფიკული ნახაზი
I	8/1-8	I ვაჟი	წერტიდან 3 დიდი წრის გეზით შემოვლა წერტამდე – 7 (გაივლის დიდი წრის რკალს 3, 2, 1, 8).	8 ტ.–რთულა წინსვლა (მკლავები თავისუფლად დაშვებული).	1 
		II ვაჟი	წერტიდან 7 დიდი წრის გეზით შემოვლა წერტამდე – 3 (გაივლის დიდი წრის რკალს 7, 6, 1).	8 ტ.–რთულა წინსვლა (მკლავები თავისუფლად დაშვებული).	
I	8/9-16	I ვაჟი	დიდი წრის წრეშემოვლის განგრძობა ზევითა რკალით (გაივლის წერტებს – 7, 6, 5, 4) და წერტამდე – 3 მისვლა.	7 ტ.–ჭდომილი წინსვლა, 1 ტ.–ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ერგცერზე.	2 
		II ვაჟი	დიდი წრის წრეშემოვლის განგრძობა ზევითა რკალით (გაივლის წერტებს – 3, 2, 1, 8) და წერტამდე 7 მისვლა.	7 ტ.–ჭდომილი წინსვლა, 1 ტ.–ბრუნი მარცხნივ მარცხენა ფეხის ერგცერზე.	
I	16/17-32	I ვაჟი	წერტიდან 3 მარცხნივ იმავე მიმართულებით საშუალო წრის შემოვლით თანდათან წრის შემცირება სპირალისებური შემოხვევით და 32-ე ტაქტზე, ადგილზე მარცხნივ ბრუნის შემდეგ, სახით ცენტრისკენ მოქცევა.	8 ტ.–განიერი რთულა სვლა (მკლავები III პოზიცია – მარჯვენა ზევით). 7 ტ.–მოკლე რთულა სვლა (მკლავები III პოზიცია – მარცხენა ზევით). 1 ტ.–ბრუნი მარცხნივ მარცხენის ერგცერზე.	3 
		II ვაჟი	იგივე მოძრაობა წერტიდან 7	იგივე მოძრაობები.	

1 მთიულური ორი ქალის შესრულებით იხ. ქალთა ცეკვებში.

I	8 33-40	ორივე ვაჟი	წინხტომი ისე, რომ მეორის პირისპირ და ნახევარი ნაბიჯით დაცილებით მოექცეს. მარცხნივ და უკან მიმართულებით, 1½ ბრუნის შემდეგ, პირველი მოცეკვავის ადგილზე გადასვლა და ჩაკვრების შესრულება.	2 ტ.–წინხტომი და ფეხშლილი ჩაკვრა. 2 ტ.–მარცხნივ ბრუნით (მარჯვენა ფეხზე დაყრდნობით) და განბიჯით ჭდომფეხშლა. 2 ტ.–მარჯვნივ განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა. 2 ტ.–მარცხნივ განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა.	4  4ა
II	8 41-48	ორივე ვაჟი	ადგილზე ილეთების შესრულება. ბოლო ტაქტზე მარჯვენა მკლავის მეორის წელზე შემოხვევა (მკლავ გადახლართვით).	3 ტ. – წინქნევჩაკვრა, 1 ტ. – მუხლმოქნევით ჩაკვრა, 3 ტ. – ხლართული ჩაკვრა და მარცხნივ ბრუნი. 1 ტ.–ჭდომილი ცერდგომი მარჯვენა მკლავის გადახლართვით მეორე მოცეკვავის წელზე, მარცხენა მკლავი – იდაყვგადაშლილი.	5
II	8 49-56	ორივე ვაჟი	ცერდგომით უკუსვლა მასა და მეორეს შორის დარჩენილი ფართობის გარშემო. ბოლო ტაქტზე, მარცხნივ ბრუნის შემდეგ, სახით მეორისაკენ მოქცევა.	7 ტ.– ცერდგომით უკუსვლა. 1 ტ.–ბრუნი მარცხნივ.	6
II	8 57-64	I ვაჟი II ვაჟი	სახით ცენტრისკენ უკუსვლით ც–7 რადიუსის მიმართულებით მოძრაობა. ც–3 რადიუსის მიმართულებით უკუსვლით მოძრაობა.	6 ტ.– ცერდგომით უკუსვლა (მკლავები – I პოზიცია). 2 ტ.–სრული ზეხტომბრუნი ცერებზე მარცხნივ. 6 ტ.– ცერდგომით უკუსვლა (მკლავები – I პოზიცია). 2 ტ.–სრული ზეხტომბრუნი ცერებზე მარცხნივ.	7
III	8 65-72	I ვაჟი II ვაჟი	მარცხნივ წრეშემოვლა იმისათვის, რომ ბოლო ტაქტზე ც–7 რადიუსის ხაზზე მოხვდეს, სახით ც–2 რადიუსის მიმართულებით. მარჯვნივ წრეშემოვლა იმისათვის, რომ ბოლო ტაქტზე ც–3 რადიუსის ხაზზე მოხვდეს, სახით ც–1 რადიუსის მიმართულებით.	8 ტ.– ფრენმუხლურა. 8 ტ.– ფრენმუხლურა.	8 

III	8 73-88	I ვაჟი II ვაჟი	გვერდზე სვლა მარჯვნივ და ბოლო ტაქტზე მეორე მოცეკვავესთან მხარიმხარ მიახლოვება. გვერდზე სვლა მარცხნივ.	16 ტ.– ხლართულა ჭდომით ცერებზე სვლა მარჯვნივ (მკლავები ხან I, ხან III პოზიციაში). იგივე მარცხნივ.	9
III	8 89-96	I ვაჟი II ვაჟი	ცალ ცერზე ხტომით წინსვლა ც–1 რადიუსის მიმართულებით. იგივე მოძრაობა.	8 ტ.–მარჯვენა ფეხის ცერზე ხტომით წინსვლა (მოღუნული მარცხენა ხელი მარცხენა მუხლს ზევით ეხება. მარჯვენა მკლავი გადახვეულია მეორის მხარზე). იგივე მარჯვენა ფეხით.	10 
III	8 97-112	I ვაჟი II ვაჟი	დიდი წრის მარცხენა ნახევარრკალის მიმართულებით – მის პარალელურად სვლა და 105-ე ტაქტიდან მეორესთან თანდათან მიახლოება (112-ე ტაქტზე სახით 1 წერტისკენ). იგივე მეორე მხარეს.	12 ტ.–მარცხნივ განბიჯით და ჭდომბრუნით სვლა. 2 ტ.–ერგბუქნით მარცხნივ ბრუნი. 2 ტ.–ცერებზე ბრუნი მარჯვნივ (მკლავები – IV პოზიცია). იგივე საპირისპირო მიმართულებით.	11 
III	8 113-120	ორივე ვაჟი	ადგილზე ილეთების შესრულება.	4 ტ.–ორფა ქუსლცერ-ჩაკვრა (იწყება მარჯვენათი). 2 ტ.– ზეხტომიდან ტყუპცერზე დახტომა. 2 ტ.–ზეხტომიდან ტყუპცერზე დახტომა.	12
III	11 121-131		ც–1 რადიუსის მიმართულებით ილეთების შესრულებით წინ წაწევა და 131-ე ტაქტზე ცეკვის დამთავრება.	2 ტ.–ჩაკვრით ირიბი სვლა მარჯვნივ, 2 ტ.–ჩაკვრით ირიბი სვლა მარცხნივ, 2 ტ.– ჭდომსკუპით ბრუნი მარცხნივ, 2 ტ.– ზეხტომიდან სამფა მუხლი მარცხნივ ბრუნით. 2 ტ.–ადგომიდან ორფაბრუნი მარცხენა ფეხზე. 1 ტ.–შეჩერება.	13 

მთიულური

კომპოზიტორი კონსტატინე მელვინეთუხუცესი



f


p


f

p
8va

8va
8va

8va
f
(8va)
sf

ქართველ ქალთა ცეკვები

ავტორისაგან

ცნობილია, რომ ქართული ხალხური ცეკვა გამოირჩევა მაღალმხატვრულობით, შინაარსიანობითა და ქართველი კაცის მდიდარი შინაგანი სამყაროს გამოვლინებით. ცეკვა ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი დარგია, რომელშიც ასახულია ხალხის სულიერი სიმდიდრე. ამ მხრივ მრავლისმთქმელია, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა ცეკვები. ქალთა მოძრაობები და სახის გამომეტყველება მაჩვენებელია მათი როგორც გარეგნული სრულყოფილებისა, ისე შინაგანი სამყაროს მაღალი ღირსების, რომელიც განუპირობებია ჩვენს მრავალსაუკუნოვან ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე.

ქართველ ქალთა ცეკვები მრავალწლიანი კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის შედეგია. შრომაში აღწერილია ჩემ მიერ შეგროვებული, აღდგენილი, გადამუშავებული და მრავალჯერ დადგმული ქალთა ცეკვები: *სამაია, შუშპარი, თუშ ქალთა ცეკვა, მთიულური, დავლური და ფერხული.*

სამაია და *შუშპარი* მოყვანილია ქართლური და სვანური ვარიანტებით, რომელთა მუსიკა (ნოტები თან ახლავს) ეკუთვნის ნიკოლოზ გუდიაშვილს; თუშ ქალთა ცეკვისა – დიმიტრი არაყიშვილს; დავლურის, ფერხულის და მთიულურის – მიხეილ ჩირინაშვილს.

ქალთა ცეკვებს ახასიათებს: შინაარსიანობა, სინარნარე, პლასტიკურობა, თავდაჭერილობა, სილაღე, სიმკვირცხლე, სიმსუბუქე, კიდურების, ზეტანისა და თავის მოძრაობის სრული თანხვედრა მუსიკასთან. ამ თავისებურებათა უგულებელყოფა ამახინჯებს ქალთა ცეკვებს და უკარგავს ეროვნულ ელფერს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოცეკვავეთა გარეგნობას, სასურველია სილამაზითა და ტანკენარობით გამორჩეულები.

ქალთა ცეკვების ტექნოლოგიური მასალა

ფეხის და ხელის ძირითადი პოზიციები (სურ. 1, 2)
(იხ. ქართული ქორეოგრაფიული გაკვეთილის მასალები, გვერდი 34-36).



სურ. 1



სურ. 2

დგომის სახეები:

ა. ორ ფეხზე
ბ. ცალ ფეხზე
გ. დაბალ ერგცერებზე
დ. დაბალ ცალ ერგცერზე



სურ. 3

ა. საშუალო ერგცერებზე
ბ. საშუალო ცალ ერგცერზე
გ. მაღალ ერგცერებზე
დ. მაღალ ცალ ერგცერზე



სურ. 4

ა. ერგბუქნში
ბ. ბუქნში
გ. ცალ მუხლზე
დ. მუხლებზე



სურ. 5

დანარჩენი აღნიშნული დგომის ნაერთია.

მკლავების მდგომარეობა

ქართულ ქორეოგრაფიაში ქალი მკლავებსა და ხელებს მრავალნაირად, ლამაზად და მოხდენილად ამოძრავებს. მათ განსაკუთრებული პლასტიკური დატვირთვა აქვთ, ამიტომ სწავლების პროცესში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოძრაობათა მართებულად ათვისებას.

1. განმკლავი – მკლავები ჰორიზონტალურად განზე გაშლილი, როგორც I პოზიციაში.



სურ. 6

2. ერგდახურული – მარჯვენა (მარცხენა) მკლავი მკერდის წინ იდაყვში მოხრილი, მეორე – განზე გაშლილი.



სურ. 7

3. ახდილი – მარჯვენა (მარცხენა) მკლავი რკალისებურად მოხრილი, ხელი – თავზევით და მარჯვნივ (მარცხნივ) აწეული, მეორე მკლავი – განზე გაშლილი.

სურ. 8

4. ირმულა – ორივე მკლავი რკალისებურად მოხრილი და ზევით აწეული. ნები – შიგნით ან გარეთ მიმართული.

სურ. 9

5. წინმკლავი – ორივე მკლავი წინ, იდაყვები – ოდნავ ქვევით დაშვებული.



სურ. 10

6. სამთიულურო – (მკერდდახურული) – იდაყვში მოხრილი ცალი მკლავის წინა მხარი მკერდის წინ თარაზულად, მეორე – წელს უკან, ქამრის სიმაღლეზე, მკლავები სხეულს არ ეხება.



სურ. 11

მკლავების ამგვარი მდგომარეობა დამახასიათებელია მთიულური ცეკვებისათვის. მეორე მხარეს გადასანაცვლებლად მკლავების მდგომარეობის ცვლა: თავისუფლად – ქვედაქნევითა და სართავებით. აღნიშნული მდგომარეობიდან, მკლავების ქვედაქნევით პირველ პოზიციამდე, მეოთხე პოზიციაში (ირმულაში) გადასვლა. შემდეგ – სხვა მდგომარეობაში – ცეკვის ნახაზისა და მოძრაობათა მიხედვით.

7. საქართულო – მკლავები III პოზიციაში, მარცხენა მკლავის იდაყვი წინ და ოდნავ გარეთ, თითები ოდნავ შიგნით შებრუნებული, იდაყვში მსუბუქად მოხრილი მარჯვენა მკლავი განზე გაშლილი, ნები – ქვევით.



სურ. 12

8. იდაყვებდაშვებული (გვერდულა) – იდაყვში ოდნავ მოხრილი ცალი მკლავი განზე გაშლილი, მეორე – მკერდის წინ იდაყვით ქვედაშვებული. მაჯაში მოხრილი ხელი მოპირდაპირე მხარის წინ, თითები – თავისუფლად დაშვებული. მკლავები მეორე მხარზე გადასასვლელად იცვლება ქვედაქნევითა და მარტივი (მცირე) ხელსართავებით.

სურ. 13

9. იდაყვებგადაშლილი (თითები კეფაზე) – იდაყვში მოღუნული მკლავები განზე გაშლილი. ორივე წინამხარი – მხრებს ზევით, თითები კეფაზე. ეს მდგომარეობა ყველა მთიულურ ცეკვას ახასიათებს. მის დასაკავებლად ქვევიდან მკლავების I პოზიცია (განგაშლილი) სართავებით, შემდეგ IV პოზიცია და, იდაყვების ნაზად განზე გადაწევასთან ერთად, თითებით კეფას ან თავსაბურავს შეხება. ამ მდგომარეობაში თავი არ იხრება.

სურ. 14

10. საქრიალო – ორივე მკლავი გარეუკუმკლავის მდგომარეობაში ქვედაშვებული, ნები წინ მიმართული. ეს მდგომარეობა მეტწილად წინსვლისას გამოიყენება (მთიულურ და მოხეურ ცეკვებში). სვლის მიმართულების შეცვლისას, მკლავების ოდნავ გადაქნევასთან ერთად, სრულდება ხელსართავები.

სურ. 15

11. წინამხარამართული – იდაყვში ნახევრად მოხრილი ცალი მკლავი განზე აწეული, წინამხარი – ზევით მიმართული. მეორე მკლავი იდაყვში ოდნავ მოხრილი და ქვედაშვებული (იშვიათად გვხვდება თუშურ, მთიულურ და მოხეურ ცეკვებში). მეორე მხარეზე გადასასვლელად მკლავების მდგომარეობა იცვლება ორივე მკლავის ქვედაშვების შემდეგ – მცირე ხელსართავებით.



სურ. 16

12. ირიბი განმკლავი – ცალი მკლავი განზე და ზეაწეული, მეორე – განზე ქვედაწეული. მკლავების ასეთი მდგომარეობა მეტწილად გამოიყენება სვლებში წრეშემოვლისა და მცირე დახვევისას (მთიულურში, მოხეურსა და თუშურში). წრეშემოვლისას ხელები მცირე სართავებით მოძრაობს.



სურ. 17

ზემომოყვანილი ნიმუშებით არ ამოიწურება მკლავების მდგომარეობა-მოძრაობის მრავალსახეობა. მათი შერჩევა დამოკიდებულია ცეკვის ხასიათზე, თითოეულ ნაწილსა და ფეხილეთებზე, ბრუნის სახეობაზე და სხვა.

მკლავების მოძრაობა

ცალმხრივი – მოძრაობს ცალი მკლავი.
ტოლმხრივი – მოძრაობს ორივე მკლავი.
ნაირმხრივი – მოძრაობს სხვადასხვა მიმართულებით.
ცალსახსროვანი – მოძრაობს რომელიმე სახსარში (მაჯის, იდაყვის ან მხრის).
ორსახსროვანი – მოძრაობს მხრისა და იდაყვის სახსრებში. იდაყვისა და მაჯის სახსრებში.
სამსახსროვანი – მხრის, იდაყვისა და მაჯის სახსრებში.

სიდიდე

დიდი რადიუსით – მთლიანი მკლავი მოძრაობს მხრის სახსარში.
საშუალო რადიუსით – მკლავი მოძრაობს იდაყვის სახსარში.
მცირე რადიუსით – მკლავი მოძრაობს მაჯის სახსარში.

მიმართულება

წრისებური – მკლავი შემოწერს მთლიან წრეს.
რკალისებური – მკლავი შემოწერს რკალს.
სწორი – მკლავები მოძრაობს ერთი და იმავე მიმართულებით (გარდა განმკლავისა).
ირიბი – მკლავები მოძრაობს სხვადასხვა მიმართულებით, ირიბად.

დრო

ერთდროული – მკლავები მოძრაობს ერთდროულად.
ნაირდროული – მკლავები მოძრაობს სხვადასხვა დროს.
თანამიმდევრული – მეორე მკლავი იმეორებს პირველის მოძრაობას იმავე ან სხვა მიმართულებით.

შენიშვნა: მკლავების მოძრაობათა აღწერამდე საჭიროდ მიგვაჩნია, განვმარტოთ ხელსართავები (სართავები) – ხელის მოძრაობა მაჯის სახსარში.

ხელსართავები

ხელსართავი სრულდება: მკლავების უმოძრაობისას სხვადასხვა მდგომარეობაში ან მკლავების მოძრაობასთან ერთად.

ხელსართავით მოძრაობა შესაძლებელია: ერთი და იმავე მიმართულებით (ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, შიგნით, გარეთ), ნაირმიმართულებით (ერთი – ზევით, მეორე – მარჯვნივ და სხვ.), ერთდროულად, ნაირდროულად და თანამიმდევრულად. მე-18 სურათზე ნაჩვენებია I პოზიციაში შესასრულებელი მარტივი ხელსართავი:



სურ. 18

ა – ხელები ნებით ქვევით მიმართული.
ბ – ხელები ნებით ზევით შებრუნებული.
გ – ორივე ხელი ნებით შიგნით მოქცეული.
დ – თითები შიგნით მიმართული.
ე – თითები დაშვებული.
ვ – ორივე ხელის ნები საწყის მდგომარეობას უბრუნდება.

ეს მდგომარეობანი ერთიმეორეს რომ გადავაბათ, მივიღებთ მთლიან მოძრაობას – ხელის თითები წრეს შემოხაზავს, მაგრამ წრის შემოხაზვა უკუღმაც შეიძლება. ამ შემთხვევაში მდგომარეობათა თანმიმდევრობა ასეთია: ვ, ე, დ, გ, ბ, ა.



სურ. 19

ამრიგად, მკლავების პირველ პოზიციაში თითები შეიძლება მოძრაობდეს ზემიმართულებითა (ზესართი) და ქვემიმართულებით (ქვესართი).

ხელსართავები სამთიულურო მდგომარეობაში:

ა – საწყისი მდგომარეობა (სამთიულურო, მარჯვენა მკლავი წინ).
ბ – მკლავები ქვედაქნევით დაბლა.
გ – ქვედაქნევის შემდეგ მკლავების ქვეგანმკლავში გაშლა.
დ – სართავების შესრულებისას მკლავების I პოზიცია.

ე – მკლავების I პოზიცია – სართავები ჯერ არ დასრულებულა.
ვ – მკლავების I პოზიციას ოდნავ აცილება – სართავები დასრულდა.
ზ – მკლავების ქვედაქნევით მოძრაობა და ისევ სამთიულურო მდგომარეობა (ამჯერად წინ მარცხენა მკლავია).
თ – წინა მდგომარეობიდან სამთიულუროში დასაბრუნებლად მცირე და არასრული ხელ-სართავი.

ხელსართავების შესრულებისას:

1. სრული ხელსართავების დროს თითები მთელ წრეს შემოხაზავს (სურ. 20 ა).
2. ნახევარისას – 3/4 წრეს, ნახევარწრეს ან რკალს (სურ. 20 ბ).
3. მცირე სართავის შესრულებისას ხელი მხოლოდ მაჯის სახსარში მოძრაობს; თითები, წრის ან რკალის შემოხაზვის ნაცვლად, ნების ან ხელის ზურგის მიმართულებით მოძრაობს (სურ. 20 გ, დ).



სურ. 20

მთიულურ ცეკვებში ხშირად მკლავები ნებისმიერი მოძრაობის ან მდგომარეობისას IV პოზიციაში (ირმულაში) გადადის. ხელსართავები პოზიციის დაკავებამდე გრძელდება: მკლავებგაშლილი მდგომარეობიდან მაღალ, IV პოზიციამდე – შიგამიმართულებით.

21-ე სურათზე ნაჩვენებია ზემკლავიდან მოძრაობის მიმართულება შიგრკალებისა და შიგწრეების, გარერკალებისა და გარეწრეების შესრულებისას.



სურ. 21

საერთო წესია: ქალები ხელსართავებს ასრულებენ თავისუფლად გაშლილი თითებით. თუ მკლავები პირველ პოზიციაზე დაბლაა, სხეულის ახლოს, ხელსართავები გარე და შიგმიმართულებით სრულდება. გარეხელსართავები – ნეკის, შიგსართავები – დიდი თითის გადაცილებით (სურ. 22 ა, ბ, გ, დ.).



ა ბ გ დ

სურ. 22

მკლავების უკუმკლავიდან წინ მოძრაობისას, ხელსართავები შიგნით სრულდება (დიდი თითის გადაცილებით).



სურ. 23

ქვეწინმკლავიდან უკუმკლავისაკენ მოძრაობისას – გარეთ, ნეკის გადაცილებით (სურ. 24).



სურ. 24

IV პოზიციიდან მკლავები განზე გარეხელსართავებით გადაიშლება, უკან (IV პოზიციაში) – შიგსართავებით დაბრუნდება.

ხელსართავები ამავე წესით სრულდება მკლავების სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობისას და ყოვნისას.

მკლავების მოძრაობა

მკლავების ცალმხრივი მოძრაობა

ვარჯიში **№1** (სურ. 25) საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენის განმკლავი მცირე სართავით.

ორი – მარჯვენის მიმკლავი მცირე სართავით.

ეს ვარჯიში რამდენიმეჯერ მეორდება (განმკლავისას ვუყურებთ მკლავს). იგივე მარცხენა მკლავით.



სურ. 25

ვარჯიში **№2** (სურ. 26). საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4.
ერთი – მარჯვენის წინმკლავი მცირე სართავით.
ორი – მარჯვენის მიმკლავი მცირე სართავით. მარცხენა მკლავით იგივე.



სურ. 26

ვარჯიში **№ 3** (სურ. 27). საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4.
I ტაქტი – **ერთი** – მარჯვენის განმკლავი მცირე სართავით, მარცხენის ყოვნა.
ორი – მარცხენის განმკლავი მცირე სართავით, მარჯვენის ყოვნა.
II ტაქტი – **ერთი** – მარჯვენის წინმკლავი მცირე სართავით, მარცხენის ყოვნა.
ორი – მარცხენის წინმკლავი მცირე სართავით, მარჯვენის ყოვნა.
III ტაქტი – **ერთი** – მარჯვენის განმკლავი მცირე სართავით, მარცხენის ყოვნა.
ორი – მარცხენის განმკლავი მცირე სართავით, მარჯვენის ყოვნა.
IV ტაქტი – **ერთი და ორი** – მიმკლავი მცირე სართავით.



სურ. 27

მკლავების ნაირმხრივი მოძრაობა (მარტივი)

ვარჯიში **№ 4** (სურ. 28) საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენის განმკლავი მცირე სართავით, მარცხენის ყოვნა.

ორი – მარჯვენის წინმკლავი მცირე სართავით, მარცხენის განმკლავი მცირე სართავით.

II ტაქტი

ერთი – მარჯვენის ზემკლავი მცირე სართავით, მარცხენის წინმკლავი მცირე სართავით.

ორი – მიმკლავი მცირე სართავით.



სურ. 28

მკლავების ტოლმხრივი მოძრაობა

ვარჯიში **№ 5** საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – განმკლავი მცირე სართავით.

ორი – მიმკლავი მცირე სართავით.

ეს ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება.

ვარჯიში **№ 6** საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – წინმკლავი მცირე სართავით.

ორი – მიმკლავი მცირე სართავით.

ეს ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება.

ვარჯიში **№ 7** საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა 3/4.

ერთი – წინმკლავი მცირე სართავით.

ორი – განმკლავი მცირე სართავით.

სამი – მიმკლავი მცირე სართავით.

ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება.

ვარჯიში **№ 8** (სურ. 29). საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – წინმკლავი მცირე სართავით.

ორი – ზემკლავი მცირე სართავით.

სამი – განმკლავი მცირე სართავით.

ოთხი – მიმკლავი მცირე სართავით.

ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება.



სურ. 29

მკლავების ნაირმხრივი მოძრაობა

ვარჯიში **№ 9** (სურ. 30). საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენის წინმკლავი, მარცხენის განმკლავი მცირე სართავით.

ორი – მიმკლავი მცირე სართავებით. იგივე მეორე მხარეს.

ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება.



სურ. 30

ვარჯიში **№ 10** (სურ. 31). საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენის წინმკლავით – ზემკლავი, მარცხენის განმკლავი მცირე სართავით.

ორი – მიმკლავი (მარჯვენის განმკლავით) მცირე სართავით. იგივე შესრულდება მეორე მხარეს.

ეს ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება.



სურ. 31.

ვარჯიში **№ 11** (სურ. 32). საწყისი მდგომარეობა – განმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.
ერთი – მარჯვენის წინმკლავი, მარცხენის ქვეგანმკლავი მცირე სართავით.
ორი – მარჯვენის გარეზემკლავი, მარცხენის წინმკლავი მცირე სართავით.
სამი – მარჯვენის ზემკლავი, მარცხენის ქვეწინმკლავი მცირე სართავით.
ოთხი – მიმკლავი მცირე სართავით. იგივე მეორე მხარეს.
ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება.



სურ. 32

ვარჯიში **№ 12** (სურ. 33). საწყისი მდგომარეობა – განმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4.
ერთი – მარჯვენის გარეზემკლავი, მარცხენის ქვეგანმკლავი მცირე სართავით.
ორი – მარცხენის გარეზემკლავი, მარჯვენის ქვეგანმკლავი მცირე სართავით.
ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება. ბოლოს – მიმკლავი.



სურ. 33

ვარჯიში **№ 13** (სურ. 34). საწყისი მდგომარეობა – წინმკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენის ზეწინმკლავი, მარცხენის ქვეწინმკლავი მცირე სართავით.

ორი – მარჯვენის ქვეწინმკლავი, მარჯვენის ზეწინმკლავი მცირე სართავით.

ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება, ბოლოს – მიმკლავი.



სურ. 34.

ვარჯიში **№ 14** (სურ. 35). საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – მარცხენის უკუმკლავი, მარჯვენის წინმკლავიდან იდაყვში მოხრა და წინამხრის მკერდის წინ მიტანა, მტევანი – მარცხენა მხარის წინ. მოძრაობა – მცირე სართავით.

ორი – მარჯვენის განმკლავი, ოდნავ მოღუნული მარცხენა წინმკლავიდან გარეზემკლავში, ნები შიგნით. მოძრაობა – მცირე სართავით.

სამი – მარცხენა მკლავის განმკლავში გადაშლა, მარჯვენის III პოზიციაში მოღუნვა. მოძრაობა – მცირე სართავით.

ოთხი – მიმკლავი მცირე სართავით.



სურ. 35

ვარჯიში **№ 15** (სურ. 36). საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – მარჯვენა ხელის თითების კეფაზე შეხება, მარცხენა მკლავის მცირე სართავით წინმკლავში აწევა.

ორი – მარჯვენა მკლავი – განმკლავი, მარცხენა – III პოზიცია.

სამი – დოინჯი (ხელის ცერები უკან).

ოთხი – მიმკლავი.



სურ. 36

ვარჯიში **№ 16** საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – მარჯვენა მკლავის აწევა და შიგნით მოხრა – წინმკლავი. თითები – მარცხენა მხარის წინ. მარცხენა – განმკლავი.

ორი – მარჯვენა მკლავის გაშლა – განმკლავი, მარცხენის შიგნით მოხრა. თითები – მარჯვენა მხარის წინ.

სამი – მარჯვენა მკლავის აწევა – გარეზემკლავი, მარცხენა – განმკლავი.

ოთხი – მიმკლავი (მარჯვენის განმკლავი). ვარჯიში სრულდება მცირე სართავით.

მკლავების სამსახსროვანი მოძრაობა

სამსახსროვანი მოძრაობა განმკლავით იწყება. მკლავები განმკლავიდან მოძრაობს ოდნავ ზევით, შემდეგ ოდნავ ქვევით – განზე – შემოიხაზება ელიფსისებური წრე.

ვარჯიში **№ 17** (სურ. 37). საწყისი მდგომარეობა – განმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი და ორი – მაჯების ოდნავ ზეაწევა და ნახევარწრის შემოხაზვა.

სამი და ოთხი – მკლავების ოდნავ დაწევა – ქვეგანმკლავი, იდაყვების გამართვა და, თითებით წრის მეორე ნახევარის შემოხაზავის შემდეგ, მაჯების ისევ ზეაწევა.

ამ ვარჯიშის შესრულებისას შემოხაზული ელიფსისებური წრის დიამეტრი არ უნდა აღემატებოდეს მტევნის სიგრძეს.



სურ. 37

ეს მოძრაობა ამავე წესით სრულდება: ერთი ან ორივე მკლავის წინმკლავისას. ან: მარჯვენა – წინმკლავი, მარცხენა – განმკლავი; მარცხენა – წინმკლავი, მარჯვენა – განმკლავი და ა.შ.

საითაც უნდა სრულდებოდეს სამსახსროვანი მოძრაობა, იგი ყოველთვის მაჯის სახსარიდან იწყება (გამონაკლისი იშვიათია), მაგალითად: თუ მკლავები განმკლავიდან მიემართება წინმკლავში ან წინმკლავიდან განმკლავში, მტევანი ყოველთვის მოძრაობს მაჯის სახსარში. ანალოგიურად სრულდება: ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, წრისებურად, რკალისებურად, თანამიმდევრულად და სხვა მიმართულებით.

სამსახსროვან მოძრაობას უწოდებენ პლასტიკურს, რადგან მკლავი ნაზად და ნარნარად მოძრაობს. მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობს იდაყვის სახსარი.

სამსახსროვანი მოძრაობა ირმულადან შიგნით, გარეთ და მიმდევნობით

ვარჯიში **№ 17**ა (სურ. 38). საწყისი მდგომარეობა – ირმულა ერთმანეთისაგან ხუთი თითის დაშორებით. ნები – შიგნით. მუსიკალური ზომა – 4/4 ან 2/4.

ერთი – მკლავების ქვევით შიგა წრეებით მოძრაობა, მაჯებით ერთმანეთის გადაჭრა (გადადება-გადაჯვარედინება).

ორი – მკლავებით წრის შემოხაზვის გაგრძელება, ბოლოს – ქვეგანმკლავი.

სამი – მკლავების მოძრაობა ზევით, ნების ზევით შებრუნება და სართავის დაწყება.

ოთხი – მკლავების ზევით მოძრაობა და დასრულებელი სართავით ისევ ირმულა მდგომარეობა.



სურ. 38.

ეს ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდება. კარგად შეთვისების შემდეგ შეიძლება ორ, ბოლოს კი ერთ თვლაზე შესრულდეს. ასევე საყურადღებოა: სრული წრის სხეულის ახლოს შესრულება და მკლავების აუცილებლად სამივე სახსარში მოძრაობა. ვარჯიშის დასაწყისში თავის თანდათან ქვევით დახრა (მიმკლავამდე), შემდეგ ისევ ზევით აწევა.

ვარჯიში **№ 18** (სურ. 39). საწყისი მდგომარეობა – ირმულა. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი და ორი – მკლავების გარეზემკლავში გადაშლა – სართავი ნეკის გადაცილებით.

სამი და ოთხი – ირმულა – სართავი ცერის გადაცილებით.

ვარჯიშისას შეიძლება თავის მიბრუნება ჯერ მარჯვნივ, შემდეგ – მარცხნივ და ამ მოძრაობის თანამიმდევრულად შესრულება.



სურ. 39.

ვარჯიში **№19** (სურ. 40). საწყისი მდგომარეობა – განმკლავი. მუსიკალური ზომა 4/4.

ერთი და **ორი** – ზნექი მარცხნივ. მარჯვენა მკლავის შიგსართავით III პოზიცია, მარცხენის შიგსართავით ოდნავი ქვეგანმკლავი.

სამი და **ოთხი** – ზნექი მარჯვნივ. მარცხენა მკლავის შიგსართავით III პოზიცია, მარჯვენის შიგსართავით ქვეგანმკლავი.



სურ. 40

ვარჯიში **№ 20** (სურ. 41). საწყისი მდგომარეობა – ირმულა. მუსიკალური ზომა – 4/4 ან 2/4.

ერთი – ხელების შებრუნება წინ და გარეთ, მკლავებით წრის შემოხაზვის დაწყება, ნები – ქვევით.

სამი – მკლავებით წრის შემოხაზვა ერთიმეორის გადაჭრით (შიგნით).

ოთხი – მკლავების ზევით აწევა და გადაჭდობილად სართავის შესრულება – საწყის მდგომარეობაში დაბრუნებამდე.

კარგად შეთვისების შემდეგ ვარჯიში უნდა შესრულდეს ჯერ ორ, შემდეგ – ერთ თვლაზე.



სურ. 41

ვარჯიში **№21** (სურ. 42). საწყისი მდგომარეობა – ირმულა, ნები – წინ და ქვევით. მუსიკალური ზომა – 4/4 ან 2/4.

ერთი – მარჯვენა მკლავის შიგნით მოძრაობა და მარცხენა გვერდის გასწორებისთანავე, მარცხენით შიგნით წრის შემოხაზვის დაწყება.

ორი – მარჯვენა მკლავით წრის შემოხაზვის გაგრძელება, მარცხენის შიგნით მოძრაობა და მარჯვენასთან გასწორება.

სამი – მარჯვენა მკლავით განმკლავიდან სართავის დაწყება, მარცხენათი – ქვეგანმკლავი ან განმკლავი.

ოთხი – მარჯვენა მკლავით სართავის დამთავრება და ახდილი მდგომარეობა, მარცხენით სართავის დაწყება.

მეორე ტაქტის **ერთი**: მარჯვენა მკლავის შიგნით მოძრაობა, მარცხენათი სართავის დამთავრება, ახდილ მდგომარეობაში დაბრუნება და მოძრაობის ამგვარად გაგრძელება.



სურ. 42.

ამ ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ ვარჯიში შეიძლება შესრულდეს ჯერ ორ, შემდეგ – ერთ თვლაზე. ვარჯიშის დაწყება შეიძლება მარცხენა მკლავითაც.

ვარჯიში **№22** – გარეწრეები მომდევნო მოძრაობებით. გარეწრეები იმავე წესით სრულდება, როგორითაც შიგაწრეები.

ვარჯიში **№ 23** (სურ. 43) – ზემკლავიდან მარცხნივ გარეწრეები თანამიმდევრული მოძრაობით.

საწყისი მდგომარეობა – ირმულა. მუსიკალური ზომა – 4/4 ან 2/4.

ერთი – მარჯვენა მკლავის შიგნით მოძრაობა, წრის შემოხაზვის დაწყება და მარცხენა თეძომდე მიტანა.

ორი – მარცხენა მკლავის გარეთ გადაშლა და წრის შემოხაზვის დაწყება, მარჯვენა – ქვეგანმკლავი.

სამი – მარცხენა მკლავი მარჯვენა თეძოსთან, მარჯვენით სართავის დაწყება.

ოთხი – მარჯვენა ხელით სართავის დამთავრება – ახდილი მდგომარეობა, მარცხენათი სართავის დაწყება.



სურ. 43

შემდეგი ტაქტი – **ერთი** – მარცხენა ხელით სართავის დამთავრება, მარჯვენის შიგნით მოძრობა და წრის შემოხაზვის დაწყება. ვარჯიში შეიძლება შესრულდეს ჯერ ორ, შემდეგ – ერთ თვლაზე.

ვარჯიში **№ 24** (სურ. 44). საწყისი მდგომარეობა – ფეხის I პოზიცია, მკლავების იდაყვებში მოხრა – წინმკლავი და მარჯვენის წინამხრით მარცხენაზე დადება (ნები ქვევით).

მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

I ტაქტი

ერთი – მკლავების გადაშლა და ერთმანეთს გადაჭდობა, სართავი ნეკის გადაცილებით.

ორი – წრის შემოხაზვის გაგრძელება, ბოლოს – ქვეგანმკლავი.

II ტაქტი

ერთი – მკლავების მოძრაობა წინ – გარეწინმკლავი სართავით.

ორი – მკლავების იდაყვებში მოხრა და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება: მარჯვენის წინამხარის მარცხენის წინამხარზე დადება.

ზოგჯერ სართავები მოძრაობის დასაწყისშივე სრულდება.



სურ. 44

ვარჯიში **№ 25** (სურ. 45). მკლავების გადატანა მარცხენა მდგომარეობიდან მარჯვენაში. საწყისი მდგომარეობა – მარცხენა – განმკლავი (ნები ზევით), მარჯვენა – მოხრილი მკერდის წინ (ნები ქვევით). მუსიკალური ზომა – 2/4.

I ტაქტი

ერთი-და-ორი – ორივე მკლავი, წინმკლავის გავლით – მარჯვნივ, მარჯვენა ხელით მოძრაობის დაწყებისთანავე სართავი ნეკის გადაცილებით, მარცხენათი – ცერის გადაცილებით. მარჯვენა ნები ზევით, მარცხენა – ქვევით.

II ტაქტი

ერთი-და-ორი – ორივე მკლავი, წინმკლავის გავლით – მარცხნივ. მარჯვენა ხელით სართავი ნეკის გადაცილებით, მარცხენათი – ცერის გადაცილებით.



სურ. 45

ვარჯიში **№ 26** (სურ. 46). საწყისი მდგომარეობა – მარცხენა – განმკლავი (ნები ზევით), მარჯვენა – მკერდის წინ იდაყვში მოხრილი (ნები ქვევით). მუსიკალური ზომა – 4/4 ან 2/4.

I ტაქტი

ერთი და **ორი** – მარჯვენა მკლავი სართავით (ნეკის გადაცილებით), წინმკლავიდან – განმკლავი, მარცხენათი – ყოვნა.

სამი და **ოთხი** – მარცხენა მკლავი სართავით (ცერის გადაცილებით), წინმკლავიდან – მარჯვნივ (ნები ქვევით).

II ტაქტი – გამეორდება პირველი ტაქტის მოძრაობა მარცხნივ.



სურ. 46

ვარჯიში **№ 27** (სურ. 47). საწყისი მდგომარეობა – მარჯვენა – წინმკლავი, მარცხენა – განმკლავი (ნები ქვევით). მუსიკალური ზომა – 2/4.

I ტაქტი

ერთი და **ორი** – ხელების შეტრიალება ნებით ზევით – ოდნავ ზევით აწევა. სართავი ცერის გადაცილებით და მკლავების მდგომარეობის შეცვლა: მარცხენა – წინმკლავი, მარჯვენა – განმკლავი.

II ტაქტი

პირველი ტაქტის მოძრაობა გამეორდება მეორე მხარეს.



სურ. 47

ვარჯიში **№ 28** (სურ. 48). ტაში და თითტკაცუნი. საწყისი მდგომარეობა – ზემკლავი (ნები შიგნით). მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მკლავები მკერდის წინ, ნიკაპის სიმაღლეზე, ტაში. იდაყვები სხეულს არ ეხება, მარჯვენა ხელის ზევიდან მარცხენის დაკვრა.

და – ხელების ოდნავ წინ წაწევა და სართავი ნეკის გადაცილებით.

ორი – მცირე სართავით თითტკაცუნი, იდაყვები სხეულს არ ეხება.



სურ. 48

თითტკაცუნი სრულდება მკლავების სხვადასხვა მდგომარეობაში: მარცხნივ, მარჯვნივ, ზევით აწეული, ცალი ხელით, ცალი ზევით აწეული, მეორე – განზე და სხვა. ამ დროს თავი ზევით, ქვევით ან გვერდზე მიბრუნდება.

ვარჯიში **№ 29** (სურ. 49). საწყისი მდგომარეობა – მარცხენა მკლავი – განმკლავი (ნები ზევით), მარჯვენა – მკერდის წინ იდაყვში მოხრილი (ნები ქვევით).
მუსიკალური ზომა – 2/4.
ვარჯიში ორტაქტიანია.

I ტაქტი – **ერთი-და-ორი** – მკლავები – ზემკლავი სართავებით, მარცხენის მარჯვნივ მოძრაობა ცერის გადაცილებით.

II ტაქტი – **ერთი-და-ორი** – იგივე, რაც პირველ ტაქტში, მხოლოდ მეორე მხარეს.

სურ. 49

ვარჯიში **№ 30** (სურ. 50). საწყისი მდგომარეობა – მიმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4. ვარჯიში ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი-და-ორი-და – ხელების ნებით წინ შებრუნება, მკლავების იდაყვებში მოხრა და ზევით აწევა. ხელები ნებით სახის წინ. მკლავების სართავ-ჩაგრეხით იდაყვებში გაშლა და უკუმკლავში შეჩერება (ნებით ქვევით). ზეტანის თანდათან წინ გადაზნექა, სამი ნაბიჯი წინ (იწყება მარჯვენა ფეხით). მესამე ნაბიჯის შემდეგ, მარჯვენაზე ერგბუქნით დგომისას, მარცხენა ფეხის აწევა და მარჯვენის გვერდზე ერგცერით დადგმა.

სამი-და-ოთხი-და – მკლავების მცირე სართავით წინმკლავი. ნები – წინ. თანდათან ზემართი და მარცხენა ფეხით სამი ნაბიჯის უკან. მარჯვენა ფეხის ოდნავ ზევით აწევა და მარცხენის გვერდზე ცერით დადგმა. მარცხენა ფეხით ერგბუქნი.



სურ. 50

II ტაქტი

ერთი-და-ორი-და – წინმკლავიდან ხელების სახისკენ შებრუნება, სართავ-ჩაგრეხით მკლავების მარცხენა მდგომარეობაში გადასვლა (ორივე ნები მარცხნივ), სახის მარცხნივ მიბრუნება, ზეტანით მარჯვნივ გაწზნექი. მარჯვენა ფეხით სამი ნაბიჯი მარჯვნივ. მესამე ნაბიჯის შემდეგ მარცხენა ფეხის მუხლით წინიდან მარჯვენა მუხლის დახურვა. მარჯვენა ფეხით ერგბუქნი, მარცხენის ცერით იატაკს შეხება.

სამი-და-ოთხი-და – ჩაგრეხ-სართავებით მკლავების მარჯვნივ გადატანა, ნები – მარჯვნივ, სახის მარჯვნივ მიბრუნება, ზნექი – მარცხნივ, მარცხენა ფეხით სამი ნაბიჯი მარცხნივ. მესამე ნაბიჯის შემდეგ მარჯვენა მუხლით წინიდან მარცხენა მუხლის დახურვა. მარცხენა ფეხით ერგბუქნი, მარჯვენის ცერით იატაკს შეხება.

ეს ვარჯიში ოთხილეთიანია.

ვარჯიში **№ 31** (სურ. 51). საწყისი მდგომარეობა – ირმულა, ნები შიგნით. მუსიკალური ზომა – 4/4 ან 2/4.

I ტაქტი

ერთი-ორი – ირმულადან, განმკლავითა და სართავით, სამთიულურო მდგომარეობაში გადასვლა, მარჯვენა მკლავი მკერდის წინ, მარცხენა – წელს უკან.

სამი-ოთხი – სამთიულუროდან (განმკლავიდან) სართავით ისევ ირმულაში დაბრუნება.

II ტაქტი

ერთი-ორი – მარცხენა მკლავი მკერდის წინ, მარჯვენა – წელს უკან და ა.შ.

ვარჯიში შეიძლება ორ თვლაზე შესრულდეს.



სურ. 51

ვარჯიში **№ 32** (სურ. 52). საწყისი მდგომარეობა – სამთიულურო. მარჯვენა მკლავი – მკერდის წინ, მარცხენა – წელს უკან. მუსიკალური ზომა – 4/4 ან 2/4.

I ტაქტი

ერთი – სამთიულურო მდგომარეობიდან მკლავების ქვედაქნევით განზე გაშლა, სრული სართავი ცერის გადაცილებით.

ორი – მარცხენა მკლავი ქვედაქნევით მკერდის წინ, მარჯვენა მცირე სართავით – წელს უკან.

II ტაქტი – **ერთი-ორი** – მკლავების ქვედაქნევით გაშლა და მარჯვენა მკლავის მკერდის წინ მიტანა, მარცხენა – წელს უკან და ა.შ.



სურ. 52

ზეტანის მოძრაობა

ზეტანის მოძრაობა სრულდება პირდაპირ და ირიბად: წინზნექი, უკუზნექი, ზნექი მარჯვნივ, ზნექი მარცხნივ, წინზნექი მარჯვნივ, წინზნექი მარცხნივ, უკუზნექი მარჯვნივ, უკუზნექი მარცხნივ და ა.შ. ზეტანის მოძრაობას მიეკუთვნება ბრუნვა და ტრიალი. დასაწყისში ზეტანის მოძრაობა შეისწავლება ტანვარჯიშის ელემენტებით, შემდეგ კი, მკლავებისა და ფეხების მოძრაობით, საცეკვაო სახე ეძლევა.

ქალთა ცეკვაში, ცეკვის შინაარსის გადმოსაცემად, ზეტანის მოძრაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და დიდ როლს თამაშობს.

ვარჯიში **№ 1**. საწყისი მდგომარეობა – ხელი – დოინჯით. მუსიკალური ზომა – 4/4 (ნელი ტემპი).

ერთი – წინზნექი ჰორიზონტალურ მდგომარეობამდე, თავი – მაღლა.

ორი – ზემართი.

სამი – უკუზნექი.

ოთხი – ზემართი.

ამ მარტივი ვარჯიშის კარგად შეთვისების შემდეგ მას მკლავებისა და ფეხების მოძრაობებიც დაემატება:

ვარჯიში **№ 2** (სურ. 53). საწყისი მდგომარეობა – მუხლებზე დგომა, განმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – წინზნექი, თავი – მაღლა, მკლავები – წინმკლავი.

ორი – ზემართი, მკლავების გადაჭდობა – ირმულა (ნები შიგნით).

სამი – უკუზნექი, მკლავები – განმკლავი, ნები ზევით.

ოთხი –ზემართი, მკლავები – ქვეგანმკლავი, ნები ქვევით. მკლავების მოძრაობისას საჭიროა ხელსართავებიც. შემდეგ ზეტანის მოძრაობას დაემატება ფეხების მოძრაობაც და შესრულდება მარტივი და რთული ნაერთები.



სურ. 53

ვარჯიში **№ 3**. საწყისი მდგომარეობა – განმკლავი, ნები ქვევით. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – ზნექი მარჯვნივ, მარჯვენა მკლავით დოინჯი, მარცხენა ოდნავ მოღუნული – გარეზემკლავი, ნები შიგნით.

ორი – ზემართი, ორივე მკლავით – განმკლავი, ნები ქვევით. **სამი** – ზნექი მარცხნივ, მარცხენა მკლავით – დოინჯი, მარჯვენა ოდნავ მოღუნული – გარეზემკლავი.

ოთხი – ზემართი, მიმკლავი.

ეს ვარჯიში რამდენიმეჯერ გამეორდეს.

ვარჯიში **№ 4** საწყისი მდგომარეობა – განმკლავი, ნები ქვევით. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – ზეტანის მიბრუნება მარჯვნივ, მკლავების იდაყვებში მოხრა, თითები – მხრებს ზევით.

ორი – ზეტანის გასწორება, განმკლავი, ნები ქვევით.

სამი – ზეტანის მიბრუნება მარცხნივ, მკლავების იდაყვებში მოხრა, თითები – მხრებს ზევით.

ოთხი – ზეტანის გასწორება, განმკლავი, ნები ქვევით. დასასრულ – მიმკლავი.

ვარჯიში **№ 5** (სურ. 54). ზეტანის ტრიალი.
საწყისი მდგომარეობა – მუხლებზე დგომა, ზემკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – წინმკლავი, წინზნექი.

ორი – ზემკლავი, ზნექი მარჯვნივ.

სამი – განმკლავი, ზნექი უკან.

ოთხი – ზემკლავი, ზნექი მარცხნივ.

ვარჯიში რამდენიმეჯერ განმეორდება.
ამ ვარჯიშების კარგად შესწავლის შემდეგ მას დაემატება მხარსართავებიც.



სურ. 54

მხარსართავი ეწოდება ცალი ან ორივე მხარის მოძრაობას: წინ, უკან, ქვევით, ზევით, წრეგვარს ან: ცალი – ზევით, მეორე – ქვევით და სხვა.

ვარჯიში **№ 6** (სურ. 55). საწყისი მდგომარეობა – ირმულა. ნები ოდნავ წინ, ერთმანეთისაგან ხუთი თითით დაშორებული. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მკლავებით შიგაწრეების შემოხაზვის დაწყება.

ორი – წრის შემოხაზვა განმკლავამდე, შემდეგ ხელსართავთან ერთად მხარსართავები და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.
ასევე მოძრაობს მკლავები მხარსართავით მომდევნო მოძრაობისას.



სურ. 55

ყოველგვარი მოძრაობისას, განსაკუთრებით ზნექისას, ყურადღება უნდა მიექცეს სწორ სუნთქვას: ზნექისას – ამოსუნთქვა, გამართვისას – შესუნთქვა. ზეტანის მარჯვნივ ან მარცხნივ ბრუნვისას – ამოსუნთქვა, გასწორებისას – შესუნთქვა.

ვარჯიში **№ 7** (სურ. 56). ზნექი მარცხნივ და მარჯვნივ. საწყისი მდგომარეობა – განმკლავი. ნები ქვევით, მარჯვენა მუხლზე დგომა, მარცხენა ფეხის განზე გაშლა და ტერფის შიდა ნაწილით იატაკს შეხება. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – ზნექი მარცხნივ. მარცხენა ხელის ნებით მარცხენა ტერფის ზურგს შეხება. ზემკლავიდან მარჯვენა მკლავის მარცხენა ხელის ზურგზე დადება (დაკარება).

ორი – ზემართი. მარცხენის განმკლავი. მარჯვენის, ზემკლავის გავლით, განმკლავი.

სამი – ზნექი მარჯვნივ. მარჯვენა ხელის მუხლთან ახლოს ნებით იატაკს შეხება. ოდნავ მოღუნული მარცხენა მკლავის გარეზემკლავში აწევა.

ოთხი – ზემართი. მკლავების გაშლა – განმკლავი.

ეს ვარჯიში სრულდება მეორე მხარესაც: დგომა მარცხენა მუხლზე, მარჯვენა ფეხის განზე გაშლა.



სურ. 56

ვარჯიში ორივე მხარეზე სრულდება 4-ჯერ, 8-ჯერ ან 16-ჯერ. ეს დამოკიდებულია მოცეკვავის ასაკსა და მომზადებაზე. დასაწყისში, სასურველია, ზეტანის მოძრაობები ცალ ან ორივე მუხლზე ჩოქში შესრულდეს.

ვარჯიში **№ 8** (სურ. 57). ზეტანის ბრუნი მარჯვნივ და მარცხნივ. საწყისი მდგომარეობა – განმკლავი, ნები ქვევით, ორივე მუხლზე ჩოქი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – ზეტანის მარჯვნივ მიბრუნება, მკლავები – განმკლავი. მარცხენა ფეხის განზე გაშლა და ტერფის შიდა ნაწილით იატაკს შეხება.

ორი – ზეტანისა და მარცხენა ფეხის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება; მკლავები – განმკლავი.

სამი – ზეტანის მარცხნივ მიბრუნება, მკლავები – განმკლავი. მარჯვენა ფეხის განზე გაშლა და ტერფის შიდა ნაწილით იატაკს შეხება.

ოთხი – ზეტანის და მარჯვენა ფეხის საწყის მდგომარეობაში დაბრუნება.



სურ. 57

ზეტანის მოძრაობა მრავალნაირია და მათი აღწერა დიდ ადგილს დაიჭერდა, ამიტომ აღვნიშნავთ სწავლების მხოლოდ აუცილებელ თანამიმდევრობას:

- ზეტანის მარტივი მოძრაობა.
- მკლავების მოძრაობა.
- მკლავებისა და ფეხების მოძრაობა.
- ზეტანის მოძრაობა, მკლავებისა და ფეხების მოძრაობასთან ერთად (სრულდება ადგილის გადანაცვლებით).
- ვარჯიშს ეძლევა საცეკვაო ფრაგმენტის ან თვით ცეკვის სახე.

ერგბუქნი, ბუქნი და ღრმა ბუქნი

ქალთა ცეკვებში სრულდება ილეთები – ერგბუქნი, ბუქნი ან ღრმა ბუქნი. ცალ ფეხზე ერგბუქნისას, შესაძლებელია, მეორე ფეხი ჰაერში იყოს, ტერფით ან ფეხის ცერით კი იატაკს ეხებოდეს (წინ, უკან, განზე, შიგნით, გარეთ და სხვა).

ცალ ან ორივე ფეხზე ბუქნისას მუხლები შეერთებულია ან დაშორებული. შეიძლება ჩაბუქნვა ცალ ფეხზე, მეორის წინ გადადგმა, უკან, ზევით, შიგნით, გარეთ და სხვა. ბუქნისას უკანა ტანი ქუსლებს არ ეხება. ღრმა ბუქნისას კი უკანა ტანი ქუსლს ან ქუსლებს ეხება.

მუხლებზე დგომა (ჩოქი-ჩოქება)

ცალ ან ორივე მუხლზე დგომა ხშირია ქალთა ცეკვებში.

ცალ მუხლზე დგომისას შეიძლება მეორე ფეხი გადაიდგას წინ, უკან, განზე, შიგნით ან ორივე მუხლით იატაკს შეეხოს (ორივე მუხლზე დგომა – ჩოქი).

ცალ ან ორივე მუხლზე დგომისას – ცერები გამართული ან მოღუნული. მუხლებზე დგომისას – ჯდომა ქუსლებზე.

სვლა

ქვემოთ აღწერილია სვლა იმ თანმიმდევრობით, როგორც უფრო მოხერხებულია მასალის შესწავლა-შეთვისებისათვის:

- სამდაკვრითი ადგილზე სვლა
- ორდაკვრითი ადგილზე სვლა
- ორდაკვრითი უკუსვლა
- სამდაკვრითი უკუსვლა
- ნიავადისებური უკუსვლა
- ხლართულ-ფეხჭდობით გვერდზე სვლა
- გედური სვლა
- სრიალა წინსვლა
- სრიალა სვლა ერგცერებზე
- რთულა სვლა
- მოკლე რთულა
- განიერი რთულა
- ირიბი რთულა
- ჭდობილი წინსვლა
- ჭდობხტომილი წინსვლა
- ქრიალა წინსვლა
- ნიავადი წინსვლა
- ჩაკვრითი ირიბი წინსვლა
- გლუსუნა წინსვლა
- ქუსლური წინსვლა
- წნული სვლა
- კლაკნილი სვლა
- ნაზურა სვლა
- ნაზურა სვლა ტერფმოქნევით
- ერგმუხლურა სვლა
- მუხლმოდრეკილი სვლა
- ჩაკვრით სვლა
- ტერფმოქნევით სვლა
- პარალელურად ტერფმოქნევით სვლა
- ირიბ ტერფმოქნევით სვლა
- საფერხულო მიდგმით სვლა
- საფერხულო ჩაკვრით სვლა
- საფერხულო ფეხცვლა
- საფერხულო სვლა, დაკეტვა და ფეხების წრეგვარი მოძრაობა
- საფერხულო სვლა და სამდაკვრითი მოძრაობა
- რხევით განზე სვლა
- საფერხულო ხლართულა სვლა
- ცალ ფეხზე აქცენტირებით სვლა
- ტერფულა სვლა
- სვლა წინ, უკან, განზე.

ადგილზე სვლა

№ 1 (სურ. 58). **სამდაკვრითი ადგილზე სვლა.**

საწყისი მდგომარეობა: I პოზიცია – მაღალი ერგცერები. მკლავები – დოინჯი.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხის ერგცერის ზევით აწევა და დაკვრით აიტაკს შეხება, მარცხენა ერგცერის ზევით აწევა და დასაშვებად მომზადება. სხეულის სიმძიმის ერთი ფეხიდან მეორეზე შეუმჩნევლად გადასვლა.

და – მარცხენა ფეხის ერგცერის ზევიდან დაკვრით იატაკს შეხება, მარჯვენა ერგცერის ზევით აწევა.

ორი – მარჯვენა ფეხის ერგცერის დაკვრით იატაკს შეხება, მარცხენა ერგცერის ზევით აწევა.

და – ყოვნა: მარჯვენა ერგცერზე შეჩერება, მარცხენა ერგცერის ზევით აწევა.
სამდაკვრითი სვლა ადგილზე შეიძლება შესრულდეს ბრუნით – მარცხნივ ან მარჯვნივ.



სურ. 58

№ 2 ორდაკვრითი ადგილზე სვლა

ყოველ ტაქტში სრულდება ერგცერებით ორი დაკვრა. ორდაკვრითი ადგილზე სვლისას ზოგჯერ თავისუფალი ფეხის ქუსლი მოიქნევა შიგნით, შემდეგ – გარეთ ე.ი. *ქუსლმოქნევით ადგილზე სვლა.* ადგილზე სვლისას მკლავების მოძრაობა და მდგომარეობა დამოკიდებულია ცეკვის ნახაზზე.

№ 3 ორდაკვრითი უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა – ერგცერებზე დგომა – I პოზიცია. მკლავები – დოინჯი.

მუსიკალურ ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერის გასრიალებით ტერფის სიგრძეზე უკან გადადგმა, სხეულის სიმძიმის ამავე ფეხზე გადატანა.

ორი – მუხლში გამართული მარცხენა ფეხის ერგცერის გასრიალებით ტერფის სიგრძეზე უკან გადადგმა, სხეულის სიმძიმის ამავე ფეხზე გადატანა.
ეს ილეთი სრულდება ერთი ტერფის სიგრძეზე ან ტერფის 1/4-ზე.
ზოგჯერ ცეკვის სტილი მოითხოვს უკუსვლას ერგცერების გაუსრიალებლადაც. ასეთ შემთხვევაში ფეხის უკან გადადგმამდე საჭიროა ტერფის წინა ნაწილის (ერგცერის) ზეაწევა, უკუგატანა და ერგცერის დაკვრით დადგმა.

უკუსვლისას მკლავების მდგომარეობა-მოძრაობა დამოკიდებულია ცეკვის სტილსა და სვლაგეზე ან განლაგებაზე.

№ 4 (სურ. 59). **სამდაკვრითი უკუსვლა**

საწყისი მდგომარეობა – ერგცერებზე დგომა – I პოზიცია. მკლავები – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის ტერფის სიგრძეზე უკან გადატანა და ერგცერის დაკვრით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმის ამავე ფეხზე გადატანა.

და – მარცხენა ფეხის იატაკს მოუშორებლად სრიალით ნახევარი ტერფით უკან გატანა.

ორი – მარჯვენა ფეხის ასევე გასრიალებით უკან გატანა.

და – ყოვნა, ერგცერის ზეაწევით მარცხენა ფეხის ახალი ტაქტის დასაწყებად მომზადება.



სურ. 59

№ 5 ნიავადისებური უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა – მაღალ ერგცერებზე დგომა I პოზიცია, ხელი – თავისუფლად დაშვებული ან დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხის მცირე მანძილზე უკან ისე გადადგმა, რომ ფეხის ცერი წინ დარჩენილ ფეხის ქუსლს ნახევარი ტერფით ჩამორჩეს.

ორი – მარცხენა ფეხის უკან ისე გადადგმა, რომ ცერი მარჯვენა ქუსლის ხაზზე მარცხნივ მოექცეს.

და – მარჯვენა ფეხის სრიალით ოდნავ უკან ისე წაწევა, რომ ცერით მარცხენა ტერფის შუაზე შეჩერდეს. შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით.

№ 6 (სურ. 60). **ხლართულა ფეხჭდომით გვერდზე სვლა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, მაღალ ერგცერებზე ჭდომილი დგომა, მარჯვენა ფეხი წინ, ხელი – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით 1/2 ნაბიჯი მარჯვნივ.

ორი – მარცხენა ფეხის მარჯვენის უკან და შიგნით დადგმა.

შემდეგი ტაქტი:

ერთი – მარჯვენა ფეხით 1/2 ნაბიჯი მარჯვნივ.

ორი – მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ და შიგნით დადგმა.

ეს ილეთი სრულდება მარჯვნივ ან მარცხნივ სვლით. ერთ ტაქტზე ფეხის გადადგმა უკან და შიგნით, მეორეზე – წინ და შიგნით. ამავე წესით სრულდება *ფეხჭდომით გვერდზე სვლა*, ოღონდ თავისუფალი ფეხი ყოველთვის საყრდენ ფეხს ედგმება.



სურ. 60

№ 7 (სურ. 61). **გედურა სვლა**

საწყისი მდგომარეობა – მაღალ ერგცერებზე დგომი. ფეხი – I პოზიცია, ხელი – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გედურა სვლის მარცხნივ შესრულებისას, მოძრაობა მარჯვენა ფეხით იწყება.

ერთი-და-ორი-და – ერგცერებით სამი დაკვრა ადგილის უცვლელად, მარჯვენა ფეხით სვლის დაწყება (რომელიც შემდეგ საყრდენი გახდება), მარცხენის ტერფის გათავისუფლება და შემდეგი ტაქტის დასაწყებად მომზადება.

შემდეგი ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის განზე გაწევა ნახევარი ტერფით და ერგცერით მკაფიოდ დაკვრა. სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადასვლა და მარჯვენა ერგცერის იატაკს მოცილება.

და – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან შეუხებლად მიახლოება და ერგცერის დაკვრით დადგმა. მარცხენის გათავისუფლება და ერგცერის ზევით აწევა.

ორი – მარცხენა ფეხის გვერდზე გაწევა ნახევარი ტერფით და ერგცერით მკაფიოდ დაკვრა, მარჯვენის გათავისუფლება.

და – ყოვნა.

შემდეგი ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან შეუხებლად მიახლოება და მაშინვე ერგცერით დაკვრა. მარცხენის გათავისუფლება და ზეაწეული ერგცერით შემდეგი მოძრაობის შესასრულებლად მომზადება.

და – მარცხენა ფეხის ნახევარი ტერფით განზე გაწევა და ერგცერის დაკვრა, მარჯვენის გათავისუფლება.

ორი – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან შეუხებლად მიახლოება და ერგცერით დაკვრა, მარცხენის გათავისუფლება.

და – ყოვნა.



სურ. 61

ამრიგად, ყოველი ახალი ტაქტი ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფეხით იწყება. სხეულის სიმძიმე ფეხიდან ფეხზე შეუმჩნევლად გადადის.

გედურა სვლა ადგილზე სამდაკვრითი სვლის კარგად დაუფლების შემდეგ შეისწავლება. გედურა სვლისას ერგცერებზე დგომის სიმაღლე არ იცვალება: ერგცერები მკაფიო სამდაკვრით იატაკს ეხება, სხეული კი არ ირხევა.

№ 8 (სურ. 62). **სრიალა წინსვლა**

საწყისი მდგომარეობა – ხელი – ერგდახურული ან დოინჯი, ფეხი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით წინ ჩვეულებრივი ნაბიჯი, მარცხენა უკან და ერგცერით იატაკს შეხება.

და – მარჯვენა ფეხის ერგცერზე აწევა. მუხლში გამართული (და არა გაჭიმული) მარცხენა ფეხის იატაკიდან ერგცერის მოუშორებლად წინ ნახევარი ნაბიჯით ან ტერფის სიგრძეზე გასრიალება. სხეულის სიმძიმე ორივე ფეხის ერგცერზე თანაბრად ნაწილდება.

ორი – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის ერგცერის გასრიალებით წინ ტერფის სიგრძეზე წაწევა. სხეულის სიმძიმის ორივე ფეხზე გადანაწილება.

და – ყოვნა.

შემდეგი ტაქტი

ერთი – მოძრაობის დაწყება მარცხენა ფეხით.



სურ. 62

№ 9 (სურ. 63). **სრიალა სვლა ერგცერებზე**

საწყისი მდგომარეობა – ხელი – ერგდახურული, ფეხი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

სრიალა სვლა ხშირად მაღალ ერგცერებზე სრულდება:

ერთი – წინსვლა ერგცერიდან და არა ქუსლიდან. მარჯვენა ფეხით წინ ერთი ნაბიჯი ერგცერზე (გაუსრიალებლად), მარცხენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმე – მარჯვენაზე.

და – მარცხენა ფეხის მუხლის სახსარში მოუხრელად სრიალით ნახევარი ტერფით (ან ოდნავ მეტით) წინ წაწევა, სხეულის სიმძიმის ორივე ფეხზე თანაბრად გადანაწილება.

ორი – გასრიალებით მარჯვენა ფეხის წინ ნახევარი ტერფის სიგრძეზე წაწევა, სხეულის სიმძიმის თანაბრად, ნაზად წინ გადანაცვლება.

შემდეგი ტაქტიდან განმეორდება ზემოთ აღწერილი მოძრაობა.

ამ ილეთით ქალი, ერგცერებზე დგომის სიმაღლის შეუცვლელად, ნარნარად მიემართება წინ. სვლისას დაუშვებელია აწევ-დაწევა და ზეტანის ბიძგისებური მოძრაობა.

და – ერგცერების სრიალით იატაკს ოდნავ შეხება – მოუცილებლად.



სურ. 63

№ 10 (სურ. 64). **რთულა წინსვლა**

საწყისი მდგომარეობა – ხელი – დოინჯი, ფეხი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით, ქუსლიდან მთელ ტერფზე გადაგორებით, ერთი ნაბიჯი წინ, მარცხენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმე – მარჯვენაზე.

და – მარცხენა ფეხის ერგცერის იატაკიდან მოუშორებლად, სრიალით და მუხლის სახსარში მოღუნვით, გადადგმა. მარჯვენა ნახევარი ნაბიჯით წინ, სხეულის სიმძიმე თითქმის მთლიანად მარცხენა ფეხზე.

ორი – მარჯვენა ფეხის ტერფის იატაკიდან მოუცილებლად მარცხენისაკენ გასრიალება და მის მარჯვნივ 1 სმ.-ის დაშორებით შეჩერება. მარჯვენის ცერის თითქმის ერთ ხაზზე მარცხენის ცერთან დადგმა.

და – ყოვნა.

შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით.



სურ. 64

შესაბამისად შესწავლის შემდეგ ილეთი შესრულდება თვლაზე **ერთი – ორი**, ბოლოს – **ერთზე**: ყოველი ტაქტი ერთზე დაითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8-ია.

ილეთის შესრულებისას დაუშვებელია ბიძგური მოძრაობა, აწევ-დაწევა ან ხტომით სვლა. *რთულა წინსვლა* რბილად, სრიალითა და ნარნარად სრულდება.

№ 11 მოკლე რთულა (ცაცუნა სვლა)

საწყისი მდგომარეობა – I პოზიცია, ერგცერებზე დგომა, ხელი – შეკრულად წელს უკან. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხის ტერფის სიგრძეზე წინ ისე გადადგმა, რომ მოძრაობის დამთავრებისას ორივე ფეხი II პოზიციაში ერგცერებზე იყოს.

ორი – მარცხენა ფეხის გაუსრიალებლად ნახევარი ტერფის სიგრძეზე წინ გადადგმა (ისევ ერგცერებზე დგომა).

და – მარჯვენა ფეხის ერგცერზე გასრიალებით ოდნავ წინ ისე გაწევა, რომ მარჯვენა მარცხენის ქუსლის ხაზს არ გადასცილდეს. მარცხენა ფეხის ერგცერით იატაკს ოდნავ ზეაწევით მოშორება და შემდეგი ტაქტის დასაწყებად მომზადება.

ეს ილეთი სრულდება დაბალ, საშუალო ან მაღალ ერგცერებზე – ფეხებგამართულად, მაგრამ მუხლის სახსარში ოდნავ მოდუნებულად.

მოკლე რთულა სვლის მეორე ვარიანტში სვლა ერგცერებზე არ სრულდება.

ერთი-და – მარჯვენა ფეხის წინ გადადგმა და იატაკს მთელი ტერფით შეხება.

ორი – მარცხენა ფეხის წინ გადადგმა, მუხლში მოღუნვა და ერგცერით იატაკს შეხება.

და – მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით ოდნავ წინ წასრიალება.

მოკლე რთულა სვლის მეორე ვარიანტის შესრულებისას, დასაშვებია ზეტანის განზე ოდნავ რხევა (გადაქან-გადმოქანება), თუ ამას ცეკვის სტილი მოითხოვს.

№ 12 (სურ. 65). **განიერი რთულა**

მოკლე რთულასაგან განსხვავებით, ამ ილეთის ყოველ ტაქტში მესამე მოძრაობისას, მარჯვენა ფეხი მარცხენას ახლო კი არ მიედგმება – მცირე მანძილით წინ ისე წაიწევა, რომ ტერფებს შორის ერთი ტერფის მანძილი დარჩეს და მარცხენა ფეხი, წინ გასრიალების ნაცვლად, ზემოდან ერგცერით დაიდგმება.



სურ. 65

ამ ილეთის შესრულებისას მკლავები შეიძლება ისევე მოძრაობდეს ან იმავე მდგომარეობაში იყოს, როგორადაც მოკლე რთულას დროს.

№ 13 (სურ. 66). **ირიბი რთულა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ ოდნავ ირიბად, მარცხენა უკან – იატაკს ერგცერით შეხება.

ორი – მუხლში ოდნავ მოღუნული მარცხენა ფეხის წინ ისე წაწევა, რომ ზემოდან, მარჯვენა ფეხის წინ, ნახევარი ნაბიჯის სიგრძეზე, იატაკს ერგცერით შეეხოს.

და – მარჯვენა ფეხის ტერფზე გასრიალებით ოდნავ წინ წაწევა და მარცხენა ტერფის შუა ნაწილთან მიახლოება.

მეორე ტაქტი მარცხენა ფეხით დაიწყება – ნაბიჯი წინ და ოდნავ მარცხნივ.

ამ ილეთის შესრულებისას ზეტანი განზე ქანაობს: მარჯვენა ფეხით დაწყებისას მარცხნივ გადაექანება, მარცხენათი – მარჯვნივ. ბიძგური მოძრაობა ან ზევით-ქვევით აწევა-დაწვევა დაუშვებელია.



სურ. 66

№ 14 (სურ. 67). **ჭდობილი წინსვლა**

ჭდობილი წინსვლა მთიულური ცეკვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ილეთია. ორტაქტიანი. ისწავლება ნაწილ- ნაწილ: ჯერ – ფეხი, შემდეგ – ხელი, ბოლოს – შეერთებულად.
საწყისი მდგომარეობა: ფეხი – III პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრული ან გაშლილი.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – ზეტანის ოდნავ მარცხნივ მიბრუნება, მარჯვენა ფეხით წინ განიერი ნაბიჯი სვლის მიმართულებით, ორივე მუხლის ოდნავ მოღუნვა. სახე სვლის მიმართულებით.

ორი – მარცხენა ფეხის მარჯვენის ქუსლს მიდგმა.

მეორე ტაქტი – **ერთი** – სვლის მიმართულებით მარჯვენა ფეხით სრული ნაბიჯი წინ, შემდეგ ფეხის მუხლში გამართვა და წინ წაუწევლად იატაკს მოშორება. ზეტანის მკერდით სვლის მხარეს შებრუნება.

ორი – სვლის მიმართულებით მარჯვენა ფეხით ნახევარი ტერფის სიგრძეზე ნახტომი და მუხლში ოდნავ მოღუნვა; მარცხენის კოჭით მარჯვენის წვივს შეხება. ზეტანის ოდნავ მარჯვნივ მიბრუნება.



სურ. 67

I ტაქტი

ერთი–და–ორი – მარჯვენა მკლავის I პოზიციიდან წინამხარის ქვედაქნევით მკერდის წინ მიტანა, მარცხენა – ქვედაქნევით წელს უკან – შეუხებლად.

II ტაქტი

ერთი–და–ორი – ქვედაქნევით ორივე მკლავის განზე გაშლა და მოძრაობის სართავებით დამთავრება.

ამ ილეთის შესრულებისას ზეტანი მარცხნივ და მარჯვნივ მოძრაობს; მარცხნივ, თუ წინ მარჯვენა ფეხია, მარჯვნივ – ნაბიჯის წინ გადადგმისას ან მარცხენა ფეხის წინ გასაწევად მომზადებისას.

მთიულურ ცეკვებში *ჭდობილ წინსვლას* ქალები იშვიათად და ისიც თითქმის ფეხგამართულად ასრულებენ. ჭდობილი წინსვლისას ზეტანი წინ არ იზნიქება. ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ თითოეული ტაქტი ერთთვლიანია.

№ 15 ჭდომ-ხტომილა წინსვლა

ჭდომ-ხტომილა ილეთი ნაწილ-ნაწილ ისწავლება, რადგან იგი ორტაქტიანია და, *ჭდომილი წინსვლის* მსგავსად, ოთხმოძრაობიანი.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი – I პოზიცია, სახე – პირდაპირ. მუსიკალური ზომა – 2/4. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

გარე ტაქტი – **და** – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის წინ აწევა და ნახევარი ან მთელი ტერფის სიგრძით იატაკს მოშორება.

ერთი – მარჯვენა ფეხით წინხტომი ნახევარი ნაბიჯით, მარცხენის მუხლში მოღუნვა და კოჭით მარჯვენა ფეხის წვივს შეხება. მარცხენა ფეხის ცერი ქვევით, სხეულის სიმძიმის მთლიანად მარჯვენაზე გადასვლა. მკლავების ქვედაქნევით სამთიულურო პოზიცია: მარჯვენა მკლავი ქვედაქნევით წინამხარით მკერდის წინ თარაზულად, მარცხენა – ქვედაქნევით წელსშეუხებლად უკან, ზეტანის ოდნავ მარცხნივ მიბრუნება.

ორი – მარჯვენა ფეხის ზეხტომით მუხლში გამართვა, იატაკს მოცილება და წინ გაწევა, მარცხენაზე დახტომა. მარცხენა ფეხის მუხლში მსუბუქად მოღუნვა მკლავების ოდნავ ქვევით დაწევით ქვედაქნევისათვის მომზადება.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის ტერფზე წინ წახტომით ადგილის შეცვლა, მარჯვენის მუხლში მოღუნვა და კვლავ ენერგიულად გაშლა. მკლავები ქვედაქნევით განგაშლილი, ზეტანის მარჯვნივ მიბრუნება.

ორი – ზეხტომით და ოდნავ წინ წაწევით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: სხეულის მარჯვენა ფეხზე დაყრდნობა, მარცხენის იატაკს მოცილება და მუხლში გამართული წინ აწევა. ხელებით სართავების შესრულება და შემდეგი ტაქტისთვის მომზადება.

III ტაქტი მარცხენა ფეხით ისევე დაიწყება, როგორც მარჯვენათი.

ჭდობ-ხტომილა ილეთს ქალები დაბალი ზეხტომით, ნაზად და ნახევარცერებზე ასრულებენ. ეს ილეთი მხოლოდ მთიულურ ცეკვებში გამოიყენება.

№ 16 (სურ. 68). **ქრიალა წინსვლა**

ილეთი სრიალა ნაბიჯებით მხოლოდ წინ სრულდება. თითოეული ტაქტი ორნაბიჯიანია, ყოველი ნაბიჯი I და II პოზიციიდან გადაიდგმება. ილეთის შესრულებისას ცერები წინაა მიმართული. ერგცერებზე დგომა, წელი – გამართული, სხეული ოდნავ წინ დახრილი. მიუხედავად იმისა, ილეთი სწრაფ თუ ნელ ტემპში სრულდება, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოცეკვავე მიქრის. ამ სვლისას მკლავები ქვევით და უკან, სხეულისაგან ოდნავ გარეთაა (გარეუკუმკლავი), ხელები ნებით წინ, თავი ამაყად აწეული.

საწყისი მდგომარეობა – I პოზიცია ერგცერებზე, ხელი თავისუფლად დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – წელგამართული სხეულის ოდნავ წინ დაქანება, მარჯვენა ფეხის აწევა ნაბიჯის წინ გადასადგმელად: თვლის პირველი ნახევრი ჰაერში, მეორე – იატაკზე სრიალით. ზეტანის წინ წაწევისთანავე მკლავების სხეულს ჩამორჩენა და გარეთ შებრუნება. ნები – წინ. ნაბიჯის გადადგმის დასაწყისში მუხლის სახსარში მოდუნება.

ორი – ამავე წესით მარცხენა ფეხით წინ ერთი ნაბიჯი. მკლავების წინა თვლაზე მიღებულ მდგომარეობაში დარჩენა.



სურ. 68

ქრიალა სვლა, ზოგჯერ ნაზი და წყნარი, ზოგჯერ ძლიერი და სწრაფი, განსაკუთრებული სიზუსტით უნდა შესრულდეს, რათა არ დაიკარგოს მისი სილამაზე და მოხდენილობა.
ქრიალა სვლა ცეკვაში შესაფერის ადგილზე უნდა გამოვიყენოთ, წრეშემოვლისას იგი უფრო იგებს, ვიდრე მოკლე სწორ ხაზზე. ამ ილეთით სვლის მიმართულება განიერი შემოხვევით უნდა შეიცვალოს და არა კუთხურად ტეხილი ხაზით.

ამ ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ შესაძლებელია, ორი ნაბიჯი ერთ თვლაზე შესრულდეს.

ვარჯიში **№ 17** (სურ. 69) **ნიავადი სვლა**

ნიავადი სვლა დინჯი და ნარნარი ტემპის ილეთთა ჯგუფს ეკუთვნის და ქალები მას მაღალ ერგცერებზე ასრულებენ.

საწყისი მდგომარეობა – I პოზიცია, მაღალი ერგცერები. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხის წინ ისე გადადგმა, რომ ქუსლი უკან დარჩენილი მარცხენის ცერს ნახევარი ტერფით დაშორდეს.

ორი – მარცხენა ფეხის წინ ისე გადადგმა, რომ ქუსლი მარჯვენა ფეხის ცერის მარცხნივ მოექცეს.

და – მარჯვენა ფეხის სრიალით ოდნავ წინ ისე წაწევა, რომ ცერით მარცხენის ტერფის შუაზე დადგეს.



სურ. 69

შემდეგი ტაქტი მარცხენა ფეხით ზემოაღწერილი წესით იწყება. ამ ილეთის შესრულებისას ქალებს მკლავები მეტწილად გვერდულად უჭირავთ.

სვლის მიმართულება რკალგვარი შემობრუნებით ან მცირე წრეშემოვლით იცვლება; სხეული შებრუნების ან შემოვლის მხარეს ოდნავ დაქანებულია.

№ 18 ჩაკვრით ირიბი სვლა

საწყისი მდგომარეობა – ხელი და ფეხი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ ირიბად, მარცხენის უკან ერგცერით იატაკს შეხება. მკლავები – განგაშლილი.

ორი – იმავე მიმართულებით მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯის გადადგმა. ამავე ტაქტში მარჯვენა მკლავის ოდნავ წინ წაწევა, მარცხენასი – უკან.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა (ერგბუქნის მსგავსად) და დადგმისას ტერფით ოდნავ წინ წასრიალება; მარჯვენის მუხლში მოღუნვა და ტერფით ისე აცილება, რომ ცერი იატაკს არ მოშორდეს. ამ მდგომარეობაში ცერზე გასრიალებით მარჯვენის მარცხენასთან მიდგმა (ტერფის ზურგით მარცხენის ქუსლს ზევით შეხება), მუხლი – წინ და მარჯვნივ. ზეტანის მარცხნივ გადაზნექა, მარჯვენა მკლავის მოღუნვა და მეორე პოზიციაში მიტანა, მარცხენის ოდნავ ქვევით დაწევა და ნებით უკან შებრუნება; მარცხენა მხრის წინ წაწევა, მარჯვენასი – უკან. სახე – მარცხნივ.

ორი – მცირე ზეხტომით მარჯვენა ფეხის ტერფით მარცხენის ადგილის დაჭერა, გათავისუფლებული მარცხენის მუხლში გამართვა, იატაკს აცილება და მეორე მხარეს მოძრაობის დასაწყებად წინ წაწევა. მეორე მხარეს მოძრაობის დაწყებისთანავე მკლავების განზე გაშლა და ზემოაღწერილი წესით მოძრაობის გაგრძელება.

ამ ილეთის შესრულებისას მახვილიანია ყოველი მეორე ტაქტის **ერთი.**

ქალები *ჩაკვრით ირიბ სვლას* იშვიათად ასრულებენ, ისიც ძალიან რბილად, უერგბუქნოდ – ერგცერის გასრიალებით.

კარგად შესწავლილი და შეთვისებული ილეთი, შეიძლება, ორი ტაქტში ორ თვლაზე შესრულდეს.

№ 19 (სურ. 70*).* **გლუსუნა წინსვლა**

გლუსუნა წინსვლა ნარნარი ილეთია, რომელიც ერგცერებზე მეტწილად წრეშემოვლისას სრულდება.

საწყისი მდგომარეობა – I პოზიცია – მაღალი ერგცერები, ხელი – თავისუფლად დაშვებული. სხეული – გამართული და ოდნავ წინ დაქანებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი-ორი – ორი მცირე ნაბიჯი წინ (იწყებს მარჯვენა), მარჯვენა მკლავის ოდნავ წინშიგნით წაწევა, მარცხენასი – უკუშიგნით.

II ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით მოკლე ნაბიჯი წინ, მარჯვენა მკლავის წინ, ქამრის სიმაღლემდე აწევა, მარცხენასი – მცირედით წელს უკან (შიგნით).

ორი – სხეულის სიმძიმე მარჯვენა ფეხზე (მაღალი ერგცერი), მარცხენის ტერფის წინა ნაწილის მსუბუქად გასრიალებით წინ წაწევა და ბოლოს იატაკს აშორება; მკლავების ოდნავ ზეაწევის განგრძობა.

ამრიგად, მეორე ტაქტის **ორის** შემდეგ მარცხენა ფეხი მზადაა მომდევნო მოძრაობის შესასრულებლად.



სურ. 70

მომდევნო ტაქტის **ერთიდან** ილეთი მარცხენა ფეხით იწყება, მკლავები, ნაზად ქვედაქნევის შემდეგ, ზემოთ აღწერილის დარად მოძრაობს.

ამ ილეთის შესრულებისას, რამდენადაც გადიდდება ნაბიჯი, იმდენჯერ უნდა გადიდდეს მკლავების მოძრაობის ამპლიტუდა და – პირიქით. ფეხებისა და მკლავების ოდნავ შეუწყობელი მოძრაობაც კი ილეთს საგრძნობლად შეუცვლის ელფერს და სილამაზეს დაუკარგავს.

გლუსუნა სვლა ნაზად და ნარნარად ერთ სიმაღლეზე სრულდება. აწევ-დაწევა და ბიძგური მოძრაობა დაუშვებელია. მისი უზადოდ შესრულებისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მოცეკვავე მიცურავს.

ამ ილეთის შესრულებისას სვლის მიმართულება აუცილებლად მოხვევით იცვლება და სხეულიც მოხვევის მხარეს ოდნავ დაქანებულია.

№ 20 (სურ. 71). **ქუსლური წინსვლა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – პირველი პოზიცია, ხელი – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი ფეხის ქუსლიდან წინ (ტერფის წინა ნაწილი ზეაწეული).

და – მარცხენა ფეხის ქუსლის იატაკს აშორება და ერგცერით ტერფის სიგრძის 1/4-ზე წინ ისე გასრიალება, რომ მარჯვენა ფეხის ქუსლის შეუხებლად, მის უკან დაიდგას.

ორი – მცირე წინხტომი მარჯვენა ფეხის ტერფის წინა ნაწილზე, მუხლი მოდუნებული, მარცხენა ზეაქნევით იატაკს შორდება.



სურ. 71

შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით და წინა ტაქტში მარჯვენის მოძრაობა მეორდება.

ქუსლური წინსვლისას მახვილიანია ტაქტის მეორე ნახევარი – **ორი.**

№ 21 წნული სვლა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და შიგნით, მარცხენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეეხება. სხეულის სიმძიმის მარჯვენაზე გადატანა.

ორი – მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ და შიგნით გადადგმა, მარჯვენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადატანა.

ეს ილეთი შეიძლება სხვანაირადაც შესრულდეს:

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ – შიგნით (ერგბუქნი).

ორი – მარცხენა ფეხის მარცხნივ განზე გადატანა და ცერით იატაკს შეხება, მარჯვენის გასწორება და ა.შ.

№ 22 კლაკნილი სვლა

კლაკნილი სვლა სხვადასხვა სახისაა. ის სწორი და ირიბი მიმართულებით სრულდება: ორი ტაქტი – *სრიალა სვლა*; ორი ტაქტი – *ქრიალა სვლა ირიბად*; ორი ტაქტი – *წნული სვლა* ან ორი ტაქტი *სრიალა სვლა*; ორი ტაქტი – *ჭდობილი სვლა ირიბად*; ორი ტაქტი – *ერგმუხლურა სვლა*; ორი ტაქტი – *ქრიალა სვლა* და ა.შ.

№ 23 (სურ. 72). **ნაზურა სვლა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – შეკრულად წელს უკან ან დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გარე ტაქტი – **და** – მარცხენა ფეხით ერგბუქნი, გამართული მარჯვენა ფეხი წინ და ზევით იატაკიდან ნახევარი ტერფის სიმაღლეზე აწევა.

ერთი – მარჯვენა ფეხის ერგცერით წინ დადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა.

და – მარცხენა ფეხის ერგცერით წინ დადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა.

ორი – მარჯვენა ფეხის წინ დადგმა – ერგბუქნი, მარცხენა ფეხის იატაკიდან აწევა, წინ გადადგმა და შემდეგი ტაქტის დასაწყებად მომზადება.



სურ. 72

ზემოაღწერილი ილეთი თუ მარჯვენა ფეხით იწყება, ზეტანი ოდნავ იზნიქება მარცხნივ, თუ მარცხენათი – მარჯვნივ.

№ 24 ნაზურა სვლა ტერფმოქნევით

ნაზურა სვლა ტერფმოქნევით იმავე წესით სრულდება, როგორითაც *ნაზურა სვლა*, მხოლოდ **ორზე** მარჯვენა (მარცხენა) ფეხი უკან გასრიალდება. ეს ილეთი რიგრიგობით იწყება ხან ერთი, ხან – მეორე ფეხით.

№ 25 ერგმუხლურა სვლა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით წინ ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯი, მარცხენით უკან ერგცერით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმე მარჯვენა ფეხზე.

ორი – მარცხენა ფეხის მუხლში ოდნავ მოღუნვა და საყრდენი ფეხის წინ ისე გადატანა, რომ ცერი იატაკისკენ მიიმართოს. მარჯვენა ფეხის მცირე ზეხტომითა და გასრიალებით ნახევარი ტერფით წინ წაწევა.

შემდეგ ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

კარგად შესწავლა-შეთვისების შემდეგ ილეთი შეიძლება ერთ თვლაზე შესრულდეს.

№ 26 (სურ. 73). **მუხლმოდრეკილი სვლა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი – მარჯვნივ ქვეგანმკლავი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი – მუხლში მოდრეკილი მარჯვენა ფეხის წინ გადადგმა. მუხლმოხრილი მარცხენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება. ზეტანით ოდნავი ზნექი და ბრუნი მარჯვნივ. მკლავებით ორ ან სამსახსროვანი მოძრაობა: ქვევით – ზევით, შემდეგ ოდნავ მარცხნივ გაწევა.

ორი – მუხლმოდრეკილი მარცხენა ფეხის წინ გადადგმა, მუხლმოხრილი მარჯვენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება. ზეტანით ოდნავი ზნექი მარჯვნივ. მკლავებით ორ ან სამსახსროვანი მოძრაობა: ქვევით –ზევით, შემდეგ მარცხნივ გაწევა.

სამი და – გამართული მარჯვენა ფეხით ერგცერზე ნაბიჯი წინ, მარცხენათი – ნახევარი ნაბიჯი წინ; ზეტანის გამართვა, მკლავების სამსახსროვანი მოძრაობით (ნები შიგნით) ზემკლავი.

ოთხი – გამართული მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი ერგცერზე, მარცხენის წინ ნახევარი ტერფის სიგრძეზე გამოტანა და ჰაერში გაჩერება. მკლავები – ირმულა.

შემდეგი ტაქტიდან ილეთი მარცხენა ფეხით სრულდება. მკლავები – ირმულადან მარცხნივ ქვეგანმკლავი, ზნექი – მარცხნივ.



სურ. 73

ეს ილეთი სხვადასხვანაირადაც სრულდება: ორი მუხლმოდრეკილი ნაბიჯის შემდეგ ბრუნი მარჯვნივ ან მარცხნივ, ან ბრუნი და ჩაკვრა და ა.შ.

№ 27 ჩაკვრით სვლა

ჩაკვრით სვლა შეიძლება მრავალნაირად შესრულდეს – სვლას დაემატება რომელიმე ჩაკვრა: *სადა, გახსნილი, დახურული, წვივდაქნევით, ფეხშლილი, ქუსლცერა, ორფა ქუსლცერა* და სხვა. მკლავების მოძრაობა დამოკიდებულია ცეკვის სტილსა და ხასიათზე.

№ 28 ტერფმოქნევით სვლა

ტერფმოქნევით სვლაც მრავალნაირად სრულდება: *პარალელურად ტერფმოქნევით, ირიბად ტერფმოქნევით, ერგბუქნითა და ტერფმოქნევით, ტერფმოქნევითა და ბრუნით* და სხვა.

№ 29 (სურ. 74). **პარალელურად ტერფმოქნევით სვლა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ტერფები – ერთიმეორისაგან ოდნავ დაშორებული. ხელი – წელს უკან შეკრულად. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – ორივე ფეხის ქუსლის მარჯვნივ წაწევა (ცერები ადგილზე).

ორი – ორივე ფეხის ცერის მარჯვნივ წაწევა. ქუსლები ადგილზე.

ილეთი მარცხნივაც სრულდება.



სურ. 74

№ 30 ირიბად ტერფმოქნევით სვლა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – მეოთხე პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრულად. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხის ცერის მარჯვნივ მიწევა, ქუსლი – ადგილზე. ერთდროულად მარჯვენა ქუსლის მარჯვნივ გაწევა, ფეხის ცერის ადგილზე დარჩენა.

ორი – მარცხენა ფეხის ქუსლის მარჯვნივ გაწევა, ცერის ადგილზე დარჩენა, ერთდროულად მარჯვენა ფეხის ცერის მარჯვნივ გაწევა, ქუსლის ადგილზე დარჩენა.

ილეთი მარცხნივაც სრულდება.

საფერხულო სვლები და ჩაკვრები

საფერხულო სვლები და ჩაკვრები მრავალნაირია. ჩვენ მხოლოდ იმ საფერხულო სვლებსა და ჩაკვრებს აღვწერთ, რომლებიც ხშირია ფერხულებში: *საფერხულო მიდგმით სვლა, საფერხულო ჩაკვრა წინ და უკან, საფერხულო სამდაკვრითი სვლა, საფერხულო სვლისას ჩაკვრა, დაკეტვა* და *ფეხის წრეგვარი მოძრაობა.*

№ 31 (სურ. 75). **საფერხულო მიდგმით სვლა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხები – I პოზიცია, მკლავები – განგაშლილი.

მუსიკალური ზომა – 2/4 ან 4/4.

ერთი – მარცხენა ფეხის გადადგმა მარცხნივ, მარჯვენის განზე დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება.

ორი – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან მიდგმა (III პოზიცია) და ფეხშეტყუპებულად მცირე ბუქნი.



სურ. 75

შემდეგი ტაქტი იწყება ისევ მარცხენა ფეხით.

ეს ილეთი ფერხულის დასაწყისში ან რომელიმე ილეთზე გადასვლის წინ სრულდება. ილეთი მეორე მხარეზეც სრულდება, ასევე წინ, უკან, სწორი და ირიბი მიმართულებით.

№ 32 (სურ. 76). **საფერხულო სვლა ჩაკვრით**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – განზე გაშლილი. მუსიკალური ზომა – 4/4.

ოთხი ნაბიჯის შემდეგ:

ერთი – მარცხენა ფეხის გადადგმა მარცხნივ და მასზე სხეულის სიმძიმის გადატანა, მარჯვენის გარეგადგმულად დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება.

ორი – მარჯვენა ფეხით ჩაკვრა წინ და შიგნით, ერგბუქნი მარცხენაზე. მარჯვენა ფეხის გარეთ (მარჯვნივ) გადასადგმელად მომზადება.

სამი – მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა. მარცხენის ადგილზე დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება.

ოთხი – მარცხენა ფეხით ჩაკვრა წინ და შიგნით, მარცხენის განზე გასატანად მომზადება.



სურ. 76

ამრიგად, ეს ილეთი შედგება ოთხი ნაბიჯისა და ორი ჩაკვრისაგან – მარცხნივ და მარჯვნივ. ოთხი ნაბიჯის შემდეგ ამავე წესით სრულდება ჩაკვრა უკან. მეორე წინ და შიგნით ჩაკვრის **(ოთხის)** მაგიერ შესაძლებელია უკუჩაკვრა.

№ 33 საფერხულო ფეხთაცვლა

საფერხულო ფეხთაცვლა საფერხულო სვლისგან იმით განსხვავდება, რომ ჩაკვრის შესრულების შემდეგ ფეხები იცვლება.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – გადაშლილი. მუსიკალური ზომა – 4/4.

საფერხულო სვლისა და ჩაკვრის შემდეგ:

ერთი – მარცხენა ფეხის გადატანა მარცხენა მხარეს და მთელი ტერფით დადგმა.

ორი – მარჯვენა ფეხით წინ და შიგნით ჩაკვრა, მარცხენით – ერგბუქნი.

სამი – მარჯვენა ფეხით მარჯვნივ ნახევარი ნაბიჯი, მარცხენით მარჯვენა ფეხის ჭდობილად დახურავა. მარცხენა ერგცერით იატაკს შეხება.

ოთხი – მარცხენა ფეხის გადატანა ნახევარი ნაბიჯით მარცხნივ. მარჯვენა ფეხით წინიდან მარცხენის ჭდობილად დახურვა, მარჯვენის ერგცერის იატაკს შეხება.

№ 34 საფერხულო სვლა, დაკეტვა და ფეხების წრეგვარი მოძრაობა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – განზე გაშლილი.

მუსიკალური ზომა – 4/4.

ერთი-და-ორი-და – მარცხნივ სამი ნაბიჯი, მარცხენა ფეხით წინ და შიგნით ჩაკვრა.

სამი-და – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ. მარცხენით უკნიდან წინა ფეხის ჩაკეტავა და ცალ ფეხზე (მარჯვენაზე) დგომა.

ოთხი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან. მარჯვენის წინ დარჩენა და ცერით იატაკს შეხება.

და – მარჯვენა ფეხის ოდნავ მოღუნვა და გარე წრის შემოხაზვა.

ეს ილეთი განმეორდება მეორე მხარეს, ოღონდ მოძრაობა დაიწყება მარჯვენა ფეხით.

ამ ილეთის შესრულებისას, ფეხის წრეგვარი მოძრაობისას, განგაშლილი მკლავები იდაყვებში მოიღუნება.

№ 35 საფერხულო სვლა და სამდაკვრითი მოძრაობა

საფერხულო სვლა და *სამდაკვრითი მოძრაობა* შემდეგნაირად სრულდება: მარცხნივ სამი ნაბიჯის შემდეგ მარჯვენა ფეხით წინჩაკვრა და ორჯერ ადგილზე სამდაკვრითი მოძრაობა. ილეთი ორივე მხარეს სრულდება.

№ 36 რხევით განზე სვლა

რხევით განზე სვლა სხვადასხვანაირად სრულდება. აღვწერთ ფერხულში ყველაზე მეტად გავრცელებულ სახეობას.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – განზე გაშლილი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – ნაბიჯი მარჯვნივ, ზეტანის ზნექი მარჯვნივ, თავი – მარჯვნივ.

ორი – მარცხენა ფეხის მარჯვენასთან მიდგმა.

ეს ილეთი ამავე წესით სრულდება მეორე მხარეს (მარცხნივ).

№ 37 ხლართულა წინსვლა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, მკლავები – წელს უკან შეკრულად.

მუსიკალური ზომა – 3/4.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და შიგნით, მარცხენის ზევით აწევა.

ორი – მარცხენა ფეხის უკნიდან მარჯვენასთან მიდგმა, მარჯვენის მაშინვე ზევით აწევა.

სამი – მარჯვენა ფეხი წინ და განზე, მარცხენის ზევით აწევა.

შემდეგ ილეთი იწყება მარცხენა ფეხით.

ეს ილეთი იშვიათად სრულდება წინ და უკუსვლით.

№ 38 სვლა ცალ ფეხზე გამახვილებით

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრული.
მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ.

ორი – მარცხენა ფეხის მარჯვენის გვერდით მიდგმა.

ამ ილეთის შესრულებისას მახვილიანია I მოძრაობა და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მოცეკვავე კოჭლობს.

№ 39 (სურ. 77) **ტერფულა სვლა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრულად.
მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხით წინ ერთი ნაბიჯი. მარცხენის უკან დარჩენა და ცერით იატაკს შეხება.

და – მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენის წინ ნახევარი ნაბიჯით დადგმა, მარჯვენის ოდნავ აწევა.

ორი – მარჯვენა ფეხის ოდნავ წინ ისე დადგმა, რომ მარცხენის ქუსლს არ გადასცილდეს.

შემდეგ ილეთი სრულდება მარცხენა ფეხით.



სურ. 77

№ 40 სვლა წინ, უკან, განზე

სამდაკვრითი სვლა წინ, უკან და *განზე* ისეთივე წესით სრულდება, როგორადაც აღწერილია სვლებში (იხ. ვარჯიში **№ 30,** სურ. 54).

ჩაკვრა

ჩაკვრა ისეთი ილეთია, რომლის შესრულებისას, მცირე ხტომის შემდეგ, ცალი ან ორივე ფეხი ზევიდან ქვევით მოძრაობს და ტერფით, ქუსლით, ერგცერით ან ცერით იატაკს ეხება, ან მოძრაობის დამთავრებისას იატაკთან ახლოსაა. ზოგჯერ, მცირე ხტომის შემდეგ, ეყრდნობა ცალ ან ორივე ფეხს.

ჩაკვრები სრულდება ადგილზე და ადგილის გადანაცვლებით.

ჩაკვრის ილეთების შესრულებისას, ფეხების მოძრაობა მკლავებისა და ზეტანის მოძრაობას უნდა შესაბამებოდეს. სამივეს შეთანხმებულად მოქმედებისათვის მოძრაობათა შერჩევა ცეკვის ხასიათსა და მოხაზულობაზეა დამოკიდებული.

ოცი ძირითადი ჩაკვრა:

1. სადა
2. დახურული
3. გახსნილი
4. წვივდაქნევით
5. ფეხშლილი
6. ჭდობილი
7. ქუსლცერა
8. ორფა ქუსლცერა
9. ხლართული
10. მუხლმოქნევით
11. განბიჯით
12. განბიჯითა და ფეხშლით
13. მუხლდრეკით
14. ხტომ-ბრუნით
15. მხარმოქნევით
16. ქუსლგადგმით
17. ჭდობ-ხტომილა
18. ირიბი განბიჯით
19. ჭრილი
20. საფერხულო წინ, უკან.

№ 1 (სურ. 78). **სადა ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრულად. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

და – ერთი– მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეახტომი, მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ისე აწევა, რომ ცერი იატაკისაკენ მიიმართოს. დასაყრდენ ფეხზე ოდნავი ზეხტომის შემდეგ მუხლში გამართვა და ქუსლით მარცხენა ფეხის ცერის წინ და ოდნავ მარჯვნივ დადგმა. ორივე ფეხის მუხლში გამართვა, მარჯვენა ფეხის ცერის რაც შეიძლება ზევით სწორად აწევა.

და – ორი– მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და, მარცხენაზე ოდნავ ზეახტომის შემდეგ, ცერით სწორედ იმ ადგილას დადგმა, სადაც **ერთზე** მარჯვენა ფეხის ქუსლი იატაკს ეხებოდა. მარჯვენა ფეხი ცერი მუხლის სახსრამდე შვეულად.



სურ. 78

ამ მდგომარეობიდან მეორე მხარეს გადასასვლელად ილეთი სრულდება ოდნავი ზეხტომით – მარცხენა ფეხი თავისუფლდება და იმეორებს მარჯვენის მოძრაობას.

მოცეკვავის მიერ ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ, თითოეული ტაქტი შეიძლება ერთ თვლაზე შესრულდეს.

სადა ჩაკვრისას მახვილიანია ტაქტის მეორე ნახევარი, როცა მოძრავი ფეხი ცერით იატაკს ეხება.

ერთი - ორი – ორივე მკლავის I პოზიციიდან (განმკლავიდან) დაქნევით იდაყვში მოღუნვა, მარცხენა მკლავის წინამხრით მკერდის წინ მოქცევა, მარჯვენა მტევნის – უკან, წელს შეუხებლად, ქამრის სიმაღლეზე.

II ტაქტი

ერთი-ორი – ორივე მკლავის დაქნევით იდაყვში გამართვა და ისევ I პოციზიაში დაბრუნება. განმკლავამდე ხელსართავები თავისუფლად გაშლილი თითებით (ხელების წრისებრი მოძრაობა შიგა მიმართულებით).

შემდეგი ტაქტი ასევე შესრულდება, ოღონდ მკერდის წინ მოექცევა მარჯვენა მკლავი.

ამრიგად, ერთ ტაქტზე მკლავების დაქნევით მოღუნვა და სამთიულურო მდგომარეობაში მოსვლა, მეორზე – დაქნევით განზე გაშლა, მესამეზე – დაქნევით ისევ მოღუნვა (წინ მეორე მკლავი), მეოთხეზე – დაქნევით გაშლა. მიღებულია, რომ *სადა ჩაკვრის* დასაწყისში წინ მოძრაობს მოპირდაპირე კიდურები: თუ მოძრაობას მარჯვენა ფეხი იწყებს – წინ მარცხენა მკლავია, თუ მარცხენა – მარჯვენა. თუმცა შემდეგ შეიძლება, მარჯვენა ფეხის მოძრაობისას წინ მარჯვენა მკლავი მოხვდეს.

მკლავების დაქნევით მოღუნვისას მოცეკვავე თავს ოდნავ დაბლა ხრის, დაქნევით გაშლისას – ზევით წევს.

ამ ილეთის შესრულებისას გამახვილებულია ტაქტის მეორე ნახევარი.

№ 2 (სურ. 79). **დახურული ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მარჯვენა ფეხის ქუსლის მარცხენის ცერის წინ და ოდნავ შიგნით ისე დადგმა, რომ იატაკს აშორებული ფეხის ცერი რაც შეიძლება გარეთ იყოს განბრუნებული.

ორი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მუხლში მოღუნული მარჯვენის ქუსლის რაც შეიძლება ზევით აღმართვა, მარჯვენა მუხლით მარცხენის წინიდან დაფარვა.



სურ. 79

ამ ილეთის შესრულებისას მახვილიანია ტაქტის მეორე ნახევარი, მკლავების მოძრაობა ისეთივეა, როგორიც *სადა ჩაკვრისას.*

№ 3 (სურ. 80) **გახსნილი ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრულად.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გარე ტაქტი

და – მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ნახევარი ტერფის სიმაღლეზე ზევით ისე აწევა, რომ ქუსლი დაბლა მიიმართოს, ცერი – გარეთ. მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი.

ერთი – მარჯვენა ფეხის ქუსლით მარცხენის ცერის წინ და ოდნავ შიგნით გადადგმა, ცერი აწეული და გარეთ მიმართული.

ორი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომით მარჯვენა ფეხის წინ და განზე გადადგმა და ცერით იატაკს შეხება. ქუსლი – გარეთ მიმართული, ფეხი მუხლში ოდნავ მოღუნული, ზეტანი ოდნავ მარჯვნივ გადაზნექილი, მზერა – განზე გადგმული ფეხის ქუსლისაკენ.

შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით.



სურ. 80

მკლავების მოძრაობა ისეთივეა, როგორიც ჩაკვრისას. მახვილიანია ტაქტის მეორე ნახევარი. ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ, შეიძლება, თითოეული ტაქტი (ზომა 2/4 ან 6/8) ერთ თვლაზე შესრულდეს.

№ 4 (სურ. 81). **წვივქნევითი ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – წელს უკან შეკრულად.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომისას მარჯვენის მუხლში მოღუნა, მაშინვე გამართვა (გაშლა) და ქუსლით მარცხენა ფეხის ცერის ოდნავ წინ და მარჯვნივ დადგმა. ამ დროს მარცხენა ფეხი მუხლში ოდნავ მოღუნულია. მარჯვენის ცერი – რაც შეიძლება ზევით აწეული.

ორი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მარჯვენის იატაკს აცილება და მუხლში ისე მოღუნვა, რომ ტერფის ხაზი საყრდენი ფეხის პარალელურად აღმოჩნდეს (ცერით დაბლა), შემდეგ კი სწრაფად წინ გაიშალოს – იატაკიდან ნახევარი ტერფის სიმაღლეზე.



სურ. 81.

შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით, რომელიც პირველ და მეორე ტაქტებს შორის ზეხტომით თავისუფლდება საყრდენი მდგომარეობიდან. ილეთი დაიწყება მეორე მხარეს ზემოაღწერილი წესით. პირველი ტაქტის დამთავრების შემდეგ მარჯვენა ფეხის იატაკზე დადგმა.

მოძრაობა გამახვილებულია ტაქტის მეორე ნახევარში.

მკლავების მოძრაობა ისეთივეა, როგორიც *სადა ჩაკვრისას.* ცეკვის სტილისა და ნახაზის მიხედვით შესაძლებელია მკლავების სხვა მდგომარეობა-მოძრაობანიც.

№ 5 (სურ. 82) **ფეხშლილი ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხების ნახევრად დახურული III პოზიცია,[1](ცალი ფეხი ქუსლით ეხება მეორის ტერფის შუა ნაწილს კოჭის შიდა მხრიდან). ხელი – წელს უკან შეკრული ან დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – რბილი ერგბუქნი, ტერფების მთელი სიბრტყით დადგმა.

ორი – მცირე ზეხტომით ფეხების მხრების სიგანეზე გაშლა და ერგცერებზე შედგომა. ქუსლები, რაც შეიძლება, გარებრუნებული.

შემდეგი ტაქტი

ერთი – რბილი დახტომა და ერგბუქნი (ტერფები მთელი სიბრტყით იატაკზე).

ორი – მცირე ზეხტომით ფეხების ისევ განზე გაშლა (როგორც ზემოთაა აღწერილი).

ფეხშლილი ჩაკვრის შესრულებისას ნახევრადდახურულ პოზიციაში წინ არის ხან მარჯვენა, ხან – მარცხენა ფეხი.



სურ. 82

ერგბუქნისას წელი აუცილებლად გამართულია.

ფეხშლილი ჩაკვრისას მახვილიანია ერგცერებზე შედგომა – **ორი** – ოდნავი შეჩერებით. კარგად შეთვისების შემდეგ ილეთი მთლიანად სრულდება. ამისათვის საჭიროა: მკლავების საწყისი მდგომარეობა (I პოზიცია). პირველი ტაქტი – მკლავების დაქნევით სამთიულურო მდგომარეობა, მეორე ტაქტი – დაქნევითვე განზე გაშლა. მკლავები მკერდის წინ – რიგრიგობით ტაქტგამოტოვებით ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მკლავის მოქცევა.
ფეხისა და მკლავების მოძრაობის კარგად შეთვისების შემდეგ შეიძლება მკლავების I ან სამთიულურო პოზიციიდან, სასურველი ილეთის მიხედვით, სხვადასხვა მდგომარეობაში გადაყვანა.

სხვა ჩაკვრებისაგან განსხვავებით, *ფეხშლილი ჩაკვრისას* ფეხების მოძრაობასთან მკლავების მოძრაობის შეწყობა უფრო ძნელია. ამიტომ ხაზს ვუსვამ *ფეხშლილი ჩაკვრის* დანაწილებით შესწავლის აუცილებლობას.

ფეხშლილი ჩაკვრისას წელი გამართულია, ბუქნისას – წინზნექი დაუშვებელი.

როგორც აღვნიშნეთ, *ფეხშლილი ჩაკვრა* ერგბუქნისა და ფეხშლისაგან შედგება, სწავლების დასაწყისში ორ თვლაზე სრულდება (მუსიკალური ზომა 2/4). ილეთის კარგად შეთვისების შემდეგ ერთზე – თითოეული ტაქტი ერთთვლიანია.

---

1 ფეხების ნახევრადდახურული III პოზიცია – ცალი ფეხი ქუსლით ეხება მეორის ტერფის შუა ნაწილს კოჭის შიდა მხრიდან.

№ 6 (სურ. 83)**. ჭდომილი ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – დგომა მარცხენა ფეხზე, მუხლში გამართული მარჯვენის იატაკშეუხებლად წინ გატანა, ცერის წინმიმართვა; ხელი – წელს უკან შეკრული ან დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8, იშვიათად 4/4. ილეთი ორტაქტიანია.

ერთი – მარჯვენა ფეხის მარცხენაზე გადაჭდობა, ზეხტომის შემდეგ მარცხენის მუხლში მოღუნვა, ჰაერში ოდნავ უკან გაწევა და მარჯვენა ფეხისთვის ადგილის დათმობა. სხეულის სიმძიმის მუხლში ოდნავ მოღუნულ მარჯვენა ფეხზე გადატანა. „განდევნილი“ მარცხენა არ შორდება საყრდენ ფეხს – ოდნავ ეხება მარჯვენა წვივს. მარცხენა მუხლი – გარეთ მიმართული, ზეტანი – ოდნავ წინ დახრილი, მარჯვენა მხარი – ცოტა წინ წაწეული.

ორი – მარჯვენა ფეხის არეკნით წინ აწევა (საწყისი მდგომარეობა), მარცხენის მუხლში გამართვა და მარჯვენა ფეხის ადგილზე დადგმა (როგორც საწყის მდგომარეობაში).

II ტაქტი

ერთი – მცირე ზეხტომი მარცხენა (საყრდენ) ფეხზე, მარჯვენა ფეხის მუხლში სწრაფად მოღუნვა და სწრაფადვე გაშლა (როგორც *წვივქნევით ჩაკვრისას*).

ორი – ოდნავი ზეხტომით ფეხების მდგომარეობის შეცვლა და შემდეგ ტაქტზე ახალი მოძრაობის დასაწყებად წინ მარცხენა ფეხის მოქცევა.



სურ. 83.

შემდეგი ტაქტი მარცხენა ფეხით ზემოთ აღწერილივით დაიწყება, ოღონდ ფეხების შენაცვლებით გამეორდება წინა ტაქტის მოძრაობები.

მარჯვენა ფეხით მოძრაობის დაწყებისას, მარჯვენა მკლავი განმკლავიდან, I პოზიციიდან, დაქნევით მკერდის წინ, მარცხენა – დაქნევით წელს უკან. შემდეგ დაქნევითვე ორივე მკლავის პირველ პოზიციაში აწევა, თითები – თითოეულ ტაქტში თავისუფლად გაშლილი, განგაშლილ მდგომარეობაში ხელსართავები.

ჭდობილი ჩაკვრის შესრულებისას, თუ ამას ცეკვის ნახაზი არ მოითხოვს, საჭირო არაა ადგილის ცვლა განზე ან წინ გადასვლით. მახვილიანია პირველი ტაქტის **ერთი.**

№ 7 (სურ. 84.) **ქუსლცერა ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – შეკრულად წელს უკან ან დოინჯი (ილეთის მხოლოდ ფეხით შესრულებისას). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი და მთელი ტერფით დახტომა, მარჯვენის ქუსლით მარცხენის ცერთან და ოდნავ მის მარჯვნივ დადგმა.

ორი – მარცხენა ფეხზე მცირე ზეხტომის შემდეგ მარჯვენის ნახევარი ტერფით უკან გამოწევა და სრული ტერფით დადგმა, მარცხენა ფეხის ცერით (ქუსლი ზევით მიმართული) კი, მარჯვენა ტერფის შუა ადგილას და მის მარცხნივ, იატაკს შეხება.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხით იგივე, რაც მარჯვენით წინა ტაქტის **ერთზე.**

ორი – მარჯვენა ფეხით იგივე, რაც მარცხენით წინა ტაქტის **ორზე.**

ამ ილეთის მთლიანად შესრულებისას მკლავები ისევე მოძრაობს, როგორც *სადა ჩაკვრისას*, იმ განსხვავებით, რომ, თუ მოძრაობა მარჯვენა ფეხით იწყება, მაშინ მარჯვენა მკლავი განმკლავიდან დაქნევით მკერდის წინ იხრება.

ილეთში მახვილიანია ტაქტის მეორე ნახევარი.



სურ. 84.

№ 8 (სურ. 85). **ორფა ქუსლცერა ჩაკვრა**

ილეთი *ქუსლცერა ჩაკვრის* წესით სრულდება შემდეგი განსხვავებით: **ერთი** – იგივე მოძრაობები, როგორიც *ქუსლცერა ჩაკვრაში* **ერთსა** და **ორზე** ე.ი. ქუსლცერა ილეთი მთლიანად ჩაეტევა ტაქტის პირველ ნაწილში – **ერთი**; **ორზე** კი – მარცხენა ფეხი აიწევს ზევით და ცერით მეორედ მკვეთრად შეეხება იატაკს, შემდეგ კვლავ მუხლში მოიხრება და ცერი იატაკს აშორდება, რათა, მუხლში გამართვასთან ერთად, ქუსლით შეეხოს იატაკს ილეთის მეორე მხარეზე შესასრულებლად.

ერთი – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი და მთელი ტერფით დახტომა, მარჯვენის ქუსლით მარცხენის ცერთან მარჯვნივ დადგმა.

და – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი, მარჯვენის ნახევარი ტერფით უკან გაწევა და მთელი ტერფით დადგმა. მარცხენა ცერით (ქუსლი ზევით მიმართული) მარჯვენა ტერფის შუა ადგილას და მის მარცხნივ იატაკს შეხება.

ორი – მარცხენა ფეხის მუხლში ოდნავ მოღუნვა, ცერით იატაკს აცილება და მაშინვე ქუსლით ისევ მკვეთრად შეხება.

და – მარჯვენა ფეხზე მცირე ზეხტომი, მარცხენის მუხლში გაშლა (ტერფი წინ მიმართული) და შემდეგი ტაქტის დასაწყებად მომზადება.



სურ. 85.

ეს ილეთი რთულია, ამიტომ იგი ნაწილ-ნაწილ ისწავლება და დასაწყისში ოთხ თვლაზე სრულდება.

ორფა ქუსლცერა ჩაკვრა იშვიათად იხმარება.

№ 9 (სურ. 86). **ხლართულა ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი –წელს უკან შეკრულად (ილეთის მხოლოდ ფეხების მოძრაობა ისწავლება). მუსიკალური ზომა – 3/4.

ერთი – ზეტანის მარცხნივ ოდნავ შებრუნება, მარჯვენა ფეხის ქუსლით მარცხენის წინ – შიგნით – ნახევარი ნაბიჯით დადგმა, მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ტერფით იატაკს ისე მოცილება, რომ მუხლი გარეთ მიიმართოს, ფეხის ცერი იატაკისაკენ – მარჯვენა ფეხის წვივის უკან შეუხებლად

ორი – მარცხენა ფეხის ერგცერით დადგმა, მარჯვენის მუხლში მოღუნვა და იატაკს აცილება.

სამი – მარცხენა ფეხის ერგცერიდან მძლავრი ზეხტომი, მარჯვენაზე – დახტომა (დახტომამდე მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხის ოდნავ გარეთ გადაქნევა). დახტომისას მარცხენა ფეხის მუხლში ისე მოღუნვა, რომ ტერფი მარჯვენის მუხლამდე ავიდეს.

II ტაქტი

ერთი – ილეთის მეორე მხარეს მარცხენა ფეხით დაწყება, ზეტანის წინასწარ ოდნავ მარჯვნივ შებრუნება.



სურ. 86.

აღწერიდან ჩანს, რომ თითოეულ ტაქტში სამი მოძრაობაა, აქედან გამახვილებულია მეორე – ზეხტომი **ორზე**.

ვინაიდან ეს ილეთი ხშირად გამოიყენება იმ ცეკვებში, რომელთა მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8-ია და ორივე მხარეს მისი შესრულებისას ოთხ ტაქტს აკლდება ორი თვლა, ამიტომ ილეთს უნდა მიემატოს ცეკვის სტილის შესაფერისი ორი მოძრაობა და ორ თვლაში ჩაეტიოს.

ქალები ამ ილეთს ასრულებენ დაბალ ერგცერებზე, მკლავები მაღლა – იდაყვებგა-დაშლილად. თუ ილეთი მარჯვენა ფეხით იწყება, თითები ყურების უკან თავსაბურავთან ან III პოზიციაში.

№ 10 მუხლმოქნევით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხის ცერით იატაკს დაყრდნობა. ხელი – II ან IV პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხის მუხლში გამართვა და ტერფით დადგმა. მარცხენის მუხლში მოღუნვა, ქუსლის გარეშებრუნებით იატაკს მოცილება, ცერის იატაკს დაყრდნობა და მუხლით მარჯვენა მუხლის წინიდან დაფარვა.

ორი – ფეხების მდგომარეობის შეცვლა: მარცხენა ფეხი I პოზიციაში, მარჯვენა მუხლით მარცხენის წინიდან დაფარვა. ერთ ტაქტში ორი მოძრაობაა: ჯერ ერთი მუხლი ფარავს მეორეს, შემდეგ – მეორე პირველს. მკლავები – უმოძრაოდ.

მუხლმოქნევით ჩაკვრა დასაწყისში სხვა ილეთებისაგან გამოყოფილად ისწავლება,

შემდეგ – ჩაკვრის რომელიმე ილეთთან შეერთებით: სამ ტაქტში შესრულდება *სადა ჩაკვრა*, მეოთხეში – *მუხლმოქნევით ჩაკვრა*; სამ ტაქტში შესრულდება *დახურული ჩაკვრა*, მეოთხეში – *მუხლმოქნეით ჩაკვრა* ან ერთ ტაქტში – *ქუსლცერა ჩაკვრა*, მეორეში – *მუხლმოქნევით ჩაკვრა* და ა.შ.

№ 11 (სურ. 87). **განბიჯით ჩაკვრა**

განბიჯით ჩაკვრა რთული ორტაქტიანი ილეთია. იგი, მეტწილად, გადაბმულად ორივე მხარეს ოთხ ტაქტში სრულდება.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი და ხელი – პირველი პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის ტერფზე მცირე ბუქნ-დახტომა. მუხლში გამართული მარცხენა ფეხის ერთი ნაბიჯით იატაკშეუხებლად განზე გაწევა, მკლავები – იგივე მდგომარეობა.

ორი – მარცხენა ფეხის დადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა; მარჯვენის მუხლში გამართვა და ქუსლით იატაკს აშორება, მკლავების ოდნავ ქვემოთ დაწევა.

II ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის იატაკს აცილება, მარცხენა ფეხის ცერის წინ განბრუნებულად დადგმა (ქუსლის შიგნით მიმართვა, ცერი – გარეთ) და ერგბუქნი ორივე ფეხზე, ზეტანის მარცხნივ შებრუნება, თავი – მარჯვნივ. ხელების სარტყლის წინ მაჯებით გადაჭდობა.

ორი – ფეხშლილისმაგვარი ნახევარცერშედგომი, იმ განსხვავებით, რომ მარჯვენა ფეხი უფრო მეტადაა გარეთ გადგმული, ვიდრე მარცხენა (როგორც *გახსნილი ჩაკვრისას*). მარცხენა ფეხით ერგცერსა და არაცერზე შედგომა, ორივე ფეხი მუხლში მოღუნული; მკლავები – დაქნევით IV პოზიცია, სხეულის სიმძიმე უფრო მეტად მარცხენაზე.



სურ. 87.

ზემოაღწერილი წესით სრულდება ილეთი მეორე მხარეს. მკლავები I თვლიდანვე გარეთაა გაშლილი.

ილეთის შესრულებისას მახვილიანია პირველი ტაქტის **ერთი** და მეორე ტაქტის **ორი**.

ზოგჯერ ეს ილეთი იწყება პირველი ტაქტის მეორე თვლიდან, პირველი ტაქტის პირველი თვლის მოძრაობა კი გადადის ამ ვარიანტის მეორე ტაქტის მეორე თვლაზე.

განბიჯით ჩაკვრისას, ცეკვის სტილისა და ნახაზის მიხედვით, დასაშვებია მკლავების სხვა მდგომარეობა- მოძრაობა.

№ 12 განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა

ილეთი ორტაქტიანია, მხოლოდ *განბიჯით ჩაკვრისაგან* განსახვავებით, მეორე ტაქტის მეორე თვლაზე: ორივე ერცერზე ფეხშლით შედგომა, სხეულის სიმძიმის ორივე ფეხზე თანაბრად გადანაწილება, ზეტანის გვერდზე ან ოდნავ შესამჩნევად მიბრუნება.

№ 13 (სურ. 88). **მუხლდრეკით ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი და ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი წინ, მარჯვენა ფეხის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს დაყრდნობა. მკლავების ქვეგანმკლავით დაშვება.

ორი – მარცხენა ფეხის მუხლში მკვეთრად მოღუნვა და ტერფის მთელი სიბრტყით წინ ოდნავი ნახტომი. მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა (მუხლი გარეთ) და დაბლა მიმართული ცერით მარცხენა ფეხის წვივს უკანა მხრიდან შეხება. მარცხენა მკლავის იდაყვში მოღუნვა, დაქნევით წინ – ზევით აწევა და წინმხრით მკერდის წინ მოქცევა (წინა მხარი იატაკის პარალელურად, მკერდს არ ეხება ან იდაყვდაქანებულია), მარჯვენა მკლავის უკან, წელშეუხებლად, სარტყლის სიმაღლეზე აწევა.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის ოდნავი არეკნით წინ გადადგმა, მუხლში ოდნავ მოღუნული მარჯვენის ტერფით მარცხენის ადგილზე დადგმა. მკლავების დაქნევით ქვეგანმკლავში გაშლა.

ორი – ადგილზევე ფეხების მდგომარეობის შეცვლა. მკლავების სართავებით განზე გაშლა.



სურ. 88

№ 14 ხტომბრუნში ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი – სამთიულურო – მკერდის წინ მარცხენა მკლავი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ხტომბრუნში ჩაკვრა სამმოძრაობიანია: ხტომი, ბრუნი და ჩაკვრა.

ერთი – მარცხენა ფეხით არეკნი და მარჯვენა ფეხზე მარცხნივ ნახევარბრუნით დახტომა: მუხლში ოდნავ მოხრილი მარცხენა ფეხის უკუგადაქნევა და მარჯვენის უკან ერთი ტერფის დაშორებით ცერით იატაკს დაყრდნობა; მკლავების გარეგაქნევით განზე გაშლა.

ორი – მარჯვენა ფეხის ქუსლზე ნახევარბრუნი მარცხნივ; ბრუნის დასრულების შემდეგ ტერფის მთელი სიბრტყით დადგმა. მარცხენა ფეხის მუხლში გამართვა და, ტერფის მარცხნივ შებრუნებით, ქუსლით იმ ადგილს შეხება, სადაც მანმადე ცერი ეხებოდა. მკლავების შენაცვლებითა და ჰორიზონტალურად მოქნევით საწყისი მდგომარეობა: მარჯვენა წინა მხარი მკერდის წინ, მარცხენა – წელს უკან.

აღწერილი ილეთი ხშირად სხვა ილეთთან შეერთებით სრულდება.

ხტომბრუნში ჩაკვრა სრულდება **ერთზე** – ადგილზე, ადგილგადანაცვლებით და ნებისმიერი მიმართულებით. არეკნის შემდეგ კი ნახტომი ბრუნთან ერთად სასურველ მანძილზე.

№ 15 მხარმოქნევით ჩაკვრა (ჩასმით ჩაკვრა)

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი – თავისუფლად დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გარე ტაქტი

და – მარცხენა ფეხზე ოდნავი ზეხტომი ადგილზე, მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა, იატაკს აცილება და წინ დასადგმელად მომზადება; ზეტანის მარცხნივ შებრუნება იმდენად, რომ მარჯვენა მხარი წინ მოექცეს; მკლავების ოდნავი გარეაქნევა მცირე სართავებით; სახე – საწყისი მდგომარეობა.

ერთი – მარჯვენა ფეხის დადგმა, მარცხენის მუხლში ოდნავ მოხრა და ტერფით იატაკს ცოტათი აცილება; მარჯვენა მკლავის შიგნით აქნევა სხეულის ახლოს სარტყლის ან მკერდის სიმაღლეზე; მარცხენის წელს უკან მოძრაობა. სახე – საწყისი მდგომარეობა.

და – მარჯვენა ფეხის იატაკს მცირედით მოცილება, მარცხენის დადგმა.

ორი – მარჯვენა ფეხის დადგმა, მარცხენის იატაკს ოდნავ აცილება; მკლავების დაქნევისათვის მომზადება. სახე – იმავე მიმართულებით.

მეორე ტაქტი მარცხენა ფეხის წინ გადადგმით დაიწყება და მეორე მხარეს პირველში აღწერილი წესით შესრულდება.

ილეთი დამთავრებულად ორივე მხარეს შესრულების შემდეგ ჩაითვლება, თუ პირველ ტაქტს მაშინვე არ მოსდევს *დახვევით ბრუნი*. განმარტების სახით: 1. ამ ილეთის შესრულება შესაძლებელია იოლად – ზემოაღწერილი წესით ორ ტაქტში (ბრუნის გარეშე). 2. ილეთი შესრულდება დახვეული ბრუნით წინ გადგმული ფეხის საწინააღმდეგო მხარეს, რაც მეორე ტაქტში ეტევა. 3. ზოგჯერ დახვევით ბრუნი თავსდება მესამე ტაქტში, რომლის დამთავრების შემდეგ ილეთის დასაწყებად წინ ისევ მარჯვენა ფეხია. ამ შემთხვევაში ჩაკვრა შესრულდება ჯერ ერთი და შემდეგ მეორე ფეხით, რასაც მიჰყვება *დახვევითი ბრუნი*. 4. ფრაზის დასაწყებად ფეხის შესაცვლელად, საჭირო, *დახვევით ბრუნი* შესრულდეს მეორე ან მეოთხე ტაქტში.

აღწერილი ილეთი შეიძლება ყოველ ტაქტზე ადგილშენაცვლებით სხვადასხვა მიმართულებით შესრულდეს.

ეს ილეთი აფხაზური ცეკვისათვისაა დამახასიათებელი. ხშირად ამგვარ ჩაკვრას ქალ-ვაჟნი ადგილების შენაცვლებით ერთმანეთის პირდაპირ დგომისას ასრულებენ.

№ 16 ქუსლგადგმით ჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხები – III პოზიცია, მკლავი – გვერდულა მდგომარეობა. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ, მარჯვენის უკან ერგცერით დადგმა.

ორი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ, მარცხენის ქუსლით იატაკს აშორება და ერგცერით დადგმა.

II ტაქტი

ერთი – საყრდენი მარჯვენა ფეხის ტერფზე წასრიალებით ოდნავი წახტომი მუხლდრეკით, მარცხენის მუხლში მოღუნვა (მუხლი გადაიშლება) და ტერფის შიდა მხარით მარჯვენა ფეხის წვივს ისე შეხება, რომ ცერი იატაკს შეეხოს ან ოდნავ დაშორდეს

ორი – მარჯვენა ფეხის ტერფის წინა ნაწილზე დაყრდნობით ნახევარბრუნი მარცხნივ. მარცხენის მუხლში გამართვა და წინ – ქუსლზე დადგმა (ტერფის სიბრტყე იატაკს აშორებულია).

აღწერილ ილეთში გამახვილებულია მეორე ნახევარი – მეორე ტაქტი. *ქუსლგადადგმით ჩაკვრა* ხშირად ერთი ნაბიჯის წინ გადადგმითაც სრულდება. ამ შემთხვევაში, პირველ

ტაქტში (**ერთი – ორი**) შესრულდება ის, რაც აღწერილია პირველი ტაქტის ბოლოს და მეორე ტაქტის დასაწყისში, ხოლო მეორე ტაქტის **ერთზე** მარცხენა ფეხის წინ გადადგმა ქუსლზე, რასაც მოსდევს ყოვნა ან სხვა მოძრაობა.

№ 17 ჭდომ-ხტომილა ჩაკვრა

ჭდომ-ხტომილა ჩაკვრა იგივეა, რაც *ჭდომილი ჩაკვრა* (იხ. ჩაკვრა №6), ოღონდ მისი შესრულებისას მოძრაობა წინაა და თითოეულ ტაქტში, მკლავების განგაშლილ მდგომარეობაში, ხელსართავი სრულდება.

ილეთში მახვილიანია პირველი ტაქტის **ერთი**.

№ 18 (სურ. 89). **ირიბი განბიჯით ჩაკვრა**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი და ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ ირიბი მიმართულებით, მარცხენა ფეხის ერგცერით იატაკს შეხება.

ორი – მარცხენა ფეხით იმავე მიმართულებით ნახევარი ნაბიჯი. მარჯვენა მკლავი დახურული, მარცხენა – განმკლავი.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის მოღუნვა (ერგბუქნის მსგავსად) და დადგმისას ტერფით წინ ოდნავ გასრიალება, მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ტერფის ისე აცილება, რომ ცერი იატაკს არ მოშორდეს; ამ მდგომარეობაში ცერზე გასრიალებით ტერფით მარცხენა ქუსლს ზევით შეხება; მკერდი – წინ და მარჯვნივ, ზეტანის ოდნავ მარცხნივ გადაზნექა.

ორი – მარჯვენა ფეხის ტერფით მარცხენის ადგილის დაჭერა, მუხლში გამართული გათავისუფლებული მარცხენის იატაკს აშორება და მეორე მხარეს მოძრაობის დასაწყებად წინ წაწევა.



სურ. 89

ამ ილეთის შესრულებისას გამახვილებულია ყოველი მეორე ტაქტის **ერთი**.

ქალები *ირიბი განბიჯით ჩაკვრას* იშვიათად ასრულებენ, ისიც ძალიან რბილად – უერგბუქნოდ, მხოლოდ ერგცერის და არა ცერის გასრიალებით.

№ 19 ჭრილი ჩაკვრა

ჭრილი ჩაკვრის შესრულებისას უკან გაწეული ფეხი უკნიდან შეეხება წინა ფეხის წვივის ქვედა ნაწილს.

ჭრილი ჩაკვრის ერთ-ერთი ვარიანტი:

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია, ხელი – დოინჯი. მუსიკალური ზომა - 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხის წინ გადადგმა მთელი ტერფით, მარცხენის ცერზე უკან დარჩენა.

ორი – მუხლში მოღუნული მარჯვენა ფეხის სრიალით ოდნავ წინ წაწევა, მუხლში მოღუნული მარცხენით წინსვლა მარჯვენის უკნიდან ტერფით შესახებად. მარცხენა ფეხის ცერი დაბლა.

ილეთი სრულდება ბრუნის დროსაც.

№ 20 საფერხულო ჩაკვრა წინ, განზე, უკან

(იხ. სვლები: № 31, 32, 33, 34, 35, 36).

გასმა

ქალთა ცეკვებში გასმა იშვიათია. იგი მსუბუქად და ნარნარად სრულდება.

ქალი გასმას ასრულებს ფერხულებში: რამდენიმე ნაბიჯი მარცხნივ (მარჯვნივ), წინ ჩაკვრა და შემდეგ გასრიალებით მოძრაობა; ასევე სწრაფტემპიან ცეკვებში: მარჯვნივ ან მარცხნივ ბრუნის შემდეგ გასმით უკუსვლა.

გასმის ერთი ვარიანტი:

№ 1 (სურ. 90). **სადა გასმა**

ფეხი – I პოზიცია ერგცერებზე; საწყისი მდგომარეობა – ხელი – დოინჯი.
მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

და – მარჯვენა ფეხის ჰაერში წინ გაწევა ნახევარი ტერფის სიგრძეზე.

ერთი – მარჯვენა ფეხის სრიალით უკან გაწევა, მარცხენის სრიალით წინ ისე გაწევა, რომ ქუსლი არ გადასცილდეს საყრდენი მარჯვენა ფეხის ცერს.

და – სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

ორი – სრიალით ფეხების მდგომარეობის შეცვლა.

და – ყოვნა.

შემდეგი ტაქტი იწყება მარცხენა ფეხით.



სურ. 90

ბრუნი

ბრუნის მთავარი ილეთები:

- ერგცერებზე ბრუნი
- სამდაკვრითი ბრუნი
- დახვევით ბრუნი
- ფეხცვლით ბრუნი
- ჭდომილდგომში ბრუნი
- ფეხის წინ და შიგმოქნევით ბრუნი
- განბიჯით ჭდობბრუნი
- ჩაკვრით ბრუნი
- ჭდობსკუპით ბრუნი
- ბზრიალა ბრუნი
- ზეხტომბრუნი

№ 1 (სურ. 91). **ერგცერზე ბრუნი**

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – IV პოზიცია, ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარცხენა ფეხის ერგცერზე აწევა, ოდნავი ბუქნი.

და – ზეტანის მარცხნივ მოქნევისა და ფეხების მუხლში გამართვასთან ერთად, სხეულის სიმძიმის მარცხენა ფეხზე გადატანა, მარჯვენის იატაკს მოცილება და ბრუნის დაწყებიდანვე ტერფის ზურგით მარცხენა ფეხის წვივს უკანა მხრიდან მიკვრა (მუხლი ოდნავ გარეთ). მუხლში მკვეთრად გამართული მარცხენა ფეხი ერგცერზე. მარცხენა მკლავის ჰორიზონტალურად გარეგაქნევით განზე გაშლა, მარჯვენის იდაყვის სახსარში მოხრა და ბრუნი მარცხნივ.

ორი – მარცხნივ მთელ წრეზე შემობრუნების ბოლოს მარჯვენა ფეხის მარცხენას მოცილება და ორივე ფეხის III ან IV პოზიციაში ერგბუქნში დადგმა.



სურ. 91

№ 2 სამდაკვრითი ბრუნი

ეს ილეთი მარტივია და ერგცერებზე სრულდება.

სასურველ მხარეს ბრუნი *ადგილზე სამდაკვრითი ილეთით* სრულდება. ბრუნისას ზეტანი ოდნავი გადაქანდება ბრუნის მხარეს. მარცხნივ ბრუნის დაწყების წინ მოიღუნება მარცხენა მკლავი, მარჯვნივ ბრუნისას – მარჯვენა. მკლავების მდგომარეობა-მოძრაობის დეტალები დამოკიდებულია ცეკვის ხასიათსა და კომპოზიციაზე.

სამდაკვრითი ბრუნი სრულდება ადგილის შენაცვლებითაც.

№ 3 (სურ. 92) **დახვევით ბრუნი (ფეხშენაცვლებით)**

ბრუნი სრულდბა ადგილზეც და სვლის დროსაც.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი და ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მარჯვენა ფეხით წინ ნახევარი ნაბიჯი და ერგცერით იატაკს შეხება; გათავისუფლებული მარცხენის მუხლში მოღუნვა და უკუდაქნევით მარცხნივ, მარჯვენა ფეხზე, ნახევარბრუნის შესრულება, მარცხენა მკლავი – მოხრილი.

ორი – მარჯვენა ფეხის ერგცერზე მარცხნივ ნახევარბრუნის შემდეგ მარცხენა ფეხის სრულ ტერფზე დადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა; მარჯვენა ფეხის მუხლში მოღუნვა და ტერფის ზურგით საყრდენი ფეხის წვივს შეხება. მარცხენა მკლავის განზე გაშლა, მარჯვენის მოხრა.

ბრუნის დასაწყისში დასაშვებია ზეტანის ოდნავ წინ გადახრა. ბრუნის დაწყებისას იმ მკლავის მოხრა, რომლის მხარესაც ბრუნი სრულდება. ბრუნის დამთავრებისას – მეორე მკლავის. *დახვევით ბრუნი* შეიძლება შესრულდეს *ორფა ბრუნითაც*. ამ შემთხვევაში თითოეულ თვლას ემთხვევა თითო სრული ბრუნი.



სურ. 92

№ 4 (სურ. 93). **ფეხცვლით ხტომბრუნი**

ფეხცვლით ხტომბრუნი უფრო ხშირად ადგილზე სრულდება, რიგრიგობით ფეხების ცვლით, ნახევარი ან სრული ბრუნით.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – IV პოზიცია, ხელი – II პოზიცია (მარცხენა დახურული). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – ზეტანის მძლავრ მოქნევასთან ერთად მარცხენა მკლავის განზე გაქნევით გაშლა, მარცხენა ფეხიდან არეკლილი ზეხტომბრუნით (მარცხენა ფეხის მუხლის სახსრიდან წვივის უკუაქნევა) მარჯვენა ფეხის ერგცერზე დახტომა მარცხნივ 1/2 წრეზე.

ორი – მარჯვენა ფეხიდან ზეხტომბრუნით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: დახტომა მარცხენა ფეხზე, მარჯვენა ფეხის წვივის უკუაქნევა. მარჯვენა მკლავის II პოზიციაში დახურვა. ბრუნის გაგრძელების (მიყოლებით) მოძრაობა აღწერილი წესით სრულდება.



სურ. 93

№ 5 (სურ. 94). **ჭდომილდგომში ბრუნი**

საწყისი მდგომარეობა – ხელი განზე გაშლილი, მარცხენა ფეხი მარჯვენის წინ და მას ეხება, ერგცერებზე დგომა. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 4/4.

ჭდომილდგომში ბრუნი სრულდება მარცხნივ ან მარჯვნივ. მარცხნივ შესრულებისას – მარცხენა ფეხი დგას მარჯვენის წინ და მას ეხება, მარჯვნივ შესრულებისას – წინ მარჯვენაა.

ერთი – მარცხენა ფეხით ბრუნი მარცხნივ.

ორი – მარჯვენა ფეხით ბრუნის მარცხნივ განგრძობა.



სურ. 94

№ 6 (სურ. 95). **ცალი ფეხის წინ და შიგ მოქნევით ბრუნი**

საწყისი მდგომარეობა – მარჯვენა მუხლზე დგომა (ჩოქი მარჯვენაზე), ხელი – II პოზიცია, მარცხენა – დახურული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ერთი – მუხლიდან ადგომისა და ბრუნის დაწყებისას მარჯვენა ფეხის წინ და შიგნით ისე მოქნევა, რომ ტერფი ქვედა სიბრტყით შიგ მიიმართოს და მარცხენის წინ (ქუსლით მუხლის სიმაღლეზე) მოექცეს. სხეულის სიმძიმე მთლიანად გამართული მარცხენა ფეხის ერგცერზე.

ორი – სხეულის ნახევარი ბრუნის შემდეგ მარჯვენა ტერფის ბრუნს ჩამორჩენა და საყრდენი ფეხის უკან (ცერით ქუსლთან მთელი ტერფით) დადგმა. ბრუნის დასრულებისას ასევე მთელი ტერფით მარცხენის დადგმა. მარჯვენა მკლავის იდაყვში მოღუნვით II პოზიცია ან სხვა მდგომარეობა.



სურ. 95

ფეხის წინ და შიგნით მოქნევით ბრუნი შეიძლება ფეხშლილ ან შეტყუპებულ ერგცერებზეც შესრულდეს, ამისათვის საჭიროა ბრუნის მხარეს მუხლში გამართული ფეხის ჯერ განზე დადგმა და შემდეგ თვით ბრუნის შესრულება. თუ აუცილებელია ბრუნის ბრუნზე გადაბმა, თავისუფალი ფეხი საყრდენი ფეხის უკან დაიდგმება ერგცერზე (ოდნავ ბუქნის მდგომარეობაში), საყრდენი ფეხი გათავისუფლდება ზემოთ აწევით და კვლავ მოემზადება ნაბიჯის გადასადგმელად ბრუნის მხარეს სამოძრაოდ.

№ 7. განბიჯით ჭდომბრუნი

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია, ხელი – II პოზიცია (მარცხენა მოხრილი). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის ტერფზე ოდნავ ერგბუქნდახტომასთან ერთად, მუხლში გამართული მარცხენა ფეხის წინ და განზე ისე აწევა, რომ ტერფით იატაკს არ შეეხოს;

ზეტანის მარცხნივ შებრუნება; მარცხენა მკლავის განზე გადაქნევით გაშლა.

ორი – მარცხენა ფეხის დადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა; მარჯვენის მუხლში გამართვა და იატაკს აცილება. მკლავების განზე გაშლა. ბრუნის გაგრძელება.

II ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის წინ და შიგ მოქნევით (ბრუნი გრძელდება) მარცხენა ფეხის წინ დადგმა და ქუსლით მარცხენა ფეხის ცერს შეხება. ოდნავი ერგბუქნი ტერფებზე, მარჯვენა მკლავის იდაყვში მოხრა – II პოზიცია ან მკლავების წინქნევით გადაჭდობა.

ორი – ოდნავი არეკნით ფეხების განზე გაშლა – ერგცერებზე დგომა. მკლავების მდგომარეობის შეცვლა – მარცხენის მოხრა, მარჯვენის გაშლა ან გარე აქნევით ორივე მკლავის აწევა – IV პოზიცია.

შემდეგი ტაქტის დასაწყებად მარჯვენა ფეხის ერგცერდგომიდან ტერფზე დადგომა, როგორც პირველი ტაქტის პირველი თვლა და მოძრაობის ზემოაღწერილი წესით გაგრძელება.

განბიჯით ჭდომბრუნი სრულდება ცალკე ილეთადაც და გადაბმულადაც. გადაბმულად – წრეშემოვლისას (მთელი წრის), საჭიროების მიხედვით კი წრის რომელიმე ნაწილზე ან დანიშნული მიმართულებით.

განბიჯით ჭდომბრუნის შესრულება შეიძლება სახით წრის გარეთ ან წრის ცენტრისაკენ. პირველში მოცეკვავე ყოველი ილეთის ბოლო თვლაზე ზურგით წრის ცენტრისკენ მოექცევა, მეორეში – სახით ცენტრისკენ.

ყოველ ორ ტაქტში მახვილიანია პირველი ტაქტის პირველი და მეორე ტაქტის **ორი**.

მკლავების მოძრაობა შეიძლება სხვაგვარადაც: IV პოზიციიდან გარეგადაშლით სარტყლის წინ მაჯების გადაჭდობა და ქვევიდან გარეზეაზნექით ისევ IV პოზიციაში დაბრუნება ან მკლავების მდგომარეობის ერთ პოზიციაში შენარჩუნება.

№ 8. ჩაკვრით ბრუნი

(იხ. გვ. 307)

№9. (სურ. 96) **ჭდომსკუპით ბრუნი**

ჭდომსკუპით ბრუნი ორნაწილიანია. პირველში სამი მოძრაობაა: ხტომა თავისუფალი ფეხის მიმართულებით; ფეხცვლა – ჭდომა; ბრუნის მხარეს ფეხის გათავისუფლება, მეორე – თავისუფალი ფეხის ერგცერებზე ბრუნი.

საწყისი მდგომარეობა – დგომა მარცხენა ფეხზე, გამართული მარჯვენა ფეხის წინ გაშვერა და იატაკს ნახევარი ტერფით აშორება. მარჯვენა მკლავი მკერდის წინ – წინა მხრით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში (სამთიულურო პოზიცია), მარცხენა – წელს უკან შეუხებლად, ხელით სარტყლის სიმაღლეზე. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

გარე ტაქტი

და – მარცხენა ფეხიდან არეკნა და მარჯვენაზე დახტომა, მუხლში გამართული მარცხენა ფეხის გათავისუფლება და წინ გატანა; მარჯვენა მკლავის იდაყვში გამართვით წინ გაშლა, მარცხენა – გარეუკუმკლავი.

ერთი – მარცხენა ფეხის მოქნევით (საყრდენი ფეხის მიმართულებით) მარჯვენის საყრდენი ადგილის დაჭერა: მანამადე არეკნითა და ოდნავი ზეხტომით მარჯვენა ფეხის იატაკს მოშორება, მუხლში მოღუნვა, საყრდენი ფეხის შეუხებლად ტერფის მარცხენა ფეხის წვივის სიმაღლეზე აწევა (ცერი იატაკისკენ) და მარცხენისათვის საყრდენი ადგილის გათავისუფლება. მოძრაობის ბოლოს საყრდენი (მარცხენა) ფეხის ერბუქნისათვის მუხლში მოღუნვა. მკლავების განზე გაშლა და შეუჩერებლივ სამთიულურო პოზიცია

(როგორც საწყის მდგომარეობაში, ოღონდ მეორე მხარეს).

ორი – მარჯვენა ფეხის მკვეთრი დაქნევით მარცხენის განდევნა – მარცხენის მიერ მარჯვენისათვის საყრდენი ადგილის დათმობა და იატაკს შეუხებლად მუხლში გამართულად წინ წაწევა. მკლავები – უმოძრაოდ.

II ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის განზე გადადგმა და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა ზეტანის მარცხნივ მოქნევით (მკლავების გადაქნევით განზე გაშლა) ერგცერზე მარცხნივ ბრუნი. ბრუნისას მარჯვენა ფეხის მარცხენის წვივს ტერფის ზურგით მიკვრა და მუხლის გაშლა.

ორი – მარჯვენა ფეხის საწყის მდგომარეობაში ისე გადადგმა, რომ ერგცერით ოდნავ შეეხოს იატაკს, მარცხენა ფეხის სრული ტერფით დადგმა, შიგმოქნევით მკლავების საწყისი მდგომარეობა.

ამ ილეთის შესრულებისას, მარცხნივ ბრუნისას, ზეტანის უფრო მძლავრად მოქნევისათვის პირველ ტაქტში დასაშვებია (ზოგჯერ საჭიროც) ზეტანის ოდნავ მარჯვნივ მიბრუნება.

ილეთის პირველი ტაქტი ბრუნისათვის მოსამზადებელი, დამხმარე მოძრაობაა, მეორე – ილეთის მთავარი ნაწილი – ბრუნი.

ჭდობსკუპით ბრუნი ხშირად ქორეოგრაფიული წინადადებისან ნაერთის დასაბოლოებლად იხმარება, ზოგჯერ ორი სხვადასხვა ილეთის შესაკავშირებლად. *ჭდობსკუპით ბრუნი* ორფადაც სრულდება – ორი ბრუნით II ტაქტში.

ილეთის დაბოლოება შეიძლება სხვადასხვა მდგომარეობაში, მაგალითად, ცალ მუხლზე.



სურ. 96

№ 10. ბზრიალა ბრუნი

ბზრიალა ბრუნი სრულდება ადგილზე და ადგილის შენაცვლებით. ადგილზე ბრუნი – ზეხტომით და შემდეგ ისევ ერგცერებზე. მეორენაირად: შეტყუპებული ფეხებით ერგბუქნიდან (ტერფები იატაკს ეხება) ზეხტომი და ერგცერებსა ან ისევ ტერფებზე ერგბუქნი. ერგცერებიდან რიგრიგობით ტერფებზე დადგომა და რიგრიგობითვე ბრუნთან ერთად ერგცერებზე შედგომა.

ადგილის შენაცვლებით ბზრიალა ბრუნი: ერგცერებიდან სასურველი მიმართულებით ცალი ფეხით (ერგცერზევე) მოკლე ნაბიჯის გადადგმა, ბრუნის შეუწყვეტლივ თავისუფალი ფეხის საყრდენი ფეხისაკენ მიწევა და ამ მოძრაობის რამდენჯერმე ერთიმეორეზე გადაბმულად გამეორება.

ილეთის შესრულებისას მკლავების მდგომარეობა სხვადასხვანაირია: უფრო ხშირად განგაშლილი და ხელსართავჩართული.

№ 11. ზეხტომბრუნი

ზეხტომბრუნი რთული ვაჟური ილეთია, რომელსაც ქალები მხოლოდ ვაჟურად ცეკვისას იყენებენ. სირთულის გამო იგი დანაწილებით ისწავლება: ჯერ წრის 1/2–ზე, შემდეგ – 3/4-ზე და ბოლოს – მთელ წრეზე (სრული ბრუნი). ილეთის სრულად შესრულება ერგბუქნიდან იწყება: არეკნიდანვე ზეტანის მძლავრი მოქნევა, სხეულის ჰაერში ბრუნვა. ბრუნი მთავრდება ერგბუქნში რბილად დაშვებით.

საწყისი მდგომარეობა – ფეხები – დახურული III პოზიცია (მარცხენა ტერფი წინ), მკლავები – II პოზიცია (მარცხენა მოღუნული). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. ილეთი ორტაქტიანია.

I ტაქტი

ერთი – ერგბუქნი ერგცერებზე, მკლავები უმოძრაოდ.

ორი – არეკნიდან დაბალი ზეხტომი ჰაერში მარცხნივ ბრუნით, მარცხენა მკლავის ჰორიზონტალური გაქნევით განზე გაშლა. ჰაერბრუნშივე ფეხები მუხლებში გამართული და გადაჭდობილი.

II ტაქტი

ერთი – ჰაერში ბრუნიდან ერგცერებზე დახტომით ერგბუქნი. ჰაერბრუნშივე მარჯვენა მკლავის შიგმოქნევით იდაყვში მოღუნვა და II პოზიციაში დახტომა.

ორი – ფეხების მუხლებში გამართვა, ტერფების იატაკს შეხება. მკლავები უმოძრაოდ.
ამ ილეთის შესრულებისას ზეტანი გამართულია.

ზეხტომბრუნი უფრო ხშირად მთიულურ ცეკვებში გამოიყენება.

სამაია

თანამედროვე საცეკვაო ანსამბლებში ცეკვა *სამაიას* მხოლოდ ქალები ასრულებენ, მაგრამ სხვადასხვა ლიტერატურული წყაროს მიხედვით ისტორიულად ასე არ ყოფილა.

ჟურნალ „ცისკარში“ ალექსანდრე ორბელიანმა გამოაქვეყნა ცეკვა *სამაიას* აღწერა. მე-19 საუკუნის დასაწყისში *სამაიას* დიდგვაროვანთა სასახლეებში შემდეგნაირად ასრულებდნენ: „ქალნი და კაცნი ორ დასად დაყოფილნი ერთმანეთის პირდაპირ კარგა მოშორებით, ხელი-ხელს გაბმულები მწკრივად; ჯერ ერთი გაბმული დასი წარმოვიდოდა, თავის პირისპირ დასისა წყნარათ მომავალნი და თან ამას მოიმღეროდნენ: „სამაია სამთაგანა, რა ტურფა რამ ხარო და სხუანი... ასე უნდა მისულიყვნენ აგრეთვე მღერით. იქ მწკრივად დადგებოდნენ ხელებგაბმულები პირველისავე რიგით. ეს პირველი დასი თავის ადგილს რომ დადგებოდა მწკრივად, დგომასთან სიმღერა უნდა დაესრულებინათ მაშინვე. ამ დროს ის მეორე დასი ჩამოართმევდა სიმღერას პირველ დასსა. თან პირველი დასის რიგით შეასრულებდა იმ წესსა. ეს ორი გაყოფილი დასი ხან ერთი მივიდოდა მეორესთან, ხან მეორე – პირველთან, მაგრამ თანდათან კი აჩქარებდნენ სიმღერას თავის შეწყობილ ლექსებითა. ბოლო დროს ასე უნდა აეჩქარებინათ სიმღერა, რომ სალაღო გადაექციათ და ერთმანეთისათვის ბაღდადის ხელსახოცები ესროლათ, ანუ წყნარა დაეკრათ ეგრე მღერით. ჩემ სიყმაწვილეში ერთ გამოჩენილ ქორწილში დააბეს „სამაია“, ორმოცზე მეტმა მახლობლად ქალებმა დათხოვილებმა და გაუთხოვრებმა“.[1]

თეიმურაზ მეორემ პოემაში „სარკე თქმულთა“ ასე აღწერა სამაია:

„რა გაათაონ ფერხისა, გამართვენ ერთა ჭამასო,
დასხდენ ქალების პირდაპირ, არვინ დაიშლის ამასო,
შემოიყვანენ მესტვირეს, უკვრენ, ჩააბმენ სამასო
და მისთანა ლხინი უხარის ყმაწვილის დედას, მამასო...
ცალგნით არის კაცის ხმანი, ცალგნით არის ქალებისა,
ძეობაში უკუყრა და ყოფა არის მენესტვისა,
სამაიაში ქალებსა იღლიაში უძვრებისა,
და შაირს ეტყვის, უკრავს, ახლოს უდგებისა“. [2]

დიმიტრი ჯანელიძის განმარტებით, „თეიმურაზის მიერ აღწერილი სამაია რომ ნამდვილად საფერხულო წყობის სანახაობაა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას „ჩააბმენ“ ე.ი. ხელმობმით თამაშობენ. მეფე-პოეტის მიერ აღწერილი ძეობის სამა ალბათ ორი ნახევარმწყობრისაგან შედგებოდა: „ცალგნით არის კაცის ხმანი, ცალგნით არის ქალებისა”[3].

ნიკო მარის შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურში ვკითხულობთ: იმერხევში, როცა საცეკვაოდ ვინმეს იწვევენ, ამბობენ: „ისამე“ ან: „ადექ, ისამე, ადექ, ისამე”[4].

სულხან-საბა ორბელიანს სამა ქართულ ცეკვათა ერთ-ერთ სახეობად მიაჩნია: „როკვა არს სამა, ცეკვა, ბუქნა, კოჭა, ფერხული, მრგუალთ წყობა და რაოდენც ებანთა და ფანდურთა მიერ იქნებიან”[5].

---

1 ა. ორბელიანი. ჟურნალი „ცისკარი“, 1861, იანვარი, გვ. 147.

2 თეიმურაზ II, თხზ., გ. ჯაკობიას რედაქციით, 1939, გვ. 72.

3 დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ. 1948, გვ. 176.

4 Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию, С II. Б. 1912 г. стр. 38

5 ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი; ტფ. 1928, გვ. 135

დავით ჩუბინიშვილი „სამაიას“ განმარტავს, როგორც „ქალთა ფერხულს“[6].

აკაკი შანიძის ჩანაწერებიდან ჩანს, რომ: „ქალ-ვაჟნი (ფშავში) ან ორი ვაჟი (გუდამაყარში) დაუვლიან ცეკვით და ერთი მეორეს აშაირებენ. სამაია წარმოშობით არაბული სიტყვაა, მაგრამ არაბულად ნიშნავს სმენას, შემდეგ სიმღერას, კონცერტს. „სამადხანა“ (სამად) სახლი, სადაც დერვიშები ასრულებენ სარწმუნოებრივ ცეკვას“[7].

ჯემალ ნოღაიდელის ცნობით, ხალხში ხშირად გაიგონებთ: „ხორონი ისამე“, „სამა არ ვიცი“, „ის ხორონის კარგი მოსამეა“[8]. ამრიგად, ხალხში სამა ზოგადი მნიშვნელობის, საერთოდ, ცეკვის აღმნიშვნელი სიტყვა ჩანს. მაგრამ აჭარაში ეს სიტყვა სულ სხვა გაგებითაც იხმარება. სამა გარკვეული წყობისა და სიუჟეტის მქონე ფერხისას ნიშნავს.[9]

საინტერესოა დიმიტრი ჯანელიძის აზრი სვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკის შესახებ: „გაგარინის მიერ მცხეთის ფრესკიდან გადმოღებული ნახატი საერთო კომპოზიციიდან გაუმართლებლად ამოგლეჯილ სამ ფიგურას წარმოადგენს, რამაც მცდარი წარმოდგენა დაბადა ფრესკის შინაარსის შესახებ“[10].

მცხეთის სვეტიცხოვლის ფრესკაზე გამოხატულია არა მარტო სამი ქალი, არამედ თერთმეტი – მომღერალთა და მესაკრავეთა თანხლებით. მეცნიერის აზრით, ამ საფერხულო მწყობრში მოძრაობს 21 ქალი ე.ი. ორი საფერხულო. ამ ორ მწკრივს შორის კი ერთი სოლისტია.

6 დ. ჩუბინოვი, „ქართული ღრამმატიკა“, პეტ. 1887, გვ. 1085

7 ა. შანიძის დაუბეჭდავი სალექსიკონო მასალებიდან.

8 ჯ. ნოღაიდელი, აჭარის ხალხური სიტყვიერება, ბათ. 1940. გვ.7.

9 დ. ჯანელიძე, დასახ. შრომა, გვ. 175.

10 დ. ჯანელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 181

სამაია

ცხრა ქალის შესრულებით

ნაწილი	თვლა	სვლაგეზი	იდეთის საორგანიზაციო და მოძრაობის დასახელება	ნახაზი
I	8 1-8	სამ-სამად დაჯგუფებული ხელიხელჩაკიდებული 9 ქალის სახით მაყურებლისკენ დგომა.	№1, 3, 4, 6, 7, 9 1-8 – თავისუფალი მკლავის სამსახსროვანი მოძრაობა ადგილზე (მკლავ. ვარჯ. №17), კენტი თვლა – ერგბუქნი, წყვილი – ზემართი; თითოეული უცქერის თავის ქვეჯგუფის ცენტრში მდგომ ქალს (№2, 5, 8). გარეთა ფეხის განზე გატანა და ფეხის ცერით იატაკს შეხება – განფერხილი. № 2, 5, 8. 1-8 – მკლავები თანდათან წინ, გარეზემკლავი. ფეხები – უძრავად.	1 
II	8 9-16	№1, 4, 7 – ნახევრად მიბრუნება მარცხნივ და უკუსვლით მოძრაობა. №3,6,9 ნახევრად მიბრუნებია მარჯვნივ და უკუსვლით მოძრაობა. №2,5,8 მოძრაობა წინ, სახით მაყურებლისკენ.	№1,4,7 1-2– მარცხნივ ნახევარბრუნით მარჯვენა ფეხიდან ნაბიჯი უკან, მკლავები წინ – გარეზემკლავი. 3-4 – ერგბუქნი და ზემართი. 5-6 – ყოვნა. 7-8 – მარჯვენა ფეხიდან ნაბიჯი უკან, მკლავები წინ – გარეზემკლავი. № 3, 6, 9 1-8 – იგივე მოძრაობები, რაც №№1,4,7-ისა. მხოლოდ მეორე მხარეს. № 2,5 ,8 1-2 – მარჯვენა ფეხით ორი ნაბიჯი წინ. 3-4 – ყოვნა 5-6 – მარჯვენა ფეხით ერთი ნაბიჯი წინ, ერგბუქნი და ზემართი. 7-8 – მარჯვენა ფეხის მარცხენას მიდგმა, ერგბუქნი და ზემართი. მკლავები წინ – გარეზემკლავი.	2 
	8 17-24	№ 1,4,7 უკუსვლა მაყურებლისკენ. №3,6,9 უკუსვლა მაყურებლისკენ. №2,5,8-ის მოძრაობა სახით მაყურებლისკენ	№1, 4, 7 1-8 – წინა მოძრაობის გამეორება. № 3, 6, 9 1-8 – წინა მოძრაობის გამეორება. №2,5,8– წინა მოძრაობის გამეორება.	3 

	4 25-28	№1,2,3 მარცხნივ მიბრუნება (№1 და 3 1/3 წრეზე) № 7,8,9 –იმავე შესრულება, რასაც ქალები №№1,2,3, მხოლოდ მეორე მხარეს. №4 – ბრუნვა 3/4 წრეზე მარცხნივ და მარჯვენა მუხლზე დგომა. №6 – იგივე, რასაც №4, მხოლოდ მეორე მხარეს. №5 ადგილზე დგომა.	№1,2,3 1-2 – მარცხნივ ფეხმიდგმით ბრუნვა (№1 და 3 – 1/3 წრეზე, №2 – 1/4-ზე) და სახით № 4, 5,6-ის პირისპირ მოხვედრა. შემდეგ მარჯვენა ფეხით უკუშლიფერხილი. მარცხენა მკლავით, მარჯვნივ ქვედაქნევით და მცირე სართავებით, ზეგანმკლავი, ნებით შიგნით, მარჯვენა – მკერდდახურული, ნებით ზევით (იხ. ნახაზი). 3-4 – ყოვნა (ან ხელსართავი ცერის გადაცილებით, შემდეგ ნეკის გადაცილებით). №№ 7, 8, 9 1-4 – იგივე მოძრაობა, როგორიც № 1, 2-ის, მხოლოდ მეორე მხარეს. 1-2 – №4 ბრუნვა მარცხნივ 3/4 წრეზე და ჩოქი მარჯვენა მუხლზე; მარჯვენა მკლავით, ქვედაქნევითა და სართავით, გარეზემკლავი (ოდნავ მოღუნული), მარცხენა – წინმკლავი. 1-4 – იგივე, რასაც №4, მხოლოდ მეორე მხარეს. 1-2 – №5-ის ადგილზე დგომა, გარერკალებითა და სართავები, ზემკლავი, ნები – გარეთ. 3-4 –ყოვნა.	4 
	4 29-32	№ 1, 2, 3 მარჯვნივ მიბრუნება 1/2 წრეზე. № 7, 8, 9 მარცხნივ მიბრუნდება 1/2 წრეზე. №5 – ადგილზე. №4 წამოდგომა და მიბრუნება მარჯვნივ 1/2 წრეზე. №6 წამოდგომა და მარცხნივ მიბრუნება 1/2 წრეზე.	№1, 2, 3 1-2 – ბრუნვა მარჯვნივ 1/2 წრეზე, ჩოქი მარცხენა მუხლზე; მკლავები სართავებით: მარჯვენა – წინმკლავი, მარცხენა – გარეზემკლავი, ოდნავ მოხრილად. 3-4 – ყოვნა. № 7, 8, 9 1-4 – იმავეს, რასაც №1, 2, 3, მხოლოდ მეორე მხარეს. 1-2 – №5-ის ადგილზე დგომა, შიგრკალებითა და სართავებით გარეზემკლავი. 3-4 – ყოვნა. 1-2 – №4-ის წამოდგომა და 1/2 ბრუნი მარჯვნივ, მარჯვენა მკლავით, ქვედაქნევით, შიგრკალითა და სართავით ზეწინმკლავი, მარცხენა – სართავით მკერდდახურულ მდგომარეობაში (მკლავები ოდნავ მოხრილი, ნები ზევით). 3-4 – ყოვნა. 1-4 – №6 იმავეს, რასაც №4, მხოლოდ მეორე მხარეს.	5  
	8 33-40	№ 1, 2, 3, 4; პირველი სამი ნომრის წამოდგომა, შემდეგ ოთხივეს 1/4 წრეზე მარცხნივ ბრუნი. №6,7,8,9 იმავეს, რასაც № 1, 2, 3, 4 მხოლოდ მეორე მხარეს. №5 – ადგილზე დგომა; შემდეგ ყველას წინ მოძრაობა.	№1, 2, 3, 4 1-2 – ბრუნვა მარცხნივ 1/4 წრეზე, მარჯვენა ფეხი – განფერხილი; სართავებით ირმულა მდგომარეობა, მარცხენის – შიგრკალით. 3-4 – გარერკალებითა და სართავებით, გარეზემკლავი. 5-6 – მარჯვენა ფეხით ნაზურა სვლით (სვლა №23) წინსვლა; მკლავები სართავებით – III პოზიცია, მარცხენა – განზე, მარჯვენა – ზევით; ოდნავი ზნექი მარცხნივ. 7-8 – მარცხენა ფეხით ნაზურა სვლით წინსვლა, მკლავების სართავებით მდგომარეობის შეცვლა, მარცხენა – ზევით, მარჯვენა – განზე, ოდნავი ზნექი მარჯვნივ. 1-2 – №5 ადგილზე დგომა, შიგწრეებითა და სართავებით მკლავების ირმულა მდგომაროება. 3-4 – გარერკალებითა და სართავებით გარეზემკლავი. 5-8 – ნაზურა სვლით წინ ისე მოძრაობა, როგორც № 1, 2, 3, 4-ისა. 1-8 – № 6, 7, 8, 9 იგივე, რაც № 1, 2, 3, 4-ის მხოლოდ მეორე მხარეს.	6 

–	8 41-48	სამეულებად მოწყობილი № 1,2,3; 4,5,6; 7,8,9-ის სვლა მარჯვნივ, შემდეგ ბრუნვა მარცხნივ.	სამეულებად მდგომი ცხრა ქალი (№1,2,3; 4,5,6; 7,8,9): 1-2– ირმულა მდგომარეობიდან მკლავების სართავებით თანდათან წინ – გარეთ გადაშლა. 3-4 – გარეწინმკლავში ხელების ჩაკიდება და მარჯვენა ფეხით ნაზურა სვლა მარჯვნივ (სვლა №23). 5-6 – ნაზურა სვლა. 7-8 – ხელების გაშვება, სართავებით ირმულა მდგომარეობა და ბრუნვა მარცხნივ მარჯვენა ფეხის წინ დაბიჯებით.	7 
–	8 49-56	№ 1, 2, 3 სვლა წინ და მარცხნივ. № 4, 5, 6 ადგილზე დარჩენა. № 7, 8, 9 სვლა წინ – მარცხნივ და № 4, 5, 6 -ის უკან მოხვედრა.	№ 1, 2, 3: 1-6 – მარცხნივ მიბრუნება, ნაზურა სვლა წინ და მარცხნივ; მარცხენა – მკერდდახურული მდგომარეობა, მარჯვენა – განზე, ორივე ხელით სართავები. 7-8 – მკლავები – ირმულა მდგომარეობა, ბრუნვა მარცხნივ 3/4 წრეზე. 1-8 – № 4, 5, 6 ადგილზე დარჩენა და ბრუნვა მარცხნივ: ყოველ კენტ თვლაზე მარცხენა ფეხის განზე ოდნავ გადაქნევით ზნექი მარცხნივ. 1-2 –მკლავები – სართავებით გარეზემკლავი,3-4 – სართავებით ირმულა მდგომარეობა,5-6 – სართავებით გარეზემკლავი,7-8 – სართავებით ირმულა მდგომარეობა. 1-8 – № 7, 8, 9 იგივე, რაც № 1, 2, 3-ისა და დადგომა № 4, 5, 6-ის უკან.	8 
–	8 57-64	№ 1, 2, 3; 4, 5, 6; 7, 8, 9 ბრუნვა მარცხნივ გუნდურად.	სამეულებად მდგომი 9 ქალი (№№1, 2, 3; 4, 5, 6; 7, 8, 9) – 1-2 – ბრუნვა მარცხნივ, მკლავები – ირმულა. 3-6 – №1 ჩოქი მარცხენა მუხლზე, მარჯვენა ფეხი განზე,ზნექი მარცხნივ, მკლავები – გვერდულა მდგომარეობა მარჯვნივ (№19). №2 – ჩოქი ორივე მუხლზე, ჯდომა ქუსლებზე – ოდნავ წინზნექი, მკლავებით ქვეგანმკლავინებით ქვევით. №3 – იგივე, რაც №1-ის, მხოლოდ მეორე მხარეს. №4 – ვარდნა მარცხნივ, ოდნავი წინზნექი, მკლავები გვერდზე – მარცხნივ წინ და მაღლა (მკლ. მდგ. №19). №5 – ჩოქი მარჯვენა მუხლზე, მკლავები – სართავებით გარეზემკლავი. №6 – იგივე, რაც №4-ის, მხოლოდ მეორე მხარეს. №7 – დგომა მარცხენა ფეხზე, მარჯვენა ფეხით განფერხილი, ზნექი მარჯვნივ; მარცხენა მკლავი – გარეზემკლავი, ოდნავ მოღუნულად, მარჯვენა – მკერდ დახურული. №8 – მკლავები – ირმულა მდგომარეობა, შიგწრეები სართავებით. №9 – იგივე, რაც №7-ის, მხოლოდ მეორე მხარეს. 7-8 – №1, 2, 3-ის ადგომა, მკლავების ქვედაქნევითა და სართავებით ირმულა მდგომარეობა. № 4, 6, 7, 8, 9 –მკლავების,ქვედაქნევითა და სართავებით, ირმულა მდგომარეობა.	9 

II	16 65-80	№5 ადგილზე მარჯვნივ ბრუნვა. მკლავების ზემკლავში ამოძრავება. № 1, 2, 3; 4, 5, 6; 7, 8, 9 ფერხულით მარჯვნივ სვლა.	№5 თვლა 1-16 – ტერფმოქნევით (სვლა №28) მარჯვნივ ბრუნვა, მხარსართავებით და ხელსართავებით მკლავების ზემკლავში მოძრაობა. ქალები №№ 1, 2, 3-ის; 4, 5, 6; 7, 8, 9. 1-16 – №1, 2, 3 მიბრუნება მარცხნივ და ხელებჩაკიდული ფერხულის ჩაბმა, სახით ცენტრისაკენ მარჯვნივ მარცხენის ფეხმიდგმით სვლა (სვლა. №31).	10 
	16 81-96	№5 ადგილზე მარჯვნივ ბრუნვა. № 1, 2, 3; 4, 5, 6; 7, 8, 9 სვლა წინ. ბოლო ორ თვლაზე დასხდომა.	№5 1-16 – ადგილზე ბრუნვა მარჯვნივ. მარჯვენა ფეხი გარემოქნევით უკან, ზნექი მარჯვნივ. ყოველ კენტ თვლაზე ფეხის უკან მიტანა. 1-2 – მკლავები – ირმულა მდგომარეობა, 3-4 – სართავებით გარეზემკლავი. 5-6 – როგორც თვლა 1-2, 7-8 – როგორც თვლა 3-4 და ა.შ. 16 სათვალავამდე. № 1, 2, 3; 4, 5, 6; 7, 8, 9: 1-2 – სამდაკვრითი მოძრაობით ბრუნვა მარცხნივ (ბრ. №2), მკლავები – ირმულა მდგომარეობა. 3-14 – წინ ნაზურა სვლა (სვლა №23). მკლავები – მესამე პოზიცია, მარჯვენა – ზევით; შემდეგ მკლავების სართავებით გადატანა მეორე მხარეს. 15-16 – სამდაკვრითი სვლითა და მარცხნივ ბრუნით დასხდომა სახით ცენტრისკენ, მარჯვენა ფეხის წინ დარჩენა.მკლავები – განმკლავი.	11 
	16 97- 112	№5 მოძრაობა მარჯვნივ წრეზე თავის ადგილზე მისვლამდე. ბოლო ორ თვლაზე ბრუნვა მარჯვნივ. № 1, 2, 3; 4, 5, 6; 7, 8, -ის დასხდომა, ბოლო ორ თვლაზე ადგომა მარცხნივ ბრუნით.	№5 1-4 – მარჯვნივ წრეზე ნაზურა სვლა (სვლა №43), მკლავები – მარჯვენა წინმკლავი, მარცხენა – განმკლავი, შემდეგ სართავებით ირმულა მდგომარეობა. 5-8 – ნაზურა სვლის განგრძობა. მკლავები: მარცხენა – წინმკლავი, მარჯვენა – განმკლავი, შემდეგ სართავებით ირმულა მდგომარეობა. 9-12 – როგორც თვლა 1-4. 13-14 – სვლის განგრძობა, მკლავები – განმკლავი, შემდეგ სართავებით გარეზემკლავი. 15-16 – ბრუნი მარჯვნივ. მკლავები – ირმულა მდგომარეობა. № 1, 2, 3; 4, 5, 6; 7, 8, 9 1-2 – მკერდის წინ ტაშის დაკვრა, შემდეგ მკლავების გადაშლა სართავებით ნეკის გადაცილებით. 3-4 – იგივე, რაც 1-2. 5-6 – მკლავები – სართავებით III პოზიცია . მარჯვენა – ზევით, მარცხნივ ზნექი. 7-8 – იგივე, რაც 5-6, მხოლოდ მეორე მხარეს. 9-10 – იგივე, რაც 1-2. 11-12 – იგივე, რაც 3-4. 13-14 – წინზნექი, წინმკლავი. 15-16 – ადგომა მარცხნივ ბრუნით, მკლავები – სართავებით ზემკლავი (მკლ. მოძ. №27).	12 

II	16 113-128	№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 წინ და მარცხნივ სვლა და ერთ მწკრივად მოწყობა სახით მაყურებლისკენ.	ქალები №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 1-2 – ნაზურა სვლითა და გასმით (სვლა №24) წინ №1, შემდეგ №2 და ა.შ. ზნექი მარცხნივ, მკლავები – მესამე პოზიცია, მარჯვენა – ზევით. 3-4 – მოძრაობა ნაზურა სვლითა და გასმით (სვლა №24), ზნექი მარჯვნივ, მკლავები – III პოზიცია, მარცხენა – ზევით. 5-6 – იგივე, რაც 1-2. 7-8 – იგივე, რაც 3-4. 9-10 – იგივე, რაც1-2. 11-12 – იგივე, რაც 3-4. 13-14 – იგივე, რაც 1-2. 15-16 – ბრუნი მარცხნივ 1/4 წრეზე, მკლავები – სართავებით ირმულა მდგომარეობა.	13 
	8 129-136	№ 1, 2, 3-ისა და № 7, 8, 9-ის გუნდურად მოწყობა. № 4, 5, 6-ის სვლა წინ.	№1 და 7 1-2 – ბრუნი მარცხნივ 1/4 წრეზე, ჩოქი მარჯვენა მუხლზე, მარჯვენა მკლავით, გარერკალებითა და სართავებით, წინმკლავი ; მარცხენა – სართავებით გარეზემკლავი (ოდნავ მოღუნული). 3-4 – წამოდგომა და ბრუნვა მარჯვნივ 1/4 წრეზე, მარჯვენა ფეხით განფერხილი,ზნექი მარცხნივ, მკლავები – სართავებით, მარჯვნივ და ზევით, გვერდულა მდგომარეობა. 5-6 – ყოვნა. 7-8 – ზემართი, მარცხენა ფეხის მარჯვენასთან მიდგმა, მკლავები – ქვერკალითა და სართავებით განმკლავი. 1-8 – № 3, 9 იგივე, რაც №1, 7, ოღონდ მეორე მხარეს. 1-2 – №2,8 დგომა ადგილზე , მკლავებით, შიგრკალებით და სართავებით, გარეზემკლავი ნებით გარეთ. 3-4 – ყოვნა. 5-6 – ჩოქი მარჯვენა მუხლზე, მკერდის წინ ტაშის შემოკვრა, შემდეგ მკლავების სართავებით ნეკის გადაცილებით გარეზემკლავში გაშლა. 7-8 – ადგომა, მკლავები – სართავებით განმკლავი. 1-2 – №4,5,6 ნაზურა სვლა წინ. მარჯვენა მკლავის განმკლავიდან სართავით წინმკლავი, მარცხენა – სართავით წინმკლავი მარჯვენის ქვევით. 3-4 – მარჯვენა ხელის მარცხენის ზევიდან ქვევით შემოვლა (ნებით შიგნით) და შემდეგ ორივე მკლავის ზევით აწევა. 5-6 – მკლავების სართავებით (ნეკის გადაცილებით) გარეზემკლავი. 7-8 – სამსახსროვანი მოძრაობა სართავებით განმკლავამდე.	14 

	8 137- 144	№ 1, 2, 3, 7, 8, 9 წინ სვლა. № 4, 5, 6 – უკუსვლა.	№ 1, 2, 3 – 1-2 – ნაზურა სვლითა და ფეხმოსმით (სვლა №23) მოძრაობა წინ. მკლავები – სართავებით ირმულა მდგომარეობა. 3-4 – წინ იმავე სვლით, მკლავების სართავებით მარჯვნივ გვერდულა მდგომარეობა. 5-6 – იმავე სვლით წინ, მარცხენა მკლავით, ქვერკალითა და სართავით, განმკლავი. მარჯვენის ყოვნა სართავით, განმკლავში სამსახსროვანი მოძრაობა სართავებით. 7-8 – იგივე სვლა წინ. მკლავების, ზერკალებითა და სართავებით, ირმულა მდგომარეობა. 1-8 – № 7, 8, 9 იგივე, რაც № 1, 2, 3, მხოლოდ მეორე მხარეს. 1-8 – № 4, 5, 6 სამდაკვრითი სვლა უკან (სვლა №4). მკლავების ისეთივე მოძრაობა, როგორიც 129-136 თვლაზე.	15 
	16 145- 160	სამეულებად მოწყობილი №1, 2, 3 – 4, 5, 6 – 7, 8, 9-ის მოძრაობა მარჯვნივ.	№ 1, 2, 3 – 4, 5, 6 –7, 8, 9 – 1-2 – დგომა სამეულებად, ხლართულა ჩაკვრით (ჩაკვრა №9) სვლა მარჯვნივ. თითოეული სამეული ხელიხელჩაკიდებული. 9-14 – ხლართული ჩაკვრით სვლა, მკლავების თანდათან ზევით აწევა. 15-16 – ბრუნვა მარცხნივ, სახით მაყურებლისკენ, მკლავები – სართავებით ირმულა მდგომარეობა.	16 
	16 161- 175	№ 1, 2, 3 - 4, 5, 6 - 7, 8, 9 მოხვევა წინ – მარცხნივ თითოეული სამეულის რიგად მოწყობამდე; ბოლო ორ თვლაზე სახით მაყურებლისკენ მოქცევა.	№ 1, 2, 3 – 4, 5, 6 – 7, 8, 9 – 1-8 – ნაზურა სვლით მოძრაობა წინ (სვლა №23), მკლავები – III პოზიცია, მარჯვენა – ზევით. თითოეული სამეულის ცალ-ცალკე მოხვევა მარცხნივ. 9-10 – 1/4 ბრუნი მარცხნივ, მოძრაობა ნაზურა სვლით. მარჯვენა მკლავით წინმკლავი, მარცხენით – განმკლავი, შემდეგ მკლავები სართავებით ზევით – ირმულა მდგომარეობა. 13-14 – იგივე, რაც 9-10. 15-16 – ნაზურა სვლა, ბოლო თვლაზე ბრუნვა მარცხნივ სამდაკვრით (სვლა №1), სახით მაყურებლისკენ სვლა.	17 
	16 177- 192	№ 3, 2, 1 – 6, 5, 4 – 9, 8, 7 – ცეკვის დაწყებისდაგვარად დამთავრება	№ 3, 2, 1– 1-2 – №3-ის ბრუნვა მარცხნივ 1/4 წრეზე, მარჯვენა ხელის №2-ისთვის ჩაკიდება, მარცხენა მკლავის ზევით – გარეზემკლავში ნახევრად მოღუნვა, №2-ის ცქერა. 3-4 – მარცხენა ფეხით განფერხილი. 5-6 – ყოვნა. 7-8 – ერგბუქნი და ზემართი, თავისუფალი მკლავის მოძრაობა მცირე სართავით. 9-16 – ოდნავი ერგბუქნი (კენტ თვლაზე – ერგბუქნი, წყვილზე – ზემართი), თავისუფალი მკლავის ოდნავი მოძრაობა მცირე სართავით. 1-16 – №1 იგივე, რაც №3, მხოლოდ მეორე მხარეს. 1-6 – №2-ის დგომი, მკლავები – გარეწინმკლავი. 7-8 – ერგბუქნი და ზემართი. 9-16 – ოდნავი ერგბუქნი და ზემართი (კენტზე – ერგბუქნი, წყვილზე – ზემართი), მკლავების ოდნავი სამსახსროვანი მოძრაობა. დანარჩენი ორი სამეული (№ 6, 5, 4 – 9, 8, 7) – იმავეს, რასაც № 3, 2, 1.	18 

სამაია

მუსიკა ნიკოლოზ გუდიაშვილისა

Andantino

1.
2.
3
3
f

f

p

3

შუშპარი

1934 წლის ზაფხულში ამ წიგნის ავტორის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიცია სვანეთში ხალხური ცეკვებისა და სიმღერების ჩასაწერად. ექსპედიციის წევრები: შალვა ასლანიშვილი და გ. ფალავანდიშვილი. საექსპედიციო ჯგუფმა ზემო და ქვემო სვანეთის მრავალი სოფელი მოიარა. მე ვიწერდი და კინოფირზე ვიღებდი სხვადასხვა ფერხულს და ცერულს, შალვა ასლანიშვილი კი – სიმღერებს. გვსურდა, გამოგვეკვლია ცეკვა *შუშპარი.*

ბევრი ძიებისა და მოწადინების მიუხედავად, ვერ მოხერხდა ცეკვის შინაარსისა და ილეთების დადგენა. არც ერთმა მოცეკვავემ არ იცოდა *შუშპარის* შესრულების წესი. მხოლოდ მესტიაში ვიხილეთ ფერხული, რომელშიც ხელიხელჩაკიდებული ქალ-ვაჟის ხან ორი, ხან სამი წყვილი წრის შუაგულში ასრულდება *ცერულის* მაგვარ ცეკვას და მას *შუშპარს* უწოდებდნენ.

ნიკო მარი ტერმინ შუშპარს ხსნის და საფერხულო ცეკვა *შუშპარსაც* აღწერს: „სვანურით ცეკვა-სიმღერა; ქართულით – ცეკვის ერთ-ერთი სახეობა[1]. „ათი ქალი და დაახლოებით ოცი მამაკაცი წრეს ქმნის და შეწყობით ტაშს უკრავს. სიმღერას ასრულებს, როგორც ყოველთვის, ორ გუნდად გაყოფილი მწკრივად გაშლილი ან წრედ შეკრული ფერხული. ამ მწკრივის წინ, თუ წრის შიგნით ხან ერთი და ხან ორი მოთამაშე ცეკვავს – ქალი მამაკაცის თანხლებით”[2].

ამჟამად *შუშპარს* მხოლოდ ქალები ასრულებენ. გამოყენებულია ორი, სამი ან ოთხმწკრივიანი ფერხული. ცეკვის მსვლელობაში სოლისტი ქალი შედის წრეში და იქ ცეკვავს, დანარჩენი ქალები კი გარშემო წრეზე სხედან და ტაშის ცემითა და სხვადასხვა მოძრაობით აქტიურად მონაწილეობენ ცეკვაში.

1 . Н. Марр, Из поездок в Сванию (1911 - 1912гг.) „Христианский Восток”, т. I, стр. 26- 28.

2 იქვე, გვ. 13.

შუშპარი

თორმეტი ქალის შესრულებით

ნაწილი	სათვალავი	სვლაგეზი	იღუნი რთულა და მოძრაობის დასახელება	ნახაზი
	8 1-8	სამეულებად მდგარი 12 ქალის საცეკვაო ფართობის ოთხი კუთხიდან გამოსვლა და ცენტრისკენ სვლა. (№ 1, 2, 3; 4, 5, 6; 7, 8, 9; 10, 11, 12).	1-8 – რთულა სვლით (სვლა №10) მოძრაობა ცენტრისკენ. მკლავები:: I – მარჯვენა – წინმკლავი, მარცხენა – განმკლავი; სამსახსროვანი მოძრაობა მკლავების თანდათან ოდნავ ზეაწევა (მკლ. ვარჯ. № 27) 2 – მკლავების გადაბრუნება ნებით ზევით და ოდნავ ზევით აწევა. 3 – მკლავების სართავებით შიგნით ჩაგრეხა. 4 – ირმულა მდგომარეობა ნებით გარეთ (მკლ. ვარჯ. №27). ამ მოძრაობისას სხეულის თანდათან მარჯვნივ მიბრუნება. ცქერა: 1-2 – მარჯვენა ხელს 3-4 – მარცხენა ხელს, 5-8 – მკლავებით ზემოთ აღწერილი მოძრაობების გამეორება, ოღონდ მარცხენით წინმკლავი და სხეულის თანდათან მარცხნივ მიბრუნება.	1 
	8 9-16	სვლის ცენტრისკენ განგრძობა	1-8 – იმავე რთულა სვლით. ცენტრისკენ მოძრაობა (სვლა №10). მკლავები: 1 – მარჯვენა –წინმკლავი, მარცხენა – განმკლავი, სამსახსროვანი მოძრაობა სართავებით, მკლავების თანდათან ოდნავ ზეაწევა. 2 – მკლავების გადაბრუნება ნებით ზევით და ოდნავ ზევით აწევა. 3 – მკლავების სართავებით ჩაგრეხა შიგნით და 4 – ირმულა მდგომარეობა ნებით გარეთ. ამ მოძრაობისას სხეულის თანდათან მარჯვნივ მიბრუნება. ცქერა: 1-2 – მარჯვენა ხელს,3-4 – მარცხენა ხელს. 5-6 მარცხენის წინმკლავი, მარჯვენის განმკლავი; მე-6-ზე გარეზემკლავი. მოძრაობა სამ სახსროვანი სართავებით. 7-8 – ტაში მკერდის წინ და გარესართავები მხრების სიმაღლეზე, შემდეგ თითების ტკაცუნი, მკერდი გაშლილი, მარცხენა ხელის ცქერა, სხეულის მარცხნივ მიბრუნება (მკლ. ვარჯ. № 28)	2 

	8 17-24	№ 3, 6, 9, 12 ხელიხელჩაკიდული მოძრაობა მარჯვნივ. № 2 და 5 მარჯვნივ ოდნავ მიბრუნებით მარჯვენა მხრიდან-შემოვლა № 1-ისა და 4-ისათვის. №1-ისა და 4-ის მარჯვნივ ბრუნვა თავიანთ ადგილებზე მისვლამდე. №11 და 8 მარცხნივ ოდნავ მიბრუნებით № 10-ისა და 7-ის-გარშემო შემოვლა. № 10-ისა და 7-ის მარცხნივ ბრუნვა თავიანთ ადგილზე მისვლამდე.	№ 3, 6, 9 და 12 1-8 – ხელჩაკიდებული ნაზურა სვლით მოძრაობა მარჯვნივ (სვლა №23). 1-8 – მარჯვნივ ოდნავ მიბრუნებით ნაზურა სვლით გარშემოვლა №1-ისა და 4-ისათვის და თავიანთ ადგილებზე მისვლა. მარჯვენა მკლავი ერგდახურული მკერდის წინ, მარცხენა – განზე გაშლილი, ზეტანი მარჯვნივ ოდნავ გაზნექილი. № 11, 8 1- 8 თვლა – მარცხნივ ოდნავ მიბრუნებით ნაზურა სვლით გარშემოვლა № 10-სა და 7-ისა. მარცხენა მკლავი ერგდახურული მკერდის წინ, მარჯვენა – განზე გაშლილი, ოდნავ განზნექი მარცხნივ. 1-8 – № 1-ისა და 4-ის ადგილზე მარჯვნივ ბრუნვა. მკლავები – ირმულა მდგომარეობა სართავებით. 1-7 – ცქერა უკან გადადგმული მარჯვენა ფეხის ქუსლისთვის. 1-8 – № 10-ისა და 7-ის ადგილზე მარცხნივ ბრუნვა და იგივე მოძრაობა, რაც №1-ისა და 4-ის, მხოლოდ მეორე მხარეს.	3 
	8 25-32	№ 3, 6, 9, 12 ხელებჩაკიდებული მოძრაობა მარცხნივ. № 1-ისა და 4-ის მარჯვნივ მიბრუნებით გარშემოვლა №2-ისა და 5-ისათვის. №10 და 7 მარცხნივ მიბრუნებით გარშემოვლა №1ისა და 8-თვის. №2-ისა და 5-ის ადგილზე მარჯვნივ ბრუნვა. №11-ისა და 8-ის ადგილზე მარცხნივ ბრუნვა.	№ 3, 6, 9, 12 1-8 – ხელებჩაკიდული ნაზურა სვლით მოძრაობა მარცხნივ. 1-8 – № 1-ის და 4-ის მარჯვნივ მიბრუნებით ნაზურა სვლით გარშემოვლა №2-ისა და 5-ისათვის, მარჯვენა მკლავი – ერგდახურული გულმკერდის წინ, მარცხენა – განზე გაშლილი, ოდნავი განზნექი მარჯვნივ. 1-8 – № 10-ის და 7-ის მარცხნივ მიბრუნებით, ნაზურა სვლით გარშემოვლა №11-ისა და 8-ისთვის. მარცხენა მკლავი ერგდახურული მკერდის წინ, მარჯვენა – განზე გაშლილი, ოდნავი განზნექი მარცხნივ. 1-8 – № 2-ის და 5-ის ადგილზე მარჯვნივ ბრუნვა, მკლავები – ირმულა მდგომარეობა სართავებით. თვლა 1-7 – ცქერა უკან გადადგმული მარჯვენა ქუსლისაკენ. 1-8 – №11-ის და 8-ის ადგილზე მარცხნივ ბრუნვა და № 2-ისა და 5-ის მოძრაობების გამეორება, მხოლოდ მეორე მხარეს.	4 
	8 33-40	ყოველი სამეულის 1/2 ან 3/4 ბრუნი მარცხნივ, შემდეგ სვლა დიდი წრის შესაკრავად.	1-8 – სამეულების ბრუნვა დაახლოებით 1/2-ით ან 3/4-ით მარცხნივ და გლუსუნა სვლით მოძრაობა (სვლა №19) წინ დიდი წრის შესაკრავად. 1-2 – მარცხენა მკლავი წელს უკან. მარჯვენა – გარე განმკლავიდან ერგმკერდდახურული. 3-4 – მკლავების განზე გაშლა, მარჯვენა მკლავი წელს უკან, მარცხენა – ერგმკერდდახურული – მოძრაობა სართავებით. 5-6 – როგორც 1-2. 7-8 – როგორც 3-4. მკლავების ერთი მდგომარეობიდან მეორეში სართავებით გადატანა.	5 

	4 41-48	დიდ წრეზე მარცხნივ მოძრაობა.	1-8 – 12 ქალის წრეზე ნაზურა სვლა მარცხნივ (სვლა №23). 1-2 – მკლავების გარესართავებით გარეზემკლავი, მარჯვენა ხელის ცქერა. 3-4 – მკლავების შიგრკალებით ირმულა მდგომარეობა, ცქერა – მარცხნივ. 5-6 – მკლავების გარესართავებით გარეზემკლავი, მარცხენა ხელის ცქერა. 7-8 – მკლავების შიგრკალებით ირმულა მდგომარეობა, ცქერა – მარჯვნივ.	6 
	8 49-56	ცენტრისკენ წრისშეიწროება.	1-8 – 12 -ვეს ტერფმოქნევითი სვლა (სვლა №29) მარცხნივ, ცენტრისაკენ. მკლავების თანდათან მარჯვნივ გადატანა, ზნექი მარცხნივ, ცქერა – დაბლა, მარცხენა მხარის გადაცილებით. მკლავების მოძრაობა მცირე სართავებით.	7 
	8 57-64	ცენტრიდან წრის გაფართოება.	1-8 – 12 ქალის ტერფმოქნევით სვლა გარეთ (სვლა №29), მკლავები ზეაქნევით მარცხნივ, ზნექი მარჯვნივ. მკლავების მცირე სართავებით მოძრაობა, დაბლა ცქერა მარჯვენა მხარის გადაცილებით.	8 
	16 65-80	სამ-სამად (№1,2,3,4,5,6 – 7,8,9 – 10,11,12) წრეზე მოძრაობა მარცხნივ. 13-16 – №2, 11, 8, 5-ის წრის გარეთ მოხვედრა №9 ნახაზის მიხედვით.	1-12 – სამ-სამად მოწყობილი 12-ვეს ხელჩაკიდული მოძრაობა მარცხნივ ნაზურა სვლით (სვლა №23). 13-15 – ადგილზე მოძრაობა სამდაკვრითი სვლით (სვლა №1). ხელების გაშვება, მკლავებით სართავებით ირმულა მდგომარეობა, შემდეგ მარცხნივ ცენტრისკენ მიბრუნება.	9 
	16 81-96	ხელჩაკიდული მოძრაობა დიდ წრეზე მარცხნივ, შემდეგ მარცხნისაკენ მიბრუნება და მარჯვენა ფეხის შიგნით მოქნევით დიდ წრეზე დასხდომა. №2-ის წრეში შესვლა.	1-12 – ხელჩაკიდული 12-ვეს წრის შემოვლა მარცხნივ ნაზურა სვლით (სვლა №23). 13-16 – ხელების გაშვება, მკლავების განზე გაშლა, ბრუნვა მარცხნივ და მარჯვენა ფეხის წინ შიგმოქნევით ქუსლებზე დასხდომა, სართავებით ირმულა მდგომარეობა. 13-16 – №2: ნაზურა სვლით წინ, ცენტრისკენ; მკლავების სამსახსროვანი მოძრაობითა და სართავებით ირმულა მდგომარეობა.	10 

	16 97- 112	№2-ის გამოკლებით დასხდომა და მოძრაობის შესრულება. №2-ის წრის ცენტრში მოძრაობა.	1-4 – 11-ვე ტაშს უკრავს. 5-8– ტაშის ორჯერ შემოკვრა, შემდეგ თითტკაცუნითა და სართავებით მკლავების განზე – მხრების სიმაღლეზე აწევა. იდაყვები – ქვევით, ნები – ზევით. 9-16 –5-8 ტაქტის ორჯერ გამეორება. 1-12 –№2-ის მიერ (წრის ცენტრში) მარცხნივ ქრიალა სვლით წრის შემოვლა (სვლა №16), მკლავები – საქრიალო მდგომარეობა. 13-16 – სამდაკვრითი სვლით (სვლა№1) ბრუნვა მარცხნივ. განზე გაშლილი მკლავების სართავებით სამსახსროვანი მოძრაობა, შემდეგ შიგსართავებით თანდათან ირმულა მდგომარეობა.	11 
II	16 113- 128	№2-ის გამოკლებით წრეზე სხდომა და მოძრაობის შესრულება. №2-ის წრის შიგნით მოძრაობა.	11 ქალი: 1-4 –ტაში თითტკაცუნით. 5-8 – შიგსართავებით მარჯვენა მკლავის რკალგვარად აწევა, მარცხენა – განზე; შემდეგ: მარცხენა რკალგვარად ზევით, მარჯვენა – განზე. 9-10 – ტაში თითტკაცუნით. 11-12 – მკლავების სართავებით ირმულა მდგომარეობა. 13-16 – იგივე, რაც 9-10ტაქტი. 1-2 – №2-ის სადა გასმა ადგილზე (გასმა №1) მკლავების, გარერკალებითა და სართავებით, გარეზემკლავი. 3-4 – სადა გასმა ადგილზე, მკლავების, შიგრკალებითა და სართავებით, ირმულა მდგომარეობა. 5-8 – გედურა სვლა მარჯვნივ (სვლა№7), მკლავები – იდაყვებგადაშლილი, თითები – კეფაზე. 9-12 – იგივე, რაც 1-4ტაქტი. 13-14 – ბრუნვა მარცხნივ მარცხენა ფეხის გარე-უკან გადგმით, ზნექი მარცხნივ. გარერკალებით გარეზემკლავი სართავებით. 15-16 – იგივე, რაც 13-14ტაქტი, მხოლოდ მკლავების სართავებით ირმულა მდგომარეობა.	12 
III	8 129- 136	№5,8,11-ის წამოდგომა №2-თან. მიახლოება. №12, 10, 9,7,6,4,3-ისა და 1-ის ადგილზე მოძრაობა.	1-4 – № 5, 8, 11-ის ადგომა და რთულა სვლა წინ (სვლა №10), განმკლავიდან გარეწინმკლავი, ხელების ჩაჭიდება და გარეზემკლავი. 1-4 – №2-ის ცენტრიდან სვლა სამდაკვრითი უკუსვლით (სვლა №4), მკლავების გარეზემკლავიდან გარეწინმკლავი, ხელების ჩაჭიდება №11-სა და 5-თან და გარეზემკლავში აწევა. 5-8 – №2, 5, 8 და 11 – ერგბუქნი, მარცხენა ფეხი წინ, მკლავები – გარეწინმკლავი, შემდეგ ზემართი და გარეზემკლავი (ხელები – ჩაჭიდებული). 1-4№12,10,9,7,6,4,3,1 – ადგომა, სამდაკვრითი სვლით ადგილზე მოძრაობა (სვლა №1), მკლავები – გარეზემკლავიდან გარეწინმკლავი, შემდეგ გარეზემკლავი. 5-8 – ერგბუქნი, მარცხენა ფეხი წინ, მკლავები – გარეწინმკლავი; შემდეგ ზემართი, მარცხენა ფეხის მიდგმა და გარეზემკლავი.	13 

II	8 137-144	№ 12,10,9,7,6,4,3,1-ის მარჯვნივ მოძრაობა.	1-8 – № 12,10,9,7,6,4,3,1 – მოძრაობა მარჯვნივ ნაზურა სვლით (სვლა №23), მკლავები – გარეზემკლავი, ხელები – ჩაკიდებული. 1-8 – № 2,5,8,11 – ნაზურა სვლით მოძრაობა მარცხნივ, მკლავები – გარეზემკლავი, ხელები – ჩაკიდებული.	14 
	16 145-160	№ 2,5,8,11-ის შესვლა გარე წრეში თავიანთ ადგილებზე. მარცხნივ მიბრუნებით სვლა მარცხნივ და ორ მწკრივად მოწყობა (პირველი მწკრივი – № 1-6, მეორე –№ 7-12).	№2,5,8,11 მარცხნივ შებრუნებით გარე წრეში თავიანთ ადგილებზე დადგომა. 1-14 – 12-ვე: ხელების გაშვება, მარცხნივ მიბრუნებით სვლა დიდი წრის გადაცილებით ორი მწკრივის მოსაწყობად – ჯერ ნაზურა, შემდეგ გლუსუნა სვლით (სვლა № 23 და № 12). ნაზურა სვლისას მკლავები: მარცხენა – მკერდდახურული, მარჯვენა – წელს უკან. ყოველ ორ თვლაზე მკლავების მდგომარეობის შეცვლა განმკლავითა და სართავებით. მე-9 თვლიდან მკლავების მდგომარეობის შეცვლა: მარცხენა – ზევით, მარჯვენა – განზე, შემდეგ მარჯვენა – ზევით, მარცხენა – განზე და ა.შ. 15-16 – ბრუნი მარცხნივ, განმკლავითა და სართავებით მკლავების ირმულა მდგომარეობა.	15 
II	16 161-176	12 ქალის ჯერ ადგილზე მოძრაობა, შემდეგ – სამ ოთხეულად მარცხნივ.	1-4 – 12-ვე: მარცხენა ფეხის მარცხნივ განზე და უკან გატანით, მარცხნივ ბრუნვა. პირველი ორი თვლა – მკლავების გარეზემკლავი. 3-4 – სართავებით ირმულა მდგომარეობა. ზნექი მარცხნივ, მარცხენა მხრის გადაცილებით მარცხენა ქუსლის ცქერა. 5-14 – მარცხნივ ოდნავ ბრუნის შემდეგ პირველი მწკრივის 2 ქალის ხელების ჩაკიდება მეორე მწკრივის ორი ქალისთვის და სამ ოთხეულად(№ 6-7-5-8, 4-9-3-10, 2-11-2-12) ნაზურა სვლა მარცხნივ (სვლა №23). 15-16 – ხელების გაშვება და სამდაკვრითი სვლით ადგილზე ბრუნვა მარცხნივ (სვლა №1). მკლავები – სართავებით ირმულა მდგომარეობა	16 
II	8 177-184	№ 1-6-ის მოძრაობა უკან, წინ, მარცხნივ და მარჯვნივ. №7-12-ის მოძრაობა წინ, უკან, მარჯვნივ და მარცხნივ.	№ 1-6-ის ოდნავი ბრუნვა მარცხნივ. 1-2 – მარცხენა ფეხით სამი ნაბიჯი უკან და ცერდაკვრა მარჯვენა ფეხით, ერგბუქნი და ოდნავ უკუზნექი, მკლავები – წინმკლავი, ნებით წინ. 3-4 – მარჯვენა ფეხით სამი ნაბიჯი წინ და მარცხენა ფეხის ადგილზე დაკვრა, ერგბუქნი და წინზნექი. მკლავები – იღლიებქვეშ გატანით – უკუმკლავი. 5-6 – მარცხენა ფეხით მარცხნივ სამი ნაბიჯი, მარჯვენა ფეხის მუხლმოქნევით მარცხენის მუხლის დახურვა; ზნექი მარცხნივ, ერგბუქნი. მკლავები – მარჯვნივ განზე სახის წინ ჩაგრეხით, ნები მარჯვნივ. ცქერა ოდნავ მარჯვნივ. 7-8 – იგივე 5-6 ტაქტი, მხოლოდ მეორე მხარეს. № 7-12-ის ოდნავი ბრუნვა მარცხნივ. 1-8 – იგივე, რაც № 1-6, მხოლოდ მოძრაობის დაწყება მარჯვენა ფეხით – წინ, შემდეგ უკან, მარჯვნივ და მარცხნივ.	17 

II	8 185- 192	№ 1-6-ისა და 7-12-ის მოძრაობა წინა ნახაზზე, მხოლოდ დასაწყისში მიბრუნება მარჯვნივ 90º-ით.	1-8 – დასაწყისში № 1-6-ისა და № 7-12-ის ბრუნვა მარჯვნივ 90^0-ით და გამეორება წინა 1-8 ტაქტზე აღწერილი მოძრაობებისა: № 1-6-ის მოძრაობა ჯერ უკან, შემდეგ წინ, მარცხნივ, ბოლოს – მარჯვნივ. № 7-12-ის მოძრაობა ჯერ წინ, შემდეგ უკან, მარჯვნივ, ბოლოს – მარცხნივ.	18
II	16 193- 208	№ 1-6-ისა და 7-12-ის სვლა წინ, სახით მაყურებლისკენ, შემდეგ წრედ დადგომა.	1-2 – № 1-6 და № 7-12 – ნაზურა სვლა წინ (სვლა №23), მკლავები – ირმულა მდგომარეობა. 3-4 – № 1-6 – ბრუნვა მარცხნივ ნაზურა სვლით. № 7-12 – ყოვნა. 5-8 – ხელების ჩაკიდება და დიდი წრის შეკვრა. 9-12 – ორი ერგბუქნი, ცქერა მარცხნივ, შემდეგ – მარჯვნივ. 13-16 – ნაზურა სვლა ცენტრისკენ. მკლავები – სართავებით ირმულა მდგომარეობა, შემდეგ გადაშლა და ერთმანეთისათვის გადახვევეა.	19 
II	16 209- 224	მარცხნიდან მარჯვნივ მკლავებგადახვეული სცენიდან გასვლა.	1-16 – მკლავებგადახვეული. 12-ვეს ჭდობილი ხლართულა სვლით მოძრაობა მარჯვნივ. (სცენიდან გასვლისას წინამძღოლი №1 მარჯვენა ხელს გაუშვებს №12-ს. №1-ს განზე გაშლილი რჩება მარჯვენა მკლავი, №12-ს – მარცხენა).	20 

შუშპარი

მუსიკა ნიკოლოზ გუდიაშვილისა

mp
8va
p
8va
1.
2.
mf
mf

1.
2.
p
mp
pp

mf
3
p
mf

f
f

თუშ ქალთა ცეკვა

კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის *თუშ ქალთა ცეკვა* ცალკე დაიბეჭდა, მაგრამ შემდეგ შეიტანა ოპერაში *თქმულება შოთა რუსთაველზე.*

ცეკვაში 12 ქალი მონაწილეობს, მათ შორის გამოყოფილია ორი სოლისტი – №1 და №2 – წინამძღოლები. შესავლის შემდეგ ორი ჯგუფი გამოდის მარჯვენა და მარცხენა კულისიდან. თითოეულში ექვს-ექვსი მოცეკვავეა. პირველი ტაქტიდან 24-მდე მოძრაობენ მაყურებლისაკენ – რამპის მხარეს. 25-ე ტაქტიდან, ადგილზე ილეთების შესრულების შემდეგ, (68-ე ტაქტიდან), ერთი მწკრივი „გაჭრით“ გაუვლის მეორეს და ორივე ერთ დიდ წრეზე დადგება. 68-ე ტაქტზე წრის შუაში შედის პირველი სოლისტი, ცეკვავს 83-ე ტაქტამდე და თავის ადგილს უბრუნდება.

84-ე ტაქტიდან დიდი წრე გაიყოფა ორ მცირე წრედ. 99-ე ტაქტზე წრეში შევლენ №1 და №2 სოლისტები, 116-ე ტაქტიდან სოლისტები უბრუნდებიან თავთავიანთ ჯგუფს და გარეშემოვლით წაიყვანენ ჯგუფებს ისე, რომ, უკანა ფარდის ახლოს, ერთიმეორის გვერდზე მოეწყოს ორი რიგი. 151-ე ტაქტიდან, წნული გავლის შემდეგ, 174-ე ტაქტზე ყველა მოხვდება სახით მაყურებლისაკენ. რამდენიმე ილეთის შესრულების შემდეგ, 183-ე ტაქტზე მოეწყობიან ერთ მწკრივად (სახით მაყურებლისკენ), ცეკვის დამთავრებისას პირველი მწკრივი (**№ 1**,6,5,4,3,2) ცალ მუხლზე იჩოქებს, დანარჩენი 6 (**№ 2**ა, 3ა, 4ა, 5ა, 6ა, 1ა) – უკან რჩება,

ცეკვა მთლიანად მთიულური ილეთებისაგან შედგება.

თუშ ქალთა ცეკვა

თორმეტი ქალის შესრულებით

ცეკვა დადგა დავით ჯავრიშვილმა ოპერაში *თქმულება შოთა რუსთაველზე.*

ნაწილი	ტაქტი	I ჯგუფის სვლაგზები (№ 1,2,3,4,5,6)	იღეთის სათვალავი და მოძრაობის დასახელება	II ჯგუფის სვლაგზები (№ 1ა,2ა,3ა,4ა,5ა,6ა)	იღეთის სათვალავი და მოძრაობის დასახელება	ნახაზი
I	4 8 1-8	შესავალი შესავლის შემდეგ პირველი ჯგუფის მიერ 3 წერტიდან მარცხნივ დიდი წრის შემოვლა (გაივლის 2-1-8 წერტებს). ნახაზი№1	1-8 – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12), მკერდის წინ მარცხენა მკლავის წინამხარი, მარჯვენა – წელს უკან. მე-8 ტაქტზე, მკლავების ქვედაქნევითა და სართავით, განზე გაშლა.	მეორე ჯგუფის მიერ 7 წერტიდან მარჯვნივ დიდი წრის შემოვლა და 8-1-2 წერტების გავლა.	1-8 – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12). მკერდის წინ მარცხენა მკლავის წინამხარი, მარჯვენა – წელს უკან. მე-8 ტაქტზე მკლავების ქვედაქნევითა და სართავით განზე გაშლა.	1 
II	8 9-16	წრეშემოვლის იმავე მიმართულებით განგრძობა. (7-6-5 წერტების გავლა). ნახაზი №2.	1-8 – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12). I ტაქტი – მკლავების ქვედაქნევით სამთიულურო (მკერდახურული) მდგომარეობა, მარჯვენა – მკერდის წინ. მე-8 ტაქტი – მკლავების ქვედაქნევითა და სართავით განზე გაშლა.	იმავე მიმართულებით წრეშემოვლის განგრძობა,- 3-4-ა წერტების გავლა.	1-8 – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12). I ტაქტი – მკლავების ქვედაქნევით სამთიულურო მდგომარეობა. მარჯვენა – მკერდის წინ. მერვე ტაქტი – მკლავების ქვედაქნევითა და სართავით განზე გაშლა.	2 
	8 17-24	იმავე მიმართულებით წრეშემოვლის განგრძობა ჯგუფის პირველი ნომრის 2 წერტთან მოხვედრამდე, დანარჩენ-მოცეკვავეთა ნახაზის მიხედვით განლაგება (ნახაზი №3).	1-7 – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12). I ტაქტი – ქვედაქნევით მკლავების სამთიულურო მდგომარეობა, მარცხენა – მკერდის წინ. 1 ტაქტი – ბრუნი მარცხნივ. მკლავების სართავებით განზე გაშლა.	იმავემიმართულებით წრეშემოვლის განგრძობა, ვიდრე 1-ლი არ მოხვდება 8 წერტთან. დანარჩენ მოცეკვავეთა ნახაზის მიხედვით განლაგება.	1-7 – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12). I ტაქტი – ქვედაქნევით მკლავების სამთიულურო მდგომარეობა, მარცხენა – მკერდის წინ. I ტაქტი – ბრუნი მარცხნივ, მკლავების სართავით გაშლა.	3 

II	11 25-35	ადგილზე ილეთების შესრულება.	1-2 – მარჯვენით სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1), ბრუნი მარჯვნივ. 2 ტაქტი – მარცხენით სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1). 2 ტაქტი – მარჯვენით სადა ჩაკვრა, ბრუნი მარჯვნივ. 2 ტაქტი – მარცხენით სადა ჩაკვრა, ბრუნი მარცხნივ. 8 ტაქტი – მკლავები განზე. 3 ტაქტი – მარჯვენით სადა ჩაკვრა, ჭდობსკუპით ბრუნი მარცხნივ (ბრუნი №9) მარცხენა ფეხის შიგ და განზე გადაქნევით. მარჯვენა მკლავით სამთიულურო მდგომარეობა.	ადგილზე ილეთების შესრულება	1-2 – მარჯვენით სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1), ბრუნი მარჯვნივ. 2 ტაქტი – მარცხენით სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1), ბრუნი მარცხნივ. 2 ტაქტი – მარჯვენით სადა ჩაკვრა, ბრუნი მარჯვნივ. 2 ტაქტი – მარცხენით სადა ჩაკვრა, ბრუნი მარცხნივ. 8 ტაქტი – მკლავები განზე. 3 ტაქტი – მარჯვენით სადა ჩაკვრა, ჭდობსკუპით ბრუნი მარცხნივ (ბრუნი №9) მარცხენა ფეხის შიგ და განზე გადაქნევით. მარჯვენა მკლავით სამთიულურო მდგომარეობა.	4
II	8 36-43	5-1 ხაზის პარალელურად მწკრივად მოწყობა და წინსვლა – მწკრივის მწკრივით „გაჭრით“ გავლა. მერვე ტაქტის დასასრულს პირველი ჯგუფის მწკრივის მარცხნივ ნახევარი ბრუნით მეორისაკენ სახით მოქცევა.	8 ტაქტი – ჭდობილი წინსვლა მარჯვენა ფეხით (სვლა № 14). მე-8 ტაქტის დასასრულს ნახევარი ბრუნი მარცხნივ, მარჯვენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ. მკლავები – სამთიულურო მდგომარეობა (ვარჯიში №31).	5-1 ხაზის პარალელურად მწკრივად მოწყობა და წინსვლა. მწკრივის მწკრივით „გაჭრით“ გავლა. მე-8 ტაქტის დასასრულს პირველი ჯგუფის მწკრივის მარცხნივ ნახევარი ბრუნით მეორისაკენ სახით მოქცევა.	8 ტაქტი – ჭდობილი წინსვლა მარჯვენა ფეხით (სვლა № 14). მე-8 ტაქტის დასასრულს ნახევარი ბრუნი მარცხნივ, მარჯვენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ. მკლავები – სამთიულურო მდგომარეობა (ვარჯიში №31).	5 

	8 44-51	მწკრივად უკუსვლა, შემდეგ მარცხნივ ნახევრად მიბრუნება და წინსვლით მარცხნივ მცირე წრის დახვევა (თითოეული თავის გარშემო).	4 ტაქტი – სამდაკვრით უკუსვლა (სვლა №4), მკლავები – თანდათან ქვეგანმკლავი. 4 ტაქტი – ნახევარი ბრუნი მარცხნივ, მარცხნივ წინსვლით მცირე წრის დახვევა განიერი რთულათი (სვლა №12), მკლავების ირიბი მდგომარეობა, მარჯვენა – ზევით (მკლ. მდგ. №12).	მწკრივად უკუსვლა, შემდეგ მარცხნივ ნახევრად მიბრუნება და წინსვლით მარცხნივ მცირე წრის დახვევა (თითოეული თავის გარშემო)	4 ტაქტი – სამდაკვრით უკუსვლა (სვლა №4), მკლავები – თანდათან ქვეგანმკლავი. 4 ტაქტი – ნახევარი ბრუნი მარცხნივ, მარცხნივ წინსვლით მცირე წრის დახვევა განიერი რთულათი (სვლა №12), მკლავების ირიბი მდგომარეობა, მარჯვენა – ზევით (მკლ. მდგ. №12).	6 
	8 52-59	დიდ წრედ მოწყობა და წრე-შემოვლით-მარცხნივ სვლა	7 ტაქტი – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12). მკერდის წინ მარცხენა მკლავის წინამხარი. 1 ტაქტი – ნახევარი ან ერთ-ნახევარი ბრუნი მარცხნივ და ზურგით წრეშემოვლის მიმართულებით მოქცევა. მკლავები – I პოზიცია.	დიდ წრედ მოწყობა დამარცხნივ წრე-შემოვლა.	7ტაქტი – განიერი რთულაწინსვლა (სვლა №12). მკერდის წინ მარცხენა მკლავის წინამხარი. 1ტაქტი – ნახევარი ან ერთ-ნახევარი ბრუნი მარცხნივ და ზურგით წრეშემოვლის მიმართულებით მოქცევა. მკლავების I პოზიციაში გაშლა.	7 
	8 60-67	დიდ წრეზე უკუსვლა. ბოლო ტაქტზე ბრუნის შემდეგ სახით ცენტრისკენ მოქცევა. ამავე ტაქტზე წრის ცენტრში №1-ის შეჭრა.	7 ტაქტი – სადა ჩაკვრით უკუსვლა (სვლა №1). მკლავების მოძრაობა – სამთიულურო მდგომარეობა. 1 ტაქტი – 3/4 ბრუნი მარცხნივ (ბრუნის შემდეგ სახით ცენტრისკენ მოექცევა). მკლავები - განზე გაშლილი. მერვე ტაქტზე №1-ის წრეში შესვლა.	დიდ წრეზე უკუსვლა ბოლო ტაქტზე ბრუნის შემდეგ სახით ცენტრისკენ მოექცევა.	7 ტაქტი – სადა ჩაკვრით უკუსვლა (სვლა №1). მკლავების მოძრაობა – სამთიულურო მდგომარეობა. 7 ტაქტი – სადა ჩაკვრით უკუსვლა (სვლა №1). მკლავების მოძრაობა – სამთიულურო მდგომარეობა.	8 

ნაწილი	ტაქტი	ორიგე ჯგუფის სვლაები	იღეთის სათვალყვი და მოძრაობის დასახელება	ნახაზი
II	8 68-75	დიდ წრეში №1-ის ცეკვა. 11-ის წრეზე დგომა და 4 ტაქტზე ადგილზე ილეთების შესრულება, შემდეგი 4 ტაქტი – წრეშემოვლა.	წრეზე 11-ვეს დგომა. 1 ტაქტი – მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი განზე, მარცხენა ტერფის მარჯვენის წინ დადგმა – დატყაპუნებითა და ტაშით. 1ტაქტი – იგივე მეორე მხარეს. 1ტაქტი – მარჯვენა ფეხით. 1ტაქტი – მარცხენა ფეხით (ტაშით ყოველი ტაქტის მეორე ნახევარში). 3 ტაქტი – მარცხნივ წრეშემოვლა განიერი რთულა სვლით (სვლა №10). მკერდის წინ მარჯვენა მკლავის წინამხარი, მარცხენა – წელს უკან. 1 ტაქტი – ბრუნი მარჯვნივ, მკლავები განგაშლილი. წრის ცენტრში №1. 8 ტაქტი – სამდაკვრითი სვლით ადგილზე ბრუნვა მარჯვნივ. მკლავები იდაყვებგადაშლილი, თითები კეფაზე. ზეტანის ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ გადაზნექა.	9 
II	8 76-83	11-ვეს წრეზე დგომა და 4 ტაქტზე ადგილზე ილეთების შესრულება. შემდეგი 4 ტაქტი – წრეშემოვლა. 83-ე ტაქტზე №1-ის მწყობრში სწრაფად შესვლა.	11-ვე წრეზე. 1 ტაქტი – მარჯვენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი განზე, მარცხენა ფეხის ტერფის მარჯვენის წინ დადგმა დატყაპუნებითა და ტაშით. 1ტაქტი – იგივე მეორე მხარეს. 1ტაქტი – მარჯვენა ფეხით. 1ტაქტი – მარცხენა ფეხით (ტაშით ყოველი ტაქტის მეორე ნახევარში). 3 ტაქტი –განიერი რთულა სვლით მარცხნივ წრეშემოვლა (სვლა №10). მკერდის წინ მარჯვენა მკლავის წინამხარი, მარცხენა – წელს უკან. 1 ტაქტი – ბრუნი მარჯვნივ, მკლავები განგაშლილი. წრეში – №1 7 ტაქტი – ჩაკვრები. 1 ტაქტი – მწყობრში სწრაფად შესვლა.	10 

ტაქტი ნაწილი	I ჯგუფის სვლაგეზი (№ 1,2,3,4,5,6)	იღეთის სათვალავი და მოძრაობის დასახელება	II ჯგუფის სვლაგეზი (№ 1ა,2ა,3ა,4ა,5ა,6ა)	იღეთის სათვალავი და მოძრაობის დასახელება	ნახაზი
8 84-91	პირველი ჯგუფის მარცხნივ გარე-შემოვლით სვლა.	8 ტაქტი – განიერი რთუ-ლა წინსლვა (სვლა № 12). მარცხენა მკლავის წინამხ-არი მკერდის წინ, მარჯვენა – წელს უკან.	მეორე ჯგუფ-ის მარ-ჯვნივ გარე-შემოვლით სვლა.	8 ტაქტი – განიერი რთულა წინსლვა (სვლა № 12). მარ-ჯვენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარცხენა – წელს უკან.	11 
8 92-99	7 ტაქტი – წრეშემოვ-ლა. მე-8 ტაქტი – (99) წრეში №1-ის შესვლა, და-ნარჩენების მის გარშემო ცეკვა.	7 ტაქტი – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12). მარცხ-ენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარჯვენა – წელს უკან. 1 ტაქტი – ბრუნი მარცხნივ, სახით თავისი წრის ცენტრი-საკენ მოქცევა. ბოლო ტაქტზე №1-ის თავი-სი წრის ცენტრში შესვლა.	7 ტაქტი – წრეშემოვ-ლის განგრ-ძობა, მე-8 ტაქტი– (99) წრეში №1-ის შესვლა, და-ნარჩენების მის გარშემო ცეკვა.	7 ტაქტი – განიერი რთულა წინსვლა (სვლა №12). მარ-ჯვენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარცხენა – წელს უკან. 1 ტაქტი – ბრუნი მარჯვნივ, სახით თავისი წრის ცენ-ტრისკენ მოქცევა. ბოლო ტაქტზე №1-ის თავი-სი წრის ცენტრში შესვლა	12 
8 100- 107	ხუთეულის წრეზე ცეკვა, №1 წრის ცენტრში.	პირველი ხუთეული 1 ტაქტი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი განზე, მარცხენა ფეხის ტერფის მარჯვენის წინ დადგმა დატყაპუნებით, ტაქტის მეორე ნახევარში – ტაში. 1 ტაქტი – იგივე მეორე მხარეს. 1 ტაქტი – იგივე მარჯვენა მხარეს 1 ტაქტი – იგივე მარცხენა მხარეს. 3 ტაქტი – განიერი რთულა სვლით მარცხნივ წრეშემოვ-ლა. (სვლა №12). მკერდის წინ მარჯვენა მკლავის წინამხ-არი, მარცხენა – წელს უკან. 1 ტაქტი – ბრუნი მარჯვნივ, მკლავები – განზე. 2 ტაქტი – №1 – სადა ჩაკვრა (მარჯვენა ფეხით , ჩაკვრა №1), მკლავე-ბი – განზე. 2 ტაქტი. – სკუპსტომით ფეხცვლა და ბრუნი მარცხ-ნივ, მკლავები ჯერ მარჯვნივ – ქვევით, შემდეგ გარეგაქნე-ვით განზე (ბრუნი №9). 4 ტაქტი – ადგილზე მარ-ცხნივ ბრუნი (ერგცერების სამდაკვრითი მოძრაობით), მკლავები – იდაყვებგადა-შლილი, თითები – კეფაზე.	ხუთეულის წრეზე ცეკვა, №1 წრის ცენტრში.	მეორე ხუთეული: 1 ტაქტი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი განზე, მარჯვენა ფეხის ტერფის მარცხენის წინ დადგმა დატყაპუნებით და ტაქტის მეორე ნახევარში – ტაშით. 1 ტაქტი – იგივე მეორე მხარეს. 1 ტაქტი – იგივე მარცხენა მხარეს. 1 ტაქტი – იგივე მარჯვენა მხარეს. 3 ტაქტი – განიერი რთულა სვლით მარჯვნივ წრეშემო-ვლა(სვლა №12). მარცხენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარჯვენის – წელს უკან. 1 ტ.აქტი – ბრუნი მარცხნივ, მკლავები – განზე. 2 ტაქტი – №1ა – სადა ჩაკვრა (იწყება მარცხენა ფეხით, ჩაკვრა №1), მკლავე-ბი – განზე. 2 ტაქტი – სკუპსტომით ფეხცვლა და ბრუნი მარჯვ-ნივ, მკლავები ჯერ მარცხნივ – ქვევით, შემდეგ გარეგაქნე-ვით განზე (ბრუნი №9). 4 ტაქტი – ერგცერების სამდაკვრითი მოძრაობით ადგილზე მარჯვნივ ბრუნი, მკლავები – იდაყვებგადა-შლილი, თითები – კეფაზე.	13 

8 108- 115	პირველი ხუთეული: ცეკვა წრეზე. 113-ე ტაქტიდან ტემპის შენელება. №1-ის ცეკვა ცენტრში.	1 ტაქტი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი განზე, მარცხენის ტერფის მარჯვენის წინ დადგმა დატყაპუნებით და ტაქტის მეორე-ნახევარში – ტაშით. 1 ტაქტი – იგივე მეორე მხარეს. 1 ტაქტი – იგივე მარჯვენა მხარეს. 1 ტაქტი – იგივე მარცხენა მხარეს. 3 ტაქტი – განიერი რთულა სვლით მარცხნივ წრეშემოვლა (სვლა №12). მარჯვენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარცხენა – წელს უკან. 1 ტაქტი – ბრუნი მარჯვნივ, მკლავები განზე. 2 ტაქტი – №1 სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1, მარცხენა ფეხით), მკლავები – განზე. 2 ტაქტი – სკუპხტომით ფეხცვლა და ბრუნი მარჯვნივ, მკლავები ჯერ მარცხნივ – ქვევით, შემდეგ გარეგაქნევით – განზე (ბრუნი №9). 4 ტაქტი – რთულა სვლით (სვლა №10) წრეშემოვლა მარჯვნივ, მკლავები – ირიბი მდომარეობა, მარცხენა – მაღლა, მარჯვენა – ქვევით.	ხუთი ქალის ცეკვა წრეზე. 113-ე ტაქტიდან ტემპის შენელება. №1ა-ს ცეკვა ცენტრში.	მეორე ხუთეული: 1 ტაქტი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი განზე, მარჯვენა ტერფის მარცხენის წინ დადგმა დატყაპუნებით, ტაქტის მეორე-ნახევარში – ტაშით. 1 ტაქტი – იგივე მეორე მხარეს. 1 ტაქტი – იგივე მარცხენა მხარეს. 1 ტაქტი – იგივე მარჯვენა მხარეს. 3 ტაქტი – განიერი რთულა სვლით მარჯვნივ წრეშემოვლა(სვლა №12). მარცხენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარჯვენა – წელს უკან. 1 ტაქტი – ბრუნი მარცხნივ, მკლავები – განზე. 2 ტაქტი – №1ა სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1, მარჯვენა ფეხით), მკლავები – განზე. 2 ტაქტი – სკუპხტომით ფეხცვლა და ბრუნი მარცხნივ, მკლავები ჯერ მარჯვნივ-ქვევით, შემდეგ გარეგაქნევით – განზე (ბრუნი №9). 4 ტაქტი – რთულა სვლით (სვლა №10) წრეშემოვლა მარცხნივ, მკლავები – ირიბი მდგომარეობა, მარჯვენა – მაღლა, მარცხენა – დაბლა.	14 
8 116- 123	№ 1-ის შესვლა განრიგებაში და მარცხნივ წრეშემოსავლელად ჯგუფის წაყვანა.	8 ტაქტი – განიერი რთულა სვლა (სვლა №12) – მარცხნივ შემოვლა. მკერდის წინ მარცხენა მკლავის წინამხარი, მარჯვენა – წელს უკან.	№ 1ა-ს შესვლა განრიგებაში და მარჯვნივ წრეშემოსავლელად ჯგუფის წაყვანა.	8 ტაქტი – განიერი რთულა სვლა (სვლა №12) – მარჯვნივ შემოვლა. მკერდის წინ მარჯვენა მკლავის წინამხარი, მარცხენა – წელს უკან.	15 
8 124- 131	ერთრიგად მოძრაობა 6-4 ხაზის პარალელურად და მეორე ჯგუფთან პირისპირ შეხვედრა. გაჭრა შემოვლის შემდეგ ისევ თავიანთ ადგილებზე მისვლა.	4 ტაქტი – განიერი რთულა წინსლვა (სვლა № 12). მკერდის წინ მარცხენა მკლავის წინამხარი, მარჯვენა – წელს უკან. 4 ტაქტი – განიერი რთულა სვლით გაჭრით შემოვლა და ისევ თავიანთ ადგილებზე მისვლა. მკლავების იგივე მდგომარეობა.	ერთრიგად მოძრაობა 6-4 ხაზის პარალელურად პირველ ჯგუფთან და პირისპირ შეხვედრა. გაჭრა შემოვლის შემდეგ ისევ თავიანთ ადგილებზე მისვლა.	4 ტაქტი – განიერი რთულა წინსლვა (სვლა № 12). მკერდის წინ მარცხენა მკლავის წინამხარი, მარჯვენა – წელს უკან. 4 ტაქტი – განიერი რთულა სვლით გაჭრა- შემოვლა და ისევ თავიანთ ადგილებზე მისვლა. მკლავების იგივე მდგომარეობა.	16 

8 132- 139	პირველი ჯგუფის ადგილზე მარცხნივ ბრუნვა.	6 ტაქტი – სამდაკვრითი სვლით ბრუნი მარცხნივ, მკლავები იდაყვებგადაშლილი, თითები – კეფაზე (სვლა №1). 2 ტაქტი – 3/4 ბრუნი მარცხნივ, №6, 4, 2-ის მოსვლა №1, 5, 3-ის პირისპირ.	მეორე ჯგუფის გარშემოვლა პირველისათვის.	6 ტაქტი – განიერი რთულა სვლა (სვლა №12), მკლავები – ირიბად. 2 ტაქტი – ნახევარი ბრუნი მარცხნივ,№ 3ა, 5ა, 1-ის № 2ა, 4ა 6ა- ს პირისპირ მოხვედრა.	17 
8 140- 147	ადგილზე ილეთების შესრულება.	1 ტაქტი – მკლავების გაწზე გაშლა – მარცხენა ფეხით ნაბიჯი განზე, მარჯვენა ტერფის მარცხენის წინ დადგმა ფეხდაკვრით და ტაქტის მეორე-ნახევარში – ტაშით. 1 ტაქტი – იგივე მეორე მხარეს. 1 ტაქტი. – წინა ორი ტაქტის გამეორება. 4 ტაქტი – ადგილზე სამდაკვრითი სვლით ბრუნი მარცხნივ (სვლა №1), მკლავები – იდაყვებგადაშლილი, თითები – კეფაზე.	ადგილზე ილეთების შესრულება.	1 ტაქტი – მკლავების გაწზე გაშლა, მარცხენა ფეხით ნაბიჯი განზე, მარჯვენა ტერფის მარცხენის წინ დადგმა ფრხდაკვრით და ტაქტის მეორე ნახევარში ტაშით. 1 ტაქტი – იგივე მეორე მხარეს. 1 ტაქტი – წინა ორი ტაქტის გამეორება. 4 ტაქტი – ადგილზე სამდაკვრითი სვლით ბრუნი მარცხნივ (სვლა №1), მკლავები –იდაყვებ გადაშლილი, თითები – კეფაზე.	18 
3 148- 150	ადგილზე ილეთების შესრულება.	1 ტაქტი – მარჯვენის წვივქნევით ჩაკვრა (ჩაკვრა №4), მკლავები – განზე. 1 ტაქტი – მარჯვნივ სკუპხტომი (ხტ. №9), მარცხენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარჯვენა – წელს უკან. 1 ტაქტი – განმკლავი, ბრუნი მარცხნივ და №: 1-6-ის, 5-4-ის, 3-2-ის პირისპირ მოხვედრა.	ადგილზე ილეთების შესრულება.	1 ტაქტი – მარჯვენის წვივქნევით ჩაკვრა (ჩაკვრა №4), მკლავები – განგაშლილი. 1 ტაქტი – მარჯვნივ სკუპხტომი (ხტომა №9), მარცხენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარჯვენა – წელს უკან. 1 ტაქტი – განმკლავი, ბრუნი მარცხნივ და № 1ა-6ა-ს, 5ა-4ა-ს, 3ა-2ა-ს პირისპირ მოხვედრა.	19 
24 151- 174	ორივე ჯგუფის წრეზე მოწყობა და ილეთების შესრულება.	22 ტაქტი – განიერი ხლართულა სვლა (სვლა №37). მარჯვნივ. 2 ტაქტი – მარჯვენა მკლავი წინმკლავიდან სართავით წელს უკან, მარცხენა – სართავით მკერდის წინ. შემდეგ სვლა მარცხნივ. 2 ტაქტი – მარცხენა მკლავი წინმკლავიდან სართავით წელს უკან, მარჯვენა – სართავით მკერდის წინ და ა.შ. 2 ტაქტი – მიბრუნება მარცხნივ სახით მაყურებლისკენ. მკლავები – ირმულა მდგომარეობა.	ადგილზე ილეთების შესრულება.	1 ტაქტი – მარჯვენის წვივქნევით ჩაკვრა (ჩაკვრა №4), მკლავები – განგაშლილი. 1 ტაქტი – მარჯვნივ სკუპხტომი (ხტომა №9), მარცხენა მკლავის წინამხარი მკერდის წინ, მარჯვენა – წელს უკან. 1 ტაქტი – განმკლავი, ბრუნი მარცხნივ…	20 

6 175- 180	პირველი ჯგუფის მწკრივად მოწყობა – ადგილზე ილეთების შესრულება. შემდეგ წინ წაწევა და მეორე ჯგუფის მწკრივის შუალედში შესვლა.	2 ტაქტი – სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1), მკლავები – დოინჯი. 2 ტაქტი – ჭდობილი ჩაკვრა (ჩაკვრა №6), მკლავები – დოინჯი. 2 ტაქტი – წინსვლა ზეტანის ოდნავი წინწნექით, წინა მწკრივის შუალედებში შესვლა, მკლავების წინ, ზევით, განზე მოძრაობა, შემდეგ ზურგს უკან ხელების ჩაკიდება.	მეორე ჯგუფის მწკრივად მოწყობა– ადგილზე ილეთების შესრულება.	4 ტაქტი – ჭდობილი ჩაკვრა (ჩაკვრა №6), ხელები –დაბლა ჩაკიდებული . 4 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა (ჩაკვრა №5). ბოლო ტაქტზე მკლავების მაღლა აწევა (ხელები ჩაკიდებული).	21
6 181- 187	ერთ მწკრივად ადგილზე ილეთების შესრულება.	2 ტაქტი – სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1), ხელები ზურგს უკან ჩაკიდებული. 2 ტაქტი – სადა გასმა მარჯვენა ფეხით, სადა გასმა მარცხენა ფეხით (გასმა №1). 2 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა (ჩაკვრა №5).	ერთ მწკრივად ადგილზე ილეთების შესრულება.	2 ტაქტი – სადა ჩაკვრა (ჩაკვრა №1), ხელები ზურგს უკან ჩაკიდებული. 2 ტაქტი – სადა გასმა მარჯვენა ფეხით, სადა გასმა მარცხენა ფეხით (გასმა №1). 2 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა (ჩაკვრა №5).	22 
4 188- 190	ერთად წინსვლა.	2 ტაქტი – წინსვლა რთულა სვლით (სვლა №12), ხელები ზურგს უკან ჩაკიდებული. 1 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა ადგილზე (ჩაკვრა №5). 1 ტაქტი – პირველი ჯგუფი – წინხტომი მარცხნივ ბრუნით და მარჯვენა მუხლზე ჩოქი. თავის დახრა, მარჯვენა ხელი შუბლთან ახლოს, მარცხენა – წელს უკან.	ერთად წინსვლა.	2 ტაქტი – განიერი რთულა სვლა (სვლა №12), ხელები ზურგს უკან ჩაკიდებული. 1 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა ადგილზე (ჩაკვრა №5). 1 ტაქტი – ადგილზე დგომა, მარჯვენა ხელი შუბლთან ახლოს, მარცხენა – წელს უკან.	23 

თუშ ქალთა ცეკვა

მუსიკა დიმიტრი არაყიშვილისა

mf
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.
Ped.

mf
f
Ped.
mf
f
ff
f
ff
f cresc.
sempre f

mf
f
mf
f
mf
f

mf
f
mf
mf

f

mf

rit. poco a poco
a tempo
mf
leggiero

mf

f
mf
f
mf
f
mf
f
mf cresc.
f sempre

mf
poco a poco
cresc.

f
tr.
Ped.
tr.
Ped.
tr.
Ped.
tr.
Ped.

მთიულური ორი ქალის შესრულებით

ცეკვის *ნახაზი და შინაარსი: წელზე ხელშემოხვეული ორი* ქალი ფეხშეწყობით მხიარულად მისრიალებს წრეზე. ჯერ საცეკვაო მოედნის შუაგულისაკენ მიდიან, შემდეგ (მე-17 ტაქტიდან) ერთმანეთს დაშორდებიან. წრეშემოვლით პირველი მარჯვნივ მიემართება, მეორე – მარცხნივ.

ხვეული გეზით წრეს თანდათან შეამცირებენ და (32-ე ტაქტზე), ადგილზე ბრუნის შემდეგ, სახით ერთმანეთისკენ მოექცევიან (3-7 ხაზზე). შორიდან ერთმანეთს ეთამაშებიან, ხან ირიბად წაიწევიან, ხან უკან დაიხევენ, შემდეგ ცენტრს ახვევ-დახვევით შემოუვლიან, ადგილებს შეიცვლიან და სახით ცენტრისკენ ადგილზე ილეთებს ასრულებენ. მათი მოქნილი მოძრაობები მხიარული, მხნე და სხარტია. გარემიმართულებით მცირე წრეშემოვლის შემდეგ კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, წელზე ხელს შემოხვევენ და ირიბი ჩაკვრით ჯერ წინ მიემართებიან, შემდეგ უკუდაიხევენ. უკუსვლისას მარცხნივ მდგომი მარჯვნივ მდგომს მოქნევით თავის მხარეზე გადმოიყვანს (მარცხნივ), შემდეგ მეორეც იმავეს გაიმეორებს, რათა ისევ მარჯვნივ მოექცეს. ადგილზე ილეთების შეთანხმებულად და ფეხშეწყობით შესრულების შემდეგ ერთმანეთს დაშორდებიან და, 5-1 დიამეტრზე მისვლამდე, პატარა წრეს დაახვევენ (იმავე მიმართულებით). ისევ ერთმანეთს შეხვდებიან, მკლავებს წელზე შემოხვევენ და მარცხნივ წრეშემოვლით, ც-2 ხაზის მიმართულებით, სცენიდან გადიან.

ცეკვის შესრულების ზოგიერთი დეტალი

ცეკვის დაწყებისას ორივე ქალი (ნახ. №1 და №2) იმყოფება მოედნის გარეთ, მარცხენა კულისში, 6 წერტის ახლოს. პირველის მარცხენა მკლავი მეორის წელზე, მეორის მარჯვენა მკლავი პირველის წელზე ქამართანაა შემოხვეული. თავისუფალი მკლავები დაშვებული, ოდნავ გარე და უკან მიმართული, ნები – წინ.

მელოდიის დაწყებამდე დოლი შესავალს – 4 ტაქტს – უკრავს. პირველი ტაქტიდანვე ორივე ქალი განიერი რთულა სვლით წინ მიემართება ნახაზზე ნაჩვენები მიმართულებით.

მე-17 ტაქტიდან 37-მდე მოძრაობენ ციფრი 2-ით აღნიშნული მიმართულებით, მხოლოდ 17-24 ტაქტი – ქრიალა სვლით, მკლავების საქრიალო მდგომარეობით. შემდეგი 25-31 ტაქტი – განიერი რთულა სვლით. პირველი ქალის მკლავები მარცხნივ იდაყვებდაშვებულია, მეორის – მარჯვნივ. 32-ე ტაქტზე ქალები ადგილზე მარჯვნივ ბრუნით ერთმანეთის პირისპირ მოექცევიან.

№3 ნახაზის მიხედვით, პირველი ქალი 4-8 დიამეტრის პარალელურად ასრულებს *გლუსუნა სვლას* ორ ტაქტში და იმავე გეზით ოდნავ უკუდაიხევს (ორი ტაქტი) მარცხნივ შებრუნებით (80-90º). ამავე მოძრაობას გაიმეორებს 2-6 დიამეტრის პარალელური გეზით (2+2 ტაქტი). ამ მოძრაობისას მკლავები: ხელსართავებით საქრიალოდან ჯერ ქვეწინმკლავი, შემდეგ ისევ საქრიალო მდგომარეობა. 41-ე ტაქტიდან კვლავ მარჯვნივ შებრუნდება, განიერი რთულა სვლით ნახაზზე აღნიშნული მანძილის გავლა და 48-ე ტაქტზე მარჯვნივ ბრუნით სახით ცენტრისკენ (მეორე ქალისკენ) მოქცევა.

მეორე ქალი 33-48 ტაქტზე გაიმეორებს პირველი ქალის მოძრაობებს, ოღონდ საწინააღმდეგო მიმართულებით. 48-ე ტაქტზე ორივე ქალი ასრულებს მარჯვნივ ბრუნს. ამრიგად, ტაქტის დასასრულს პირველი ქალი მოედნის ც-3 ხაზზე მოხვდება, მეორე – ც-7-ზე.

გრაფიკული სქემის მეოთხე და მეხუთე ნახაზის მიხედვით ქალები ადგილზე ასრულებენ ილეთებს.

65-ე ტაქტიდან მცირე წრეშემოვლა გარემიმართულებით. პირველი მარჯვნივ წრეშემოვლით მიემართება, მეორე – მარცხნივ. 72-ე ტაქტზე ქალები ერთმანეთს შეხვდებიან, მკლავებს წელზე შემოხვევენ და მოედნის 1 წერტისკენ ჩაკვრითი ილეთებით წინ წაიწევენ. ჩაკვრით წინსვლისას თავისუფალი მკლავით დოინჯიც შეიძლება.

81-ე ტაქტიდან უკუმიმართულებით მოძრაობენ, 84-88 ტაქტი – მარცხნივ მდგომი მარჯვნივ მდგომს მოქნევით თავის მხარეს გადმოიყვანს და მარცხენა მკლავს წელზე შემოხვევს. მარჯვნიდან თანამოცეკვავის მხარეზე მარცხნივ ბრუნით გადადის.

89-ე ტაქტიდან 96-მდე ორივე ერთნაირად მოძრაობს.

97-ე ტაქტიდან ქრიალა სვლით გარეშემოვლით ერთმანეთს შორდებიან. 104-ე ტაქტიდან თითქმის ადგილზე მცირე წრეს შემოუვლიან (გარემიმართულებით) და 112-ე ტაქტზე ისევ ფრონტალურ ხაზზე მოვლენ ერთმანეთის მხარდამხარ, მკლავებს წელზე შემოხვევენ და მეთერთმეტე ნახაზის მიმართულებით განიერი რთულა სვლით მოედნიდან გავლენ.

მთიულური ცეკვა ილეთებისა და ცეკვის ნახაზის შეთანხმებულ, ზუსტ შესრულებასთან ერთად ცეკვის შინაარსისა და განცდის სწორად და დამაჯერებლად გადმოცემასაც მოითხოვს. ამისათვის შემსრულებელმა უნდა გაითავისოს და გაითამაშოს ბუნების ლაღი შვილის, სიცოცხლით სავსე მთიელი ქალის სახე, რომელიც ბუნებრივად ჩაერთვება დღეობის, დღესასწაულისა თუ ქორწილის დროს გამართულ ლხინში.

მთიულური

ორი ქალის შესრულებით

ნაწილი	ტაქტი	სვლაგზა	პირველი ქალი	მეორე ქალი	ნახაზი
I	4 16 1-16	შესავალი (მხოლოდ დოლი) მე-6 წერტიდან იწყება. წელზე მკლავებმოხვეული ორივე ქალის წრეშემოვლა 5.4.3.2 წერტების გავლით და ც-1 რადიუსის მიმართულებით შეხვევა.	1-16 – განიერი რთულა სვლა (სვლა №12). გარეთა მკლავი რო-გორც ქრიალა სვლისას (სვლა №16).	1-16 – განიერი რთულა სვლა (სვლა №12), გარეთა მკლავი რო-გორც ქრიალა სვლისას (სვლა №16).	1 
II	16 17-32	წელზე შემოხვეული მკლავების თანდათან ქვევით დაშვება – საქრიალო მდგომარეობა. ც-3 (მეორე) და ც-7 (პირველი) რადიუსების გავლა, სპირალისებური წრეების შემოწერა და მე-16 ტაქტზე სახით ერთმანეთისკენ მობრუნება.	1-8 – ქრიალა სვლა (სვლა №16), მკლავები – გარეუკუმკლავი. 1-7 – ირიბი რთულა სვლა (სვლა №13), მკლავები: მარჯვენა მხარეზე, მარცხენა – იდაყვდაშვებული. 1 ტაქტი – ბრუნი მარცხნივ; ბრუნის დამთავრებისას სახით ცენტრისკენ მოქცევა, მკლავების თანდათან დაშვება.	1-8 – ქრიალა სვლა (სვლა №16), მკლავები – გარეუკუმკლავი. 1-7 – ირიბი რთულა სვლა (სვლა №13), მკლავები: მარცხენა – მხარეზე, მარჯვენა – იდაყვდაშვებული. 1 ტაქტი – ბრუნი მარჯვნივ; ბრუნის დამთავრებისას სახით ცენტრისკენ მოქცევა, მკლავების თანდათან დაშვება.	2 
II	16 33-48	ერთმანეთის მიახლოება და კლაკნილი სვლა-შემოხვევით ადგილების შეცვლა.	2 ტაქტი – ოდნავ მარჯვნივ შებრუნებით გლუსუნა წინსვლა (სვლა №19). 2 ტაქტი – იმავე კვალზე უკუსვლა. 2 ტაქტი – მარცხნივ შებრუნებით გლუსუნა წინსვლა (სვლა №19). 2 ტაქტი – იმავე კვალზე უკუსვლა. 4 ტაქტი – მარჯვნივ შებრუნებით (90^0-ით) და ირიბი რთულა სვლით (სვლა №13) მარცხნივ მცირე რკალით შემოვლა. მკლავები – მარჯვნივ (მკლ. მდგ. №8). 3 ტაქტი – ირიბი რთულა სვლით მარჯვნივ მცირე რკალით შემოვლა. მკლავები – მარცხნივ. 1 ტაქტი – ბრუნი მარჯვნივ, მკლავები – პირველი პოზიცია (განმკლავი).	2 ტაქტი – ოდნავ მარჯვნივ შებრუნებით გლუსუნა წინსვლა (სვლა №19). 2 ტაქტი – იმავე კვალზე – უკუსვლა. 2 ტაქტი – მარცხნივ შებრუნებით გლუსუნა წინსვლა (სვლა №19). 2 ტაქტი – იმავე კვალზე უკუსვლა. 4 ტაქტი – მარჯვნივ შებრუნებით (90^0-ით) და ირიბი რთულა სვლით (სვლა №13) მარცხნივ მცირე რკალით შემოვლა. მკლავები – მარჯვნივ (მკლ. მდგ. №8). 3 ტაქტი – ირიბი რთულა სვლით მარჯვნივ მცირე რკალით შემოვლა. მკლავები – მარცხნივ. 1 ტაქტი – ბრუნი მარჯვნივ, მკლავები I პოზიციაში (განგაშლილი)	3 

II	8 49- 56	ერთმანეთის პირდაპირ დგომა და ადგილზე ილეთების შესრულება.	2 ტაქტი – სადა ჩაკვრა, წყება მარჯვენა ფეხით (ჩაკვრა №1). 2 ტაქტი – გახსნილი ჩაკვრა (ჩაკვრა №3). 2 ტაქტი – წვივქნევ ჩაკვრა (ჩაკვრა №4). 2 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა (ჩაკვრა №5), მკლავები – I პოზიცია.	2 ტაქტი – სადა ჩაკვრა, წყება მარჯვენა ფეხით (ჩაკვრა №1). 2 ტაქტი – გახსნილი ჩაკვრა (ჩაკვრა №3). 2 ტაქტი – წვივქნევ ჩაკვრა (ჩაკვრა №4). 2 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა (ჩაკვრა №5), მკლავები – I პოზიცია.	4
II	8 57- 64	ადგილზე ილეთების შესრულების განგრძობა. მერვე ტაქტის დასასრულს სახით ც-1 რადიუსის მიმართულებით მოქცევა.	2 ტაქტი – განბიჯით მარჯვნივ ჩაკვრა (ჩაკვრა №12) მკლავები – IV პოზიცია (ირმულა). 2 ტაქტი – განბიჯით მარცხნივ ჩაკვრა, მკლავები – IV პოზიცია. 2 ტაქტი – ორი ორფა ჩაკვრა (ჩაკვრა №3), წყება მარჯვენა ფეხით. მკლავები – პირველი პოზიცია (განმკლავი). 2 ტაქტი – მარჯვნივ ჭდომსკუპით ბრუნი მარცხნივ (270^0), მკლავების მოძრაობა დაქნევ-მკერდდახურვით და დაქნევ-განგაშლით.	2 ტაქტი – განბიჯით მარჯვნივ ჩაკვრა (ჩაკვრა №12) მკლავები IV პოზიციაში (ირმულა). 2 ტაქტი – განბიჯით მარცხნივ ჩაკვრა, მკლავები – IV პოზიცია. 2 ტაქტი – ორი ორფა ჩაკვრა (ჩაკვრა №8), წყება მარჯვენა ფეხით. მკლავები – I პოზიცია (განმკლავი) 2 ტაქტი – მარჯვნივ ჭდომბსკუპით ბრუნი მარცხნივ (270^0), მკლავების მოძრაობა დაქნევ-მკერდდახურვით და დაქნევ- განგაშლით.	5
III	8 65- 72	გარემიმართულებით მცირე წრეშემოვლით კვლავ ერთმანეთთან შეხვედრა. მცირე წრეშემოვლის შემდეგ სახით ისევ ც-1 რადიუსის მიმართულებით მოქცევა.	1-8 – ქუსლცერ-ჩაკვრით (ჩაკვრა №7) გარე მცირე წრეშემოვლით სვლა. მკლავები – იდაყვებგადაშლილი.	1-8 – ქუსლცერ-ჩაკვრით (ჩაკვრა №7) გარე მცირე წრეშემოვლით სვლა. მკლავები – იდაყვებგადაშლილი.	6 
III	8 73- 80	ჩაკვრითი ილეთებით წინ წაწევა.	2 ტაქტი – ჩაკვრით ირიბი წინსვლა მარჯვნივ (ჩაკვრა №18). 2 ტაქტი – ჩაკვრით ირიბი წინსვლა მარცხნივ. 2 ტაქტი – ჩაკვრითი ირიბი წინსვლა მარჯვნივ. 2 ტაქტი – ორი ფეხშლილი ჩაკვრა ადგილზე (ჩაკვრა №5) შიგა მხარის მკლავის მეორე მოცეკვავის წელზე შემოხვევა, გარეთა მხრის ქვეგანზე გაწევა ან დოინჯი.	2 ტაქტი – ჩაკვრით ირიბი წინსვლა მარჯვნივ (ჩაკვრა №18). 2 ტაქტი – ჩაკვრით ირიბი წინსვლა მარცხნივ. 2 ტაქტი – ჩაკვრითი ირიბი წინსვლა მარჯვნივ. 2 ტაქტი – ორი ფეხშლილი ჩაკვრა ადგილზე (ჩაკვრა №5) შიგა მხარის მკლავის მეორე მოცეკვავის წელზე შემოხვევა, გარეთა მხრის ქვეგანზე გაწევა ან დოინჯი.	7

	8 81- 88	უკუსვლით ცენ-ტრისკენ სვლა, ადგილების ორჯერ შეცვლა.	3 ტაქტი – სამდაკვრითი უკუსვლა (სვლა №4). 1 ტაქტი – მარცხნივ შებრუნებით პირველის მარცხნივ გადასვლა და მარჯვენა მკლავის მეორისათვის წელზე შემოხვევა. 3 ტაქტი – სამდაკვრითი უკუსვლა (სვლა №4). 1 ტაქტი – მარჯვენა მკლავის მოქნევით მეორის მარცხნივ გადაყვანა და მარცხენა მკლავის წელზე შემოხვევა. მარჯვენა მკლავი – ქვეგანი ან დოინჯი.	3 ტაქტი – სამდაკვრითი უკუსვლა (სვლა №4). 1 ტაქტი – მარჯვენა მკლავის მოქნევით პირველის მარცხნივ გადაყვანა და მარცხენა მკლავის წელზე შემოხვევა. 3 ტაქტი – სამდაკვრითი უკუსვლა (სვლა №4). 1 ტაქტი – მარცხნივ შებრუნებით პირველის მარცხივ გადაყვანა და მარჯვენა მკლავის წელზე შემოხვევა, მარცხენა – ქვეგანი ან დოინჯი.	8
	8 89- 96	ორივეს მიერ ადგილზე ილეთების შესრულება.	4 ტაქტი – ორი ჭდობილი ჩაკვრა მარჯვენა ფეხით (ჩაკვრა №6). 2 ტაქტი – ქუსლცერა ჩაკვრა (ჩაკვრა №7). 2 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა (ჩაკვრა №5). მკლავები – შესაბამისად (ჩაკვრა №7).	4 ტაქტი – ორი ჭდობილი ჩაკვრა მარჯვენა ფეხით (ჩაკვრა №6). 2 ტაქტი – ქუსლცერა ჩაკვრა (ჩაკვრა №7). 2 ტაქტი – ფეხშლილი ჩაკვრა (ჩაკვრა №5). მკლავები – შესაბამისად (ჩაკვრა №7).	9
II	16 97- 112	დასაწყისში ც-1 რადიუსის მიმართულებით სვლა, თანდათან ერთმანეთის დაშორება, გარეწრეშემოვლა, მე-16 ტაქტზე კვლავ ერთმანეთთან შეხვედრა და შიგა მხრიდან მკლავების წელზე შემოხვევა.	1-16 – გარე მიმართულებით წრეშემოვლა ქრიალა სვლით (სვლა №16), მკლავები – გარეუკუმკლავი.	1-16 – გარე მიმართულებით წრეშემოვლა ქრიალა სვლით (სვლა №16), მკლავები – გარეუკუმკლავი.	10 
	16 113- 128	მკლავები – წელზე შემოხვეული, მარცხნივ წრეშემოვლით ც-6 რადიუსამდე სვლა, შემდეგ მარცხნივ შეხვევა და 6-2 დიამეტრის მიმართულებით ან მის პარალელურად მოედნიდან გასვლა.	1-16 – განიერი ან ირიბი რთულა წინსვლა (სვლა №12 ან №13), გარეთა მკლავი როგორც ქრიალა სვლისას.	1-16 – განიერი ან ირიბი რთულა წინსვლა (სვლა №12 ან №13), გარეთა მკლავი როგორც ქრიალა სვლისას.	11 

მთიულური

მუსიკა ხალხური, ჩაწერა და დაამუშავა მიხეილ ჩირინაშვილმა

შესავლის ოთხ ტაქტს უკრავს დოლი ან ისევე, როგორც ქვემოთაა მოყვანილი

ქალთა დავლური

ძველად ცეკვა *ქართული* დავლურით იწყებოდა. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან *დავლური,* როგორც შინაარსით, ისე ნახაზით, თანდათან შეიცვალა. ამჟამად ის ცალკე სრულდება და *ქართულს* წინ არ უძღვის, რაც გაუმართლებელია.

ცეკვა *დავლური*, როგორც წყაროებიდან ჩანს, დინჯი, წყნარი და პლასტიკური იერსახით გადმოსცემდა ცეკვის შინაარს.

მე-20 საუკუნეში *დავლური* გამოეყო *ქართულს* და მასობრივ ცეკვად იქცა, ქალ-ვაჟის ან მხოლოდ ქალების შესრულებით.

ქალთა დავლურში აუცილებელია წამყვანის არჩევა. მან კარგად უნდა იცოდეს ცეკვის ილეთების ან ფიგურების ახსნა-განმარტება და ფიგურების თანამიმდევრობა. წამყვანი ირჩევს თანაშემწეს მეორე ჯგუფის ხელმძღვანელად. მისი მითითების შემდეგ მოცეკვავეებმა იციან ფიგურების თანამიმდევრობა და ამის მიხედვით ცეკვავენ.

ნახაზზე ნაჩვენებ ცეკვაში ორ ჯგუფად გაყოფილი 12 ქალი ცეკვავს. ერთს ხელმძღვანელობს წამყვანი, მეორეს – თანაშემწე. მოცეკვავეებს მარჯვენა ხელში უჭირავთ ხელმანდილი, მარცხენა – დოინჯით. ორივე ჯგუფი ნახაზზე ნაჩვენები მიმართულებით გამოდის მოპირდაპირე კულისებიდან.

ქალთა დავლური

თორმეტი ქალის შესრულებით

ნაწილი	სათვალავი	სვლაგეში	ილეთის სათვალავი და მოძრაობის დასახელება	ნახაზი
I	16 –– 1-16	№ 1, 2, 3, 4, 5, 6 – გამოსვლა 2ა კუთხიდან და წრეშემოვლით № 1-8-7-6-5-4-3-2-ის წერტების გავლა. № 7, 8, 9, 10, 11, 12 – გამოსვლა 8ა კუთხიდან და წრეშემოვლით № 1-2-3-4-5-6-7-8-ის წერტების გავლა.	1-16 – № 1, 2, 3, 4, 5,6 რთულა სვლით (სვლა №10) წრეშემოვლა. მარჯვენა მკლავი – წინ გარეზემკლავი, ოდნავ მოღუნული, ხელში ხელმანდილით, მარცხენა – წელს უკან შეუხებლად. ბოლო ორი თვლა (15-16) ბრუნი მარცხნივ. 1-16 – № 7, 8, 9, 10, 11, 12 – იგივე, რაც № 1, 2, 3, 4, 5, 6, მხოლოდ მეორე მხარეს	1 
	16 ––– 17-32	წრეშემოვლის შემდეგ ც-5 ხაზიდან მაყურებლისაკენ მოხვევა, ც-1 ხაზით სვლა და ორმწკრივად მოწყობა.	1-16 – №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12 – მოძრაობა რთულა სვლით (სვლა №10). ბოლო ორი თვლა (15-16) – № 1, 2, 3, 4, 5, 6 – 3/4 ბრუნი მარცხნივ, № 7, 8, 9, 10, 11, 12 – 3/4 ბრუნი მარჯვნივ (ორ მწკრივად ერთმანეთისკენ მოხვედრა). მარჯვენაში – ხელმანდილი, მარცხენა – წელს უკან.	2 
II	16 ––– 33-48	მწკრივის მწკრივს უკუსვლით დაშორება, ბოლოს დიდი წრის შეკვრა.	1-16 – №1- 12 – სამდაკვრითი უკუსვლა (სვლა №4), ბოლო ორი თვლა (15-16) – სრული ბრუნი (ბრ. №1) და დიდ წრეზე სახით ცენტრისკენ დადგომა. მკლავები – იგივე მდგომარეობა.	3 
	16 ––– 49-64	დიდ წრეზე მარჯვნივ მოძრაობა.	1-16 – №1-12 ხლართულა სვლით (სვლა №37) მოძრაობა მარჯვნივ და განზე. ორი თვლა – მარჯვენა მკლავის ზევიდან მარცხენა მხარის წინ მიტანა. ორი თვლა – ზეაქნევით და სართავით განმკლავი. მარცხენა მკლავი წელს უკან. მე-16 თვლა – სრული ბრუნი მარცხნივ (ბრუნი №1).	4 

II	8 65-72	№ 8, 10, 12, 5, 3, 1-ის მოძრაობა წინ, მარცხნივ, მარჯვნივ და უკან. № 7, 9 , 11, 6, 4, 2-ის მოძრაობა უკან, მარჯვნივ, მარცხნივ და წინ.	1-8 – № 8, 10, 12, 5, 3, 1 – მარჯვენა ფეხით მიდგმით ორი ნაბიჯი წინ, მიდგმით ორი ნაბიჯი მარცხნივ, მიდგმით ორი ნაბიჯი მარჯვნივ, ბოლოს მიდგმით ორი ნაბიჯი უკან (სვლა №31). 1-2 – მარჯვენა მკლავის ზევიდან მარცხენა მხართან მიტანა, 3-4 – ისევ მარჯვნივ განზე. 5-6 – მარცხენა მხართან, 7-8 – საწყისი მდგომარეობა. მარჯვენა მკლავი წელს უკან. 1-8 – № 7, 9 , 11, 6, 4, 2 – მარცხენა ფეხიდან მიდგმით ორი ნაბიჯი უკან, მიდგმით ორი ნაბიჯი მარჯვნივ, მიდგმით ორი ნაბიჯი მარცხნივ და მიდგმით ორი ნაბიჯი წინ. მკლავების ისეთივე მოძრაობა, როგორიც № 8, 10, 12, 5, 3, 1-ისა.	5 
II	8 73-80	№ 8, 10, 12, 5, 3, 1-ის მოძრაობა უკან, მარჯვნივ, მარცხნივ და წინ. № 7, 9 , 11, 6, 4, 2-ის – მოძრაობა წინ, მარცხნივ, მარჯვნივ და უკან.	1-8 – № 8, 10, 12, 5, 3, 1 – იგივე, რაც წინა რვა თვლაზე № 7, 9 , 11, 6, 4, 2-ისა. 1-8 – № 7, 9 , 11, 6, 4, 2 – იგივე, რაც წინა რვა თვლაზე № 8, 10, 12, 5, 3, 1-ისა.	6 
II	16 81-96	№ 6, 5, 4, 3, 2, 1 – მოძრაობა მარჯვნივ და განზე. № 12, 11, 10, 9, 8, 7 – მოძრაობა მარცხნივ, განზე და 4-6 ხაზზე ორ პარალელურ მწკრივად მოწყობა.	1-16 – № 6, 5, 4, 3, 2, 1 – ოდნავ მიბრუნება წინ და განზე სრიალა სვლა (სვლა №8). მანდილიანი ოდნავ მოხრილი მარჯვენა ხელით გარეზემკლავი, მარცხენა – წელს უკან. 1-16 – № 12, 11, 10, 9, 8, 7 – სრიალა სვლა მარცხნივ და განზე, მკლავები ისე, როგორც 1-16 თვლაზე.	7 
II	8 97-104	№ 12, 11, 10, 9, 8, 7-ის გარშემოვლა ადგილზე მარჯვნივ მბრუნავი № 1, 2, 3, 4, 5, 6-ისათვის	1-8 – № 12, 11, 10, 9, 8, 7 – სრიალა სვლით მარცხნიდან გარშემოვლა № 1, 2, 3, 4, 5, 6-ისათვის (სვლა №8). მკლავები – როგორც ზემოთ. 1-8 – № 1, 2, 3, 4, 5, 6 – ადგილზე მარჯვნივ ბრუნი სამდაკვრითი სვლით. მკლავები – ისეთივე მდგომარეობა, როგორიც წინა16 თვლაზე, მარჯვენა ხელის სართავებით მოძრაობა. ბოლო თვლა – სამეულებად მოწყობა (იხ. ნახაზი №9).	8 
II	8 105-112	სამეულებად (№12, 11, 1 – 10, 2, 3 – 9, 8, 4 – 7, 6, 5) ხელჩაკიდებული მოძრაობა მარჯვნივ.	1-8 – №12, 11, 1 – 10, 2, 3 – 9, 8, 4 – 7, 6, 5 სრიალა სვლა (სვლა №8) მარჯვნივ, ხელები – ჩაკიდებული. ბოლო თვლაზე, მარცხნივ ბრუნის შემდეგ, სახით მაყურებლისკენ. თავიანთ ადგილებზე დაბრუნება	9 

II	16 113- 128	12-ვეს ქალის მოძრაობა წინ; მარცხნივ ბრუნი და წრედ დადგომა.	1-14 12 -ვეს მოძრაობა წინ (მაყურებლისკენ) ქრიალა სვლით (სვლა №16), მარცხენა მკლავი წინამხარამართული (მკლ. მდგომ. №11), მარჯვენა – ხელმანდილით მარცხენა მხარის წინ. 15-16 – № 7, 8, 9, 10, 11, 12 – ბრუნი მარცხნივ. შემდეგ ხელების ჩაკიდება და წრის შეკვრა.	10 
II	16 129- 144	ერგბუქნი, 12 ქალის მოძრაობა ჯერ წინ, შემდეგ – უკან.	1-8 – სამდაკვრითი უკუსვლით (სვლა №4) წრის შეკვრა. 9-10 – ერგბუქნი. 11-12 – ადგილზე სამდაკვრით მოძრაობა (სვლა №1), მკლავები –გარეზემკლავი. 13-14 – სრიალა სვლა (სვლა №8) წინ, მკლავების აღმართვა. 15-16 – სამდაკვრითი უკუსვლა (სვლა №4), მკლავების განზე გადაშლა.	11 
II	16 145- 160	წყვილებად მოწყობა და ხელების ჩაკიდება. წყვილების მოძრაობა მარჯვნივ. ბოლო ორი თვლა – სახით მაყურებლისაკენ მოძრაობა.	1-2 – ხელების გაშვება, მარცხნივ ბრუნვით წყვილ-წყვილად მოწყობა (1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10, 11-12) და ხელების ჩაკიდება. 3-14 – რთულა სვლით (სვლა №10) წყვილების მარჯვნივ ტრიალი. 15-16 – სახით მაყურებლისკენ ისე მოწყობა, რომ მარჯვენა მხარეს მდგომ ექვსეულს ხელმანდილი მარჯვენა ხელში ეჭიროს, მარცხნივ მდგომ 6-ს – მარცხენაში.	12 
II	8 161- 168	№ 12-11, 1-2-ის მარცხნივ სვლა, № 8-7, 5-6-ის – მარჯვნივ. № 10-9-ის ადგილზე ბრუნი მარჯვნივ. № 3-4-ის ბრუნი მარცხნივ.	1-8 – № 12-11, 1-2 – ტერფმოქნევით წაწევა მარცხნივ (სვლა №29). 1-2 – მარჯვენა მკლავი განზე, 3-4 – მარცხენა მხარის წინ, 5-6 – განზე, 7-8 – მარცხენა მხარის წინ. მარცხენა მკლავი წელს უკან. 1-8 – № 8-7, 6-5 –იმავეს, რასაც №12-1, 1-2, მხოლოდ მეორე მხარეს. 1-8 – № 10-9 – სამდაკვრითი სვლით (სვლა №1) ბრუნი მარჯვნივ. 1-8 – № 4-3 სამდაკვრითი სვლით ბრუნი მარცხნივ. №10-9, 4-3 –მკლავების ისეთივე მოძრაობა, როგორიც №12-11, 1-2, 8-7, 6-5-ისა.	13 
II	14 169- 182	№ 10, 12, 8, 1, 5, 3-ის მოძრაობა წინ და შემდეგ მარჯვნივ. № 9, 11, 7, 2, 6, 4-ის მოძრაობა წინ, შემდეგ – მარცხნივ.	1-14 – № 10, 12, 8, 1, 5, 3 – მოკლე რთულა სვლა წინ (სვლა №1),შემდეგ მარჯვნივ ხლართულა სვლით მარჯვენა ფეხით (სვლა №37). 2 – მანდილიანი მკლავი სართავით განზე. 2 – სართავით შიგნით, 2 – ისევ განზე და ა.შ. 1-14 – № 9, 11, 7, 2, 6, 4 – მოკლე რთულა სვლით წინ (სვლა №1), შემდეგ მარცხენა ფეხით ხლართულა სვლით მარცხნივ (სვლა №37). მკლავების ისეთივე მოძრაობა, როგორიც № 10, 12, 8, 1, 5, 3-ისა.	14 
II	8 183- 190	გუნდებად მოწყობა (ან სცენიდან გასვლა).	1-2 – მოწყობა გუნდებად (ნახაზი №15). 3-8 – ყოვნა.	15 

ქალთა დავლური

მუსიკა მიხეილ ჩირინაშვილისა

ქალთა ფერხული

საქართველოში მრავალნაირი ფერხულია გავრცელებული. ცეკვა *ფერხული* განსაკუთრებით პოპულარულია: ქართლში, გურიაში, სვანეთსა და რაჭაში. დიმიტრი არაყიშვილი რაჭაში ჩაწერილი ფერხულებიდან გამოყოფს *სიო შრუშანას*, რომლის „მონაწილენი მხოლოდ ქალიშვილებია…..საფერხულო სიმღერები ორგვარია, ერთსა ჰქვიან ფერხისა ანუ ფერხული, მეორეს კი წინამძღოლა. ფერხისა იწყობა შემდეგნაირად: შეკრებილთა რიცხვიდან რამდენიმე კარგი მომღერალი კაცი მწკრივდება, ერთიმეორეს ხელს ჩაჰკიდებენ ქამარში, ვისაც ქამარი არა აქვს, კისერში და ამგვარად ადგენენ მწკრივს და ადგილზე იწყებენ სიმღერის პირველ ფრაზას, ამასთან ერთი მათგანი სიმღერის დამწყებს მეორე ხმას ააყოლებს, დანარჩენი კი, რამდენიც უნდა იყვნენ, ბანს აძლევენ. ამავე დროს ქალები შეადგენენ მეორე გუნდს და დადგებიან მწკრივად ვაჟთა გუნდის პირდაპირ. გუნდები მღერიან რიგრიგობით; პირველი გუნდის მიერ პირველი ფრაზის დამთავრებისას იმავე ფრაზას იმეორებს მეორე ფერხულის გუნდი. შემდეგ პირველი გუნდი მღერის მეორე ფრაზას, ამავე ფრაზას იმეორებს მეორე გუნდი და ასე შემდეგ, სანამ სიმღერა არ დამთავრდება და ფერხული არ დაიშლება. როდესაც ორივე გუნდი სიმღერის პირველ სამ ფრაზას იმღერებს, მღერით მიუახლოვდებიან ერთმანეთს და, განაგრძობენ რა სიმღერას, შეადგენენ ერთ საერთო წრეს, რომელიც იწყებს საფერხულო ცეკვას მარცხნიდან მარჯვნივ (წაღმა). ამასთან სიმღერის ტაქტში ფეხის და ტანის მოძრაობას ყველა სიზუსტით იცავს. მომღერლები ჯერ ნელა მოძრაობენ, შემდეგ კი, დასასრულ, როგორც სიმღერას, ისე მოძრაობასაც თანდათან აუჩქარებენ…..

წინამძღოლა კი შემდეგგვარია: ერთ-ერთ მამაკაცს, რომელმაც კარგად იცის ისტორიული ლექსი და სიმღერის ჰანგი, ჩასჭიდებს ხელს ქამარში მეორე, მეორეს – მესამე და ასე შეადგენენ „წინამძღოლა“ მწკრივს, აქ ზოგჯერ ქალებიც მონაწილეობენ… „წინამძღოლა“ მღერის და თან ცეკვავს, აკეთებს სხვადასხვა მოძრაობას, ხან ტრიალებს ადგილზე. ეს გაბმული მწკრივი, იმის მიხედვით, ხან რკალივით გარშემო ერტყმევა, ხან გაიშლება სწორი ხაზით და ხან კი გველივით დაიკლაკნება, ხან რომელიმე საგანს შემოუვლის გარს“.

საინტერესოა დიმიტრი ბაქრაძის მიერ აღწერილი ქართველ ქალთა ცეკვა: „ქართველ ქალთა დიდი ჯგუფები შეკრებილან ეკლესიის მახლობლად და ორი მჭიდრო წრე შეუქმნიათ. მათ გარშემო თავს იყრიდნენ კაცები, იწყებოდა ცეკვა. დაირა ხელიდან ხელში გადადიოდა. ეს დაირა, რომელიც გადაჭიმულია თევზის ბუშტივით და გაკეთებული აქვს ჩხარუნები, მუდმივი თანამგზავრი იყო ქალთა ცეკვებისა. დაირას უკრავენ თითქმის მარტო ახალგაზრდა ქალები; სწრაფად ურტყავენ ხელს, ატრიალებენ, ჰაერში ისვრიან…

ახალგაზრდა ქალიშვილები რიგრიგობით შედიან წრეში და გედებივით დასცურავენ, უკან გადაწეული თავით და დახრილი თვალებით დაქრიან ისინი, ხელებს ხან მაღლა სწევენ, ხან დაბლა უშვებენ, იმის მიხედვით, თუ როგორ უკრავს დაირა, ისინი ხან ნელა, ხან სწრაფად ტრიალებენ. ცეკვის დამთავრებისას ისინი თავს უკრავენ ჯერ ყოველ მხარეს, შემდეგ ერთ-ერთ თავის ამხანაგს და ამრიგად იწვევენ საცეკვაოდ…“[1]

1 დ. ბაქრაძე. სცენები ქართული ცხოვრებიდან, „სოვრემენიკი“, 1851 წ., წიგნი მეორე, გვ. 179.

ქალთა ფერხული

თორმეტი ქალის შესრულებით

ნაწილი	თვლა	სვლაგზები	იღუთის თვლა და მოძრაობის დასაწყისი ხელება	ნახაზი
I	4 1-4	№ 1, 2, 3, 4-ის ოთხივე კუთხიდან (2ა, 4ა, 6ა, 8ა) ცენტრისაკენ გამორბენა.	1-3 – № 1,2,3,4-ის ოთხივე კუთხიდან ცენტრისაკენ გამორბენა. 1 – მარჯვენა მკლავის ზევით აწევა.	1 
II	4 5-8	№ 1, 2, 3, 4-ის ცენტრში მოძრაობა. № 5, 6, 7, 8-ის ოთხი კუთხიდან (2ა, 4ა, 6ა, 8ა) ცენტრისკენ გამორბენა.	1 – № 1, 2, 3, 4 – 1/2 ბრუნი მარცხნივ. 1– რამდენიმე ნაბიჯი წინ, მარცხენა მკლავის აწევა. 2 – ყოვნა. ბოლო 2 თვლა – № 5, 6, 7, 8-ის კუთხეებიდან ცენტრისაკენ გამორბენა.	2 
II	4 9-12	№ 1, 2, 3, 4-ის ადგილზე დგომა. № 5, 6, 7, 8-ის ბრუნი. № 9, 10, 11, 12-ის ოთხი კუთხიდან (2ა, 4ა, 6ა, 8ა) გამორბენა ცენტრისაკენ.	1-4 № 1, 2, 3, 4 – ადგილზე დგომა, მკლავები – დოინჯი. 1 – № 5, 6, 7, 8 – 1/2 ბრუნი მარცხნივ. 1 – მარჯვენა მკლავი ზევით და განზე. 2 – ყოვნა. ბოლო 2 თვლა – № 9, 10, 11, 12-ის კუთხეებიდან გამორბენა ცენტრისაკენ და ადგილზე მარჯვენა მკლავის აწევა.	3 
II	4 13-16	№ 1, 2, 3, 4-ის მარცხნივ მიბრუნება. № 5, 6, 7, 8-ის მარცხნივ მიბრუნება ან № 1, 2, 3, 4-ის მარჯვნივ გადასვლა. № 9, 10, 11, 12-ის № 1, 2, 3, 4-ისათვის მარცხნიდან ამოდგომა.	1-2 – № 1, 2, 3, 4-ის 1/2 ბრუნი მარცხნივ. 1 – მკლავებს ზევით აწევა. 1 – ხელების ჩაკიდება. 2 – № 5, 6, 7, 8-ის ბრუნი მარცხნივ და № 1, 2, 3, 4-ისათვის მარჯვნიდან ამოდგომა. 1 – მკლავების აწევა. 1 – ხელების ჩაკიდება. 2 –№ 9, 10, 11, 12-ის № 1, 2, 3, 4-ისათვის მარცხნიდან ამოდგომა. 1 – მკლავების აწეა. 1– ხელების ჩაკიდება.	4 

I	40 1-40	ფერხულის წრეზე მოძრაობა ჯერ მარცხნივ, შემდეგ – მარჯვნივ.	40 – ერთად. 1-4 – მიდგმით სვლა მარცხნივ (სვლა №31). 1-8 – მიდგმით სვლა მარცხნივ. 1-2 – მიდგმით სვლა მარჯვნივ. 1-6 – მიდგმით სვლა მარცხნივ. 1-4 – მიდგმით სვლა მარჯვნივ. 1-8 – მიდგმით სვლა მარჯვნივ. 1-2 – მიდგმით სვლა მარცხნივ. 1-6 – მიდგმით სვლა მარჯვნივ.	5 
II	20 41-60	წრედ შეკრული ფერხულის მოძრაობა მარცხნივ.	20 – ერთად. 1-2 – გაქანება მარცხნივ (სვლა №36). 3-4 – გაქანება მარჯვნივ. 1-4 – მარცხენა ფეხით ნაბიჯით სვლა მარცხნივ. 5-6 – ნაბიჯი მარცხნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20) 7-8 – ნაბიჯი მარჯვნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20). 1-2 – ნაბიჯი მარცხნივ, მარჯვენის მიდგმა. 1-2 – მარცხენა ფეხით ორი ნაბიჯი მარცხნივ. 3-4 – ნაბიჯი მარცხნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20), 5-6 – ნაბიჯი მარჯვნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20).	6 
I	40 61–100	წრედ შეკრული ფერხულის მოძრაობა მარცხნივ, შემდეგ – მარჯვნივ.	40 – ერთად. 1-4 – გაქანება მარცხნივ, შემდეგ – მარჯვნივ (სვლა №36). 1-4 – მარცხენა ფეხით 4 ნაბიჯი მარცხნივ. 5-6 – ნაბიჯი მარცხნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20). 7-8 – საფერხულო ფეხცვლა (სვლა №33). 1-2 – ნაბიჯი მარცხნივ, მარჯვენის მიდგმა. 1-2 – ორი ნაბიჯი მარცხნივ. 3-4 – ნაბიჯი მარცხნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20). 5-6 – საფერხულო ფეხცვლა (სვლა №33). 20 – ამ მოძრაობათა გამეორება მეორე მხარეს.	7 
I	20 101-120	წრედ შეკრული ფერხულის მოძრაობა მარცხნივ, ბოლო 5-6 თვლა – № 1, 6, 10, 3, 8-ის და 12-ის წრის შუაში გადასვლა და მკლავების გადახვევა. № 5, 9, 2, 7, 11, 4-ის გარე წრეზე ხელების ჩაკიდება.	20 – ერთად 1-4 – მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ, მარჯვენის მიდგმა; მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან, მარცხენით გარე წრეშემოვლა. 1-4 – მარცხენა ფეხით 4 ნაბიჯი მარცხნივ. 5-6 – ნაბიჯი მარცხნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20). 7-8 – სადა გასმა (გასმა №1). 1-2 – მარცხენით განბიჯი მარცხნივ და მარჯვენის მიდგმა. 1-2 – ორი ნაბიჯი მარცხნივ. 3-4 – ნაბიჯი მარცხნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20). 5-6 – № 2, 7, 11, 4, 9-ისა და 5-ის – სადა გასმა (გასმა №1). № 1, 6, 10, 3, 8-ის და 12-ის წრის შიგნით შესვლა და მკლავების გადახვევა, № 5, 9, 2, 7, 11, 4 – გარე წრეზე ხელების ჩაკიდება.	8 

II	32 121-152	№ 5, 9, 2, 7, 11, 4-ის მოძრაობა ჯერ მარცხნივ, შემდეგ – მარჯვნივ. № 1, 12, 8, 3, 10, 6-ის მოძრაობა ჯერ მარჯვნივ, შემდეგ – მარცხნივ.	32 – № 5, 9, 2, 7, 11, 4-ის მარცხნივ მოძრაობა. 1-4 – ადგილზე სადა გასმა (გასმა №1, იწყება მარცხენათი). 5-6 – ორ ნაბიჯი მარცხნივ. 7-8 – ნაბიჯი მარცხნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20). № 1, 12, 8, 3, 10, 6-ის მარჯვნივ მოძრაობა. 1-2 – მარჯვენა ფეხით ორი ნაბიჯი მარჯვნივ. 3-4 – ნაბიჯი მარჯვნივ და ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20). 5-6 – სადა გასმა (გასმა №1, იწყება მარცხენათი). 7-8 – სადა გასმა (გასმა №1). იგივე მეორე მხარეს. ცეკვის ეს ნაწილი გამეორდება: 16 თვლას დაემატება კიდევ 16.	9 
II	32 153-184	№ 2, 4, 5, 7, 9, 11-ის მოძრაობა ჯერ მარცხნივ, შემდეგ – მარჯვნივ. № 1, 6, 10, 3, 8, 12-ის მოძრაობა ჯერ მარჯვნივ, შემდეგ – მარცხნივ.	32 – 1-16 – № 5, 9, 2, 7, 11, 4-ის მოძრაობა მარცხნივ გედურა სვლით და კოშკურა განრიგებით (სვლა №7). 1-16 – № 1, 6, 10, 3, 8, 12-ის მოძრაობა მარჯვნივ რთულა სვლით (სვლა №10), მკლავები – გარეზემკლავი. შემდეგი 16 თვლა – იგივე მეორე მხარეს.	10 
III	16 183-200	№ 5, 9, 2, 7, 11 და 4-ის სვლა მარცხნივ ნახევარ წრეზე. № 1, 6, 10, 3, 8 და 12-ის წრეზე მოძრაობა.	16 – 1-16 – № 5, 9, 2, 7, 11, 4-ის რთულა სვლა (სვლა №10) მარცხნივ, მკლავები – გადახვეული. 1-16 – № 1, 6, 10, 3, 8, 12-ის გედურა სვლა (სვლა №7) მარჯვნივ, მკლავები – კოშკურა მდგომარეობა.	11 
II	32 201–232	№ 5, 9, 2, 7, 11, 4 – მარცხნივ და მარჯვნივ სვლა. № 1, 6, 10, 3, 8, 12 – ხელჩაკიდებული მოძრაობა მარჯვნივ, შემდეგ – მარცხნივ.	32 – № 5, 9, 2, 7, 11, 4: 1-2 – ორი ნაბიჯი მარცხნივ. 3-4 – ნაბიჯი მარცხნივ და მარჯვენით ჩაკვრა წინ (ჩაკვრა №20). 5-6 – მარჯვენით ნაბიჯი წინ, მარცხენით – ჭრილი ჩაკვრა (ჩაკვრა №19). 7-8 – მარცხენა ფეხის უკან დადგმა, მარჯვენათი მოვლა (მოტარება). 9-16 – იგივე მარჯვნივ. შემდეგ ცეკვის ამ ნაწილის (16 თვლის) გამეორება. 1-8 – № 1, 6, 10, 3, 8, 12 – ჩაკიდებული ხელებით ხლართულა სვლა მარჯვნივ (სვლა №37). 9-16 – ჩაკიდებული ხელებით ხლართულა სვლა მარცხნივ (სვლა №37). შემდეგ ცეკვის ამ ნაწილის (16 თვლის) გამეორება.	12 
II	16 ან 32 232–248 ან 232-264	№ 9, 2, 7, 11, 4, 5-ის მოედნიდან გასვლა მარჯვნივ. № 1, 6, 10, 3, 8, 12-ის მოედნიდან გასვლა მარცხნივ.	16 ან 32 : № 9, 2, 7, 11, 4, 5 – 16 ან 32 – ხლართულა სვლით გასვლა მარჯვნივ (სვლა №37). მკლავები – კოშკურა მდგომარეობა. 16 ან 32 – № 1, 6, 10, 3, 8, 12 – ხლართულა სვლით გასვლა მარცხნივ (სვლა №37). შიგა წრის. №1-ის გაყოლა.	13 

ქალთა ფერხული

მუსიკა მიხეილ ჩირინაშვილისა

f

სვანეთის ექსპედიცია
1934 წელი

1934 წელს ზაფხულის თვეში გადავწყვიტე წავსულიყავი ექსპედიციით სვანეთში, რათა გავცნობოდი სვანთა შემოქმედებას საცეკვაო ხელოვნებაში. მე და პროფესორმა შალვა ასლანიშვილმა, რომელიც მუშაობდა ქართული ხალხური სიმღერის ჩასაწერად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მოვილაპარაკეთ ექსპედიციის მოწყობის შესახებ. შევთანხმდით, რომ ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყო აკაკი ფაღავა. რეჟისორობის გარდა მუშაობდა სახალხო განათლების კომისარიატში, მაგრამ, სამწუხაროდ, აკაკი ფაღავამ საქმეების გამო ვერ შეძლო განთავისუფლება სამსახურიდან.

ველოდებოდით, რათა სახალხო განათლების კომისარიატს გამოეყო საჭირო თანხა, რაც ჩვენ მოვითხოვეთ. ასეც მოხდა. სახ. განათლების კომისარიატმა ექსპედიციის ჩასატარებლად გამოყო თანხა 7000 მანეთის რაოდენობით (სწორედ სვანეთში გადაღებული ფერხულების გაშიფრულ საექსპედიციო მასალებს ვთავაზობთ მკითხველს. – რედ.)

დავით ჯავრიშვილი

ლაშგარი (ლაშქარი)[1]

ფერხული სამტაქტიანია.
საწყისი მდგომარეობა – წრიულად დგომა.
ფეხი – III პოზიცია.
ხელი – გარექვემკლავი, ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული ან ხელიხელჩაკიდებული. ქალების მონაწილეობისას ხელები ქვედაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.
მუსიკალური ზომა – 4/4.

გარე ტაქტი

ერთი – და – ორი – ყოვნა.

და – მარცხენა ფეხის წინ, მარცხნივ ჰაერში გატანა. მარჯვენაზე დგომა.

I ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, ტანის მარცხნივ გადახრა, სიმძიმე მარცხენაზე, მუხლში გამართული მარჯვენა ერგცერზე – რხევა მარცხნივ.

და – მარჯვენა ფეხის დადგმა მარჯვნივ, ტანის მარჯვნივ გადახრა, სიმძიმე მარჯვენაზე. მუხლში გამართული მარცხენა ერგცერზე – რხევა მარჯვნივ.

ორი – მარცხენა ფეხის მარცხნივ – ადგილზე დადგმა, მარჯვენის მუხლში მოხრა და ჰაერში აწევა.

და – მარჯვენით საფერხულო წინჩაკვრა, მარცხენით ადგილზე ქუსლის დაკვრა.

II ტაქტი

სამი – მარჯვენა ფეხის წინ მთელი ტერფით გამახვილებულად დაკვრა, მარცხენის მუხლში მოხრა და უკან ჰაერში ოდნავ აწევა.

და – მარცხენა ფეხის დადგმა, გამართული მარჯვენის წინ აწევა.

ოთხი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. მარცხენის მუხლში მოხრა და ოდნავ აწევა.

და – მარცხენა ფეხის წინ – მარჯვნივ – მარჯვენასთან ჯვარედინად ჩაკვრა. მარცხენის ქუსლით დაკვრა.

III ტაქტი

ხუთი – მარცხენა ფეხის მარჯვნივ – მარჯვენასთან ჯვარედინად დადგმა, მარჯვენის მუხლში მოხრა და ოდნავ აწევა, ტანის ცენტრისკენ შებრუნება.

და – მარჯვენა ფეხის გამართულად წინ გაქნევა. მარცხენის ქუსლით დაკვრა.

ექვსი – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ განზე დადგმა, სიმძიმე მარჯვენაზე, მარცხენის მუხლში მოხრა და ჰაერში აწევა.

და – მარცხენა ფეხის წინ გაქნევა – საფერხულო ჩაკვრა, მარჯვენის ქუსლით დაკვრა.
საფერხულო ნაერთი (ფეხის მოძრაობათა კომპლექსი) რამდენიმეჯერ მეორდება და მესამედ გამეორებისას დაემთხვევა პირველ ტაქტს.

ფერხულის მეორე ნაწილი, მოძრაობათა კომპლექსის შეუცვლელად, ჩქარ ტემპში სრულდება.

1 სვანური ტექსტი და ქართული ვარიანტი დავით ჯავრიშვილისა.

ლაშგარი (ლაშქარი)

ო, ო, ო ლაშგა̈რისა და ხუილაშგა̈რი.
შგარიდა, ჩუბე რიყთე ლინზორალი,
შგარიდა, ამბა̈უ ა̈ჯჯა̈დ ჩიმ ხოჩემიშ,
შგარიდა, ამბიშ ლექჟა შიდ სოფელი,
შგარიდა, ფხუტრერ ზურჩი ჩოლულგმგენლი,
შგარიდა, ჟაბე ეცრიშ მახელჟაჟა̈რ,
შგარიდა, ხიფა̈შჟდელად ფხუტრერისგა,
შგარიდა, ამწა̈მ ჩუბენ ჩოლუ ჯაწგხახ,
შგარიდა, ფადას ჩუბენ ჩოლუ ხაქჟეცა,
შგარიდა, შუყურისა ლიშიალე,
შგარიდა, ჯიხურისა ლისუნყჟერი,
შგარიდა, და̈რ ჯაჩონახ ლახჟბას,
შგარიდა, ჩიდ მაჩენე ქელმემეთი,
შგარიდა, ეჩან ხოჩა ნაწიფაილ,
შგარიდა, ეჩან ხოჩა შეხემგრზა,
შგარიდა, ფადასიშა ლათუმუნას,
შგარიდა, ფუთას ხანგა̈რ ჟოლუ ხოშგუნა,
შგარიდა, წირ ი თალა შგნ ხაღჟენა,
შგარიდა, ეჯნოშ ამხჟა̈რს ადაგა̈რი,
შგარიდა, ზისხიშ ტოლეკ აუჯა̈რ ისგუ.

ოდდა, ლაშქარში ვილაშქრებო,
ქვემო რიყეში შევიყარენით,
ამბავი მოგვივიდა კარგისაო
დასავლეთ სოფელ ფხუტრერიდან.
ფხუტრერში ზურჩი უკვე მდგარაო,
ზემო-ეცერის ახალგაზრდები
თავს იქებენ ფხუტრერშიო,
ამ წამს ნეტავ დაგჭირდეთო,
ფადასი (მცირე და სასწრაფო ლაშქარი)
ჩამოწყდეს ქვემოთკენო.
მუყურში გაიმართა ომიაო,
ჯიხურში კი საყვირის კვრაო.
ვერვინ აჯობეს სამსა ძმასო,
ყველაზე უკეთესი ქელმემეთი,
მასზედ კარგი კიდევ ნაწიფაილ,
მასზედ უკეთესი შეხმურზოლა.
ფადასის დასაჩქარებლადა
ფუთას ხმალი წაუძვრიაო,
წირი და სოლი თან ჰქონდაო,
მათით მტრებსა ხოცავდაო,
სისხლის მღვრელი აბჯარი შენიო.

შგარი და ლაშგარი

საფერხულო ნაწილი

შგარიუო და ლაშგარიუოისგა და ხუილაიუო.
შგარიუო და ინზოიუორალეხო ფხგტლერიუო.
შგარიუო და ჟაბეშიუო ჲეცრიშა მახეიუა.
შგარიუო და ჩუაბეშიუო ჲეცრიშა მახეიუა.
შგარიუო და ილგაივოჭალეხა ლაშქრიშივო.
შგარიუო და ჩიდმაიუოჩენე და შეხეიუო.
შგარიუო და ჲეჩენდიუო ხოჩაჲა ნაწწჷილა.
შგარიუო და ჲეჩენდიუო ხოჩაჲა ჯულაბიუო.
შგარიუო და ჲაშიივო ბინადა ლიზიიუო.

შგარი და ლაშგარისა ხუილა
შგარი და ლაშგარისა ხუილა...
ფიშირი ამ დურევი ხოჩა გუჟი,
ფიშირი ამ დურევ ხოჩა გუჟი (რ).

ბიბა[1]

ფერხული ორტაქტიანია.
საწყისი მდგომარეობა – ერთმანეთის ზურგს უკან დგომა.
ფეხი – I პოზიცია. ხელი – წინმდგომის მხრებზე, თავი ოდნავ წინ დახრილი. მუსიკალური ზომა – 2/4.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ. სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე. მარცხენა თავისუფლად ერგცერზე, ტანის წინ გადახრა.

და – მარცხენა ფეხის გაქნევ-ჩაკვრით ნახევარი ნაბიჯი წინ. მარჯვენა ფეხის ერგცერზე აწევა და ქუსლით დაკვრა, ტანის უკან გადახრა, სიმძიმე მარჯვენაზე.

ორი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ. მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე, ტანის წინ გადახრა, სხეულის სიმძიმე მარცხენაზე.

და – მარჯვენა ფეხის გაქნევ-ჩაკვრით ნახევარი ნაბიჯი წინ. მარცხენის ერგცერზე აწევა და ქუსლით დაკვრა, ტანის უკან გადახრა, სიმძიმე მარჯვენაზე.
ფერხული სრულდება ტანის რხევითი – ბიძგური მოძრაობით წინ და უკან.

ბიბასიუო ეჩუნდიუო ხოშამ საკურელსიო ლოსგდიდ,
უოდდილი, უოდდილი, უოდსა, ბიბა.
ბიბასიუო მულუშირიო ლაჯანსიუო ხაბმენა,
უოდდილი, უოდდილი უოდსა, ბიბა.
ბიბასიუო დაშდულდ ლაჭადისიუო ხაბმენა,
უოდდილი, უოდდილი უოდსა, ბიბა.
ბიბასიუო ციცულდ ლაყელისიუო ხასგურენა,
უოდდილი, უოდდილი უოდსა, ბიბა.
ბიბასიუო ქათლიდ ლგგრილსიუო ხალეჩენა,
უოდდილი, უოდდილი უოდსა, ბიბა.

ბიბას იმაზე უფრო საკვირველს ვუყურებთო,
ვოიდილი, ვოიდილი, ვოისა, ბიბა.
ბიბას ხარჯიხვი გუთანში (სახნავს) ებაო,
ვოიდილი, ვოიდილი, ვოისა, ბიბა.
ბიბას დათვი ფარცხში ებაო,
ვოიდილი, ვოიდილი, ვოისა, ბიბა.
ბიბას კატა ყველის ამოყვანას შესდგომიაო (უჯდაო),
ვოიდილი, ვოიდილი, ვოისა, ბიბა.
ბიბას ქათამი კვერცხს სდარაჯობდაო,
ვოიდილი, ვოიდილი, ვოისა, ბიბა.

1 სვანური ტექსტი მოგვაწოდეს კანდიდ და გიორგი მერლანებმა. რედაქტირება და ქართული ვარიანტი ნინო ნაკანისა.

ბიბა

I Coro

II Coro



ბიბა

ბიბაივო
ჲეიჩუნდივო ხოჩამ საკურელსივო ლოს(გ)დიდ(ო),
ვოჲდილი, ვოჲდილი ვოჲსა (ბი-ბა).

ბიბაივო
მუღვშირივო ლაჴანისივო (და) ჯიბგდა,
ვოჲდილი, ვოჲდილი ვოჲსა (ბიბა).

ბიბაივო
ციცულდივო ლაყელისივოი სგახასგვრენა,
ვოჲდილი, ვოჲდილი ვოჲსა (ბიბა).

ბილება, ბილება,
ჲეჩუნ ხოჩამ საკურელს ლოს(გ)დიდ,
ვოჲდილ(ი) ვოჲსა (ბილება).

ბილება, ბილება,
მუღვშირ ლაჴანის ჯაგნენახ,
ვოჲდილ(ი) ვოჲსა (ბილება).

ბილება, ბილება,
რაჭულდ ლაყელის ხასგვრენა,
ვოჲდილ(ი) ვოჲსა (ბილება).

ბილება, ბილება,
ციცულდ ლაყელის ხასგვრენა,
ვოჲდილ(ი) ვოჲსა (ბილება).

ბილება, ბილება,
ჲეჩუნ ხოჩამ საკურელს ლოს(გ)დიდ,
ვოჲდილ(ი) ვოჲსა, ბილება.

დალა კოჯას ხელღვაჟალე[1]

ფერხული ოთხტაქტიანია. მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.

მუსიკალური ზომა – 2/4.

საწყისი მდგომარეობა – წრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი – III პოზიცია. ხელი – ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული. ქალთა მონაწილეობისას ხელები ქვედაშვებული და ხელჩაკიდებული.

გარე ტაქტი

და – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული წინ. მარჯვენა დაბალი ერგცერიდან ქუსლის დაკვრა.

I ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის მთელი ტერფით მარცხნივ დადგმა, რხევა მარცხნივ, მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე.

და – მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით მარჯვნივ დადგმა, რხევა მარჯვნივ, მარცხენა თავისუფლად ერგცერზე.

ორი – მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ ჯვარედინად დადგმა. მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე.

და – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ დადგმა. მარცხენა თავისუფლად ერგცერზე.

II ტაქტი

სამი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი საცეკვაო ხაზის მიმართულებით. მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე.

და – მარცხენა ფეხის დაბალ ერგცერზე ტანით ცენტრისაკენ შებრუნება. მარჯვენა ფეხის წინ გაქნევა.

ოთხი – მარჯვენა ფეხის მთელი ტერფით წინ დადგმა.მარცხენის უკან ჰაერში ოდნავ აწევა.

და – მარჯვენა გამართული ფეხის წინ აწევა. მარცხენის მარჯვენის უკან დადგმა.

III ტაქტი

ხუთი – მარჯვენა ფეხის მთლიანი ტერფით მარჯვნივ დაკვრა. მარცხენის მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

და – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული წინ. მარჯვენის დაბალ ერგცერზე ქუსლით დაკვრა.

ექვსი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, რხევა მარცხნივ. მარჯვენა – თავისუფლად ერგცერზე.

და – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. მარცხენა – თავისუფლად ერგცერზე.

IV ტაქტი

შვიდი – და – მცირე ერგბუქნით მარცხენა ფეხის მარჯვენის უკან ჯვარედინად ჩადგმა. მარჯვენაზე მცირე ერგბუქნი.

რვა – მარჯვენის მარჯვნივ გამართულად დადგმა. მარცხენის ოდნავ მუხლის სახსარში მოხრა.

და – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა წინ. მარჯვენის ქუსლით დაკვრა. შემდეგ ტაქტზე მოძრაობა იწყება თავიდან.

---

1 დალა კოჯას ტექსტი ექსპედიციაში არ ჩაუწერია დავით ჯავრიშვილს (– რედ.).

დალა კოჯას

I Coro

II Coro



დალა კოჯას

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
დალე კოჯას ხელღუაჟალე, რეროშა, რა-შა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
ხელღუაჟალე თუეთნამ კოჯაპრს, რეროშა, რაშა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
ჟიქან ღუემლაპრ ხემდუერიალეხ, რეროშა, რაშა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
ჩუქუან თხერაპლ ხოყგლაპგნეხ, რეროშა, რაშა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
დალის ჩუინჩილ ქაუ ხაშყედა, რეროშა, რაშა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
ამის მეთხუიაპრ ქაუ ხაწედა, რეროშა, რაშა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
ტყუიფ ათღანე კუთხუას მიჩა, რეროშა, რაშა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
ჩუინჩილ თხერედ ჩუუ ხოკურუნა, რეროშა, რაშა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
ჩუინჩილ მეთხუიაპრს ჟიუ ხოკიდა, რეროშა, რაშა.

შაიუოდი რირორაშა, რეროშა, რაშა,
დაპლიშდ ჩუინჩილ ჟიუ ხოჴიდა, რეროშა, რაშა...

რელი – უშგულა ლასმა (უშგულის გასაგონი)[1]

ფერხული სამტაქტიანია.
საწყისი მდგომარეობა – წრიულად დგომა.
ფეხი – III პოზიცია. ხელი – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული ან ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული. ქალების მონაწილეობისას ხელები ქვედაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.
მუსიკალური ზომა – 4/4.

I ტაქტი

ერთი – და – ორი – ყოვნა.

და – მარცხენა ფეხის გაქნევა წინ – მარცხნივ.

სამი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, ტანის მარცხნივ გადახრა, სიმძიმე მარცხენაზე, გამართული მარჯვენა ერგცერზე – რხევა მარცხნივ.

და – მარჯვენა ფეხის დადგმა მარჯვნივ, ტანის მარჯვნივ გადახრა, სიმძიმე მარჯვენაზე. გამართული მარცხენა ერგცერზე – რხევა მარჯვნივ.

II ტაქტი

ოთხი – მარცხენა ფეხის მარცხნივ – ადგილზე დადგმა, მარჯვენის მუხლში მოხრა და ჰაერში აწევა.

და – მარჯვენა ფეხით საფერხულო წინჩაკვრა, მარცხენის ადგილზე ქუსლით დაკვრა.

ხუთი – მარჯვენა ფეხის წინ მთლიანი ტერფით გამახვილებულად დაკვრა, მარცხენის მუხლში მოხრა და უკან ჰაერში ოდნავ აწევა.

და – მარცხენა ფეხის დადგმა, მარჯვენის გამართულად წინ ჰაერში აწევა.

III ტაქტი

ექვსი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. მარცხენა ფეხის მუხლში მოხრა და ჰაერში ოდნავ აწევა.

და – მარცხენა ფეხის წინ – მარჯვნივ – მარჯვენასთან ჯვარედინად ჩაკვრა. მარცხენის ქუსლით დაკვრა.

შვიდი – მარცხენა ფეხის მარჯვნივ – მარჯვენასთან ჯვარედინად დადგმა, მარჯვენა ფეხის მუხლში მოხრა და ოდნავ აწევა, ტანის ცენტრისკენ შებრუნება.

და – გამართული მარჯვენა ფეხის წინ გაქნევა. მარცხენის ქუსლით დაკვრა.

რვა – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ – განზე და უკან დადგმა, სიმძიმე მარჯვენაზე, მარცხენის მუხლში მოხრა და ჰაერში აწევა.

და – მარცხენა ფეხის წინ გაქნევა – საფერხულო ჩაკვრა, მარჯვენის ქუსლით დაკვრა.
საფერხულო ნაერთი (ფეხის მოძრაობათა კომპლექსი) სხვადასხვა თვლაზე რამდენიმეჯერ მეორდება. მეოთხედ განმეორებისას იწყება თავიდან და ემთხვევა პირველ ტაქტს.

1 სვანური ტექსტი მოგვაწოდეს კანდიდ და გიორგი მერლანებმა. რედაქტირება და ქართული ვარიანტი ნინო ნაკანისა.

რელი – უშგულა ლასმა

რელი, ოდ, საბრალ უშგუ̈ლა̈შიუ̈ო სოფე̈ლ,
რელი, ლაშგა̈რიუ̈ო ანღრიხ სა̈უ̈იაშ,
რელი, სგაუ ჯაშგდახ ეჩხა̈ნ-ამხა̈ნ
რელი, ჰამუ̈აჲ წიფი ბალა̈რ.
რელი, ხოჩამ–ხოჩამ ჯადგა̈რიხ,
რელი, ხოდრამ–ხოდრამ ქაფა̈რს ჯაცუ̈ემხ,
რელი, ქაფა̈რს ჯაცუ̈ემხ უ̈ოდიუ̈ო მუგუ̈ლიშ.
რელი, ოდ საბრალე უშგუ̈ლა̈შ ხეხუ̈ა̈რ,
რელი, ბოფშა̈რს ჰაკუ̈ნა̈რშუ̈ ჯეღეშგალეხ.
რელი, ოდ საბრალე უშგუ̈ლა̈შ ბაპა̈რ,
რელი, ვერა̈ლს ფიკუ̈იდ ჯაწაბურეხ.

ო, საბრალო სოფელო უშგულისა,
ლაშქარი მოდის ოსებისა,
შემოგსევიათ აქეთ-იქიდან,
როგორც წიფლის ფოთლები.
კარგებს გხოცავენ,
ცუდებს ტვირთებს გკიდებენ,
ტვირთებს გკიდებენ კვარისა.
ო, საბრალო ცოლებო უშგულისა,
ბავშვებს აკვნებიანად გართმევენ.
ო, საბრალო მღვდლებო უშგულისა,
წვერებს მშრალად გპარსავენ.

რელი

რე̄ლი, ვოდ საბივორელ უშგვლაშივო სოფელ,
რე̄ლი, ლაშგაშრივო ჲანღრიხ, ვოდივო საშვჲაშ.
რე̄ლი, სგავჯაიოშგდახ ეჩხანივო ამხან,
რე̄ლი, ჰამვაიო წიფიშ, ვოდივო ბალაშრ.

რე̄ლი, ქაფასივო ჯაცვემხ, ვოდივო, მუგვლიშ,
რე̄ლი, ვოდ საბივორელ უშგვლაშივო სოფელ,
რე̄ლი, ლაშგაშრივო ჲანღრიხ, ვოდივო, საშვჲაშ (რე̄ლი).

ბაილ-ბეთქილ[1]

ფერხული ექვსტაქტიანია.
საწყისი მდგომარეობა – წრიული განლაგება.
ფეხი – III პოზიცია. ხელი – ქვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული.
მუსიკალური ზომა – 6/8.

გარე ტაქტი

ერთი – და – ორი – ყოვნა.

და – მარცხენა თავისუფალი ფეხის დაბლა – წინ და მარცხნივ გაქნევა, მარცხენაზე დგომა.

I ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, ტანის მარცხნივ გადახრა. სხეულის სიმძიმე მარცხენაზე. თავისუფლად გამართული მარჯვენა დაბალ ერგცერზე – რხევა მარცხნივ.

და – მარჯვნივ ტანის გასწორება – ვერტიკალური მდგომარეობა, სიმძიმე მარჯვენა ფეხზე, თავისუფლად გამართული მარცხენა დაბალ ერგცერზე.

ორი – მარცხნივ ტანის გადახრა, სიმძიმე მარცხენა ფეხზე, თავისუფლად გამართული მარჯვენა დაბალ ერგცერზე – რხევა მარცხნივ.

და – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან ახლოს მიტანა, ტანის გასწორება.

II ტაქტი

სამი – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ და წინ დაკვრა. მარცხენაზე თავისუფლად დგომა.

და – მარჯვენა ფეხის ოდნავ აწევა, სიმძიმე მარცხენაზე.

ოთხი – და – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ – წინ. მარცხენა გამართულ ერგცერზე.

ხუთი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ და წინ – მარჯვენასთან ჯვარედინად დადგმა, სიმძიმე მარცხენაზე, ტანი მარჯვნივ.

და – მარცხენა საყრდენი ფეხის ერგცერზე შებრუნებით მარჯვენა თავისუფალი ფეხის წინ – ცენტრისაკენ ჰაერში ოდნავ გაქნევა. ტანი – პირდაპირ.

ექვსი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან, სიმძიმე მარჯვენაზე, მარცხენის ოდნავ აწევა და მუხლში მოხრა – ტერფის საყრდენ ფეხთან მიტანა.

და – მარჯვენა ფეხზე დგომა, მარცხენის დაბლა ჰაერში წინ – მარცხნივ გაქნევა.

1 სვანური ტექსტი მოგვაწოდეს კანდიდ და გიორგი მერლანებმა. რედაქტირება და ქართული ვარიანტი ნინო ნაკანისა.

ბაილ-ბეთქილ

ბაილ, ბეთქილიო ლაკუცირას მეშყდელი.
ჩუ ლუზუერ ლიხ მგლახ-მუჟალ,
ჩუ ლუზუერ ლიხ ჟაბეშ სუიფჟი,
ბითქუშ ესღრიხ საღუი ჭგშხაშს,
უკუცირხანქა კუიცრა ლახშგაბ,
ლაჭშხაშ აქუიც ნესგა ლექუა,
ბეთქილს ოთჩად ნაბრაჯიქა.
– ამიშ მელუეჭ დარ იროლე?
– ამიშ მელუეჭ ბეთქილ ირა.
სგუებინ კუიცრა, უეშგინ ბეთქილ,
სგაუ მეჩდე ლიხ უხუან კოჯთე,
სგუებინ ნალჯან შუკუს იჟუეღი,
უეშგინ კუიცრალ უშხუარ ხატხეხ,
სგაუ მაჟოღა უხუანითე.
– ხოჩა ლადაღ მიშგუა ბეთქილს,
მიშგუი ნაჰოდ ჰეშმილდ მადუ?
– ეჯა ლაყურჯ თხურმაშ ამსად.
– მაგუარ ეჯა თხურმაშ აჯსად,
ეჯგუარ ლიზ-ლიტხალს მი ჯაჩო.
ლერსგუან ტუეტმიშ ლაგუდირ ლახცუირ,
ლერთან ჭიშხიშ ლაგნა ლახცუირ.
– ცოდა მიშგუ თამარსუ ჯარ,
იმუაჲ ამჟი მი ჩუამქადინ.
დედეს მიშგუა ხუეჯგრალე:
ქუთს ი ჭიშდუარს გარ მიფანედს.
თამარს მიშგუა ხუეჯგრალე:
ლაჩაქ აშხუ ზაუ მეშხე ესფარის.
ლაცლას მიშგუა ხუეჯგრალე:
მეგჭე ზარილდ ქაი რაქუახ.
დედე, დედე, შყუედენილა.

ბაილ-ბეთქილი საჯიხვეზე გადაჩეხილაო (ჩავარდნილაო).
შეკრებილია მულახ-მუჟალი,
შეკრებილია ჟაბეშში სოფლის მოედანზე,
ბათქუნით ცეკვავენ (მიდიან) საღვთო ფერხულს,
საიდანღაც (უკაცრიელიდან) შუნი მოვარდა,
ფერხული შუაზე გადაკვეთა,
ბეთქილს გაუძვრა ლაჯებში.
– ამის მდევარი ვინ იქნება?
– ამის მდევარი ბეთქილი იქნება.
წინ შუნი, უკან ბეთქილი,
მისულან შიგ მიუვალ კლდესთან,
წინ საურმე გზას მიჰყვება,
შუნები უკან გზას კეტავენ,
შიგ შემიძღვა მიუვალ კლდესთან:
– გამარჯობა, ჩემო ბეთქილ (კარგი დღე ჩემს ბეთქილს)!
ჩემი მოცემული მძივი რა უყავ?
– ის საწოლის სასთუმალქვეშ დამრჩა.
– როგორც ის სასთუმალქვეშ დაგრჩა,
ისე დაგაბრუნებ მე (ისეთ წასვლა-დაბრუნებას მე გიზამ).
მარჯვენა ხელის მოსაკიდებელი დაუტოვა (შეარჩინა),
მარცხენა ფეხის დასადგმელი დაუტოვა (შეარჩინა).
– ჩემი ცოდვა თამარსამც გქონდეს,
როგორც (სადაც ასე) მე შემაცდინე.
დედას ჩემსას ვევედრები:
მხოლოდ ხაჭაპურს და ჭიშდვარს წამიდგამდეს
სულის მოსახსენებლად.
თამარს ჩემსას ვევედრები:
შავი ლეჩაქი ერთი წელი ატაროს (დაიფაროს).
ტოლებს ჩემსას ვევედრები:
ძლიერი ზარიც თქვან.
დედავ, დედავ, ვვარდები.

ბაილ ბეთქილ

ოჲ დაბლივო,
ბეთქილიო, მულახივო მუჟალ,
ბᲔილ ილბᲔთა, ილბაივო (ბᲔილ).

ბᲔილ ჩუვლუივო ზვერლიხა, მულახივო მუჟალ,
ბᲔილ ილბᲔთა, ილბაივო (ბაილ).

ბᲔილ სგავხაივო გენახა მურგვალივო ჭგშხაშს,
ბᲔილ ილბᲔთა, ილბაივო (ბაილ).

ბᲔილ სგავხოიო სკინადა თვეთნამივო კვიცრას,
ბᲔილ ილბᲔთა, ილბაივო (ბაილ).

ბᲔილ ბეთქილსივო ოთჩᲔდა(ი) ნაბრᲔჯივო ჩუქვან,
ბᲔილ ილბᲔთა, ილბაივო (ბაილ).

ბᲔილ ამიშივო მეღვეჭა ჲარ გვეივო რალე,
ბᲔილ ილბᲔთა, ილბაივო (ბაილ).

ბᲔილ ამიშივო მეღვეჭა(ი) ბეთქილივო გვერა
ბᲔილ ილბᲔთა, ილბაივო (ბაილ).

ბᲔილ ჩუვლუიო ზვერლიხა(ი) მულახივო მუჟალ,
ბᲔილ ილბᲔთა, ილბაივო, ბაილ.

დიდება თარგლეზერის (მთავარანგელოზს)[1]

ფერხული ხუთტაქტიანია.
საწყისი მდგომარეობა – წრიულად სახით ცენტრისაკენ დგომა.
ფეხი – III პოზიცია.
ხელი – დაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.
თავი – პირდაპირ.
მუსიკალური ზომა – 4/4.

გარე ტაქტი

შესავალი – მარცხენა ფეხის ჩაკვრით მარცხნივ ჰაერში გაქნევა, მარჯვენაზე დგომა. ხელი – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული. ტანი და თავი ოდნავ მარცხნივ შებრუნებული.

I ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხის განზე მარცხნივ დადგმა, გამართულ მარჯვენა ერგცერზე. სიმძიმე მარცხენაზე – რხევა მარცხნივ. ტანი და თავი მარცხნივ.

ორი – მარჯვენა ფეხის ერგცერიდან მთელი ტერფით ადგილზე დადგმა, მარცხენა – ერგცერზე, სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე – რხევა მარჯვნივ; ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი მარჯვნივ.

სამი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ – საცეკვაო ხაზის მიმართულებით, მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე. ხელი – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი – მარჯვნივ, თავი – პირდაპირ.

ოთხი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ – საცეკვაო ხაზის მიმართულებით, მარცხენა თავისუფლად ერგცერზე. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი – მარჯვნივ, თავი – პირდაპირ.

ხუთი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ – საცეკვაო ხაზის მიმართულებით, მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი – მარჯვნივ, თავი – პირდაპირ.

ექვსი – მარცხენა ფეხის ერგცერზე მეოთხედი ბრუნი მარცხნივ, მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა წინ. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი პირდაპირ.

შვიდი – გამართული მარჯვენა ფეხის მთლიან ტერფზე წინ დადგმა. მარცხენის უკან ჰაერში მოხრა. სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე. ხელები – ტაშის შემოკვრა, ტანი და თავი პირდაპირ.

რვა – მარცხენა ფეხის მთელ ტერფზე უკან დადგმა, გამართული მარჯვენის ზევით აწევა, სიმძიმე მარცხენაზე. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული. ტანი და თავი პირდაპირ.

ცხრა – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ განზე დადგმა, მარცხენის მოხრა. სიმძიმე მარჯვენაზე, ტანი და თავი პირდაპირ.

ათი – მარჯვენაზე დგომა, მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა წინ და მარჯვნივ – ჰაერში მარცხნივ შემოტარებით. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული. თავი და ტანი ოდნავ მარცხნივ.

ფერხულის მოძრაობათა ნაერთი რამდენიმეჯერ მეორდება, ოღონდ სხვადასხვა ტაქტის სხვადასხვა თვლაზე.

1 ნაკლულია სვანური ტექსტი. რაც არ არის სვანურში, არის ქართულ ვარიანტში.

დიდება თარგლეზერის

ოდი, დიდება თარგლეზერის, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, ლიმზგრ ჯარახ სგაშლალგენას, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, ჴანარ ჯირდახ სგაშლალგენას, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, მუჭუარ ხაგანხ შიდ უოქურეში, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, იბურლუელახ ზაგრი–ზაგარ, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, გიცრარ ჯირდახ სგაშლალგენას, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, მუჭუარ ხაგანხ შიდ ყორყორჯი, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, იკუაჩხელეხ ბაჩნი-ბაჩად, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, ლელჴგრელიდ თარგლეზერის, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, ჯოღუ ლოგუშედა ყერუშ მიჩა, ლაჲდიუო, რეია, ო.
ოდი, ოქურეშ სამკალ ლილგო ზარი, ლაჲდიუო, რეია, ო.

დიდება მთავარანგელოზსაო,
შესაწირი გქონიათ შიგ საწირშიო,
ხარები გყოლიათ შიგ საწირში,
რქები ჰქონიათ ოქროსაო,
ბურღაობენ მთა და მთაო,
ჭედილებიც გყავთ შიგ საწირშიო,
რქები ჰქონდათ დაგრეხილიო.
დახტოდენ ქვა და ქვაო.
შევევედროთ მთავარანგელოზსაო,
ის შეგვეწიოს ძალითა მისითაო,
კოშკი გედგათ შიგ ოქროსიო,
გალავანი ერტყა შხეფისაო.
თავს გარტყია შავარდენებიო,
საძირკველთან გეწვათ ირმებიო.

დიდებათა

ვრ̄დი, დიდ̈იბათა ჲარილ(ი) გვაჲაშედა, ვო (ჰო),
ვოჲდი ვორერა (ვო).

ვრ̄დი, ლ̈ალ̈ჴრალენდ ლიშედს გუშგუ̈ეჲ (ჰო),
ვოჲდი ვორერა (ვო).

ვრ̄დი, ვოქვრ̈აშ სამკაია ლილგვაია შედა (ჰო),
ვოჲდი ვორერა (ვო).

ვრ̄დი, ჴაინ̈არ ჯირდახ სგ̈აშ ლალგენა (ჰო),
ვოჲდი ვორერა (ვო).

ვრ̄დი, მუჭვ̈არ ხ̈აგ̈ანხ შიმ ვოქვრ̈აში (ჰო),
ვოჲდი ვორერა (ვო).

ვრ̄დი, გიცრ̈ალ ჯირდახ სგ̈აშ ლალგენა (ჰო),
ვოჲდი ვორერა (ვო).

თამარ დედფჳლ (თამარ დედოფალი)[1]

ფერხული რვატაქტიანია.

საწყისი მდგომარეობა – წრიულად სახით ცენტრისაკენ დგომა.
ფეხი – III პოზიცია.
ხელი – დაშვებული და ხელიხელჩაკიდებული.
თავი – პირდაპირ.
მუსიკალური ზომა – 6/8.

I ტაქტი
ერთი – და – ორი – და – ყოვნა.

II ტაქტი
სამი – და – მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ, გამართული მარჯვენის წინ ჰაერში გატანა. სხეულის სიმძიმე მარცხენაზე, ხელები – გარეწინმკლავი – შეერთებული, თავი – პირდაპირ.
ოთხი – და – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან, მარცხენა წინ თავისუფლად გამართული და ზევით აწეული, ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, თავი ოდნავ დახრილი წინ და ქვევით, სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე.

III ტაქტი
ხუთი – და – ექვსი – და – მარცხენა ფეხის წინ დადგმა, გამართული მარჯვენა ერგცერზე, სიმძიმე მარცხენაზე, ტანი მარჯვნივ შებრუნებული – წინ გადაწეული, ხელი – გარეწინმკლავი – ხელიხელჩაკიდებული. თავი ოდნავ აწეული.

IV ტაქტი
შვიდი – და – მარჯვენა ფეხის მარცხნივ, მარცხენის გვერდით, ჯვარედინად ერგცერზე დადგმა, ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, თავის ოდნავ წინ და მარცხნივ დახრა.
რვა – და – ყოვნა.

V ტაქტი
ცხრა – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარცხენა თავისუფლად ერგცერზე, ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი ოდნავ მარჯვნივ.
და – მარცხენა ფეხით მარჯვნივ ფეხგაქნევით ჩაკვრა, მარცხენის ერგცერზე აწევა და ქუსლით დაკვრა. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული. ტანი და თავი ოდნავ მარჯვნივ.
ათი – გამართული მარცხენა ფეხის შემოტარებით მარცხნივ გაწზე დადგმა, მარჯვენა ერგცერზე, სხეულის სიმძიმე მარცხენაზე – რხევა მარცხნივ. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი მარცხნივ.
და – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ განზე დადგმა, მარცხენა – ერგცერზე, სიმძიმე მარჯვენაზე, ხელი – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული. ტანი და თავი მარჯვნივ.

1 სვანური ტექსტი და ქართული ვარიანტი ჩაწერა დავით ჯავრიშვილმა. განმეორებები – რედიფი – არაა ქართულში.

VI ტაქტი

თერთმეტი – მარცხენა ფეხის მარჯვნივ მარჯვენის წინ ჯვარედინად დადგმა. მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე. სხეულის სიმძიმე მარცხენაზე, ხელი – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული. ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ და გვერდზე ჭდობილად ერგცერზე ჩადგმა. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი ოდნავ მარცხნივ.

თორმეტი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარცხენა თავისუფლად ერგცერზე, ხელი – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მარცხენა ფეხის გაქნევით მარჯვნივ მარჯვენის ჯვარედინად ჩაკვრა. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი მარჯვნივ.

VII ტაქტი

ცამეტი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე – რხევა მარცხნივ, ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული ტანი და თავი მარცხნივ.

და – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, მარცხენა თავისუფლად ერგცერზე – რხევა მარჯვნივ, ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი მარცხნივ.

თოთხმეტი – მარცხენა ფეხის მარჯვენის უკან ჯვარედინად ნახევრად ჯდომში ჩადგმა. მარცხენის მუხლის მარჯვნივ მიმართვა. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი ოდნავ მარცხნივ, თავი – პირდაპირ.

და – ნახევარჯდომიდან გამართვა. მარცხენა ფეხი უკან. მარჯვენა – მარცხენის მარცხნივ, ჯვარედინად. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი მარცხნივ, თავი წინ.

VIII ტაქტი

თხუთმეტი – და – გამართული მარჯვენა ფეხის მარცხნიდან მარჯვნივ წრიული შემოტარებით მარცხენასთან დადგმა. ხელები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული, ტანი და თავი პირდაპირ.

თექვსმეტი – და – ყოვნა.

თამარუი დედოფალო, ანიუსგუნჯი,
ო, ანიუსგუნჯი, ო, ანიუსგუნჯი.
თხუმასიო ჯაგგდა, ო, ზურიუოჩია და,
ზურიუოჩია და ზურიუოჩია.
ნექჭარიუო ჯაგგდა, ოდ, წაწეკუდიში და,
ოდ, წაწეკუდიში და, ოდ, წაწეკუდიში და.
თერარიუო ჯისგურდა და, ოია, გუნდიშ,
ოიუო, გუნდიუო, ოიაუო, გუნდიშ.
შდგეარიუო ჯაგაანდა, ოუ, მარგალიტიშ,
ოუ, მარგალიტიშ, ო, მარგალიტიშ.
ყიასუუი ჯაბგდა, უოდ, ჰეშმარი,
უოდ, ჰეშმარი და, უოდ ჰეშმარი.
ფოყასიუო ჯირკანდა, უოდ, ევჯკალიუო დემე,
უოდ, ევჯკალიუო დემე და ევჯკალიუო დემე.
ჩაჟგლდსიუო ხასგურდა, ოდ, ქურიუოხია,
ოდ, ქურიუოხია და, ოდ, ქურიუოხია.
ჰგნგრილიუო ჯიგანდა, ევჯ უოქრიუორემი,
ევჯ უოქრიუორეშიუო, ევჯ უოქრიუორემი.
აღურილიუო ჯისდანდა, ევჯ უარიუორჩხილიშ,
ევჯ უარიუორჩხილიშ, ევჯ უარიუორჩხილიშ.

თამარ დედოფალი მობრძანდებაო,
თავსა ედგა ზვირჩიაო,
წარბები ჰქონდა წაწკვეტილიო,
თვალები ჰქონდა გუნდისაო,
კბილები ჰქონდა მარგალიტისო,
ყელზედ ება გიშერიო,
ბარძაყს ეკიდა იმისთანაო
რიის მსგავსიც არსად იყოო.
ცხენზედ იჯდა რუხვის ფერზეო,
უნაგირები გედგა ოქროსაო,
აღვირი გეკეთა ვერცხლისაო.

თამარ დედფაᲔლ

I Coro

II Coro

I Coro



I Coro

II Coro



თამარ დედფჳლ

თამარგლივო დედფჳლა,
ვოჲ ანივო სგუეჯი (დაი)
ვოჲ ანივო სგუეჯი და
ვოჲ ანივო სგუეჯი (დაი)

თამარეი დედფჳლა,
ვოჲ ანივო სგუეჯი (ვოდაი)
ვოჲ ანივო სგუეჯი და
ვოჲ ანივო სგუეჯი (დაი)

თხუმასაი ჯაგჳნდა
ვოჲ ზურივოჩია (ვო დაი)
ვოჲ ზურივოჩია, და
ვოჲ ზურივოჩია (დაი)

ფათვარავი ჯჳაგჳნდა,
ვოჲ ყარიუოყმიში (ვო დაი)
ვოჲ ყარიუოყმიში, და
ვოჲ ყარიუოყმიში!

ლამურგვალიაშ (წრიული)[1]

ფერხული სამტაქტიანია.
საწყისი მდგომარეობა – წრიულად დგომა.
ფეხი – III პოზიცია.
ხელი – ერთმანეთის ქამრებში ჩავლებული (მარჯვენა შიგნით).
თავი – პირდაპირ.
მუსიკალური ზომა – 4/4

გარე ტაქტი

ერთი – **და** – **ორი** – ყოვნა.

და – მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ გაქნევა. მარჯვენაზე დგომა. ხელები ქამრებში ჩავლებული. ტანი და თავი პირდაპირ.

I ტაქტი:

ერთი – მარცხენა ფეხის მარცხნივ – განზე – მთელ ტერფზე დადგმა. სხეულის სიმძიმე მარცხენაზე – მარჯვენა ერგცერზე. ხელები ერთმანეთის ქამრებში. ტანი და თავი მარცხნივ.

და – მარჯვენა ფეხით მარცხნივ – წინ ჩაკვრა, მარცხენის ქუსლით დაკვრა. ხელები ქამრებში. ტანი და თავი ოდნავ მარცხნივ.

ორი – მარჯვენა ფეხის მთელ ტერფზე წინ დადგმა, მარცხენის ოდნავ უკან აწევა, სიმძიმე მარჯვენაზე. ხელები ქამრებში, თავი პირდაპირ.

და – მარცხენა ფეხის უკან დადგმა, გამართული მარჯვენის ზევით აწევა, სიმძიმე მარცხენაზე. ტანი და თავი პირდაპირ.

II ტაქტი

სამი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარცხენა თავისუფლად ერგცერზე. ხელები – ქამრებში, ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული წინ–მარჯვნივ. მარჯვენის ქუსლით დაკვრა. ხელები – ქამრებში. ტანი და თავი მარჯვნივ.

ოთხი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე. ხელები – ქამრებში, ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული წინ – მარჯვნივ. მარცხენის ქუსლით დაკვრა. ხელები – ქამრებში. ტანი და თავი მარჯვნივ.

III ტაქტი

ხუთი – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ განზე დადგმა, მარცხენა თავისუფლად ერგცერზე. ხელები – ქამრებში, ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული წინ – მარცხნივ. მარჯვენის ქუსლით დაკვრა. ხელები ქამრებში. ტანი წინ.

ექვსი – გამართული მარცხენა ფეხის მარცხნივ – განზე მთელი ტერფით დადგმა. სიმძიმე მარცხენაზე. მარჯვენის ოდნავ მოხრა და აწევა. ხელები – ქამრებში, ტანი და თავი პირდაპირ.

და – მარჯვენა ფეხის დადგმა. გამართული მარცხენის ზევით აწევა. სიმძიმე მარცხენაზე. ხელები – ერთმანეთის ქამრებში. ტანი და თავი პირდაპირ.

საფერხულო კომბინაცია (ნაერთი) იწყება თავიდან და ფერხულში რამდენიმეჯერ მეორდება.

1 ფერხულთა (ლაშგარის, გაულ-გავხეს, რელის, საფერხულო ლილეს, ბაილ-ბეთქილის, შგარიდას (ლაჟღვაშის)) ფეხი ერთია, ტექსტები – განსხვავებული.

მირმიქელა[2]

ორსართულიანი ფერხული, ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები.
საწყისი მდგომარეობა – ხუთ მამაკაცს მხრებზე ადგას კიდევ ხუთი. ზედა სართულის მეფერხულეთა მარჯვენა ფეხი ქვედა სართულის მეფერხულეთა მარცხენა მხარზე დგას (მარცხენა – მარჯვენაზე).
ფეხი – I პოზიცია.
ხელი – ერთმანეთის მხრებზე.
ტანი – გამართული.
თავი – პირდაპირ.
მუსიკალური ზომა – 2/4.
გარე ტაქტი:
ერთი – ორი – ყოვნა.

I ტაქტი
ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი განზე მხრების სიგანეზე. სიმძიმე ორივე ფეხზე. ხელები – მხრებზე გადახვეული.
ორი – მარცხენა ფეხის მიდგმა მარჯვენასთან. სხეულის სიმძიმე ორივე ფეხზე. ხელები – გადახვეული.
მოძრაობა მეორდება რამდენიმეჯერ.
წრე ბრუნავს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

ოორუ, მირმიქელა, ჟიქჳნ ხჳრი, ჩუ აჯკუჳნნე,
ოორუ, მირმიქელა, ჟიქჳნ ხუჳრი, დეშ ამკუჳნნე.
ოორუ, მირმიქელა, ჩუ აჯკუჳნნე, ტუჳეტს აჯყუიჩე,
ოორუ, მირმიქელა, დეშ ამკუჳნნე, დეშ ამყუიჩე.
ოორუ, მირმიქელა, ჩუ აჯკუჳნნე, ლესგს აჯზიგუნი,
ოორუ, მირმიქელა, დეშ ამკუჳნნე, დეშ ამზიგუნი.
ოორუ, მირმიქელა, ჩუ აჯკუჳნნე, ფოყს აჯყუიჩე,
ოორუ, მირმიქელა, დეშ ამკუჳნნე, დეშ ამყვიჩე.

ოორუ, მირმიქელა, ზევით ხარ, ჩამოგაგდებ,
ოორუ, მირმიქელა, ზევით ვარ, ვერ ჩამომაგდებ.
ოორუ, მირმიქელა, ჩამოგაგდებ, ხელს (ტოტს) მოგტეხ,
ოორუ, მირმიქელა, ვერ ჩამომაგდებ, ვერ მომტეხ.
ოორუ, მირმიქელა, ჩამოგაგდებ, ფერდს გატკენ,
ოორუ, მირმიქელა, ვერ ჩამომაგდებ, ვერ მატკენ.
ოორუ, მირმიქელა, ჩამოგაგდებ, თეძოს მოგტეხ,
ოორუ, მირმიქელა, ვერ ჩამომაგდებ, ვერ მომტეხ.

2 ტექსტი მოგვაწოდეს კანდიდ და გიორგი მერლანებმა. რედაქტირება და ქართული ვარიანტი ნინო ნაკანისა.

მირმიქელა

ვრჲ და მირმიქელა, ჟიქან ხჳრიდ ჩუ აჯკვანედ.
ვრჲ და მირმიქელა, ჩუ აჯკვანედ ბარჯს აჯყვიჩედ.
ვრჲ და მირმიქელა, ჩუ აჯკვანედ ტვეტს აჯყვიჩედ.
ვრჲ და მირმიქელა, დეშ ამკვანედ, დეშ ამყვიჩედ.
ვრჲ და მირმიქელა, ჩუ აჯკვანედ ჭიშხს აჯყვიჩედ.
ვრჲ და მირმიქელა, დეშ ამკვანედ, დეშ ამყვიჩედ.
ვრჲ და მირმიქელა, ჟიქან ხჳრიდ ჩუ აჯკვანედ.
ვრჲ და მირმიქელა, ჟიქან ხვჳრიდ დეშ ამკვანედ (რ).

როსტომ ჭაბიგვ – როსტომ ჭაბუკი[1]

ფერხული ორტაქტიაქნია.

საწყისი მდგომარეობა – ნახევარ წრედ დგომა. ფეხი – III პოზიცია, ხელი – გარექვემკლავი–ჩაკიდებული, ტანი – პირდაპირ, თავი – წინ. მოძრაობა წრეზე საცეკვაო ხაზის მიმართულებით. მუსიკალური ზომა – 2/4.

I ტაქტი

ერთი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ხელები – ჩაკიდებული ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ხელები – ჩაკიდებული. ტანი და თავი მარჯვნივ.

ორი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ. ხელები – ჩაკიდებული. ტანი და თავი მარჯვნივ შებრუნებული.

და – მსუბუქად მოხრილი მარჯვენა ფეხის მარჯვნივ ჩაკვრა. მარცხენის ერგცერზე ოდნავ აწევა და ქუსლით დაკვრა.

II ტაქტი

სამი – მარჯვენის მარჯვნივ და უკან დადგმა. ხელები დაშვებული და შეერთებული, ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მსუბუქად მოხრილი მარცხენა ფეხის მარჯვნივ ჯვარედინად ჩაკვრით გაქნევა. მარჯვენის ერგცერზე აწევა და ქუსლით დაკვრა.

ოთხი – გამართული მარცხენა ფეხის წინიდან შემოტარებით მარცხნივ განზე დადგმა – რხევა მარცხნივ. მარჯვენა გამართული, ქუსლი აწეული. სხეულის სიმძიმე მარცხენაზე. ტანის მარცხნივ გადახრა, თავი მარცხნივ.

და – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ განზე დადგმა – რხევა მარჯვნივ. სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე. მარცხენა გამართული, ქუსლი აწეული. ტანი და თავი მარჯვნივ.

საფერხულო ფეხის მოძრაობათა ნაერთი მეორდება.

ორუდიელასა, ო, როსტომ ჭაბუგი, ო,
ორუდიელასა, ზანი-ზანეშ ნამჩედი, ო,
შუ̈ნი-შუ̈ნთე ონღური ნამტა̈ხუ̈, ო,
შდუუ̈ე და შდუუ̈ე.
ორუდიელასა, ღა̈რ-ლახუ̈არს ონღური, ო,
უჩხე და უჩხე.
ორუდიელასა, ყორი-ყორს ხაგნენა, ო,
ოი, ოთარშერისიუ̈ო.
ორუდიელასა, ჩრ̆-ჩია̈გ შდუუ̈ე, ო,
ჩრ̆-ჩია̈გ უჩხე, ო,
თეი-თეთნამ ეცერს მი-მიჟ ხაწედა, ო.

როსტომ ჭაბუკო,
სამეგრელოდან გამოქცეულო,
სვანეთში შემოხიზნულო,
მთა და მთა გამოქცეულო,
წვიმს და წვიმსო.
თოვს და თოვსო,
კარს მოსდგომიხარ
დადეშქელიანებსო (ოთარისანებსო).
ყველგან თოვს და
ყველგან წვიმსო,
თეთრსა ეცერს მზე ანათებსო.

1 სვანური ტექსტი ჩაწერა დავით ჯავრიშვილმა, რედაქტირება და ქართული ვარიანტი ნინო ნაკანისა.

როსტომ ჭაბიგვ

(ო)დიეი,
ვრრუდიელა სადი (ჰრ)
(ო)დიეი,
ვრრუ როსტომ ჭაბიგვი (ჰრ).

(ო)დიეი,
ვრრუდიელა სადი (ჰრ)
(ო)დიეი,
ვრრუ ზანნეშ ნამჩადი (ჰრ).

(ო)დიეი,
ვრრუდიელა სადი (ჰრ)
(ო)დიეი,
ვრრუ როსტომ ძეწრიში (ჰრ).

(ო)დიეი,
ვრრუდიელა სადი (ჰრ)
(ო)დიეი,
ვრრუ თანაღს ამჭედი (ჰრ).

(ო)დიეი,
ვრრუდიელა სადაი (ჰრ)
(ო)დიეი,
ვრრუ ლენჭერას ესღრიხი (ჰრ).

(ო)დიეი,
ვრრუდიელა სადი (ჰრ)
(ო)დიეი,
ვრრუ როსტომ ჭაბიგვი, ჰრ.

ყანსავ ყიფიანე[1]

ფერხული ოთხტაქტიანია.

საწყისი მდგომარეობა – წრიული განლაგება. ფეხი – I პოზიცია. ხელი – ქვეგანმკლავი – ხელჩაკიდებული (ქალების მონაწილეობისას) ან გვერდზე ერთმანეთის ქამრებში ჩაჭიდებული, ტანი გამართული, სახე ცენტრისკენ. მუსიკალური ზომა – 2/4.

გარე ტაქტი

და – მარჯვენა ფეხის მუხლში მსუბუქად მოხრა, ტერფი თავისუფლად, ზევით აწეული. მარცხენაზე დგომა.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის მარცხენის გვერდით დაკვრით დადგმა, მარცხენის მუხლში მსუბუქად მოხრა და ოდნავ ზევით აწევა.

და – მარცხენა ტერფის გარეშებრუნებით მარჯვენის გვერდით დადგმა. მარჯვენის მუხლში მოხრა და ტერფის ოდნავ აწევა.

ორი – მარჯვენა ფეხის მთლიანი ტერფის მარცხენის გვერდით ჭდობილად ჩადგმა.

და – მარცხენა ფეხის მუხლში მოხრა და მარცხნივ ჩაკვრა (საფერხულო ჩაკრული), მარჯვენის დაბალ ერგცერზე აწევა და დადგმა. ტანი და თავი მარცხნივ.

II ტაქტი

სამი – მარცხენა ფეხის მთლიან ტერფზე დადგმა, სხეულის სიმძიმე მარცხენაზე – რხევა მარცხნივ. მარჯვენა ფეხი თავისუფლად – დაბალი ერგცერები. ტანი და თავი მარცხნივ.

და – მარჯვენა ფეხის საცეკვაო ხაზის მიმართულებით IV პოზიციაში მთლიან ტერფზე დადგმა, მუხლის გარეთ შებრუნება – რხევა მარჯვნივ, სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე. მარცხენა მსუბუქად მოხრილი – დაბალი ერგცერი. ტანი და თავი მარჯვნივ.

ოთხი –მარჯვენა ფეხის დაბალ ერგცერზე დგომა.მარცხენის მარჯვენის წინ და მარჯვნივ ჭდომილად დადგმა.

და – მარჯვენა ფეხის მუხლის სახსარში მოხრა და ტერფგაქნევით მარჯვნივ ჩაკვრა. მარცხენის მუხლში ოდნავ მოხრა და ქუსლით დაკვრა. ტანი და თავი მარჯვნივ.

III ტაქტი

ხუთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ საცეკვაო ხაზის მიმართულებით. მარცხენის მუხლში მსუბუქად მოხრა – დაბალი ერგცერი. ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მარცხენა ფეხის მუხლში მოხრა და მარჯვენის წინ, მარჯვნივ, ჭდომილად ჩაკვრა, ტერფი თავისუფლად. გამართულ მარჯვენაზე დგომა. თავი და ტანი მარჯვნივ.

ექვსი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი (რხევა) მარცხნივ, სხეულის სიმძიმე მარცხენაზე. მუხლში გამართული მარჯვენის დაბალ ერგცერზე დადგმა. თავი და ტანი მარცხნივ.

და – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი (რხევა) მარჯვნივ, სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე. მუხლში გამართული მარცხენის დაბალ ერგცერზე დგომა. თავი და ტანი მარჯვნივ.

IV ტაქტი

შვიდი – და – მარცხენა ფეხის მარჯვენის უკან და მარჯვნივ ჭდომილად ჩადგმა. მარჯვენაზე ნახევრად ჩაჯდომა. თავი და ტანი პირდაპირ.

რვა – მარჯვენა ფეხის მარცხენის გვერდით დადგმა.

და – ყოვნა. თავისა და ტანის საწყისი მდგომარეობა.

---

1 სვანური ტექსტი და ქართული ვარიანტი ჩაწერილია დავით ჯავრიშვილის მიერ.

დდი, ყანსაუ̈ ყიფიანე, ყანსაუ̈ ყიფიანე,
დდი, უმჩა–უდგარა, უმჩა–უდგარა,
ხოჩამი ღუაჟარე, ხოჩამ ღუაჟარე,
ბაჯას იშიალახ, ბაჯასი იშიალახ,
ნამცა თოფარე, ნამცა თოფარე,
პილა̈რი დგთხელე, პილა̈რი დგთხელე,
ბარჯას ჯასდა̈ნდახ, ბარჯას ჯასდა̈ნდახ.
ხონდრამ ღუაჟარე, ხონდრამ ღუაჟარე,
ჭუ̈ედას ხაჭგდახ, ჭუ̈ედას ხაჭგდახ.

ყანსავ ყიფიანო, ყანსავ ყიფიანო
დაუბერებელ–მოუკვდაო, დაუბერებელ–მოუკვდაო.
კარგი კაცები, კარგი კაცები
ბახაში ომობდნენ, ბახაში ომობდნენ.
ნამცა თოფები, ნამცა თოფები
თხელტუჩიანნი, თხელტუჩიანნი
მხარზე გეკიდათ, მხარზე გეკიდათ.
ცუდი კაცები, ცუდი კაცები
კედელს ეყუდებოდნენ, კედელს ეყუდებოდნენ.

ყანსავ ყიფიანე

ო, ოდა,
ყანსავ ყიფიანე და ყანსავ ყიფიანე,
ოდა,
უმჩაჲ უდგარა და უმჩაი უდგარა
ო-და-ი,
ხოჩჳჲ ღვაჟარე და ხოჩჳჲ ღვაჟარე,
ოდა,
ბარჯას ხასდჳნდახ და ბარჯას ხასდჳნდახ,
ოდაი,
ხოჩჳმ იშიალეხ და ხოჩჳმ იშიალეხ,
ოდა,
ნამცაი თოფარე და ნამცაი თოფარე,
ოდაი,
ყანსავ ყიფიანე და ყანსავ ყიფიანე.

ჩეყარამს – ჩოყურამს[1]

ფერხული რვატაქტიანია.
საწყისი მდგომარეობა – წრიულად დგომა.
ფეხი – III პოზიცია.
ხელი – მამაკაცები – ერთმანეთის ქამრებში, ქალები – გარექვემკლავი – ხელიხელჩაკიდებული.
თავი – პირდაპირ.
მუსიკალური ზომა – 4/4.

გარე ტაქტი

ერთი – და – ორი –ყოვნა.

და – მარჯვენა ფეხით მარცხნივ და წინ საფერხულო ჩაკრული.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, მარცხენა თავისუფლად ერგცერზე, სიმძიმე მარცხენაზე, ხელები – ერთმანეთის ქამრებში.
ტანი და თავი – ოდნავ მარცხნივ.

და – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, მარჯვენა თავისუფლად ერგცერზე.

ორი – მარჯვენა ფეხის ადგილზე დადგმა, ტერფი მარჯვნივ და გარე მიმართული. მარცხენა ერგცერზე. სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე. ხელები – ერთმანეთის ქამრებში.

და – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა მარჯვნივ. მარჯვენაზე დგომა. სიმძიმე მარჯვენაზე, ხელები – ქამრებში.

II ტაქტი

სამი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარჯვენა ერგცერზე დგომა, სიმძიმე მარცხენაზე. ხელები – ქამრებში.

და – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარცხენის ერგცერზე დგომა, სიმძიმე მარჯვენაზე. ხელები – ქამრებში. ტანი და თავი მარჯვნივ.

ოთხი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარჯვნივ, მარჯვენის ერგცერზე დგომა, სიმძიმე მარცხენაზე. ხელები – ქამრებში. ტანი და თავი მარჯვნივ.

და – მარცხენა ერგცერზე მეოთხედი ბრუნი მარცხნივ, მარჯვენა ფეხით წინ საფერხულო ჩაკვრა, სიმძიმე მარცხენაზე, ხელები – ქამრებში. ტანი და თავი პირდაპირ.

III ტაქტი

ხუთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი უკან, მარცხენის მუხლში მოხრა, სიმძიმე მარჯვენაზე, ხელები – ქამრებში, ტანი და თავი პირდაპირ.

და – მარცხენა ფეხის ტერფის წინ გაქნევა – საფერხულო ჩაკვრა. მარჯვენის ქუსლით დაკვრა.

ექვსი – მარცხენა ფეხის წინ მთელ ტერფზე დადგმა. მარჯვენის უკან ოდნავ აწევა.

და – მარჯვენა ფეხის ადგილზე დადგმა, გამართული მარცხენის წინ – მარცხნივ აწევა.

1 სვანური ტექსტი და ქართული ვარიანტი ჩაწერა დავით ჯავრიშვილმა.

IV ტაქტი

შვიდი – მარცხენის წრიულად შემოტარებით მარჯვენის უკან ჭდობილად დადგმა. მარჯვენაზე ოდნავ ჩაჯდომა.

და – მარჯვენა ფეხის განზე მარჯვნივ დადგმა, გამართული მარცხენა ერგცერზე – რხევა მარჯვნივ.

რვა – მარცხენის მარცხნივ დადგმა – რხევა მარცხნივ. მარჯვენა – ერგცერზე.

და – მარჯვენის წინ – ზევით – გამართვა-გაქნევა, მარცხენის ქუსლით დაკვრა. შემდეგ მოძრაობის თავიდან დაწყება.

ო, ოიდა, ჩეყგრამსა, ო,
ო, ოიდა, მეფიშ ბ̈არგილდ, ო,
ო, ოიდა, ხოჩგრჩხგნე. ო,
ო, ოიდა, აშ ესღურია კალ̈ ჭალ̈აჲს, ო,
ო, ოიდა, სგუებინ ლოგხუიდ შყაჟუ̈აშ ქარუ̈ან, ო,
ო, ოიდა, ჩ̈აჟილდს ხუასგურ ქუიშრულს, ო,
ო, ოიდა, ̈აღურილ ჯისდა ოქრ̈აშ ლგშკ̈ად, ო,
ო, ოიდა, ჰგნგრილ ჯიგ̈ან ოქრ̈აშ ლგშკ̈ად, ო,
ო, ოიდა, ცოდ̈აშ კალენ იღგმთიან, ო,
ო, ოიდა, ბრიგ ლავჯსგმდა, ო,
ო, ოიდა, უკუ̈ცირხ̈ანქა, ო,
ო, ოიდა, სოფელხ̈ანქა, ო,
ო, ოიდა, კალახ̈ანქა, ო,
ო, ოიდა, ფოყს ათხუ̈ია,ო,
ო, ოიდა, იღგმთიანს, ო,
ო, ოიდა, ბრიგ ლამსგმდა, ო,
ო, ოიდა, უკუ̈ცირხ̈ანქა, ო,
ო, ოიდა, სოფელხ̈ანქა, ო,
ო, ოიდა, უშგულხ̈ანქა, ო,
ო, ოიდა, ჩაჟუ̈ემ ანკუ̈არ, ო,
ო, ოიდა, ლგზისხანე, ო,
ო, ოიდა, იღგმთიან, ო.

ჩოყურამშიო
მეფის ბარგი ჩხრიალებს.
მოვდივარ კალის ჭალაზე,
წინ შემოგვხვდა მწყრის გუნდიო,
ცხენზე ვზივარ ქვიშის ფერზე,
აღვირი მას უკეთია
ოქროთი მოჭედილიო.
უნაგირიც ადგია
ოქროთი მოჭედილიო.
ოხ, საცოდავო იღუმთიან,
ბრეგა მომესმა
უკაცურ კალიდანო
და ბარძაყს მოხვდა
იღუმთიანსო.
ბრეგა მომესმა
უკაცურ
სოფელ
უშგულიდანო.
უცებ ცხენმა
გადმოაგდო
დასისხლიანებული
იღუმთიანიო.

ჩეყა რამსა

I Coro

II Coro

I Coro



II Coro

II Coro

ვრ, ჩეყაშივო რამსაშივო, (ჰრ)
ჰრჲ და, მეფესივო ბარგილდივო (ჰრ).

ვრჲ და, ელღრიდივო, ელღრიდივო (ჰრ).
ჰრჲ და, კალაშივო, კალაშივო (ჰრ).

ვრჲ და, სგვებინივო ლაგვხვიდივო (ჰრ)
ჰრჲ და, შყაჟვრეშივო ქარვანივო (ჰრ).

ვრჲ და, ჟიბავივო ლოხვსგიდივო (ჰრ).
ჰრჲ და, გოგლჳნდსივო ხეშჳნივო (ჰრ).

ვრჲ და, ჩუბავივო ლოხვსგიდივო (ჰრ).
ჰრჲ და, მენცხჳრსივო ხეშჳნივო (ჰრ).

ვრრივოვდელია, ვრრივოდელა (ჰრ)
ვრრივოვდელია, ვრრივოჰოჰო... (რ...)

გივერგილა – ლემჩილი

ფერხული ოთხტაქტიანია. ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები.
ფერხული მოძრაობს წაღმა – საათის ისრის სვლის საწინააღმდეგო მიმართულებით.

საწყისი მდგომარეობა – წრიულად დგომა.
ფეხი – III პოზიცია.
ხელი – ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაკიდებული.
მუსიკალური ზომა – 2/4.

გარე ტაქტი

რვა – ყოვნა.

და – მარჯვენა ფეხის წინ მარცხნივ – მარცხენასთან ჯვარედინად საფერხულო ჩაკვრა. მარცხენის ქუსლით დაკვრა.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის მარცხნივ – მარცხენასთან ჯვარედინად წინ დადგმა. მარცხენის მუხლში მოხრა და ტერფის უკან აწევა.

და – მარცხენა ფეხის წინ – მარცხნივ საფერხულო ჩაკვრა. მარცხენის ქუსლით დაკვრა.

ორი – მარცხენა ფეხის მარცხნივ – განზე დადგმა, სიმძიმე მარცხენაზე, მარჯვენა მუხლში გამართული, ტერფი ოდნავ აწეული

და – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ დადგმა. სიმძიმე მარჯვენაზე. გამართული მარცხენა დაბალ ერგცერზე.

II ტაქტი

სამი – მარცხენა ფეხის მარჯვნივ – წინ მარჯვენასთან ჯვარედინად დადგმა, სიმძიმე მარცხენაზე. მარჯვენის ქუსლის ოდნავ აწევა.

და – მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა წინ, მარცხენის ქუსლით დაკვრა.

ოთხი – ორივე ფეხის ერგცერზე ერთდროულად დახტომა – IV პოზიცია, მუხლები შეერთებული, ტერფები შიგნით მიმართული, ქუსლები – გარეთ.

და – მარცხენა ფეხით მთელ ტერფზე დახტომა, გამართული მარჯვენის წინ გაქნევა.

III ტაქტი

ხუთი – მარჯვენა ფეხის ერგცერზე მარჯვნივ დადგმა.

და – მარცხენა ფეხის საფერხულო ჩაკვრა წინ, მარჯვენის ქუსლით დაკვრა.

ექვსი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, სიმძიმე მარცხენაზე, მარჯვენის მუხლში თავისუფლად გამართვა და ტერფის აწევა.

და – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ დადგმა, მარცხენის მუხლში მოხრა და ტერფის მარჯვენის უკან აწევა.

IV ტაქტი

შვიდი – მარცხენა ფეხის მარჯვნივ და უკან მცირე ჩაჯდომით მარჯვენის ჯვარედინად დადგმა.

და – მარჯვენა ფეხის მარცხენასთან დადგმა, მარცხენის გამართვა.

რვა – **და** – ყოვნა.

გივერგილა – ლემჩილი

ოდა, ლემჩილ იაუო და ჲაქჳშ,
ოდა, გიუორ იაუო და გილა,
ოდა, ხითხუირ იაუო და არე,
ოდა, ჯამბურ იაუო და ისგუ,
ოდა, კოჯას იაუო და კუიცრას,
ოდა, დემხჳ იაუო და ცურე,
ოდა, მინდუერს იაუო და ფივერს,
ოდა, დემხჳ იაუო და ცურე,
ოდა, ძულუას იაუო და ცუზას,
ოდა, დემხჳ იაუო და ცურე,
ოდა, ქორულდ იაუო და ჯიგჳნ,
ოდა, ღუაშჳშ იაუო და ჯიჯვიშ,
ოდა, ქორულდ იაუო და ჯიშგჳნ,
ოდა, ღუაშჳშ იაუო და ტუფიშ.

დაბერებულ იყვე გიორგილო,
ბანდური შენი კლდეს,
კლდესა – ჯიხვსა არ არჩენსო.
მინდორს ფრინველს
არ არჩენსო.
ზღვას თევზსა არ არჩენსო.
სახლიც გქონდა ჯიხვისაო.
ზედ ეხურა ჯიხვისავე ტყავიო.

მონადირე გივერგილას სიმღერა ფერხულზე[1]

შილეშადი, გერეგილოსი ცხორი უოდი ოდია, ცხორიუა შილეშა.
შილეშადი, სგიმგლდი ჯიშუადი, ოდია, ცხარიუა შილეშა.
შილეშადი, ტუიბისი ლეჟამი, ო, სიუო ღგრი, ო, დია, ცხარიუა შილეშა.
შილეშადი, ისგუამი ჟაბშხანი, ო, დია, გგგიბილა ხეჲხებინა,
შილეშადი, ეჲჯასი მუგულდი, ო, დია, ხასიგურუდა, შილეშა,
შილეშადი, ეჲჯასი ღუაჟილდი, ო, დია, ხეჲჯუესგინალდა, შილეშა,
შილეშადი, ცხუიურ, ჯემედური, ო, დია, ხუადაგარი, შილეშა,
შილეშადი, ლემსგურ ი ლგცურ, ო, დია, ხუაჲჯაბინე, შილეშა,
შილეშადი, შდგქურ, ჰაყბურ, ო, დია, ხუიზობინი, შილეშადი.

მონადირე გიორგილავ,
დაგილევია ცხარე მჟავე წყალი ცხარვაშშიო,
და ღელე-ღელე მოდიხარ ზემოდ ცხარვაშისაკენო.
შენს ზემოდ ფიჭვი იდგაო
და მასზედ მტრედი იჯდაო,
მას ვაჟი ეპარებაო,
უისროდ და უმშვილდოდ კლავდაო,
უწყლოდ და უცეცხლოდ ხარშავდაო,
უკბილოდ და უყბოდ სჭამდაო.

1 ორივე ვარიანტი ჩაიწერა დავით ჯავრიშვილმა. აღადგინა ნინო ნაკანმა.

ლემჩილ

I Coro

II Coro

ლემჩილ

ვოიდივო, ლემჩილ ლიავოდა ჲაქჳშ,
ვოჲდივო, გიორ ლიავოდა გილე.

ვოჲდივო, ხითხვი ლიავოდა ჲარე,
ვოჲდივო, ქონგურს ლიავოდა ისგვას.

ვოჲდივო, კოჯჳრს ლიავო და კვიცრას,
ვოჲდივო, დემხჳნ ლიავო და ცურე.

ვოჲდივო, ცხეკას ლიავო და ჲერსკჳნს,
ვოჲდივო, დემხჳნ ლიავო და ცურე.

ვოჲდივო, ძუღვას ლიავო და ცუზვჳრს,
ვოჲდივო, დემხჳნ ლიავო და ცურე.

ვოჲდივო, ლემჩილ ლიავო და ჲაქჳშ,
ვოჲდივო, გიორ ლიავოდა გილე.

კასლეთილა[1]

ფერხული ერთტაქტიანია. ასრულებენ ქალები, დასაშვებია მამაკაცთა მონაწილეობაც. ფერხული მოძრაობს წაღმა – საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

საწყისი მდგომარეობა – ნახევარწრიულად დგომა.
ფეხი – I პოზიცია.
ხელი – ხელკავი.
მუსიკალური ზომა – 2/4.

I ტაქტი

ერთი – მარჯვენა ფეხის გამართულად მთლიან ტერფზე წინ დადგმა, სიმძიმე მარჯვენაზე, მარცხენის მუხლში მსუბუქად მოხრა და ტერფის უკან ოდნავ აწევა.

და – მარცხენა ფეხის უკან მთელ ტერფზე დადგმა. მარჯვენის წინ გამართულად აწევა.

ორი – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ განზე დადგმა. მარცხენა გამართულად დაბალ ერგცერზე.

და – მარჯვენა ფეხზე დგომა. მარცხენის მიდგმა მარჯვენასთან.

რეროჲ, დეცე ამტყუპსგ უსგურიშ ზურაღ,
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.
რეროჲ, ხუილზიგარე კასლეთილას,
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.
რეროჲ, ლირდეს მიშგუ დეჲშა ხოჩაწნ
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.
რეროჲ, იმ ლამსერნეხ დადიანშერა,
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.
რეროჲ, მულუშირს ლეთოფთ დეშ იდრენიხ,
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.
რეროჲ, მულუშირ მიაჲ ლაჯანს მიბდა,
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.
რეროჲ, დაშდულდ ლაჭდის ხაგნ!ნა,
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.
რეროჲ, მალულდ ლაწისხის ხაჭმენა,
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.
რეროჲ, ოჲ ლეშნაუი კასლეთილა,
რეროჲ, რაშა რერა, რერდ.

ცის ვარსკვლავი უსგვირის ქალი
ვცხოვრობდი კასლეთილას,
ჩემს ცხოვრებას არავისი არ სჯობდა,
რას მაჯობებენ დადიანები,
ხარჯიხვს სათოფედ ვერ პოულობენ,
ხარჯიხვი მეც გუთანში მება,
დათვი ფარცხვას შესდგომოდა,
მელა მიწის გაფხვიერებას შესდგომოდა
(მიჰყვებოდა),
ოი, გასახარებელო კასლეთილა.

1 სვანური ტექსტი მოგვაწოდეს კანდიდ და გიორგი მერლანებმა. რედაქტირება და ქართული ვარიანტი ნინო ნაკანისა.

კასლეთილა



რეროი, დეცე ამტყვარსგ უსგვრიშ ზურალ,
რეროი, რაშარერა (რერო).

რეროი, ილზიგალე კასლეთილარს,
რეროი რაშარერა (რერო).

რეროი, ლარზგას ისგუ დეშა ხოჩარნ,
რეროი რაშარერა (რერო).

რეროი, ქორ-მურყვამ ხოგ დადიანშერ,
რეროი, რაშარერა (რერო).

ტვიბრა ხოთრონ ჩუბიანშერ,
რეროი, რაშარერა (რერო).

რეროი, იმ ლოხსერნეხ დადიანშერ,
რეროი, რაშარერა (რერო).

რეროი, დარშდულდ ღენწვიშს სგაჯიგენა,
რეროი რაშარერა (რერო).

რეროი, მალულდ ქათლარს ჟი ხალჩენა,
რეროი რაშარერა (რერო).

სიმღერა ფერხულზე ქალთის[1]

იავ ქალთი ბებუცია, სოფელ ქალთი შუშპარია,
შუშპარჩუბენ ქვიანია, ქვიან ჩვენი რიანია.
ქვიან ჩუქუნან მარანია,
ქვიან ჩვენი მოყვარეა, მოყვრის მოყვარეიავო,
ელოცა, მელოცა, ახლა ჩვენიასა,
ახლა რაჭაც ჩვენიავო, კათხაც ჩაგვიწკეპიაო,
თანუსია პურს აცხობდა, ხუცის ცოლი წყალს უსხამდა,
ხუცის ცოლმა გააკუაო, ციხის თავი დაანგრიაო,
დადიანი გააქციაო, გურიელი წააქციაო,
ახლა რაჭა ჩვენიავო, ჩიტიც მოგვიწველიაო.

ქალდუში სოფელია,
იმ სოფელში ცეკვა–თამაშია,
იმის ქვემოთ სოფელი ქვიანიო,
ჭკვიანი ჩვენი მოყვარეაო,
მოყვარე და მოყვრის მოყვარეო,
ახლა რაჭაც ჩვენიაო,
კათხაც გადვილევიაო,
ანუსია პურს აცხობდაო,
ხუცის ცოლი წყალს უსხამდაო,
ხუცის ცოლმა გააკუაო,
ციხის თავი დაანგრიაო,
დადიანი გააქციაო,
გურიელი წააქციაო,
ახლა რაჭაც ჩვენიაო,
ჩიტიც მოგვიწველიაო.

1 სვანური ტექსტის ფრაგმენტი და ქართული ვარიანტი ეკუთვნის დავით ჯავრიშვილს. რედაქტირებულია ნინო ნაკანის მიერ.

იავ ქალთი[1]

იავ ქალთი რაჭის ერთ-ერთ სოფელში სვანების ლაშქრობას უკავშირდება. ტექსტში ჩანს, რომ სოფელი ქალთი მხიარულია, მოცეკვავე, ქვიანი, ლაშქრობისათვის საზიანო...

მეფერხულენი ეწყობიან რკალად ან ერთ მწკრივად. თავში წამყვანი დგას ჯოხით ან არყიანი სასმისით (სოფელი ლატალი) – მოსვამს, მომდევნოს გადასცემს და ა.შ.

იავ ქალთისათვის დამახასიათებელია გამორჩეული წეს-ჩვეულება: სრულდება დღესასწაულებზე, მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები, ტექსტში ვხვდებით უხეშ-უწმაწურ გამოთქმებს. *იავ ქალთის მელია თელეპიას* საწყისებთან მივყავართ და სათავეს ნაყოფიერების კულტის ფერხულებიდან იღებს.

ფერხულში მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები.

მოცეკვავენი ეწყობიან ნახევარწრედ. ფერხული მოძრაობს მარჯვნივ – წრის შეუკვრელად, სხვადასხვა მოხაზულობით (ტალღისებურად, ხვიარისებურად და სხვა). მეფერხულენი ცდილობენ, მაყურებელთაგან რომელიმე მამაკაცი ჩაითრიონ ფერხულში – მაშინ წრე შეიკვრება. ტექსტი თანდათან უხეში, უწმაწური და დამცინავია.

პირველი გუნდი იტყვის პირველ ორ სტრიქონს, მეორე იმეორებს და ა.შ.

საწყისი მდგომარეობა – ნახევარწრიულად ერთმანეთის გვერდით, სახით ცენტრისაკენ დგომა.

ფეხი – III პოზიცია.

ხელები – ქვეგანმკლავი, ერთმანეთის ქამრებში ზურგს უკან ჩაჭიდებული.

მუსიკალური ზომა – 4/4.

სიმღერას იწყებს პირველი გუნდი.

I ტაქტის პირველი ორი მერვედი (ი-ავ) – მარჯვენა ფეხი გადაეჭდობა მარცხენას და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრილი ერგცერით თავისუფლად დაიდგმება მარცხენა ფეხის წინ და მარცხნივ.



1 იავ ქალთი ქორეოგრაფიულად აღადგინა ავთანდილ თათარაძემ. თათარაძე, ავთანდილ (2010), ქართული ხალხური ცეკვა, გვ. 49-51

ტაქტის მომდევნო ორი მერვედი (ქალ-თი) – მარჯვენა ფეხი მთელი ტერფით დაიდგმება მარჯვნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. მარცხენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში, მარჯვენის ქუსლი ოდნავ ასცილდება იატაკს.

ტაქტის ბოლო ნახევრიანი ნოტი (ო) – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. ამავდროულად მარჯვენის ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

II ტაქტის პირველი მეოთხედი წერტილით (ბე) – მარცხენა ფეხი დაიდგმება მარცხნივ. ერთდროულად სხეულის სიმძიმე გადაინაცვლებს მარცხენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს. შემდეგ მარჯვენა ფეხი ერგცერიდან იდგმება მთელი ტერფით, სხეულის სიმძიმე გადადის მარჯვენაზე. ადგილზე დარჩენილი მარჯვენა ერგცერით თავისუფლად ეხება იატაკს.

ტაქტის მომდევნო მერვედი (ბუ) – მარცხენა ფეხი თანდათანობით მოიხრება მუხლის სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვენის წინ და მარჯვნივ; გამართული მარჯვენა ადგილზე რჩება.

ტაქტის მომდევნო მერვედი (ცი) – მარცხენა ფეხის ტერფით მარჯვენის წინ და მარჯვნივ დადგმა. ერთდროულად სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადასვლა. მარჯვენა თანდათანობით მოიხრება მუხლისა და თეძოს სახსარში და გადაინაცვლებს მარჯვნივ; მარცხენა ფეხის ქუსლი ოდნავ შორდება იატაკს.

ტაქტის ბოლო მეოთხედი წერტილით (ა) – მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკრული. მარცხენა ქუსლის დაკვრა და მუხლის სახსარში ოდნავ მოხრა.

აქ მთავრდება საცეკვაო ფრაზა.

მესამე ტაქტი – საცეკვაო ფრაზა იწყება თავიდან. საცეკვაო და მუსიკალური ფრაზების დამოკიდებულება გრაფიკულად ასე გამოისახება:



როგორც ვნახეთ, მუსიკალური ფრაზა შეიცავს ოთხ ტაქტს, საცეკვაო – ორს: ერთ მუსიკალურ ფრაზაში სრულდება ორი საცეკვაო ფრაზა. ამის გამო პირველი საცეკვაო ფრაზის ბოლო დაემთხვევა მეორე მუსიკალური ტაქტის დასასრულს, შემდეგ – მეოთხე, მეექვსე, მეათე და ა.შ. მუსიკალური ტაქტების დაბოლოებას.

იავ ქალთი

ჩაიწერა ი. ფილფანმა

ზომიერად
I გუნდი

იავ ქალთიაო (ო), ბებუცია,
სოფელ ქალთი შუშპარია,
შუშპარ ჩუბენ ქვიანია,
ქვიან ჩვენი ზიანია.
მურყამ ქვერე ზიანია,
მოყვრიშ მოყვარიანია.

ელიასა მელიასა...
ეხლა რაჭა ჩვენიასა,
ჩიტიც მოგვიწველიასა,
ჩიტიც მოგვიწველიასა,
კათხა ჩაგვიწკეპნიასა...

ლაჟვარდში[1]

ფერხული ოთხტაქტიანია. მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები.
ფერხული მოძრაობს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით.

საწყისი მდგომარეობა – წრიულად დგომა სახით ცენტრისაკენ.
ფეხი – III პოზიცია.
ხელი – მამაკაცები და ქალები – ქვედაშვებული და ხელიხელჩაკიდებული. მარტო მამაკაცები – ერთმანეთის ქამრებში ჩაჭიდებული გვერდზე, წელზე ან იდაყვში მოხრილი წინ ხელიხელჩაკიდებული.
მუსიკალური ზომა – 4/4.

I ტაქტი
ერთი – და – ყოვნა.
ორი – და – მარჯვენა ფეხის ერგცერზე მარცხენის წინ და გვერდზე ჭდობილად ისე ჩადგმა, რომ მარჯვენა ტერფის გარე მხარე ეხებოდეს მარცხენის გარე კოჭს. მარცხენაზე დგომა.

II ტაქტი
სამი – მარჯვენა ფეხის მარჯვნივ დადგმა, სიმძიმე მარჯვენაზე. მარცხენის მუხლში მოხრა, ტერფის ოდნავ აწევა.
და – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა წინ, მარჯვენის ქუსლით დაკვრა.
ოთხი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი მარცხნივ, სიმძიმე მარცხენაზე. მარჯვენა დაბალ ერგცერზე.
და – მარცხენა ფეხზე დგომა, მუხლში გამართული მარცხენის ტერფის ოდნავ აწევა.

III ტაქტი
ხუთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი საცეკვაო ხაზის მიმართულებით, მარცხენის მუხლში მოხრა, თავისუფალი ტერფის აწევა.
და – მარცხენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა ფერხულის სვლის მიმართულებით, მარჯვენის ქუსლით დაკვრა.
ექვსი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი წინ, ფერხულის სვლის მიმართულებით, მარჯვენა უკან ერგცერზე.
და – მარცხენა ფეხი დაბალ ერგცერზე, ტანის ცენტრისკენ შებრუნება, მარჯვენის მუხლში მოხრა, ტერფის უკან აწევა.

IV ტაქტი
შვიდი – მარჯვენა ფეხით საფერხულო ჩაკვრა წინ. მარცხენის ქუსლით დაკვრა.
და – ყოვნა.
რვა – და – ფერხული იწყება თავიდან – მეორე ტაქტის **სამიდან.**

საფერხულო ნაერთი რამდენიმეჯერ მეორდება და განმეორებისას სხვადასხვა თვლაზე იწყება თავიდან, რაც, ზოგადად, დამახასიათებელია სვანური ფერხულებისთვის.

1 დავით ჯავრიშვილი თავად მიუთითებს, სვანური ტექსტი გაუმართავი და არასრულყოფილიაო. სვანური და ქართული ვარიანტი აღადგინა ნინო ნაკანმა.

ლაჟვაში

(გასაძღოლი)

ჴოჲდილჴდი, ისგჴამიჴო დიდაბ, ლიაჴოდა, რილგჴაიჴო,
შაიდილჴდ და რაიდილიჴო, ჰო, ჰდ.
ჴოჲდილჴდი, მჴრყჴამიჴო ჯიგან, ლიაჴოდა, შიდ ჴოქჴრეში,
შაიდილჴდ და რაიდილიჴო, ჰო, ჰდ.
ჴოჲდილჴდი, ძღუდილიჴო ჯეცხაპ, ლიაჴოდა, შიდ ჴარჩხილიშ,
შაიდილჴდ და რაიდილიჴო, ჰო, ჰდ.
ჴოჲდილჴდი, შდურჴასიჴო შაურდენ, ლიაჴოდა, ჯირდახიჴო,
შაიდილჴდ და რაიდილიჴო, ჰო, ჰდ.
ჴოჲდილჴდი, ხუნჴასიჴო ლაჩჴარ, ლიაჴოდა, ჯიყჴრახიჴო,
შაიდილჴდ და რაიდილიჴო, ჰო, ჰდ.

დიდება შენდა,
კოშკი გედგა შიგნით ოქროსი,
ზღუდე გერტყა შიგნით ვერცხლისა,
ქონგურებზე შევარდენი გყავდათ,
საძირკვლებთან ირმები გეწვინათ.

ლაჟვაში

II Coro

ვოჲდილივოდი, ისგვამივო,
დიდაბ ლიავო და რილგვაივო,
ვოჲდილი ვრ და რაიდილივო ო (ჰო).

ვოჲდილივოდი, ვოქვრაშივო,
სამკალიავო და რილგვაივო,
ვოჲდილი ვრ და რაიდილივო ო (ჰო).

ვოჲდილივოდი, ჴაინარივო,
ჯირდახ ლიავო და სგაშ ლალგენა,
ვოჲდილი ვრ და რაიდილივო ო (ჰო).

ვოჲდილივოდი, მუჭვარივო,
ხაგანხ ლიავო და შიმ ვოქვრაში,
ვოჲდილი ვრ და რაიდილივო ო (ჰო).

საარქივო მასალები

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი

დავით ჯავრიშვილის ჩანაწერები

დავით ჯავრიშვილის მიერ დადგმული ქართველ კომპოზიტორთა ცეკვები

ზაქარია ფალიაშვილი
ოპერა აბესალომ და ეთერი: ქართული, მირზაია, მხედრული.
ოპერა დაისი: ფერხული, ქართული, კეჭნაობა, მთიულური.
ოპერა ლატავრა: ქალთა ცეკვა, სოლისტი ქალის ცეკვა, ქალ-ვაჟის ცეკვა.
ცანგალა და გოგონა.

დიმიტრი არაყიშვილი
ოპერა თქმულება შოთა რუსთაველზე: თუშ ქალთა ცეკვა, სათამაშო, დავლური.
ხორუმი.
შვიდი ცეკვა.

მელიტონ ბალანჩივაძე
ოპერა დარეჯან ცბიერი: სამაია, მხედრული, ქართული.

ანდრია ბალანჩივაძე
ბალეტი მთების გული: ქართული, სამაია, სიმდი, ცერული, ფერხული, მთიულური, ხორუმი.
ოპერა მზია: ქართული, მთიულური, აირუმა.

ვიქტორ დოლიძე
ოპერა ქეთო და კოტე: ქართული, კინტოური, ზილგა.

შალვა თაქთაქიშვილი
ოპერა დეპუტატი: ვაჟთა ცეკვა, ქალთა ცეკვა.
ბალეტი მალთაყვა: ძეროპია, ქალთა ცეკვა, ხორუმი, მთიულური, ქართული,
სომეხ ქალ-ვაჟთა საცეკვაო, ცერული, ოტლარჩოპა, ქართული.

ვანო გოკიელი
ოპერა პატარა კახი: ქართული, მთიულურ-მწყემსური.
ქორეოგრაფიული პოემა.

ალექსი მაჭავარიანი
ოპერა დედა და შვილი: ქართული.
ხორუმი
ქალთა საცეკვაო
ბალეტი *ოტელო.*

გრიგოლ კილაძე
ოპერა ბახტრიონი: ფერხული
ოპერა ლადო კეცხოველი: ქართული, ხორუმი.
ბალეტი სინათლე.

იონა ტუსკია
ოპერა სამშობლო: ხორუმი, ქართული, მთიულური.

შალვა მშველიძე
ოპერა თქმულება ტარიელზე: ფერხული, ქალთა ცეკვა, მთიულური.
ოპერა დიდოსტატის მარჯვენა.

აკაკი ანდრიაშვილი
ოპერა კაკო ყაჩაღი: ქართული, ხანჯლური, დავლურ-მთიულური.
ოპერა ლაშქარა: ქართული, ქალთა მთიულური საცეკვაო, თურქული ცეკვა, მთიულური, სახუმარო.

შალვა აზმაიფარაშვილი
ოპერა ხევისბერი გოჩა: მოხეური, მხედრული.

ნიკოლოზ გუდიაშვილი
ბალეტი მშობლის მანდილი: ქართული, ქალთა ცეკვა, ვაჟთა ცეკვა, ხორუმი, მთიულური, სამაია.

თამარ შავერზაშვილი
ოპერა იავნანამ რა ჰქმნა?! ბავშვთა ცეკვები, *საკეჭნაო, კურდღელთა ცეკვა, ირმის ცეკვა, დათვის საცეკვაო.*
საბავშვო ცეკვების ნაკრები.

სულხან ცინცაძე
ბალეტი დემონი

კონსტანტინე მელვინეთუხუცესი
დოლური, ქალთა საცეკვაო, , მთიულური, ქორეოგრაფიის სწავლების ეკზერსისი.

გრიგოლ კოკელაძე
სამაია

მიხეილ ჩირინაშვილი
ქართული, ქართული საცეკვაო, სიმდი, ხორუმი...

რევაზ გაბიჩვაძე
ქართული, სიმდი, ცეკვა, ცეკვა სიმღერით.

არჩილ კერესელიძე
ოპერა ბაში აჩუკი: ქალთა ცეკვა

თბილისში არსებული ქორეოგრაფიული წრეები

ცნობა მოგვაწოდა ხალხური შემოქმედების სახლმა (დ.ჯ.)

- სახელმწიფო უნივერსიტეტი – რ. ჭოხონელიძე.
- უცხო ენათა ინსტიტუტი – ი. ორჯონიკიძე.
- პოლიტექნიკური ინსტიტუტი – გ. დარახველიძე.
- სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი – ნ. გარუჩავა.
- ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო – გ. დარახველიძე.
- რკინისგზის მხატვრული აღზრდის სახლი – მ. ბახტაძე, თედიაშვილი.
- პიონერთა სასახლე – რ. ჭოხონელიძე
- პროფ.კოოპერაციის კულტსახლი – მ. რაქვიაშვილი, ბეღლაძე.
- ცეკავშირის კლუბი – რ. ჭოხონელიძე, ლომრაძე მარიკა.
- ხელოვნების მუშაკთა სახლი – რ. ჭოხონელიძე.
- მილიციის კლუბი – მ. კობეშავიძე.
- დიმიტროვის ქარხანა – ი. ქსოვრელი
- ვოროშილოვის სახ. კლუბი – კ. ჩივაძე
- პლეხანოვის კლუბი – ვ. აბაშიძე
- ტრიკოტაჟის კომბინატი – გრ. ჩივაძე
- ვაჭრობის კლუბი – ი. ხმალაძე
- შრომის რეზერვები – ი. ხმალაძე
- მკერავი № 1 – მ. დედანაშვილი
- აბრეშუმის ფაბრიკის კლუბი – ი. რატიანი
- დაწყებითი და საშუალო სკოლა – მ. რაქვიაშვილი, ბაკურაძე ციალა.
- ცენტრალური კულტსახლი – მ. ბახტაძე.
- რკინიგზის კლუბი – მ. ბახტაძე

- ბათუმი – ს. ჯიჯეიშვილი, ხაბაზი.
- ქუთაისი –დ. უშვერიძე, ჭუმბურიძე.
- სამტრედია – ნ. გარუჩავა, ქართლელიშვილი.
- სოხუმი – ციმაკურიძე, ვაშაკიძე.
- გორი – პედინსტიტუტი (?).
- სტალინირი – თედეევი.
- ბორჯომი – გრ. ჩივაძე.

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი 1953 წ.

ანსამბლის ქორეოგრაფიული ნაწილი

- ღვაბერიძე ნიკოლოზ
- მალისევიჩი ლევან
- ხონელიძე რავაზ
- მაისურაძე მიხეილ
- ზედაშიძე იასონ
- ექვთიმიშვილი აკაკი
- გეჯაძე შალვა
- სოლომნიშვილი გერონტი
- დავიდოვი უშანგი
- ბუაძე ანზორ
- ფირცხალაიშვილი მამია
- ბარათაშვილი
- მანჯგალაძე კოტე

გასტროლების დროს

- თათეიშვილი
- ბაგრატიონი
- კელაპტრიშვილი
- გუნია
- გულია
- კალანდაძე
- ფურცხვანიძე
- ასაშვილი
- რამიშვილი
- თვაური
- მანჯავიძე
- შახბულაგოვა
- წერეთელი
- საგინაშვილი
- ფირცხალაიშვილი
- მანჯგალაძე
- მანაშეროვი
- შალიკაშვილი
- ღვაბერიძე

საგასტრლო რეპერტუარი

- დავლური და ქართული
- შუშპარი
- მოხეური
- რამაიდა და ცერული
- ლხინი ახალ სოფელში
- სიმდი
- განდაგანა
- მწყემსური (2 ვაჟი)
- მთიულური (3 ვაჟი)
- ქალთა საცეკვაო (3 ქალი)
- დავლურ-მთიულური (ქალ-ვაჟი)
- ფერხული
- ხორუმი
- ხანჯლური
- აფხაზური
- ქართული ოპერა *დაისიდან*

დასავლეთ საქართველოს მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი 1939 წ.

ქალები

- გუნია ნონა ვალერიანის ას.
- ღაღანიძე ნინო ვარლამის ას.
- სვანიძე ეთერ ანდრიას ას.
- თეთრაძე თამარ
- ტყეშელაშვილი მარიამ გრიგოლის ას.
- ბერიძე ნანა კარბეზის ას.
- ფილიაშვილი
- მახარაძე ლენა ივანეს ას.

ვაჟები

- იჭირაული ილია გაბრიელის ძე
- ბოჭორიშვილი მამია რაფიელის ძე
- არჩვაძე დავით ბასილის ძე
- შარაბიძე ნიკოლოზ მიხეილის ძე
- ავალიანი დავით ალექსანდრეს ძე
- დარახველიძე გიორგი ბიქტორის ძე
- გოგეშვილი ვახტანგ ირაკლის ძე
- მესხი ივანე ლუკას ძე
- რაქვიაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე
- ტატიშვილი გივი ირაკლის ძე
- გახოკიძე ვახტანგ რაჟდენის ძე
- ქიქოძე ქუჩუკი მიხეილის ძე

სათადარიგო

- მაჭავარიანი ვახტანგ რაჟდენის ძე
- კოღუაშვილი მიხეილ სოკრატის ძე
- ხერხეულიძე
- დანელია

კანდიდატები

- კალანდაძე
- გეჯაძე
- ორჯონიკიძე
- ჩირაძე

ქართული ხალხური ცეკვები

- ადრეკილაჲ
- აიბარკრა
- ამირანის ფერხული
- აფხაზური
- ბაღდადური
- ბაღდადით ცეკვა
- ბერიკაობა
- განდაგანა
- გადახვეული
- გერგილი
- გერგეტულა
- გივერგილა
- დავლური
- დავლურ-მთიულური
- დალის ფერხული
- დიდებათა
- დოლური
- ზემყრელო
- თამარ დედფალ
- თულო
- თუშ ქალთა ცეკვა
- თუშური
- კეჭნაობა
- კინტოური
- კომბლური
- ლაზური
- ლაშგარი
- ლაშქრული
- ლახტურა
- მეზღვაურული
- მელია ტელეფია
- მზე შინა და მზე გარეთა
- მთიულური
- მთიულური დავლური
- მიპატიჟება
- მოხეური
- მურამულდი ქულა
- მწყემსური
- მწყემსური დავლური
- მხარული
- მხედრული
- ნაბდურა
- ობირუში
- ოსხაპუე
- ოტლარჩოფ(პ)ა
- ოჰიდა ვრაშავო
- რავქენსია
- რამაიდა
- როსტომ ჭაბუკი
- სადარბაზო დავლური
- სათამაშო
- საკოლმეურნეო
- სალხინო
- სამაია
- საშაირო
- საქორწილო
- სახუმარო
- საჭიდაო
- საჯომარდო
- სიმდი
- უშგულარი
- ფადიკო
- ფალავნური დავლური
- ფარიკაობა
- ფარცა კუკუ
- ფერხული
- ფერხისა
- ქალების ცეკვა
- ქალთა ფერხული
- ქართული
- ქორბეღელა
- ყაბახობა
- ყანსავ ყიფიანე
- შავლეგო
- შაი ვოდი შამარერა
- შარათინი
- შეჯიბრი
- შრომის ცეკვა
- შუბოსნური
- შუშპარი
- ჩეყა რამსა
- ცანგალა და გოგონა
- ცერული
- ძაბრალე
- წართმევია
- ხანჯლური
- ხორუმი
- ჰაირუმა (აირუმა)

საცეკვაო ჟანრები

- აკრობატული
- გროტესკული
- ისტორიული
- კლასიკური
- ლირიკული
- მეომრული
- მრჩობლივი
- მიბაძვითი
- პანტომიმური
- პლასტიკური
- რელიგიური
- რიტუალური
- რიტმული
- საყოფაცხოვრებო
- საგმირო
- საწესო
- სპორტული
- საქორწინო
- სახუმარო
- სახასიათო
- საბალო
- შრომის
- შიშველფეხური
- ხალხური

სახუმარო ცეკვები

- წართმევია
- კაშკაშა და დოყლაპია
- ასკინკილა

მწყემსური ცეკვები

- კომბლური
- ქუდ-აფრენა
- ნაბდურა

შრომის

- საკოლმეურნეო
- საზეიმო
- სალხინო

ჯომარდულ-სასპორტო

- ლახტობია
- მარულა
- ლელო

ფერხულები

- აიბარკრა (აფხაზური)
- ამირანის ფერხული
- აფხაზური დათვობია
- ბერიკაობა
- გივერგილა
- გურული ფერხული
- დალის ფერხული
- დელი ხორუმი
- ზემყრელო
- თამარ დედფალ
- ლაზური ფერხული
- ლაჟღვაშ
- ლაშქარი
- ლელე-ლეკურ კაბა (რაფიელ ერისთავის მიერ აღწერილი)
- მზე შინა და მზე გარეთა
- მოხევე ქალის ფერხული
- მურამულდი ქულა (ორსართულა)
- ოსხაპუე
- რავქენსია
- რამაიდა
- რაჭული ფერხული
- საშაირო
- უშგულასი
- ფარცა კუკუ (მოძრაობა-თამაში)
- ფშავ-ხევსურული
- ქალ-ვაჟთა ფერხული
- ქალ-ტაციობა (რაფიელ ერისთავის მიერ აღწერილი)
- ქართული ფერხული
- ქორბეღელა
- ყეენობა
- შავლეგო (კახური)
- შვიდმაისობის ფერხული
- შუშპარი
- ხელმოუბმელი ფერხული
- ჭანური ობირუ

მხედრული ცეკვები

- მხედრული
- ხორუმი
- ხანჯლური
- ლახტური
- კეჭნაობა
- გადახვეული

მთიულური (მთიელთა) ცეკვები

- მოხეური
- მთიულური
- აფხაზური
- ცერული
- შაიმოდი შამარერა

სატრფიალო ცეკვები

- ქართული
- მხარული
- განდაგან
- ცანგალა და გოგონა

ქალთა ცეკვები

- საროკვო
- სამაია
- მირზაია

რიტუალური ცეკვები

- დავლური
- დარბაზული

ფერხულთა ფორმები

- წრე შიგნითა მოთამაშით
- ორპირი ფერხული
- ორ და სამსართულიანი
- მრგვალი

დავლურები

- სადარბაზო
- მწყემსური
- ფალავნური
- მხედრული
- მთიულური
- დავლურის შესავალი

ცეკვა დავლურის წარმოშობა და ვარიანტები

1. სხვადასხვა აზრი ცეკვა დავლურის შესახებ.

   ა. დოლი და დავლი.
   ბ. დავლაში გამოწვევა (საფარიკაო).
   გ. შორით ცეკვა.
   დ. მწყემსთა დავლური (შრომაში გამარჯვებულთა საპატიო უფლება).
   ე. სადარბაზო დავლური.

2. მხედრული დავლური

   ა. ბინიდან გამოყვანა.
   ბ. ჭიდაობა.
   გ. ჭიდაობა და სხვ.
   დ. დავლურში შერჩევა.
   ე. საოხუნჯო დავლური.

3. სადარბაზო დავლურის აღწერა (დადგმის მიხედვით).

4. სადარბაზო დავლურის ვარიანტები.

5. სადარბაზო დავლურის განვითარების საშუალებანი და ვარიანტები.

6. სადარბაზო დავლურის აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

7. სადარბაზო დავლურის ახალი – მუსიკალური მასალის შექმნის შესახებ.

8. სადარბაზო დავლურის ადგილი სასცენო ხელოვნებაში.

9. დასკვნა: დინჯი რიტმის ცეკვების განვითარება-გავრცელების აუცილებელი საჭიროება.

დავლური

ცეკვა *დავლურის* შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. ფიქრობენ, დავლური წარმოიშვა სიტყვა დავლისაგან. დასავლეთ საქართველოში (აჭარა, გურია) დოლს (დალაბანდს) დავლს უწოდებდნენ. მათი აზრით, დავლური ისეთი ცეკვა უნდა ყოფილიყო, რომელიც დავლზე, ანუ დოლზე, სრულდებოდა და მისი განსაკუთრებული რიტმი მხოლოდ დოლზე დაკვრით გადმოიცემოდა. სხვანი დავლურში სულ სხვა შინაარსს დებენ: დავლური ნიშნავდა საბრძოლოდ გამოწვევას ხმალში და მისი საფუძველი იყო არა ცეკვა, არამედ ფარიკაობა – სამხედრო-სპორტული ან ნამდვილი საბრძოლო ქმედება.

ზოგიც დავლურს დინჯ, ნელ-ნარნარა ცეკვად მიიჩნევს, რომლის მთავარ ქორეოგრაფიულ ნიშნად შორს შემოვლა, მოპირდაპირესთან მიუახლოებლად შორიდან დავლა ითვლებოდა, და მას მოსდევდა რომელიმე სწრაფრიტმოვანი ცეკვა. დავლური მწყემსთა ცეკვადაცაა მიჩნეული (აღწერა იხ. ქვემოთ), რომელიც მხოლოდ დოლით სრულდება, მაგრამ მთავარი არა დოლის (დავლის) საცეკვაო დაკვრა-თამაში, არამედ შრომაში გამარჯვების შედეგის აღმნიშვნელი ქმედებაა.

სადარბაზო დავლური

სადარბაზო *დავლური* დინჯი და დარბაისლური ცეკვაა. დავლურს ასრულებენ: მხოლოდ ქალები, მხოლოდ ვაჟები ან ქალ-ვაჟნი.

ქალ-ვაჟთა დავლური:

ცეკვის მწყობრივი მოხაზულობა მრავალნაირია, მეტწილად – წრეგვარი, რკალგვარი, სწორი ხაზით, კლაკნილი.

ქალთა მწყობრის წნული გავლა ვაჟთა მწყობრში და ვაჟთა მწყობრის წნული გავლა ქალთა მწყობრში. ასევე მარტივი და რთული სახის ხვეულებიც სადარბაზო დავლურს ახასიათებს.

სვლები სხვადასხვა სახის სრიალა ილეთისაგან შედგება (მუხლურა სვლას მხოლოდ ვაჟები იყენებენ). ვაჟთათვის მარტივი გასმებია მიღებული. მკლავების მდგომარეობა– მოძრაობა – მეტწილად ნახევრად დახურული, ახდილი და დაბალი პოზიციები. მკლავების მდგომარეობათა ცვლისას ქალთათვის ხელსართავები აუცილებელია.

ცეკვაში ვაჟები ქალებს არასოდეს ეხებიან. მწყობრის შეკვრა მკლავგადახვევით დაშვებულია.

ხშირად წყვილები არჩევანით შეირჩევა. მანდილოსანი, რომელსაც დავლურში მონაწილეობა სურს, საარჩევნო კენჭს – ნიშანს – ფარულად *დავლურის* წამყვანს ჩააბარებს. წამყვანი გამოაცხადებს მისთვის მიბარებული საარჩევნო ნიშნის რაოდენობას, რათა ამით განსაზღვროს *დავლურში* მონაწილეობის მსურველ ვაჟთა რაოდენობა, როგორც ვაჟთათვის, ისე ქალთათვისაც (მხოლოდ თავთავიანთ მწყობრში).

ქალ-ვაჟნი ერთმანეთს თავაზიანად, თავდაჭერილად, მოკრძალებით ეპყრობიან და *დავლურისათვის* დადგენილ ტრადიციულ წესებს იცავენ. *დავლურს* ერთი წყვილი იწყებს (ქალ-ვაჟი), მას მიჰყვება მეორე, მესამე და ა.შ. წრეზე შემოვლისას თითოეულ წყვილს შორის არანაკლებ ერთი ნაბიჯია დატოვებული.

დავლურში წამყვანი ან წინამძღოლი მამაკაცია. მიღებულია, *დავლური* დაიწყოს სახლის უფროსმა და შემდეგ მოდავლურეთაგან უფრო ხნიერ მამაკაცს გადასცეს.

წამყვანის კარნახს ყველა ემორჩილება და ასრულებს. ფიგურაციაც მის კარნახსა ან ნიშანზე იცვლება. ცეკვის დამთავრებისას ქალ-ვაჟნი ერთმანეთს თავის დაკვრით ეთხოვებიან. *მასობრივი დავლური* მეტწილად წყვილური ცეკვა *ქართულით* მთავრდება. ამ შემთხვევაში პირველ წყვილს (წამყვანს) უპირატესობა ენიჭება. თუ პირველი წყვილი

უარს განაცხადებს, წამყვანი ვალდებულია დაასახელოს ის წყვილი, რომელსაც თავის რიგს უთმობს. პირველი წყვილის შემდეგ საცეკვაოდ მეორე გამოდის, მეორეს ცვლის მესამე, მესამეს მეოთხე და ა.შ. თითოეული წყვილი ცდილობს ცეკვა *ქართული* ახალი ნახაზით შეასრულოს, ახალი ილეთები იხმაროს.

თუ წამყვანმა დარბაზის ცენტრში ხელბაღდადი აიქნია, ეს იმის ნიშნია, რომ დავლური ხელახლა იწყება, მხოლოდ ამჯერად მოცეკვავენი წყვილთ შეიცვლიან – თითოეული მანდილოსანი ირჩევს ახალ გამყოლ ვაჟს.

ქალ-ვაჟთა სადარბაზო დავლურის ილეთთა განმარტებაზე ცოტა ქვემოთ შევჩერდებით, სადარბაზო დავლურის ორი სხვა ვარიანტის აღწერის შედეგ.

სადარბაზო დავლური ქალთა შესრულებით

სადარბაზო ქალთა დავლურის შესახებ მხოლოდ ქართლ-კახური ვარიანტის მასალა მოგვეპოვება. ქალთა ჯგუფი დავლურის წინამძღოლად ქალსავე ირჩევს. ცხადია, არჩევანი ერგება ცნობილ, გამოცდილ მოცეკვავეს, უმეტესად დავლურის წესების კარგად მცოდნე და ხელმძღვანელობაშიც გამოცდილ ხანდაზმულ მანდილოსანს. წინამძღოლი ცეკვის მსურველებს ორ ან რამდენიმე ჯგუფად ყოფს. ჯგუფებში მონაწილეთა რიცხვი თანაბარია. თითოეულ ჯგუფს ყვავილების სახელს არქმევს (იასამანი, ზამბახი...) და ასე მიმართავს: *ზამბახთა ჯგუფმა დაიწყოს*, *იასამანთა ჯგუფმა წრე შეკრას* და ა.შ. ყოველ მწყობრში *წამყვანი* და *დამდგმელი* გამოიყოფა.

ფიგურაცია წინამძღოლის ნიშანზე იცვლება. კვალითი ნახაზი მარტივია: წრეშემოვლა, გაჭრით გავლა, წნული გავლა, წყვილთა მცირე წრეშემოვლა, რიგებად სვლა, წრის გაშლა-შეკვრა და სხვ. საცეკვაო ილეთები მოიცავს სვლებს, ბრუნებს და მკლავ-მოძრაობებს, ასევე დაბალ მარტივ ჩაკვრებს.

დავლურის შემდეგ *ქართულზე* გადადიან და წყვილ-წყვილად ცეკვავენ (ქალი – ქალთან). ამ სახის ცეკვაში იხმარება ცეკვა *ქართულში* ქალთათვის მიღებული ყველა ილეთი, სახელდობრ: სრიალა წინსვლა, სრიალა ერგცერებზე, ტერფულა გედურა, სამდაკვრითი სვლა ადგილზე, უკანბრუნები და მკლავმოძრაობები ხელსართავებით. ხშირად დავლური ჩქარი ფერხულით მთავრდება.

ქალთა სადარბაზო დავლურის ტრადიციული წესები

- დავლურში ერთი, ორი და მეტი ჯგუფი მონაწილეობს.
- დავლურს წინამძღოლი ქალი მართავს.
- ფიგურაცია წინამძღოლის ნიშანზე ან კარნახით იცვლება.
- დავლურიდან მხოლოდ წინამძღოლის ნებართვით გამოდიან.
- დავლურის ყველა მონაწილე ვალდებულია წინამძღოლის განკარგულება შეასრულოს.
- დავლურის წინამძღოლს ფიგურების შესაცვლელად შეუძლია ნომერი ან მისი დასახელება გამოაცხადოს.

მხედრული დავლური

მხედრული დავლური ორი ვაჟის შესრულებით იცეკვება ახდილ ჰაეზე. სრულდება: ჭიდაობა, ფარიკაობა, ხტომა, ბირთვის ტყორცნა. ასეთი სახის დავლური იწყება ჩქარი ტემპით და ასევე თავდება. ჭიდაობის წინ ვაჟები უვლიან დავლურს, ჭიდაობის შემდეგ კი დავლურის თამაში შეუძლია მხოლოდ გამარჯვებულს, რომელსაც უფლება აქვს დავლურში გამოიწვიოს ის, ვინც სურს. ამგვარი დავლური მაყურებელს ამხიარულებს.

ქალ-ვაჟის დავლური

უწინ ცეკვა *ქართული* დავლურით იწყებოდა. ქალ-ვაჟი შეთანხმებულად იწყებდა დავლურს და „წინჭვრეტა“ შესაძლებელი იყო *ქართულზე* გადასასვლელად.

მწყემსური დავლური

არსებობს ცეკვა დავლურის სხვადასხვა ვარიანტი, მათ შორის გამორჩეულია *მწყემსური დავლური*. ზოგადად, დავლური შეიძლება შესრულდეს წყვილად – ქალი და ვაჟი, ორი ქალი და ორი ვაჟი, ან ჯგუფურად – ქალები და ვაჟები. მაგრამ მწყემსურ დავლურში დავლური ნიშნავს არა დავლას, არამედ დავლის – დოლის – დაკვრას.

ქართლიდან ფარას გარეკავდნენ მთებში რამდენიმე თვით. მეზობელი მწყემსები შეამხანაგდებოდნენ ცხვრის მოსავლელად, ერთმანეთს ეხმარებოდნენ გაჭირვების დროს. შინ დაბრუნების წინ იმართებოდა შეჯიბრება ფარეხთა შორის შემდეგნაირად: თითოეული ფარეხიდან გამოიყვანდნენ 500 – 500 ცხვარს და იწყებოდა წველა: თითოეული ბატკნისათვის მწველავს უნდა დაეტოვებინა სამყოფი რძე, ზოგჯერ უნდა ეპოვა ბატკნის დედა. მუშაობისას ყოველ ფარეხში იმყოფებოდა სხვა ფარეხის წარმომადგენელი – „კონტროლიორი“, რომელიც ადასტურებდა მწველავის მუშაობას. რომელი ჯგუფიც ადრე გაათავებდა წველას, დაუკრავდა დავლს – დოლს.

ფარეხები მდებარეობდა ერთი მეორესაგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. საყვირი ანიშნებდა დანარჩენ ფარეხთა წინამძოლთ, რომ იმ ფარეხში მუშაობა დამთავრდა ე.ი. გაიმარჯვეს. შემდეგ შეჯიბრების მონაწილენი შეიკრიბებოდნენ, მსაჯის დადასტურებით, გამარჯვებული ჯგუფი საჩუქრდებოდა რამდენიმე ცხვრით და მართავდა ქეიფს, რომელსაც ესწრებოდნენ დამარცხებულნიც. გამარჯვებულთა შორისაც იყო გამორჩეული – ყოჩაღი და სწრაფი მწველავი.

ქეიფის დროს დავლის ხმაზე ერთ-ერთი გამარჯვებული იწყებდა ცეკვას და მას მიჰყვებოდნენ დანარჩენებიც. ბარში ჩამოსვლის წინ გამარჯვებულნი სიხარულით გააგებინებდნენ თავიანთ სოფლელებს, რომ მათ ერგოთ დავლაზე დაკვრისა და დავლურის ცეკვის პატივი.

ამრიგად, დავლური თავიდან იყო მწყემსების ცეკვა. განვითარების შემდეგ მიიღო წყვილური, ჯგუფური და მასობრივი ცეკვის სახე. წამყვანი როლი რიტმისა და ტემპის მხრივ რჩებოდა და რჩება დავლს, ანუ დოლს.

დავლური და ქართული

1 	1-6 16 ს. გამეორება 4-ჯერ. 1-6 16 ს. გამეორება 4-ჯერ.
2 	1-6 8 ს. 8 ს. 1-6 8 ს. 8 ს.
3 	1-6 8 ს. გამეორება 2-ჯერ. 1-6 8 ს. გამეორება 2-ჯერ.
4 	1-6 8 ს. 1-6 8 ს.

5 	1-6 8 ს. 1-6 8 ს.
6 	1-6 16 ს. 1-6 16 ს.
7 	1-6 8 ს. 1-6 8 ს.
7ა 	1-3 4-6

8



1-3



4-6



1-3

4-6

9



1-6



გამეორება 4-ჯერ.

1-6

იგივე მეორე მხარეს და

ცენტრში შესვლა

10

1-6



1-6



11



1-6

1-6

ამის შემდეგ იწყება *ქართული*

12



13



14



15



16



17



18



19



20 	4 ს. ზ ⟨Ѱ⟩ . ი|ც̇ 4 ს. ზ ⟨Ѱ⟩ . ი|უ̇ 4 ს. ყოვნა. 4 ს. ჲ ⟨Ѱ⟩ . ი|ჰ
21 	8 ს. ზ ⟨Ѱ⟩ . ი|უ̇ 8 ს. ჲ ⟨Ѱ⟩ . ჰ|ი
22 	4 ს. ზ ⟨Ѱ⟩ . ი|ბ̈ 4 ს. ჲ ⟨Ѱ⟩ . ჰ|ი
23 	4 ს. ზ ⟨Ѱ⟩ . ი|ბ̈ 4 ს. ჲ ⟨Ѱ⟩ . ი|ჰ

24



1 4 ს.

4 ს.

1 4 ს.

4 ს.

25



1 4 ს.

4 ს.

1 4 ს.

4 ს.

26



1
1 -თავის დაკვრა.

2-6
2-6 -ტაში.

27



1
1
2-6
2-6 -სცენიდან გასვლა.

ქართული

1 	4 ს. მოძრ. 12 ს. 8 ს. 6 ს. 4 ს.
2 	16 ს. 16 ს.
3 	8 ს. და 8 ს. 1/2 და

4 	14 ს. და 2 ს. და 16 ს.
5 	4 ს. 12 ს. 8 ს. 16 ს.
6 	6 ს. და 2 ს. და და
7 	8 ს. 8 ს. 7 ს. 1 ს. 1/2

8



16 ს.

8 ს.

8 ს.

9



4 ს.

4 ს.

4 ს. ყოვნა.

4 ს.

10



8 ს.

8 ს.

11



4 ს.

4 ს.

12 	4 ს. 4 ს.
13 	4 ს. 4 ს. 4 ს. 4 ს.
14 	4 ს. 4 ს. 4 ს. 4 ს.
15 	თავის დაკვრა.

ქართული

ორი ვაჟის შესრულებით

1



1 8 ს.
8 ს.
8 ს.
2

2



1 4 ს.
4 ს.
4 ს.
4 ს.
4 ს.
8 ს.
4 ს.
2 ს.
2 ს.
2

3



1
2 8 ს.
8 ს.
8 ს.

4



1 8 ს. ყოვნა.
8 ს.
8 ს.
8 ს.
2 8 ს.
6 ს.
2 ს.
8 ს.
8 ს.
8 ს.

5



1 6 ს.
2 ს.
2 6 ს.
2 ს.

6

1 4 ს.
4 ს.
8 ს. ყოვნა.
2 4 ს.
4 ს.
8 ს.

7



1 8 ს. და
2 8 ს. და

8



1 8 ს. და

8 ს.

2 8 ს. და

8 ს.

9



1

2

მხრებზე
ხელგადახვეული
სცენიდან გასვლა.

ფერხული ქართულით

1



20 - სათ.

ჩაკიდ.

20 - სათ.

ჩაკიდ.

2



4 - სათ.

5 - სათ. 3 სათ.

და 2 სათ. 3 სათ. -

1 - სათ. - 1 სათ.

1 - სათ. -

4 - სათ.

5 - სათ. 3 სათ.

და 2 სათ. 3 სათ. -

1 - სათ. - 1 სათ. - 1 სათ.

3



4 - სათ.

5 - სათ. 3 სათ.

და 2 სათ. 3 სათ. -

1 - სათ. - 1 სათ.

1 - სათ. -

4 - სათ.

5 - სათ. 3 სათ.

და 2 სათ. 3 სათ. -

1 - სათ. - 1 სათ. - 1 სათ.

4



4 - სათ. . 5 - სათ.

3 - სათ. . 2 - სათ.

3 - სათ. . 2 - სათ.

1 - სათ.

4 - სათ. . 5 - სათ.

3 - სათ. . 2 - სათ.

3 - სათ. . 2 - სათ.

1 - სათ. .

5



4 - სათ. . 5 - სათ.

3 - სათ. . 2 - სათ.

3 - სათ. . 2 - სათ.

1 - სათ.

4 - სათ. . 5 - სათ.

3 - სათ. . 2 - სათ.

3 - სათ. . 2 - სათ.

1 - სათ. .

6



4 - სათ. . 4 - სათ.

2 - სათ. ტაში გარეთ. 2 - სათ. .

2 - სათ. .

3 - სათ. . 1 - სათ.

1 - სათ. . 1 - სათ. .

4 - სათ. . 4 - სათ.

2 - სათ. ტაში გარეთ. 2 - სათ. .

2 - სათ. . 3 - სათ.

1 - სათ. 1 - სათ. . 1 - სათ. .

7



4 - სათ. . 4 - სათ.

2 - სათ. ტაში გარეთ. 2 - სათ. .

2 - სათ. .

3 - სათ. . 1 - სათ. .

1 - სათ. . 1 - სათ. .

4 - სათ. . 4 - სათ.

2 - სათ. ტაში გარეთ. 2 - სათ. .

2 - სათ. . 3 - სათ. .

1 - სათ. 1 - სათ. .1 - სათ. .

8



8 - სათ. .

8 - სათ.

9



8 - სათ. ტაში

8 - სათ. .

10



ქართული

3 16 - სათ. . .

11 	3 4 - სათ. . . 2 - სათ. . 2 - სათ. და . .
12 	3 14 - სათ. . . 2 - სათ. 1/2 . . 3 16 - სათ. . .
13 	3 8 - სათ. . . 3 8 - სათ. . .
14 	3 16 - სათ. . . 3 4 - სათ. . . 4 - სათ. . . 2 - სათ. . . 2 - სათ. . . 2 - სათ. და . .

15



8 - სათ.
8 - სათ.
8 - სათ.
2 - სათ.
2 - სათ.
4 - სათ.

16



4 - სათ.
4 - სათ.
8 - სათ.

17



8 - სათ.
8 - სათ.
4 - სათ.
4 - სათ.
24 - სათ.

18



4 - სათ.
4 - სათ.
4 - სათ.
4 - სათ.

19



16 - სათ.

16 - სათ.

20



2 - სათ.

6 - სათ.

2 - სათ.

6 - სათ.

21



2 - სათ.

6 - სათ.

2 - სათ.

6 - სათ.

22



2 - სათ.

6 - სათ.

2 - სათ.

6 - სათ.

23 	3 16 - სათ. . . 3 16 - სათ. . . მარჯვენა კუთხეში გასვლა.

სახუმარო ცეკვები

ქართული ხალხური სახუმარო ცეკვა სხვადასხვა ხასიათისაა. ცეკვის ქორეოგრაფიული ნახაზი და ილეთების სტილი დამოკიდებულია მის შინაარსზე. სახუმარო ცეკვის მიზანია მაყურებლის გართობა-გამხიარულება, მაგრამ არა უშინაარსო და უხეში პრანჭვა-გრეხით, არამედ გააზრებული შინაარსით და ამ საფუძველზე აგებული მოხდენილი სახასიათო მოძრაობით, მიხრა-მოხრით.

სახუმარო ცეკვაში ვხვდებით გაშაირებას, ამბის სახუმარო „თხრობას“, ვისმე გამოჯავრებას, დაცინვას, დატუქსვას... ქართლ-კახეთში გავრცელებული იყო სახუმარო ცეკვა *ბეჯითი და ზარმაცი შრომისა და სამხრის დროს, ქათმიპარია*. ამგვარ ცეკვებში მიმიკას მთავარი ადგილი ეჭირა, საცეკვაო ილეთები კი დამხმარე საშუალება იყო. ქართლში გავრცელებული იყო სახუმარო ცეკვა *მყრალი კონა* ხუთი ვაჟის მონაწილეობით: წითელწვერა, გულათხელა, ღორმუცელა, გზირი, მამასახლისი. წითელწვერა განასახიერებდა ღუბერნატორს, გულათხელა – მეფის ხაზინას, ღორმუცელა – მემამულეს, გზირი – წვრილ მოხელეს, მამასახლისი – სოფლის თავს. გარკვეულ სიუჟეტზე აგებული ცეკვა მოთამაშეთა დათქმულ წესზე იცეკვებოდა. უფრო ხშირად თითოეული ჯერ ცალკე ცეკვავდა, შემდეგ – წყვილად ან ჯგუფურად, ბოლოს – ყველა ერთად.

სატირული შინაარსის სახუმარო ცეკვები როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება. ზოგჯერ ერთი და იმავე სახელწოდების ცეკვა სხვადასხვა შინაარსისაა, მაგალითად, *განდაგანა* ან *მხარული*. ერთი მხრივ, იგი სატრფიალო ცეკვაა, მეორე მხრივ, – სახუმარო-საოხუნჯო.

სახუმარო ცეკვებს მეკუთვნება: *სახუმარო, ცანგალა და გოგონა, წართმევია, დავლური* (ვარიანტები), *ქალთა ფერხული* (ქართლი).

ცანგალა და გოგონა

ამ ცეკვას აუცილებლად სიმღერა ახლავს. ცეკვავს ქალ-ვაჟი. როგორც ცეკვის კვალის ნახაზი, ასევე ილეთები შაირებით, სხვა ქართულ ცეკვებთან შედარებით, მარტივია. შინაარსი სატრფიალო-სახუმარო ხასიათისაა.

ვაჟის ცეკვა აგებულია სვლებზე, ცერილეთებზე, გასმებსა და ბრუნებზე, ქალის – მხოლოდ სვლებსა და ბრუნებზე (მიმიკისა და პანტომიმის გარეშე). ცეკვას ვაჟი იწყებს. იგი წრეშემოვლის შემდეგ ქალს გამოიპატიჟებს, ქალი ვაჟს გამოჰყვება. ერთად ცეკვის შემდეგ ზოგჯერ თითოეული სოლოს ასრულებს და ბოლოს ცეკვას ერთად ამთავრებენ. ვაჟის ცალად ცეკვისას გუნდი ცდილობს ვაჟი „მოღალოს“, ამიტომ სიმღერაში, – ფეხის ცერებზე დგებაო, – რამდენიმეჯერ მეორდება და ასე გრძელდება, ვიდრე „გამძლე გაუძლებს“ ან დარცხვენილი ვაჟი წრის შემოვლაზე არ გადავა. სოფლურ ლხინში ცეკვა *ცანგალა და გოგონა* ძალიან პოპულარულია. ხშირად გუნდი ორად იყოფა და სიმღერა ორპირულად სრულდება.

გაშლილ ადგილზე დიდი ლხინისას ცეკვაში გასვლის მსურველი ბევრია. შესაძლებელია, ერთსა და იმავე დროს წრეში რამდენიმე წყვილი ცეკვავდეს და თითოეული ცდილობდეს, მოხდენილი და ლამაზი მიხრა-მოხრით მაყურებელის ყურადღება მიიპყროს – მოწონება დაიმსახუროს. ყოველი წყვილი ფხიზლადაა, რომ სხვას არ შეეჯახოს და ხელი არ შეუშალოს, რადგან ეს საძრახისია. „უხეირო მოცეკვავე წრის შიგნით კი არა, წრის გარეთ უნდა ცეკვავდეს“, – ასე იტყვიან ხალხში.

წართმევია

წართმევია ქქვიტი და მხიარული ცეკვაა მარტივი შინაარსით. თვით ცეკვის სახელწოდება გვიჩვენებს, რომ აქ მთავარი შეჯიბრებაა. სიმარდე, სისხარტე, სიფრთხილე, სიფხიზლე, სწრაფი მოფიქრების უნარი – აი, რა მოეთხოვება მოცეკვავეს ამ ცეკვის შესრულებისას. ცეკვას ქალი ან ვაჟი იწყებს, წრეშემოვლის შემდეგ დამწყები მიუახლოვდება ქალს ან ვაჟს და ცეკვაში გაიპატიჟებს. გამოწვეული თუ სწრაფად არ გადავიდა ცეკვაში, უარს ამბობს, „გაწვევა“ ან „გაპატიჟება“ მიიღოს. წყვილთა ცეკვას სხვანი თვალ-ყურს ადევნებენ და შესაფერის მომენტს უცდიან, რათა მათ შუა შეიჭრან და ერთი მეორეს წაართვან – ჩამოაშორონ, მაგრამ ყველაფერი სრულდება შესაფერისი წესით, რომლის დაცვა ყველასთვის სავალდებულოა:

1. თუ მოცეკვავენი (წყვილები) ერთმანეთის პირისპირ არიან და მათ შორის მანძილი წრის მეოთხედზე ნაკლებია, ცეკვაში შეჭრა და წართმევა დაუშვებელია.

2. თუ პირისპირ მდგომმა ერთ-ერთმა მოცეკვავემ უცბად შეცვალა მიმართულება და ორივე სახით ერთი და იმავე მიმართულებით მოექცა, თუ ჩამორჩენილი სწრაფად არ წამოეწია წინმყოფს, მესამე პირს უფლება აქვს ცეკვაში შევიდეს და ერთ-ერთ მათგანს ეცეკვოს.

3. წინსვლისა და წრეშემოვლის დროს მესამე პირს შეუძლია შეიჭრეს წყვილთა შორის და ერთი მეორეს ჩამოაშოროს, მაგრამ არ უნდა შეეხოს მას, ვისთანაც საცეკვაოდ დარჩენა სურს. ასევე ხელი არ უნდა შეუშალოს მიმყოლს.

4. თუ მესამე წესი დაირღვა, წართმევია უკანონოდ მიიჩნევა და ცეკვა ისევ ძველ წყვილს ეკუთვნის.

თუ ქალმა ცეკვის დროს გულმკერდი ორივე ხელით დაიხურა, ეს იმის ნიშანია, რომ ქალს იღებს და წყვილის დასაშორებლად მხოლოდ ქალს შეუძლია შუაშესვლა ან წართმევა.

5. წყვილად ცეკვისას დაუშვებელია ერთი ცეკვავდეს, მეორე ადგილზე იდგეს, ტაშს უკრავდეს ან ისვენებდეს. ამ შემთხვევაში იგი „ცეკვიდან გამოსულად“ ითვლება.

6. შესაძლებელია წრეში ორი და მეტი წყვილიც ცეკვავდეს, მხოლოდ შემდეგი წესით: დასაწყისში ცეკვავს მხოლოდ ერთი წყვილი, შემდეგ მათ შორის შეიჭრებიან (ერთსა და იმავე დროს) მეორენი, პირველ წყვილს ერთმანეთს დააშორებენ და ა.შ.

7. *წართმევიაში* დასაშვებია ქალის ქალთან და ვაჟის ვაჟთან ცეკვა.

8. მოტყუება, მეწყვილესთან დასაშორებლად რაიმე ფანდის ხმარება, დასაშვებია ზომიერების ფარგლებში.

შენიშვნა: მიმყოლი ეწოდება მოცეკვავეს, რომელიც წინას მისდევს, წინას უკან მიჰყვება. ფერხული *წართმევია* იწყება მესამე კულისიდან. ქალები ფერხულის შეკვრის დროს მოექცევიან წრის შუაში, ვაჟები – გარეთ. ფერხული გრძელდება იმ დრომდე, ვიდრე არ გაიშლება ნახევარწრეზე. ამის შემდეგ გამოდის №1 ქალი და №8 ვაჟი *წართმევიას* საცეკვაოდ. ცეკვაში ერთი მეორეს ცვლიან ვაჟი – ქალებს, ქალი – ქალებს და ბოლოს *წართმევია* თავდება წყვილად განლაგებული ქალ-ვაჟის გასვლით კულისის მარჯვენა მხარეს.

წართმევია

1  	) 18 ს. ი· ⟨ . ⌐ჩაკ. > 18 ს. ·ი ⟨ . ⌐ჩაკ.
2 	) 8 ს. ·ი· ი· ⟩ . ⌐ჩაკ. 8 ს. ·ი· ·ი ⟩ . ⌐ჩაკ. > 8 ს. ·ი· ·ი ⟩ . ⌐ჩაკ. 8 ს. ·ი· ი· ⟩ . ⌐ჩაკ.
3 	) 6 ს. 6 ⟩ ი· . 2 ს. ⟩ ი· და ⟩ ი· } ჩაკ. > 6 ს. 6 ⟩ ·ი . 2 ს. ⟩ ·ი და ⟩ ·ი } ჩაკ. იგივე მეორე მხარეს.
4 	) 8 ს. ⟩ . ⌐ჩაკ. > 8 ს. ⟩ . ⌐ჩაკ.

5



4 ს.

4 ს.

4 ს.

4 ს.

იგივე მეორე მხარეს.

6



8 ს.

8 ს.

იგივე მეორე მხარეს.

7



8 ს.

8 ს.

8



ტაში.

გამოსვლა.

ტაში.

8 ს.

ქალის შესახვედრად

9



ტაში.

1 8 ს.

ტაში.

4 4 ს. შეიჭრა.

8 8 ს. და ადგილზე მისვლა.

10



1 16 ს.

4 16 ს.

11



1 8 ს. და

8 ს. და

4 16 ს.

12 	1 8 ს. 6 8 ს. 4 8 ს.
13 	6 8 ს. 2 8 ს. №1-სა და №6 -ს შუა შეჭრა 1 8 ს. №1 ადგილზე.
14 	6 16 ს. 2 16 ს. 7 შეჭრა

15 	6 8 ს. და ۱۰ 8 ს. და ۱۰ 7 16 ს. ۱۰ H
16 	1-8 16 ს. ۱۰ ۱۰ ۱۰ 1-8 16 ს. ۱۰ ۱۰
17 	1-8 ۱۰ 1-8 ۱۰ H

ფერხულები

მეფე-დედოფლის ფერხული

- ნეფის გარშემო – ქალები.
- დედოფლის გარშემო – ვაჟები.
- ნეფე და დედოფლის გარშემო საერთო ფერხული.
- ნეფე-დედოფლის ცეკვა.

წესები

- კარის გახსნა.
- საჩუქრები.
- მანდილის გადაფარება ნეფე-დედოფალზე.
- მანდილის ახსნა.

გურული ფერხული

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში საფერხულო ცეკვებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. არ არსებობს საქართველოში კუთხე, რომელსაც თავისი ფერხული არ ჰქონდეს. ფერხულთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა სვანური და გურული ვარიანტები. მათ ახასიათებთ: ნაირფეროვანი განრიგება, ილეთების სიმარტივე, ხალისიანი მუსიკისა და სიმღერის თანხლება, მკაფიო რიტმული ნახაზი და მეფერხულეთა განუსაზღვრელი რაოდენობა. ეს საინტერესოა არა მარტო სცენაზე გამოსატანად, არამედ დღესასწაულებსა და მასობრივ შეკრებებზე შესასრულებლადაც.

ფერხულის შემსრულებელთა რაოდენობა: ქალი – 12, ვაჟი – 18, მესაკრავენი (გარმონი, დოლი) – 2. სულ 32 ქალ-ვაჟი.

ფერხული ოთხნაწილიანია

1. შესავალი
2. დინჯი ფერხული
3. ფერხული ცოცხლად
4. ჩქარი ფერხული

თვლა

I და II ნაწილისათის – 4+8+2+6 ან 4+10+6.
III ნაწილისათვის – 4+4.
IV ნაწილისათვის – 2+2+2+2.

მუსიკალური მასალის დაყოფა

I და II – 2/4 = 2ტ.+5ტ.+3ტ.
III – 6/8 ან 2/4 = 2ტ.+2ტ.
IV – 2/4 ან 6/8 = 1ტ.+1ტ.+1ტ.+1ტ.

ჩაცმულობა

ქალისათვის – ქართული კაბა, ლეჩაქი უჩიხტოდ.
ვაჟისათვის – გურული ჩაქურა.

ფერხულის აღწერა

სოფლის მოედანზე მყუდროებაა. მარცხენა მხრიდან გამოჩნდება ვაჟი გარმონით (მგზავრულს უკრავს). მარჯვნიდან გამოდის მეორე ვაჟი დოლით. ერთმანეთს უახლოვდებიან და დოლ-გარმონის დაკვრით ცენტრისაკენ მიიწევენ. დოლ-გარმონის ხმა სოფლის ახალგაზრდობას იზიდავს: ექვსი ვაჟი მედოლე-მეგარმონეს გარს შემოეხვევა. მესაკრავენი უკრავენ *ცანგალა და გოგონას*, შემდეგ – *ფერხულს*.

ექვსი ვაჟი ეპატიჟება დანარჩენ ახალგაზრდებს. შემოდის ორი ქალი და ორი ვაჟი. ვიღაცა დაიძახებს: *გურული ფერხული* და ხმაშეწყობილი სიმღერით ჩააბამენ ფერხულს.

შიდა წრეში ქალები არიან, გარე წრეში – ვაჟები და დაიძრება საფერხულო წყობა. დამკვრელნი და მოსიმღერენი თანდათან უმატებენ ფერხულს სიჩქარეს. მხიარულად ბრუნავს ფერხულის ორი წრე, ვაჟები მიდიან მარჯვნივ, ქალები – მარცხნივ. სიჩქარის მიხედვით ილეთები რთულდება. აქედან იწყება ქალ-ვაჟთა შეთანხმებული შეჯიბრება. ქალთა ჯგუფმა თავისი წრე ცენტრისაკენ შეამჭიდროვა, შემდეგ ისევ გააფართოვა, რათა გარე წრეში მოთამაშე ვაჟებს შიგა წრეში შესასვლელად „კარი დაუთმონ“. ვაჟებმა ქალების მკლავებქვეშ გავლით ცენტრისაკენ წაიწიეს და ორი წრე ჩააბეს. აქედან კიდევ უფრო აჩქარდა ფერხული.

ვაჟთა ორი წრე ცენტრის ირგვლივ ბრუნავს, ერთი მარჯვნივ, მეორე – მარცხნივ. ქალები გარეწრეში არიან მოქცეულნი. ფერხულის წინამძღოლის დაძახილზე ქალთა წრე რკალად გაიშლება, მათ მიჰყვებიან ვაჟებიც და საფერხულო მწყობრი მწკრივად განლაგდება. აქედან ვაჟთა პირველი ჯგუფი (ექვსი ვაჟი) მწკრივად წინ გაემართება და შემდეგ თანაბრად გაიყოფა. ასევე ვაჟთა მეორე ჯგუფიც ჯერ წინ წაიწევს, შემდეგ ორად გაიყოფა, ცენტრისკენ შებრუნდება და ბუქნით მიემართება გარეთ – პირველი ჯგუფის ვაჟებთან შესაერთებლად. ამის შემდეგ მეფერხულენი ან სხვა ცეკვას ასრულებენ ან ცეკვითვე მოედნიდან გადიან.

შენიშვნა:

1. ამ ნახაზის ფერხული შეიძლება შესრულდეს მოცეკვავეთა უფრო მეტი რაოდენობით, მაგრამ ვაჟები ორჯერ უნდა აღემატებოდნენ ქალებს, მაგალითად: ქალები – 16, ვაჟები – 16–8 ან ქალები – 24, ვაჟები – 24–12.
2. ფერხულს შეიძლება გადაებას წყვილური ან მასობრივი *განდაგანა* ან რომელიმე სხვა ცეკვა (*ქართული, ხორუმი, წართმევია* და სხვ.) და საფერხულო წყობით დამთავრდეს.
3. ილეთების შესრულება ახსნილია ერთ მხარეს. ცხადია, ზოგიერთი ილეთი მეორე მხარესაც სრულდება.

საფერხულო ილეთები

1. რხევა
2. ქანება ან გაქანება
3. სვლა მიდგმით
4. წინჩაკვრა
5. უკუჩაკვრა
6. ჭდომფეხცვლა
7. გასმურა
8. ორფა გასმურა
9. ჩართულა
10. ბუქნი
11. საფარცაკუკო ბუქნურა
12. ხლართულა სვლა ზეხტომით
13. ბუქნბრუნი (ერთ-ერთი ვარიანტი)
14. სვლა რთულა
15. სვლა მუხლურა
16. ზეხტომიდან ფერხჭდომილი ბუქნი რთულა ან მუხლურა სვლის შემდეგ
17. სამდაკვრითი ადგილზე სვლა
18. ჭრილი ჩაკვრა ირიბი სვლით
19. სამდაკვრითი უკუსვლა
20. ვარდნა და რხევა
21. ფეხცვლა
22. მიდგმითი სვლა
23. გვერდგასმურა
24. ხლართულა სვლა განზე, წინ.

საფერხულო ილეთების აღწერა

№1 რხევა

მკლავებგადახვეული მოცეკვავენი ზეტანს არხევენ მარჯვნივ-მარცხნივ ან პირიქით. წესია: ქალები ირხევიან ჯერ მარცხნივ და შემდეგ მარჯვნივ, ვაჟები – პირიქით. თავი მოძაროაბს გადახრის საპირისპირო მხარეს, თუმცა ზოგჯერ დასაშვებია თავის მოძრაობა გადახრის მხარესაც.

რხევის დროს ვაჟები მეტწილად IV პოზიციაში დგანან – ფეხშლილად, ქალები III პოზიციაში – ტერფშლილად, მხოლოდ ქუსლები ოდნავ დაშორებულია ერთიმეორეს. ამ ილეთის შესრულებისას ფეხების მდგომარეობა არ იცვლება.

№2 გაქანება

მეფერხულენი რხევიდან გაქანებაზე გადადიან. ფაქტობრივად ეს ილეთი რხევის გაგრძელებაა. სხეულის სიმძიმე ერთი ფეხიდან მეორეზე გადავა, ზეტანიც ოდნავ გადაიხრება საყრდენი ფეხის მხარეს. თავისუფალი ფეხი მუხლში მოიხრება, იატაკს ასცილდება და ტერფი, დაბლა მიმართული ცერით, საყრდენი ფეხის უკან მოექცევა. თავი – როგორც პირველი ილეთის დროს. მოცეკვავენი გაქანებას თანდათან უმატებენ.

გაქანება ფერხულში სხვადასხვა ამპლიტუდით სრულდება. დასაწყისში – დინჯად, შემდეგ უფრო მძლავრად და ბოლოს იმდენად განივრად, რომ ფეხის განზე გადადგმისას, თავისუფალი ფეხის საყრდენ ფეხთან მისაახლოებლად, ზეხტომია საჭირო. და კვლავ ოდნავი ზეხტომი (საყრდენ ფეხზე) ფეხის თავისუფლად განივრად განზე გადასადგმელად. ცხადია, ქალები ილეთს (გაქანებას) უფრო მოკლე ამპლიტუდით ასრულებენ.

№3 სვლა მიდგმით

ეს სვლა ჩვეულებრივს წააგავს, იმ განსხვავებით, რომ ბიჯი სრულდება მარჯვნივ ან მარცხნივ თითქმის დაბალ ერგცერებზე, რბილად და ოდნავ დრეკით.

ამ სვლის შესრულებისას მაყურებელი უნდა ხედავდეს, რომ ეს ჩვეულებრივი კი არა, საცეკვაო სვლაა, ამიტომ მსუბუქად, რბილად და მოხდენილად უნდა შესრულდეს.

№4 წინჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი III პოზიცია – ქუსლები ერთად, ტერფების წინა ნაწილი (ერგცერები) გარეგაშლილი. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა, იატაკს აცილება, ტერფის საყრდენი მუხლის წინ გადატანა და იატაკსმიუკარებლად, გამახვილებულად წინ – შიგნით და განზე გამართვა; ერთდროულად საყრდენი ფეხის ტერფის ოდნავი მუხლდრეკით დაკვრა.

შემდეგ ამავე წესით ილეთი მეორე მხარეს შესრულდება.

№5 უკუჩაკვრა

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – III პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხის გადადგმა განზე და სხეულის სიმძიმის მასზე გადატანა.

ორი – მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა, იატაკს აცილება და იატაკსშეუხებლად ტერფის საყრდენი ფეხის მუხლს უკან გადატანა ერთდროულად მარჯვენა ფეხის ტერფის ოდნავი მუხლდრეკით დაკვრა.

შემდეგ ამავე წესით ილეთი შესრულდება მარცხენა ფეხით.

№6 ჭდომფეხცვლა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 4/4. ილეთი ორტაქტიანია.

I თვლა

ერთი – ორი – განბიჯი მარჯვნივ და წინჩაკვრა მარცხნივ (იხ. ილეთი №4).

II თვლა

ერთი – გამართული მარცხენა ფეხის ერგცერით იატაკს დაკარება, სხეულის სიმძიმის მარცხენაზე გადატანა. მარჯვენა ერგცერზე სრიალით შიგრკალის შემოწერა და მარცხენა ფეხს წინიდან გადაჭდობა (მუხლში ოდნავ მოხრილად).

ორი – ფეხების მდგომარეობის შეცვლა: ჯერ მარჯვენა ფეხის ერგცერით გარერკალის შემოწერა და მთელი ტერფით (სიმძიმის მარჯვენა ფეხზე გადასვლა) დადგმა, შემდეგ მარცხენა ფეხის, შიგნით სრიალა რკალის შემოწერით, წინიდან მარჯვენას გადაჭდობა.
ეს ილეთი შესრულდება მარცხენა მხარესაც.

№7 გასმურა

სრულდება როგორც *სადა სრიალა გასმა*, ოღონდ ოდნავი ზეხტომით.

ამ ილეთის შესრულებისას გამახვილებულია თვლა **ორი**.

საწყისი მდგომარეობა – მარჯვენა ფეხი ნახევარი ტერფით წინ და ერგცერით იატაკს ოდნავ შეხება, დაბალ ერგცერებზე დგომა. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – სრიალა მოძრაობით ფეხების მდგომარეობის შეცვლა: ერგცერზე სრიალით მარჯვენა ფეხის უკანმიმართულებით მოძრაობა, მარცხენის – წინ.

და – ამნაირადვე ფეხების მდგომარეობის შეცვლა (მარცხენა – უკან, მარჯვენა – წინ).

ორი – როგორც **ერთი**.

და – ოდნავი ზეხტომი.

ამრიგად, ერთი ტაქტის განმავლობაში სრიალა მოძრაობით ფეხები სამჯერ იცვლის მდგომარეობას. შემდეგ ტაქტში წინ მარცხენა ფეხია. *გასმურას* შესრულებისას საჭიროა მცირე ზეხტომი გასმის დასაწყისშივე.

№8 ორფა გასმურა

ორფა გასმურას შესრულების დროს ორ ტაქტში ფეხები წინ – უკან მიმართულებით ექვსჯერ იცვლის მდგომარეობას.

№9 ჩართულა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია. მუსიკალური ზომა – 4/4 ან 2/4.

I თვლა

ერთი – მარჯვენა ფეხით წინ ერთი ნაბიჯი, მარცხენის უკან დარჩენა და ცერით იატაკს შეხება.

ორი – მცირე ნახტომი და მარჯვენა ფეხის მუხლში მოდრეკა. მარცხენის იატაკს აცილება, მუხლში მოღუნვა და კოჭის სახსრის წინა ნაწილით საყრდენ ფეხს უკანიდან წვივის ზევით შეხება.

II თვლა

ერთი – მარცხენა ფეხის მუხლში გამართვა და უკან მთელი ტერფით დადგმა (მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან), მარჯვენის მუხლში გამართვა, იმავე ადგილას დარჩენა და ქუსლით იატაკს აცილება.

ორი – მარჯვენა ფეხის იატაკს აცილება, მუხლში მოღუნვა და წვივით გარეწრის შემოხაზვა.

ამ ილეთის შესრულება ასეც შეიძლება: მარცხენის ჩაკვრა, მარჯვენის წინ ჩაკვრა (იხ. წინჩაკვრა №4). ილეთი სრულდება მეორე მხარესაც.

№10 ბუქნი (ჩვეულებრივი)

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია.

ერთი – ბუქნი.

ორი – ადგომა.

ბუქნისას ფეხის ქუსლები იატაკს მოსცილდება და სხეულის სიმძიმე ერგცერებზე გადაიტანება, მუხლები გაიშლება.

№11 საფარცაკუკო ბუქნურა

ეს ილეთი ჩვეულებრივი ბუქნისაგან იმით განსხვავდება, რომ **ერთზე** შესრულდება მუხლებგადაშლილი ბუქნი, **ორზე –** ბუქნშივე ოდნავი ზეხტომი (მარჯვნივ ან მარცხნივ), ფეხის ქუსლები ერთმანეთს დაშორდება განივი მიმართულებით (ჰაერში) ნახევარი ტერფის სიგრძეზე. შემდეგ თვლაზე კვლავ შესრულდება ბუქნი ქუსლებშეტყუპებულად და ა.შ.

№12 ხლართულა სვლა ზეხტომით

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – IV პოზიცია (ფეხშლილი). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 4/4.

ერთი – მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ განზე ისე გადადგმა, რომ სხეულის სიმძიმე ქუსლს დაეყრდნოს, მარცხენა ფეხი მაშინვე იატაკს ასცილდეს, მუხლში ნახევრად მოიღუნოს და ცერი დაბლა მიემართოს, ზეტანი ოდნავ მარჯვნივ გადაიხაროს.

და – მარცხენა ფეხის ერგცერის მკვეთრი დაკვრით მარჯვენის უკან და შიგნით დადგმა, მარჯვენის მუხლში მოღუნვით ზეაწევა (ნახევარი ტერფით) და მარჯვნივ ხტომისათვის მომზადება.

ორი – მარცხენა ფეხიდან არეკნით ხტომა მარჯვნივ და მარცხენის მუხლში მოღუნვით იატაკს აცილება (ნახევარი ტერფით).

და – მარცხენა ფეხის მარჯვენის წინ და შიგნით დადგმა.

იგივე ილეთი იწყება ისევ მარჯვენა ფეხით, როგორც აღწერილი იყო **ერთისთვის.**

ილეთის შესრულებისას გამახვილებულია ხტომი ან ზეხტომი – **ორი.** თუ მოძრაობა მარცხნივაა, მოძრაობა იწყება მარცხენა ფეხით.

№13 ბუქნბრუნი

ბუქნბრუნის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, ჩვენ აღვწერთ ერთ-ერთს, რომელიც მეტწილად ფერხულის ჩქარ ნაწილში სრულდება: საფერხულო წრის გაშლისას ან წრის შიგნით ერთი, ორი ან რამდენიმე მეფერხულე ასრულებს ბუქნბრუნს მარჯვნივ ან მარცხნივ (მკლავების ჩაუბმელად).

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – III პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 4/4.

I თვლა

ერთი – ბუქნი ერგცერებზე (ფეხის ქუსლები ერთად).

ორი – ნახევარი ბრუნი მარცხნივ (წრეზე). ადგომა მარჯვენა ფეხზე, მარცხენის მუხლში მოღუნვა (მუხლის ზეაწევა), იატაკს აცილება და ზეტანის ოდნავ მარჯვნივ გადაწევა.

II თვლა

ერთი – ბრუნისას ხტომით მარცხენა ფეხის მარჯვენაზე შედგმა.

ორი – მარცხნივ ნახევარი ბრუნით მარცხენა ფეხიდან მარჯვენაზე გადახტომა.

№14 რთულა სვლა

რთულა სვლის შესრულების წესები ქალებისა და ვაჟებისათვის ერთნაირია.

საწყისი მდგომარეობა: ფეხი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხით ერთი ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ. უკან დარჩენილი მარცხენის ერგცერით იატაკს ოდნავ შეხება. სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე.

და – მარცხენა ფეხის ერგცერის იატაკიდან მოუშორებლად სრიალი და მუხლში მოღუნვით ერთი ტერფის სიგრძეზე წინ გატანა. სხეულის სიმძიმის თანდათან, მსუბუქად მარცხენაზე გადატანა. ილეთის დასრულებისას სხეულის სიმძიმე მთლიანად მარცხენა ფეხზეა.

ორი – მარჯვენა ფეხის ტერფის იატაკიდან აუღებლად სრიალით მარცხენისაკენ მიწევა და მის მარჯვნივ დაშორებით შეჩერება. მარჯვენა ფეხის ცერი თითქმის ერთ ხაზზეა მარცხენის ცერთან.

და – პაუზა.

შემდეგი ტაქტი ან თვლა იწყება ისევე, როგორც ზემოთაა აღწერილი.

№15 მუხლურა სვლა

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია (შეტყუპებულად). მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხით ჩვეულებრივი ნაბიჯი წინ, უკან ჩამორჩენილი მარცხენის ერგცერით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმე მარჯვენაზე.

ორი – მარცხენა ფეხის მოღუნვით წინ ისე გადატანა, რომ ცერი ნახევარი ტერფით იატაკიდან დაშორებით საყრდენი ფეხის ოდნავ წინ და დაბლა მიიმართოს. საყრდენი ფეხის (მარჯვენის) ოდნავი ზეხტომიდან გასრიალებით ნახევარი ტერფით წინ წაწევა.

შემდეგ იგივე მარცხენა ფეხით.

№16 ფეხჭდომილი ბუქნი ზეხტომიდან

ეს ილეთი მეტწილად სრულდება *მუხლურა* და *რთულა სვლით*.

საწყისი მდგომარეობა – ფეხი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 4/4.

გარე ტაქტი

და – ზეხტომი. ბოლო თვლაზე ბუქნი ისე, რომ მარჯვენა ფეხი გადაეჭდოს მარცხენას წინ – კოჭის ოდნავ ზემოთ.

და – მარცხენა ფეხის ტერფის მძლავრი დაკვრით მარცხენაზე ადგომა; მუხლში გამართული მარჯვენის იატაკსშეუხებლად წინ გადატანა.

ამ ბუქნს, თუ საფერხულო წრისათვის საჭიროა მოძრაობის მიმართულების მეორე მხარეს შეცვლა, ჩვეულებრივ, მოსდევს გასმურა მოძრაობა.

№17 სამდაკვრითი სვლა ადგილზე

საწყისი მდგომარეობა – მაღალ ერგცერებზე დგომა – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მარჯვენა ფეხის ერგცერის ზევით აწევა და ზევიდან დაკვრით იატაკს შეხება, მარცხენა ერგცერის ზევით აწევა და დასაშვებად მომზადება. სხეულის სიმძიმის ერთი ფეხიდან მეორეზე შეუმჩნევლად გადატანა.

და – მარცხენა ფეხის ერგცერის ზევიდან დაკვრით იატაკს შეეხება. მარჯვენა ერგცერის ზევით აწევა.

ორი – მარჯვენა ფეხის ერგცერის ზევიდან დაკვრით იატაკს შეხება, მარცხენა ფეხის ერგცერის ზევით აწევა.

და – ყოვნა – მარჯვენა ფეხის ერგცერზე შეჩერება. მარცხენის ერგცერი ზევით აწეული.

№ 18 სამდაკვრითი უკუსვლა

საწყისი მდგომარეობა: ერგცერზე დგომა, I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4.

ერთი – მუხლში გამართული მარჯვენა ფეხის ტერფის სიგრძეზე გადადგმა და ერგცერის დაკვრით იატაკს შეხება. სხეულის სიმძიმის მასზე გადმოტანა.

და – მარჯვენა ფეხის გასრიალებით ისევ უკან გატანა.

და –ყოვნა – ერგცერის ზეაწევით ფეხის მომზადება ახალი ტაქტის ან თვლის დასაწყებად.

№19 ჭრილი ჩაკვრა ირიბი სვლით

საწყისი მდგომარეობა: I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4.

I თვლა

ერთი – მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და მარჯვნივ (ირიბი მიმართულებით), მარცხენის უკან დარჩენა და ერგცერით იატაკს შეხება.

ორი – იმავე მიმართულებით მარცხენა ფეხით ნახევარი ნაბიჯი (მარჯვენა ფეხის წინ).

II თვლა

ერთი – მარცხენა ფეხის მუხლში მოღუნვა (ერგბუქნის მსგავსად) და დადგმისას ტერფით ოდნავ წინ წასრიალება.

ორი – ოდნავი ზეხტომითა და წინ წაწევით მარჯვენა ფეხის ტერფით მარცხენის ადგილის დაჭერა; მარცხენის გათავისუფლება, მუხლში გამართული იატაკს აშორება და წინ წაწევა მეორე მხარეს მოძრაობის დასაწყებად.

ამ ილეთის შესრულებისას გამახვილებულია ყოველი მეორე ტაქტის **ერთი**.

№20 ვარდნა და რხევა

ვარდნა ნიშნავს რომელიმე ფეხის გადადგმას წინ, გაზე ან უკან. გადადგმის დროს გატანილი ფეხი მუხლში მოღუნულია, ადგილზე მდგარი – გამართული. რხევა კი ნიშნავს უკვე უკან გადადგმული ფეხის მუხლში მოხრას (ბოლო ოთხი ილეთი აღუწერელია – რედ.).

მეფერხულეთა შეკრება და ფერხულის ჩაბმა

შესავალი

16 თვლა

მეგარმონე ვაჟი მგზავრულის დაკვრით ცენტრისაკენ მიემართება. მიაღწევს ცენტრს, შეჩერდება, მარჯვნივ და მარცხნივ გაიხედავს – თითქოს მეფერხულეთ უხმობსო. ამავე დროს მეორე მხრიდან მედოლე გამოდის და ორივენი შეთანხმებულად *ცანგალა* და *გოგონას* უკრავენ.



ნახ. 1.

8 თვლა (6 ვაჟი)

ერთი – **ექვსი** – სხვადასხვა მხრიდან შემორბის ექვსი ვაჟი და ცენტრში მედოლე-მეგარმონეს შემოეხვევა.

შვიდი – **რვა** – მარცხნივ ერგბუქნის შემდეგ, სახით გარეთ მოექცევიან, მარჯვენა ხელს ზეაიქნევენ და ძახილით, – ქალ-ვაჟნო, აქეთ! – ამხანაგებს საფერხულოდ ეძახიან.



ნახ. 2



ნახ. 3

8 თვლა (12 გოგონა)

ერთი – ოთხი – 12 გოგონას, სხვადასხვა მხრიდან შემორბენა, ერთმანეთისთვის წელზე ხელის შემოხვევა და მედოლე-მეგარმონის გარშემო მჭიდრო წრის შეკვრა. ვაჟების მიერ (№1–6) პირველი თვლიდანვე გოგონების მოძრაობის მოპირდაპირე მხარეს რამდენიმე ნაბიჯის გადადგამა და ორივე მკლავის ძახილის ნიშნად ზეაქნევა (გარეზემკლავამდე).

ხუთი – რვა – 12 ქალის ერთი ნაბიჯი უკან და მკლავების მხრებზე საფერხულოდ გადახვევა.

№1–6 ვაჟის ერთი ნაბიჯი წინ (**ხუთი**) და ნახევრად მარცხნივ შებრუნება.

ექვსი – შვიდი – მკლავების გაშლა და ბუქნი.

რვა – ფეხშლილად ადგომა და მკლავების მხრებზე გადახვევა.

ვაჟი №7–18 – **ხუთი** – საცეკვაო ფართობის ირგვლივ შემორბენა; **შვიდი –** ჩაბუქვნა და მკლავების გაშლა; **რვა** – მკლავჩაბმულად ფეხშლილად ადგომა.

წრის ჩასაბმელად შესვლა:



ნახ. 4

№7 და №8 – №1 მარცხნივ.
№9 და №10 – №2 მარცხნივ.
№11 და №12 – №3 მარცხნივ.
№13 და №14 – №4 მარცხნივ.
№15 და №16 – №5 მარცხნივ.
№17 და №18 – №6 მარცხნივ.

ასე ჩაებმება ფერხული.

პირველი ნაწილი

I ფიგურა

საწყისი მდგომარეობა: ფეხშლილი დგომა, მკლავები – გადაბმული.

№1–18 ვაჟი

ერთი–ორი – მუხლდრეკა მარჯვნივ. ილეთი №20.

სამი–ოთხი – მუხლდრეკა მარცხნივ. ილეთი №20.

ერთი–ოთხი – ოთხი ნაბიჯი მარჯვნივ სვლით.

ხუთი–ექვსი – მარჯვნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.

შვიდი–რვა – მარცხნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.

ერთი–ორი – ნაბიჯი მარჯვნივ და მარცხენა ფეხის მიდგმა მარჯვენასთან.

ერთი–ორი – ორი ნაბიჯი მარჯვნივ.

სამი–ოთხი – მარჯვნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.

ხუთი–ექვსი – მარცხნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.

საწყისი მდგომარეობა – ფეხები ერთად.

№1–12 ქალი

ერთი–ორი –გაქანება მარცხნივ. ილ. №2.

სამი–ოთხი – გაქანება მარჯვნივ. ილ. №2.

ერთი–ოთხი – ოთხი ნაბიჯი მარცხნივ სვლით.

ხუთი–ექვსი – მარცხნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
შვიდი–რვა – მარჯვნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
ერთი–ორი – ნაბიჯი მარცხნივ და მარჯვენა ფეხის მიდგმა მარცხენასთან.
ერთი–ორი – ორი ნაბიჯი მარცხნივ.
სამი–ოთხი – მარცხნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
ხუთი–ექვსი – მარჯვნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.

II ფიგურა

ვაჟები № 1–18.
ერთი–ორი – გაქანება მარჯვნივ. ილ. №2.
სამი–ოთხი – გაქანება მარცხნივ. ილ. №2.
ერთი–ოთხი – ოთხი ნაბიჯი მარჯვნივ სვლით.
ხუთი–ექვსი – მარჯვნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
შვიდი–რვა – გასმურა. ილ. №7.
ერთი–ორი – ნაბიჯი მარჯვნივ და მარცხენის მიდგმა მარჯვენასთან.
ერთი–ორი – ორი ნაბიჯი მარჯვნივ სვლით.
სამი–ოთხი – მარჯვნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
ხუთი–ექვსი – გასმურა ილ. №7.



ნახ. 5

ქალები №1–12.
ერთი–ორი – გაქანება მარცხნივ. ილ. №2.
სამი–ოთხი – გაქანება მარჯვნივ. ილ. №2.
ერთი–ოთხი – ოთხი ნაბიჯი მარცხნივ სვლით.
ხუთი–ექვსი – მარცხნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
შვიდი–რვა – გასმისებური სამდაკვრითი მოძრაობა ადგილზე. ილ. №17.
ერთი–ორი – ნაბიჯი მარცხნივ და მარჯვენა ფეხის მიდგმა მარცხენასთან.
ერთი–ორი – ორი ნაბიჯი მარცხნივ.
სამი–ოთხი – მარცხნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
ხუთი–ექვსი –გასმისებური სამდაკვრითი მოძრაობა ადგილზე. ილ. №17.

III ფიგურა

ვაჟები № 1–18.
ერთი–ორი – გაქანება მარჯვნივ განხტომით. ილ. №2.
სამი–ოთხი – გაქანება მარცხნივ განხტომით. ილ. №2.
ერთი–ოთხი – ოთხი ნაბიჯი მარჯვნივ სვლით.
ხუთი–ექვსი – განბიჯი და მარცხენის წინ ჩაკვრა. ილ. №4.
შვიდი–რვა – ბუქნი და ადგომა მარჯვენა ფეხის წინჩაკვრით. ილ. №10 და №4.
ერთი–ორი – ნაბიჯი მარჯვნივ და მარცხენა ფეხის მარჯვენასთან მიდგმა.
ერთი–ორი – ორი ნაბიჯი მარჯვნივ სვლით.
სამი–ოთხი – მარჯვნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
ხუთი–ექვსი – ბუქნი და ადგომა მარჯვენა ფეხის წინჩაკვრით. ილ. №10 და №4.



ნახ. 6



ნახ. 7

ქალები № 1–12
ერთი–ორი – გაქანება მარცხნივ. ილ. №2.
სამი–ოთხი – გაქანება მარჯვნივ. ილ. №2.
ერთი–ოთხი – ოთხი ნაბიჯი მარცხნივ სვლით.
ხუთი–ექვსი – მარცხნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
შვიდი–რვა – მარჯვნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
ერთი–ორი – ნაბიჯი მარცხნივ და მარჯვენა ფეხის მიდგმა მარცხენასთან.
ერთი–ორი – ორი ნაბიჯი მარცხნივ სვლით.
სამი–ოთხი – მარცხნივ განბიჯით წინ ჩაკვრა. ილ. №4.
ხუთი–ექვსი – თავისუფალი ფეხის მიდგმით ერგებუქნი და ადგომა მკლავების აქნევით გარეზემკლავამდე.

IV ფიგურა

ვაჟები № 1–18.
ერთი–ორი – განხტომით გაქანება მარჯვნივ. ილ. №2.
სამი–ოთხი – განხტომით გაქანება მარცხნივ. ილ. №2.
ერთი–ოთხი – ჩართულა მარჯვენა ფეხით ტაში **ორზე**. ილ. №9.
ხუთი–ექვსი – მარჯვნივ განბიჯით წინჩაკვრა. ილ. №4.
შვიდი–რვა – გასმურა. ილ. №7.
ერთი–ორი – მარჯვნივ განბიჯი, მარცხენის მიდგმა. ჩოქვა მარჯვენა მუხლზე.
სამი–ოთხი – ადგომა და ვარდნა მარჯვნივ. ილ. №20.
ხუთი–ექვსი – ღრმა მუხლდრეკი მარცხნივ. ილ. №20.



ნახ. 8

ქალები № 1–12
ერთი–ორი – გაქანება მარცხნივ. ილ. №2.
სამი–ოთხი – გაქანება მარჯვნივ. ილ. №2.
ერთი–ოთხი – ერგებუქნი მარცხნივ.
ხუთი–ექვსი – მარცხენა ფეხით ნაბიჯი უკან და მარჯვენის მარცხენასთან მიდგმა.
შვიდი–რვა – ერგებუქნი მარჯვნივ.
ერთი–ორი – ერგებუქნი და ადგომა.
ერთი–ორი – ნაბიჯი მარცხნივ და მარჯვენის მიდგმა.
სამი–ოთხი – გაქანება მარცხნივ. ილ. №2.
ხუთი–ექვსი – გაქანება მარჯვნივ. ილ. №2.

მეორე ნაწილი (აჩქარებული ფერხული)

V ფიგურა
ვაჟები № 1–18.
ერთი–ოთხი – სამი ნაბიჯი მარჯვნივ სვლით და მარცხენა ფეხის წინჩაკვრა. ილ. №4.
ხუთი–რვა – ორფა გასმურა ილ. №8.

ქალები № 1–12
ერთი–ოთხი – სამდაკვრითი მოძრაობა ადგილზე. ილ. №17.
ხუთი–რვა – სამი ნაბიჯი მარცხნივ სვლით და მარჯვენის წინჩაკვრა. ილ. №4.

VI ფიგურა

ვაჟები № 1–18.
ერთი–ოთხი – სამი ნაბიჯი მარცხნივ სვლით და მარჯვენის წინჩაკვრა. ილ.№4.
ხუთი–რვა – ორფა გასმურა ილ. №8.
ქალები № 1–12
ერთი–ოთხი – სამდაკვრითი მოძრაობა ადგილზე. ილ. №17.
ხუთი–რვა – სამი ნაბიჯი მარჯვნივ სვლით და მარცხენა ფეხის წინჩაკვრა. ილ. №4.

VII ფიგურა
განმეორდება V ფიგურა.

VIII ფიგურა
განმეორდება VI ფიგურა.

მესამე ნაწილი

IX ფიგურა

ვაჟები № 1–18.
ერთი–თორმეტი – მუხლურა სვლა ზეხტომით (სვლა მარჯვნივ). ილეთი №15.
ცამეტი – ბუქნი ილეთი №10.
თოთხმეტი – ადგომა, მარცხენის წინჩაკვრა. ილეთი №4.
თხუთმეტი–თექვსმეტი – გასმურა, ილეთი №7.

ქალები № 1–12
ერთი–თექვსმეტი – რთულა სვლა მარცხნივ. ილეთი №14.

X ფიგურა

ვაჟები № 1–18.
განმეორდება ფიგურა №7 მეორე მხარეს.

ქალები № 1–12
გამეორდება VII ფიგურა მეორე მხარეს.

XI ფიგურა

ვაჟები № 1–18.
ერთი–თექვსმეტი – ბუქნურა (მკლავებჩაკიდებული) ილეთი №11.

ქალები № 1–12
ერთი–თექვსმეტი – ოდნავ ზეხტომით ხლართულა სვლა მარცხნივ. ილეთი №12.



ნახ. 9

XII ფიგურა

ვაჟები № 1–18.
ერთი–თექვსმეტი – ზეხტომით ხლართულა სვლა მარჯვნივ. ილეთი №12.

ქალები № 1–12
ერთი–თექვსმეტი – კოშკურა ხელჩართული გედურა სვლა მარცხნივ. ილ. №17.



ნახ. 10

ფიგურა XIII



ნახ. 11

ვაჟები № 1–18.
ერთი–თორმეტი – ბუქნურა სამ-სამად მკლავჩაბმული, ერთი წრის შემოვლით სამეულის შიგ – ცენტრის გარშემო. ილ. №11.
ცამეტი–თექვსმეტი – ქალთა წრის გაჭრით მკლავებქვეშ გაძრომა და შიგა წრის შეკვრა.
ვაჟების მიერ ქალთა წრის გაცდომა და ორი წრის შეკვრა. შიგწრეში № I-6 ვაჟის მოქცევა, მეორეში – № 7-8-ის. მედოლე-მეგარმონის უკან ან გვერდზე გამოსვლა.



ნახ. 11ა

ქალები № 1–12
ერთი – რვა – სრიალა სვლით წინსვლა, კოშკურა მდგომარეობიდან წინამხრების წინ ისე დაქანება, რომ ცენტრისკენ მკლავები მთლიანად გაიმართოს. ილეთი №10.
ცხრა–თექვსმეტი – სამდაკვრითი განიერი უკუსვლა; მკლავების თანდათან გარეზემკლავში აწევა, შემდეგ განმკლავში გაშლა (მე-16 თვლაზე ხელები ჩაკიდებული). ილეთი №18.

მეოთხე ნაწილი

XIV ფიგურა

ვაჟები – № I–6 შიგწრე
ერთი – ორი – სამი ნაბიჯი მარცხნივ, მარჯვენის ჩაკვრა. ილეთი №4.
სამი – ოთხი – ორფა გასმურა. ილეთი №8.
№7–18 შიგწრის გარშემო.
ერთი – ორი – სამი ნაბიჯი მარჯვნივ, ჩაკვრა მარცხნივ. ილეთი №4.
სამი – ოთხი – ორფა გასმურა. ილეთი №8.

ქალები № 1–12
ერთი – ორი – სამდაკვრითი ადგილზე სვლა. ილეთი №17.
სამი – ოთხი – სამი ნაბიჯი მარცხნივ, მარჯვენის ჩაკვრა. ილეთი №4.

ვაჟები – № 1–6 შიგწრე
ერთი – ორი – სამი ნაბიჯი მარჯვნივ, ჩაკვრა მარცხნივ. ილეთი №4.
სამი – ოთხი – ორფა გასმურა. ილეთი №8.
№7–18 შიგწრის გარშემო.
ერთი – ორი – სამი ნაბიჯი მარცხნივ, მარჯვენის ჩაკვრა. ილეთი №4.
სამი – ოთხი – ორფა გასმურა. ილეთი №8.



ნახ. 12

ქალები – № 1–12
ერთი – ორი – სამდაკვრითი ადგილზე სვლა. ილეთი №17.
სამი – ოთხი – სამი ნაბიჯი მარჯვნივ, მარცხენის ჩაკვრა. ილეთი №4.
ეს ფიგურა განმეორდება ოთხჯერ.

XV ფიგურა


ნახ. 13

ვაჟები – № 1– 6 შიგწრე.
ერთი–ოთხი – ზეხტომ-გასმურა, მკლავები გარეზემკლავში. ილეთი №7.
№7–18 შიგწრის გარშემო.
ერთი–ოთხი – ბუქნი. მკლავები გადაბმული. ილეთი №10.

ქალები – № 1–12
ერთი–ოთხი – სამდაკვრითი ორი ბრუნი ადგილზე. ბაღდადები მარცხენა ხელში.

XVI ფიგურა

ვაჟები – № 1–6 – შიგწრე.
ერთი–ოთხი – ბუქნი. მკლავები გადაბმული. ილეთი №10.
№7–18 შიგწრის გარშემო.
ერთი–ოთხი – ზეხტომგასმურა, მკლავები გარეზემკლავში. ილეთი №7.

ქალები – № 1–12
ერთი–ოთხი – წნული გავლა ვაჟთა მეორე წრესთან.


ნახ. 14

XVII და XVIII ფიგურა

ვაჟები – № 1–6 – შიგწრე.
ერთი–ოთხი – ზეხტომგასმურა, მკლავები გარეზემკლავში. ილეთი №7.
ბუქნი. მკლავები გადაბმული. ილეთი №10.
№7–18 შიგწრის გარშემო.
ერთი–ოთხი – ბუქნი. მკლავები – გადაბმული. ილეთი №10.
ხუთი–რვა – ზეხტომგასმურა, მკლავები – გარეზემკლავი. ილეთი №7.



ნახ. 15

ქალები – № 1–12
ერთი – რვა – ფერხულის გახსნა რკალგვარად. გადაბმა, გარდა № 1, 6, 7-ის და 12-ისა.

XIX ფიგურა



ნახ. 16

ვაჟები – № 1–6 – შიგწრე.
ერთი–რვა – ბუქნი. მკლავები – გადაბმული. ილეთი №10. №7–18 შიგწრის გარშემო
ერთი–რვა – ფერხულის გახსნა რკალგვარად, ხელების გაშვება და ვაჟების ქალების უკან გადასვლა ან გვერდზე მიდგომა.

ქალები – № 1–12
ერთი–რვა – ტაში.



ნახ. 17

ფიგურა XX

ვაჟები – № 1–6 შიგწრე
ერთი–ექვსი – ზეხტომგასმურა, მკლავები – გარეზემკლავი. ილეთი №7.
შვიდი–რვა – ბრუნი მარცხნივ, მკლავები – ქვეგანმკლავი. ვაჟთა ჯგუფი №7–18 და ქალთა ჯგუფი №1–12 ტაშს უკრავს.
შემდეგ ვაჟთა შიგაწრის რკალგვარად გახსნა.



ნახ. 18

ფერხულის დამთავრებისთანავე სრულდება ინდივიდუალური ან მასობრივი *განდაგან,* ან სხვა ცეკვა. იმ შემთხვევაში, თუ ფერხულის დამთავრების შემდეგ სხვა ცეკვა არ სრულდება, მოცეკვავენი შემდეგნაირად გადიან სცენიდან: ქალები – ხლართულა სვლით – მკლავებგადაბმული, ვაჟები – ფაცაკუკუს ბუქნით.

მხედრული[1]

მხედრული, საბრძოლო სახის ცეკვა იმ დროსაა წარმოშობილი, როცა ქართველი ხალხი გმირულად ებრძოდა დამპყრობლებს დამოუკიდებლობისა და ღირსების შენარჩუნებისათვის. მშვიდობიან წლებში ქართველობა ვაჟკაცურ-მხედრულ ცეკვებში აწრთობდა ფიზიკურ ძალას, სულსა და საბრძოლო ჩვევებს.

ცეკვა *მხედრული* სრულდება ცალად, წყვილად, ჯგუფურად და მასობრივად. ცალად შესრულებისას მოცეკვავე იარაღს არ ხმარობს. მთასა და ბარში არსებული ილეთების ერთმანეთთან ლამაზად შერწყმით, გაბედული ხტომით, სწრაფი ბრუნით, მკლავების სხვადასხვა მოძრაობით, ცალად ცეკვის ესა თუ ის ვარიანტი მაყურებლისათვის გასაგებია. ჯგუფურ და მასობრივ ცეკვაში იარაღი (ხმალი, მშვილდ-ისარი, ფარი) გამოიყენება.

ცეკვა მხედრული მეგობრული განწყობით უნდა იწყებოდეს და ასევე მთავრდებოდეს.

ცეკვა მხედრულის ძირითადი ილეთები (მიუთითებელია – რედ.).

ცეკვა მხედრულის ტრადიციული წესები:

- მხედრულში მონაწილეობენ მხოლოდ ვაჟები.
- ერთი ვაჟის შესრულებით იარაღი არ იხმარება.
- წყვილურ, ჯგუფურ და მასობრივ ცეკვაში გამოიყენება ხმალი, მშვილდ-ისარი, ფარი, სატევარი, ხანჯალი.
- ჯგუფურ და მასობრივ ცეკვებში წინამძღოლის განკარგულებით იცვლება ილეთები.
- მხედრულს (წყვილურს, ჯგუფურს და მასობრივს) გამოცდილი მოცეკვავეები ასრულებენ.
- ცეკვა მხედრულის შესრულებისას აუცილებელია მეგობრული განწყობა.

ნაბდურა

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში დადგმული ვარიანტი 1958 წ.

ცხრა მხედარი მთიდან შინისკენ მიეშურება. მათ დიდი გზა გაიარეს, მაგრამ სახლამდე ჯერ კიდევ შორია. მთის ბილიკით მწვანე მინდორზე დაეშვნენ. შემოაღამდათ კიდეც. საბანაკოდ მოემზადნენ, კოცონი დაანთეს და გარს შემოუსხდნენ. დანაყრდნენ, ნალებზე წამოწვნენ და ნაბდების კალთები ამოიკეცეს. ერთი მათგანი გუშაგია. მან უბიდან სალამური ამოაცურა, სალამურის ტუჩს მიუალერსა და ჩააკვნესა. უსმენენ მხედარნი სალამურის საამურ ჰანგებს, შემდეგ ტკბილი მღერით აჰყვებიან *წინწყაროს* მელოდიას. სიმღერა თანდათან მინელდა. სძინავთ, მაგრამ ძილშიც კი მიჯნურზე ოცნებობენ და... ღამის წყვდიადში გამოჩნდა მიჯნური, მიუახლოვდა, ალერსით ხელები მისკენ გაშალა, თითქოს ეუბნება, გულში ჩამიკარიო. ქალის მანდილი ცეცხლის ალივით ბრიალებს, ფრიალით მის სახეს შემოევლება და გაიტაცებს. რიჟრაჟმაც მოაღწია. მხნედ წამოიშალნენ მხედარნი და გზას დაადგნენ...

სოფლის განაპირას ლხინი და თამაშია გაჩაღებული. მხედარნი, კვლავ გასამგზავრებლად გამზადებულნი, მიჯნურებს ეთხოვებიან. ფარული ცრემლი – ძნელია განშორება, მაგრამ მოვალეობა მთავარია. ვაჟები შინისკენ მიმავალ ქალებს ბილიკად ყვავილებს ფეხქვეშ უფენენ.

მხედარნი დიდხანს გაჰყურებენ მიჯნურთა ნაკვალევს, შემდეგ წინამძღოლის ძახილზე მარდად წამოიშლებიან და მთებისკენ გაემართებიან.

---

1 ცეკვა *მხედრულის* (ერთი ვაჟის შესრულებით) სქემატური აღწერა, პირობითი ნიშნები და მუსიკალური მასალა იხ. *ქართული ცეკვის ჩასაწერი პირობითი ნიშნები, გვ. 108-113.*

აზრი: ქალისადმი რაინდული დამოკიდებულება, დარბაისლობა, თავდაჭერილობა, უმანკო სიყვარული, მოვალეობის გრძნობა, საქმისადმი ერთგულება.

ნაბდურა რვანაწილიანია:

I – მწყემსების გამოსვლა.
II – ვაჟთა ძილი.
III – ვაჟთა სიზმარი.
IV – მწყემსების გასვლა.
V – მწყემსების შემოსვლა, ქალების გამოჩენა.
VI – ლხინი.
VII – ქალების წასვლა და მწყემსთა გაცილება.
VIII – მწყემსების წასვლა.

დადგმაში მონაწილეობს ათი ქალი და ცხრა ვაჟი.

I – 9 ვაჟის გამოსვლა.
II – სტვირის დაკვრა.
III – ძილი და სიზმარი.
IV – ვაჟების წასვლა.
V – ქალ-ვაჟების გამოსვლა.
VI – ქალების ცეკვა.
VII – ვაჟების ცეკვა.
VIII – საერთო კოდა (მონაწილეთა ერთობლივი ცეკვა).
IX – ქალებისა და ვაჟების წასვლა.

მუსიკალური მასალა

- მგზავრული (დასაწყისში.)
- სალამურზე *მწყემსური.*
- სიზმარი – გუნდი *წინწყარო* და შემდეგ *მოხეური.*
- *მთიულური* (სხვადასხვა).
- ფინალური აკორდი... თანდათანობით სიჩუმე.

სინათლე

- მზის ჩასვლა.
- შეღამება.
- ღამე.
- განთიადი.
- ძლიერი სინათლე (ქალების გამოჩენა).
- ქალების გასვლისას სინათლე თანდათანობით ქრება. დიაგონალური განლაგება – ნაბდების ალაგებიდან ან რვა ტაქტით ადრე.

რეკვიზიტები

- ელექტროფარნები.
- წითელი ხელმანდილი ან ბაღდადი.
- სალამური.

ნაბდურა

1 	16 ს.
2 	8 ს.
3  	1,3, 5,7,9 8 ს. 2,4, 6,8 8 ს.
4  	1-9 8 ს. 2-8 8 ს.

5  	16 ს. და  .
6  	8 ს. და . 4 ს. . 8 ს.
7  	4 ს. . ხელები ნაბდებზე. 4 ს. . დასხდომა. N8 და
8  	*გუნდი მღერის წინწყარო ჩამოვიარე,* სალამურიო... 8 დაიძინებს ბოლოს.

9



16 ს.

24 ს.

10



8 ს. 4-ჯერ

და გასვლა.

გაღვიძება. ნაბდების მოსხმა,
წინ წასვლა ცეცხლის ჩასაქრობად.

11



4 ს. და

შემდეგ 4 ს. და

12



8 ს.

13

მაყ. მალულად შემოსვლა.

16 ს.

14



8 ს.

8 ს.

8 ს.

გაშლიან ქვევით.

8 ს.

8 ს.

15



16 ს.

ტაში.

16



8 ს.

ნაბდების მოხდა და წინ გაშლილად დადება.

17



8 ს. კოშკურა

გაშლა და

ვაჟებისაკენ სვლა.

8 ს. ვაჟების დაცდა.
ცალ მუხლზე დგომით წამოწევა.

18



8 ს.

და

ბოლო თვლაზე.

19



16 ს.

20



1-9

12 ს.

1-9 და

ტაში.

21



12 ს.

22



2,3,
4,5,6,
7,8

1-9

ცეკვა

23



8 ს. ბოლო თვლაზე (7 და 8)

2,3,
4,5,6,
7,8
8 ს. ტაში.

1-9 8 ს.

ტაში.

24



6 ს.

2 ს. და ვაფებისაკენ სვლა

1-9 8 ს.

25



16 ს.

8 ს. და ტაში.

8 ს. ნაბდების აღება და წამოსხმა.

26



8 ს.

8 ს.

8 ს.

8 ს.

27



16 ს.

4 ს. შიგნით-წინ გადასვლა

12 ს.

28



8 ს.

მწკრივად მოწყობა

29



16 ს.

16 ს.

30



ვაჟების გავლა და

შემდეგ

2 ს.

31



8 ს. გახსნა.

4 ს.

4 ს.

32



16 ს.

ნაბდების მოხდა და დადება.

33



16 ს. . თავთავიანთ ვაჟთან მიახლოება გადაშლა ქვევით, შემდეგ

16 ს. უბიდან ვარდების ამოღება და ქალების წინ დაფენა.

34



1-9 . ნაბდების მოსხმა

მეგობრობა

1



8 ს.

8 ს.

8 ს.

8 ს.

2

8 ს. და .

8-ზე

3



8 ს. და .

4 ს. და -გამეორება.

4 ს. .

1-2 8 ს. .

4 ს. . =ასრ. მეორე მხარეს

4ს. . =ასრ. მეორე მხარეს

2 ასრულებს იმავეს მეორე მხარეს.

4

2 ს. ჩაკ.

6 ს. ჩაკ.

1 6 ს. ჩაკ.

2 ს. N1 და N2 მარცხენა და მარჯვენა ხელის გახსნა.

. 1 .

5  	
6  	
7  	
8  	

9 	❩ თ.თ. ❭1 იგივე ფეხით ❭2 მეორე მხარეს იმავეს შესრულება, რასაც N1
10 	❩ 1 წ. ❭1 1 წ. ❭2 მეორე მხარეს იმავეს შესრულება, რასაც N1
11 	❩ და ❭1 2 ს. და განმეორება 3-ჯერ ❭2 მეორე მხარეს იმავეს შესრულება, რასაც N1
12 	2 და ❩ 2 და ❭1 განმეორება 2-ჯერ ❭2 მხოლოდ ბოლო

13  	
14  	
15 	

წყვილური ცეკვა განდაგანა

განდაგანა აჭარული ცეკვაა. წინათ განდაგანს ეწოდებოდა *ყოლსამა* და *ქურთბარი*. ასრულებდნენ ვაჟები. შემდეგში ეს ორი ცეკვა გადაკეთდა, ახალი ილეთები დაემატა და გახდა *განდაგანა*. საქართველოს გასაბჭოებიდან ცეკვაში ქალიც მონაწილეობს. წყვილურ ცეკვა *განდაგანს* ქალ-ვაჟი იწყებს ერთად. ვაჟი ქალს ეტრფის, რასაც გამოხატავს ცეკვით, ასრულებს გასმურას, მუხლგაქნევს, ხან მიდგმითი სვლით მიემართება, ხან მუხლურით მისრიალებს, ბრუნავს და სხვა. ქალი ხან ვაჟს გაებუტება, ხან მიესალმება და სხვ.

განდაგანს ქალ-ვაჟი ერთდროულად ამთავრებს.

დადგმა, ილეთები, ჩანაწერები

ცეკვაში მონაწილეობს რვა ქალი და რვა ვაჟი და შემდეგნაირად სრულდება:

ოთხი ვაჟი სხვადასხვა ილეთს ასრულებს, შემდეგ მიდის ოთხ სხვა ვაჟთან და იწვევს შეჯიბრებაში. ის ოთხი ვაჟი დაეთანხმება და ერთმანეთს ეჯიბრებიან. ცეკვის დამთავრების შემდეგ ოთხ-ოთხი ვაჟი ჩამოსხდება შუაში – წყლის პირას. ამ დროს ორივე მხრიდან, – მარჯვნიდან ოთხი და მარცხნიდან ოთხი, – ქალი გამოდის. ისინი ჩამოუვლიან (შეერთებულად) ვაჟებს. ვაჟები წამოდგებიან და თანდათან იწყებენ ქალებთან ცეკვას. ქალ-ვაჟთა ილეთების შესრულების შემდეგ ქალი – წამძღოლი – ცეკვავს. ამ დროს გამოდის ორი ვაჟი და სთხოვს ქალს, ჩემთან იცეკვეო. ქალი ორივესთან ცეკვავს, შემდეგ მიდის მოცეკვავეებთან, წამოიყვანს ცენტრში და ორ ვაჟთან გააგრძელებს ცეკვას. შემსრულებლები ტაშს უკრავენ.

განდაგანას ძირითადი ილეთები[1]

1. მიდგმითი სვლა გვერდზე.
2. მიდგმითი სვლა წინ.
3. მიდგმითი სირბილი.
4. გასმურა.
5. ბრუნი გასმურათი.
6. ბრუნი შეხტომით და ფეხმიდგმით.
7. მუხლებმოკეცილი წინსვლა ფეხმოქნევით.
8. ცალფეხმოქნევით წინ, გაწზე, უკან, ადგილზე.
9. მუხლის მოქნევა ცალფეხით.
10. ჭდომწინსვლა.
11. მუხლურა (წინსვლით, ადგილზე).
12. მუხლურა წინზნექით.
13. მკლავების მოძრაობა ჩაგრეხით.
14. მკლავების მოძრაობა ქვეწინმკლავჭდომიდან განმკლავამდე.
15. მხარსართავები.
16. წინსვლა მუხლურათი. ხელების უკან, განზე ჩაგრეხით გატანა უკუმკლავამდე.

1 განდაგანას ძირითადი ილეთების აღწერა დავით ჯავრიშვილის არქივში არ აღმოჩნდა

სვლა

- ჩვეულებრივი სვლა.
- რბილი სვლა.
- ერგცერებზე სვლა.
- ერგცერებზე სვლა სრიალით.
- ერგცერებზე სვლა და ერგცერებზე სვლა სრიალით.
- რბენა, მკლავები განზე.

I ნაწილი

- შესავალი, ძელთან ვარჯიში
- ბუქნი (2 ქვევით, 2 ზევით) – 8-ჯერ.
- ბუქნი (4 ქვევით, 4 ზევით) – 8-ჯერ.
- ბუქნი (8 ქვევით, 8 ზევით) – 2-ჯერ.
- ბუქნი ცალი ფეხის წინ გატანით – 2-ჯერ.
- გასმურას მოსამზადებელი ვარჯიში – 16-ჯერ.
- ფეხი წინ, განზე, უკან, მიდგმა.
- სახით ძელისკენ, ფეხის უკან – შიგნით გატანა, ზნექი გატანილი ფეხის მხარეზე.
- იგივე – ფეხი ჰაერში.
- ბუქნი, მუხლები გახსნილ მდგომარეობაში.
- ზეხტომი, ფეხები ერთად.

ზოგადმოსამზადებელი – II ნაწილი

- მკლავების მოძრაობა ჩაგრეხით.
- მკლავების მოძრაობა ჩაგრეხით და ზნექით.
- მკლავების მოძრაობა წინ ჭდომილად და განმკლავი.
- მკლავების მოძრაობა წინ და უკან.
- ზეტანის მოძრაობა – წინზნექი, უკუზნექი, დოინჯი.
- ზეტანის მოძრაობა განზნექი მარჯვნივ და მარცხნივ, ხელები – განმკლავი.
- ზეტანის ბრუნება, ხელები – განმკლავი.
- ზეტანის ტრიალი, ხელები – ზევით.
- ზეტანის მოძრაობა 9=5 და 6.
- ზეტანის ტრიალი და ზეტანის ბრუნება.

ძირითადი – III ნაწილი

- დოინჯი, მიდგმითი სვლა მარჯვნივ.
- დოინჯი, მიდგმითი სვლა მარცხნივ.
- ხელების ჩაგრეხა, მიდგმითი სვლა – 8 მარჯვნივ და 8 მარცხნივ.
- ხელების ჩაგრეხა, მიდგმითი სვლა – 8 წინ, 8 განზე და 8 უკან.
- ზნექით სვლა, ხელების ჩაგრეხა სხვადასხვა მხარეს.
- ხელების ჩაგრეხა, ფეხის ჩადგმა წინ – შიგნით და მიდგმით სვლა.
- დოინჯი, გასმურა.
- დოინჯი, გასმურა და ფეხჩადგმა, შემდეგ ისევ გასმურა და ისევ ფეხჩადგმა.

• ხელების ჩაგრეხა, გასმურა.
• ხელების ჩაგრეხა, გასმურა ბრუნვით.
• ხელების ჩაგრეხა, გასმურა და ფეხმუხლის გაღება.
• მუხლურა სვლა, ხელები უკან.
• მუხლურა სვლა, ხელების ჩაგრეხა.
• ზეხტომით ბრუნი მარჯვნივ.
• ზეხტომით ბრუნი მარცხნივ.
• მიდგმით სვლა და შემდეგ ხლართულა სვლით ფეხის გადატანა.

დამატებითი IV ნაწილი – უფრო ჩქარი ტემპი

• ნაერთი: მიდგმითი სვლა და გასმურა.
• ნაერთი: მიდგმითი სვლა და ფეხის ჩადგმა წინ – შიგნით.
• ნაერთი: გასმურა ბრუნვით და ფეხმიდგმით სვლა.
• ნაერთი: ზეხტომბრუნი ფეხმიდგმით და ფეხმიდგმით სვლა.
• ნაერთი: ზეხტომბრუნი ფეხმიდგმით და ფეხის ჩადგმა წინ – შიგნით.
• ნაერთი: მუხლურა სვლა და გასმურა, ხელები სხვადასხვანაირად.
• ნაერთი: ზეხტომბრუნი ფეხმიდგმით, მიდგმით სვლა და ზეხტომბრუნი.

დამამშვიდებელი V ნაწილი

• დოინჯი: მიდგმითი სვლა 16-ჯერ მარჯვნივ და 16-ჯერ მარცხნივ.
• ჩვეულებრივი სვლა მკლავების მოძრაობით. 4 ზემკლავი – შესუნთქვა, 4 განმკლავ-მიმაკლავი – ამოსუნთქვა.
• *განდაგანას* სიმღერაზე სიარული.
• შენიშვნები გაკვეთილის შემდეგ.

განდაგანა

(მასობრივი)

1  	1-4 16 სათ. 5-8 16 სათ.
2  	1-4 7 სათ. 1 სათ. 5-8 7 სათ. 1 სათ.
3  	1-4 1 სათ. 15 სათ. ტაში 5-8 1 სათ. 15 სათ.

4  	1-4 16 სათ. ⵖⵖ ⵣ . ⵀ ⵓ . ⵔ ⵀ 5-8 16 სათ. ⵟ ⵄ ⵡ . ⵣ ⵣ
5  	1-4 16 სათ. ტაში 5-8 16 სათ. ⵎ . ⵀ ⵓ . ⵔ ⵀ
6  	1-4 16 სათ. ⵟ ⵄ ⵡ . ⵣ ⵣ 5-8 16 სათ. ⵖⵖ ⵣ . ⵀ ⵓ . ⵔ ⵀ
7  	1-4 14 სათ. ⵖⵖ . ⵔ ⵓ 2 სათ. ⵛ ⵔ . ⵊ . ⵔ ⵓ 5-8 14 სათ. ⵖⵖ . ⵔ ⵓ 2 სათ. ⵊ . ტაში

8



1-4 16 სათ.

1-4 16 სათ. ტაში

5-8 16 სათ.

5-8 16 სათ. ტაში

9



1-4 8 სათ.

1-4 6 სათ. ტაში

2 სათ. ტაში

5-8 8 სათ.

5-8 6 სათ. ტაში

2 სათ. ტაში

10



1-4 8 სათ.

1-4 8 სათ.

5-8 8 სათ.

5-8 8 სათ.

11



1-8 8 სათ.

1-8 8 სათ.

12



1-8 2 სათ.

13



1-8 32 სათ.

1-8 24 სათ. ტაში

8 სათ. ჩვეულებრივი ნაბიჯი წრეზე.

14



1-8 8 სათ.

1-8 8 სათ.

15



1-8 8 სათ.

1-8 8 სათ.

16



1-8 16 სათ.

1-8 16 სათ.

17



1-8 16 სათ.

ტაში

1-8 16 სათ.

9-12 16 სათ.

18



1-8 16 სათ.

ტაში

1-8 16 სათ.

9-12 16 სათ.

19



1-8 16 სათ.

ტაში

1-8 16 სათ.

1-8 16 სათ.

20



1-8 16 სათ.

ტაში

1-8 16 სათ.

9-12 8 სათ. ტაში

13 4 სათ. ყოვნა

4 სათ.

21



1-8

1-8 16 სათ. ტაში

9-12

13 8 სათ.

8 სათ.

22



1-8

1-8 16 სათ.ტაში
საფინალოდ მოწყობა

9-12

13 16 სათ.

23



14 სათ.

2 სათ.

1 სათ.

14 სათ.

2 სათ.

1 სათ.

მთიულური

ოთხი ქალის შესრულებით

1  	8 ს. 6 ს. 2ს.
2  	2 ს. 2 ს. 4 ს. და 6 ს. და 2 ს. -ზე
3 	12 ს. და 4 ს.

4

6 ს.

2 ს.

5



1,4 6 ს.

2 ს.

2 8 ს.

3 8 ს.

6

2,3 8 ს.

1 8 ს. (4ზე) გად. ქ დ.

თ.

4 8 ს. N 1ვარჯიში
მხოლოდ მეორე მხარეს.

7



1 8 ს.

8 ს.

8 ს.

4 8 ს. იმავეს, რასაც N 1
მხოლოდ მეორე მხარეს.

2 16 ს. ტაში

8 ს.

3 16 ს. ტაში

8



1) 8 ს.
8 ს.
4) 8 ს.
8 ს.
2) 8 ს. ტაში
8 ს. x2-ჯერ
3) 8 ს. ტაში
8 ს.

9



1.2) 8 ს. გად. 2.
3.4) 8 ს. იგივე მეორე მხარეს

10



1.2) 4 ს.
4 ს.
6 ს.
2 ს.
3.4) 16 ს. იგივე მეორე მხარეს.

11



2) 8 ს.
3) 8 ს. იგივე მეორე მხარეს
1) 8 ს.
4) 8 ს. იმავეს რასაც N1 მეორე მხარეს.

12 	2,1, 3,4 6 ს. 2 ს.
13  	2. 3 8 ს. 1. 4 N 2,3 – მეორე მხარეს.
14  	2 ს. 2 ს. 2 ს. 2 ს. x2-ჯერ
15 	2. 1 8 ს. 1/4 თ.თ. 3. 4 8 ს. 1/4 თ.თ.

მოხეური

ორი ვაჟის შესრულებით

1

1 4 ს.
2 ს.
2 ს.
2 ს.
2 ს.
4 ს.
2 16 ს. იგივე მეორე მხარეს.

2



1 2 ს. } x 2-ჯერ
2 ს. }
8 ს.
8 ს.
7 ს.
1 ს.
2 36 ს. იგივე მეორე მხარეს.

3



1 7 ს.
1 ს.
8 ს. და
6 ს. x 3-ჯერ
2 ს.
4 ს.
2 16 ს. იგივე მეორე მხარეს.

4



1 4ს. 2 . . . x2-ჯერ
2 ს. 3 . .
2 ს. 3 . .
4 ს. 2 . . . x2-ჯერ
2 ს. 3 . .
2 ს. 3 . .

2 16 ს. იგივე მეორე მხარეს.

5



1 2 ს. 2 . . H
2 ს. 2 . . H
2 ს. 2 . . H
2 ს. 2 . . H

2 8 ს. იგივე.

6



1 8 ს. . H . .

2 8 ს. . H . .

მოხეური

ოთხი ვაჟის შესრულებით

1 	
2 	
3 	

4



4 ს.

2 ს.

2 ს.

გამეორება 2-ჯერ

5



4 ს.

4 ს.

4 ს.

4 ს.

6



1 4 ს.

2 ს.

2 ს. შემდეგ

8 ს.

2 16 ს. იგივე მეორე მხარეს.

3 8 ს.

8 ს.

4 16 ს. იმავეს, რასაც N3, მხოლოდ მეორე მხარეს

მოხეური

ოთხი წყვილის შესრულებით

1 	1-4 4 ს. 4 ს. 2 და 2 და
2 	1-4 2 ს. და 6 ს.
3 	1-4 6 ს. 2 ს. 8 ს.
4 	1-2 4 ს. 8 ს. 1/4 და 4 ს. 1/4 და 1/4 3-4 იმავეს, რასაც N 1,2, მხოლოდ მეორე მხარეს

5



1-2 8 ს. 2-ჯერ.

3-4 8 ს. 2-ჯერ.

1-4 4 ს.

4 ს. ტაში

6



1-2 8 ს. 1/4 და

3-4 8 ს. 1/4 და

1-4 4 ს.

4 ს. ტაში

6ა



4 ს.

4 ს.

1-4 8 ს.

7



1-4

1-4 2 ს.

2 ს.

2 ს.

2 ს.

8 	1-4 2 ს. 2 ს. 4 ს. განმეორება. 1-4 4 ს. 4 ს.
9 	1-4 4 ს. 4 ს. თ.თ. 1-4 8 ს. შემდეგ ტაში
10 	1-4 2 ს. 2 ს. 4 ს. თ.თ. 1-4 4 ს. 4 ს.
11 	1-4 7 ს. 1 ს. 1-4 8 ს.

12


2
1
4
3


1-4
2 ს.
2 ს.
2 ს.
2 ს.
1-4
2 ს.
2 ს.
2 ს.
2 ს.

13


2
1
4
3


1-4
4 ს.
X 2.
3 ს.
X 1.
1 ს.
1-4
4 ს.
3 ს.
იმავეს, რასაც ქალები
1 ს.
და

14


2
1
4
3


1,2,4
1,2,4
ტაში
3
8 ს.
8 ს.
8 ს.
3
8 ს.
8 ს.
8 ს.
თ.თ.

15 	1,2,3 8 ს. 7 ს. 1 ს. 1,2,3 15 ს. 1 ს. 4 8 ს. 8 ს. 4 8 ს. თ.თ. 8 ს.
16 	1,2,3 1,2,3 ჯამი 4 7 ს. 1 ს. 4 7 ს. 1 ს.
17 	1-4 8 ს. 1-4 8 ს. თ.თ.

18 	1-4 4 ს. 3 ს. 1 ს. 1-4 4 ს. 3 ს. 1 ს. მკ. შუა.
19 	1-4 1-4
20 	1,2 8 ს. 3,4 8 ს. 3,4 8 ს. 1,2 8 ს.
21 	1,2 3,4 8 ს. ტაში 3,4 2 ს. 2 ს. 4 ს. და 1,2 იგივე, რასაც N 3,4, მხოლოდ მეორე მხარეს

22  	1,2 6 ს. 2 ს. 3,4 იმავეს, რასაც N 1,2, მხოლოდ მეორე მხარეს 3,4 7 ს. 1 ს. 1,2 იმავეს, რასაც N 3,4, მხოლოდ მეორე მხარეს
23  	1-4 8 ს. 1-4 8 ს.
24  	1-4 მარჯვენა კულისში გასვლა 1-4 მარცხენა კულისში გასვლა

მწყემსური

1  	1,2,3> 8 ს.  4,5,6> იმავეს, რასაც N 1,2,3.
2  	1,2,3> 8 ს.  4 ს. 4 ს. გამეორება. 4,5,6> იმავეს, რასაც N 1,2,3.
3  	1,2,3> 8 ს.  4,5,6> იმავეს, რასაც N 1,2,3.
4  	1,2,3> 8 ს.  8 ს. ტაში 4,5,6> 8 ს. იმავეს, რასაც N 1,2,3, მხოლოდ მეორე მხარეს. 8 ს. ტაში 7,8,9> 8 ს.  6 ს.  2 ს.  10, 11,12> 8 ს. 6 ს.  2 ს.

5  	1,2,3 8 ს. 4,5,6 8 ს. იმავეს, რასაც N 1,2,3 მხოლოდ მეორე მხარეს. 7,8,9 8 ს. 10, 11,12 8 ს. იმავეს,რასაც N 7,8,9 მხოლოდ მეორე მხარეს.
6  	1,2,3 8 ს. ტაში 4,5,6 8 ს. ტაში 7,8,9 8 ს. და 10, 11,12
7  	8 ს. 8 ს. და
8  	8 ს.

9  	8 ს.
10 	1-12 4 ს. 8-2
11  	8 ს. 1-12 8-6 11-2
12  	4 ს. 1,6, 12,11 4-8 2-3 9,7, 5.10 ადგილზე ტაში

13  	1,6, 12,11 . ხ.რ.ზ 4-8 . ხ.რ.ზ 2-3 . ხ.რ.ზ 9,7, 5,10 . . . .
14  	8 ს. 9,7, 5,10 . . 8,1, 4,6 12,2, 11,3 . . ხ.რ.ზ
15 	16 ს. სცენიდან გასვლა. N 6,4,1,8, 7,5 → N 11,9,12,2, 9,10 →

ოტლარჩოპა

1  	18 ს. 18 ს.
2  	18 ს. 18 ს.
3  	18 ს. 18 ს.

4  	18 ს. 18 ს.
5 	1,2 18 ს. 3,4 18 ს. 3,4 18 ს. 1,2 18 ს.
6  	1,2 18 ს. 3,4 18 ს. 3,4 18 ს. 1,2 18 ს.
7  	2 6 ს. 3 6 ს. 4 6 ს. 1 6 ს. 3 2 6 ს. 2 1 4 6 ს. გამეორება სამჯერ.

8 	
9 	
10 	
11 	

12



4-3 6 ს. . მკლ. რ. ზევით

6 ს. . მკლ. რ. ზევით

1-2 6 ს. . მკლ. რ. ზევით

13



. მკლ. ზევით
. რხევით გასვლა

სალხინო

1 	1-8 16 ს. 1-8 16 ს.
2 	1-8 8 ს. გამეორება 1-8 8 ს. გამეორება
3 	1-8 24 ს.  ბ.N5 წერტამდე მისვლა 1-8 24 ს.  ბ.N5 წერტამდე მისვლა
4 	1-8 16 ს.  ც-ს გადაცდომა და •ı მოხვევა აქ  1-8 16ს. ı· მოხვევა

5



1-8 16 ს.

1-8 16 ს.

4 16 ს.

1-8
1-8

6



1-8 2 ს.

1-8 2 ს.

ერთი მეორეში გავლა

1.

7



1-4 16 ს.

ჭკულმა

5-8 16 ს.

ჭკულმა

1-4 16 ს.

5-8 16 ს.

8



1-8 8 ს.

1-4 8 ს.

5-8 8 ს.

9



1-8 8 ს.

1-8 2 ს.

2 ს.

და

განმეორება

10



1-8

1-4

5-8

11



1-8 7 ს.

1 ს.

1-8 8 ს.

12



1-8 16 ს.

1-8 16 ს.

13



1-8 8 ს.

1-8 ნახევარრკალზე გაშლა

14



1-8 16 ს. ტაში

1-4 16 ს.

5-8 16 ს. იმავეს, რასაც N 1-4, მეორე მხარეს

15



1-8 16 ს. ტაში

1-8 8 ს.

8 ს. და

და ხანჯ.

15ა



1-8 ასე -ით

16



16 ს. ტაში

1-4 16 ს.

5-8 16 ს.

17



3 8 ს.

8 ს.

6 8 ს.

8 ს.

16 ს. ტაში

18



3 8 ს.

8 ს.

6 8 ს.

8 ს.

16 ს. ტაში

16 ს. ჩაბმ.

19



1-4 16 ს. და

5-8 16 ს. და

1-4 16 ს. და

5-8 16 ს. და

20



1-4

1-4 სცენიდან გასვლა

5-8

5-8 სცენიდან გასვლა

სამაია

თორმეტი ქალის შესრულებით

1  	1-6 16 ს. 7-12 16 ს.
2  	1-6 8 ს. 8 ს. 7-12 იგივე, მეორე მხარეს.
3  	9,10, 3,4 8 ს. 8,5, 11,2 8 ს. 7,1, 12,6 8 ს. იმავეს, რასაც N 9,10,3,4.

4



8,5, 11,2 8 ს.

7,1, 12,6 9,10, 3,4 8 ს. ტაში

5



9,10, 3,4 8 ს. და ჩაკიდ.

7,8, 2,1 8 ს. -დან და

6,5, 11,12

6



9,10, 3,4 1-6 ს. და

7-8 ს.

6,5, 11,12 7,8, 2,1 1-6 ს.

7-8 ს. N 7,8,2,1 . ხოლო

N 4,10 2 ნაბიჯით წინ 2

და ბრუნვა .

7



14 ს. ჩაკიდ. და

15-16 ს.

9,10, 3,4 და ჩაკიდ.

1,2, 8,7, 6,5, 11,12 გაშლიან და ჩაკიდ.

8



1,2, 8,7, 6,5, 11,12 — 8 ს. ტაში

9,10, 3,4 — 8 ს.

9



9,10, 3,4 — 2 ს.

1,2, 8,7, 6,5, 11,12 — 6 ს. და

სხეულის გაქანება მარჯვნივ და მარცხნივ.

10



2,7,9, 10,12 — 2 ს. ჩაკიდ.

6 ს.

1,3,8, 6,4,11 — 2 ს. ჩაკიდ.

6 ს. -ით და

11



2,7, 9,5, 10,12 — 8 ს.

1,3, 8,6, 4,11 — 8 ს. და

7-8 ს. N1-ის წრეში შესვლა.

12





13







N2,3 % ამ დროს N2-ის შემოსვლა, გარეთ N1% მაყურებელისაკენ.

14



გუნდობი (გუნდებად).

15





სამაია

ცხრა ქალის შესრულებით

<table>
<tr>
<td>1
  </td>
<td>  </td>
</tr>
<tr>
<td>2
  </td>
<td>  </td>
</tr>
<tr>
<td>3
  </td>
<td>  </td>
</tr>
<tr>
<td>4
  </td>
<td>  </td>
</tr>
</table>

5  	2,9,7 2 ს. ყოვნა 2 ს. ყოვნა 2 ს. ყოვნა 2 ს. ყოვნა 2 ს. ყოვნა 1,4,6 2 ს. ყოვნა 2 ს. ყოვნა 2 ს. ყოვნა 2 ს. ყოვნა 2 ს. ყოვნა 3,5,8 16 ს. იმავეს, რასაც 1,4,6 მეორე მხარეს
6  	8 ს. 8 ს.
7 	4 2 ს. ჩაკიდებს №9-ს მარჯვენა ხელს, ყოვნა, 9 2 ს. 2 ს. ყოვნა, 2 ს. ყოვნა, 1,6 4 ს. 4 ს. თ.თ. 3,8 8 ს. იმავეს, რასაც 1,6 მეორე მხარეს 2 ს. 2,7 2 ს. 2 ს.
8  	2,7 2 ს. 2 და 4 ს. 2 ს. 1,3 2 ს. 4 ს. 2 ს. 9, 4,5, 6,8 როგორც 1,3

9  	12 ს. მწკრივი 4 ს.
10  	2,4,1,3 2 ს. 2 ს. 2 ს. 2 ს. 7,5,8,6 8 ს. იმავეს მეორე მხარეს. 9 8 ს.
11  	2 ს. და 6 ს. 9 8 ს. თ.თ.
12  	8 ს. თ.თ. 9 8 ს.

13



4 ს.

4 ს.

9 8 ს.

14



4 ს.

4 ს. თ.თ.

9 2 ს.

2 ს.

2 ს.

2 ს.

15



9 2 ს. . 2 ს. ყოვნა, 2 ს. . 2 ს. ყოვნა

3 4 ს. . 2 ს. . 2 ს. . 2 ს. ყოვნა

6 8 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 3

1 4 ს.

4 ს. თ.თ.

4 8 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 1

2 2 ს.

7 8 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 2

5,8 8 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 1 და 4

16



1,2,4 8 ს.

5,7,8 8 ს. იმავეს მეორე მხარეს.

3,9,6 8 ს. X 2.

17  	2,7) 8 ს. 1,5) 8 ს. 9) 8 ს. 3) 8 ს. 1/4 დან 6) 8 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 3 4,8) 8 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 1, 5
18  	1,5) 8 ს. 4,8) 8 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 1, 5 3) 4 ს. თ.თ. . 4 ს. ყოვნა 6) 8 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 3 9) 4 ს. თ.თ.
19  	1,2,4,3) 8 ს. ჩაკ. 8,7,5,6) 8 ს. ჩაკ. 9) 4 ს. 4 ს. და
20 	1,5) 4 ს. 4,8) 4 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც N 1, 5 2,7) 4 ს. 9) 4 ს. X და
20 	გუნდობი (გუნდებად).

შუშპარი

რვა ქალის შესრულებით

1  	1-8 8 ს. 8 ს. 8 ს. 8 ს.
2  	ı,3,5,7 8 ს. 8 ს. და 2,4,6,8 16 ს. მეორე მხარეს იმავეს,რასაც დანარჩენი
3  	2,4,6,8 8 ს. მეორე მწკრ. 8 ს. 1,3,5,7 8 ს. და 8 ს. და
4  	8 ს. 4 ს. წკ. 4 ს.

5  	8 ს.
6  	8 ს. 8 ს.
7  	8 ს. 8 ს.
8  	2 ს. 2 ს. 2 ს. 2 ს.

9  	1,2,5,6) 8 ს. 3,4,7,8) 8 ს.
10  	3,4,7,8) 6 ს. 2 ს. 1,2,5,6) 6 ს. 2 ს.
11  	3,4,7,8) 2 ს. 2 ს. 2 ს. 2 ს. 6 ს. 2 ს. /N8 არის წინ./ 1,2,5,6) 16 ს. მეორე მხარეს იმავეს, რასაც დანარჩენი.
12  	) გუნდობი (გუნდები). შეიძლება გუნდობის (გუნდების) სხვაგვარად მოწყობა.

შუშპარი

ქალთა ლხინი – თექვსმეტი ქალის შესრულებით

1



6 ს.

2 ს.

} 2-ჯერ

16 ს.

2



8 ს.

8 ს.

და

3



1,3,5,7,9,11,13,15

2,4,6,8,10,12,14,16

თ.თ.

და

4



1,3,5,7,9,11,13,15

თ.თ.

და

5



2 ს. შიგ

2 ს.

2 ს.

2 ს.

6



ჩაკ.

7



8



1,3,5,7,9,11,13,15

2,4,6,8,10,12,14,16

¾ და

ცენტრში მისვლამდე

9



1,3,5,7,9,11,13,15

2,4,6,8,10,12,14,16



10



1,3,5,7,9,11,13,15 — 6 ს.



2 ს.



2,4,6,8,10,12,14,16 — 6 ს.



2 ს.



11



1,3,5,7,10,12,14,16 — 4 ს.



შემდეგ იგივე საწინააღმდეგო მხარეს.

2,4,6,8,9,11,13,15

იგივე მეორე მხარეს.

შემდეგ იგივე საწინააღმდეგო მხარეს.

12



7,5,8,6,16,14,15,13 — 12 ს.





4 ს. გადასვლა გუნდობზე – გუნდურად მოწყობა

1,3,4,2,12,10,11,9

იგივე მეორე მხარეს.

13 	❍ გუნდურად (გუნდობად) განაწილება სურათის შესაბამისად.
14 	❍ გუნდურად (გუნდობად) განაწილება სურათის შესაბამისად.

ქალ-ვაჟთა ლხინი

1



8 ს.

8 ს.

2



8 ს.

16 ს.

8 ს.

16 ს.

3



8 ს.

8 ს.

4



8 ს.

7 ს.

1 ს.

7 ს.

1 ს.

1,10
2,9

იმავეს, რასაც N 4,7,
5,6, მხოლოდ მეორე მხარეს

5



8, 3 — 16 ს.

5,6
7,4
10,1
2,9

6

8, 3 — 8 ს.

6,10, 5,1 — 8 ს.

7,9, 4,2 — 8 ს.

7

4 ს.

ხ. ზურგ.უკან

8

7, 4

6, 5

8, 3

10, 1

9, 2

5,4 — 4 ს.

6,7 — 4 ს.

დანარჩ.

9



4

გამეორება 4-ჯერ.

32 ს.

4

გამეორება 4-ჯერ.

10  	16 ს. 16 ს.
11  	8 ს. 8 ს.
12  	8 ს. 8 ს.
13  	8 ს. 8 ს.

14



8 ს.

15



8 ს.

4 ს.

4 ს.

16



8 ს.

8 ს.

17



8 ს.

8 ს.

18



8 ს.

სვანური სიუიტა

1  	
2  	
3  	 
4  	

5 	8 ს. . 4 სათ. 8 ს. . ხანგრ. . ხანგრ.
6 	8 ს. . ჩაკ. 4 სათ. 8 ს. ხანგრ.
7 	8 ს. და . ჩაკ. 8 ს. და . ჩაკ.
8 	16 ს. . ჩაკ.

9 	1-4 1-4 8 ს. 5-8 5-8 8 ს.
10 	1-4 1-4 8 ს. 5-8 5-8 8 ს.
11 	1-4 1-4 8 ს. 5-8 5-8 8 ს.
12 	1-4 1-4 8 ს. 5-8 5-8 8 ს.

13



8 ს.

8 ს.

14



8 ს.

8 ს.

15



16 ს.

16



8 ს.

17 	
18 	
19 	
20 	

21 	8 ს. 1-4 8 ს. და ხანჯ. 5-8 8 ს. და ხანჯ.
22 	8 ს. 8 ს.
23 	8 ს. 4 ს. 4 ს.
24 	16 ს. და 16 ს.

დოლური

1 	1 4 სათ. 20 სათ.
2 	1 4 სათ. 4 სათ. 4 სათ. 4 სათ. 4 სათ. 2 სათ. 6 სათ.
3 	1 16 სათ. 8 სათ. და
4 	1 8 სათ. 8 სათ. 8 სათ. 2 სათ. 20 სათ. 2 სათ.

5  	2 24 სათ. . . 1 ადგილზე დგას
6 	2 იგივე, რასაც N1 და ემატება 8 სათ. - . 8 სათ. - . 8 სათ. - და . . . . 1 ადგილზე დგომა.
7  	2 8 სათ. . . 8 სათ. . . 1 16 სათ. ადგილზე დგომა.
8 	2 8 სათ. . ხანჯალზე . 8 სათ. ადგილზე დგომა. 1 8 სათ. . . 8 სათ. . . 8 სათ. . . 8 სათ. ადგილზე დგომა.
9  	2 8 სათ. . . და . 8 სათ. . ხ. გად. . 1 8 სათ. . . 8 სათ. . . და .

საქორწინო

1



2



3



4



5



6



7

8



9



10



ქართული

11



მოხეური

12

მთიულური

13

დავლური

14

1. სოლო,
2. სოლო 2 ვაჟის,
3. სოლო 4 ქალის.

15

16



წერილები

ინგლისის 1935 წლის ხალხური ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი

მოხსენება ქართველთა მონაწილეობის შესახებ (იბეჭდება მცირე კუპირებით – რედ.).

ქალაქ ლონდონში ივლისის 15-ს ეწყობოდა ხალხური ცეკვის საერთაშორისო ფესტივალი, ჩვენამდე მაისის თვის მეორე ნახევარში მეტად ყრუდ მოაღწია. „ვოკსი", რომელმაც ეს ცნობა მოგვაწოდა, არავითარ დეტალებს არ გვაცნობებდა. არ ვიცოდით, თუ რა მიზანს ისახავდა ფესტივალი, უკანასკნელ დღემდე არ ვიცოდით, ვინ იგზავნებოდა, პროფესიონალები თუ ხალხური მოცეკვავენი ან რამდენი კაცი.

პირადად მე მივიღე განკარგულება განსახკომიდან, რათა არ დამეცადნა საკითხის დეტალების გამორკვევისათვის და დაუყოვნებლივ დამეწყო მუშაობა მხოლოდ ჩემს ჯგუფთან, წარმედგინა კანდიდატთა სია და რეპერტუარის პროექტი. ჩემ მიერ შერჩეულ იქნენ შემდეგი პირნი:

1. გვარამაძე ლილი
2. თოიძე ალექსანდრა
3. ჩიხლაძე ანტონი
4. ჩოჩიშვილი მიხეილ
5. ბაგრატიონი ჯუანო
6. გარუჩავა ნიკოლოზ
7. ნონიევი სერგო
8. 9-10 დუდუკზე დამკვრელნი

ეს არის ის პირველი სია კანდიდატებისა ჩემი ჯგუფიდან, რომელიც წარდგენილ იქნა განსახკომის თეატრისა და სანახაობათა სამმართველოში. რეპერტუარს შეადგენდა შემდეგი ცეკვები:

1. ხორუმი
2. ლეკური (ქართლ-კახური ვარიანტი)
3. აფხაზური
4. ზილგა
5. ბაღდადური
6. მთიული დავლური
7. ქალის დავლური

ამ პროგრამით შევუდექი რეპერტუარის მომზადებას. მოცეკვავეთა საბოლოო გადარჩევა უნდა მომხდარიყო მოსკოვში. ჩვენი გამგზავრება ტფილისიდან მოხდა უეცრად თვითმფრინავით, 6 ივლისს დილით, რადგან საბჭოთა კავშირის მთელი ჯგუფი გადიოდა მოსკოვიდან 8 ივლისს და საჭირო იყო ჩაგვესწრო.

ამას გარდა მოსკოვშივე კომისიამ, რომელმაც მოახდინა ჩვენი რეპერტუარის გასინჯვა და მოცეკვავეთა შემადგენლობის საბოლოო შერჩევა, ჩვენს ჯგუფს გამოაკლო ორი კაცი: ჩახავა და სიხარულიძე. მაშასადამე, მოსკოვიდან ჩვენი ჯგუფი გაემგზავრა შემდეგი შემადგენლობით:

1. რამიშვილი
2. სუხიშვილი
3. ჩიხლაძე
4. ჩოჩიშვილი
5. ნონიევი
6. ზუბიევი
7. ზუბიევი
8. შახგულოვი
9. ხეთაგუროვი – პოლიტხელმძღვანელი
10. დ. ჯავრიშვილი – მხატვრული ნაწილის გამგე

რეპერტუარი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
1. ხორუმი – შემსრულებელნი: ჩიხლაძე, ჩოჩიშვილი, ნონიევი
2. ლეკური – ჩიხლაძე, ჩოჩიშვილი, ნონიევი
3. ბაღდადური – იგივენი
4. ზილგა – ჩიხლაძე, ჩოჩიშვილი
5. მთიულური დავლური – ჩოჩიშვილი, ჩიხლაძე
6. ოსური მთიული ცეკვა – ხეთაგუროვი
7. ზილგა – სუხიშვილი, რამიშვილი
8. ლეკური – სუხიშვილი, რამიშვილი

ლენინგრადიდან გამგზავრება გადაწყვეტილი იყო 9 ივლისს ღამით, მაგრამ მოსკოვში ჩვენი დაგვიანებით ჩასვლის გამო ვერ იქნა თავის დროზე გაფორმებული ვიზების მიღება. 9 ივლისს ლონდონისაკენ გაემგზავრა რუსეთის და უკრაინის ჯგუფები. ჩვენ და უზბეკელები ჩავრჩით ლენინგრადში 11 ივლისამდე.

მხოლოდ 11-ში დილით მივიღეთ თვითოეულ ჩვენგანზე გამოგზავნილი საჭირო საბუთები ნ. რამიშვილის გამოკლებით. ვერ მოესწრო მისი საბუთების დამზადება.

ლენინგრადიდან ლონდონამდე მოგზაურობის დროს ჩვენი ჯგუფი ყოველდღიურად ატარებდა გემზე რეპეტიციებს. 18 ივლისს, დილით, ჩვენი ჯგუფი ჩავიდა ლონდონში, ფესტივალი დაწყებული იყო 15 ივლისს. ოტელში მისვლისთანავე გვაცნობეს, რომ ჩვენი გამოსვლა დანიშნული იყო ამავე საღამოს ალბერტ-ჰოლის უზარმაზარ შენობაში.

ფესტივალის კომიტეტის თავმჯდომარე – მეფე გიორგი მე-4-ის მეუღლე. კომიტეტის წევრებს შეადგენდნენ ინგლისის უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლები. ფესტივალის დირექტორად დანიშნული იყო დუგლას კენედი. ფესტივალის მიზანს არ წარმოადგენდა შეჯიბრის მოწყობა რომელიმე მონაწილე ქვეყნის პირველობის გამომჟღავნების მიზნით (ფესტივალის გენერალურ პროგრამაში ეს ხაზგასმითაა აღნიშნული), არამედ ხალხური ცეკვების მხოლოდ ჩვენება-გაცნობა, ამიტომაც ფესტივალს არ ჰყავდა არც მსაჯები და არავითარი პრიზები და ჯილდო არავისთვის მიუციათ (სრულიად შეცდომით არის აღნიშნული ადგილობრივ პრესაში, რომ ქართული ჯგუფიდან ჯილდო მიიღეს სუხიშვილმა და ხეთაგუროვმა). ფესტივალში მონაწილე თითოეულ ჯგუფს ფესტივალის სახსოვრად მიეცა ჟეტონი და მედალი (მხოლოდ ჯგუფს და არა ინდივიდუალურად ვინმეს). ფესტივალში მონაწილეობას იღებდა ევროპის 18 სახელმწიფო, სახელდობრ: ავსტრია, ბულგარეთი, დანია, საფრანგეთი, გერმანია, ბრიტანეთი, უნგრეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდი, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვეცია, შვეიცარია და საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა დელეგაციის უფროსად დანიშნული იყო ამხ. ბოიარსკი (ხელოვნების მუშაკთა კავშირების ცენტრ. კომიტეტის თავმჯდომარე), მხატვრული ნაწილის ხელმძღვანელად კი ვიქტორინა კრიგერი (მოსკოვის დიდი თეატრის ბალერინა). მათ მოისურვეს ჩვენი ჯგუფის რეპერტუარის გადათვალიერება იმ მიზნით, რომ შეგვერჩია ჩვენი პირველი გამოსვლის ნომრები და ჩავტეულიყავით განსაზღვრულ დროში (7½ წუთი). გადაწყვეტილ იქნა შემდეგი სამი ცეკვის ჩვენება: *ხორუმის, ოსური ცეკვის* და *მთიული დავლურის*.

ამხ. ბოიარსკიმ აქვე წინადადება მომცა აუცილებლად *ხორუმი* დამემთავრებინა ისე, რომ მოცეკვავეებს ხანჯლები ეხმარათ და უკანასკნელი ცეკვა ე.ი. *მთიული დავლური* – კი აგვეგო ხანჯლებით ცეკვაზე. მე უარი განვაცხადე მისი წინადადების შესრულებაზე და შევეცადე, ჩემი უარი ამეხსნა იმით, რომ ხორუმში არასდროს არსად იარაღს არ ხმარობენ, ეს იქნება ეთნოგრაფიული მასალის დამახინჯება, რისთვისაც მე პასუხს მომთხოვენ დაბრუნებისას; *მთიული დავლურის* შესახებაც მე გამოვთქვი ასეთივე აზრი და განვუმარტე, რომ ჩვენი ცეკვების ამგვარად შეცვლა ემსგავსება იაფ ხალტურას, რის წინააღმდეგაც უნდა ვიბრძოდეთ. მან დაჟინებით მომთხოვა მისი წინადადების მიღება და შემითქვა, რომ ყოველგვარ პასუხისმგებლობას ღებულობს თავის თავზედ (შემდგომ ყველა ეს თვითონ აღნიშნა თავის მოხსენებაში ჩვენი გამოსვლის წინ კრემლში), ამის შემდეგ მე იძულებული შევიქენი *ხორუმის* დამთავრება გადამეკეთებინა ისე, როგორც ამხ. ბოიარსკიმ მომთხოვა და *მთიული დავლური* კი დამემსგავსებინა *ხანჯლურისათვის* (*ხანჯლურს* ცეკვავენ ქართლში). ამ ცვლილებების შეტანა ხდებოდა რეპეტიციის დროს ამხ. ბოიარსკის თანდასწრებით.

ამრიგად, ჩვენ მზად ვიყავით ფესტივალზე გამოსვლისათვის. ჩვენი პირველი გამოსვლა მოხდა 18 ივლისს ალბერტ-ჰოლის ბუმბერაზ შენობაში. ჩვენმა გამოსვლამ მოახდინა ისეთი შთაბეჭდილება, რომელიც შეიძლება შეედაროს და გაუთანაბრდეს იმ შთაბეჭდილებას, რომელიც დატოვა უკრაინის მოცეკვავეთა ჯგუფმა. უკრაინის მოცეკვავეთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ ისეთი გამოჩენილი მოცეკვავენი, როგორებიცაა: ლერხე (კიევის საოპერო თეატრის პრემიერშა), კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრის პრემიერი სობოლი და ამავე თეატრის საუკეთესო სოლისტები. 20 ივლისს კენტერბერიის სასახლეში დამთავრდა ფესტივალი. შემდეგ ჩვენ მოგვიხდა გამოსვლა ჰაიდ-პარკში, რეჯენ-პარკში, გრინეიჩში, ვიქტორია-პარკში და სხვ.

28 ივლისს აუარებელი ხალხი ინტერნაციონალის და როტ-ფრონტის ძახილით გვაცილებს საბჭოთა დელეგაციას, რომელიც გემით ლონდონიდან ლენინგრადისკენ მიემგზავრება. ლენინგრადში ჩასვლის დღესვე საბჭოთა დელეგაცია მთელი შემადგენლობით გამოდის ლენინგრადის პროლეტარიატის წინაშე კულტურისა და დასვენების ბაღის ესტრადაზე. შემდგომი ჩვენი გამოსვლები ეწყობა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში – მოსკოვში...

დ. ჯავრიშვილი 1935 წ.

დავით ჯავრიშვილის წერილი განათლების სახალხო კომიტეტთან არსებულ თეატრალურ-სანახაობითი სამმართველოს უფროსს ლონდონში გამართული ხალხური ცეკვის საერთაშორისო ფესტივალის შესახებ (რუსულ ენაზე)

Начальнику Управления Театрально – Зрелищными Предприятиями Наркомпроса Грузии.

Согласно Вашего отношения от 29 декабря 1935 года за № 511 мне, как художественному руководителю грузинской группы танцоров — участников Международного Фестиваля народного танца, предлагается дать объяснения по существу вопроса, затронутого тов. Боярским в своем письме, адресованном Наркомпросу Грузии.

По возвращении с Фестиваля мною был представлен Вам письменный доклад об итогах участия нашей группы на Фестивале народного танца в Лондоне, а также сделан устный доклад Наркому по просвещению тов. Татаришвили. В своем докладе я подчеркивая, указывал, что Международный Фестиваль народного танца в Лондоне не ставил своей задачей выявление первенства стран или же определения индивидуального первенства отдельных танцоров, т.е. Фестиваль не носил - соревновательного характера, а являлся только показом, поэтому никому никаких знаков отличия не выдавалось, не существовало никаких призов и наград. Я указывал и на то, что каждой группе участников выдавали в память о Фестивале по одному значку и медали. Еще 6-го августа тов. Боярский в своем письме (см.....) подчеркивал это. После нашего возвращения в Тифлис местная пресса, благодаря неправильной информации отдельных товарищей из нашей группы неправильно отметила будто-бы два комсомольца из нашей группы были награждены призами, затем в ноябре месяце в «Тифлисском рабочем» появилась статья, под заголовком: «Мастер народного танца», в которой тоже указывалось о награждении тов. Хетагурова за лучшее исполнение танцев на Фестив..... (აქ წყვეტაა – რედ.)

... читателя прессы. Я своевременно указал Вам на то, что необходимо пресечь желание отдельных товарищей нашей группы использовать факт участия на Фестивале в целях карьеры, пользуясь для этого довольно-таки нескромными приемами и путями и не считаясь с тем, что их нескромное поведение может поставить не только нашу группу, но целиком всю делегацию от СССР, в неловкое положение. Повторяю, что наша группа также, как и другие делегации получила в память о Фестивале по одному жетону и по медали. Но каким образом и откуда оказалась в тов. Хетагурова вторая медаль я не могу понять. Кроме того, что тов. Хетагуров демонстрировал эту медаль перед сотрудниками бухгалтерии Наркомпроса, как приз, полученный им за лучшее исполнение танцев на Фестивале, он довольно-таки смело дал такую-же информацию репортеру газеты «Тифлисский рабочий», результатом чего и нужно считать статью «Мастер народного танца».

Что касается предложения мне сдать в УТЗП полученную делегацией медаль и жетон, то я его выполнить не могу, так как и медаль и жетон находятся в тов. Сухишвили, которому еще в августе месяце через канцелярию УТЗП я послал письмо с предложением сдать их в Наркомпрос, но он решительно отказался исполнить мое требование, убеждая меня в том, что тов. Бедия и вообще правительство хочет, чтобы эту медаль и жетон носил он (я очень сомневаюсь в том, что его отговорка соответствует действительности).

Тов. Боярский в своем письме указывает на то, что все группы делегации должны были сдать медали и жетоны своим Наркомпросам и если это нашей группой не выполнено, то это ни в коем случае нельзя считать моей виной. Мною своевременно были приняты все зависящие от меня меры.

5/I-36.

ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის დირექტორს – გრიგოლ კოკელაძესა და დ.ჯავრიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება ქართული ხალხური ცეკვების ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული სატერმინოლოგიო სიტყვარის შედგენის შესახებ

ხელშეკრულება

ქ. თბილისი 1941 წ.

ერთის მხრივ, ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის დირექტორი გრიგოლ ირაკლის ძე კოკელაძე და, მეორეს მხრივ, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით ლავრენტის ძე ჯავრიშვილი წინამდებარე ხელშეკრულებას ურთიერთშორის ვდებთ შემდეგზე:

1. ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლი, ამხ. გრ. კოკელაძის სახით, ავალებს ამხ. დ. ჯავრიშვილს თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრეების, ქართული ხალხური ცეკვების დარგში საჭირო ტერმინების უზრუნველყოფის მიზნით შეადგინოს და წარმოადგინოს ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლში ქართული ხალხური ცეკვების ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული სატერმინოლოგიო (ტერმინოლოგიური) სიტყვარი.
2. სატერმინოლოგიო სიტყვარის საცეკვაო სახელწოდებანი განისაზღვროს 200 სხვადასხვა საცეკვაო ტერმინით.
3. სატერმინოლოგიო სიტყვარის ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლში წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესდეს მიმდინარე წლის 1 აპრილი.
4. სატერმინოლოგიო სიტყვარის მიღება ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლში ხდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ სატერმინოლოგიო კომიტეტის სათანადო დასკვნის მიცემის შემდეგ.
5. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტის მიერ სატერმინოლოგიო სიტყვარში შეტანილი იქნება რაიმე არსებითი მნიშვნელობის შესწორებები, ამხ. დ. ჯავრიშვილი ვალდებულია, სიტყვარი შეასწოროს კომიტეტის შენიშვნების მიხედვით, ყოველგვარი დამატებითი გასამრჯელოს გარეშე.
6. ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლი ამხ. დ. ჯავრიშვილს სატერმინოლოგიო სიტყვარის შედგენისათვის ჰონორარის სახით უხდის ათას ხუთას (1500) მანეთს შემდეგი წესის მიხედვით: ხელშეკრულების დადების დღეს მთელი ჰონორარის 255, ხოლო სიტყვარის შავი ნამუშევრის წარმოდგენის დღეს კიდევ 255.
7. ამხანაგ დ. ჯავრიშვილთან საბოლოო ანგარიშის გასწორება ხდება სატერმინოლოგიო სიტყვარის სატერმინოლოგიო კომიტეტის მიერ დადებითი ხასიათის წერილობითი დასკვნის მიცემის შემდეგ.
8. იმ შემთხვევაში, თუ ამხ. დავით ჯავრიშვილი 1 აპრილისათვის არ წარმოადგენს სატერმინოლოგიო სიტყვარს, ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლს უფლება ეძლევა ამხ. დ. ჯავრიშვილთან დადებული წინამდებარე ხელშეკრულება ჩათვალოს გაუქმებულად და მასზე ხელშეკრულების დადების დღეს ავანსად გაცემული მთელი ჰონორარის 50% ხუთი დღის ვადაში დაიბრუნოს უკან.
9. ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლი ვალდებულია აღნიშნული სატერმინოლოგიო სიტყვარი გამოსცეს სასტამბო წესით თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრეების საჭიროებისათვის.
10. ამხ. დ. ჯავრიშვილს აღნიშნული სატერმინოლოგიო სიტყვარის სხვა რომელიმე ორგანიცაზიისათვის გადაცემის უფლება ერთმევა, ვიდრე პირველი გამოცემა რეალიზებული არ იქნება.

11. ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლი სატერმინოლოგიო სიტყვარის განმეორებითი გამოცემის შემთხვევაში ვალდებულია, ამხ. დ. ჯავრიშვილს დამატებით გადაუხადოს პირველადი ჰონორარის 60%.
12. წინამდებარე ხელშეკრულების ნიადაგზე აღმოცენებული ყოველგვარი დავა უნდა გადაწყდეს ქ. თბილსში სასამართლოს წესით.
13. ხელშეკრულება იდება ორ ცალად, რომელთაგან ერთი ინახება ხალხური შემოქმედების ცენტრალურ სახლში, მეორე დ. ჯავრიშვილის ხელზე.
14. მხარეთა იურიდიული მისამართები:
ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლი – თბილისი, მახარაძის ქ. 8.
დ.ლ. ჯავრიშვილი – თბილისი. ლენინის ქ. 63.

თბილისის კინოსტუდიის სურათ გიორგი სააკაძის ჯგუფის დირექტორ ვ. ცირღილაძესა და დ. ჯავრიშვილს შორის დადებული ხელშეკრულება ფილმში ცეკვის დადგმის შესახებ

ხელშეკრულება

1943 წ. იანვრის 17. ქ. თბილისი.

ჩვენ, ამის ქვემორე ხელისმომწერლები, ერთის მხრივ, თბილისის კინოსტუდიის სურათ *გიორგი სააკაძის* ჯგუფის დირექტორი ვიქტორ სერაფიონის ძე ცირღილაძე, და, მეორეს მხრივ, სახოპერის ბალეტმაისტერი ამხ. დავით ლავრენტის ძე ჯავრიშვილი ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. სურათ *გიორგი სააკაძის* დამდგმელი ჯგუფი იწვევს ამხ. ჯავრიშვილს სამუშაოდ სახელდობრ – სურათ *გიორგი სააკაძის* გადაღებებისათვის (ყეინობის) სცენაში ცეკვის დასადგმელად.
2. ამხ. ჯავრიშვილს ევალება, როგორც ცეკვის დადგმის გაფორმება, ისე მოცეკვავეთა გუნდის ცეკვის შესწავლა სახელდობრ – *ხორუმის* და სხვის, რაც საჭირო იქნება პირველ მუხლში აღნიშნული სცენის გადაღებისათვის.
3. ამხ. ჯავრიშვილს სურათ *გიორგი სააკაძის* ჯგუფიდან უფლება ეძლევა მოიწვიოს ზემოაღნიშნული ცეკვის ჩასატარებლად საჭირო მოცეკვავეთა რაოდენობა – 60 კაცი (სამოცი კაცი) მათ შორის პირველი ხარისხის მოცეკვავეები – 22 კაცის რაოდენობით და დანარჩენი მეორე ხარისხის კი – 38 კაცი.
შენიშვნა: პირველი ხარისხის მოცეკვავეებს ექვსი (6) რეპეტიციისა და ორი დღის გადაღებისათვის ეძლევათ 600 მან. (ექვსასი მანეთი), მეორე კატეგორიისას კი 400 მან. (ოთხასი მანეთი). იმ შემთხვევაში, თუ რეპეტიციების ან გადაღების დღეების რაოდენობა გადიდდება ყოველ ზედმეტ დღეში მიეცემათ თავისი განაკვეთით.
4. აღნიშნული მუშაობის ჩატარებაში ამხ. ჯავრიშვილს ეძლევა ერთდროულად 6000 მან. (ექვსი ათასი მანეთი). 25% ამ ხელშეკრულების დადების დროს და დანარჩენი 50% სამუშაოს დამთავრების შემდეგ.
5. ამხ. ჯავრიშვილი ვალდებულია ცეკვის დადგმის საქმე შეუთანხმოს სურათის დამდგმელს ამხ. ჭიაურელს.
6. ხელშეკრულების ვადა 1 მაისი 1943წ.
7. იურიდიული მისამართები მხარეების – თბილისის კინოსტუდია – პლეხანოვის გამზირი №164, ამხ. ჯავრიშვილის – ლენინის ქ. №63.

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ქორეოგრაფის დ. ჯავრიშვილის განცხადება ჯანმრთელობის გამო სამსახურიდან წასვლის შესახებ

ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის
ხელმძღვანელს ამხ. პ.ლ. მურღულიას

განცხადება

მთიულური (ქალ-ვაჟზე) დავლურ-მთიულური (ორ ქალზე) მოხეური, განდაგანა, მთიულური (ორ ვაჟზე). ცეკვების აღნიშნული რაოდენობა, ჩემი აზრით, სავსებით უზრუნველყოფს ორ საკონცერტო სრულ პროგრამას. მიმაჩნია, რომ ყველაფერი ის, რაც გააკეთა ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა (არსებულ პროგრამებში), დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს და, თუ ამჟამად ქორეოგრაფიულ ჯგუფს მომზადებული აქვს ორი საკონცერტო პროგრამისათვის საკმარისი მასალა, ეს შედეგია ჩემი თანაშემწის, გამოცდილი, მშვენივრად მომზადებული და საქმის მცოდნე ქორეოგრაფის ავთანდილ თათარაძის და ქორეოგრაფიული ჯგუფის მსახიობთა კეთილსინდისიერი მუშაობის.

ანსამბლის სამხატვრო საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრების შენიშვნების საფუძველზე, ზოგიერთი ცეკვის გრძლიობას შევამოკლებთ, რაც შეიძლება მოკლე ხანში.

ვფიქრობ, რომ ამით ამოწურულად უნდა ჩაითვალოს ჩემი მუშაობა თქვენდამი რწმუნებულ ანსამბლში.

მოგახსენებთ, რომ მე პერსონალური პენსიონერი გახლავარ. ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს, მომსახურება გავუწიო ანსამბლს, როგორც მოგზაურობის პერიოდში, ასევე სტაციონარზედაც. ამიტომ მოვალედ ვთვლი ჩემს თავს, დროზე მოგახსენოთ ყველა ეს და ა.წ. 1 აგვისტოდან ანსამბლში სამსახურიდან გათავისუფლებულად ჩავთვალო ჩემი თავი. ვიღებ ჩემს თავზე ვალად, მომავალ წელში დახმარება გავუწიო ანსამბლებს, თუ ეს საჭირო იქნა, შესაძლებლობის ფარგლებში და, რასაკვირველია, სრულიად უსასყიდლოდ.

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებისა და მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის სხდომის ოქმი

1951 წ. ქ. თბილისი 23 აპრილი

ოქმი

დაესწრნენ კომიტეტის წევრები: ამხ. კეცხოველი, ვ. ხატიაშვილი, ა. გიორგაძე, გ. ჯიბლაძე, პ. გუჯაბიძე, ი. დოლიძე, პ. კანდელაკი, გრ. კოკელაძე, გრ. ჩხიკვაძე, დ. ჯავრიშვილი.

მიწვეული სპეციალისტები: ამხ. დ. არაყიშვილი, შ. მშველიძე, ი. ტუსკია, გრ. კილაძე, დ. ჯანელიძე, ა. თათარაძე, მ. შუბაშიკელი.

დღის წესრიგი: მეთოდური წერილები ცეკვის, მუსიკისა და სახვითი ხელოვნების დარგში. მოისმინეს: ცეკვის დარგში მეთოდური საინსტრუქციო წერილი (რედაქტორი დ. ჯანელიძე).

ამხ. **ჯანელიძე** იძლევა რამდენიმე შენიშვნას: საჭიროა მთელი რიგი ცეკვები შესრულდეს სიმღერის თანხლებით. ფერხულები სრულდება ერთსახოვნად, მათი ნაირფეროვნება დაკარგულია. ახალი ცეკვების შექმნაზე მეთოდურ წერილში ყურადღება მიქცეულია და ეს კარგია.

ცეკვა ქართულში საჭიროა სახის სათანადო გამომეტყველება. ზოგი ამას აღწევს, მაგრამ მოცეკვავეთა უმრავლესობა გაქვავებული სახით ცეკვავს. სხვა ცეკვების შესრულების დროსაც ყურადღება უნდა მიექცეს ამას.

თათარაძე: ხშირად აცხადებენ ერთ ცეკვას და სრულდება სხვა ცეკვა. ილეთები არ არის გამოყენებული დასახელებული ცეკვის მიხედვით. წერილში აღნიშნული ტერმინები გაუგებარი იქნება ყველასათვის. უნდა აიხსნას ან უნდა შეიცვალოს გასაგები ტერმინებით. რაც შეეხება ისეთი ილეთების დასახელებას, როგორიცაა: „ბრუნვები“, „ხტომები“ არ უნდა იყოს აღნიშნული, თორემ ამგვარ გამოთქმებს შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს. ხალხურ შემოქმედების სახლს აქვს ქართული ცეკვები ჩაწერილი, ამიტომ მეთოდურ წერილში მოყვანილი ცეკვების ჩაწერის პროექტი უნდა შეიცვალოს არსებულით.

შუბაშიკელი: საორგანიზაციო საკითხებზე საუბარი საგრძნობლად უნდა შემცირდეს და მეტი ადგილი დაეთმოს შემოქმედებითს. საჭიროა აღინიშნოს: ახალი ცეკვები უნდა გაკეთდეს ქართული ილეთების საფუძველზე. თვითმოქმედი კოლექტივები ნუ მიბაძავენ სახ. ანსამბლებს, ისინი ვერ დაძლევენ მათ რეპერტუარს და გამოვა აღრევა. სჯობია რეპერტუარის შემუშავებისას იმუშაონ შესაძლებლობის მიხედვით. რაც შეეხება პირობით ნიშნებს, ისინი ყველასთვის უნდა იყოს გასაგები (ხალხური შემოქმედების სახლის მიერ ჩაწერილი). გასმების შესახებ გაუგებარია ასეთი სიტყვის ხმარება: გლეხური გასმა, წიხლური და სხვა. მეთოდურ წერილში ნუ შევიტანთ ტერმინოლოგიას (ილეთების დასახელებას), ბევრი სადავოა და ჯერ უნდა დაზუსტდეს. *კინტოურის* აღდგენა საჭირო არ არის, მაგრამ *ბაღდადური* უნდა აღვადგინოთ და კარგად გავაკეთოთ.

ი. დოლიძე: ენის მხრივ წერილი საჭიროებს შესწორებას. იგი უნდა იყოს მარტივი და ყველასათვის გასაგები ენით დაწერილი, მით უფრო, ჩვენ საქმე გვაქვს არაპროფესიონალებთან. საჭიროა რამდენიმე ცეკვის აღწერილობის მიცემა წერილში.

ა. გიორგაძე: პროფკავშირის ოლიმპიადის დროს დავა შეიქმნა ცეკვა *განდაგანაზე*. ამ საკითხმა შექმნა ბევრი გაუგებრობა. გარკვევით უნდა აღინიშნოს დავუშვებთ თუ არა ამგვარ ცეკვებს მომავალ ოლიმპიადაზე.

ი. ტუსკია: ცეკვების ნოტებით, ესე იგი, რაიმე პირობითი ნიშნებით სწავლა არ შეიძლება, ამიტომ არ არის საჭირო ცეკვების ჩაწერა. საჭიროა თვითმოქმედმა კოლექტივმა ქორეოგრაფებთან პირისპირ შეხვედრით ისწავლოს ცეკვები და არა ჩანაწერებით.

გრ. კილაძე ამხ.ტუსკიას არ ეთანხმება. არ შეიძლება ჩვენ უარვყოთ ცეკვის ჩაწერა. საჭიროა ეს საკითხი კიდევაც გავაფართოვოთ. შეიძლება ქართულ ქორეოგრაფიაში გვქონდეს ტერმინები. ჩვენს ქორეოგრაფიაზე ამ ბოლო დროს ზოგიერთმა უცხო ცეკვამ ცუდი გავლენა მოახდინა, რომლებშიც არაფერია ქართული: უკულტურო ქცევები, გადაჭარბებული მანჭვა-გრეხა, რაც ჩვენ ცეკვებს არ ახასიათებს. ასეთი ცეკვები ოლიმპიადაზე არ უნდა დავუშვათ.

გრ. ჩხიკვაძე შეეხო მუსიკის ნაწილს ცეკვების შესრულების დროს და აღნიშნა: უნდა ჩაიწეროს წერილში, თუ რა საკრავებს გამოიყენებენ სხვადასხვა ცეკვის შესრულების დროს. უნდა მივუთითოთ ე.წ. „საზეიმო ცეკვებზე“, რომლებსაც ცუდად ასრულებენ.

გრ. კოკელაძე: ზოგჯერ ცუდად გადადის თვითმოქმედ კოლექტივებში სახ.ანსამბლსა და ოპერის თეატრში შეუფერებლად გაკეთებული ცეკვები და ჩაცმულობა, მაგალითად, ოპერა *ხევისბერი გოჩაში* მოცეკვავეები გამოიყვანეს ბეწვიანი ქუდებით. ამას დაინახავენ ჩვენი თვითმოქმედი წრეები და დაიწყებენ მიბაძვას. არ ვარგა. მე ვუერთდები იმ აზრს, რომ ასეთი ცეკვები, როგორებიცაა: *ქურთბარი, ყოლსამა* და სხვ. ამოღებულ იქნას რეპერტუარიდან.

გ. ჯიბლაძე: არ არის საჭირო მეთოდურ წერილში იყოს ნათქვამი, რომ უადგილობისა და უდროობის გამო მეტს აღვნიშნავდით, მაგრამ ამ გარემოებამ ხელი შეგვიშალა და სხვა ამგვარი – ეს ადგილი ამოსაღებია.

ჯავრიშვილი: ცეკვებში ილეთების უარყოფა არ შეიძლება ისე, როგორც სიმღერაში არ შეიძლება ნოტების უარყოფა. რაც შეეხება ტერმინებს, ყველა შემოწმებულია აკადემიის მიერ და დადასტურებული. პირობითი ნიშნები მეტად საჭიროა. ამხ.ჯანელიძეს ვეთანხმები, ხტომა, თუ იატაკიდან მეტად მაღლა ახტომას გულისხმობს, მაშინ ეს მართალია, არ არის საჭირო ვიხმაროთ. მუხლურის ხმარება ცეკვაში საჭიროა, უამისოდ ცეკვის ტექნიკა სუსტი იქნება: ზომიერი ხმარება მუხლურის ან სხვა ამგვარი მოძრაობების მე ლამაზად მიმაჩნია ცეკვებში.

კეცხოველი: ამხანაგებმა კარგი და სასარგებლო შენიშვნები შემოიტანეს, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მეთოდური წერილის გადამუშავების დროს. ჩვენ გარკვევით უნდა ვთქვათ მეთოდური წერილის საშუალებით, თუ რას მოვითხოვთ, რა გვინდა და რას უარვყოფთ. რა არ გვინდა, გარკვეულად უნდა ვთქვათ, რომ ქართულ ცეკვებს, რომლებიც ზოგიერთმა დამდგმელმა გააყალბა და ასრულებენ ხმაურით, ყვირილით, კივილით, ყიჟინით, მუხლებით იატაკზე დახტომით და სხვ. ამგვარად ოლიმპიადაზე არ დავუშვებთ, მოვხსნით რეპერტუარიდან. ამხ. შ. მშველიძემ ამ გარემოებას ხაზი გაუსვა თავის სიტყვაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე, მაგრამ ოპერის თეატრსაც ახასიათებს ასეთი ნაკლი. *ხევისბერ გოჩაში*, რა თქმა უნდა, ბამბურა ქუდები საჭირო არ არის. ვერ გავამართლებთ მას დღევანდელ ჩვენს პირობებში, გინდ ხმლის მოქნევისა და გინდ თავის დაცვის მოტივის მოყვანით. საჭიროა ტანისამოსის ერთგვარი სტილიზაცია, არ არის საჭირო მთლიანად გადმოვიტანოთ ძველი, ამჟამად უკვე მოუხერხებელი ტანისამოსი. თეატრმა და სახ. ანსამბლმა თვითმოქმედ კოლექტივებს უნდა მისცენ სწორი გეზი, ამიტომ საჭიროა, რომ ხელოვნების სამმართველო ჩაერიოს ამ საქმეში და არ დაუშვას ქართული ცეკვების გაყალბება. წერილიდან უნდა ამოვიღოთ ილეთების დასახელება: საჭიროა გამახვილდეს ყურადღება და ზუსტად აღინიშნოს მოცეკვავეთა სახის გამომეტყველების შესახებ. აქ გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით წერილი უნდა გადამუშავდეს. შემომაქვს წინადადება, გამოიყოს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. დ. ჯანელიძე, ა. თათარაძე და მ. შუბაშიკელი. თვით ავტორის დ. ჯავრიშვილის უშუალო მონაწილეობით. სარედაქციო კომისიას შეიძლება მიეცეს 10 დღის ვადა ე.ი. 3 მაისამდე მზად იყოს მეთოდური წერილი დასაბეჭდად სტამბური წესით.

დაადგინეს: გამოიყოს კომისია ამხ. დ. ჯანელიძის, ა. თათარაძის და მ. შუბაშიკელის შემადგენლობით გადამუშავებაში მონაწილეობის მიღება დაევალოს წერილის ავტორს ამხ. დ. ჯავრიშვილს. შესრულების ვადა 10 დღე.

მეთოდურ-საინსტრუქციო წერილის განხილვა სიმღერის დარგში

(რედაქტორი ამხ. გრ. ჩხიკვაძე)

ამხ. ჩხიკვაძე: წერილში ზოგიერთი საკითხი გამოტოვებულად მიმაჩნია, მაგალითად, კოლექტივის ჩამოყალიბების შესახებ, მეცადინეობის წარმოების პროცესის შესახებ. საჭიროა აღინიშნოს ზოგიერთი დეტალი. ყურადღება უნდა გამახვილდეს ძირითად შემადგენლობაზე. საჭიროა წერილის დაკავშირება უკანასკნელ ოლიმპიადასთან და პროფესიული საბჭოს მიერ ჩატარებულ დათვალიერებასთან და არსებული ნაკლოვანებების აღნიშვნა და მათი გამოსწორების გზების ჩვენება. უნდა გარკვევით ვუთხრათ ანსამბლებს, რა მთავარ საკითხებს მიაქციონ ყურადღება, რით იხელმძღვანელონ მუშაობის დროს. ხელმძღვანელმა, ძირითადად, უნდა დაამუშაოს იმ რაიონის სიმღერები, რომელ რაიონშიაც უხდება ანსამბლს მუშაობა. საჭიროა აღინიშნოს სიმღერების ცეკვებთან დაკავშირება, ხალხური საკრავების გამოყენება. ძველი დამახასიათებელი სიმღერების გამოვლინება. ყურადღება უნდა მიექცეს საცეკვაო მუსიკის გამოყენებას.

ი. გიორგაძე: საჭიროა წერილში აღინიშნოს, რომ არ არის საჭირო დაიხარჯოს შრომა „ჯანის“ მომზადებაში, სტვენის სცენაზე გადმოტანაზე. საჭიროდ მიმაჩნია ძირითადი პროგრამა წინასწარ გავარკვიოთ. აგრეთვე გასარკვევია საკითხი ერთი და იმავე ხელმძღვანელის რამდენიმე კოლექტივით გამოსვლა ოლიმპიადაზე. მიექცეს ყურადღება დიქციას. საჭიროა ერთფეროვნების თავიდან აცილების მიზნით გააზრებული მონტაჟებიც დავუშვათ. ცუდად არის ასახული თანამედროვეობა (სამგორი, რუსთავი და სხვ.). საჭიროა შესრულდეს სოლო სიმღერები. უნდა ვასწავლოთ აგრეთვე თანამედროვე უკრაინული და რუსული სიმღერები.

ი. ტუსკია: ყურადღება მიექცეს წერილის ენობრივ საკითხს. უნდა წახალისდეს სხვადასხვა კუთხის თვითმოქმედ გუნდებში, მაგალითად, კახური – იმერეთის, მეგრული – კახეთის რაიონების გუნდების რეპერტუარში, რაც გაამდიდრებს მათ პროგრამას.

დ. არაყიშვილი: მართალია, ოლიმპიადის დროს ნაკლებად სრულდება სიმღერები თანამედროვე თემებზე, ეს იმის ბრალია, რომ ხელმძღვანელები არ არიან სათანადოდ მომზადებულნი ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთ ჩვენს მოძმე რესპუბლიკაში, მაგალითად, ესტონეთში. ყურადღება მიექცეს რეპერტუარის საკითხს, თორემ ერთი და იგივე სიმღერა ხშირად სრულდება, საჭიროა სარეპერტუარო კომისიის შექმნა. ყურადღება უნდა მიექცეს მუსიკალური განათლების საკითხს რესპუბლიკაში. უნდა შევისწავლოთ ნოტები, მაგალითად, სკოლებში. უნდა უფრო ბევრი და უკეთესად მოვამზადოთ ხელმძღვანელები, ავიღოთ ხელმძღვანელობა თვითმოქმედ კოლექტივებზე მარტო ორგანიზაციულად კი არა, არამედ მეთოდოლოგიურადაც.

ვ. ხატიაშვილი: მეთოდურ წერილში არ არის საჭირო ერთად აღვნიშნოთ და მოვიყვანოთ შედარება სიმღერა *თავო ჩემოს* და სიმღერები შესრულებული ბელადებზე. წერილს მიეცეს კითხვა-პასუხის ხასიათი. ეს უფრო გასაგები იქნება ჩვენი მასისათვის. წერილი უფრო მარტივი უნდა გავხადოთ, რომ მეტად გასაგები იყოს, პრაქტიკული მითითებები მიეცეთ თვითმოქმედ გუნდებს.

გრ. კილაძე: წერილში მოყვანილი დებულებები მისაღებია,მაგრამ ნაკლებად გასაგები – რატომ უარვყოფთ მონტაჟებს. ვფიქრობთ, მონტაჟებით გამოსვლა კარგია, მრავალ-ფეროვანია, სადაც მჟღავნდება მათი შემოქმედება ვრცლად.

კეცხოველი: წერილს სადისკუსიო სტილი ახასიათებს. შესაძლებელია ეს მისაღები იყოს მხოლოდ სხვა დროს და არა ამ შემთხვევაში; წინააღმდეგი არ ვიქნები გუნდმა მონახოს გამოსვლის ფორმა, მაგრამ მონტაჟით გამოსვლა ყოვლად დაუშვებელია. ამის ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს. საჭიროა კოლექტივებს ჰყავდეთ წამყვანები, ლექსის მთქმელები, მუსიკალური განათლების საკითხებში ამხ. არაყიშვილი მართალი არ არის და ეს საკითხი ცალკე უნდა იქნეს დამუშავებული ხელოვნების სამმართველოს მიერ. წერილის საბოლოოდ დასამუშავებლად წინადადება შემომაქვს გამოიყოს კომისია ამხ. ჩხიკვაძის, ი. ტუსკიასა და ვ. ცაგარეიშვილის შემადგენლობით. წერილის დამუშავებაში მონაწილეობას მიიღებს ავტორი – ამხ. გრ. კოკელაძეც. კომისიას მიეცეს 10 დღის ვადა – 3 მაისამდე.

დაადგინეს: მეთოდური-საინსტრუქციო წერილის დასაზუსტებლად გამოიყოს კომისია ამხ. გრ. ჩხიკვაძის, ი. ტუსკიას და ვ. ცაგარეიშვილის შემადგენლობით და გრ. კოკელაძის მონაწილეობით. კომისიის მუშაობა დამთავრდეს 10 დღეში.

ამხ. **მ. კეცხოველის** წინადადებით, მეთოდურ-საინსტრუქციო წერილი სახვით დარგში საბოლოოდ დასამუშავებლად გადაეცა კულტურულ-საგანმანათლებლო კომიტეტს და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, რათა მათ დამუშავების შემდეგ გამოსცენ და დაუგზავნონ ძირეულ ორგანიზაციებს.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე: მ. კეცხოველი
მდივანი: პ. კანდელაკი

კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მიმართვა დავით ჯავრიშვილისადმი. ლ. გრიქუროვას მიერ ჩაწერილი ცეკვები – *დავლური* და *ცერული* თანდართული ნახაზებითა და სურათებით მზადდება გამოსაცემად, ამიტომ ჯავრიშვილს სთხოვენ განიხილოს და მისცეს დასკვნა. ხელს აწერენ: ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორის მაგიერი რ. სისორდია და ქორეოგრაფიული განყოფილების გამგე მ. შუბაშიკელი.

კულტურის სამინისტრო

ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის
ქორეოგრაფიული სექციის წევრს ამხ. დ. ჯავრიშვილს

საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა ქ. მოსკოვიდან, ხალხური შემოქმედების საკავშირო სახლიდან, მიიღო ლ. გრიქუროვას მიერ ჩაწერილი ცეკვები *დავლური* და *ცერული* თანდართული ნახაზებითა და სურათებით. აღნიშნული ცეკვები მზადდება გამოსაცემად. გთხოვთ განიხილოთ და მოგვცეთ თქვენი დასკვნა.

დირექტორის მ/შ რ. სისორდია (მ. ჩირინაშვილი)
ქორეოგრაფიული განყოფილების გამგე მ. შუბაშიკელი.

უთარიღო

ჯანო ბაგრატიონის წერილი დავით ჯავრიშვილს სოხუმის სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული ანსამბლის გამოსასვლელ პროგრამასთან დაკავშირებით

1. 1950 წლის 1 ივნისიდან ჩამოყალიბდა ანსამბლი სოხუმის სახელმწიფო ფილარმონიასთან.
2. მოცეკვავე ქალები – 12, აქედან 2 – მომღერალი.
   მოცეკვავე ვაჟი – 14
   ორკესტრი – 7-წევრიანი
   პროგრამის წამყვანი –1
   ხელმძღვანელი – 1
   სულ – 35.

აქედან სოლისტი ქალები: ე. აბაშიძე, მ. ბაგრატიონი, თ. გომართელი, ე. წერეთელი, ქ. მგალობლიშვილი.
ვაჟები: ა. სალუქაშვილი, ბ. კალანდაძე, ზ. ქველიძე, ე. ძიძიგური, ა. გოგოლიშვილი
ორკესტრის წამყვანი: გრ. ქსოვრელი
პროგრამის წამყვანი: ო. სანდომისაშვილი და ნ. დარახველიძე

I განყოფილება

3. პროგრამა:
   • საქორწილო – სიტყვები გ. ხერხეულიძის.
   მუსიკ. დამუშავებული კომპ. ნ. გუდიაშვილის.
   ასრულებენ: ე. წერეთელი, და ი. დავითაშვილი.
   • ალვანური – ასრულებს ე. ძიძიგური.

- ცერული – მოცეკვავეთა მთელი ჯგუფი.
- განდაგანა – ასრულებენ ქ. მგალობლიშვილი და ვ. ნინიძე .
- მოხევის ქალო თინაო – თ. გომართელი, ა. სალუქაშვილი, ბ. კალანდაძე, ა. გოგოლიშვილი
- სამაია – ასრულებს ქალთა ჯგუფი.
- მარულა – ასრულებენ ბ.კალანდაძე, ა. სალუქაშვილი, ე. ძიძიგური, ა. გოგოლიშვილი, ი. დავითაშვილი და ჯ. ჩიტიაშვილი.
- სიმღერა სტალინზე – მუსიკა კომპ. ა. კერესელიძის, სიტყვები ნ. არეშიძის
- ასრულებენ: მ. ბაგრატიონი და ე. აბაშიძე სალამურის თანხლებით.
- სურათები ძველი თბილისიდან – ასრულებს ვაჟთა ჯგუფი.

II განყოფილება
- დავლური – ასრულებს მოცეკვავეთა ჯგუფი. სოლისტები: თ. გომართელი და ზ. ქველიძე.
- ცერებზე – ასრულებს ზ. ქველიძე.
- სიმდი – ასრულებს მოცეკვავეთა ჯგუფი.
- ნეტავი, გოგოვ, მე და შენ – ასრულებენ ე. აბაშიძე და ვ. ნინიძე.
- სახუმარო-სატრფიალო – ასრულებს მოცეკვავეთა ჯგუფი.
- სიმღერა ბერიაზე – მუსიკა კომპ. ა. კერესელიძის, სიტყვები ა. აფშილავასი.
  ასრულებენ: მ. ბაგრატიონი და ე. აბაშიძე.
- კეჭნაობა – ასრულებენ ეთ. აბაშიძე, ა. სალუქაშვილი და ბ. კალანდაძე.
- სოხუმის ბარათი თბილისს – მუსიკა ბ. ღოღობერიძის, სიტყვები გ. ჯინჭარაძის.
  ასრულებს ჯ. ბაგრატიონი.
- ყვავილების მეუფეე – მუსიკა მ. ჩირინაშვილის, სიტყვები ბ. ფერაძის.
  ასრულებს ჯ. ბაგრატიონი.
- სამშობლოსათვის – ასრულებს მოცეკვავეთა ჯგუფი
- ფრიცის გატარება – ფრიცი – ორკესტრის წამყვანი გ. ქსოვრელი.

პირველი კონცერტი ჩატარდა ქ. სოხუმში 1950 წ. ივნისში

- ანსამბლი მოემსახურა აფხაზეთის ასსრ-ის ორმოცდაათამდე კოლმეურნეობას, სამხედრო ნაწილებს და სანატორიუმებს.
- ანსამბლი ქ. თბილისის შემდეგ მიემგზავრება საქართველოს ცენტრალურ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, ხოლო ა.წ. 1 სექტემბერს ჩვენი რესპუბლიკის გარეთ – სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში.
- ანსამბლის პერსპექტივებია: ორკესტრი გაიზარდოს და დაემატოს შემდეგი ინსტრუმენტები: ჩანგი, ჭუნირი, სტვირი, ბუკი, დიპლიპიტო და სხვა. ანსამბლის რეპერტუარი შევსებული იქნება რუსულ-უკრაინული, აზერბაიჯანული და სომხური ცეკვებით.
- ანსამბლის პროგრამა ძირითადად აგებული იქნება ცეკვებზე, პარალელურად პროგრამის მრავალფეროვნებისათვის დართული იქნება რამდენიმე სიმღერა სოლისტების შესრულებით, ქართული ხალხური ინსტრუმენტების თანხლებით.
- რესპუბლიკის გარეთ გასვლასთან დაკავშირებით მზადდება პროგრამის წამყვანის ტექსტი რუსულ ენაზე. ყველა ნომრის მოკლე შინაარსით. მოწვეულ იქნას მხატვარი ახალი კოსტუმების შესაქმნელად და სცენის გასაფორმებლად.
- ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესაქმნელად საჭიროა ანსამბლს მიეცეს სახელმწიფოსაგან მინიმალური თანხა დოტაციის სახით.
- ამჟამად ანსამბლის ორკესტრს აქვს შემდეგი ინსტრუმენტები: სალამურები, დაირა, ფანდური, დოლი, დუდუკი, გარმონი, ზურნა და არღანი.

P.S.

პატ. დავით ლავრენტოვიჩ!

ბოდიშს ვიხდი პასუხის დაგვიანებისათვის. გაწვდით მთლიან მასალას ყველა თქვენს კითხვაზე. თუ მე რაიმე საკითხში დაგჭირდეთ, გთხოვთ, დაურეკოთ 3–61–30 თამარა ყანჩაველს ფილარმონიაში და იგი გადმომცემს, თუ როდის მოვიდე თქვენთან.

8. VIII–51წ.

რეკომენდაცია
ქართველ ქალთა ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის შესახებ

საქართველოში დღემდე ცნობილია ქალთა ცეკვები: *სამაია, შუშპარი, მთიულური, მოხეური, ფერხული, თუშ ქალთა ცეკვა, შაირი, სახუმარო, დავლური, განდაგან, ბაღდადით ცეკვა, ფადიკო, წართმევია* და მრავალი სხვ. აღნიშნული ცეკვები სადღეისოდ ვერ პასუხობენ თანამედროვე ქალის შესაძლებლობებსა და საქმიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრულად ცეკვის დადგმა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ჩვენი ხალხის წარსულ და თანამედროვე ცხოვრებას, რეპერტუარი კი თანამედროვე ხელოვნების მაღალ კულტურას უნდა ასახავდეს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, სამწუხაროდ, დღესდღეობით მოკლებულია ისტორიულად ცნობილი ქალთა ქართული ცეკვები. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენ რესპუბლიკას არ ჰყავს ქალთა ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი, რაც ჩვენი რესპუბლიკის ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, ქალმა სრულიად და თვალსაჩინოდ დაუმტკიცა კაცობრიობას, რომ მას შესწევს უნარი მამაკაცთან თანაბრად შეასრულოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ყველა მოვალეობა და ვალდებულება. რატომ არ შეიძლება რუსთაველის ქვეყანაში არსებობდეს ქალთა ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი? რომელიც უსათუოდ გაამდიდრებს ჩვენი რესპუბლიკის ქორეოგრაფიულ ხელოვნებას.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მაგალითად: რსფსრ-ში 30 წელია არსებობს ცეკვის ქალთა ანსამბლი *ბერიოზკა*, ასევე არსებობს ქალთა ანსამბლი აზერბაიჯანში, უზბეკეთში და სხვ. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სახალხო არტისტის, ოთხგზის მსოფლიოს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის გიორგი (ბუხუტი) ვიქტორის ძე დარახველიძის მიერ საკითხის დაყენება ქართული ცეკვის ქალთა სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბების შესახებ უსათუოდ დროულია, გამართლებულია და დიდი პატრიოტული, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ უნდა ჩაითვალოს ჩვენი რესპუბლიკის ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში.

მე, როგორც მოამაგე და დიდი პატრიოტი საქართველოს ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა, დიდი სიხარულით მხარს ვუჭერ ამხ. დარახველიძის მიერ დაყენებულ საკითხს ქართული ცეკვის ქალთა სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბების შესახებ და დავსძენ, რომ საქართველოს ქორეოგრაფთა შორის, მხოლოდ დარახველიძეს შეუძლია თავისი დიდი ცოდნისა და გამოცდილების, უნარისა და დისციპლინის საფუძველზე უხელმძღვანელოს ასეთი დიდი მნიშვნელობის ქართული ცეკვის ქალთა სახელმწიფო ანსამბლს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო არტისტი

დავით ჯავრიშვილი

უთარიღო

როგორ დავიწყე მუშაობა ქორეოგრაფიაში

1919 წელს ქ. თბილისში ტანსავარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ გამოსვლისას (ხელმძღვანელი გიორგი ეგნატაშვილი) ბოლო განყოფილებაში მე დავდგი ცოცხალი სურათი „შევარდენისა“ და სპორტის განვითარება საქართველოში“, მე დამებადა აზრი, თავისუფალ ვარჯიშში, რომელიც ტანვარჯიშულ თანწყობაში შედიოდა, მხატვრული სახის მისაცემად, საერთოდ მისი შინაარსის განვითარებისათვის საჭიროა ისეთი საშუალების გამოძებნა, რომელიც გაამდიდრებდა მას. ამისათვის საჭირო იყო საბალეტო თანწყობის შესწავლა. საბალეტო თანწყობა შედგება მრავალი მოძრაობისა და პოზისაგან, ტანვარჯიშული სახის ილეთებისაგან. მაგრამ ეს აზრი აზრად დამრჩა. მართალია, ჩვენ შემდეგში ვცდილობდით მხატვრული მოძრაობების გაშლა-გაფართოებას, როგორც ვაჟთა, აგრეთვე, ქალთა განყოფილებაში, მაგალითად: გუნდური ვარჯიშის სახით, ვცადეთ კიდევაც დაგვედგა სტილიზებული ვარჯიში, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა იყო.

გვიან ქ. ბათუმში, პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობის დროს, მხატვრული ტანვარჯიშული პიესის დამუშავებისას, ეს აზრი ხელახლა წამომეჭრა. საბალეტო თანწყობის შესწავლის აუცილებლობა ჩემში განმტკიცდა. ამრიგად, დავიწყე კლასიკური ცეკვის შესწავლა 1922 წელს ბალეტმაისტერ ვ. ვაკარეცთან. გავეცანი ლიტერატურას, დაწყებული ნოვერიდან გათავებული პეტიპათი. ვმუშაობდი სისტემატურად, მუყაითად. შვიდი თვის შემდეგ ჩამოვედი თბილისში და, როგორც ყოველთვის, მივედი თამარ და გიორგი ნიკოლაძეებთან. იქ მოვილაპარაკეთ, რომ მეორე დღეს შევკრებდით ნაცნობ მოვარჯიშე ქალებს და მე ვუჩვენებდი კლასიკური ცეკვის შესწავლის შედეგს. შეიკრიბა რვა ქალი. ვიმუშავე. ძალიან კმაყოფილი დავრჩი იმისა, რომ ამ რვა ქალმა ჩინებულად შეასრულა კლასიკური ცეკვის ელემენტები. ქალების წასვლის შემდეგ დავრჩით მე და გიორგი ნიკოლაძე, აქ საუბარი გვქონდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ჩემ მიერ ნაჩვენები ვარჯიშები ქალებისათვის. მე უნდა გამეგრძელებინა კლასიკური ცეკვის შესწავლა, ხოლო ქართული ხალხური საცეკვაო ხელოვნების შესწავლის საკითხი ასე გადაწყდა (ამის შესახებ პროფ. ქუჯი ძიძიშვილი ნარკვევში „გიორგი ნიკოლაძის მოსაგონარი“ მოგვითხრობს): გიორგი ნიკოლაძე და მისი მეგობრები ცდილობდნენ თავისუფალ ვარჯიშში ქართული ჯომარდობისა და ქორეოგრაფიის ელემენტები შეეტანათ. აი, კერძო მაგალითიც: „დღეს ყველასათვის არის ცნობილი ქართული ქორეოგრაფიის მესვეურის დავით ჯავრიშვილის სახელი, მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ დავითის მოღვაწეობა ტანვარჯიშით დაიწყო და ქორეოგრაფიას მან გიორგი ნიკოლაძის რჩევით მოჰკიდა ხელი. საქმე ასე ყოფილა: გიორგი და დავითი მსჯელობდნენ, თუ რა ხერხი ეხმარათ რომ თავისუფალ ვარჯიშში მხატვრული ელემენტები შეეტანათ. გიორგის დავითისთვის ურჩევია, შეესწავლა კლასიკური ბალეტის ელემენტები და ვარჯიშში გამოეყენებინა. იმხანად თბილისში მყოფ ბალეტმაისტერ ვაკარეცთან დავითს მართლაც შეუსწავლია კლასიკური ბალეტის საწვრთნო ელემენტები და, როცა ეს თავისუფალ ვარჯიშთან შეხამებული გიორგისათვის უჩვენებია, გიორგის ახალი აზრი დაჰბადებია: შეეტანათ ამ ელემენტებში ქართული ქორეოგრაფიის ილეთები. დავით ჯავრიშვილი 1924 წლიდან ქართული ქორეოგრაფიის შესწავლას შესდგომია და ტანმოვარჯიშე დავითი ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში „შევარდენის“ ვარჯიშთავი, ისე გაიტაცა ქართულმა ქორეოგრაფიამ, რომ მერე ამ დარგში მოღვაწეობდა; აქვე უნდა შევნიშნო, რომ ქართული ქორეოგრაფიის ელემენტების თავისუფალ ვარჯიშში შეტანა ტრადიციად იქცა და ყოველი სადღესასწაულო თუ საზეიმო მასობრივი ტანვარჯიში მუდამ ამ ელემენტებით არის დამშვენებული“.

ბათუმში დაბრუნებისას შევუდექი ქართული ხალხური ცეკვების შესწავლას. ვიმოგზაურე აჭარის სხვადასხვა კუთხეში. ვიყავი ქედაში, ხულოში, ხიხაძირში,

ქობულეთში და სხვ. შეგროვებულ მასალას ვიწერდი და თვით ვიღებდი მონაწილეობას შემსრულებელთა ჯგუფში. შევისწავლე *ხორუმი, გადახვეული ხორუმი, ფერხულები, ცანგალა* და *გოგონა, ქალთა საცეკვაო, სახუმარო* და სხვა.

ქართული ხალხური ცეკვის შესწავლამ აღმიძრა სურვილი დამეარსებინა ქართული ქორეოგრაფიული სტუდია. სტუდიაში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების შემდეგ ვიწერდი ილეთებს და მასალის დაგროვების შემდეგ სისტემაში მომყავდა ილეთები. საჭირო იყო გამომერკვია, რა ახასიათებდა ქართულ ცეკვებს, როგორია მისი თავისებურებანი, რა ცეკვა რას მისდევს, რა გზით სრულდება, რა შინაარსით და სხვა.

აჭარის განათლების კომისარიატიდან მე მივიღე ნებართვა, დამეარსებინა განსახკომთან არსებული ქართული ქორეოგრაფიული სტუდია. მოვძებნე შენობა. ეს იყო აჭარის პედაგოგიური ინსტიტუტის დიდი დარბაზი. მეცადინეობა წარმოებდა კვირაში სამჯერ, საღამოობით 5-8 საათამდე. რასაკვირველია, მე გამოვიყენე პედაგოგიური ინსტიტუტის მსმენელები. სტუდიაში ირიცხებოდა 40 მოსწავლე. მასწავლებლებად მოვიწვიე ბალეტმაისტერი ვ. ვაკარეცი და ბალერინა თ. ბალანჩივაძე. პირადად მე ვასწავლიდი ქართულ ცეკვას. სტუდიაში მეცადინეობა ქართულ, კლასიკურ და სახასიათო ცეკვაში სისტემატურად მიმდინარეობდა. გარდა მაცადინეობისა ვდგამდით ცეკვებს. ქართული ხალხური ცეკვებიდან მე დავდგი: *ფერხული, ხორუმი, გოგონა, სახუმარო, ქალთა ცეკვა.*

იმ ხანებში ბათუმში არსებობდა მომღერალთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნიჭიერი ლოტბარი მელიტონ კუხიანიძე. გუნდის კონცერტები დიდი მოწონებით სარგებლობდა, მაგრამ ვინაიდან არ ჰყავდა მოცეკვავეთა ანსამბლი, მელიტონ კუხიანიძის თხოვნა, რომ ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეთა ნაწილი შემეერთებინა მომღერალთა გუნდთან, მე შევასრულე და დავიწყე მასთან მუშაობა. გუნდთან ერთად დავამუშავე ფერხული შესაფერისი მიზანსცენებით, ცეკვა *ქართული. ქალთა ცეკვა, გოგონა, მთიულური* და *სხვა.* მე და კუხიანიძე შევთანხმდით, რომ, თუ დადგებოდა საკითხი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტებზე გამგზავრების შესახებ, მეც თან უნდა წავყოლოდი ქორეოგრაფიული სტუდიის შემადგენლობით. ასეც მოხდა. 1929 წელს დავიწყეთ მზადება. მელიტონი ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდს, მე კი – ცეკვებს. ამავე წელს, საქართველოს ოლიმპიადაზე თბილისში გუნდმა და ცეკვებმა ჯილდო დაიმსახურა. ეს აძლევდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს უფლებას, ემოგზაურა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში კონცერტებით. ქორეოგრაფიული სტუდიის მოცეკვავეთათვის შესაფერისი ტანსაცმელი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან გამოვიტანეთ. დაიწყო მოგზაურობა. ჩავედით ხარკოვში, შემდეგ მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში და ა.შ.

ქორეოგრაფიული სტუდიიდან მოცეკვავეთა ანსამბლში შედიოდნენ: მარიამ გიორხელიძე, ქეთო გაჩეჩილაძე, ვალენტინა ღვინჯილია, ალიოშა ავალიანი, ბეჭრი ჯაფარიძე, ხალვაში, ინაიშვილი, კაიკაციშვილი, საკანდელიძე და სხვები, რომელთა გვარები მე დამავიწყდა. გუნდსა და ქორეოგრაფიულ სტუდიას ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად.

ქ. ბათუმის ქორეოგრაფიულ სტუდიაში მუშაობამ და კვლევითმა შრომამ მე ბევრი რამ შემძინა. დავაგროვე აუარებელი მასალა, როგორც პრაქტიკული, ისე კვლევითი. გარდა იმისა, რომ მე კუხიანიძის მომღერალთა გუნდში ვმუშაობდი, ფიზიკური კულტურის წრეებშიც ვმოღვაწეობდი ქორეოგრაფიაში – გამომქონდა ჩემი ნამუშევარი საჯაროდ – *ფერხული, ხორუმი, ქალთა ცეკვა, სახუმარო, ქართული* და სხვა. ამავე დროს აჭარის პედაგოგიური ინსიტიტუტის მოსწავლეებთან დავამზადე მხატვრულ-ფიზკულტურული პიესა „ძველ ელადაში“. მთელი რეკვიზიტი და მოწყობილობა მხატვარ ვ. ილიუშინის, მშობელთა საბჭოს (რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მარგო და მარო ლორთქიფანიძეები) და მოწაფეების დახმარებით მოვამზადე. მუსიკა დაწერა და დირიჟორობდა კომპოზიტორი

შალვა თაქთაქიშვილი. მე მეხმარებოდნენ: მ. ლორთქიფანიძე, ქ. ყუფარაძე, ი. ზაქარაძე და ე. მეგრელიძე. პიესას ასრულებდნენ პედაგოგიური ინსტიტუტის მოწაფეები, ე.ი. აჭარელი ახალგაზრდობა, რაც აღტაცებას იწვევდა დამსწრე საზოგადოებაში. სრულიად სამართლიანად აღნიშნავდნენ თეატრში მყოფი მოხუცი გლეხები: საბჭოთა წეს-წყობილება რომ არ ღირსებოდა აჭარისტანს, ეს ახალგაზრდები ახლა მწყემსებად იქნებოდნენო.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოწაფე ე. მეგრელიძის მოხსენებამ, რომელშიც გარკვევით იყო დახასიათებული ფიზკულტურის როლი წარსულში და საბჭოთა ხელისუფლების დროს. იხ. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ 12–10 1965წ. №200 (დოკ. შ. ნიჟარაძის მოხსენებიდან).

აი, რას იტყობინებოდნენ 1928 წელს საბჭოთა აჭარის გაზეთები და აფიშები: „ბათუმის აკადემიურ თეატრში ჩატარდება აჭარისტანის პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრულ–ფიზკულტურული საღამო. დაიდგმება ანტიკური სტილის მხატვრულ-ტანვარჯიშული სპექტაკლი „ელადაში“, რომლის ლიბრეტო და დადგმა ეკუთვნის დ. ჯავრიშვილს, ხოლო მუსიკა შ. თაქთაქიშვილს. სპექტაკლის გრანდიოზულობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის 90 მოწაფემ, რომელთა შორის 75 ტანმოვარჯიშე იყო. ამ სანახაობამ ქალაქში პირდაპირ სენსაცია გამოიწვია, ხოლო დ. ჯავრიშვილი, ხელოვანის ენით რომ ვთქვათ, მოგვევლინა, როგორც მხატვრული ტანვარჯიშის კომპოზიტორი“.

საქართველოს სსრ განათლების კომისრის ბრძანებით მე გადამიყვანეს ქ. თბილისში განათლების კომისარიატის ფიზიკური აღზრდის მთავარ ინსპექტორად და შეთავსებით ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

მე დიდად მადლობელი ვარ აჭარელი ხალხის ჩემდამი დამოკიდებულებისათვის. ისინი ყოველივე დახმარებას მიწევდნენ ჩემს მუშაობაში. მე იქ დავიწყე მუშაობა ქორეოგრაფიის დარგში და შემდეგში ქორეოგრაფიული ხელოვნება ჩემს სპეციალობად გავიხადე.

დავით ჯავრიშვილი

უთარიღო

დავით ჯავრიშვილის შეხედულება ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლზე

ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ამოცანას წარმოადგენს: ქართული ხალხური ქორეოგრაფიული მასალის შეკრება-შეგროვება, მისი შესაფერისად გადამუშავება და მაღალმხატვრულ დონეზედ საჯაროდ გამოტანა.

ცნობილია, რომ დაარსების პირველ დღიდანვე ანსამბლი ფრიად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა და ეწევა ამჟამადაც. საბჭოთა კავშირის მრავალ ანსამბლთა შორის მას, უდავოდ, საპატიო ადგილი უჭირავს. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უჩენდა ანსამბლს, ჯეროვანი შეფასება მისცა მას და მისი ხელმძღვანელნი ი. სუხიშვილი და ნ. რამიშვილი სტალინური პრემიით დააჯილდოვა.

ანსამბლმა დიდი სახელი მოიხვეჭა, როგორც საბჭოთა კავშირში ასევე საზღვარგარეთაც. უდავოა, რომ ანსამბლს დღემდე დიდი მხატვრული მიღწევები აქვს, მაგრამ, ვინაიდან დღითიდღე იზრდება საბჭოთა მაყურებლის მოთხოვნილება ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი, მათ შორის ქორეოგრაფიული ხელოვნებისადმი, საბჭოთა მაყურებელი მოითხოვს არა მარტო ხალხური ქორეოგრაფიული მასალის შეგროვებას და დიდი სიფრთხილით მის გადამუშავებას, არამედ ხალხური მხატვრული შემოქმედების მასალის

საფუძველზე ისეთი ახალი ცეკვების შექმნას, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის მძლავრ აღმავლობას, რომლებიც გამოავლინებს ქართველი ხალხის კეთილშობილურ და მაღალზნეობრივ ბუნებას, მის პატრიოტულ და რევოლუციურ ტრადიციებს.

ქართულ ცეკვას არ ახასიათებს შეუფერებელი ყიჟინა-ყვირილი, ზედმეტი ფუსფუსი, ტემპის ხელოვნური აჩქარება გარეგნული ეფექტის მისაღებად ხმალ-ხანჯლის უადგილოდ ხმარება, ულამაზო და განუწყვეტელი ხტუნვა, ფეხების ქნევა გარკვეული საილეთო ნახაზის გარეშე. ეს არ შეეფერება ქართული ცეკვის კეთილშობილურ ბუნებას. ამიტომ ანსამბლის საკონცერტო პროგრამაში თუ ადგილი აქვს ისეთ მომენტებს, რომლებიც არამც თუ ამაღლებენ ანსამბლის მხატვრული შესრულების დონეს, არამედ, პირიქით, ხელს უშლიან მას, ხელმძღვანელობა უნდა შეეცადოს, რაც შეიძლება ადრე გაათავისუფლოს პროგრამა ხელშემშლელი მომენტებისგან და არ დაუშვას შემდგომში არავითარი დამახინჯება.

ქართული ცეკვის ნიშანდობლივი თვისებაა ქალისადმი ვაჟის მოკრძალებით, თავაზიანად და პატივისცემით მოპყრობა და ეს ძალაში რჩება სახუმარო და საოხუნჯო ცეკვებისათვისაც, ამიტომ ანსამბლისათვის ამ თვისებების დაცვა-შენარჩუნება პირდაპირ მოვალეობად უნდა გადაიქცეს, მით უმეტეს, რომ სახელმწიფო ანსამბლის მაგალითს მისდევენ თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრეები, კოლექტივები, ცდილობენ მიბაძონ მას, როგორც ამ დარგში წამყვან და სამაგალითო ორგანიზაციას.

ანსამბლმა თავისი არსებობის მანძილზე დაამუშავა ორი პროგრამა. პირველ პროგრამას შეადგენდა სადივერტისმენტო ნომრები ცალკეული ცეკვების სახით. გარდა ქორეოგრაფიული ეტიუდისა *ძველი თბილისი*, პირველ პროგრამაში შეტანილი იყო მეზობელი რესპუბლიკების ორი ცეკვა. ჩემი აზრით, ეს დასაშვებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ანსამბლის თითოეული მსახიობი ვალდებულია გაეცნოს საბჭოთა კავშირის სხვა დანარჩენი რესპუბლიკების ცეკვებსაც. კარგად შესწავლილი ამგვარი ცეკვები შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში შესრულებულ იქნას კონცერტზე მოძმე ხალხთა პატივსაცემად. ასეთ შემთხვევაში, ანსამბლი, რასაკვირველია, ვალდებულია საჯაროდ აცხადებდეს სცენიდან ან აფიშის საშუალებით, თუ რომელი ერის ცეკვაა და რა სახელი ეწოდება მას.

პირველი პროგრამის განხილვას რომ შევუდგეთ, დავინახავთ, რომ იგი მრავალფეროვანია. ცეკვების უმრავლესობა კარგადაა დამუშავებული, ხოლო, რაც შეეხება ცეკვა *მხედრულს* და ძველი თბილისის ცეკვებს, ჩემი აზრით, აქ საჭიროა ზოგიერთი კორექტივის შეტანა. მაგალითად, ცეკვა *მხედრულში*: თუ ხმლების ხმარება აუცილებელია, მათი გამოყენება საჭიროა უფრო მკვეთრად. მეგობრული კეჭნაობა ისე სუფთად და სიადვილით უნდა მიმდინარეობდეს, რომ მაყურებელში არ იწვევდეს შიშს – ერთმა მეორეს თავი არ წასჭრას. ილეთთა შერჩევასა და ოდენობაში დაცული იყოს ზომიერება. რაც შეეხება ყიჟინა-ჟრიამულს, რომელსაც ადგილი აქვს ცეკვის ფინალში, ყოვლად დაუშვებელია და ანსამბლის ხელმძღვანელობა უთუოდ ადვილად დაგვეთანხმება ამის მოსპობის აუცილებელ საჭიროებაში.

ძველი თბილისის ცეკვაში კინტოების გამოსვლა, მათი მიხვრა-მოხრა, თვით ცეკვა და შემდეგ ჭიდაობა (როგორც სახუმარო ელემენტი), ჩემი აზრით, არსებითად უნდა შესწორდეს ან ახლად დამუშავდეს.

მეორე პროგრამა, რომლის მთავარ ნაწილსაც შეადგენს ქორეოგრაფიული სიუიტა *საქართველოს მთებში*, არ ეწინააღმდეგება ანსამბლის ამოცანებს, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია არ გვაკმაყოფილებდეს ზოგიერთი მკაფიოდ გამოხატული შეცდომის გამო, უმეტესად სიუიტის მეორე ნაწილში (პარტიზანთა ბანაკში).

მთლიანად სიუიტის ლიბრეტოს რომ არ შევეხოთ და მხოლოდ ქორეოგრაფიულ ხერხებზე ვილაპარაკოთ, პირველი ნაწილი სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმაჩნია, რაც

შეეხება მეორეს, აქ ჩვენ სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია თოფებით ცეკვა, მოცეკვავეთა არასწორი განრიგება. ცეკვა *ხორუმის* მაგალითზე ჩვენ კარგად ვიცით, რომ დაზვერვა, იერიში, შებრძოლება, მტერზე გამარჯვება და სხვა შესაძლებელია მხატვრულად გადმოიცეს ბუტაფორული საბრძოლო იარაღის გარეშე, უფრო მეტიც, ბუტაფორული იარაღის ხმარება *ხორუმში* სულ მთლად წაშლიდა მის წარმტაც კოლორიტს, გაანადგურებდა მის მხატვრულ სიძლიერეს. ბევრად მოიგებდა სიუიტის მეორე სურათი, რომ იქ იარაღს მხოლოდ დეკორაციული როლი ეთამაშა. პარტიზანთა ჩაცმულობაც არ არის სწორად გადაჭრილი.
სიუიტის მესამე ნაწილი (პარტიზანთა შინ დაბრუნება) მოითხოვს ცოტაოდენ გადამუშავებას. აქ, მაგალითად, უადგილოა ლახტის თამაში და ჭიდაობა (ამ ორი ნომრის გამოტანა შეიძლება პროგრამის დივერტისმენტულ ნაწილში).

ზემოაღნიშნული შენიშვნების საფუძველზე ორივე პროგრამის გადათვალიერება ანსამბლის ხელმძღვანელობისათვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ანსამბლის მუშაობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით შეიძლება დავისახოთ ზოგიერთი პრაქტიკული ღონისძიება:

- ქართული ხალხური ცეკვის უფრო მეტად პოპულარიზაციის მიზნით, სასურველია ისეთი ცეკვების აღდგენა, როგორიცაა: *ლელე-ლეკურ კაბა, ქალტაციობა* (რაფიელ ერისთავის აღწერით), სკუპიანი ფერხული *ფარცა-კუკუ* (მოძრავი თამაში), *ყეენობა, ბერიკობა, რაჭული ფერხული, ლაზური ფერხული, ქართლური ფერხული, კომბლური, ქუდ-აფრენა, ნაბდურა.*

- გადაისინჯოს როგორც პირველი, აგრეთვე მეორე პროგრამის ნომრები მათი გადახალისების მიზნით.

- დამუშავდეს და დაიდგას უფრო მეტი რაოდენობის ქალთა ცეკვა.

- დამუშავდეს მესამე პროგრამა, რომელშიც შესაფერისი ადგილი დაეთმობა ახალ ცეკვებს.

- კომპოზიტორთა დახმარებით შეიკრიბოს და დამუშავდეს ხალხური საცეკვაო მელოდიები, ეთნოგრაფიული ფორმის შენარჩუნებით, რომლებსაც შემდგომში შეისწავლიან ანსამბლის მესაკრავეები.

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუსიკალური მასალისათვის მოცემული ტემპის დაცვას.

- დამუშავდეს პროგრამების პროექტი, რომელშიც თითოეული ცეკვა იქნება აღწერილ-განმარტებული.

- პროგრამის გაფართოების გამო ანსამბლს დაემატოს ხუთი მოცეკვავე მსახიობი.

დავით ჯავრიშვილი

1952 წ.

პატიმარ მიხეილ ბაკურაძის წერილი დავით ჯავრიშვილისადმი წიგნი მთიურის საკითხებთან დაკავშირებით

გამარჯობათ, ძვირფასო დავით!

ამ წერილის მიღებამ შეიძლება გაგაკვირვოთ, ძვირფასო მასწავლებელო, რადგან პირადად არ ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ სრულებითაც არ მეუხერხულება გიწოდოთ მასწავლებელი, იმ კაცმა, რომელიც ამჟამად იზოლირებული არის. თქვენმა *მთიულურმა ცეკვებმა* (1953 წლის გამოცემა), რომელიც შემთხვევით ჩამივარდა ხელში, იმდენად შემაყვარა ხელოვნების ეს დარგი, რომ წარმოიდგინეთ, დამოუკიდებლად ვიღებ წიგნის მიხედვით ილეთებს, მიუხედავათ იმისა, რომ უკვე ხნიერი ვარ (35 წლის) მაინც ახალგაზრდული გატაცებით ვსწავლობ ილეთებს. დიდი ხანია მინდოდა მომეწერა თქვენთვის ბარათი და ორიოდე სიტყვით გადამეხადა მადლობა ესოდენ კარგად დაწერილი წიგნის გამო, ადვილად მისახვედრი ენით.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ძვირფასო მასწავლებელო, კიდევ მრავალი წიგნი დაგეწეროთ ქართულ ცეკვებზე, რომელთაც მსოფლიო განაცვიფრა თავისი სილამაზით და სიჩაუქით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ხშირად ბრძოლა მიხდება ზოგიერთებთან, რომელნიც მიმტკიცებენ – ჯავრიშვილი თვითონ არა ცეკვავსო და მაგისი წიგნით ვერაფერს ვერ ისწავლი, თუ პროფესიონალმა მოცეკვავემ არ აგიხსნა ილეთებიო, მაგრამ მე ზოგიერთი კი არა ვარ, თითქმის სუყველა ილეთი ავიღე და, რომ დრო და საშუალება მქონდეს (აქ ჯერ კიდევ მოუწყობელად ვართ, ახალი ლაგერია), მუსიკის ტაქტშიაც დავამუშავებდი. წინანდალში მყავდა ჯგუფი, რომლსაც შევასწავლე მარტივი ილეთები და პატარ-პატარა ნახაზებსაც ვაკეთებდი ჩემით.

რა ვქნა, კაცო, მთიელი ქართველი ვარ (თუში). ბავშვობა და ყრმობა ძალიან ცუდ პირობებში გავატარე, თორემ, ალბათ, საუკეთესო მოსწავლე ვიქნებოდი თქვენი, თავის დროზე რომ მოვხვედრილიყავი თქვენს სასწავლებელში. ხომ მოგეხსენებათ, თესლს ნიადაგი უნდა, როგორიც გინდა კარგი თესლი იყოს, უნიადაგოდ ნაყოფს არ გამოიღებს. და, აი, „მოხუცებულობის“ დროს შეუდექ და მინდა პატარად მიზანს მივაღწიო. ეს იმითაც არის გამოწვეული (ჩემი გატაცება), რომ თქვენმა წიგნმა იმოქმედა ძლიერად და, ჩემო ძვირფასო, ალბათ, სერვანტესის „დონ კიხოტი“ გაგახსენდებათ ამ წერილის წაკითხვის დროს. მაგრამ მაინც თავს არ გავანებებ, რა ვქნა, შემიყვარდა ეს ხელოვნება.

გთხოვთ, ჩემო ძვირფასო, ორიოდე სიტყვით... მიპასუხოთ ამ ბარათზე, თუ ძალიან არ შეწუხდებით. მისამართიც არ ვიცი თქვენი, ვაგზავნი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. ორიოდე სიტყვით მინდა ჩემი ვინაობა გაცნობოთ, წარმოშობით ვარ თუში, 1947 წელს დავჭერი დედინაცვალი, ცხრა წელი ვიყავი გაქცეული (მაგრამ, ჩემო ძვირფასო, არსად არაფერი არ გამიკეთებია კარგის გარდა) და 1956 წლის 15 ოქტომბერს გამოვცხადდი თვითონ, ჩემის ფეხით. მომისაჯეს შვიდი წელი და მას შემდეგ ვზივარ.

როგორც მთის კაცი ცხვარში ვიყავი შეცვლილი გვარ-სახელით. ზამთარში ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე, ზაფხულში კი კავკასიონის იალაღებზე.

აი, ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია. იმიტომ შეგაწუხეთ ჩემი ამბით, ძვირფასო მასწავლებელო, რომ ჩვენ, პატიმრებს, ისეთი წარმოდგენა გვაქვს, თითქოს ყველა სიძულვილით გვიცქერისო. თუმცა ჩავიდინე დანაშაული ფრიად მძიმე, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ თვითონ მიმიყვანა იმ ზომამდე. დანარჩენს თვითონ გიამბობთ, თუ მალე გამოვედი და, თუ არა, თქვენი წიგნები ხომ ხელთა მაქვს. შევეცდები შევასწავლო ჩვენს მთიელებს თქვენ მიერ დაწერილი და შექმნილი ცეკვები.

ძალიან გავაგრძელე და დიდ ბოდიშს ვიხდი რომ შეგაწუხეთ.

კაცო, წარმოიდგინეთ როგორ არ უნდა შემყვარებოდა ქართული ცეკვები, როდესაც ინგლისელი მწერალი ქალი, რომელიც 1893 წელს მოგზაურობდა საქართველოში, ერთ-ერთ წვეულებაზე ქუთაისში, სადაც ილიაც თურმე ესწრებოდა, ისე მოსწონებია, რომ აღტაცებით წარმოუთქვამს: ცეკვა *ქართული* ნამდვილი პოეტურობაა, იგი გარწმუნებს, რომ ცეკვა ხელოვნებაა სავსებით განსხვავებული მოუხეშავი, თავბრუდამხვევი სამეჯლისო ვალსებისაგან (მარჯორი უორდროპი).

ეხ! ჩემო ძვირფასო, უცხოელებიც კი ასეთი აღტაცებულები არიან ქართული ცეკვებით და ხვდებიან ცეკვის არსს და ჯერ კიდევ ჩვენთან არიან პირნი, რომელნიც ბრმანი არიან ამ დარგში. მეუბნებიან: რაც შენ იცი, ეგ ასწავლეო. ჯგუფი შეადგინეს. არც გარმონი, არც დოლი, არც კლუბი. მე კიდე მიწა და ბეტონზე ვმუშაობ, მხოლოდ იმაზე მტკივა გული, რომ წარმოდგენაც არა აქვთ, თუ რა არის ხელოვნება.

მშვიდობით. გულწრფელი პატივისცემით მიხეილ ბაკურაძე.

30/IX/1954

ხელოვნების სამმართველოს უფროსს რ. ს. შადურს
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ლ. ჯავრიშვილის

განცხადება

განზრახვა მაქვს მიმდინარე წლის ბოლომდე დავამუშავო გამოსაცემად ქართული ქორეოგრაფიის სახელმძღვანელო სახელწოდებით *ქართული ქორეოგრაფიის საფუძვლები*.

აღნიშნული სახელმძღვანელო დამუშავებული იქნება ქართულ და რუსულ ენებზე და შეიცავს ქართული ქორეოგრაფიის სისტემას, ტექნოლოგიას და მეთოდოლოგიას.

სახელმძღვანელო ილუსტრირებული იქნება 200 სურათით და ნახაზებით, ბოლოში თან დაერთვის ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ტერმინოლოგია. სახლემძღვანელოს მოცულობა დაახლოვებით 7-8 ფორმა იქნება.

თუ ჩემი წინადადება თქვენ მიერ მოწონებული იქნა, გთხოვთ დამიდოთ აღნიშნულ სახელმძღვანელოს დამუშავებაზე სათანადო ხელშეკრულება.

დავით ჯავრიშვილი
უთარიღო

დავით ჯავრიშვილის წერილი ქართველ თეატრმცოდნეს დიმიტრი ჯანელიძეს

ძვირფასო ბატონო დიმიტრი!

ქართველ ქალთა ცეკვები მზადაა დასაბეჭდად. როგორც ჩვენ უწინ შევთანხმდით, რედაქტორი ხართ თქვენ, ამიტომ საჭიროა ჩემი ნაშრომის გადაკითხვა.

მე საჭიროდ ვცნობ, პირადად გაგაცნოთ ის ილუსტრაციები და ნოტები, რომლებიც თან ახლავს ამ ნაშრომს.

გთხოვთ, თავისუფალ დროს როგორმე შემოიაროთ ჩემთან ამ ილუსტრაციების და ნოტების გადასასინჯად.

ციური სალმით დათა ჯავრიშვილი

უთარიღო

ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოწყობილ წვეულებაზე დავით ჯავრიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

ძვირფასო მეგობრებო!

მე სიტყვები არ მყოფნის გამოვთქვა ის სიხარული, რომელსაც განვიცდი თქვენთან შეხვედრისას იმ მიწა-წყალზე და იმ კედლებში, სადაც ფაქტობრივად დაიწყო ჩემი მუშაობა პედაგოგისა ხელოვნების დარგში.

უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ ჩემს მოწაფეებს ესოდენ სათუთად და ტკბილად შემოუნახავთ ჩვენი ურთიერთობის მოგონებანი. დიდად ვამაყობ, რომ ბევრი თქვენგანი ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილებად დაიზარდნენ და ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ მათი პიროვნებების ჩამოყალიბებაში მცირეოდენი წვლილი მეც მიმიძღვის.

დიდ მადლობას ვუძღვნი აჭარის რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, ძვირფას მოწაფეებსა და მთელ საზოგადოებას, რომელთაც ჩემ მიმართ ესოდენ დიდი პატივისცემა და გულისხმიერება გამოიჩინეს.

დ. ჯავრიშვილი
ქ. ბათუმი
10 ოქტომბერი, 1965 წელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. გ. ი. ხუციშვილს

მ. ჯავრიშვილის (მცხ. თბილისი, ლენინის 63. ბინა 52)

განცხადება

აწ განსვენებულმა ჩემმა მეუღლემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა დავით ჯავრიშვილმა 1970 წელს გამომცემლობა „ხელოვნებას“ გადასცა დასაბეჭდად სპეციალისტებისაგან მოწონებული 20 თაბახის მოცულობის ორიგინალური შრომა: *ქართველ ქალთა ცეკვები*, რომელიც წარმოადგენს მრავალი წლის კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის შედეგს ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროში. შრომაში აღწერილია ავტორის მიერ შეგროვებული, აღდგენილი, გადამუშავებული და დადგმული ქალთა ცეკვები. წიგნში შესულია ცეკვების ტექნოლოგიური მასალა, შესრულების ყველა თავისებურება, მოცემულია ცეკვის ორიგინალური გრაფიკული ნახაზები, ტერმინოლოგია, დასურათებული მოძრაობანი და მუსიკალური მასალა.

აღნიშნული წიგნი გამომცემლობამ 1970 წელს გაითვალისწინა 1973 წლის გეგმაში, მაგრამ, როგორც გამოირკვა, მომავალი წლის გეგმიდანაც ამოუღიათ „გეგმის შეზღუდულობის“ გამო.

გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ მსგავსი წიგნი ქართულ ქორეოგრაფიაში არ არსებობს და ამავე დროს ანგარიში გაუწიოთ ჩემს (პენსიონერის) ეკონომიკურ მდგომარეობას და დამეხმაროთ, რათა ზემოთ დასახელებული შრომა შეტანილი იქნას მომავალი 1973 წლის საგამომცემლო გეგმაში.

მ. ჯავრიშვილი
12. 05. 72წ.

დავით ჯავრიშვილის მეუღლის მარიამ ჯავრიშვილის წერილი ქორეოგრაფ ავთანდილ თათარაძეს

ითხოვს: დავით ჯავრიშვილის ნაშრომების გამოყენების შემთხვევაში მისი სახელისა და წყაროს სრულ ციტირებას და მადლობას უხდის ძალისხმევისათვის, რათა დ. ჯავრიშვილის ისტორიული წვლილი ქართული ქორეოგრაფიის ისტორიაში ობიექტურად შეფასდეს და წარმოჩნდეს.

დიდად პატივცემულო ავთანდილ, რამდენიმე დღის წინათ შემთხვევით წავიკითხე გაზეთ „როკვას“ ერთ-ერთი ნომერი, მასში მოთავსებულმა რამდენიმე განცხადებამ გამაოცა და დამაწერინა ეს წერილი. მე ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ თქვენ ყველა ღონეს ხმარობთ, რათა დავით ჯავრიშვილის სახელმა და მისი მოღვაწეობის შეფასებამ დაიკავოს საქართველოს ხელოვნების ისტორიაში ის ადგილი, რომელიც მას ჭეშმარიტად ეკუთვნის, და მაინც უნდა მოგახსენოთ რომ:

1. დავითის გარდაცვალების შემდეგ არც ერთი მისი ნაშრომის (წიგნი, პლაკატი, მეთოდური წერილები, პროგრამები და ა.შ.), აგრეთვე, მათი თარგმანის გამოცემა არ მოხდეს დავითის მემკვიდრეების თანხმობის გარეშე (მხედველობაში მაქვს ცეკვა *ქართულიც*, რომლის გამოცემასაც თქვენ ვარაუდობთ).

2. წიგნი *ქართველ ქალთა ცეკვები* არ იყო გამოცემული 20 წლის წინ, იგი 21 წელი იდო გამომცემლობა „ხელოვნებაში“ და დღემდე არ არის გამოცემული. ამიტომ მის ხელახალ გამოცემაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი.

ყოველივე ამის გამო (დამეთანხმებით და, ალბათ, დამეხმარებით კიდეც) ჩვენ ვეცდებით, თვალყური ვადევნოთ და გავეცნოთ ყოველ ახალ ნაშრომს ქორეოგრაფიის დარგში, (ღმერთმა გვიმრავლოს ახალი საინტერესო წიგნები), რათა არ დავუშვათ დავითის ნებისმიერი შრომის გამოყენება მისი სახელისა და წყაროს სრული ციტირების გარეშე.

გისურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში და წარმატებებს თქვენს მუშაობაში

პატივისცემით მარიამ ჯავრიშვილი
7 მარტი 1992 წელი

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, მიხეილ შუბაშკელის ახალშემოსულ საოჯახო არქივში (ცენტრს ოჯახის თანხმობით გადასცა უჩა დვალიშვილმა, გააციფრა ნანა კალანდაძემ), აღმოჩნდა მეტად საინტერესო ორი დოკუმენტი, რომელთა ამ წიგნში შეტანა აუცილებლობად მივიჩნიეთ, ვინაიდან ეს დავით ჯავრიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების განუყოფელი ნაწილია და მკითხველი უნდა იცნობდეს მას (– რედ.).

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის
დირექტორს ამხ. კოკელაძეს

რამდენიმე თვეა, რაც გამოვიდა წიგნი დ. ჯავრიშვილის ცეკვა *ქართული*. არ ვიცი, იყო თუ არა შედგენილი კომისია, ამ წიგნის შესამოწმებლად, თუმცა, როგორც ავტორი ამბობს, წიგნი დაიბეჭდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმეთა კომიტეტის თაოსნობით. მე დარწმუნებული ვარ, რომ პირადად თქვენ დამეთანხმებით, რომ ამ წიგნში ბევრი დამახინჯება არის

ცეკვის პრინციპებისა. საჭიროა, შედგეს კომისია, რომელიც შეამოწმებს წიგნს და ძველ დამახინჯებას ბევრ ანსამბლში არ მიემატოს ახალი. გთხოვთ, თუ შედგება კომისია, მომიწვიოთ როგორც მცოდნე ცეკვისა.

გიორგი ბახუტაშვილი[1]

რეზოლუცია

ამხ. შუბაშიკელს, თხოვეთ ამხ. ბახუტაშვილს წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი ჯავრიშვილის წიგნში არსებული დამახინჯებების შესახებ, რომელიც გაიტანეთ შემდეგ სექციაზე.

გრ. კოკელაძე
9 V 1952 წ.



1 გიორგი ბახუტაშვილი – მოცეკვავე, მსახიობი, ცეკვა *ქართულის* ცალად შემსრულებელი.

ნატა ჯავრიშვილის წერილი ჯანსულ კახიძეს დავით ჯავრიშვილის უგულებელყოფის გამო

დიდად პატივცემულო ბატონო ჯანსულ!

ქართველი ხალხისათვის თქვენ ბრძანდებით ყოველივე ჭეშმარიტის, ნატიფისა და მშვენიერის მატარებელი თქვენ რთულ ხელოვნებაში – მუსიკაში. მით უფრო საწყენია თქვენგან უსამართლობის და უზუსტობის გაგონება.

სატელევიზიო გადაცემაში, რომელიც მოგვითხრობდა ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრის ტრიუმფალურ წარმატებაზე მოსკოვში, თქვენ საუბრობდით ქართული ნაციონალური ხელოვნების აყვავებაზე 30-იან წლებში და იხსენებდით „ლეგენდარულ ვ. ჭაბუკიანს“, თუმცა უფრო მართებული იქნებოდა გახსენება ლეგენდარული დათა ჯავრიშვილისა, რომლის სახელთან დაკავშირებულია ქართული ნაციონალური ქორეოგრაფიის ჩასახვა და აღორძინება.

მე არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენ ეს შეცდომა განზრახ დაუშვით (თუმცა ისეთი შთაბეჭდილება იქმნება უკანასკნელ წლებში, თითქოს ვიღაცა ყოველნაირად ცდილობს ამოშალოს ეს სახელი ქართული ხელოვნების ისტორიიდან), აგრეთვე, არ მჯერა, რომ თქვენ შეიძლება არ იცოდეთ, რომ დავით ჯავრიშვილის სახელი 30–იან წლებში განუყოფელი იყო ევგენი მიქელაძისა და ალექსანდრე წუწუნავას სახელებისაგან. განსაკუთრებით ზაქარია ფალიაშვილის დიდებულ ნაწარმოებებში, რომლებშიც დადგმული ცეკვები ქართული ნაციონალური ბალეტის ჭეშმარიტი მარგალიტებია. დ. ჯავრიშვილის მიერ დადგმულ ცეკვებს იმდენად დიდი წარმატება ჰქონდათ, რომ მოსკოვში დიდი თეატრის ქორეოგრაფიულ სკოლაში გაიხსნა ქართული ცეკვის სპეციალური კლასი, რომელსაც დ. ჯავრიშვილი უძღვებოდა. უსამართლო იქნებოდა დავიწყება ხელოვნებისა და თავისი ხალხის პატრიოტის სახელისა, ადამიანისა, რომელმაც მისცა სიცოცხლე და უკვდავება ქართულ ცეკვას.

მე ვერ გავბედავდი თქვენთვის მომეწერა ეს წერილი, რომ კარგად არ მცოდნოდა დავით ჯავრიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამასთანავე არა ვარ დარწმუნებული, რომ ამას გააკეთებს რომელიმე ხელოვნებათმცოდნეთაგანი. როგორც ჭეშმარიტი შემოქმედი თქვენ გამიგებთ და არ მიიღებთ ამ წერილს საწყენად.

გისურვებთ დიდი შემოქმედებით წარმატებებს.

ნატა ჯავრიშვილი
უთარიღო

მიხეილ შუბაშიკელის ჩანაწერები

საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ბატ. დავითის ნაშრომის ცეკვა *ქართულის* განხილვამ. (როგორც ჩანს, ცეკვა ქართული განუხილავთ ქორეოგრაფიული სექციის სხდომაზეც და საჯაროდაც – რედ.). სიტყვაში გამომსვლელებმა ილაპარაკეს ცეკვა *ქართულის* ავკარგიანობის შესახებ. ძირითადში იყო ქება, მაგრამ არც ნაკლი დაუფარავთ. განხილვის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ ცეკვა *ქართული* ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომად აღიარა. ცეკვა *ქართულის* საჯარო განხილვით კმაყოფილმა ბატონმა დავითმა ყველას მადლობა გადაუხადა ჯანსაღი კრიტიკით გამოსვლისათვის...

ბატონი დავითი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოში ჩატარებულ ოლიმპიადებში, ფესტივალებსა და კონკურსებში. ხშირად იყო საორგანიზაციო კომიტეტისა და ჟიურის წევრი, მათთვის წერდა დამხმარე ბროშურებსა და მეთოდურ წერილებს. უშუალოდ პრაქტიკულ დახმარებას უწევდა ქორეოგრაფიულ კოლექტივებსა და მათ ხელმძღვანელებს. საჭიროების მიხედვით ატარებდა კონსულტაციებს.

მე, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი რამ შემეძლო დამეწერა და მეთქვა ამ დიდებული მოღვაწის შესახებ, მაგრამ, უმჯობესია, გაგაცნოთ უცხო სპეციალისტთა შეფასება: 1959 წელს ჟურნალ „ხელოვნების“ სპეციალური დაკვეთით, მოსკოვის აკადემიური დიდი თეატრის სოლისტების – სუსანა ზვიაგინასა და ანატოლი კუზნეცოვის მიერ დაიწერა ნარკვევი ბატონი დავითის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ სათაურით: „ქართული ხალხური ქორეოგრაფიის შესანიშნავი მკვლევარი და თეორეტიკოსი“ (ილუსტრაციებითა და ფოტოებით). ამ ნარკვევიდან გთავაზობთ მცირე ამონაწერს:

„ჩვენ მთელი სიღრმით გავეცანით და დავაფასეთ ქართული ქორეოგრაფიის სილამაზე და მშვენიერება. 1939 წელს, როცა დიდ თეატრში ოპერა *აბესალომ და ეთერში* დასადგმელად მოიწვიეს საქართველოს დამსახურებული მოღვაწე, ბალეტმაისტერი დავით ჯავრიშვილი, მისი მოწვევის ინიციატივა ეკუთვნოდა ამ დადგმის მუსიკალურ ხელმძღვანელს ალექსანდრე შამილის ძე მელიქ-ფაშაევს, რომელიც ჯერ კიდევ ადრე, თბილისში მუშაობის დროს, გაეცნო და დაუახლოვდა დავით ჯავრიშვილს, როგორც დიდ ოსტატს და ქართული ქორეოგრაფიის ჩინებულ მცოდნეს.

ჩვენი საბალეტო დასი ამ ბალეტმაისტერს იცნობდა მისი შესანიშნავი დადგმებით ქართული ხელოვნების პირველი დეკადის დროს (1937) და დიდი ინტერესით მოელოდა შემოქმედებით შეხვედრას მასთან. უნდა ითქვას, რომ დავით ჯავრიშვილმა პირველსავე რეპეტიციაზე დაგვიპყრო საქმის ღრმა ცოდნით. არ დავმალავთ, რომ მან ძირფესვიანად დაამსხვრია ჩვენი წარმოდგენა ქართულ ცეკვებზე, როგორც რაღაც თავზეხელაღებულ როკვაზე, კბილებში გარჭობილი ტრადიციული ხანჯლებით. წარმოდგენა, რომელიც გამოგვიმუშავდა ესტრადაზე კავკასიური ცეკვების შესრულებით, ერთმანეთის შემცვლელი უაზრო ხტომებით და შესრულების უცვლელი იაფფასიანი სტილით, რომელიც ქმნიდა ყალბ შთაბეჭდილებებს, როგორც ქართულ ცეკვებზე, ისე ქართველ ხალხზე საერთოდ.

დავით ჯავრიშვილმა ერთბაშად ყველაფერი ნათელი და გარკვეული გახადა ჩვენთვის. ჩვენ მოგვიხდა ქართული ცეკვების შესრულების მანერის ხელახლა შესწავლა, დაუნდობლად უკუგდება ყოველგვარი ნალექისა და მიტმასნილისა, რომელიც ჩვენ მაშინ ძალიან ეფექტური გვეგონა, მაგრამ გავიგეთ რა დავით ლავრენტის ძის ნაამბობით და ახსნა-განმარტებით ქართული ცეკვების არსი, მათი სილამაზე ჩვენ ხალისით უარვყავით ქართული ცეკვების წინანდელი გაგება და გატაცებით შევუდექით მათ ხელახლა შესწავლას.

დავით ჯავრიშვილის გაკვეთილებმა და ახსნა-განმარტებამ სულ სხვა რამ დაგვანახა: უკიდურესი გარეგნული სისადავე, თავდაჭერილობა, მოძრაობათა ზედმიწევნით

განლაგებული ჩვენება, რომელიც კი არ არეტიანებს და ჩიხში კი არ შეჰყავს მსახიობი, არამედ პირიქით, აღვიძებს მასში სურვილს, გაიგოს, აითვისოს, მიბაძოს და მიჰყვეს მოძრაობას. აი, რით განსხვავდებოდა დავით ჯავრიშვილის მუშაობა ჩვენთან. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენმა საბალეტო დასმა, რომელიც განებივრებული იყო დიდ თეატრში მომუშავე ბალეტმაისტერებით, იმთავითვე დიდად დააფასა დავით ჯავრიშვილი.

თეატრის ხელმძღვანელობამ, იმ განზრახვით, რომ ფართოდ გამოეყენებინა დავით ჯავრიშვილის ღრმა ცოდნა და გამოცდილება, მოიწვია იგი მთელი დასისათვის ორკვირიანი სემინარების ჩასატარებლად“.

აი, ასეა შეფასებული ბატონი დავითის მოღვაწეობა უცხო თვალით (სამწუხაროდ, მიხეილ შუბაშიკელის ჩანაწერები ნაკლულია. – რედ.).

მიხეილ შუბაშიკელის მოხსენებით ბარათი მიხეილ ჩირინაშვილს[1]

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური
სახლის დირექტორს ამხ. მ.ა. ჩირინაშვილს

მიხეილი ზაქარიას ძე შუბაშიკელის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ საჭიროა შეიქმნას ქართული ხალხური ცეკვების სრულყოფილი სახელმძღვანელო, რომელიც შემდეგ უნდა გამოიცეს წიგნად. აღნიშნული სახელმძღვანელო დახმარებას გაუწევს, როგორც საქართველოში არსებული მხატვრული თვითმოქმედი წრის ხელმძღვანელებს, ასევე ტექნიკუმის ქორეოგრაფიული განხრის მოსწავლეებს.

ამ საკითხის შესახებ საუბარი მქონდა საქ. ხელოვნების დამსახ. მოღვაწე ქორეოგრაფ დ. ჯავრიშვილთან, რის შედეგადაც დ. ჯავრიშვილმა შეიმუშავა და წარმოადგინა ზემოთ ხსენებული სახელმძღვანელოს გეგმის პროექტი – გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოს ტექსტი შეიცავს 14/15 ფორმას. რაც შეეხება ილუსტრაციებს და ნახაზებს, ჯერჯერობით გათვალისწინებული არ არის რამდენი ფორმა იქნება.

გთხოვთ დააყენოთ საკითხი კულტურის სამინისტროს წინაშე აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნისა და გამოცემის შესახებ. თუ მათი თანხმობა იქნება, იმ შემთხვევაში საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან არსებული ქორეოგრაფიული სექცია თანდათანობით განიხილავს დ. ჯავრიშვილის მიერ წარმოდგენილი გეგმით გათვალისწინებულ სახელმძღვანელოს მასალას. სახელმძღვანელო მზად იქნება ა/წ სექტემბრისათვის.

მოხსენებით ბარათს თან ერთვის ქორეოგრაფ დ. ჯავრიშვილის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელოზე მუშაობის გეგმა.

მიხეილ შუბაშიკელი
უთარიღო

1 მიხეილ შუბაშიკელის არქივში აღმოჩნდა კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომლის გამოქვეყნებაც საჭიროდ მივიჩნიეთ (– რედ.).

ფოტოსურათები

დავით ჯავრიშვილის დედა სოფიო ფალავანდიშვილი

იუნკერი დავით ჯავრიშვილი

სპორტსაზოგადოება *ამირანის* ერთ-ერთი დამაარსებელი და ვარჯიშთავის მოადგილე დავით ჯავრიშვილი. 1917 წელი



ჯანო ბაგრატიონი, დავით ჯავრიშვილი, გიორგი აღსაბაძე; XX საუკუნის 20-იანი წლები



აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. მეორე რიგში მარცხნიდან ზის დავით ჯავრიშვილი. მეოთხე რიგში სხედან: ნ. ლორთქიფანიძე, მელიტონ კუხიანიძე და ს. ვაკარეცი. 1928 წელი

დავით ჯავრიშვილი და ს. ვაკარეცი ბათუმის ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეებთან



სვანეთის ექსპედიცია. 1934 წელი

სვანეთის ექსპედიცია

სვანეთის ექსპედიცია

სვანეთის ექსპედიცია

სვანეთის ექსპედიცია

სვანეთის ექსპედიცია

სვანეთის ექსპედიცია

ლონდონის საერთაშორისო ფესტივალი, 1935 წელი.
მარცხნიდან დგანან: ვანო შაგულაშვილი (მედოლე), ძმები – ლევან და სერგო ზუბიაშვილები (მედუდუკეები), სერგო ონიაშვილი, მიხეილ ჩოჩიშვილი.
სხედან: ანტონ ჩიხლაძე, დავით ჯავრიშვილი, საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ელჩი ლონდონში ი. მაისკი, ილიკო სუხიშვილი, ვლადიმერ ხეთაგუროვი

ლონდონის საერთაშორისო ფესტივალი.
მარცხნიდან დგანან: ვანო შაგულაშვილი, სერგო ონიაშვილი,
სერგო ზუბუბიაშვილი, ლევან ზუბიაშვილი,
სხედან: მიხეილ ჩოჩიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ვლადიმერ ხეთაგუროვი და ანტონ ჩიხლაძე

ლონდონის საერთაშორისო ფესტივალი.
მარცხნიდან დგანან: ვანო შაგულაშვილი, მეოთხე – დავით ჯავრიშვილი, მეექვსე – ილიკო სუხიშვილი.
ბოლო რიგში: სერგო ნონიევი და ვლადიმერ ხეთაგუროვი.
ცენტრში ზის სსრკ-ის ელჩი ინგლისში ი. მაისკი

დავით ჯავრიშვილი და გიორგი ჟურული ქორეოგრაფიული
საბალეტო სტუდიის კურსდამთავრებულებთან. თბილისი 1940 წ.

ოპერა *კაკო ყაჩაღი*. ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეთა ჯგუფი.
ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი, რეჟისორი გიორგი ჟურული.1938 წ.

ოპერა *კაკო ყაჩაღი*, ცეკვა *კომბლური* ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეთა
შესრულებით. ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი. XX საუკუნის 50-იანი წლები

რემა შელეგიას გუნდი. 1937-1939 წწ. ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი

ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი
XX საუკუნის 50-იანი წლები

ქორეოგრაფიული სტუდიის მოსწავლეები:
კოტე მახარაძე (დგას) და ოთარ სურვილაძე



დავით ჯავრიშვილის ქორეოგრაფიული სტუდიის
აღზრდილი, ოპერისა და ბალეტის სოლისტი –
მამია ფირცხალაიშვილი

დავით ჯავრიშვილის ქორეოგრაფიული სტუდიის აღზრდილები – ძმები ოთარ და გივი სურვილაძეები.
საქართველოს ცეკვის დამსახურებული ანსამბლი (სუხიშვილები)

საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი
ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი ცეკვა *ხორუმის* დადგმისას. XX საუკუნის 50-იანი წლები

დავით ჯავრიშვილი ხარკოვის ოპერისა და თეატრის მსახიობებთან. XX საუკუნის 40-იანი წლები

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტ-მოცეკვავეები – მარიამ ბაუერი და ანტონ ჩიხლაძე.
ცეკვა *ქართული*, ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი. XX საუკუნის 40-იანი წლები

თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასაწავლებლი .1965 წ.
მარცხნიდან: კონსტანტინე მანჯგალაძე, ლილი გვარამაძე,
დავით ჯავრიშვილი, ჯულიეტა ვაშაყმაძე, ავთანდილ თათარაძე

სახელმწიფო გამოცდა თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში. კომისიის წევრები: სერგო გობეჯიშვილი, ლილი გვარამაძე, დავით ჯავრიშვილი, ვახტანგ გურგენიძე (დირექტორი), გივი სერგია, კონსტანტინე მანჯგალაძე, ავთანდილ თათარაძე. დგას თენგიზ ძაგნიძე

დავით ჯავრიშვილის 65 წლის იუბილე, ბათუმში 1965 წელი

თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიული განყოფილების პირველი გამოშვება 1955-56 წწ.

დავით ჯავრიშვილი დედასთან – სოფიო ფალავანდიშვილთან ერთად



დავით ჯავრიშვილის ვაჟი – თეიმურაზი, მეუღლე – მარიამ კიკალიშვილი და დავით ჯავრიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტმაისტერი
დავით ჯავრიშვილი



დავით ჯავრიშვილი. XX საუკუნის 60-იანი წლები

დავით და თეიმურაზ ჯავრიშვილები ვარჯიშისას, ქობულეთი

ვასო ჯაველიძე, თეიმურაზ ჯავრიშვილი და ვახტანგ გუნაშვილი
XX საუკუნის 50-იანი წლები

დავით ჯავრიშვილის შვილიშვილი –
გიორგი ჯავრიშვილი

დავით ჯავრიშვილის შვილიშვილი –
ნინო ჯავრიშვილი

დავით ჯავრიშვილის რძალი და შვილთაშვილები: ნატა ჭელიძე-ჯავრიშვილი,
თამთა და დათა ჯავრიშვილები, დიმიტრი და მარიამ ბერიები

ცეკვა ქართულის კოსტიუმი



ქალის საცეკვაო კოსტიუმი

ცეკვა *მთიულური*

ცეკვა ცერულის კოსტიუმი

გურულ-აჭარული საცეკვაო კოსტიუმი

ცეკვა ქართულ-დავლურის კოსტიუმი

ცეკვა ქართული

სვანური კოსტიუმი. მხატვარი ლადო გუდიაშვილი

ცეკვა მუხამბაზი. მხატვარი ლადო გუდიაშვილი

ცეკვა ქართულის კოსტიუმი.
მხატვარი ზ. კაპანაძე

ცეკვა ქართულის კოსტიუმი.
მხატვარი ზ. კაპანაძე



ცეკვა ქართული. ქალისა და მამაკაცის კოსტიუმი.
მხატვარი ზ. კაპანაძე

ცეკვა ქართულისა და დავლურის კოსტიუმი.
მხატვარი ზ. კაპანაძე

ცეკვა მხედრული.
მხატვარი ზ. კაპანაძე



ცეკვა ხორუმი.
მხატვარი ზ. კაპანაძე

ცეკვა მთიულური.
მხატვარი ზ. კაპანაძე

ცეკვა დავლურ-მთიულური. ქალ-ვაჟის კოსტიუმი.
მხატვარი ზ. კაპანაძე

ცეკვა ცერული.
მხატვარი ზ. კაპანაძე

ცეკვა ცერული.
მხატვარი ზ. კაპანაძე

ლექსიკონი

ა

ადგილზე სვლა – ადგილზე სიარული, სვლის ადგილზე შესრულება.

აიბარკრა – საფერხულო წყობის აფხაზური საქორწილო ცეკვა. აიბარკრა აფხაზურად ხელიხელჩაკიდებულ დგომას, დაბმას, მობმას, ხელებით გადაბმას, წრეზე მხრებზე ხელგადახვეულ განლაგებას ნიშნავს. ფერხული სრულდება სიმღერით, მონაწილეობს ქალ-ვაჟთა განუსაზღვრელი რაოდენობა. ქალებს თავზე ტოტებიანი გვირგვინები ადგათ. მუსიკალური ზომა – 4/4.

ამაყად – სხეულის მედიდური მდგომარეობა.

ანსამბლი – (ფრან. ensemble – ერთობლიობა) 1. რაიმე მთელის ყველა ნაწილის შეთანხმებულობა, ერთიანობა. 2. მსახიობთა ან მუსიკოსთა, მომღერალთა გუნდი, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

არაბესკი, არაბესკები – (ფრან. arabesque – ორნამენტი, ჩუქურთმა) უპირატესად მრავლობითში. 1. სახოვანი ორნამენტი სტილიზებული ფოთლების, ყვავლებისა და გეომეტრიული ნაკვეთებისაგან შემდგარი (შემოსულია ევროპაში არაბეთიდან). 2. წვრილ ლიტერატურულ ან მუსიკალურ ნაწარმოებთა კრებული. 3. კლასიკური ცეკვის ერთ-ერთი ძირითადი პოზა, გამოხატავს გრაციოზულობასა და შარმს. სხეულის პოზა პროფილში ერთ ფეხზე დაყრდნობით, მეორე – უკან დაჭიმული. ხელები სხვადასხვა ჰარმონიულ პოზიციაში. არსებობს არაბესკის ოთხი ძირითადი მდგომარეობა.

არეკნა – ასხლტომა (ასხლტება), ზედაპირზე დაცემა და სწრაფად უკუქცევა – ახტომა.

არტისტი – (ფრან. artiste) ხელოვნების ნაწარმოების საჯაროდ შემსრულებელი, მსახიობი.

არტისტულობა – არტისტული, არტისტისთვის დამახასიათებელი, არტისტის შესაფერი.

ასა – ცეკვის დროს მოცეკვავეთა შეძახილი.

ასპარეზი – (სპარს. ასბრიზ – ცხენის სარბენი) არე (მოქმედებისა), სამოქმედო ბაქანი, მოედანი.

ასხლეტა – იხ. არეკნა.

აფრენა/აფრენი – ფრენისებური ახტომა. აფრენილი. ვინც ან რაც ააფრინეს ან აფრინდა.

აფხაზური – აფხაზური ცეკვების ზოგადი სახელწოდება: *აფხაზური ჯირითი, აფხაზური შარათინ, აიბარკრა...*

აქნევი – იგივე, რაც აქნევა – რხევა, ამოძრავება. მკლავის ან ფეხის აქნევა.

აქცენტი, აქცენტირება – იხ. გამახვილება (ლათ. accentus) – მახვილი 1. ხმის გაძლიერება ან ანევა (სიტყვის ამა თუ იმ მარცვალზე); 2. მახვილის გაკეთებით წარმოთქმა; 3. რიტმული მახვილი; გარკვეული ბგერის ანდა აკორდის გაძლიერება; მოძრაობის გამახვილება.

აყოლება – ადევნება (თვალის, ხმის, მოქმედების); ხმის, მოძრაობის მუსიკის ტემპსა და რიტმთან აყოლა-შეფარდება.

აჩქარებით – ტემპის თანდათანობითი აჩქარება, ტემპის სიჩქარის მომატება.

აწევა, აწევ-დაწევა – დაბლა მოთავსებულის ზევითკენ წაღება – აზიდვა /ამართვა, აშვერა; ერგცერებზე, ცერებზე აწევ-დაწევა; ერგცერებზე აწევა და შემდეგ დაწევა. ქორეოგრაფიული ვარჯიშის ერთ-ერთი სახეობა.

ბ

ბალეტი – (ფრან. ballet) თეატრალური წარმოდგენა, რომლის შინაარსი გადმოიცემა ცეკვით და მიმიკით, რომელსაც თან ახლავს მუსიკა.

ბალეტმაისტერი – (გერ. balletmeister) თეატრალურ-საბალეტო დადგმათა ხელმძღვანელი.

ბასმა – (თურქ. ბასმა) – დაწნეხა 1. დაჩითვა, შეღებვა; 2. საღებავი, ჩვეულებრივ, შავი; 3. თეთრი წებოვანი საღებავი, ქალის ლეჩაქებზე ამ ბასმით გამოჰყავთ ყვავილები; *გადახვეული ხორუმის* ილეთი. გამარჯვების ცეკვა მტრის მოჭრილი თავების გარშემო (იხ. გადახვეული ხორუმი).

ბაქანი – მოსწორებული, მოვაკებული ადგილი; აქ: იგივე სცენა, სტადიონი, ესტრადა, ასპარეზი, მოედანი, ფართობი და სხვ. ძვ. ქართული ფორი (–რედ.).

ბაღდადური – ძველი თბილისური ცეკვა. თვით ტერმინი ბაღდადს, მამაკაცის ხელსახოცს, აბრეშუმის დიდ ჭრელ ხელმანდილს უკავშირდება (ი. გრიშაშვილი. იხ. კინტაური).

ბზრიალა ბრუნი – ბზრიალასავით ბრუნვა, რამდენიმე სწრაფი ბრუნი ერთმანეთზე გადაბმულად.

ბიჯი – ფეხის ერთი გადანადგამი, ნაბიჯი.

ბიჯრითი სვლა – ნაბიჯის გადადგმა და ჩამორჩენილი ფეხის მიწევით წინა ფეხთან მიდგმა.

ბრუნვა – იხ, ტრიალი. რისამე ირგვლივ ან თავისი ღერძის გარშემო მოძრაობა, – ტრიალი.

ბრუნი – იხ. ნაბრუნი. საცეკვაო ილეთი, – ადამიანის სხეულის ბრუნვა წარმოსახვითი შვეული ღერძის გარშემო.

ბრუნხტომი – ბრუნისა და ხტომის შეერთებულად შესრულება.

ბუქნა – ჩაკუკებით როკვაა (საბა). მუხლებმოხრილი, მუხლებზე ჩამჯდარი ცეკვა, საცეკვაო ილეთი – მუხლებში მოხრა (ჩაჯდომა) და ისევ გამართვა. ძველად მამაკაცთა მუხლადჩამჯდარი ცალკეული ცეკვაც ბუქნად იწოდებოდა.

ბუქნი – იგივე (ბუქნა) ჩაცუცქება-წამოხტომა ცეკვის დროს.

ბუქნურა – ბუქნის მსგავსი საცეკვაო მოძრაობა, ილეთი.

გ

გადაბმით – ერთი ილეთის მეორეზე გადაბმა. ხელიხელგადახვეული, ხელიხელჩაბმული.

გადაზნექა – დიდი ზნექი რომელიმე მიმართულებით.

გადასვლა – ადგილიდან ადგილზე გადასვლა, ილეთიდან ილეთზე გადასვლა, გადანაცვლება.

გადაჭდობა (გადაჭდომა), გადაჭდობილი – მაგრად გადახვევა, ვინც ან რაც გადააჭდეს ან გადაეჭდო. რთული ფუძის შემადგენელი მეორე ნაწილი: ხელებგადაჭდობილი, ფეხებგადაჭდობილი.

გადაჭდომ(ბ)ა – ფეხის ფეხზე, მკლავის მკლავზე გადაჯვარედინება.

გადაჭდომ(ბ)ილი – გადაჯვარედინებული, ერთიმეორეზე გადადებული კიდურები.

გადაჭრა – ცეკვა *მოხეურში* მამაკაცის საცეკვაო ილეთი, ქალისათვის გზის გადასაჭრელად, სახელიც აქედან მოდის. ილეთი ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოძრაობისაგან შედგება და ორ ტაქტში სრულდება. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გადახვეული ხორუმი – *ხორუმის* დასკვნითი ნაწილი – გამარჯვების ცეკვა. ამ დროს სრულდება ილეთი *ბასმა*. ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტეს (IV ს. ძვ.წ) ცნობით, ასეთი ჩვეულება ჰქონიათ ქართველთა ერთ-ერთ ტომს – მოსინიკებს – ცეკვა მტრის მოჭრილი თავების გარშემო. ეს უნდა გამხდარიყო *გადახვეული ხორუმის* წარმოშობის საფუძველი.

გადახვეული ხორუმი ხორუმის ნაწილია, მაგრამ მისი ნაირფეროვანი, შერეული რიტმი და მუსიკალური ზომა სრულიად განსხვავდება *ხორუმისაგან.*

გადახტომა – ხტომით დაბრკოლების გადალახვა ან ადგილიდან ადგილზე გადასვლა.

გადმოსასვლელი ხტომი(ა) – ხტომის ერთ-ერთი სახე, რომლითაც იწყება ცეკვა.

გადმოსვლა – ცეკვაში შეჭრა, ცეკვაში (საცეკვაოდ) გასვლა.

გავლა – სვლით გადანაცვლება, სიარული.

გამართვა – მოღუნული, მოხრილი მკლავების გამართვა, გაშლა.

გამახვილება (**იგივე აქცენტირება**) – გამძაფრება, გაძლიერება, განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა, გამოკვეთა. ილეთის ან მოძრაობის გამახვილებით გამოყოფა.

გამომსახველი, გამომსახავი – ვინც ან რაც გამოსახავს რამეს, – გამომხატველი, ამსახველი.

გამოსვლა – საცეკვაოდ გამოსვლა.

განბიჯი – ნაბიჯი განზე. განბიჯით განზე ჩაკვრა, განბიჯის შემდეგ ჩაკვრა.

განბიჯით და ფეხშლით ჩაკვრა – ცეკვა *მთიულურის* ილეთი – *განზე ნაბიჯისა* და *ფეხშლილი ჩაკვრის* ნაერთი. ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული ორტაქტიანი მოძრაობა. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

განბრუნებული, განშლადი – ტერფგაშლილი, ქუსლებშეერთებული და ტერფგაშლილი მდგომარეობა (ტერმინი შემოღებულია დავით ჯავრიშვილის მიერ).

განგაშლილი – განზე გაშლილი მკლავები (I პოზიცია).

განგრძობა, განგრძობილი – გაგრძელება, რაც განაგრძეს, გაახანგრძლივეს, გააგრძელეს (ქეგლ. II 1951).

განდაგან (განდაგანა) – აჭარული სატრფიალო ცეკვა. სრულდება ქალ-ვაჟთა მიერ წყვილად ან ჯგუფურად, საფუძვლად უდევს ძველი აჭარული ცეკვები – ქალთა *თარნანინო* და ვაჟთა *მხარული*. განდაგანა პირველად 1946 წელს შესრულდა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. იცეკვება სიმღერასა და საკრავებთან ერთად. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

განზე – იგივე გან-გან, გან-განზე, გვერდზე, გვერდით, ცოტა იქით, მოშორებით.

განზნექი – ზეტანის ზნექა მარჯვნივ ან მარცხნივ.

განიერი რთულა – ცეკვა *მთიულურის* სრიალა ჯგუფის ერთტაქტიანი ილეთი, სრულდება ქალთა და მამაკაცთა მიერ. რთულას დანარჩენი სახეობისაგან განახვავებით, თითოეულ ტაქტში მესამე მოძრაობისას ტერფებს შორის მანძილი დიდდება და ფეხი ზემოდან ერგცერით დაიდგმება.

განლაგებითი რეპეტიცია – მოცეკვავეთა განლაგების სხვადასხვა ფორმა: სწორხაზოვანი, წრისებრი, ჭადრაკისებური, ერთმანეთის ზურგს უკან და სხვა.

განრიგება – გაწესრიგება, განაწილება. მოცეკვავეთა მოწყობა მწკრივად, წრეგვარად ან სხვანაირად.

განფეხშლილი – ნაბიჯის განზე გადადგმა.

გარეზემკლავი – მკლავების ზევით და განზე აწევა.

გარეთ – მკლავის ან ფეხის გარე მიმართულება.

გარე წინმკლავი – გამართული მკლავები წინ და განზე.

გასმა – ფეხების რიტმული მოძრაობა ტერფის წინა ნაწილებზე (ერგცერებზე) სრიალით. არსებობს მრავალნაირი გასმა: სრიალა გასმა, ქუსლური გასმა, ტერფმოქნევით (გაქნევით) გასმა და სხვ. ილეთი დამახასიათებელია ცეკვა *ქართულისათვის*.

გასმურა – გასმის მსგავსი მოძრაობა.

გაუ გავხე – (სვან. გავედი, გავიხედე) საბრძოლო შინაარსის სვანური ფერხული, უკავშირდება ლეჩხუმელი თავადების სოფელ ხალდეში ლაშქრობას და ხალდეს ახალგაზრდობის თავდადებასა და ვაჟკაცობას.

ფერხულს სამხმიანი სიმღერით მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. მუსიკალური ზომა – 6/8.

გაქნევი, გაქნევა – განძრევა, გარხევა, (ქნევით) ამოძრავება.

გაქნევით გასმა – ერგცერებსა ან ტერფებზე სრიალა მოძრაობით ფეხების მდგომარეობის შეცვლა, რომლის დამთავრებისას თავისუფალი ფეხის ტერფი უკან-წინ გაიქნევა. ფეხი – II პოზიცია. ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გაშლა – მკლავების დოინჯიდან განზე გაშლა.

გაშლილი – ფეხების, მკლავების ან ცერების მდგომარეობა.

გაჭრა – სწრაფად, მოულოდნელად გასვლა, წასვლა, გავარდნა.

გახსნილი ჩაკვრა – საცეკვაო ილეთის ერთ-ერთი სახე, – ცალი ფეხის განზე გატანა.

გაჯრა – (სამხედრო სპორტული ტერმინი) მწყობრში მდგომთა დაშორება ერთმანეთისაგან მათ შორის მანძილის გადიდება. მოცეკვავეთა დაშორება ერთი მეორისაგან სასურველ მანძილზე (მიჯრის ანტონიმი – რედ.).

გედურა (გვერდზე) სვლა – ცეკვა *ქართულის* ილეთი ქალის სოლოში. სრულდება სწორ ხაზზე მარცხნივ ან მარჯვნივ, უმთავრესად ვაჟის მიმართულებით. ნარნარი სვლა ერგცერების სამდაკვრით თითოეულ ტაქტში.

გერგილი (გიორგი) – ძველი სვანური საყოფაცხოვრებო ფერხული, ტექსტი ზუსტად ემთხვევა *შიშა და გერგილისას*: გერგილი(გიორგი) პირველად ცხარვაშში (ადგილი სვანეთში) წააწყდა მჟავე წყალს, დალია და ისე გაბრუვდა, რამდენ ნაბიჯსაც წინ გადადგამდა, იმდენით ისევ უკან ბრუნდებოდა.

გვერდული გასმა – გასმის ერთ ერთი სახეობა, ცეკვა *ქართულის* ერთტაქტიანი ვაჟური ილეთი. გვერდულა გასმისას ტერფები, ქუსლისა და ფეხის წვერის შებრუნებით, რიგრიგობით გადაინაცვლებს ოდნავ გვერდზე (მარცხენა – მარჯვნივ, მარჯვენა – მარცხნივ). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გლეხური – 1. გლეხის დამახასიათებელი, გლეხისთვის განკუთვნილი, შესაფერისი, გლეხის ყაიდისა. 2. დავით ჯავრიშვილის დადგმული ცეკვა აკაკი ანდრიაშვილის ოპერა *კაკო ყაჩაღში* (1940 წ.).

გლუსუნა სვლა – საცეკვაო სვლის ერთ-ერთი სახე, ორტაქტიანი ნარნარა ილეთი. სრულდება ერგცერებზე ქალთა და ვაჟთა მიერ წინ გასრიალებით, უმეტესად წრეშემოვლის დროს. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

გრეხილა – გასმის ერთ-ერთი სახეობა.

გრეხილი ჩაკრული – ცეკვა *კინტაურის* ილეთი. ფეხის წვერებზე რიგრიგობით ფეხების ერთმანეთზე გადაგრეხა-გადაჭდობა და ერთდროულად ორივე ქუსლის მარჯვნივ და მარცხნივ შებრუნება. სამი ერთგვაროვანი მოძრაობა ერთ ტაქტში. მუსიკალური ზომა – 6/8.

დ

დაბალი ერგცერი – ნახევარცერებზე დგომისას ქუსლების იატაკიდან სულ მცირედით აშორება.

დაბმა – ფერხულში მონაწილეთა განლაგება: ერთმანეთის მხრებზე მკლავებით გადაბმა ან ხელებით ქამრებში ჩაჭიდება, ხელიხელჩაკიდებული დგომა.

დაბოლოება – ცეკვის დამთავრება, დასრულება, გათავება; ბოლო, დასასრული.

დავლა – ცეკვაში რამდენიმე წრის გაკეთება, წრის შემოვლა. საცეკვაო სვლით წრეზე შემოვლა. მწყობრი სიარული.

დავლური – წყვილთა ჯგუფური საზეიმო ცეკვა ნელი დავლით, პლასტიკური მიხრა-მოხრით. ყველაზე მეტად ქალ-ვაჟთა *დავლურია* გავრცელებული. მისი ძირითადი

კომპონენტებია: რიგების წყვილებად შექმნა, ქალთა და ვაჟთა ჯგუფებად დაყოფა, მწკრივად გავლა, წრიული მოძრაობა. ძველად წინ უძღოდა *ქართულს*. დღეს *დავლურს* ასრულებს რამდენიმე წყვილი. დასასრულ, ერთ-ერთი წყვილი ცეკვავს *ქართულს*.

დათვლა – თვლით რისამე რაოდენობის გამორკვევა; აღრიცხვა; ტაქტისა და ტაქტის ნაწილის დათვლა.

დალა კოჯას ხელღვაჟალე (დალი კლდეში მშობიარობს) – ნადირობის ქალღმერთ დალის პატივსაცემი უძველესი, წარმართობისდროინდელი, სვანური ფერხული, მატრიარქატის ხანისა. ქალღმერთ დალის თეთრ კლდეში მშობიარობისას ახალშობილი კლდიდან ჩამოუვარდა. ბავშვი მგლებმა გაიტაცეს. მონადირე გერგილმა (გიორგიმ) ის გაათავისუფლა და დედას დაუბრუნა. მადლობის ნიშნად ქალღმერთმა დალოცა მონადირე – ყოველთვის ხელდამშვენებული დაბრუნებულიყო ნადირობიდან.

ფერხულში მონაწილეობენ მამაკაცები და ქალები. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 2/4.

დახრილი – ვინც ან რაც დახარეს ან დაიხარა, დაღუნული, დაზნექილი; ზეტანის მდგომარეობა.

დაქნევა, დაქნევი – ზევიდან ქვევით მკლავის, ფეხის დაქნევა, ქვევით ამოძრავება.

დაქნევჩაკვრა – ცერებზე სვლის ილეთი, *ცერჩაკვრის* ერთ-ერთი სახე. არსებობს *დაქნევჩაკვრის* სვანური და აფხაზური ვარიანტი. სვანური: ერთი და იმავე ფეხის დაქნევითი მოძრაობით ტყუპცერზე შედგომა. ილეთი სრულდება წინ მიმართულებით – ადგილზე და ადგილის შენაცვლებითაც. შესაძლებელია მარჯვნივ და მარცხნივ ბრუნი (1/4, 1/2, 1 წრე) ან მცირე წრის შემოვლა. ფეხი – I პოზიცია. ხელი – ხანჯალზე ან ქამარში. მუსიკალური ზომა – 3/4 ან 6/8. აფხაზური: სრულდება იმავე წესით, მხოლოდ ფეხმონაცვლეობით და ცალ ცერზე დგომით – ზეხტომით ფეხების მდგომარეობის ორჯერ შეცვლა (სირბილით). ფეხი და ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/3 ან 6/8.

დაჩოქილი – იხ. ჩოქვა. მუხლისთავებზე დამდგარი, მუხლმოყრილი.

დაწევა – ზევიდან ქვევით გადაადგილება, – დაშვება ჩამოშვება; ჩამოწევა/დახრა, მოხრა, დაკუზვა; გაწევა, გადადგმა, უკან დაწევა, უკან წასვლა. თანდათანობით უკუსვლა (საპირისპ. წინ წაწევა), დახევა.

დახვევით ბრუნვა – შეუჩერებლივ და გადაბმულად ბრუნვა ჯერ ერთ ფეხზე, შემდეგ – მეორეზე.

დახვევით (ფეხშენაცვლებით) ბრუნი – ცეკვა *ქართულისა* და მთიელთა ცეკვების ერთტაქტიანი ილეთი. სრულდება ადგილზეც და სვლისას, ასევე ორფა ბრუნითაც. ფეხი – I პოზიცია, ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა – 6/8.

დახურული – ხელის (ხელების) მოღუნული მდგომარეობა გულ-მკერდის წინ – II პოზიცია.

დახტომა, დახტომი – ხტომიდან მიწაზე ფეხის ან ფეხების მიკარების მომენტი. ნახტომის გაკეთება ზევიდან ქვევით; ხტომით დაჯდომა ან დადგომა.

დახურული ჩაკვრა – მთიულური და მხედრული ცეკვების ერთტაქტიანი ილეთი, რომლის დროსაც მონაცვლეობით ცერზე დადგმით ფეხი ფეხს ან მუხლი მუხლს წინიდან ხურავს.

დგომი/დგომა – 1. საწყისი მდგომარეობა მოძრაობის დაწყებამდე. 2. გამართულ ფეხებზე, ფეხის ცერებზე, მუხლებზე, ცალ ფეხზე და სხვ. დგომა.

დგომი(ა) გამართული – გამართული ფეხების ერთმანეთზე მიდგმა და ზეტანის გამართვა (სხეულის შვეული მდგომარეობა).

დგომი(ა) ერგცერზე – ცალი ფეხის ნახევარცერზე დგომა.

დგომი(ა) მუხლზე – ცალ მუხლზე დგომა, ცალ მუხლზე ჩოქება.

დგომი(ა) ერგცერებზე – ორივე ფეხის ნახევარცერზე დგომა.

დგომი(ა) მაღალ ერგცერებზე – მაღალ ნახევარცერებზე დგომა.

დელი ხორუმი – აჭარაში გავრცელებული ხორუმის სახეობა – სწრაფი, ჩქარი, გიჟური ხორუმი. იმერხეველთა წრეშეუკვრელი ფერხული ბუქნით (ნიკო მარი).

დიპლიპიტო – დასარტყამი საკრავი – სხვადასხვა სიდიდის ორი თიხის კორპუსი, რომლებზეც ჯოხებით უკრავენ.

დინჯად – მოძრაობის ტემპის სიჩქარე. ძახილი, მითითება, ბრძანება.

დოინჯი – ხელები თეძოებზე, ფერდებზე. წელზე შემოდებული ხელები ისე, რომ იდაყვები განზეა გაწეული.

დოლი/დავლი (დავლი კუთხ. გურ.) – დასარტყამი საკრავი – ხის რკალზე ორივე მხარეს გადაკრული საგანგებოდ გამოყვანილი ტყავი, რომელსაც თითების ან ორი ჯოხის ცემით ხმას გამოაღებინებენ, – დაფდაფი. დოლი უჭირავთ მარცხენა იღლიაში ან ჩამოკიდებული აქვთ. ზოგჯერ მედოლე თვითონაც ცეკვავს. დოლზე სრულდება ტრელები, ტრემოლები, ფორშლაგები. დოლი ოსტინატურ საქცევებს ემყარება და ცეკვის დროს ხაზს უსვამს რიტმს. მასთან ერთად იყენებენ: ჩონგურს, ჭიბონს, იშვიათად სალამურს. დოლი გავრცელებულია საქართველოს ბარის რაიონებში და მასზე ძირითადად მამაკაცები უკრავენ.

დოლური/დავლური – დავით ჯავრიშვილის მიერ დადგმული ხალხური-სასცენო ცეკვა. ავტორის განმარტებით, დავლური ნიშნავს არა დავლას, არამედ დავლის – დოლის – დაკვრას. ხშირად მოცეკვავენი თავადვე აკეთებენ აკომპანემენტს, აქედანაა ცეკვის სახელწოდებაც. (დავით ჯავრიშვილის არქივში აღმოჩენილი ცეკვა *მწყემსურ-დავლური* შეტანილია ამ გამოცემაში –რედ.).

დრეკა – მოღუნვა, მოხრა (დაბჯენილი ფეხის).

ე

ელასტიკური – (ლათ. elastikus) მოქნილი, დრეკადი.

ერგბუქნი – ნახევარი ბუქნი.

ერგზნექი – ნახევარი ზნექი.

ერგცერი – ნახევარცერი (ტერფის წინა ნაწილი). ნახევარცერზე ანუ ფეხის წინა წვერზე აწევა.

ვ

ვარიაცია, ვარიაციები – (ლათ. variatio) ცვლილება რაიმე ნაწარმოების, თემის, ამბის და სხვ. ნაირსახეობა.

ვარჯიში – 1. ერთი და იმავე მოძრაობის, მოქმედების მრავალჯერ გამეორება რაიმეს შესწავლის ან რაიმეში დახელოვნების, გაწაფვის მიზნით. 2. იგივეა, რაც ტანვარჯიში.

ზ

ზეაქნევი – ქვევიდან ზევით მოძრაობა (მკლავის, ფეხის).

ზედა – მკლავის ზედა ნაწილი.

ზემართი (ზემართვა) – ზოგადად მკლავების ზეაწევა, ზეაღმართვა (ტერმინი შემოღებულია ავტორის მიერ – რედ.).

ზემკლავი – ზევით აწეული გამართული მკლავები.

ზემყრელო – საბრძოლო შინაარსის ორ და სამსართულიანი მამაკაცთა ფერხული. ამ სახელით გავრცელებული იყო ქართლსა და კახეთში. მესხეთში მას *სამყრელოს* უწოდებენ, თუშეთში – *ქორბეღელას,* სვანეთში – *მირმიქელას.* ხევში – *აბარბარე-ბარბარეს* და სხვ. ფერხულის თითოეული სართულის წრე რიგრიგობით მღერის და მოძრაობს ტაქტში, რომელიც თანდათან ჩქარდება. სიმღერას, ერთგვარი შესავლით, ერთ-ერთი ქვემდგომი იწყებს, მას თავისი ჯგუფი აჰყვება. დამთავრებისთანავე ზემყრელონი ჩამოართმევენ და ა.შ. როდესაც მეფერხულენი დაიღლებიან, მესამე სართულს ჩამოყრიან. იმავეს აკეთებს მეორეც. მაშინ ქვედა სართული ხელებს დაუშვებს და ნელა მოძრაობს. მას უერთდებიან დანარჩენებიც და ფერხული ცეკვაში გადაიზრდება. *ზემყრელო* გაზაფხულის ნაყოფიერების დღესასწაულთა ციკლს მიეკუთვნება. ეს სიმღერის შინაარსიდანაც დასტურდება – თხოვნა-ვედრება კარგი მოსავლისათვის.

ზენები – ზევით მიმართული ხელის გული.

ზეტანი – ადამიანის სხეულის ნაწილი წელს ზევით.

ზეხტომბრუნი – 1. ახტომის დროს ჰაერში ბრუნი. 2. მთიელთა ცეკვების რთული ორტაქტიანი ილეთი. (ისწავლება დანაწილებით: ჯერ წრის 1/2-ზე, შემდეგ – 1/4-ზე, ბოლოს მთელ წრეზე). ერგბუქნიდან არეკნით ზეტანის მძლავრი მოქნევით ჰაერში ბრუნი, დახტომა რბილად ერგბუქნით. ფეხი – დახურული III პოზიცია (მარცხენა ტერფი წინ). ხელი – II პოზიცია (მარცხენა მოღუნული). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ზეხტომი – ქვევიდან ზევით ახტომა.

ზილგა – (ოს. ტრიალი) ოსური ხალხური წრიული ცეკვა ქალ-ვაჟის ან ვაჟების შესრულებით. ზილგას ცეკვავენ გარმონის და დოლის ან დაირის თანხლებით. მუსიკალური ზომა – 6/8.

ზნექა – იხ. დრეკა. ზეტანის დახრა რომელიმე მიმართულებით.

თ

თანამიმდევრობა, თანამიმდევრული, თანმიმდევრულად – ისეთი ვითარება, როდესაც ერთ რასმე მეორე მოსდევს, ერთი მეორის შემდეგ არის, ერთი მეორის მიყოლებით ლოგიკურად ერთი მეორიდან გამომდინარეობს. კანონზომიერად, თანმიმდევრობის დაცვით.

თანხლება – ცეკვის თანმხლები სიმღერა, მუსიკა; მკლავების მოძრაობის – სართავი და ა.შ. (თანამედროვე ტერმინით მუსიკალური მასალა. – რედ,).

თარაზულა – ტანვარჯიშში ტანის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში შეჩერება მცირე ხნით.

თარაზული, თარაზულად – ჰორიზონტალური, ჰორიზონტალურად.

თვლა, სათვალავი – ცეკვაში ტაქტის ან მისი ნაწილების დათვლა.

თამარ დედფალ –ძველი სვანური ორნაწილიანი ფერხული: პირველი – *რავქენსია.* მეორე – *საიერიშო.* სრულდება მამაკაცთა და ქალთა მიერ (რაოდენობა განუსაზღვრელია).

ფერხული ქება-დიდებას ასხამს თამარ დედოფალს, მის სილამაზეს, მოკაზმულობას, ცხენის აღჭურვილობას და სხვ.

ფერხული სრულდება ამავე სახელწოდების ორპირული სამხმიანი სიმღერით. პირველი ნაწილის მუსიკალური ზომა – 6/8, მეორის – 4/4.

თამაში – თავშესაქცევი, გასართობი მოქმედება; შეხვედრა, შეჯიბრება; მოხდენილი მოძრაობა, სვლა, ტოკვა; იგივეა, რაც ცეკვა; რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი – ცეკვა-თამაში.

თამაშა – იგივე სეირი/სანახაობა, თვალის სეირი (საბა).

თამაშობა – თამაშა თათრულად სახნავსა ჰქვიან, ხოლო თამაშობა ქართულად მღერა–შაქცევათა სახელია და ესეცა განიყოფების ექვსად: ასპარეზობად, მღერად, ფუნდრუკად, ხუნტრუცად, როკვად და შექცევად.

მოასპარეზობა არს მხედართა მიერ ანძათა ისრისა სრევა, ბურთთა ყვანჭსა ცემა, საგანთა სროლა და ეგე-ვითარნი; მღერა არს ესენიცა ჭადრაკთა და ნარდთა და ყოველთა სამორინოთა თამაშობა და ოროლთა მრავალგვარად ბრუნებასაც(ა) მღერად(ვე) იტყვიან; ფუნდრუკი არს ვაჟთა მიერ (ს)რბოლა, ხლდომა და სხვანი მრავალსახენი საკისკასენი; ხუნტრუცი არს ქალთა მიერ(ნ)ი ფუნდრუკ(ნ)ი ძალისაებრ მათისა; როკვა არს სამა, ცეკუა, ბუქნა, კოჭა, ფერხული, მგრგუალთ წყობა და რაოდენიცა ებანთა და ფანდურთა მიერ იქმნებიან; შექცევა არს ესენიცა და კენჭებითა და ჩხირებითა და ვეგითა და სხვათა ღონისძიებითა ჭმუნვა(ნი) განიქარ(ვ)ონ (საბა)...

თუშური ცეკვა – სატრფიალო ან შეჯიბრების ხასიათის ცეკვა, მთიელთა ცეკვების ჯგუფისა. სრულდება ვაჟთა, ქალთა და ქალ-ვაჟთა წყვილების მიერ და გამოირჩევა შესრულების თავისებური მანერით. იცეკვება, გარმონის, დაირის ან დოლის თანხლებით. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. სასცენო-ხალხურ ვარიანტში თუშურ ცეკვას *ალვანურსაც* უწოდებენ.

ი

იავ ქალთი – სვანური საბრძოლო ფერხული, უკავშირდება სვანების რაჭის ერთ-ერთ სოფელზე გალაშქრებას. ფერხულს ასრულებენ მხოლოდ მამაკაცები ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 4/4.

იდაყვგაშლილი – მკლავის მდგომარეობა: მოხრილი მკლავი თითებით კეფას ეხება, იდაყვი კი განზეა გაწეული.

ილეთი – ფეხებით შესრულებულ მოძრაობათა ერთობლიობა გამოკვეთილი საცეკვაო ფორმით; ერთმანეთის მიყოლებით, მარჯვენა და მარცხენა ფეხის მონაცვლეობით, შესრულებული ერთი, ორი, სამი ან ოთხი მოძრაობა. ცალკეული მოძრაობის, რომელიმე ცეკვის ან ვარჯიშის დასრულებული ელემენტი, ყაიდა. ქართული საცეკვაო ილეთები იყოფა: სვლა, ჩაკვრა, გასმა, ხტომა, ბრუნი, ცერილეთი და მუხლილეთი.

ილეთთა ნაერთი – სხვადასხვა სახის ილეთის გაერთიანება-კავშირი, ილეთების ერთმანეთზე გადაბმა და მათი თანმიმდევრობით შესრულება. ილეთთა ნაერთი იყოფა მარტივ და რთულ ნაერთებად.

ირიბი – დახრილი, ალმაცერი, აქ: მოძრაობის მიმართულება, ზეტანის ან ხელების მდგომარეობა.

ირიბი სვლა – ორტაქტიანი საცეკვაო ილეთი. სრულდება ირიბად, ერთ ტაქტზე ირიბად მარჯვნივ, მეორეზე – ირიბად მარცხნივ.

ირიბი რთულა – ცეკვა *მთიულურის* ორტაქტიანი ილეთი. ასრულებენ კაცებიც და ქალებიც (უფრო რბილად). ფეხებისა და ხელების მოძრაობის შესაბამისად, ზეტანის მარჯვნივ და მარცხნივ ნარნარად ქანაობა. ფეხი – III პოზიცია; ხელი – III პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ირმულა – ქართულ ქორეოგრაფიაში ხელების IV პოზიცია: მკლავები თავს ზევით ზეამართული, ოდნავ მოხრილი, მაჯა მაჯასთანა მიტანილი, თითები კი გარეთ მიმართული.

კ

კახურა გასმა – გასმა ზემოდან ფეხის ჩადგმით. ფეხი – I პოზიცია; ხელი – მარჯვენა – კეფასთან, მარცხენა – განგაშლილი. მუსიკალური ზომა – 6/8.

კეჭნა/კეჭნი – კოდვა, ბალთვა, ჭდევა; ჭდე, ნაბალთი, ნაჭდევი.

კეჭნაობა – ხევსურული ფარიკაობა, ფარ-ხმლით ორთაბრძოლა, საბრძოლო-რიტუალური ცეკვა ხევსურეთში. კეჭნაობისას მონაწილეებს ფარ-ხმალი ერთად უჭირავთ: ფარი წინ, ხმალი – ფარს უკან. *კეჭნაობაში* დასაშვებია მხოლოდ მსუბუქად დაჭრა. დაუშვებელია კეჭნაობის წესის დარღვევა, ჩხუბი და მოწინააღმდეგის მძიმედ დაჭრა. თუ ქალი, მოწინააღმდეგეთა გაშველების მიზნით, მანდილს ჩააგდებდა, ისინი უნდა გაშველებულიყვნენ. ხევსურეთში არსებობდა მკაცრი კანონი: კეჭნაობის წესის დამრღვევი ჯარიმდებოდა იმდენი სული საქონლით, რამდენი ქერის მარცვალიც ჩაეტეოდა ჭრილობაში.

კვალდაკვალ – ცეკვაში მკლავების მიმდევნო მოძრაობანი, როდესაც იმავე მოძრაობაში ცალი მკლავი ჩამორჩება მეორეს.

კვალის ნახაზი – ცეკვაში გავლილი ან გასავლელი მანძილის მოხაზულობა.

კინკილი – კინკილი ცალის ფეხით ხლტომაა (საბა): ცალ ფეხზე ხტომის ილეთი.

კინტოური, კინტაური – ძველი თბილისის ქალაქური ფილკლორის ერთ-ერთი ნიმუში, გროტესკულ-ყოფითი ხასიათის მამაკაცთა ცეკვა. კინტო კენტიდან – მარტოხელადან – წარმოდგება (ა. ალექსიძე). სხვა მოსაზრებით, კინტო ნიშნავს კინწით, კისრით თაბახის მზიდველს. კინტო შექმნილია შორეული ბაზრის წიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. იგი ნალექია ყარაჩოღელთა ოჯახისა, გაზრდილი ქუჩასა და სამორინეებში. კინტო, როგორც ცუღლუტი, მცირე უნარისა და მოთხოვნილებების პატრონი, კმაყოფილდება ორგროშიანი მოგებით, რომელსაც ჯიბეში არც კი იჩერებს. (ი. გრიშაშვილი). *კინტოურის* ეტიმოლოგიის შესახებ ახლახან ორიგინალური მოსაზრება გამოთქვა რუსმა ჟურნალისტმა ოლეგ პამფილოვმა (– რედ.).

XIX საუკუნის თბილისის ყოფაში დაბადებული კინტოს ცეკვა, გარდა ქართულისა, იმდროინდელი თბილისის სხვადასხვა ეთნოსის საცეკვაო ელემენტებსაც მოიცავდა. თანამედროვე *კინტაური* სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალური ცეკვაა და ნაკლებად წააგავს თავის წინაპარს. ხალხურ ვარიანტში *კინტაურს,* პანტომიმურ-კომიკური ჟესტებით, ორი მამაკაცი ცეკვავდა და შეჯიბრების, დიალოგის ხასიათის ცეკვა იყო. გასცენურებულ *კინტაურში* მონაწილეთა რაოდენობა შეუზღუდავია და დამდგმელის ჩანაფიქრზეა დამოკიდებული. *კინტაური* სრულდებოდა დუდუკისა და დოლის ან არღნის თანხლებით. მუსიკალური ზომა – 6/8.

კომბლური – მწყემსური ცეკვა კომბლებით, მთიულური ცეკვების ელემენტებით.

კოორდინირება – ურთიერთშეთანხმება. ცეკვაში მკლავების, ფეხების, ზეტანისა და თავის შეთანხმებული მოძრაობა, მოქმედება.

კლაკნილი – მიხვეულ-მოხვეული. აქ: ხელის ან ფეხის მცირე რადიუსით მოძრაობა დაკლაკნილი ხაზის მიმართულებით.

კლაკნილი სვლა – გარდიგარდმოდ, გრძივად და ირიბად სიარული. შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის ხვეული.

კორდებალეტი – (ფრანგ. corps-de ballet) მოცეკვავეები, რომლებიც ბალეტში ასრულებენ ჯგუფურ ცეკვებს.

კოშკურა – ბოძებზე შეყენებული კოშკივით მაღალი შენობა სხვადასხვა დანიშნულების. აქ: მკლავების მდგომარეობა.

ლ

ლამპრობა (ლამპჲარი) – მთვარის კულტის დღესასწაულის ნაშთი სვანეთში. იმართებოდა ზამთარში ღამით, იანვრის ერთ-ერთ ორშაბათს, მთვარის დაბადების დღეს. მას უკავშირდება ფერხული *ჯგგრაგი. მეზვერისა და ფარისევლის კვირას, წირვის დროს,* სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი ლამპრებით (კვარის ან არყის ჩირაღდნებით *დეცე ლამპროჽ* – ციური ლამპარი) წმინდა გიორგის საყდარში მიდიან, საყდართან ლამპრებს ერთმანეთზე აწყობენ და დიდ კოცონს აჩაღებენ, შემდეგ *დიდების* ლოცვა-გალობით ორწრიულ (*ორფერხულ*) ან ნახევარწრიულ ფერხულს ასრულებენ.

ლაშგარი – მეომრულ-ლაშქრული ქალ-ვაჟთა სვანური ფერხული. ეცერლებმა ყუდუშერას (ყუდუ მამაკაცის სახელია, ყუდუშერა – მის გამგებლობაში მყოფი თემი) წინააღმდეგ გაილაშქრეს. ლაშქარმა მეთაურად ერთმანეთზე უკეთესი სამი ძმა – შეხმურზა, ჯულაბი და ნაწიფაჲ – აირჩია და გამარჯვებული დაბრუნდა უკან.

ფერხული სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 4/4.

ლაშქრული – საბრძოლო-სამხედრო ხასიათის ცეკვების ზოგადი სახელი. ასეთ ცეკვებს ავტორი მიაკუთვნებს: მხედრულს, ხანჯლურს, ხორუმს, კეჭნაობას (ფარიკაობას) და ლაშქრული შინაარსის ფერხულებს (ლაშქრული ცეკვების გამოცემას აპირებდა *ქართული ხალხური ცეკვების* მეორე ნაკვეთში (ნაწილში). ავტორის არქივში აღმოჩნდა გამოსაცემი წიგნის შინაარსი –რედ.).

ლახტურა – ქართული ხალხური თამაში *ლახტაობა.* ლახტებით – ქამრებით – თამაში წრეში. გავრცელებული იყო ძველ საქართველოში, განსაკუთრებით, თბილისში. შეინიშნება საბრძოლო იერიშისა და ციხესიმაგრეთა აღების კვალი. თამაშის ელემენტები შესულია სხვადასხვა ქორეოგრაფის სასცენო დადგმაში (სამწუხაროდ, არც ცეკვის სიუჟეტი და არც სქემატური ნახაზი არ აღმოჩნდა ავტორის არქივში – რედ.).

ლაჟღვაში – (სვან. წინამძღოლი) ქალ-ვაჟთა რელიგიურ-რიტუალური სვანური ფერხული. მეფერხულენი ადიდებენ ღმერთებს და შესაწირავს უგზავნიან. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 4/4.

ლეკური – ქალ-ვაჟთა სატრფიალო ცეკვა, *ქართულისათვის* XIX საუკუნეში შერქმეული სახელი (სულხან-საბა ცეკვას – ლეკურს – არ იცნობს, ლეკურს მხოლოდ ხმალს უწოდებს). ქართულს ლეკური მხოლოდ მას შემდეგ დაერქვა, რაც *ლეკური – ლეზგინკა* – კავკასიური ცეკვების ზოგად სახელად იქცა. ასე ეწოდა კავკასიურ ცეკვებს *ქართული ლეკური, ოსური ლეკური, ჩეჩნური ლეკური* და სხვ. დროთა ვითარებაში ქართული ჩამოშორდა და დარჩა მხოლოდ ლეკური. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სამართლიანობა აღდგა და ამ თვითმყოფად ქართულ ცეკვას, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების მშვენებას, ისევ ეწოდა *ქართული.*

ლელე ლეკურ კაბა – ძველი ხალხური სანახაობა (ლე, ლე, ლეკურ-კაბა – გიორგი ლეონიძე). ქალთა ფერხული ფერხულშიგნით მოთამაშით: უქმე დღეს ქალები მღერიან, ტაშს უკრავენ და ბანს მოსძახიან. ერთი მათგანი კი დაუვლის, ცეკვავს და თან ამბობს ამ ლექსს – ლელე ლეკურ კაბა: დედამ კაბა შემიკერა, დარაია ხრიალაო, წითელი ქობა მოავლო, ბუზმენტები წკრიალაო... (რაფიელ ერისთავი).

ლემჩილი – მამაკაცთა უძველესი სვანური სამონადირეო ფერხული (სვან. დასაბერებელი): დაბერებას, დიდხანს სიცოცხლეს უსურვებენ სვანეთში სახელგანთქმულ მონადირე გიორგის – კლდეზე ჯიხვისა და ქურციკის, მინდორში ირმის, მდინარეში კალმახის და ზღვაში თევზის მომნადირებელს. სამონადირეო ცეკვებისათვის დამახასიათებელი უძველესი ტრადიციით, ფერხულში ქალის მონაწილეობა დაუშვებელია. ეს მიგვანიშნებს *ლემჩილის* სიძველეზე. *ისიც,* თითქმის ყველა ქართული ფერხულივით, ორპირული სამხმიანი სიმღერით სრულდება. მუსიკალური ზომა – 2/4.

ლივლივი – ნარნარი, ტალღისებური მოძრაობა, ციმციმი, რხევა.

ლილე – მზის სადიდებელი უძველესი სვანური ფერხული. ქება-დიდებას ასხამენ მზეს, სწირავენ ოქროსრქებიან ხარებსა და გრეხილრქებიან ყოჩებს.

ფერხული სრულდება ამავე სახელწოდების ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 6/8.

მ

მაღალი ერგცერები – ნახევარცერებზე რაც შეიძლება მაღალი დგომა.

მაღალჩაკრული გასმა – გასმის ერთ-ერთი სახე ცეკვა *ქართულში,* ერთტაქტიანი ილეთი: ჰაერში ფეხის მუხლში მოხრა, ისევ გაშლა და შემდეგ ფეხების მდგომარეობის შეცვლა (შეიძლება შესრულდეს მუხლში მოღუნული ფეხის აუღებლად). ფეხი – მარცხენა ტერფზე სწორი მიმართულებით, მუხლში გამართული მარჯვენა წინ გატანილი. ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

მგლური – ძუნძულით სვლა, დიდ-დიდი ნაბიჯით სიარული.

მდგომარეობა – ამა თუ იმ პოზაში ყოფნა, დგომა.

მეთხვიარ მარე – სვანური სამონადირეო ფერხული (სვან. მეთხვიარ – მონადირე, მარე – კაცი). ეძღვნება ნადირობის ქალღმერთ დალისა და კაცღვთაება აბსათს. შინაარსობრივად მთლიანად ემთხვევა ფერხულ *დალა კოჯას ხელღვაჟალე.*

მელია-თელეპია (თელეფია/თულეპია) – საწესჩვეულებო რიტუალის *საქმისაჲს* (მურყვამობის) ნაწილი, მამაკაცთა უძველესი სვანური ფერხული. სრულდებოდა ნაყოფიერების ღვთაების კვირიას დღესასწაულზე, ფერხულ ადრეკილაჲს შემდეგ. ამ ორ ფერხულს შორის გარკვეული ნათესაობაც არსებობს (იხ. გვარამაძე, ლილი (1997), ქართული საცეკვაო ფოლკლორი; ჩიჯავაძე, ოთარ (2009), ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ენციკლოპედიური ლექსიკონი).

მელია თელეპია გასულ საუკუნემდე შემორჩა ქვემო სვანეთს.

მზე შინა – ძველი ქართული საძეობო ფერჴისა. სრულდება ორმწკრივად ქალ-ვაჟთა მიერ. ერთმანეთის პირისპირ მდგარი მეფერხისენი მღერიან საწესო-საძეობო ორხმიან *მზე შინას,* მოძრაობენ ფეხშეწყობით და მზეს იწვევენ ოჯახში (საგალობლის ტექსტი წარმართობისდროინდელია, მზის თაყვანისცემას გამოხატავს და ნაყოფიერების კულტს უკავშირდება). ფერჴისას დამთავრების შემდეგ, მუსიკა-სიმღერის თანხლებით, *სამაიას* ცეკვავენ (იხ. *სამაია*).

მრგვალი – 1. ფერხულის ძველი ქართული სახელი. სულხან-საბა ფერხულს „მგრგუალთ(ა) წყობას“ უწოდებს – ფერხული და მრგვალი ერთი და იგივე ცნებებია. სვანეთში ფერხულების ფეხის მოძრაობათა კომპლექსს *მურგვალ ჭიშხი* (მრგვალი ფეხი) ეწოდება. 2. რაც წრის მოყვანილობისაა ან ჭრილში წრეს იძლევა. წრისებრ, წრეგვარად.

მთიელთა ცეკვები – საქართველოს მთიელთა – მთიულების (*მხედრული, შეჯიბრი, ხანჯლური),* მოხევეების (*მოხეური – ყაზბეგური*), ხევსურების (*ფარიკაობა),* ფშავლების (*ფშაველ ქალთა ლხინი*), თუშების (*თუშური, ქორბელელა, ნიქოკელი*), სვანების (*მირმიქელა, თამარ დედფალ, ყანსავ ყიფიანე* და სხვ.) ცეკვები.

მთიულური – მთიულური ცეკვა. ახასიათებს მთიელთა ვაჟკაცურ ბუნებასთან შერწყმული თავისუფალი, ლაღი, სხარტი და მოქნილი მოძრაობები, ცერილეთებისა და მუხლილეთების სიმრავლე, მოზღვავებული ტემპერამენტი, მდიდარი და მრავალფეროვანი ტექნოლოგიური მასალა. სრულდება ვაჟთა ან ქალ-ვაჟთა მიერ. ვაჟთა მთიულური შეჯიბრების ხასიათისაა, ქალ-ვაჟთა – სატრფიალო. ხალხურ მთიულურს ერთი ან ორი

მოცეკვავე ასრულებს, სასცენო-ხალხურ ვარიანტს, ქორეოგრაფის ჩანაფიქრის მიხედვით, რამდენიც საჭიროა. მთიულურის ნაირსახეობაა: *შევჯიბრი, მხედრული, მწყემსური, ხანჯლური*. სრულდება გარმონისა და დოლის თანხლებით. მუსიკალური ზომა – 6/8.

მიდგმითი სვლა – ცეკვა *განდაგანას* ილეთი. ადრე *ფეხმიდგმით გვერდზე სვლა ქალთა განდაგანას* (ქალთა *ყოლსამას*) ძირითადი სვლა იყო. ამჟამად თანაბრად გამოიყენება *განდაგანაში* ქალისა თუ ვაჟის მიერ. ერთ ტაქტში სრულდება ორჯერ. მუსიკალური ზომა – 6/8.

მიმართულება – გეზი; გზა, კურსი (გარკვეული პუნქტისაკენ) მიმართული – მიქცეული, მიბრუნებული.

მიმკლავი – მკლავების ქვევით დაშვება ვერტიკალურ მდგომარეობაში.

მიმოხანი – 1. მიმო – რთული წინსართი ზმნისა, მოძრაობა იქით და აქეთ, ხანი – მანძილი ზურგით მდგარ მოცეკვავეთა შორის(?), ერთი მწკრივის მეორეში, მოცეკვავეთა შორის გავლა (წერილობითი წყაროებით დაუდასტურებელია – რედ.).
2. ხანი – ქართლ. ჭიჭიტანა – ჭუჭრუტანა, ნახვრეტი კედელში. ჭიტინაი (გურ.აჭარ.), პატარა ნამცეცისოდენა ნახვრეტი (ღლონტი, ალექსანდრე (1984), ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონი).

მირმი(ნ)ქელა – სამსართულიანი სვანური საბრძოლო ფერხული (სვანეთში პოპულარული სამსართულიანი ფერხულები მირმიქელას სახელითაა ცნობილი). ნაყოფიერების ღვთაების – კვირიას – კულტისადმი მიძღვნილი სარიტუალო-საცეკვაო ქმედება. სრულდება კვირიკობის დღესასწაულზე – მხოლოდ მამაკაცთა მიერ. ერთმანეთის მხრებზე შემდგარი მეფერხულენი ორ ან მეტ სართულს ქმნიან. რაც უფრო მაღალია სართული, მოცეკვავეთა რიცხვი კლებულობს. ქვევითა წრე მარცხნიდან მარჯვნივ, საკუთარი სიმღერის აკომპანემენტით მოძრაობს და ტემპს თანდათან უმატებს – მღერის, ცეკვავს და ტრიალებს. ქვემოთ მყოფნი დაიხელთებენ დროს და ზემოთებს ჩამოყრიან. ბოლოს ფერხულის ყველა მონაწილე ერთ დიდ წრეს კრავს და ცეკვა უკვე მიწაზე გრძელდება. თუშეთში ასეთი ფერხული *ქორბეღელას* სახელითაა ცნობილი. მირმინქელას შემდეგ იცეკვება ქალ-ვაჟთა ფერხული *შინავორგილ*. დასასრულ, მამაკაცები *ცერულს* ცეკვავენ. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა 4/4.

მიმყოლი – მოცეკვავე, რომელიც წინ მდგომს მიჰყვება.

მკერდდახურული – მდგომარეობა, როდესაც ცალი ან ორივე მკლავი გულ-მკერდის წინაა და მას ხურავს.

მკლავჩაგრეხი – საცეკვაო ილეთი, – მკლავების რკალისებრი მოძრაობით მდგომარეობის ცვლა.

მოვლა – გარშემოვლა, გარშემო სვლა.

მოკლე სვლა – საცეკვაო ილეთი, სვლის დროს გადადგმული მოკლე ნაბიჯი.

მოკლე რთულა (ან ცაცუნა სვლა) – მთიულური ცეკვების ერთტაქტიანი, ორვარიანტიანი ილეთი. სრულდება დაბალ, საშუალო ან მაღალ ერგცერებზე გამართულ ფეხებზე, მუხლის სახსარში ოდნავ მოდუნებულად. ფეხი – ერგცერებზე დგომა – I პოზიცია; ხელი – შეკრულად წელს უკან (ან გვერდულ და იდაყვებდაქანებულად). მუსიკალური ზომა – 2/4.

მომდევნო მოძრაობა – მკლავების მოძრაობა, როდესაც ერთის მოძრაობას მეორისა მისდევს იმავე ან საწინააღმდეგო მიმართულებით, – ოდნავ დაგვიანებით.

მოძრაობა – ამოძრავება, რხევა, ტოკვა, ადგილიდან სვლა, გადანაცვლება, გადაადგილება, სიარული, სვლა.

მოღუნვა/მოხრა – კიდურების მუხლში და იდაყვის სახსარში მოხრა (ავტორი, ძირითადად, მოღუნვას ხმარობს – რედ.).

მოხეური – ქალ-ვაჟის სატრფიალო ცეკვა, იგივე *ყაზბეგური*. ქართველ მთიელთა ცეკვებისაგან გამოირჩევა თავისებური სილაღითა და ვაჟკაცურობით. შეიძლება შესრულდეს ცალ-ცალკე – ვაჟთა და ქალთა მიერ. ქალთა *მოხეური* გართობა-თამაშია – ხშირად ქალები ვაჟის როლში გამოდიან და ერთიმეორეს პარტნიორობას უწევენ (როგორც ფშაურსა და მთიელ ქალთა ცეკვებში). ვაჟთა მოხეური შეჯიბრების ხასიათისაა. *მოხეური*, *მთიულურთან* შედარებით, უფრო ნელა, საშუალო ტემპში იცეკვება. ხალხურ ვარიანტში ასრულებს ერთი ან ორი მოცეკვავე, სასცენო-ხალხურში, ქორეოგრაფის ჩანაფიქრის მიხედვით, რამდენიც საჭიროა. *მოხეურს*, ანუ *ყაზბეგურს*, ახასიათებს კიდურების ტეხილი მოძრაობა; მუხლილეთები, ცერილეთები; ჰაერში ხტომა და ბრუნი – ნაკლებად. სრულდება გარმონისა და დოლის ან ფანდურისა და დაირის აკომპანემენტით. მუსიკალური ზომა – 6/8.

მოხეური რთულა – ცეკვა *მოხეურის* ძირითადი სვლა. ჩვეულებრივი *რთულასაგან* განსხვავებულობისა და შესრულების თავისებურების გამო, სახელწოდებას დაემატა მოხეური.

მრუდი/მრუდე – სისწორეს მოკლებული, უსწორო, გაღუნული, გახრილი ტეხილი ხაზი არასწორხაზოვანი. რაიმე პროცესის (ფიზიოლოგიური დატვირთვის) გამოხატვა მრუდე ხაზით.

მუსიკალური ზომა – მუსიკალური ტაქტის გრძლიობა (ორწილადი, სამწილადი, ხუთწილადი და ა.შ.).

მუხლდახვევა – მუხლილეთების შესრულება ზედიზედ და გადაბმულად.

მუხლდრეკილი – საყრდენი ფეხის მუხლში მცირედ მოღუნვა.

მუხლდრეკით ჩაკვრა – მთიულური, მოხეური და მხედრული ცეკვების ორტაქტიანი ილეთი. ფეხების მუხლებში მკვეთრად მოღუნვით, შვეულად მიმართული ცერის წვივებს უკნიდან რიგრიგობით შეხება. ფეხების ადგილზევე მდგომარეობის შეცვლა. ფეხი და ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

მუხლმოქნევით ჩაკვრა – *ცერულის, მთიულურის,* მხედრული და მწყემსური ცეკვების ორმოძრაობიანი, ერთტაქტიანი ილეთი – გარეშებრუნებით ჯერ ერთი მუხლი დაფარავს მეორეს, შემდეგ მეორე – პირველს. ფეხი – I პოზიცია. ხელი – I ან IV პოზიცია, ან ხანჯალზე. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8. სრულდება რომელიმე ჩაკვრის ილეთთან შეერთებით.

მუხლმოქნევითა და ქუსლგაკვრით ჩაკრული – ცეკვა *განდაგანაში* მამაკაცთა ორტაქტიანი ილეთი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

მუხლურა წინსვლა წვივმოქნევით – ცეკვა *მთიულურში* მამაკაცთა ერთტაქტიანი ილეთი – ორი მოძრაობა – ნაბიჯი და წვივმოქნევა. მუსიკალური ზომა – 6/8.

მუხლური(ა) – საცეკვაო სვლის (წინსვლის) ერთ-ერთი სახე.

მუხლური(ა) სვლა (სადა) – *მთიულურის, მოხეურის, მთიულურ-დავლურისა და ცერულის* ორტაქტიანი, ორთვლიანი ვაჟური ილეთი: წინ გატანილი ცალი ფეხის (ჰაერში) მუხლის სახსარში მოხრა. ფეხი – I პოზიცია (შეტყუპებული), ხელი – თავისუფლად ძირს დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

მუხლებზე ბრუნი – ცეკვა *მთიულურში* მამაკაცთა ილეთი. ერთ ტაქტში ადგილზე მუხლების შენაცვლებით შესრულებული ერთი სრული ბრუნი, ზოგჯერ – ორიც. არსებობს გადაბმული ბრუნი მუხლებზეც: ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ბრუნი წრეზე გადასაადგილებლად.

მუხლური(ა) ზეხტომით – ერთტაქტიანი, ორთვლიანი ილეთი, იგივე *სადა მუხლურა სვლა*, მხოლოდ ტაქტის მეორე ნახევარში ემატება ზეხტომი – მოცეკვავე ერთ წამს ჰაერში იმყოფება. ფეხი – I პოზიცია, ხელი – თავისუფლად ძირს დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4. იხმარება: *მთიულურში, ცერულში, მოხეურში, მხედრულში, აფხაზურში, მწყემსურში* და სხვ.

მუხლური(ა) ზეხტომით და ტერფმოქნევით – *მუხლური ტერფმოქნევისაგან* განსხვავებით, ნაბიჯის შემდეგ ზეხტომი – თავისუფალი ფეხის მოღუნვა და დახტომასთან ერთად კვლავ წინ გაშლა. ფეხი – I პოზიცია, ხელი – თავისუფლად ძირს დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4. იხმარება: *მთიულურში, ცერულში, მოხეურში, მხედრულში, აფხაზურში, მწყემსურში* და სხვ.

მუხლური(ა) ტერფმოქნევით – ერთტაქტიანი ილეთი: ნაბიჯი და თავისუფალი ფეხის წინ გატანა, შემდეგ თავისუფალი ფეხის მუხლში მოხრა და გაშლა. ფეხი – I პოზიცია, ხელი – თავისუფლად ჩამოშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4.

მურამულდი ქულა – იგივე მირმიქელა (იხ. მირმიქელა).

მძნობარი – *მწყობრი, მემწყობრე* (იხ. ძნობა), მეფერხულე, მგალობელი, მოცეკვავე, მუსიკოსი, სიმებიან საკრავზე დამკვრელი (აბულაძე, ილია (1973), ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

მწკრივად – განრიგებულად, ერთი მეორის გვერდზე.

მწკრივი – განრიგება ერთმანეთის გვერდზე – სიგრძივ ერთი მეორის მიყოლებით. რიგი, წყება.

მწკრივთაშორისი – სივრცე მწკრივსა და მწკრივს შორის. მწკრივ-მწკრივად, მწკრივებად.

მწყემსური – მთიელი მწყემსების ყოფის ამსახველი ქალ-ვაჟთა სატრფიალო ცეკვა *მთიულურის* ელემენტებით. *მწყემსური* სასცენო-ხალხური ცეკვების საუკეთესო ნიმუშია. ავტორმა ამ სახელწოდების ცეკვა 1940 წელს დადგა აკაკი ანდრიაშვილის ოპერა *კაკო ყაჩაღში.*

მწყობრი – ფერხულის ადრინდელი სახელი**,** ფერჴისაში მწკრივებად განლაგებულ მოცეკვავეთა ჯგუფი; შეწყობილი, სამწყობრო (საბა); *გუნდი მძნობ(ა)რი* მეფერხულე, *პურის-მტე* (აბულაძე, ილია (1973), ძველი ქართული ენის ლექსიკონი).

მწყობრება – წრე, რიგი, *სიმგრგულე* (იქვე).

მხარული – მხრებისა და ხელების ოსტატურ თამაშზე აგებული ცეკვა (მეგრ. ხორული). 1. მეგრული ფერხული: ნეკა თითებით ჩაკიდებული ქალები და კაცები ფეხშეწყობით, სიმღერით მოძრაობენ წრეზე – ჯერ ნელა, შემდეგ – აჩქარებულად. აჩქარებისას ქალები გადიან წრიდან, მამაკაცები ჯერ ხელებს ზევით ასწევენ და მჭიდროდ დაუახლოვდებიან ერთმანეთს, შემდეგ წრეს გაშლიან, ხელებს ერთმანეთს მხრებზე გადააწყობენ და განაგრძობენ სვლას. 2. ცეკვა *განდაგანას* აჩქარებული ნაწილი – იგივე *მხარული* (მამაკაცთა *ყოლსამა*).

მხედრული – სასცენო-ხალხური ცეკვების ჯგუფის მამაკაცთა ცეკვა, *მთიულურის* ტექნოლოგიით. სრულდება ხმლებით ან მათრახებით. *მხედრული* ქორეოგრაფთა შემოქმედების ნაყოფია. იცეკვება გარმონითა და დოლით. მუსიკალური ზომა – 6/8.

მხნედ – ძახილი, შეძახილი ცეკვის გაკვეთილზე თუ რეპეტიციის დროს.

ნ

ნაზად – მითითება მოძრაობის ან მოქმედების ხასიათზე.

ნაერთი – კომბინაცია, მოძრაობის ან ილეთის ერთიმეორეზე გადაბმა.

ნაერთული გასმა – გასმათა ერთობლიობა, კომბინირებული გასმა.

ნარნარი, ნარნარად – მეტისმეტად ნაზი, სათუთი; ტურფა, სანდომიანი; ტკბილი, საამო, სასიამოვნო. აქ: მოძრაობა.

ნაკვთი – 1. სახის თუ სხეულის ესა თუ ის გარეგანი, თვალით შესამჩნევი ნაწილი. 2. ფორმა, გარეგანი მოხაზულობა.

ნაკვთურად – პლასტიკურად, სიმეტრიულად, გამონაკვთულად, გამოკვეთილად.

ნაირმხრივი – რაც მრავალ მხარეს, მრავალი მხრიდან ხდება. ერთმხრივისა და ცალმხრივის ანტონიმი.

ნები – ხელის გული.

ნება, ნებითად – ნელა, ნელ-ნელა.

ნიავადი სვლა – დინჯი და ნარნარი ტემპის ილეთი. სრულდება ქალთა და ვაჟთა მიერ მაღალერგცერებზე: წინსვლა ერგცერებზე და მოკლე ნაბიჯის გადადგმა. დამახასიათებელია მთიულურ-დავლური და მოხეური ნელი ცეკვებისათვის. ფეხი – I პოზიცია მაღალი ერგცერები; ხელი – III პოზიცია ან გვერდულა. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ო

ობირუ, ობირუში – იხ. ოტრაღოდუ (ჭანური ფერხული).

ორდაკვრითი ადგილზე სვლა – მთიულური ცეკვების ვაჟური და ქალური ილეთი. სრულდება ადგილზე დროებითი შეჩერების ან ბრუნვის დროს – ყოველ ტაქტში ერგცერების ორი დაკვრა. ილეთს ზოგჯერ *ქუსლმოქნევით ადგილზე სვლასაც* უწოდებენ (თავისუფალი ფეხის ქუსლის შიგ და გარე მიმართულებით მოქნევისას). ხელების მოძრაობა-მდგომარეობა დამოკიდებულია ცეკვის ნახაზზე.

ორდაკვრითი უკუსვლა – მთიულური ცეკვების ილეთი. სრულდება ცვალებადად – ერგცერებსა ან ტერფებზე, ან ცერებზე. ზოგჯერ ერგცერების გაუსრიალებლადაც – ფეხის უკუგადადგმა და ერგცერის დაკვრა. ფეხი – ერგცერებზე დგომა – I პოზიცია. ხელი – III პოზიცია (მარჯვენა აწეული).

ორსართულა – საფერხულო ცეკვა, ორსართულიანი ფერხული – ქვედა რიგის მოცეკვავეთა მხრებზე მეორე რიგი დგას (ზემყრელო).

ორფა – ორჯერ, ორკეცი, ორმაგი, ორწვერი.

ორფა ქუსლცერა ჩაკვრა – ცეკვა *მთიულურის* ერთტაქტიანი ვაჟური ილეთი. *ქუსლცერა ჩაკვრისაგან* განსხვავებით, ერთსა და იმავე ფეხზე სრულდება ორჯერ ჩაკვრა. ფეხი – I პოზიცია, ხელები – წელს უკან შეკრული ან დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ორფა ჰაერბრუნი – ჰაერში ზედიზედ შესრულებული ორი ბრუნი.

ორფაბრუნი – ორმაგი სრული ბრუნი.

ორფადი – ორჯერი, ორმაგი.

ოტლარჩობ(ფ)ა (ატლარჩობა/ატლარჩოპა) – ნაყოფიერების, მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული მამაკაცთა სწრაფტემპიანი აფხაზური ცეკვა წრიული ფერხულით. მთიელთა ცეკვის მსგავსად, *ოტლარჩობაში* გამოიყენება მუხლებზე სრიალი, სხვადასხვა სახის ჩაკვრა და ცერილეთი. სრულდება ამავე სახელწოდების სიმღერით (სიმღერა *აფრაშვას* ზოგჯერ *ატლარჩოპასაც* უწოდებენ). მუსიკალური ზომა – 4/4.

ოტრაღოდუ – მამაკაცთა ორმწკრიული ჭანური ფერხული (ფერჴისა) ცალკე ქალები, ცალკე კაცები. „საზოგადოება ორ ჯგუფად იყოფა. თითოეულ ჯგუფში ხუთი და მეტიცაა. ჯგუფები ერთიმეორის პირდაპირ დგანან და ერთმანეთისაკენ ცეკვით მიიწევენ. თითოეული მხარე, ექსპრომტის საუკეთესო მთქმელის საშუალებით, ლექსით დასცინის მოწინააღმდეგეს“ (ნიკო მარი).

ორფა მუხლი – იატაკზე ჯერ ერთი მუხლის დაკარება/დაკვრა, შემდეგ – მეორის.

ოსხაპუე (ხუჯიში ოსხაპური) – შრომის პროცესის თანმხლები უძველესი სამიწათმოქმედო მეგრული ფერხული (სხაპუა – ცეკვა, ოსხაპუე – საცეკვაო (ჩიჯავაძე, ოთარ (2009), ქართული მუსიკალური ფოლკლორის მცირე ეციკლოპედიური ლექსიკონი).

პ

პაუზა – (ბერძ. pausis – შეწყვეტა) – 1. ხანმოკლე შეჩერება მეტყველების, სიმღერის, ცეკვის, მოძრაობის, მუშაობის და სხვ. დროს. 2. ბგერადობის შეჩერება განსაზღვრული ხნით/ასეთი შეჩერების ნიშანი ნოტებში ან ცეკვის პირობითი ნიშნებით ჩაწერისას.

პირდაპირ – 1. მიმართულების აღმნიშვნელი ძახილი: სწორი მიმართულებით! სახის მიმართულებით! 2. ვისიმე ან რისამე წინ, მოპირდაპირე მხარეს. 3. პირდაპირი მიმართულებით, გადაუხვევლად, გზის გაუმრუდებლად.

პირდაპირი – სწორად გავლებული, სწორად გაჭიმული, მიუხვეველ-მოუხვეველი, – არამრუდე, არაირიბი, სწორი.

პირისპირ – ერთმანეთის პირდაპირ საწინააღმდეგო მხარეს, – პირდაპირ, საპირისპიროდ, წინ.

პოზიცია – (ლათ. positio – მდგომარეობა) – 1. რისამე მდგომარეობა, მდებარეობა, განლაგება, განლაგების ადგილი. 2. სხეულის მდგომარეობა, პოზა რომელიმე მოქმედების, ვარჯიშის შესრულების დროს. 3. მუს. სიმებზე თითების განლაგება ხემიანი საკრავის დაკვრისას. საწყისი მდგომარეობა ცეკვის ამა თუ იმ ილეთის შესრულების წინ.

რ

რბენა – სწრაფი გადაადგილება – სირბილი, სწრაფი სიარული.

რთული – 1. ნაწილებისაგან შემდგარი (საპირისპ. მარტივი); რაც მრავალი სხვადასხვაგვარი ელემენტის, ილეთის, ფრაგმენტის მიმართების ან კავშირის სისტემას ქმნის. აქედან – რთული მოძრაობა, რთული ილეთი.

რთულა სვლა (წინსვლა) – მთიულური ცეკვების ერთტაქტიანი, სამმოძრაობიანი ილეთი. მიეკუთვნება სრიალა ილეთთა ჯგუფს, ასრულებენ ქალებიც და ვაჟებიც. ცეკვის შინაარსის, ხასიათისა და ნახაზის მიხედვით იხმარება სხვადასხვა დროს. ფეხი – I პოზიცია. ხელი – III პოზიცია (ან სამთიულურო). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

რიგი, რიგები, რიგად – (იხ. მწკრივი) განრიგება ერთი მეორის ზურგს უკან; ერთ ხაზზე განლაგებულ, დაწყობილ ადამიანთა წყება, მწკრივი, ორგანიზებული ჯგუფი – შემადგენლობა, წრე.

რიგრიგად, რიგრიგობით – ძახილი (მითითება); ერთმანეთის შემდეგ, რიგრიგობით, მორიგეობით, მონაცვლეობით.

რიტმი – (ბერძ. rhythmos) თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა რაიმე ელემენტისა (მოძრაობისა, ბგერისა).

რიტმული, რიტმულობა – რიტმის შესაბამისი, რიტმს დაქვემდებარებული; რიტმულის თვისება; რიტმული ხასიათის ქონა, რიტმის დაცვა.

რკალი – წრეხაზის მონაკვეთი ან მრუდი ხაზის ნაწილი, რომელიც ორ წერტილს შორისაა მოქცეული.

რკალგვარი/რკალისებრი/რკალისებური – რკალისებრი მოხაზულობის – რკალის ფორმის (ავტორი უპირატესობას ანიჭებს კომპოზიტს – რკალგვარი, რომელიც ლექსიკონებში არ გვხვდება. – რედ.).

როკვა – ქართული ცეკვების ადრინდელი ზოგადი სახელი: „როკვა არს სამა, ცეკვა, ბუქნა, კოჭა, ფერჴული, მრგვალწყობა და რაოდენიცა ებანთა და ფანდურთა მიერ იქმნებიან“ (საბა). XVII–XVIII საუკუნეებში როკვა ჩამოთვლილი ცეკვების საერთო სახელწოდებად იქცა, ცეკვა კი კერძო მნიშვნელობით გვხვდება.

რხევით მოძრაობა – ზეტანის მარჯვნივ და მარცხნივ რხევა.

რხევით განზე სვლა – გვერდზე სვლის ილეთი: ზეტანი ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ იზნიქება, ზოგჯერ მკლავების მოძრაობებით, ზოგჯერ უიმისოდ. ამ ილეთს მეტწილად ქალები ხმარობენ მთიულური ცეკვის შესრულების დროს, რომელსაც თან ჭდობილი სვლა ახლავს.

ს

სადა – მარტივი

სადა მუხლურა ბრუნით – იხ. *სადა მუხლურა*. ერთ ტაქტში ორი *სადა მუხლურა* მარჯვენა და მარცხენა ფეხით. პირველად მარჯვენა ფეხით მარცხნივ ბრუნი. ფეხი – III პოზიცია. ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა – 4/4.

სადა ჩაკვრა – ცეკვა *მთიულურის* ერთტაქტიანი ილეთი – ქუსლისა და ფეხის წვერის შენაცვლებით დაკვრა. მუსიკალური ზომა – 6/8.

სადა სრიალა გასმა – ცეკვა *ქართულის* გასმების ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი ერთტაქტიანი ილეთი – ტერფების წინა ნაწილებზე (ერგცერებზე) სრიალით ფეხების წინ-უკან სამჯერ მოძრაობა. მუსიკალური ზომა – 6/8.

სათამაშო – ცეკვის ზოგადი სახელი. რაც უნდა ითამაშონ – თამაში; იგივეა, რაც საცეკვაო; გასართობარი, შესაქცევარი, სასეირო; სათამაშოდ/საცეკვაოდ.

სათვალავი, თვლა – მუსიკალური ტაქტის ან მისი ნაწილის დათვლა.

საკეტი დგომა – ილეთი, რომლის საშუალებითაც ერთი მოცეკვავე მეორეს სვლას დაუხურავს, გზას შეუღობავს, წინ გადაეღობება.

საკეჭნაო – იხ. კეჭნაობა.

სალხინო – ცეკვის სახელი (ავტორის არქივში აღმოჩნდა ამ ცეკვის მხოლოდ სქემატური ნახაზი). 1. ლხინისთვის განკუთვნილი, ლხინის დამახასიათებელი, ლხინთან დაკავშირებული, – ლხინისა, სამხიარულო. 2. შენობა ან საგანგებოდ მოწყობილი ადგილი ლხინისათვის. 3. ერთ-ერთი ქართული ხალხური სიმღერის სახელწოდება.

სამაია/სამა – ქალთა, ვაჟთა და ქალ-ვაჟთა უძველესი საძეობო ფერხული. ხალხური *სამაია ფერჴისას* უფრო წააგავს, ვიდრე *ფერჴულს* – მწკრიულად სრულდება. ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ერთ-ერთი უძველესი, ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული, ძეობის თანმხლები ცეკვა სიმღერასთან ერთად. *სამაია* მიჩნეულია ქალთა ცეკვად სამი ქალის მონაწილეობით (სამი ქალი სვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკაზე – რედ.). საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფა და წერილობითი წყაროები არ გვიქმნის წარმოდგენას *სამაიას* შესახებ: სოფრომ მგალობლიშვილს ქართლში უნახავს, რომ ქალებთან ერთად ბიჭუნებიც ცეკვავდნენ; შალვა ასლანიშვილის მიერ ფშავში, სოფელ გოგოლაურთაში, ქმოდის ხატობაზე ჩაწერილი *სამაია* წრიული ფერხულია და მის თანმხლებ სიმღერას აქვს ხალხური საცეკვაო მუსიკისათვის უჩვეულო ზომა – 7/4; ქორეოგრაფმა ავთანდილ თათარაძემ ფშავში სამაია ვაჟების შესრულებით დააფიქსირა; გიორგი გრიგოლიშვილმა სოფელ ქვემო ქედში *სამაია* ქალ-ვაჟთა ცეკვად დაადასტურა...

მეფე არჩილის, დავით გურამიშვილის, თეიმურაზ II-ის, ფეშანგის, ვახტანგ ბატონიშვილის, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობები ერთმანეთს არ შეესაბამება. შეიძლება ეს იმით აიხსნას, რომ *სამა* და *სამაია* ლიტერატურულ წყაროებში საცეკვაო ტერმინადაა მიჩნეული (იმერხევში დღესაც არსებობს ზმნის ფორმა სამება ცეკვის მნიშვნელობით: ისამე – იცეკვე! – რედ.) და ცეკვის ზოგადი სახელია. *ხორუმის* თავში მოცეკვავეს თავმოსამეს უწოდებენ. ქალთა *სამაია* სრულდება სიმღერის ან ხალხური საკრავების თანხლებით. მუსიკალური ზომა – 6/8.

სამდაკვრითი (ადგილზე) სვლა – ცეკვა *ქართულში* ქალის ილეთი, რომლის დროსაც თითოეულ ტაქტში კოჭის სახსარში მოძრავი, ერთმანეთთან მჭიდროდ შეერთებული ტერფები ერგცერებით რიგრიგობით სამჯერ დაეკარება იატაკს და კვლავ მოსცილდება. მუსიკალური ზომა – 6/8. *ქართულში* სამდაკვრითი სვლა გამოიყენება ადგილსა და გვერდზე ბრუნვისათვის, ასევე უკუსვლებისათვის.

სამდაკვრითი (ადგილზე, უკან) სვლა – ცეკვა *ქართულში* ქალის ერთტაქტიანი ილეთი: კოჭის სახსარში მოძრავი, ერთმანეთთან მჭიდროდ შეერთებული ტერფების ფეხის წვერებით რიგრიგობით იატაკს სამჯერ შეხება. მუსიკალური ზომა – 6/8. ცეკვა *ქართულში სამდაკვრითი სვლა* გამოიყენება ადგილსა და გვერდზე ბრუნვისათვის, ასევე უკუსვლისათვის.

სამდაკვრითი წინსვლა – ოსური ცეკვა *ზილგას* ერთტაქტიანი ილეთი – ფეხისწვერებზე (ერგცერებზე) დგომით. შეიძლება ცერებზე შესრულებაც. მუსიკალური ზომა – 6/8.

სამფა მუხლი – იხ. სამმუხლა ილეთი

სარეცხული გასმა – ცეკვა *ქართულის* ერთტაქტიანი ილეთი. სრულდება *სადა სრიალა გასმის* მსგავსად, მხოლოდ აქ მესამე მოძრაობაზე უკან ჩამორჩენილი ფეხი გასრიალდება წინ და ტერფი ცერის მხრიდან სრიალით გადაუვლის მეორე ტერფის ზედა ნაწილს. ფეხი და ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა – 6/8.

სასვენო – ცეკვა *ხორუმში* შეტევებს შორის შესვენების გამომხატველი ერთტაქტიანი ილეთი. მუსიკალური ზომა – 5/8.

საფერხულო უკუჩაკრული – ქართული ფერხულების (ძირითადად, გურულისა და რაჭულის) ილეთი – ერთი ფეხით გვერდზე ნაბიჯი და მეორის წვერის უკან დაკვრა.

საფერხულო წინჩაკრული – ქართული ფერხულების ძირითადი ილეთი – ორი მოძრაობა: პირველი – ერთი ფეხით გვერდზე ნაბიჯი, მეორე – ფეხის წინ ჰაერში გაქნევა.

საფრთხილო – ცეკვა *ხორუმის* ორტაქტიანი ილეთი – მოწინააღმდეგის განლაგების დაზვერვა, ფრთხილად მოსინჯვა. ფეხით მოსინჯვის მოძრაობები *ფარულას* შემდეგ (იხ. ფარულა) სრულდება. მუსიკალური ზომა – 4/8.

საცდელი – საცდელი დავლა, საცდელი გასმა.

სართავი – მაჯის სახსარში ხელის წრისებრი ან რკალისებრი მოძრაობა.

საქრიალო სვლა – საცეკვაო დინამიკური სვლა – მოძრაობა განიერი ნაბიჯებით. სხეული არ ქანაობს (არ ირხევა).

საყრდენი ფეხი – ფეხი, რომელსაც სხეული მაშინ ეყრდნობა, როდესაც მეორე ფეხი ჰაერშია ანეული ან იატაკს ეხება.

სვლა, სვლები – საცეკვაო ილეთები – წინსვლისა და წრეზე დავლისათვის.

სიმდი – ქალ-ვაჟთა სატრფიალო ოსური მასობრივი ცეკვა თავისი ნაირსახეობით: სიმდი, ნართების სიმდი, თიმბილ სიმდი, სიმდი ჩეფენა, სიმდი სანდრაკი... იცეკვება გარმონისა და დაირის ან დოლის თანხლებით. მუსიკალური ზომა – 4/4.

სკუპი – მოკლე ხტომი(ა).

სახუმარო – სახუმარო ხასიათისა და სატირული შინაარსის ცეკვების ზოგადი სახელი. ქორეოგრაფიული ნახაზი და ილეთების სტილი დამოკიდებულია შინაარსზე: სახუმარო თხრობით, ვისიმე გამოჯავრებით, დაცინვით, დატუქსვით... ასეთი ცეკვის მიზანია მაყურებლის გართობა-გამხიარულება. მიმიკას მთავარი ადგილი უჭირავს, საცეკვაო ილეთები დამხმარე საშუალებაა. სახუმარო ცეკვა პანტომიმისა და ცეკვის ნაზავია. ქართლ-კახეთში გავრცელებული ყოფილა: *ბეჯითი და ზარმაცი შრომისა და სამხრის დროს* და *ქათმიპარია. ქართლში – მყრალი კონა.* სახუმარო-საოხუნჯო-სატრფიალო ცეკვებია: *ცანგალა და გოგონა, განდაგანა, მხარული.*

ტ

ტანი – ზეტანი.

ტაქტი – 1. მეტრული მუსიკალური ერთეული – თითოეული იმ თანაბარ ნაწილთაგანი (ხანგრძლივობის მიხედვით), რაზეც იყოფა მუსიკალური ნაწარმოები მეტრული მახვილის მიხედვით. 2. რაიმე ერთგვაროვანი მოქმედების, მოძრაობის თითოეული ნაწილი; დრო თანაბარ დარტყმებს შორის.

ტერფი – ფეხისგული.

ტერფდაკვრით წინსვლა – ოსური ცეკვა *სიმდის* ძირითადი ერთტაქტიანი სვლა – ყოველ მეოთხე სვლაზე ფეხის წვერის ოდნავ წინ გასრიალებით. მუსიკალური ზომა – 4/4.

ტერფდაკვრით ჩაკრული – აფხაზური ცეკვა *შარათინის* ძირითადი ერთტაქტიანი ილეთი: ადგილზე შეხტომა და ტერფების რიგრიგობით დაკვრა. ილეთი ბრუნის დროსაც სრულდება. მუსიკალური ზომა – 4/4.

ტერფმოქნევით გასმა – ცეკვა *ქართულის* ერთტაქტიანი ილეთი (გაქნევა, გასმა) – *სადა სრიალა გასმის* თავისებური, გართულებული ვარიანტი: ტაქტის მეოთხე თვლაზე ყოვნის ნაცვლად წინ გატანილი ტერფის მოქნევა და გაქნევა – ფეხის მუხლის სახსარში სწრაფად მოხრა და გამართვა. მუსიკალური ზომა – 6/8 ან 4/4.

ტერფულა წინსვლა – ცეკვა *ქართულის* ერთტაქტიანი სვლა, ტერფებზე სრიალი. მუსიკალური ზომა – 6/8.

ტყუპმუხლზე სრიალი – აფხაზური ცეკვის ილეთი – გამორბენით ორივე მუხლზე დაცემა და გასრიალება.

ტემპი – (ლათ. tempus-იდან) მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფე. მოძრაობის სიჩქარის ხასიათი.

ტერფის წინა ნაწილი – ნახევარცერი, ერგცერი.

ტერფული – საცეკვაო სვლის ერთ-ერთი სახე.

ტოლმხრივი – ერთნაირი მიმართულებით მკლავების მოძრაობა ან მდგომარეობა.

ტრიალი, **ტრიალებს** – მოძრაობა რისამე ირგვლივ, წრიულად ან თავისი ღერძის გარშემო, – ბრუნვა; ტრიალით მოძრაობს წრიულად, რისამე ირგვლივ; მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო, – ბრუნავს.

ტყუპად – ორსავე ფეხზე ტყუპად შედგომა.

ტყუპცერი – ორივე ფეხის ცერი.

ტყუპცერა ჩაკვრა – მეტწილად იხმარება მთიულურ, აფხაზურ და მხედრულ ცეკვებში. სრულდება როგორც *ტყუპცერშედგომი*. ერთტაქტიანი ილეთი: ერგბუქნიდან არეკნით დაბალი ზეხტომი და ორივე ფეხის წვერზე შედგომა. ფეხი – I პოზიცია. ხელი – ცეკვის ხასიათის შესაბამისად. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

უ

უკუზნექი – ზეტანის უკან გადაზნექა.

უკუსვლა – სვლა ზურგის მიმართულებით.

უკუხტომი – ხტომა ზურგის მიმართულებით.

უკუმკლავი – დაშვებული მკლავების უკან გაწევა.

ფ

ფანდი – ხერხი, ილეთი.

ფარიკაობა – 1. წყვილთა, ჯგუფობრივი ან მასობრივი სასცენო-ხალხური ცეკვა. 2. მოწინააღმდეგის ხმალში გამოწვევა და ბრძოლა, ფარ-ხმალში ვარჯიში – კეჭნაობა. საფუძვლად დაედო ხევსურულ ცეკვა *ფარიკაობას.* ცეკვა *ფარიკაობა* ქართველ ქორეოგრაფთა შემოქმედების ნაყოფია. ცეკვაში საინტერესოა არა მარტო მისი სანახაობითი მხარე, – ცეკვის თავისებური მონახაზი, ტექნიკურად რთული ილეთების გამოყენება, ფარ-ხმლის ოსტატურად ხმარება და სხვა,– არამედ მასში ზედმიწევნითაა გამოკვეთილი ქართველი კაცის რაინდული ბუნება: ბრძოლა შეიძლებოდა მხოლოდ თანაბარი იარაღით, უიარაღო მოწინააღმდეგეს, ზურგშექცევით მდგომს ან წაქცეულს ხმალს არ დაჰკრავდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხევსურული ტრადიცია: ქალის, მისი მანდილისადმი პატივისცემა. ფარიკაობას, ძირითადად, მამაკაცები ასრულებენ, ქალები უფრო მეტად დასაწყისსა და დასკვნით ნაწილში მონაწილეობენ. სრულდება გარმონითა და დოლით ხევსურულ საცეკვაო მელოდიებზე. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ფეხშლა – ორივე ფეხის გაშლა.

ფეხცერა ჩაკვრა – იხ. ქუსლცერა ჩაკვრა.

ფერჴისა – ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უძველესი ფორმა, საფერჴისო წყობის საცეკვაო და სასიმღერო სანახაობა. „მრავალთმობმით“ როკვა (საბა). წრეშეუკვრელი ფერხული – მწკრივებად განლაგებული ერთი ან ორი მწყობრი.

ფერჴული – „მგრგვალთა“ წყობა (საბა), ანუ წრიული ფორმა. გუნდური ცეკვა: ხელი-ხელგადაბმული მოცეკვავეების წრედ ბრუნვა (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. VII, 1962 წ). ფერხულები განსხვავებულია ფორმისა და შინაარსის მიხედვით: წრიული, წრე წრეში ჩასმული, წრის შიგნით მოთამაშით, ორ და სამ სართულიანი ფერხულები. სამონადირეო, რელიგიურ-რიტუალური, საბრძოლო და საყოფაცხოვრებო. ფერხული – ფეხებს, ფეხების მოძრაობას უკავშირდება. ეს მისი მეგრული და სვანური სახელებითაც – *კუჩხიში* და *ჭიშხაში)* – დასტურდება.

ფეხშლილი – ფეხებგაშლილი, გალავჯული.

ფეხშლილი ჩაკვრა – მთიელთა ცეკვებისათვის, უფრო მეტად სვანური *ცერულისათვის,* დამახასიათებელი ერთტაქტიანი ილეთი. მუსიკალური ზომა – 6/8 ან 2/4.

ფეხშლითა და განბიჯით ჩაკვრა – მთიელთა ცეკვების – მთიულურის, სვანურის, აფხაზურისა და ოსურის – ორტაქტიანი ილეთი, *განბიჯითა* და *ფეხშლით ჩაკვრის* თავისებური – სახეშეცვლილი, შებრუნებული ვარიანტი: ჯერ ფეხშლა სრულდება, შემდეგ – განბიჯი. მუსიკალური ზომა – 6/8 ან 2/4.

ფეხცვლა – ფეხების მდგომარეობა-მოძრაობის შეცვლა.

ფეხცვლით ბრუნი – ჯერ ერთ ფეხს დაყრდნობა, შემდეგ – მეორის.

ფეხჭდომილი – ფეხებგადაჯვარედინებული, ფეხი ფეხზე გადადგმული.

ფეხჭდომ(ბ)ილი სვლა – იხ. *ცერებზე სვლა*. გვერდზე სვლის ერთ-ერთი ილეთი. სრულდება ერგცერებსა და ცერებზე ან ტერფდგომიდან ცერებზე შედგომით და კვლავ ტერფებზე დაბრუნებით. გვერდზე სვლის მიმართულების შესაბამისად ფეხების ერთმანეთზე გადაჭდობა. გვხვდება მთიულურ, მხედრულ, მწყემსურ და მოხეურ ცეკვებში.

ფრენმუხლური(ა)/მუხლური(ა) რბენხტომით (მაღალი მუხლური) – მთიულური ცეკვების, განსაკუთრებით, *აფხაზურის მთიულურის* ორტაქტიანი მუხლური სვლა: წინ ორი ნაბიჯი რბენისებურად და *მუხლური ზეხტომითა და ტერფმოქნევით.* ხშირად ჩართულია სხვა სახის სვლებშიც. ზეხტომისას ხელების სხვადასხვა მდგომარეობაა. მუსიკალური ზომა – 2/4.

ფრენხტომი – ხტომისას წელის ოდნავ უკან გადაზნექა და ორივე ფეხის გამართვა.

ქ

ქალტაციობა – ქალ-ვაჟთა საფერხისო სანახაობა, „მოთამაშენი ორ წყებად და ორ განად იყოფიან, დგებიან, მობმით ცეკვავენ და მღერიან. ჯერ პირველი მწყობრი იტყვის სიმღერით ლექსს და „სკუპით“ მეორე მწყობრისაკენ მიიწევს, მერე მეორე მწყობრი ჩამოართმევს პირველს სიმღერას, პირველი უკან იხევს, მეორე კი „სკუპით“ მისკენ მიიწევს... საბოლოოდ პირველი მწყობრი თავს დაესხმის მეორეს და ქალს წაართმევს.“ (რაფიელ ერისთავი).

ქვეგანმკლავი – განზე გაშლილი მკლავების ქვევით დაქანება.

ქვეილეთი – ილეთის ნაწილი.

ქვეტანი – სხეულის ნაწილი წელიდან ფეხის ტერფამდე.

ქვეწინმკლავი – წინ მიმართული მკლავების ქვევით დაქანება.

ქობულეთური ჩაკრული – *ხორუმის* ორტაქტიანი ილეთი. ახასიათებს ქობულეთელი აჭარლების ხორუმს. მუსიკალური ზომა – 5/8.

ქორბელელა – ძველი თუშური ორ ან სამსართულიანი ფერხული (იხ. ზემყრელო). ღვთისშვილთა პატივსაცემი და ნაყოფიერების ღვთაების სადიდებელი მისტერიის ნაშთი. სრულდებოდა ლაშარის ჯვრის დღეობაზე მამაკაცთა მიერ. „სახლზედ სახლი აგებული, ქორედ-ქორედი ოთხ(ი)-ხუთი სახლი სახლზედ შენებული“ (საბა). სვანურად ქორი სახლს ნიშნავს, ქორბელელა სახლისა და ბელღლისაგან შემდგარი ძველი ქართული სართულებიანი ნაგებობა უნდა იყოს. ხალხის რწმენით, ვინც ქორბელელაში არ ჩაებმება, ხატი დაამიზეზებს. მამაკაცები ხელებითა და მხარბეჭით ერთმანეთს გადაებმებიან და იკვრება მჭიდრო წრე, რომელზეც ადის მეორე (მესამე) წყება და ფერხული ნელი ნაბიჯით და სათანადო რიტმით ხატისაკენ მიემართება, მარჯვნივ ტრიალებს და *ლაშარის სიმღერას* ორპირულად ასრულებს.

ქრიალა წინსვლა – *მთიულურ-დავლურის*, *ქალთა მთიულურისა* და მოხეური ცეკვების ილეთი. ამ სახის სვლას ქალებიც და ვაჟებიც ასრულებენ. ტაქტის ყოველ თვლაზე მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით ფეხის წვერებზე აწეული სვლა – ქროლა. ფეხი – ერგცერებზე დგომა – I პოზიცია. ხელი – თავისუფლად დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ქუსლაქნევი – ფეხის ქუსლის ზევით აქნევა.

ქუსლამართვით (ქუსლაქნევით) ჩაკვრა (მოხეური) – ცეკვა *მოხეურის* ორტაქტიანი ილეთი. მონაცვლეობით ფეხების მდგომარეობის ცვლა – შიგ შებრუნება და იატაკს ცერის მოუშორებლად ქუსლის ზეაწევა. ფეხი – IV პოზიცია. ხელი – III პოზიცია (მარცხენა ზევით). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ქუსლგადგმით ჩაკვრა (ან ჭრილი) – მოხეური, მთიულური და მხედრული ცეკვების ორტაქტიანი ილეთი: მარჯვენა ფეხის წინა ნაწილზე დაყრდნობით ნახევარბრუნი მარცხნივ და მუხლში გამართული მარცხენის წინ ქუსლზე გადადგმა. ფეხი – III პოზიცია. ხელი – შვილდურა მდგომარეობა (წინ მარცხენა). მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ქუსლდაკვრითა და უკუფეხდგმით ჩაკრული – აჭარული ცეკვა *განდაგანას* ილეთი. სრულდება მამაკაცთა მიერ ორ ტაქტში. მუსიკალური ზომა 6/8.

ქუსლურა გასმა – ცეკვა *ქართულის* ილეთი. სრულდება, როგორც *სადა სრიალა გასმა*, ოღონდ ყოველი ტაქტის მესამე თვლაზე წინ გატანილი ფეხი ქუსლით ეხება იატაკს. ფეხი – II პოზიცია, ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა – 4/4.

ქუსლცერა ჩაკვრა – ცეკვა *მთიულურის* ორტაქტიანი ქალური და ვაჟური ილეთი: მონაცვლეობით ორივე ფეხზე ოდნავი ზეხტომი, ფეხის ნახევარი ტერფით უკან გამოწევა, სრული ტერფით დადგმა და მეორე ფეხის ცერით იატაკს შეხება. ფეხი – I პოზიცია. ხელი – შეკრული წელს უკან ან დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ქუსლცერა წინსვლა – ცეკვა *განდაგანას* ერთტაქტიანი ილეთი: სვლა ქუსლისა და ფეხის წვერის დაკვრით. მუსიკალური ზომა 6/8.

ქუსლურა წინსვლა – ცეკვა *კინტაურის* ერთტაქტიანი სვლა. ახასიათებს აღმოსავლეთ საქართველოს გლეხურ ცეკვებს – სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული მოძრაობა. (იხ. *კინტაური).* მუსიკალური ზომა 6/8.

ქუსლგაკვრით უკუსვლა – მთიელთა ცეკვებისათვის (მთიულური, ფშაური, ხევსურული, თუშური) დამახასიათებელი ერთტაქტიანი ილეთი – უკუსვლა. სრულდება ადგილზეც გასმის სახით. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ქუსლდაკვრით უკუსვლა (მოხეური) – მოხეური და მხედრული ცეკვების ერთტაქტიანი, ორთვლიანი ვაჟური ილეთი: მარცხენის მუხლში გამართვა, მარჯვენის დაბალ ერგცერებზე გასრიალებით მუხლში მოღუნვა და გამახვილებულად დაკვრა. ფეხი – მუხლში გამართული, წინგადგმული მარჯვენის დაბალი ერგცერით იატაკს შეხება, მარცხენის მუხლში ოდნავ მოხრა და სრული ტერფით დადგმა. ხელი – მარცხენა – განგაშლილი, მარჯვენის ზურგით ქამრის ხაზზე წელს შეხება. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ღ

ღვთაება კვირია – ნაყოფიერებისა და შვილიერების მფარველი ღვთაება სვანეთში. ყოველი სასოფლო ლოცვა პირველად კვირიას ხსენებითა და საგალობლით იწყება. სრულდება *მურყვამობის* დღესასწაულზე (ზოგი გადმოცემით, *კვირიკობაზეც). ადრეკილაჲ, მელია თელეპია,* საგალობელი *კვირია,* ფერხული *ჭიშხაში* და კიდევ ოთხი სიმღერა ნაყოფიერების ღვთაება კვირიას სადღესასწაულო სიმღერა-ფერხულებია.

ყ

ყაზბეგური – იხ. მოხეური.

ყანსავ ყიფიანე – ქალ-ვაჟთა სვანური ფერხული, ეძღვნება ლაშხეთის მახვშს, უბერებელ და უკვდავ ვაჟკაცს – ყანსავ (ბეჟან) ყიფიანს (XIV ს.). დაიღუპა სოფელ უშგულზე ლაშქრობის დროს. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 2/4.

ყარაჩოღული, ყარაჩოხული – (თურქ. შავჩოხიანი). ყარაჩოხელთა ცეკვა – ძველი თბილისის საცეკვაო ფოლკლორის ნიმუში. ყარაჩოხელები ხელოსნები იყვნენ, ისინი ერეკლე მეფეს ხლებიან ასპინძის ბრძოლაში, და გამორჩეული ჩაცმულობის გამო თურქებს ყარაჩოხელები (ყარაჩოღელები) შეურქმევიათ.
ცეკვაში მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები. ხალხურ ვარიანტში – ერთი ან ორი, სასცენო-ხალხურში – ქორეოგრაფის სურვილისაებრ, განუსაზღვრელი რაოდენობა. იცეკვება დუდუკითა და დოლით. მუსიკალური ზომა – 6/8.

ყოვნა – პაუზა, შესვენება, დროებით შეჩერება.

ყოვნით გასმა – ცეკვა *ქართულის* ილეთი. სრულდება გასმების ნაერთის დასაწყისში.

შ

შავლეგო – უძველესი ქართლ-კახური ფერხული, ფერხულს შიგნით მოთამაშით. ეძღვნება შალვა ახალციხელს. შემორჩენილია მხოლოდ სიმღერა, ფეხის მოძრაობათა კომპლექსი დაკარგულია. სიმღერის მიხედვით ფერხული აღადგინა ავთანდილ თათარაძემ.

შარათინი – შევჯიბრების ტიპის აფხაზური ხალხური ცეკვა. ხალხურ ვარიანტში სატრფიალო ცეკვაა და სრულდება ცალ-ცალკე – ქალთა, ვაჟთა და ქალ-ვაჟთა წყვილების მიერ. სასცენო-ხალხური კი ჯგუფურად იცეკვება. ილეთები: ტერფდაკვრით სვლა, ტერფდაკვრით ჩაკვრა და ბრუნი. *შარათინის* დასკვნით ნაწილში იმღერება *ოტლარჩოპა* – მოცეკვავე მამაკაცები სწრაფ ტემპში ასრულებენ ჩაკვრებსა და ცერილეთებს. მუსიკალური ზომა – 2/4.

შემოვლა – რისამე ირგვლივ სვლა, მოვლა; თავს დავლა, გზის მოჭრა, მომწყვდევა; მოცეკვავეთა მიერ ერთმანეთის მოვლა – გარედან, შიგნიდან, მარჯვნივ, მარცხნივ და ა.შ.

შეჯიბრი – ვაჟთა სასცენო-ხალხური ცეკვა, *მთიულურის* ნაირსახეობა: ორ მოწინააღმდეგეს შორის შეჯიბრება – საცეკვაო ილეთთა სისხარტე-სიმარდეში, დახვეწილობა-მოქნილობაში (მართებულია შეჯიბრება – რედ.).

შინავორგილ – ქალ-ვაჟთა სვანური სატრფიალო მასობრივი ცეკვა. მეფერხულენი ორ ჯგუფად, წრის შეუკვრელად, ცეკვავენ. ამიტომ შეიძლება შინავორგილ ფერჴისებს მივაკუთვნოთ. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 4/4.

შიშა და გერგილ – სვანური საყოფაცხოვრებო ფერხული. ტექსტის მიხედვით, პირველად ვინმე გერგილს (გიორგის) აღმოუჩენია მჟავე წყალი ცხარვაშში. ძირითადი მოძრაობა უძველესი ფერხულებისათვის დამახასიათებელი *მრგვალი ფეხია*. სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 2/4.

შვილდურა – მკლავების მდგომარეობა, რომლის დროს ცალი მკლავი წინ და ოდნავ ზევითაა მიმართული, მეორე – მოხრილი, იდაყვი განზე მიმართული, ხელის თითები კეფას ეხება.

შეკვრა – საფერხულო განრიგება; ფერხულის შეკვრა.

შეტყუპებული (ფეხები) – ერთიმეორესთან მჭიდროდ მიდგმული ფეხები ერთნაირ მდგომარეობაში.

შლიბიჯი – გაშლილი ფეხების მთელი ტერფით დადგმა.

შლიფეხი – გაშლილი ფეხების იატაკს მხოლოდ ერგცერებით ან ცერებით დაკარება.

შუშპარი – მთვარის ღვთების პატივსაცემი უძველესი სვანური სარიტუალო ცეკვა-ფერხული. 2. უძველესი სამონადირო ცეკვა. სულხან-საბა *შუშპარსა* და *სამას* ერთსა და იმავე ცეკვად მიიჩნევს: სამა – როკვა შუშპარი... ნიკო მარს შუშპარი თუბალ-კაინური წარმოშობის სიტყვად მიაჩნია: შუშ – თუბალ-კაინური, თუთ – მთვარე, თრთოლა, მოძრაობა; პარ – ფერხული, სამა. ,,ათი ქალი და დაახლოებით ოცი მამაკაცი მწკრივს ქმნიან და შეწყობით ტაშს უკრავენ. სიმღერას ასრულებს, როგორც ყოველთვის, ორ გუნდად გაყოფილი, მწკრივებად გაშლილი ან წრედ შეკრული ფერხული. ამ მწკრივს წინ, თუ წრის შიგნით, ხან ერთი და ხან კიდევ ორი მოთამაშე ცეკვავს – ქალი მამაკაცის თანხლებით“ (ნიკო მარი). დროთა განმავლობაში *შუშპარი* – მთვარის ცეკვა – დავიწყებას მიეცა, მაგრამ ცეკვის ზოგად სახელწოდებად დარჩა (შუშპარი – ცეკვა; შუშპარა – მოცეკვავე; აშუშპრებს – აცეკვებს; სვანურად: ლახშუშპარია – იცეკვე).

ჩ

ჩაგრეხა – ხელების მოძრაობა – იდაყვის სახსარში მოხრითა და გაშლით წინაწყრთების რკალისებური მოძრაობა. წინასწარ წრის ან რკალის შემოწერა ზევიდან.

ჩაკვრა – ფეხის მოძრაობის დასახელება, რომლის დროსაც, მხტუნავ მოძრაობასთან ერთად, იატაკზე ფეხი ცერით ან ქუსლით დაიდგმება, ან დაეკარება, ან მოღუნული ფეხი სწრაფად მუხლში გაიმართება.

ჩაკვრით სვლა – ვაჟური ილეთი – წინგადადგმულ ნაბიჯს მოსდევს რომელიმე სახის ჩაკვრა. გავრცელებულია ორი ვარიანტი, რომლებიც მეტწილად მთიულურ, მოხეურ და მხედრულ ცეკვებში იხმარება. ფეხი – I პოზიცია, ხელი – I პოზიცია ან თავისუფლად დაშვებული. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ჩაკრული გასმა – ცეკვა *ქართულის* რთულ სრიალა მოძრაობათა ჯგუფის ერთტაქტიანი ილეთი: წინ და უკან სრიალით ფეხების მდგომარეობის ცვლა – ოდნავ შესამჩნევი სრიალა წინხტომი ტერფის 1/4-ზე. ფეხი – I პოზიცია. ხელი – მარცხენა ხანჯალზე, მარჯვენა – დოინჯი.

ჩამოვლა – წრეშემოვლა.

ჩეყარამსა – ქალ-ვაჟთა ძველი სვანური ფერხული: მე-16 საუკუნეში თავისუფალმა უბატონო სვანებმა სოფელ უშგულში მოკლეს მოძალადე თავადი ფუთა დადეშქელიანი. ჩეყა ფერხულში ფეხების მოძრაობათა დამდგენის სახელს უნდა უკავშრდებოდეს, რამსა – სვლას; სრულდება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 4/4.

ჩოქვა, ჩოქი – დაჩოქვა ცალ ან ორივე მუხლზე.

ც

ცალად, ცალი – წყვილისგან ერთი; აქ: ერთის, ცალის ცეკვა.

ცალმხარდახურული – განზე გაშლილი მკლავის იდაყვის სახსარში მოხრა, წინამხარი – მხრის ზემოთ.

ცალმხრივი – ცალი მკლავის მოძრაობა.

ცალცერდაქნევი(ა) – უკან აწეული ცალი ფეხის ცერის ქვევით დაქნევა.

ცეკვა – ხელოვნების უძველესი ფორმა, რიტმულ მოძრაობათა კომპლექსი, ადამიანის შინაგანი განცდებისა და გრძნობების მოძრაობით გადმოცემა.

ცეკო – გასმების წყება (ავთანდილ თათარაძის მიხედვით, ქალ-ვაჟის წყვილად ცეკვის, ცეკვა *ქართულის* ხალხური ვარიანტის ძველი სახელი. შემორჩენილია კახეთში (იგავში *აქლემი და ვირი* ახსენებს სულხან-საბა – რედ.).

ცერდგომი – ცერებზე დგომა.

ცერდგომბუნი – ცერებზე დგომით ბრუნვა.

ცერდგომში სვლა – ცერებზე სვლა.

ცერებზე სვლა – მთიულური, მოხეური, მხედრული, მწყემსური ცეკვების ილეთი. სრულდება სხვადასხვა მიმართულებით (გვერდზე, წინ, უკან, ადგილზე), უფრო ხშირად გვერდზე და უკან. შესრულებისას საჭიროა ტრადიციული წესების დაცვა.

ცერის დაქნევ-ჩაკვრით სვლა – იხ. დაქნევ-ჩაკვრა.

ცერებზე რბენა – ფეხის ცერებზე სირბილი.

ცერილეთი – ცერებზე ცეკვის სხვადასხვა ელემენტი.

ცერული – ფეხის ცერებზე (თითებზე) შეხტომით ცეკვა. ფეხის თითებზე შეხტომა-ჩამოხტომას, ცერილეთებს ცეკვაში ყველა ქართველი მთიელი იყენებს, მაგრამ ცერებზე ცეკვა, *ცერულის* სახელწოდებით, მხოლოდ სვანეთს ახასიათბს. *ცერულს* ყოველთვის ფერხულების დასკვნით ნაწილში მხოლოდ მამაკაცები ცეკვავენ და იგი ისეთივე ძველია, როგორიც თვით ფერხული. ცერებზე ცეკვა სრულდება ფეხშლითა და წვივდაქნევით. იცეკვება ორპირული სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 2/4.

ცერჩაკვრა – იხ. ცერებზე სვლა და დაქნევჩაკვრა.

ცერშლილი – ერთიმეორისაგან გარემიმართული დაშორებული ფეხის ცერები (III პოზიცია).

ციბრუტი – სახვრეტი ხელსაწყო – შვილდის სატრიალებლიანი ბურღი. აქ: სწრაფი მოძრაობა, ტრიალი, გარჯა (ციბრუტივით ტრიალებს).

ცქვიტად – შეძახილი, მიმართვა. ცერებზე მარდად, მოხდენილად შედგომა- შეხტომა.

ძ

ძაბრა, ძაბრალე – მეგრული ფერხული ფერხულს შიგნით მოთამაშით, ცეკვა *ჯანსულოს* წინამორბედი, *ძაბრალეს* ყველაზე გავრცელებული ვარიანტი: ფერხულის ცენტრში ბეწვიან ქუდს აგდებენ (ბოხოხს), წრის შიგნით გამოდის მოთამაშე და ხანჯლით გარს უვლის ქუდს. ხალხი ქუდში გულისხმობდა ურჩხულს – მთელი სოფლის გადამჭმელ ძაბრას. ფერხულს შიგნით მოთამაშე სიმღერა-ცეკვით სასაცილოდ განასახიერებს შეტევას, შიშს, სიძულვილს, უკან დახევასა და ისევ თავდასხმას... საფერხულო მწყობრი კი *ჰოი, ძაბრას* მოსძახებს. საბოლოოდ, მოთამაშე ხანჯალს დაჰკრავს ბოხოხს. მეფერხულენიც მისცვივდებიან ქუდს, დაგლეჯენ და მხიარულობენ. *ძაბრას* ერთ-ერთ ვარიანტში ფერხულს შიგნით ოთხი-ხუთი ჯოხიანი მოთამაშე დგას. ფერხული *ძაბრალე* უკორიფოდაც სრულდებოდა – ფერხულის ერთი ნახევარი მღეროდა, მეორე – *ჰოი, ძაბრას* მოსძახებდა. სრულდება სამხმიანი სიმღერით. მუსიკალური ზომა – 2/4.

ძელი – მომრგვალებული ან მრგვალი ხე, 4-5 სმ.-ის დიამეტრის, 2-3 მეტრი სიგრძისა; სავარჯიშო დარბაზის კედელზე ერთი მეტრის სიმაღლეზე ჰორიზონტალურად მჭიდროდ მიმაგრებული და მისგან 25-30 სმ.-ით დაშორებული.

ძნობა – 1. მომღერალ-მოცეკვავეთა საფერხულო წყობის რელიგიურ-რიტუალური ფერხული (ივ. ჯავახიშვილი), ცეკვის ზოგადი სახელი, ქალთა საფერხულო როკვის ნაირსახეობა (იხ. გვარამაძე, ლილი (1997), *ქართული საცეკვაო ფოლკლორი*). ასეთი მნიშვნელობა *ძნობას* მხოლოდ XI საუკუნემდე ჰქონდა, შემდეგ ის მუსიკას უკავშირდება.
2. სიმებიან საკრავზე დაკვრა, გალობა, *განცხრომა* (იხ. აბულაძე, ილია (1973), ძველი ქართული ენის ლექსიკონი). სამუსიკო საკრავთა ხმა, დაკვრა/სიმღერა.

ძნობი – მუსიკა, შეწყობილი ჴმა (საბა).

ძნობით – შეწყობილის ჴმით(ა) (საბა).

ძუნძული – მძიმე სირბილი ადამიანისა.

წ

წახტომი(ა) – ადგილზე შეხტომა. წინისკენ ხტომით მდებარეობის შეცვლა.

წაჭრით ჩაკვრა – იხ. ჭდომჩაკვრა (მოხეური).

წვივქნევით ჩაკვრა – მთიულური, მხედრული და მწყემსური ცეკვების ერთტაქტიანი ვაჟური ილეთი: წვივების ჰაერში გაქნევით ფეხების რიგრიგობით მოხრა და გამართვა. ფეხი – I პოზიცია. ხელი – წელს უკან შეკრულად. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

წერტი – იგივეა, რაც წერტილი; პუნქტი.

წერტილი – ხაზის მონაკვეთის საზღვარი, განსაზღვრული ადგილი, პუნქტი – წერტი.

წვივქნევით ჩაკვრა – მთიულური, მხედრული და მწყემსური ცეკვების ერთტაქტიანი ილეთი. სრულდება ფეხების მონაცვლეობით: ოდნავი ზეხტომით ფეხის იატაკს აცილება, მუხლში მოღუნვა, ტერფის ხაზის საყრდენი ფეხის პარალელურად (ცერით ქვემოთ) მიტანა-გაჩერება და სწრაფად წინ გაშლა.

წინმკლავი – ხელების წინ გაშვერა. მკლავების წინ, მხრების სიმაღლეზე გამართვა.

წინმძღოლი / წამძღოლი – ვინც წინ უძღვის მწკრივს, წრეს, ფერხულს. აქ: მოცეკვავეთა ჯგუფის პირველი მოთამაშე; ზოგ შემთხვევაში ჯგუფის ხელმძღვანელის წინსვლა.

წინზნექი – ტანის წინ გადაზნექა.

წინნები – წინ მიმართული ხელის გული.

წინფეხშლილი – ცალი ფეხის წინ, მეორის უკან, მისგან დაშორებით დადგმა (II პოზიცია).

წინხტომი – წინ ხტომა, წინ მიმართულებით გადახტომა.

წრეშემოვლა – წრეზე შემოვლა.

წრე – სიბრტყის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია წრეხაზით / ერთმანეთის გვერდით მდგომ (ან მჯდომ) ადამიანთა მიერ მრგვლად შემოზღუდული ადგილი; რკალი, ალყა.

წრებრუნვა – წრიული ბრუნვა.

წრეგვარი – წრის მსგავსი, წრისნაირი, წრისებრი.

წრეხაზი – წრის საზღვარი, მრგვალად მოვლებული ხაზი, რომლის თითოეული წერტილი თანაბრადაა დაშორებული ცენტრიდან – წრეწირი.

წყვილად, წყვილ-წყვილად – ორ ცალად, ორ-ორად.

წყრთა – ხელის ნაწილი იდაყვიდან თითების წვერებამდე / სიგრძის საზომი – მანძილი იდაყვიდან შუა თითის წვერამდე.

ჭ

ჭდობილა – ფეხებგადაჯვარედინებული.

ჭდობილი გასმა – ცეკვა *ქართულის* ორტაქტიანი ილეთი. *სადა გასმისა* და ფეხების გადაჭდობის ნაერთი დასკვნით ნაწილში, გვერდზე გადასვლისათვის – ვაჟის ქალთან მიახლოებისას. ფეხი – II პოზიცია, ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა – 4/4 ან 6/8.

ჭდობილი გვერდზე სვლა – ცეკვა *მთიულურის* ერთტაქტიანი ილეთი. სრულდება ერგცერებზე ან ცერებზე: მარჯვენა ფეხით მოკლე ნაბიჯი წინ და მარჯვნივ. მარცხენით ნაბიჯი მარჯვენის უკან – მარჯვნივ და ა.შ. ფეხი – I პოზიცია, ხელი – II პოზიცია. მუსიკალური ზომა 2/4 ან 6/8.

ჭდობილი წინსვლა – ცეკვა *მთიულურის* ორტაქტიანი ილეთი, მუხლურა წინსვლის თავისებური ვარიანტი – მეოთხედით მარჯვნივ და მარცხნივ შებრუნებით. ფეხი – III პოზიცია, ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ჭდომხტომილა წინსვლა – ცეკვა *მთიულურის* ორტაქტიანი ილეთი. გამართული მარჯვენა ფეხის მარცხენის წინ დადგმა და მუხლის სახსარში მოხრა. მარცხენის მუხლის სახსარში გამართვა და წინ ჰაერში გატანა. მარცხენა ფეხზე მცირე ზეხტომ-დახტომა, მარჯვენის მუხლის სახსარში მოხრა და ისევ გამართვა. ფეხების მდგომარეობის შეცვლა. ფეხი – III პოზიცია. ხელი – I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ჭდომ(ბ)ილი ჩაკვრა – ადგილზე შესრულებული *ჭდომხტომილა წინსვლა.*

ჭდომჩაკვრა (მოხეური) – მთიულური ცეკვების, ძირითადად, *მოხეურის* ორტაქტიანი ვაჟური ილეთი: მონაცვლეობით ფეხების მოქნევით ფეხის უკან მიწევა და შეხებით ქუსლთან დადგმა. ფეხი – II პოზიცია (მარცხენა – ერგბუქნი, მარჯვენა – ქუსლზე დაყრდნობილი). ხელი – მარჯვენა განგაშლილი, მარცხენა – დოინჯი. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

ჭრილი ჩაკვრა – ცეკვა *მთიულურის* ორტაქტიანი ილეთი. მარჯვენა ფეხით ნაბიჯი წინ და ოდნავ მოხრა მუხლის სახსარში. გამართული მარცხენა ფეხის ქუსლით თავისუფლად დადგმა. დახტომა მარცხენა ფეხზე და მარჯვენის მარცხენის უკან ერგცერით თავისუფლად დადგმა. მარჯვენაზე დახტომა და წინ გატანა. ფეხი – III პოზიცია. ხელი: პირველი ტაქტი – I პოზიცია, მეორე ტაქტი – II და I პოზიცია. მუსიკალური ზომა – 2/4 ან 6/8.

რ

ხანჯლური – მამაკაცთა ცეკვა ხანჯლებით. აგებულია *მთიულურის* ელემენტებზე. ცეკვისა და ჯამბაზობის სინთეზის ხალხური ვარიანტი. ხანჯლებიანი მოცეკვავე ილეთების შესრულებისას ხანჯლებს ატრიალებს ჰაერში და ოსტატურად არჭობს მიწაში(იატაკზე). ხალხურ ვარიანტში ხანჯლურს ერთი ან ორი მამაკაცი ცეკვავს, სასცენო-ხალხურში – მამაკაცთა განუსაზღვრელი რაოდენობა.

ხევსურული – იხ. ფარიკაობა.

ხელი – მაჯის სახსრიდან თითების ბოლომდე.

ხელსართავი – მტევნების რკალისებრი ან წრისებრი მოძრაობა მაჯის სახსრებში.

ხლართვა, ხლართი – ერთი მეორეზე გადახვევა, გადაჭდობა, – ხვლანჯვა. ერთმანეთში გაბმული, დახვლანჯული რამ; ფანდი, ხრიკი.

ხლართული(ა) (ხლართულ-ფეხჭდომით) სვლა – გვერდზე სვლის ილეთი – წინ ხან ერთი ფეხია, ხან – მეორე. სრულდება ცერებსა და ერგცერებზე (იხ. ცერებზე სვლა).

ხლართული(ა) ჩაკვრა – *ყაზბეგურსა* და *მთიულურში* მამაკაცთა ერთნახევარტაქტიანი, სამმოძრაობიანი ილეთი – ფეხების ერთმანეთზე გადახლართვა. მუსიკლური ზომა – 2/4 ან 6/8.

ხორონი – იხ. ხორუმი. აჭარული ან გურული ჯგუფური ცეკვის სახელწოდება.

ხორუმი, ხორონი – საფერხულო წყობის უძველესი საბრძოლო ცეკვა: მტერთან ბრძოლის მთელი სურათი, ბატალური სცენები სხეულის მოძრაობით, რიტმით, ჟესტითა და მიმიკით არის გადმოცემული. *ხორუმი* ოთხნაწილიანია: 1.ადგილის ძებნა მეომართა დასაბანაკებლად; 2.მტრის დაზვერვა; 3.იერიში (ბრძოლა); 4.გამარჯვება და ზეიმი. *ხორუმის* დასკვნით ნაწილს ხალხურ ვარიანტში *გადახვეული ხორუმი* ეწოდება (იხ. გადახვეული ხორუმი). არსებობს ცეკვა *ხორუმის* ოდნავ განსხვავებული სახელწოდებაც: *ხორონი, დელი ხორუმი.* გურიაში ორ ჯგუფს შორის ლექსით დავას, შაირში შეჯიბრებას ხორუმს უწოდებენ. ხორუმს აქვს სრულიად თავისებური რიტმი და მუსიკალური ზომა – 5/8. სრულდება დოლის, ჭიპონის (ჭიბონის), დოლისა და ჭიპონის ან სიმღერის თანხლებით.

ხორული – იხ. მხარული. მეფერხულენი ხელის პატარა თითებით არიან გადაბმულნი.

ხტომბრუნი – ხტომით შესრულებული ბრუნი. ხტომისა და ბრუნის შეერთება.

ხტომი(ა) – არეკნით სხეულის იატაკს აცილება, მცირე ხნით ჰაერში ყოფნა და ისევ იატაკზე დაშვება. ადგილის მონაცვლეობა.

ჯ

ჯანგილდი – ქალ-ვაჟთა სატრფიალო სვანური მასობრივი ცეკვა: მკლავში ხელიხელგაყრილი ქალ-ვაჟნი ეწყობიან ნახევარ წრედ და სიმღერის დაწყებისთანავე ფეხების გადაჭდობითა და გასმით მოძრაობენ მარჯვნივ.

ჯანგილდი იცეკვება ორპირული სიმღერა *ვორირაშას* თანხლებით, ამიტომ მას ზოგჯერ *ვორირაშასაც* უწოდებენ. მუსიკალური ზომა – 2/4.

ჯანსულო – მეგრული სახუმარო ცეკვა-თამაში, *ძაბრალეს* სახეცვლილება, ოღონდ საფერხულო მწყობრი აღარ მოძრაობს – სტატიკურია, მომღერალ-მოთამაშე – გააქტიურებული. სიმღერით გამოდის საცეკვაო მოედანზე და ხმალ-ხანჯლითა და დამბაჩით შეიარაღებული ტრაბახობს: არაფრის ეშინია. მოულოდნელად მოედნის ცენტრში ბეწვიანი ქუდი დავარდება. როგორც კი მოთამაშე-მომღერალი ქუდს შენიშნავს, შეშინდება (როგორც *ძაბრალეში, აქაც* ურჩხული იგულისხმება). მას ჯერ ხანჯალი გაუვარდება,

შემდეგ ხმალი. იგი დახმარებას სთხოვს ხალხს. თამაშის დასკვნით ნაწილში თანდათანობით გამხნევდება, შეტევაზე გადავა და ხანჯალს დაჰკრავს ქუდს. ამის შემდეგ „გამარჯვებული“ მოთამაშე ზეიმის ნიშნად ცეკვავს.

მეგრული ცეკვა-თამაში *ჯანსულო* სრულდება სიმღერით: ტექსტს მთლიანად მომღე-
-რალ–მოთამაშე მღერის, გუნდი კი მხოლოდ შეძახილით – ჯანსულო – უპასუხებს. მუსიკალური ზომა – 4/4.

ჯგუფად, ჯგუფი – 1.რამდენიმე ერთად მყოფი; ვინმე (ან რამე) გუნდი. 2.გარკვეული საქმიანობის ან ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ერთობლიობა ადამიანებისა.

ჯგუფ-ჯგუფად – ცალკეულ ჯგუფებად.

ჯგეგრაგი – მთვარის ღვთაებისა და წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებული სიმღერა-საგალობელი (სვანეთი).

ჰ

ჰაიდა, ქალებო – ძველი ორპირული ქალთა ქართლური ფერხული (ჩაწერილია ია კარგარეთელის მიერ სოფელ ერთაწმინდაში).

– *ჰე, ჰაიდა, ქალებო, ჰაიდა, ქვეყნის თვალებო,* – ამბობს მეფერხულეთა ერთი ნახევარი, შემდეგ იმავეს მეორე მწკრივი გაიმეორებს და ა. შ.